

114
369



მეტეოროლოგია

114

25

1

1969

მნათობი

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და სასოფლისმშენებლის-კომპლექსური შურობა

წელიწადი 45-ე

№ 1

იანვარი, 1969 წ.

საქართველოს საბავშვო მწერლების კავშირის ორგანო

11288

შ ი ნ ა ა რ ს ი

პანო ურჯუაშვილი — ფირიცვალოვა. რომანი	3
მისილ კვლივიძე — ლექსები	39
მისილ მრავლიშვილი — ბერძენის ჩრდილში. დრამატული ეპოპეა	40
შალვა ფორსიძე — ლექსები	64
იაროშიკ იოსელიანი — საბავშვო ნაწარმი	70
თაიშუკა ჯანაშვილი — ლექსები	96
სიმონ ჯაფარიძე — მოთხრობები	98
ნელი გაბრიძიძე — ლექსები	102
ალექსანდრე ებანოიძე — ღამე და დილა. მოთხრობა	104
დ. პეტროვი — ძეგლი ბრუნუნოვები. თარგმანი რ. თრჭონიკიძისა	118

კრიტიკა და მხენიერება

ბაკი გაჩეჩილაძე — ქართული მხენიერებისა და პიროვნების საკითხები	135
სოლომონ ლავროვი — ვაჟა ფშაველას უცნობი კვლევითი-მეცნიერული მუშაობები	174

გამოსათხოვარი

ირაკლი აბაშიძე — ადრინდელი მხენიერების დანაკლისი	178
სიმონ ჯაფარიძე — ქართული მხენიერების განვითარების ახალი ეტაპი	180
ვახტანგ გორგილაძე — თბილისის უნივერსიტეტის პირველი ფილოსოფიური სემინარი	182
შარდლ „მნათობის“ 1968 წლის ნომრების შინაარსი	186



საქართველოს კავშირის საბავშვო ლიტერატურის ორგანოს გამომცემლობა

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

მთავარი რედაქტორი ელგუჯა შალვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ტღენტო,
ა. ხულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენ-
გელია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნორედაქტორი რ. ჩაკვატაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პარკისპირა № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11,
პ/მგ. მდივნის — 98-55-13, განყოფილებე-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაცემა ასაწევობად 12/X11-68 წ., ხელმოწე-
ბილია დასაბუქდად 30/1-69 წ., ქალაქის ფო-
ტომატი 70 X 1081/16 ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16, მ.
უე 01989. ტირაჟი 10.800. შეჯ. № 4440.

საქ. კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ფერიხველობა

გ მ მ ე ნ ი

ზაფხულობით, თბილისში რომ სიცხე-პაპანაქების ბული ტრიალებს, მოსაღამოვდება თუ არა, მანქანები უწყვეტ ნაკადად მიედინება წყნეთისაკენ.

ფეხით მოსიარულენი ხეირიანად თვალს ვერ ასწრებენ მანქანების საზურგეზე ნებივრად გადაწოლილ მგზავრებს. თუმცა ისინიც თავიანთ გზას ადგანან, სხეების საცქერად არ სცალიათ და მანქანებში ჭკრეტით თვალებს არ იბრეცენ. ბევრ მათგანს ახლო-მანლო სოფლებში ჰყავს ცოლ-შვილი სააგარაკოდ გაგზავნილი და, თვითონაც იქით მიიქარის. ზოგიც თბილისის ზღვაზე მიეშურება საბანაოდ, სუფთა ჰაერზე დასასვენებლად. უფრო მოხერხებულნი ქალაქკარეთ გადიან საქეიფოდ, დროსგასატარებლად, არიან ისეთებიც, ვისაც სამუშაოდან ბაზარზე გამოუვლია, სანოვაგე, ან ხილი უყიდია და ოჯახში მიიქვს...

ერთ ასეთ საღამოს სადგურის ქუჩაზე ტანმალალი ჰაბუკი მიდიოდა. მალი-მალ დაბლა იხედებოდა, რადგან ეშინოდა ფეხი არაფრისთვის წამოეკრა. ოდნავაღაც რომ წაეფორხილა, უკან მომავალნი ისე ჩქარობდნენ, ალბათ ზედ მიაწყდებოდნენ, ფეხქვეშ მოიქცევდნენ და იქნებ კიდევაც გადაეთელათ.

სადგურის მოედანი რომ გადასჭრა, შეჩერდა, მანქანებისა და ხალხის უწყვეტ ნაკადს თვალი მოავლო, ვიფ ადამიანმა აღიღებულ მდინარე რომ გადალახა, და თვითონვე გაუკვირდა, აქეთა ნაპირს როგორ გამოვალწიეო.

საბილეთო დარბაზს მიაშურა. ცნობათა ბიუროში იკითხა, თელავის მიმართულებით ვაგა თუ არა რაიმე მატარებელიო. „დიღამდე აღარაფერი იქნება!“ — იყო პასუხი.

იგი სადგურის მოსაცდელ დარბაზში შევიდა. კუთხეში მიდგმულ სკამზე დაჯდა. ხელჩანთიდან ძეხვის პატარა ნაჭერი და პური ამოიღო, ნარჩენი დღევანდელი სადილისა, და სახელდაბელოდ წაიხმსა. გაზეთში გახვეულ წიგნებიდან ფიზიკის ამოცანათა კრებული გამოაძრო და გადაშალა. კითხულობდა ამოცანებს, იზვირებდა რიცხვებს, მერე თვალებს ხუჭავდა და გონებაში სწყვიტდა.

მეოთხე ამოცანას რომ ხსნიდა, თავისდაშეუწინებლად ნეტარ თვლემასში წავიდა, კისერი მოსწყდა და ძიღმა თავი წაართვა.

უეცრად გამოეღვიძა, რადგან ვიღაცამ მხარში უბიძგა ხელი, თან ხრინწიანი ხმით ყურში ჩასძახა:

— სამტრედიისში ვართ, გამოიღვიძე!
ეჰ, როგორ ეზარებოდა თვალის გა-
ხელა.

ბიძგი კვლავ განმეორდა, ამჯერად
უფრო უხეშად. თან ისე ხმაილადა ჩას-
ძახეს ადგილს, კინაღამ ყურის ბარა-
ბანი გაუსკდა მის წინ სადგურის მო-
რიგე იღვა, თითქოს ბუღლოვი ოფიცე-
ბაო, ისე ისროდა სიტყვებს:

— აბა, დარბაზი გაანთავისუფლე,
ყოჩაღად, ყოჩაღად, ყოჩაღად!

— თელავში მივდივარ, მეგობარო! —
მიუვო აბნეულად ჰბაუტა.

— თელავში კი არა, თუგინდ ტრაპი-
ზონში წადი! ახლა კი დარბაზი გაანთა-
ვისუფლე. აბა, მარჯვედ, მარჯვედ!

— მგზავრი ვარ!

— დიდი ვინმეც ყოფილხარ ვითხა-
რი და მოვრჩი, სადგური გაანთავისუფ-
ლე. დილაშდ თელავისკენ აღარაფერი
გავა!

— ამ შუალამისას სად წავიდე, რა
იქნება, დავრჩები!

— აჰ მოსაცდელი დარბაზია და არა
ლამის სათევზ. აბა, ყოჩაღად, აიკრიფე
გულა-ნაბადი!

ჰბაუტა იმის თქმას აპირებდა, რა იქ-
ნება, დავრჩები, სადმე კუნჭულში მი-
ვიყუყუებო, მაგრამ მორიგეს ისეთი
უხეში გამომეტყველება ჰქონდა, ალ-
ბათ ყელის აწვეითაც რომ შევედრე-
ბოდა, მაინც არ შეიბრალებდა. უხმოდ
წამოღდა და დარბაზიდან გავიდა.

შუალამე იყო. ლამპიონებით გაჩი-
რალდებულ სადგურის მოედანზე კა-
ცი არ ჰქანებდა.

ჩელიუსკინელების ქუჩას ჩაჰყვა. ნელი
ნაბიჯით მიდიოდა. ან რატომ უნდა ეჩ-
ქარა! ამ დიდ ქალაქში ხომ გასახედი
არსაით ჰქონდა, არავინ ელოდა.

ხილს რომ მიღწია, ისევ უკან გაბ-
რუნდა. მისი ვარაუდით ხილამდე მისე-
ლას თხუთმეტი წუთი მონადომაა რო-
ცა სადგურის კედელზე დაკიდებულ
საათის ისრები ვაარჩია, ვარაუდი გაუ-
მართლდა: ნახევარი საათი გასულიყო.
სადგურის მოედნიდან ისევ უკან გაბ-

რუნდა, ხილისკენ ჩაჰყვა დაღუშებულ
ქუჩას, მერე ისევ ამოჰყვა და ასე და-
დიოდა გათენებამდე. დაიღალა, სახს-
რები ეტყინა, მუხლები მოიკვეთა, ძი-
ლი მოერია.

ეჰ, ნეტავი ახლო-მახლო პარკი მაინც
იყოს! სკამზე ჩამოჯდება, ცოტას დაის-
ვენებს, თვალს მოატყუებს.

ალაბებდზე „დეზერტირების“ ბაზ-
რისკენ გაუხვია. ტელმანის ქუჩაზე გა-
ვიდა და სტადიონთან პატარა პარკში
ამოჰყო თავი. ყველაზე განაპირა სკამი
აირჩია დასაჯდომად, რომ გამველულ-გა-
მომველლებს თვალში არ სცემოდა.
უძილობითა და სიარულით მოღლილმა
სახსრებმა შეება იგრძნეს თუ არა, მთი-
დან მოწყვეტილ ნიაღვარივით მიეძალა
ძილი და ტკბილ ბურანში წავიდა. ეჩვე-
ნებოდა, რომ ისევ პატარა ბიჭი იყო,
დედის გვერდით იწვა, თავი მის უბეზე
მიედო და ტკბილად ეძინა...

ალამიანის დაქინებულმა მზერამ შე-
აკრთო. თითქოს ვიღაც წასდგომოდა
თავზე და ცეცხლოვანი თვლებით მის-
ჩერებოდა. და აი ან ახლა, ან ახლა
დასწყვილებდა!

ნუთუ აქედანაც აძევებენ?!

„მძინავს თუ მღვიძავს?“ — თავში ამ
კითხვამ გაურბინა და გონება დაძაბა.

რის ვაივავალბით გაიხსენა საღაც
იყო. იმასაც მიხვდა, რომ სკამზე იწვა,
მაგრამ ის კი ველარ მოიგონა, როდის
წამოწვა მხარეთქობზე მამაბაპურად. ეს-
მოდა გაღვიძებული ქალაქის ხმაური,
მშვენიერად არჩედა ამღერებულ ჩი-
ტუნებში ბულბულის სტვენას. შუქს
რომ შესჩვეოდა, თვალი ნელა გაახილა.
შორიანლოს სკამზე უცნობი გოგონა იჯ-
და. ცხვირი გაღაშლილ წიგნში ჩაერგო.

ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა
ქალიშვილი. ქერა იყო. ალაკრულ სახე-
ზე ქალწულებრივი მოკრძალება და
სათნოება ეხატა.

მაშ, ეს საოცრება არ არის?! დანამდ-
ვილებით იცის, რომ ქალიშვილი დღემ-
დე არსად უნახავს, რადგან ეს ისეთი
გოგონაა, შორიდანაც რომ მოეკრა

თვალი სამუდამოდ დაახსომდებოდა, მაგრამ რატომღაც ჰგონია, რომ არაერთხელ შეხვედრია, უმუხაიფია მასთან. რა დასამალია, ყველა გოგონა ლამაზად ეჩვენება, ყველა მოსწონს, მაგრამ ასეთი კეკლუცი, მოხდენილი ჯერ არ უნახავს!

გოგონას სახე უფრო აუწითლდა. სიყვარულის მფრქვევი თვალები აენტნენ, აუუუუნდნენ. ვაჟს მორცხვად შესვინა, თითქოს უნდოდა ეთქვა, ჩემი სილამაზით ხომ მოგხიბლევ, ხომ აღგაფრთოვანევ.

ისინი ჯიქურად შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს იმაში ეჯიბრებიან ვინ უფრო დიდხანს გაუშტერებს თვალსაო. არცერთი იტეხდა იხტიბარს, არც მეორე, მაგრამ ბოლოს გოგონამ დახარა მორცხვად თავი. იმიტომ კი არა, რომ ვაჟმა აჯობა. არა! ქალურმა სიმორცხვემ სძლია, მიხვდა რომ შორს შეტოვა. მისმა თვალებმა ზომიანე მეტი თქვეს. საჭირო იყო ამის რამენაირად გამოსწორება, ამიტომ ვაჟისათვის თვალებში არც შეუხედავს, ისე იკითხა:

— ნეტავი, რა დროა?

ეჰ, დროს ვასაგებად სად ეცალა? ასეთი შეხვედრები დროის ჩარჩოში როდი თავსდება.

მზე ახალი ამოსული იყო, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი რაღაც არაჩვეულებრივად ბრწყინავდა, კეკლუცობდა. ასეთ აელვარებულ განთიადს ვაჟი თავის სიცოცხლეში არ შესწრებია. უჭირდა დროის განსაზღვრა. პასუხის გაცემა კი საჭირო იყო, ამიტომ ესლა თქვა:

— რა დიდებული განთიადია?

გოგონას თვალები გაუბრწყინდა, სახეზე ღიმილი გადაეფინა. ამობურცულ ლოყის თავებზე ორი პატარა ფოსო დაჩნდა, რამაც კიდევ უფრო შეამკო მისი სილამაზე. საოცარია, რა უუუუნა, მომცინარე გახდნენ მისი თვალები! მათმა ელვარებამ უფრო მეტი შუქი მოფინა ვაჟის გულს, ვიდრე ცხრათვალა მზე ქვეყანას ჰფენდა! რაღაც ამღერდა კაბუჯის არსებაში უფრო ტკბილად.

უფრო საამოდ, ვიდრე ხის ტოტზე შემომჯდარი ბულბული.

— განთიადი მართლაც დიდებულია! — მიუგო ქალიშვილმა, უცებ ვაჟს აღმატრად გადახედა და შემპარავი ირონიით თქვა. — მაგრამ მე ეს როდი შეგეკითხე.

უხერხულობაში ჩავარდნილმა ვაჟმა გაიციინა. ფერმკრთალი დაწვები დაუნაოჭდა, დაედარა, რამაც მისი სახე უფრო გააკეთილშობილა და გაასაწყლა.

— შვიდი საათი იქნება, არც მეტი, არც ნაკლები, — წაილაპარაკა მან გულუბრყვილოდ.

„საოცარია, იციანის, მაგრამ თვალებიდან მაინც რაღაც ნაღველი გამოუკრთის. რა საბრალოა, ამასთან რა უცნაური!“ — გაიფიქრა გოგონამ და უფრო გულიანად გაიციინა.

— რა ვაცინებს? — იკითხა ვაჟმა, ფერმკრთალი სახე ისევ რომ დაუნაოჭდა.

— ისე განაცხადე შვიდი საათი იქნებაო, გეგონება წამებით შეგეძლოს დროის განსაზღვრა.

— შენ იციანი, მე კი ეს მართლა შემიძლია. გინდა დაიჯერე, გინდა არა, ძილშიც კი, სიზმარს რომ ეხედავ, ვგებულობ, შუაღამეა, თუ დილა!

გოგონამ კვლავ გაიციინა, მაგრამ ჭაბუქს სახე ისეთი შესაბრალისი გაუხდა, რომ მაშინვე შეწყვიტა სიცილი და თქვა:

— მე კი დღისითაც ვერ ვგებულობ დროს.

— სვებედნიერნი ეამთა სრბოლას ვერ გებულობენ! — ეს სიტყვები ვაჟმა თავის ლექსიდან მოიყვანა. ხშირად იმეორებდა ამ სტრიქონს გულში, ღიღინებდა კიდევ და თუ ვინმესთან საუბარში შესაძლებლობა მიეცემოდა, ხმამალღაც წარმოსთქვამდა.

— შენ რა, პოეტი ხომ არ ხარ? — იკითხა ქალიშვილმა.

— რატომ გგონია?

— ასეთ მალაღფარდოვან სიტყვებით

რომ ლაპარაკობ! თან თმაც ახლანდელ პოეტებივით აგწეწია.

პოეტობა ქაბუჯის ოცნება იყო, მაგრამ იმაზე ძალიან არაფერი სწყინდა, თუ ვინმე ეტყოდა პოეტი ხარო. ამჯერად კი რატომღაც ესიამოვნა გოგონას ნათქვამი და თამამად უპასუხა:

— დიახ, ლექსებს ვწერ!

— ლექსებს მეცა ვწერ.

ქალ-ვაჟმა ახლა კი ადვილად გამოიხატეს საერთო ენა. ჯერ პოეზიაზე ჩამოაგდეს სიტყვა. ზეპირად თქვეს თავიანთ საყვარელ პოეტების ლექსები. მერე ერთმანეთის ვინაობა გაიკვს.

ვაჟს ქვეყნად დედის მეტი არავინ გააჩნდა. მამა სამამულო ომში დაედუპა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აბარებდა მისაღებ გამოცდებს. სტუდენტთა ქალაქში ადგილი ვერ გამოუნახეს, თბილისშიც ისეთი არავინ ჰყავდა, რომ შეეკედლებოდა. ამიტომ გამოცდებზე სოფლიდან დადიოდა, მათი სოფელი კი თბილისიდან მატარებლით საათნახევარ სავალზეა. სამი დღის წინ პირველ საგანში ხუთი მიიღო, იმ სადამოთი დედა-შვილს ერთად უზეიმათ გამარჯვება. დღეს გამოცდა გვიანობამდე ვაგრძელებულა. იგი სადამოხანს გამოუძახიით და ამჯერადაც თავი უსახელებია. ამის მერე კი დაწვრილებით უამბო, რაც ღამით გადახდა.

— მე სამედიცინო სასწავლებელში ვაბარებ მისაღებ გამოცდებს. — თქვა ქალიშვილმა. — ეჭიშობაა ჩემი ტრფიალი. დეიდასთან ვარ შეხიზნული. იგი აქვე ცხოვრობს. მათი ოჯახი შვიდი სულისგან შედგება. მე კი მომკალი და სხვისი თანდასწრებით მამეცადინე. ამიტომ პარკში გამოვდივარ საგნების გასამეორებლად. ეს ადგილი მაქვს ამორჩეული. დღეს დილითაც აქეთ გამოვწიე. შენ რომ სკამზე წამოწოლილი დაგინახე, გადავწყვიტე, პარკის თავში წავსულიყავი, მაგრამ ჩემდაუნებურად მაინც აქ დავჯექი! — გოგონას სახე აუწითლდა, მიხვდა, რომ ეს არ უნდა ეთქვა. სხვარომ ვერაფერი მოიფიქრა,

ამითლა გაიმართლა თავი. — რა კქნა, ისე ვარ მიჩვეული ამ სკამზე შეცადინობას, რომ ვერც ახლა შეველოე — და ვაქს გაუღიმა, გულში კი გაიფიქრა, აი ხომ ხედავ, რაღაც ორი-სამი საათია აქა ხარ, მაგრამ შენც ისე გაგიტყბა მავ სკამზე ჯდომა, რომ ვეღარ ელევით.

მართლაც, რა გაბუტულებით შორი-შორს სხედან. რაბანია პარკი ხალხით აივსო, ალბათ მოსეირნენი გულში დასციინან, ეს კაი ადამიანები, ერთ სკამზე ვერ დაეტივენენ, რომ ორი არ დაიკავონო. ჰოდა, ახლავე ქალიშვილის სკამზე უნდა გადაჯდეს!

იგი თავის თავს თვითონვე აქეზებდა, რისა გრცხვენია, გადააქეი, გადააქეი, მაგრამ რატომღაც ეუხერხულეზოდა, უმძიმდა ეს და ადგილიდან არ იძვროდა.

— წავედი! — ფეხზე ადგა ბოლოს გოგონა, თან ისე გადახედა ვაქს, თითქოს საყვედურობდა, რაღას უზიხარ, ადექი და ცოტაზე მაინც გამაცილეო.

ვაი წამოდგა და ქალიშვილს გვერდით გაჰყვა. მოკლე ნაბიჯებს ადგამდა. რადგან ვერა და ვერ აუწყო ფეხი.

ისინი პარკის გასასვლელთან შეჩერდნენ.

— იცი რასა გთხოვ? — უთხრა მოკრძალებით გოგონამ.

— ვიცი! ჩემი ჩამოცილება გინდა.

— ნუ გეწყინება, რა! ჩემთვის უხერხულია შენთან ერთად პარკიდან გასვლა, ვაითუ, დეიდაშვილებმა დამინახონ! ჯერ ისედაც ერთ ამბავში არიან, მამრახებენ, პარკში მარტო სამეცადინოდ არ დადინარო!

— დიდი სიამოვნებით, მე აქ შევჩერდები.

— კარგად ბრძანდებოდე!

— მიდინარ? — იკითხა ვაჟმა.

გოგონა შეჩერდა. ამან კი ვაქს გამბედაობა შემატა:

— როდის შევხვდეთ ერთმანეთს?

— ეს შენ გინდა?

— მინდა!

— მაშ, ჩემ სკამთან მოდი; მხოლოდ ზეგ, ხვალ მე არ მეცლება!

— ზეგ რომ თბილისში არ ვიქნები?

— მაზეგ იყოს!

— კი მაგრამ ასე რამ გამოგვაშტერა? — ვაჟმა ტაში შემოჰკრა.

— რაზე ამბობ?

— ჩვენ ხომ ერთმანეთს არ გავცნობდით?

— ირმა მქვია, შენა?

— ელიზბარი! — და ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, რაც ამავე დროს გამოშვიდობებასაც ნიშნავდა.

დათქმულ დღეს ორივე დაუგვიანებელივ მოვიდა პარკში. მერეც აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ელიზბარი ინსტიტუტში ჩარიცხეს და სტუდენტთა ქალაქში დაიდო ბინა. ირმამაც სამედიცინო სასწავლებელში ჩააბარა გამოცდები.

ჩემო მკითხველო, ნეტავი ახლო გიცნობდე! თუ ახალგაზრდა ხარ, ალბათ ბევრი რამ გენიშნება. და თუ შემოდგომა კარზე მოგდგომია, მაშინ ვთხოვ გაიხსენო შენი სიცოცხლის გაზაფხული.

თუმცა რას ვამბობ! ვინ არის ისეთი, ვის გულშიც სამარადისოდ არ აღბეჭდილიყოს ის უტკბილესი განცდები, რაც ამ უძვირფასეს ასაკს ახლავს. განა შეიძლება, თუნდაც სატრფოს პირველი ხელისმოჭერის დაიწყება!

ისინიც ამ სიხარულსა და ნეტარებაში იყვნენ! ქვეყანას უღიმოდნენ, ვარსკვლავებს ხელით კრეფდნენ, ერთმანეთს თავს ევლებოდნენ. ახალგაზრდული სისხლი უჩქეფდათ, ერთმანეთი უყვარდათ. დახე, ჩემდაუნებურად, ესეც არ წამომცდა. თუმცა სხვანაირად როგორ შეიძლება ყოფილიყო. აბა მაშ რად მიუხაროდან ერთმანეთისკენ?! რატომ ისხდნენ მზის ჩასვლამდე თბილისის ზღვის ნაპირზე? მათი სიცილ-კისისი ცასა სწვდებოდა, როცა ბუჩქებში ვნოლივით გაქვეულ გოგონას ძლივს ეწეოდა ვაჟი!

დღეს დღე მისდევდა, თვეს — თვე, წლებიც შემობრუნდა.

ირმამ სასწავლებელი დაამთავრა და სამუშაოდ რაჭის ერთ-ერთ საფულში გაანაწილეს.

როგორ ელოდა ამ დღეს, რამდენს ოცნებობდა?! არც დეიდას ემდურის, არც დეიდაშვილებს, მაგრამ მათ ოჯახში თავს მაინც შებოროტილად გრძნობს, სხვისი შემყურეა. დღეს-ხვალ კი სამსახურს დაიწყებს, დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგება. ამაზე ფიქრიც კი დიდ სიამოვნებას ჰგვრის! ამასთან გულიც ეთანადრება. ტკბილი, საამო მოსაგონარია, თბილისში გატარებული დღეები. როგორ უყვარს ამ ქალაქის ახმარებული ქუჩები, პარკები, შემოგარენი. ენანება, ძალიან ენანება აქაურობა. ესეც რომ არა, განა ის და ელიზბარი გასძლბენ უერთმანეთოდ?! ნეტავი ელიზბარს რა ღმერთი უწყრება? ადრე სულ იმას გაიძახოდა, სასწავლებელს დაამთავრებ თუ არა, მაშინვე შეველდეთო, ახლა კი ამაზე კრინტს არა სძრავს. თავჩალუნული დადის, დანადვლიანებული, თითქოს მთელი ქვეყნის დარდი იმას აწევს კისერზე.

როცა ირმამ თავისი ფიქრები ელიზბარს გაანდო. ასეთი პასუხი მიიღო:

— ეჰ, ჩემო საყვარელო, მე ის მაღარდებს, უშენოდ რა მეშველება. ერთი პატარა ოთახი მაინც რომ მქონოდა, მაშინ აღარაფრისა მომერიდებოდა. ისეთ სამსახურს ვიშოვიდი, ლექციების შემდეგ მემუშავა ან ავღებოდი და საღამოს დასწრებულზე ვადავიდოდი! აბა მითხარი, ვინ შეგვიკვლევს, კარს ვინ გაგვიღებს?! ორი დღეა ქუჩა-ქუჩა დავდივარ და გასაქირავებელ ოთახს ვეძებ. სახლის პატრონები, თთქოს პირი შეუკრავთო, ერთიდაიგივეს მეუბნებიან: თუ მარტო ხარ, დიდი სიამოვნებით, ოჯახს კი ბინას ვერ მივაქირავებთო... აღარ ვიცი, რა ვქნა, რა წყალში გადავევარდე?

— რა გული გატტეხია. ბინას გამოვნახავთ, ამბობენ ავქალის გზატკეცილზე იოლია ოთახის დაქირავებაო. რა უჭირს, ჯერჯერობით იქ ვიცხოვროთ!

— რა უნდა უქირდეს, განა იქ, ხალხი არ ცხოვრობს! ახლა ის მაფიქრებს, როგორ იქნება შენი სამსახურის საქმე?

— სამსახურს თბილისში ვიშოვი. ერთ ექიმს ვიცნობ, ჩემი გულისათვის ყველაფერს გააკეთებს. კეთილი ადამიანია, უთუოდ დამეხმარება!

— ღმერთმა ჰქნას! — თავი ჩაიქნია ელიზბარმა, რაც უიმედობას უფრო გამოხატავდა, ვიდრე თანხმობას. მერე კი განავრძო, — მაგრამ ვაითუ...

ირმამ სიტყვის დამთავრება არ აცალა:

— ელიზბარ, რანაირი ხარ, სულ ვაითუ და ვაითუ... რისა გეშინია, შრომისუნარმოკლებულნი ხომ არ ვართ? როგორც სხვები ცხოვრობენ, ჩვენც ისე ვიცხოვროთ! მითხარი, იქნებ აღარ მოგწონვარ, გუნება შეგეცალა?

— რას ამბობ, ირმა, ეს რამ გაფიქრებინა?

— შენმა მერყეობამ!

კიდევ დიდხანს იმსჯელეს ახალგაზრდა შეყვარებულებმა, ყველაფერი ასწონ-დასწონეს და ბოლოს გადაწყვიტეს ახლობლებისთვის ეცნობებინათ თავიანთი განზრახვა და შეუღლებულიყვნენ.

ირმამ სოფლიდან ჩამოსულ ბებიას ელიზბარი რომ გააცნო, ჩემი საქმროაო, მოხუცმა ხელები გაასავსავა, ეს არასოდეს მოხდებოა.

— რა ექნა, ბებიკო, მიყვარს!

— რა დაგემართა, შვილო, ამოდენა ქალაქში მავის მეტი ვერავინ შეიყვარე? სახლი მავას არ აქვს და კარი, ღარიბია, ჯიბეგამოფხევილი.

— ბებიკო, თუ გიყვარვარ, მავას ნუ მეტყვი! განა სიღარიბით კაცი დაიწუნება?!

— კარგი და მერე რითი აპირებთ ცხოვრებას? სამსახური თქვენ არ გაქვთ და მამულები, ვინ დაგეხმარებათ, ვინ გამოგიგზავნით სარჩო-საბადებელს?

— ნუ გეშინია, ბებიკო, მშვიდობით არ დავიხოცებით!

ბებია როგორ არ შეეცალა. მაგრამ ვერ დაიყოლია, აზრი ვერ შეაქცევინა, ირმა მაინც თავისაზე იდგა. ბოლოს ნერვებაშლილი მოხუცი სოფელში გაიქცა, ისეთი თავისნაფქვამი ხარ, შენთან ვერაფერს გავხდები რახან ჩემი არ გჯერა, როგორც გინდა ისე მოიქცეო.

არც ელიზბარის დედა იყო შვილის არჩევანით მთლად კმაყოფილი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, განუცხადა:

— ირმა ურიგო გოგო არ არის! ტანადია, ლამაზი, ზრდილი, სიტყვა-პასუხით შემეყული, მაგრამ შენსავით უპატრონოა, უმამო და უდაძმო. იფიქრე, შვილო, ვაითუ მერე სანანებელი გავიხდეს!

— დედა, კაცი ერთხელ ირთავს ცოლს! ამიტომ ის უნდა ამოირჩიოს ცხოვრების თანამგზავრად ვინც უყვარს.

— ზედგამოჭრილი მამაშენი ხარ! ისიც შენსავით თავისებური იყო. იმ საცოდავს ვილა არ ეძლეოდა, ვილას არ უნდოდა იმისი დასიძვეება, მაგრამ ჩემი დატაკი თავი ყველას არჩია!

— მერე რა წაავა?

— ვინ იცის, იქნებ მერე ბევრსაც ნილობდა!

— არა მგონია! შენ თქვი ქალი სხვა მხრივ იყოს უნაკლო, თორემ სიღარიბითა და დაძმის უყოლობით არ დაიწუნება.

— იქნებ მართლსაც ამბობ, მაგრამ, რა ექნა, დედა ვარ, გული მიკვდება, აბა როდის რას ეღირსებით, როდის რას მოესწრებით?!

— ეჰ, დედაჩემო, რა გული გაატეხია! ახალგაზრდები ვართ, ცხოვრება წინა ვაჟებს, ყველაფერს მივალწევთ!

— რაილა არ იშლი, შვილო, ეტყობა ბედია! ღმერთსა ვთხოვ, ბედნიერად გეცხოვროთ, ერთმანეთს სიამტკბილობით შებერებოდეთ! — და დედამ თითოდან ბეჭედი წაიძრო — აი ეს მამაშენის საქორწინო საჩუქარია. მე რაღად მინდა, შენს საცოლეს მიართვი!

— დედა, ირმას ბეჭედი შენ აჩუქე! შენგან უფრო გაეხარდება!

— მე მას ოქროს მედალიონს მივართმევ, მამაშენის დედის ნაქონს.

ნაუცხადევად გადაწყვიტეს ხელისმოწერა. ირმას ავალებდნენ სამუშაოდ წასულიყო რაიონში. თუ საბუთს მიიტანდა, რომ ქმარი თბილისში სწავლობდა, ადგილზე დარჩენა შეეძლო. რაკილა დეიდა არჩევანს უწუნებდა, ამიტომ ირმამ მის მალულად გადაწყვიტა ხელის მოწერა. მოწმედ ამხანაგი ქალიშვილი წაიყვანა.

ელიზბარმაც ხელისმომკიდედ თანაკურსელი ამხანაგი აირჩია, მასთან ერთად რომ ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში. როცა ელიზბარმა ამხანაგს ხელისმომკიდებობა სთხოვა, ამ უკანასკნელმა თვალისჩაკერით მიუგო:

— ელიზბარ, მამ დღეს კარგი პური გვიჭამია!

— ჰო, შოთა, პურმარილი იქნება! მხოლოდ ეს მითხარი, სად ინებებ ქეიფს, ფუნუკულიორზე თუ „ისინდში“?

— კაფე „ცისკარზეც“ არ ვიტყოდი უარს, ოღონდ ნაღდი იყოს. თუმცა „ცისკარში“ ღვინოს არ შეგვატანინებენ! ნერვების აშლას ისევ საერთო საცხოვრებელში გვირჩევენია მამა-პაპური პურისკვამა.

ნეფე-დედოფალმა და მათმა მაყრიონმა უნივერსიტეტის წინ მოიყარეს თავი. ტაქსის რიგში დგომას ავტობუსით ამჯობინეს პლენანოვზე გასვლა. როდის-როდის ჩამოდვა № 42 ავტობუსი.

ხელისმომკიდებმა ნეფე-დედოფალი წინ გაიმძღვარეს და თვითონაც უკან აპყვნენ. ავტობუსში ათიოდე მგზავრი იყო. ირმა და ელიზბარი ერთმანეთის გვერდით დასხდნენ, მათ წინ კი ხელისმომკიდებები გამოიკიმნენ.

ბოლო სკამზე მესურნეები ისხდნენ. დაბალი, ჩასუქებული მედოლე, თავზე კახური ქუდი რომ ეხურა, მუხლისთავებზე დადებულ დოლს ნიდაყვებით დაყრდნობოდა და თვლემდა აქეთ-იქით ორი ამხანაგი უჭდა. ერთ მათგანს თავი მედოლის მხარზე მიედო და ნეტარყურებაში იყო. ამოსუნთქვისას

ორივე ყბა ებერებოდა. ჩასუნთქვისას კი, თითქოს საპაერო ბურთს წემსივთქვესო, უცებ ეფუტებოდა და პაერს ტუჩების კუთხეებიდან სტვენით უშვებდა. მეორე მესურნე, ამხანაგებზე ფხიზლად იყო.

ავტობუსი რომ დაიძრა, უნივერსიტეტის მხრიდან ქუჩაზე გოგო-ბიჭებმა გადმოირბინეს. ისინი მძლოლს უძახოდნენ, შეჩერდი, შეჩერდიო.

მძლოლმა ხელით ანიშნა, არ შემოდელიო.

— გაგვიჩერე რა, გაგვიჩერე! — დაუძახა ტანწერწემა მოხდენილმა ქალიშვილმა.

— შენი ხათრით ვაჩერებ, ლამაზო! — თვალი ჩაუკრა ქალიშვილს. მძლოლმა, მანქანა დაამუხრუჭა და ორივე კარი გაიღო.

გოგო-ბიჭებმა სიმხიარულე და ხალისი შეიტანეს ავტობუსში.

— აბა, წავედით, წავედით! — დაიძახა თმანუჭუჭა ყმაწვილმა.

— ვა, ეს ვინ ყოფილა, ჯერ მეხვეწებოდა გააჩერეო, თავისი გაინაღდა და ახლა ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევს! — წაილაპარაკა მძლოლმა და გაზს მოუმატა. მანქანა უცებ მოსწყდა ადგილს. მედოლეს კინაღამ დოლი გაუუვარდა ხელიდან, იმ მესურნემ კი, რომელიც თვლემდა, წინა რიგში მჭდომი თმანუჭუჭა ყმაწვილს მხარში თავი წასცხო.

— ჯიელო, მაპატიე, შენი ჰირიმე. ჩამძინებია! — უთხრა მესურნემ „დაზარალებულს“ თვალების ფშვნეტით; თან გაოცებული თავს აქნევდა, ეს რა დამემართათო.

— მიპატიებია, ძია კაცო! — მიუგო ყმაწვილკაცმა — ოღონდ ერთი კარგი რამე დაუკათ. მე და ჩემმა მეგობრებმა წუხელ მშაკაცის ქორწილში ვიქეიფეთო. სიმღერის ხასიათზე ვართ!

— დაუკათ რა, დაუკათ! — ეხვეწებოდა მძლოლის ქათინაურებით ატაცებული ქალიშვილიც.

— შვილებო, ჩვენი ხელობა დაკვრაა, უარს არ გეტყოდით, მაგრამ... — და

მედოლემ მხრების აჩეჩვით ჯერ მძლოს გადახედა, მერე ბილეთების გამყიდველს, ვაითუ ესენი გაგვინაწყენდნენო.

— ნუ გეშინიათ, შინაურები არიან, ხმას არ ამოიღებენ! ინსპექტორებმა კი რა იციან, ვითომ ქორწილია! — მიუგო თმახუტუტა ჭაბუკმა.

— იცით, ბიჭებო, — წამოხტა შოთა. — თქვენ ხუმრობთ, მაგრამ მართლა ქორწილია! აბა მაშ რა დაერქმის! აი ესენი. — ელიზბარი და ირმა უჩვენა — ხელისმოსაწერად მიდიან! მე და ეს კი — და ქალიშვილს მხარზე ხელი მოხვია, — მოწმეები ვართ, ესე იგი — ხელისმოამკიდებო!

— გამოდის, რომ ჩვენ მაყრები ვყოფილვართ, მაშ მოულოცეთ, მოულოცეთ! — შესძახა თმახუტუტა ბიჭმა.

— მოულოცეთ, მოულოცეთ! — ყვირდნენ გოგო-ბიჭები, ამასობაში ავტობუსი სკოლის წინ, სოიუზმეჩატის ჯიხურთან შეჩერდა.

ორი მგზავრი ჩავიდა, ამოსვლით კი არავეინ ამოსულა.

როგორც იქნა, გოგო-ბიჭებმა დამკვრელები დაიყოლიეს. მედოლემ დიდი მოიმაჩვენა, მეზურნეებმა ზურნები მომართეს.

მანქანა რომ დაიძრა, მედოლემ დიდი ხელი შემოსცხო, მეზურნეებმა ზურნებს ჩაბერეს.

— ვა, ეს რა ამბავია? — გოცებით იკითხა მძლოლმა.

— ქორწილია, ქორწილი! — შესძახეს ქალ-ვაჟებმა.

— ვა, შარში გინდათ გამხვიოთ!

— ნუ გეშინია, არაფერიც არ იქნება! — ხელი ჩაიქნია თმახუტუტა ბიჭმა.

— ვა, მაშ ნომერს მაინც ჩამოვხსნი... ჩემს მტერს... თუ ინსპექტორების ხელში ჩავეარდი, შამაიასავით გამფცქვნიან. — და მძლოლმა პატარა აბრა, რომელზეც № 42 იყო აღნიშნული გადააბრუნა. მეორე გვერდზე რუსულ-ქართულად ეწერა: შეკვეთით.

მედოლემ უბიდან ჯოხები ამოიღო, როდილა ხუმრობდა, როგორც ნამდვილ

ქორწილში დაჰკრა და დაჰკრა... მეზურნეებმაც უფრო მაგრადა დაბერეს ყბები...

რუსთაველის მოედანზე ოთხმხრივ მანქანების ნაკადი მოედინებოდა, შოფერმა სიჩქარეს მოუკლო.

ფილაქნებზე მიმავალი ხალხი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ავტობუსს და ღიმილით ერთმანეთს ეუბნებოდნენ, აი ქორწილი ამას ჰქვიაო.

— ქორწილია, ქორწილია! — ყვიროდა ღია ფანჯარაში თმახუტუტა ყმაწვილი.

წინა ფანჯრიდან კი მეორე ბიჭი მოედნის შუაგულში მდგარ მილიციელს სთხოვდა:

— შეგობარო, რა იქნება, ჯერ ჩვენ გაგვატარე! ვერ ხედავ, ქორწილია, ქორწილი!

პირქუშად მდგარმა მილიციელმა ხელით ანიშნა, ცოტა დამაცაო, ელბაქიდის აღმართზე ამომავალი მანქანები შეაჩერა და ავტობუსს რუსთაველის პროსპექტის მიმართულეობით მისცა გზა.

მძლოლი ყვიროდა, მანდეთ რა ჯანდაბა გვინდა, ელბაქიდის დაღმართზე გავეიშვიო, მაგრამ ზურგშექცეულ მილიციელს ეს არ ესმოდა.

— რადგან ამდენი ვაჟაცობა გასწიე, ბარემ რუსთაველზეც ჩაგვატარე! — მიმართა მძლოლს შოთამ.

— რახან ხარჯია, ხარჯი იყოს! ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ, ძმებო, მეც თბილისელი ბიჭი ვარ, სხვა კი არ გვეგონოთ! — მიუგო მძლოლმა და ავტობუსი რუსთაველზე გააქანა.

მეზურნეები დილის სარის დაკვრას მორჩნენ.

— ძია კაცებო, რუსთაველზე მივიღივართ, ზღვა ხალხი გვიცქერის, რალას ელოდებით, დაჰკაროთ! — ყვიროდნენ მაყრები.

— გვითხარით, რა გესიამოვნებათ, შვილებო, ჩვენი თავი თქვენ გენაცვალოთ! — ამბობდა მედოლე.

— „სიმღერა თბილისზე“ შეგიძლიათ?

— თუ გინდა „კარმენს“ დაგუქრავთ, რაც გინდათ ის შეგვიკვეთეთ. — და ღო-

ლი ჰაერში შეათამაშა. მისმა მეგობრებმა უმალ ყბები დაბერეს...

ზურნა-დოლის ხმას მამინვე აჰყვა მაყრიონი. მღეროდა ნეფე-დედოფალიც, ხელის მომკიდენიც, მძლოლიც ბანს აძლევდა და, ასე გასინჯვით, ბილეთების გამყიდველი მოხუცი ქალიც აღიღინდა.

ქუჩის ორივე მხარეს მიმავალი მგზავრები ალტაცებული შეძახილებით ეგებებოდნენ მეჭორწილეებს, ხელებს უქნევდნენ, ტაშს უკრავდნენ.

უკან მიმავალი მსუბუქი მანქანები ავტობუსს წინ არ უსწრებდნენ. ეტყობა ამით ნეფე-დედოფალს პატივს სცემდნენ... შორიდან ისე ჩანდა, ვითომ ამ მანქანებში მსხდომნი ნეფე-დედოფალს მიაცილებდნენ...

მოძრაობის მარეგულირებელი მილიციელები ერთი წამითაც არ აბრკოლებდნენ საქორწინო კორტეჟის სვლას, წინ შემხველური მანქანების მძლოლები თავაზიანად გზას უთმობდნენ. ამდერებულმა ავტობუსმა ლენინის მოედანს შემოუარა, პუშკინის ქუჩას ჩაჰყვა, მარცხენა სანაპიროზე გავიდა და ქორწინების სახლის წინ ვერხვების ქვეშ შეჩერდა.

გადმოვიდნენ ნეფე-დედოფალი, ხელისმომკიდებები, მაყრიონი და დამკვირელები.

მძლოლიც ძირს ჩამოხტა.

— თქვენი ჭირიმეთ, ბერიკაცებო! — მიმართა მან მეზურნეებს. — „დაისში“ რომ ქართულს ცეკვავენ, აი ის დაუკათ!

აჰყვიტინდა ზურნა, ახმიანდა დოლი... დაჰკრეს და დაჰკრეს ტაში...

უმალ წრე შეიკრა. მძლოლმა მხრების მოხდენილი თამაშით წრეს შემოუარა. მერე წერწეტა ვოგოს წინ შეჩერდა, ფეხი სწრაფად გაუსვა და თავისდაკვრით ჩაითამაშა. ქალიშვილი რომ აცეკვა, მერე პატარძალი გამოიწვია.

ირმა უარობდა, ცეკვა არ ვიცო, მაგრამ მაყრები არ ეშვებოდნენ, პატარძალმა რომ წრეში ერთი მინც არ გა-

იარ-გამოიაროს, შეგვირცხვინო ასეთი ქორწილიო.

ირმამ ხელები ვაშალმა და გავისწინ გაიჭრა.

აი ახლა უნდა გენახათ ტაში!

მძლოლს შოთა ჩეთამაშა, იმას კი თმახუჭუჭა მაყარი შეეცილა...

ცეკვით რომ გული იჯერეს, მძლოლმა ჯიბიდან ხუთმანეთიანი იძრო, მძლოლეს შუბლზე გააკრა და შესძახა:

— თქვენც გაიხარეთ, ბერიკაცებო, ვითომ ჯარიმა გადამიხდია! — მერე ნეფე-დედოფალს მიუბრუნდა. — დამილოცინხართ, მეგობრებო, გეცოცხლოთ, გებედნიერთ, ახალი ბინა მიგელოთ, წლისთავზე ქოჩორა ბიჭი შეგძენოდეთ! ვწუხვარ, რომ დროის უქონლობის გამო, თქვენ ქორწილში ვერ ვიცეკვებ და ვერ ვიმღერებ! მშვიდობით!

დამკვირელები ავტობუსს გაჰყვნენ, მაყრიონიც მიმოიფანტა...

მერე კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ხდება ხოლმე.

ირმამ და ელიზბარმა ხელი მოაწერეს, ხელისმომკიდებმა დაუმოწმეს.

ქორწინების სახლიდან რომ გამოვიდნენ, ტაქსით სტუდენტთა ქალაქში გაეშურნენ. გზად მიმავალნი გმირთა მოედანზე სასურსათო მაღაზიასთან შეჩერდნენ. ელიზბარმა ყველი, ძეხვი, პური და ორი ბოთლი ხუთი ნომერი ღვინო იყიდა.

შოთამ ღვინო იცოტავა და თავისი ფულით ოთხი ბოთლი შამპანური დაუმატა, ერთმანეთში არეულ ხუთ ნომერს და შამპანურს ხვანჭკარაც ვერ შეედრებო. საცხოვრებელ ოთახში, საწოლები აიღეს, მეზობლებისგან მაგიდა და სკამები ითხოვეს და სუფრა გააწყვეს. ერთი ჩიტის რძე გვაკლია, თორემ სხვა ყველაფერი გვაქვს მაგიდაზეო, იცინოდა ელიზბარი.

ის იყო სუფრას უნდა მისხდომოდნენ, რომ მეზობლად მცხოვრებმა სტუდენტებმა სამი ბოთლი კონიაკი და ერთი კილო შოკოლადი შემოუღზავნეს.

ელიზბარმა კეთილი მეზობლები შემოიპატიოა.

— მხოლოდ თქვენი სკამებით მობრძანდით! — გასცხა მათ შოთამ.

მეზობლები თავიანთ სკამებით შემოვიდნენ.

ნეფე-დედოფალს გაბედნიერება უსურვეს და მაგიდის ბოლოში დასხდნენ ერთმანეთის გვერდით.

თამადად შოთა აირჩიეს.

პირველი ჭიქით ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო შეისვა, მერე მშობლები და ახლობლები უდღეგრძელეს, არც ხელისმომკიდებები და სტუმრები დაიკიწყეს.

ღვინომ ხალისი და სიმხნევე შემატათ ახალგაზრდებს. ბიჭებმა სიმღერა წამოიწყეს, ქალიშვილებიც უმალ აპყვნენ.

მეზობელმა სტუდენტმა თავისი ოთახიდან გიტარა გამოარბენინა.

გიტარამ კიდევ უფრო წაახალისა მექორწინენი.

კიდევ კარგი, შაბათი იყო სტუდენტები წასულ-წამოსულნი იყვნენ, თორემ ნამდვილად მთელი ქალაქის მობინადრენი თავზე დაეხვეოდათ.

შექვიფიანებულმა მექორწინებებმა თანდათან ისე აუწიეს ხმას, რომ კარისკაცის ყურამდე მიადრია მათმა სიმღერამ.

— რა ამბავია, თავი ტყეში ხომ არ გგონიათ! — ოთახში შესვლისთანავე დასჭყვივლა მან მოქვიფებებს.

— ჯერ ერთი ჭიქა დაგვილიე! — უთხრა შოთამ კარისკაცს.

— გამაგებინეთ, რა ამბავია?!

— ქორწილია, ძია იაგორ, ქორწილი!

— ვაჰ, ვაჰ, ამხნის კაცს ნამდვილად გამაგებებთ! ერთი ჭიქილების ვადაზდალა გაკლდათ და ეტყობა ესეც შემოიღეთ!

— დღეს შაბათი დღეა, კორპუსები ცარიელია... ვის რას ვუშავებთ? — მიმართა შემოსწრებულმა სტუდენტმა.

— ძია იაგორ, შენი დალოცვა ერთრამედა ღირს, რა იქნება ნეფე-დედოფალი გვიდღეგრძელო! — არ ეშვებოდა

შოთა და კონიაკით საესე ჩაის ჭიქას აწვდიდა.

იაგორმა ჭიქას გაუმტერა: — თვალსაქვედა ტუჩი ოდნავ მოიკენიტა, თითქოს ვერ ვადაეწვიტა, ჩამოერთმია ჭიქა თუ არა, ბოლოს დაღევის სურვილმა სძლია და ჭიქას აკანკალებული ხელი წაატანა.

— იცოცხლეთ, შვილებო, იდღეგრძელეთ, ერთმანეთს შეაბერდით! — თქვა იაგორმა და ჭიქა მოიყუდა. ნელ-ნელა სვამდა, თითქოს რაღაც ტკბილი სასმელია და უნდა გაიხანგრძლივოს მისგან მიღებული სიამოვნებაო.

ჭიქას რომ ძირი გამოუჩინა, ძეხვსა და პურს წაატანა ხელი, თან იკითხა:

— ბიჭებო, კონიაკი, ალბათ სამვარსკვლავიანია, არა?

— სამვარსკვლავიანს როგორ გაკადრებთ, ძია იაგორ, ხუთიანია, ხუთიანი, — მიუგო შოთამ.

— ჰმ, მეც არა ვთქვი, რატომ არის ასეთი გემრიელი-მეთქი.

შოთამ ჭიქა შეავსო კონიაკით და ძია იაგორს გაუწოდა:

— რაც იქნება იქნება, ერთი ჭიქაც დაგვილიე!

— დააცა ბიჭო, ჯერ ლუკმა შექმოს! — თქვა ერთმა სტუმარმა და იაგორას სკამი დაუთმო, დაბრძანდით, თვითონ კი ამხანაგს მიუჯდა გვერდით.

— ერიპა, ჩემო მეგობრებო, დასაჯდომად სად მცალიან! ყელამდე საქმეში ვარ ჩაფლული- იცით რას გეტყვით!... — შეჩერდა, სიტყვას დაუწყო ძეხვა. — თქვენი გამარჯვებისა იყოს! — მიმართა ყველას, კონიაკს დასუნა და ამჯერად ერთი ვადაკვრით გამოცალა ჭიქა. — ჰმ, ბი კონიაკი ამას ჰქვია! — თავისთვის ჩაილაპარაკა. ძეხვი და პურის ნაჭერი აიღო და ჭამით კარისაკენ გაემართა. ზღურბლზე შეჩერდა, ერთხელ კიდევ გადახედა მაგიდას და თქვა:

— ბიჭებო, ცხოვრებაში არც ისე ბევრია ბედნიერი დღეები! ასეთი დღე კი ადამიანს ერთხელ აქვს! ჰოდა, ხასიათს არ წაგიხდნენ! იქეიფეთ, იცეკვეთ, იმღერეთ კიდევ! — და ძია იაგორი ბოროტკით გავიდა ოთახიდან.

მეჭორწინებმა უფრო თავისუფლად იგრძნეს თავი. ღვინო რომ მოათავეს, კონიაკზე გადავიდნენ. ილაღეს, იმხიარულეს, იმღერეს, ბევრი იოხუნჯეს, ხელები გამალ-გამოშალეს, ვითომ იცეკვეს კიდევ, და თურთმეტ საათზე სუფრიდან აიშალნენ.

სტუდენტები ჯერ ელიზბარს გადაეხვივნენ, ბევრი ჰკოცნეს, ძმობა შეჰფიცეს. მერმე ირმას დაუწყეს ხელზე კოცნა. ვინ იცის, რამდენჯერ უსურვეს ძილი ნებისა და ბედნიერად ყოფნა, მაგრამ მაინც არ მიდიოდნენ. ხან მთას ედებოდნენ, ხან ბარს და სალაპარაკო არ ელეოდათ.

ბოლოს ნეფე-დედოფალმა რის ვაივაგლახით გაისტუმრა მეზობლები და თავიანთი სკამები გაატანა. ერთს სკამში როდი მიჰქონდა, დარჩეს, იქნებ ხვალ კიდევ დაგვირდეთო. ეტყობა, კიდევ ჰქონდა ქეიფის იმედი!

მათ წასვლისთანავე შოთამ ირმას ხელისმომკიდეს უთხრა:

— მგონი, ჩვენი წასვლის დროც არის!

ელიზბარი ხელისმომკიდებებს გარეთ ვაჰყვა. შოთამ მას წასჩურჩულა:

— ნუ დამელოდები! მე ამაღამ ბიძაჩემთან დავიძინებ!

ოთახში შემობრუნებისთანავე ელიზბარმა კარი ჩაქეტა. ისინი გამტერებულ-ღვივით უმზერდნენ ერთმანეთს.

ვაჟის ჩაწითლებულ თვალებში ეინი, ბობოქრობდა, დაუოკებელი ეინი, რაც ასე აშკარად შეემჩნევა ხოლმე ქალთან დარჩენილ ყმაწვილკაცს, მერე ისიც შექეიფიანებულს.

ქალის მიზნედილი თვალებიდან კი ქალწულებრივ მოკრძალებასთან ერთად ძალუმად მოწოლილი ვნება გამოსჰქვიოდა.

ძლიერმა ძალამ ისინი ერთმანეთისკენ ვაჰქანა...

ვაჟმა შუქი ისე ჩააქრო, ქალი მეკრდიდან არ მოუცილებია. *ერტყუნეს* ქალმა ათრთოლებული ტუჩებზე: ვაჟს წასჩურჩულა:

— შოთა რომ მოვიდეს?

— ნუ გეშინია, ის ბიძასთან წავიდა-ღამის გასათევად. — სიბნელეში მათმა ტუჩებმა იოლად მოძებნეს ერთმანეთი, შეეწებნენ... და აღვზნებული ქალ-ვაჟი ფრთხილად დაეშვა საწოლზე.

ერთმანეთის გვერდით იწვნენ. ირმამ მშვენიერად იცოდა ფასი თავისი მოხდენილი ტანისა და, როგორც ყველა ქალს, მასაც სიამოვნებას ანიჭებდა ლამაზი სხეულის გამოჩენა, ბნელოთახს ფოსფორივით შუქს რომ ჰფენდა, ანათებდა.

ელიზბარს არც კი სჯეროდა, რომ მკლავზე ირმა უწვა. ის ხომ ტანსაცმელში გამხდარი, კაფანდარა ვოგო ჩანდა. გახდილი კი სრული იყო, თან ნაზი და ჰაეროვანი.

ვაჟი მრავალ კოცნას აყრიდა ქალს მხურვალე ტუჩებზე, უხვ უბზეუ, ყელზე.

არც ქალი რჩებოდა ვალში. ვაჟის ყოველ კოცნას კოცნითვე პასუხობდა, მართალია უფრო მორიდებით, თავდაქერილად, მაგრამ არანააკლებ მხურვალედ და გატაცებით.

„ეს რა დიდი სიამის მომგვრელი, რა უჩვეულო, რა სანეტარო ყოფილა ქორწინების პირველი ღამე!“ — ფიქრობდა ქალი და სულ უფრო მაგრად ეკვროდა ვაჟს.

როცა ფანჯარაში დილის შუქმა შემოიხედა, ირმამ ქმარს წასჩურჩულა ფანჯარას გაზეთი ჩამოაფარეო, ვინმემ არ შემოიხედოსო, მაგრამ ელიზბარმა არაფერი უბასუხა.

რაკილა ვაჟი არ აპირებდა ფანჯარაზე გაზეთის ჩამოფარებას, თვითონ წამოდგა, მხრების თამაშითა და თემოე-

ბის მოხდენილი რხევით ფანჯარასთან მივიდა, გახეთი ჩამოაფარა და ისევ დაწვა.

ელზბარი ცოლს ტუჩებში დაეწაფა, უფრო ვნებიანად, ხარბად დაუკოცნა ალაკრული ლოყები, მოელვარე თვალები, ყელი, მხრები და დანანებით თქვა:

— ეჰ, რა მოკლე იყო წუხანდელი ღამე!

„სულ ჩემს დასა ჰვავს, იმის თვალწარბი და იერი აქვს. ისიც ხომ კაფანდარა და გამხდარი გოგო იყო, მერე კი გაიფურჩქნა, დამშვენდა, ქვეყნის თვალი ვახდა“ — იტყოდა ხოლმე ირმას დეიდა და ოცნებით ელოდა იმ დღეს, როცა დისწულს მდიდარი საქმრო გამოუჩნდებოდა. აი მაშინ კი აინახლავრებდა იმ ამავს, რაც მასზე ჰქონდა გაწეული!

როცა ირმამ თავის საქმროს ვინაობა გაუმხილა, დეიდა ვერ საწოლზე გადავარდა, ვითომ გული შეუღონდა. წყალი რომ აპყურეს, წამოხტა და დისწულს ერთი ამბავი დააწია, გოგო, ჰკუაზე ხომ არ შეიშალე, ჯიბეგამოფხეკილ სტუდენტს ცოლად როგორ მისდევო.

— რა გქნა, მიყვარს! — მიუგო ირმამ.

— ვაი, ვაი! — კალთებზე ხელს ირტყამდა დეიდა. — შე შეჩვენებულო, ვილას არ მოსწონხარ, ვილას არ ენატრება შენი რძლობა! ოღონდ დამიჯერე, ჩემს ჰკუაზე გაიარე და ისეთ კაცზე გაგათხოვებ, მთელი ქვეყანა შენ დაგნატროდეს!

დეიდამ საქმროც აღმოუჩინა, სასურსათო მალაზიის გამგე, ორმოც წელს მიღწეული კაცი, რომელსაც ერთი პირი ცოლშვილისათვის თავი მიენებებია და თავს საქორწინოდ ასაღებდა. კარგად იცვამდა, იხურავდა, საკუთარი „ვოლგით“ დასეირნობდა, ვედისში მშვენიერი კოტეჯი ჰქონდა, აუხითა და ფანჩატურით.

დეიდამ მდიდარი სასიძო სახლშიც მიიწვია, ირმა გააცნო და, როგორც იტყვიან, საქმის გაჩარხვას შეუღდა.

სასურსათო მალაზიის გამგე ძვირფას საჩუქრებს ჰპირდებოდა დეიდას, ოღონდ ირმას თავი მალირსე და, მერე მე ვიცი, როგორ გადავიხდი პატივისცემასო.

დეიდაც მეცადინეობას არ აკლებდა, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ დისწული დაეყოლიებია, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდა, ირმას არჩევანს ვერ აცვლავინებდა. დეიდა იმედს მაინც არ კარგავდა. ირმას უარს ქალურ მორცხვობით ხსნიდა. თან ისიც აიშენებდა, რომ ჩაცმა-დახურვას მონატრებული ქალიშვილი საქმროს შეძლებას დახარბდებოდა.

ეს ფიქრები ასულდგმულებდა დეიდას, რომ მეზობელმა ქალებმა ამბავი მოუტანეს, დღეს ირმა დაფითა და ნაღარით მიჰყავდათ ქორწინების სახლში. მაყრიონით სავსე ავტობუსმა რუსთაველზე ჩაიარა. ტროტუარებზე მოსიარულე თბილისელები ხელის ქნევითა და შეძახილებით ეგებებოდნენ მექორწინეებს. ირმა ისე იყო გამოპრანჭული ძლივს ვიცანით. მშვენიერი საქმრო უშოვია, წარმოსადეგი, საამო შესახედი, ბედნიერი ცხოვრების ოქროსფერი სხივები ლივლივებდა მის სახეზეო.

— აი, შე შეჩვენებულო, ასე მიხდია ამავს — ამ სიტყვებით შეეგება ირმას გაცეცხლებული დეიდა.

— რა იყო, დეიდა, რაზე ხარ გულმოსული? — კითხვითვე მიუგო ირმამ.

— ერთი დამიხედე ამას! — და დეიდამ ტაში შემოჰკრა. — შე კაი ქალო, ჩვენც თბილისში ვცხოვრობთ, მთვარეზე ხომ არა?! ან იქნებ ბრმებდაღვთვლი, ყრუმუნჯები გგონივართ! ნურას უკაცრავად! ვერაფერსაც ვერ გამომაპარებ. გუშინ რუსთაველზე საზანდარით რომ ჩაიარეთ, თუგინდ იცოდე, მე მაშინ ოპერის წინ ვიდექი ქორწინების სახლთანაც ცეკვა-თამაში გავიმართავთ. ვანა ეს მეკადრება! ჯერ იყო

და ჩემი სიტყვა ყურთან არ გაიკარე. ესეც არ იკმარე და შენი საქციელით მიწასთან გამასწორე, ნუთუ იმის ღირსი მაინც არ ვიყავი, ან მე, ან ჩემი შვილები, რომ ქორწილში მაინც დაგებატიყეთ?!

— არა, დეიდაჩემო, ეს ასე არ იყო, ყველაფერი შემთხვევით მოხდა.

— დახე, ამას, რომ არ ტყდება! — და დეიდამ ხელი კალთაზე შემოიკრა — ნეტავ ჩვენთან რაღა პირით მოდიხარ?! რახან შენ არ გინდევართ, არც ჩვენ გვინდობარ! მომწყდი თავიდან, შენი ფეხი არ იყოს ჩვენს ოჯახში!

დეიდამ ზურგი შეაქცია და ცხვირწინ კარი მოუბრახუნა.

ირმა უძრავად იდგა. აცრემლებული თვალებით მისჩერებოდა კარებს, უნდოდა ორივე ხელით დაებრახუნებინა, კარის გაღებისთანავე დეიდას ფეხებში ჩავარდნოდა, ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა- მერე ამით რას მიაღწევს? ერთი ურწმუნო და თავისნათქვამაა დეიდამისი. რამდენიც არ უნდა ელაპარაკოს, ვინც არ უნდა დაიმოწმოს, მაინც არ დაუჭერებს! ჭერჭერობით სკობია დეიდას თავი გაარიდოს. იმას ხომ ასეთი ჩვევა აქვს: უცებ აეშლება ნერვები, მაგრამ გულის მობრუნება უცებვე იცის.

ირმამ კიბეზე ჩასვლა რომ დააპირა, კარი გაიღო და დეიდამ ჩემოდანი და ბოხჩაში შეხვეული ლოგინი ფეხებში მიაყარა:

— ამ ხარახურის დანახვაზე გული მერევა, მომაცილე! — და კარი შეიჯახუნა.

ირმამ ჩემოდანი და ბოხჩა აიღო.

„მორჩა, დეიდაჩემს კიდევ რომ მოუბრუნდეს ჩემზე გული, მის ოჯახში ფეხს აღარ დავადგამ!“ — გუნებაში წაილაპარაკა და იქაურობას გასცილდა.

ახლად შეუღლებულეებმა თბილისის გარეუბნები შემოიარეს, გასაქირავებელ ბინას დაემებდნენ. სახლის მებატრონეებს ის აფიქრებდათ, სტუდენტები არიან და, ვაითუ, ქირის გადახდა გაუძ-

ნელდეთ, თანაც ბავშვი შეეძინებათ, და მერე, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ... ბინიდან ველარ გავიყვანოთ... ეს იყო მიზეზი, რომ უარით ისტუმრებდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, ავკალის გზატკეცილზე დაიქირავეს ექვსმეტრიანი ბნელი, უმზეო ოთახი. ცემენტით შელესილი კედლები კირწყლით შეეღებათ. ქერზე ფანერი აეკრათ. იატაკზე აგური ეგო. რვა საფეხურიანი კიბე ჰქონდა დაბლა ჩასასვლელი და სარდაფს უფრო განეკუთვნებოდა, ვიდრე საცხოვრებელ ბინას.

ირმას მზითევს ერთი ხელი ლოგინი, წიგნები და მოდების ქურნალი შეადგენდა. ელიზბარს ორი თეფშის, კოვზის, დასაკეცი დანისა და პატარა ჩემოდნის მეტი არაფერი გააჩნდა.

სახლის პატრონმა ბადე-ჩაგლეჩილი რკინის საწოლი, პატარა მაგიდა და ორი სკამი დაუდგა.

სახლის დალაგებას რომ მორჩნენ, ირმამ თქვა:

— რას იტყვი, კარგად მოვეწყეთ, არა?

— ნუღარ იტყვი! ის კი არა და, ასე მგონია, ჩვენნიირი მყუდრო ბინა ქვეყანაზე სხვას არავის აქვს.

— სიმყუდროვით მართლა გამოორჩევა. ახლა ავექს არ იკითხავ! საზღვარგარეთულია, მოსკოვიდან ჩამოტანილი.

— შენ ხუმრობ და მე მართლა ასე მგონია. ეს პატარა ოთახი სასახლეებს მირჩევნია. იცი რატომ?

— არ ვიცი!

— იმიტომ, რომ აქ ჩვენ ვართ ჩვენი თავის უფროსები, თანაც აქაურობას შენი სიკეკლუცე, შენი სილამაზე გამოეწეებს.

ვაეის სიტყვებით კმაყოფილ ქალს სახეზე ღიმილი გადაეფინა, ქმარს შესცინა:

— რა უჭირს, ჭერჭერობით შეიძლება აქ ცხოვრება. მაგრამ მერე...

— რა მერე? — ჩაეკითხა ვაეი.

— უკეთესი ბინა უნდა ვიშოვოთ, უკეთ უნდა მოვეწყეთ!

ვაცს გულში ერთი ფიქრი უტრიალებდა: სხვა არაფერი მინდა, იმას ველიროსო, რომ ორ ოთახიანი ბინა მქონდეს, ავეჯს ბევრს არ ვინატრებ: მაგიდა, ორი-ორედ სკამი და კარადა მედგას. მე და ირმა ადამიანურ საწოლებზე ვიწვეთ. პირველი შვილი ბიჭი შეგვეძინოს, მეორე თუგინდ გოგო იყოს. დედაჩემი აკვანს უჯდეს და პატარა შვილიშვილებით ხარობდესო...

ქალი კი ფიქრობდა, ნეტავ თუ ოდესმე მეც ვიცხოვრებ ფუფუნებით, სხვა ქალებივით შემეძლება ძვირფასად ჩავიცვა და დავიხუროო!

— ის კი არა, მოდი დღეს ჩემს ნაცნობ ექიმთან წავიდეთ! სამსახურში თუ არ მომაწყობს, სიტყვით მაინც მიჩვენებს, სად წავიდე, ვის მივაკითხო! — მიმართა ქმარს ირმამ.

— წავიდეთ, ცდა ბედის მონახევრეა! საავადმყოფოს მოხუცმა კარისკაცმა ვანუცხადა, ექიმს სანებლიძემ, რომელსაც თქვენ კითხულობთ, ეს-ეს არის გვერდით ჩამიარა, მაგრამ ის კი აღარ მახსოვს, გავიდა თუ შემოვიდაო. და მოხუცი თავის გულმედიწყობაზე გულუბრყვილოდ ახიბობდა.

— იქნებ აქ არის, ძია კაცო, გაგვატარე რა? — სთხოვა ირმამ.

— კი, გენაცვალეთ, შვილებო! მეხუთე კაბინეტი იკითხეთ, თუ ექიმი არ დაგხვდება, შედგას შეხვამურეთ, იმას ეკონინება იმის ადგილსამყოფელი.

დურფიანი ავადმყოფებით იყო სავსე. მეხუთე კაბინეტთანაც ორი მოხუცი ქალი იჯდა. ირმა ერთ მათგანს შეეკითხა:

— ექიმი კაბინეტშია?

— არა, წავიდა, ჩვენც იმას ველოდებოდით!

— ნეტავ თუ მალე მოვა?

— რას ვაიგებ, მედღა გვეუბნება, შეიძლება მოვიდეს, შეიძლება არაო. შენ ვახარებას, შვილო, შეეკითხე, იქნებ შენ მაინც ვაგცეს სწორი პასუხი.

ელიზბარმა კარებზე მიაკაკუნა.

— მიღება დამთავრდა, ნუ გვაწუ-

ხებთ! — გაისმა ოთახიდან ქალის მოწყვიტინე ხმა.

ელიზბარმა კარი შეაღო.

თეთრხალათიანი ქალიშვილი ტუჩებს იღებავდა. ოთახში შესულებს სარკეში შეასწრო თვალი და განაცხადა:

— მიღება დამთავრდა. კარი კარგად გაიხურეთ!

— თუ შეიძლება მოგვისმინეთ, ჩვენ გასასინჯად არ მოვსულვართ! — მიუგო ირმამ.

— მაშ, რა გინდათ?

— ექიმს სანებლიძის ნახვა.

— ექიმი დღეს არ იქნება! კარი კარგად გაიხურეთ!

— ბინის მისამართს ხომ არ გვეტყვი? — და ირმამ ელიზბარს გადაულაპარაკა. — რა უჭირს, სახლში მივიდეთ!

— ტყუილად გაირჩებით, მიღება საღამოს საათებში აქვს!

— ჩვენ ავადმყოფები არა ვართ-მეთქი, ხომ ვითხარით!

ელიზბარმა ცოლს სიტყვა მიაშველა: — სანებლიძის ნათესავეები ვართ, გვითხარით მისი ბინის მისამართი.

— არ შემძლია, ექიმს გაფრთხილებული ვყავარ, ჩემი ბინის მისამართს ნურავის მისცემო.

— მაშ იქნებ ბინის ტელეფონის ნომერი მაინც ვითხარათ? — თქვა ირმამ.

— არ ვიცი...

— აი, აი... — თავი ჩაიჭინა ელიზბარმა — რა იყო, შე კაი ადამიანო, ჩვენც ხალხი ვართ, რა იქნება, სწორი პასუხი გავგვეცი!

— ზომ ვითხარით, არ ვიცი-მეთქი.

ცოლ-ქმარმა დამკინავეი ღიმილით გადახედეს ქალიშვილს და კაბინეტიდან გავიდნენ.

ელიზბარმა განგებ ღია დატოვა კარი და ჩაახველა.

— ხრჩობა! — გასძახა მედღამ. — აი თქვე უზრდელებო, გაუთლგლო ტეტებიო! — და კარები ღონივრად მიუჯახუნა.

კარისკაცისაგან შეიტყვეს ექიმს სანებლიძის მისამართი. ბინის ტელეფონის ნომერიც იცოდა მოხუცმა.

გადაწყვიტეს ტელეფონით დაერეკათ და შეეტყუათ, შინ იყო თუ არა სანებლიძე. არც ერთს ორკაპიკიანი არ აღმოაჩნდა. ელიზბარი გასტრონომიულ მაღაზიაში შევიდა, მოლარეს შაურია-ნის დახურდავება სთხოვა.

მოლარემ სწრაფი მოძრაობით შაურიანი უჭრაში ისროლა, ორი ორკაპიკიანი დაუწყო წინ, ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს და თქვა:

— შემდეგი!

ტელეფონის ჩიხურში ორივე შევიდა. ირმამ ორკაპიკიანი ჩააგდო, ყურშილი აიღო და ნომრები აკრიფა. ტელეფონი დაკავებული იყო. მილი დაჰკიდა, ფულის ჩამოსაგდებ ნიშს თითი წაატანა, მაგრამ ცივად გამოიღო უკან, ტელეფონმა ორკაპიკიანი გადაყლაპა. ცოტახნის შერე კიდევ დარეკეს. ამჯერად ყურმილში ქალის ბოხი ხმა გაისმა:

— გისმენთ, გისმენთ!

— ექიმ სანებლიძის ბინაა? — შეეკითხა ირმა.

— გახლავს!

— ექიმი შინ ბრძანდება?

— ჯერ მიღება არ არის! შეიდიდან ათამდე შეგიძლიათ მოხვიდეთ. — მიუგო ქალმა სხაპასუბით, თან ისე ხმა-მალა და მკაფიოდ, რომ ელიზბარმაც გაიგონა მისი ნათქვამი.

— ახლა მინდოდა ექიმის ნახვა.

— შენ რა წითელი კოჭი ხარ? კეთილი ინებე და რიგში წინასწარ ჩაეწერე!

— ქალბატონო, მე მხოლოდ ექიმის ნახვა მინდა.

— ხომ გითხარი, ურიგოდ არავის ლებულობს, უმჯობესია მოხვიდე და ჩაეწერო!

ირმა იმის თქმას აპირებდა, ავადმყოფი არ ვარო, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე შერჩა, რადგან ქალმა უცებ მილი დაკიდა.

ჯერ ექვსი საათი იყო და დრო რომ მოეკლათ. ცოლ-ქმარმა ფეხით ამჯობინეს წასვლა. ყველა მაღაზიასთან ჩერდებოდნენ და ვიტრინებში გამოფენილ საქონელს ათვალეობდნენ. მარჯანიშვილის მოედანს გარს შემოუარეს და მა-

რჯანიშვილის ქუჩას გაჰყენენ. ფეხსაცმელების მაღაზიასთან ელიზბარმა ტიპი შემოჰკრა.

— ბიჭოს, ეს რა კარგი ფეხსაცმელები მოუტანიათ, სწორედ საშენოა!

ირმა გაფაციცებით ათვალეობდა ვიტრინაში გამოფენილ ფეხსაცმელებს და გოცბული მხრებს იჩენდა, ვერაფერი გამიგია, ნეტავი რომელი ფეხსაცმელია აქ საჩემო.

— ვერ ხედავ? — შეეკითხა ელიზბარი.

— ვერა, რომელზე ამბობ?

— რა დაგემართა, აბა კარგად დააკერდი!

— რა გქნა, ვერ ვხედავ. მითხარი რა, რომელზე ამბობ?

— აი ამაზე! — და ელიზბარმა კაცის ფეხსაცმლის უზარმაზარი მოდელი აჩვენა.

ირმა სიცილს ძლივს იკავებდა, თან ეუბნებოდა, ფეხსაცმელი კაცისაა და მე თუ მკითხავ, ეგენი შენთვის უფრო ზედ გამოჰკრილიაო.

რუსთაველის შოედნამდე ფეხით იარეს, აქედან კი ავტობუსით წავიდნენ ვაკეში.

ექიმი სანებლიძე ბარნოვის ქუჩაზე ცხოვრობდა.

სრულ შვიდ საათზე წითელი ტუფით აშენებულ ორსართულიან სახლის წინ იდგნენ. კარმიდამოს ქვიტკირის კედელი ერთკუა. მაღალ, ფართო ჭიშკრისათვის, თითქოს განგებ რკინის ბადე დაეტანებიათ, რომ გამეღელ-გამომეღელს შესძლებოდა კეთილმოწყობილ ეზოში მზე-რა. რკინის მოაჯირიან აივანს მთელ გაყოლებზე სახურავამდე ასული ვახი ამშვენებდა. სახლის წინ ფერად-ფერადი ყვავილები დაერგოთ. მარჯვნივ, მოსათვალტებულ ეზოში, ქვიტკირის გარეთი იდგა.

ისინი პატარა კარით ეზოში შევიდნენ. სადარბაზოსკენ მიმავალი მარმარილოს კიბე რომ აათავეს, ახალგაზრდა ქალი გამოეგებათ:

— მობრძანდით, მობრძანდით! ეს-ეს

არის დაგირეკიათ, ექიმმა გამაფრთხილა, კარებში შეეგებეო.

— დიხ, ჩვენ დავრეკეთ! — მიუგო ელიზბარმა.

ქალმა ვაჟს თავაზიანად გაუღიმა და ცოლქმარი წინ გაიმძღვარა.

დახურული აივანი, რომლის ფანჯრები ბაღში გადიოდა, დარბაზს ჰგავდა. შუაში ჩეხური ბროლის ქალი ეკიდა. იატაკზე ვეებერთელა ხალიჩა გაფეხინათ. ორივე მხარეს სიგრძივ ჩარჩებულ რბილ სკამებზე ახამდე ავადმყოფი იჯდა. კუთხეში მიდგმულ ტელევიზორში თოჯინების თეატრიდან სპექტაკლს უჩვენებდნენ. ავადმყოფები ეკრანს მისჩერებოდნენ და ზოგმა ვერც კი შენიშნა ახლად მისულები.

თეთრბალათიანმა ქალმა ცოლ-ქმარს სკამები შესთავაზა, დაბრძანდით, ექიმს ახლავე მოვახსენებ თქვენს მოსვლასო.

— სხვები ვგონივართ! — ქალის ოთახში შესვლისთანავე წასჩურჩულა ირმას ელიზბარმა.

— ეგრე გამოდის! — მიუგო სიცილით ირმამ.

ოთახიდან წელში მოხრილი ტანმაღალი ქალი გამოვიდა, წელზე შემოხვეული შალი გაისწორა, საკიდარიდან ჩანთა ჩამოიღო და კოჭლობით გარეთ გავიდა.

განაპირა სკამზე მჯდომი ავადმყოფი წამოდგა და კართან მივიდა, ეტყობა ექიმის გამოძახებას ელოდა. მის სკამზე მუზობელი გადაჯდა. ამ უკანასკნელს აღგილი კი მომდევნო. სკამზე მჯდომმა დაიკავა. ზოლო მის სკამზე მესამე გადაჯდა. და ასე ავადმყოფებმა ერთი სკამით მარჯვნივ გადაინაცვლეს.

ოთახიდან თეთრბალათიანი ქალი გამოვიდა და კარებთან დაყუდებულ ავადმყოფს მიმართა:

— ცოტახანს მოითმინეთ! ექიმმა ამ ახალგაზრდა ქალის მიღება ბრძანა! — და თითი ირმასაკენ გაიშვირა. — მობრძანდით, მობრძანდით!

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ირმამ ქმარს ხელითა ანიშნა,

არაუშავსრა, შენ აქ დამელოდეო. ოთახის კარი გაიღო და მაშინვე მოფხურა.

პირველი, რაც ირმას მოეჩვენა, მისკლისას თვალში ეცა, იყო ქერამდე აყვანილი თაროები, ორ რიგად რომ წიგნები ელაგა. ოთახის შუაში მდგარ მაგიდას თეთრბალათიანი კაცი უჯდა. მაგიდაზე წიგნები და ეურნალები იყო დახვავებული. აქვე ელაგა წნევის საზომი აპარატი და სტეტოსკოპი. კუთხეში, სკამზე დადგმულ ელექტროქურაზე სტერილიზატორში წყალი თუხთუხებდა.

ექიმი ისე იყო წერით გართული, ირმას შესვლა ვერ გაიგო.

ირმა გაშტერებული უცქეროდა ექიმს.

თითქმის შვიდი წელია, ეს კაცი არ უნახავს. დროს მისთვის თავისი მსახურალი ხელი დაუმჩნევია. ყურისძირები ოდნავ დანაოქებია. თითქოს თავზე თმაც გასცვენია. ოდნავ უფრო ჩასუქებულია, სახე დამსხვილებია, მაგრამ ლოყები ისევ ისე ფუნჩულა, წითელი აქვს.

სანებლიძემ თავი კი ასწია, მაგრამ ქალს თვალი აარიდა და ისე იკითხა:

— რა გაწუხებთ, რას უჩივით?

— ბატონო, მე... — მიუგო ირმამ, მაგრამ ექიმმა სიტყვის დამთავრება არ აცალა.

— გაიხადეთ!

— მე ბატონო... — წამოიწყო ირმამ, მაგრამ ექიმმა ამჯერადაც შეაწყვეტინა სიტყვა:

— ნუ გერიდებათ, გაიხადეთ!

— არა, ექიმო, მე ავადმყოფი არა ვარ!

— როგორ, ეს-ეს არის თქვენზე მელაპარაკენ?! — სანებლიძემ შუბლი შეიკმუნა და ქალს აღმაცერად შეხედა. შეხედა და თვალი გაუნათდა. პირქუში გამომეტყველება შეეცვალა. ტუჩებმოკუმულმა გაიღიმა, ეტყობა არ უნდოდა გამოეჩინა ნიკოტინით გაშავებული, წინ წამოწეული მეჩხერი კბილები და ლურჯი ღრძილები. — ააა. გიცანი! რამხელა ვაზრდილხარ, დამშვენებულხარ, მზეთუნახავი გამხდარხარ!

ქუჩაში რომ შემხვედროდი, ალბათ ვე-
ლარც გიცნობდი! — და სანებლიძემ თა-
ვით ფეხებამდე თვალი შეავლო ყაყა-
ჩოსავით აწითლებულ ირმას, თან წა-
მოდგა და ხელი გაუწოდა. — გამარჯო-
ბა შენი!

ირმამ პატარა გოგონასავით მიიბრ-
ნა და ხელი ჩამოართვა.

სანებლიძე ქალის ბროლის თითებს
დააქტურდა და თქვა:

— რა ფაფუკი, ფუნჩულა და თბი-
ლი თითები გაქვს! — უცებ დაიხარა და
ქალს ხელზე აკოცა. — აი სიურპრ-
ზი! — და დივანი უჩვენა, დაბრძანდით.

ირმა დაჯდა თუ არა, მასპინძელმა
მის გვერდით მიაჩოჩა სკამი.

— პატივცემულო ექიმო, მე აქამდი-
საც მინდოდა თქვენთან მოსვლა, მაგრამ
ვერ მოვახერხე. ერთხელ კიდევ დიდი
მადლობელი ვარ ყველაფრისათვის! —
და ირმამ მოურიდებლად შესცინა სა-
ნებლიძეს, რომელიც ჭიქურად ჩასცქე-
როდა თვალეში.

— ახლა ეს მითხარი, ჩემი თავი რამ
გაგახსენა? — შეეკითხა მასპინძელი.

— პატივცემულო ექიმო, წელს სა-
მედიცინო სასწავლებელი დავამთავრე.
რაიონში გამანაწილეს. მე კი თბილისი-
დან წასვლა არ მინდა! იქნებ მირჩიოთ
როგორ მოვიქცე?!

— ჰმ, გასაგებია. — თავი ჩაიჭინა სა-
ნებლიძემ. — კარგად მახსოვს, რომ
შეგპირდი, თუ ოდესმე ჩემი თავი დაგ-
ჭირდეს, მოურიდებლად მომაკითხე —
მეთქი. ვნახოთ, მგონი რადაცას მოვა-
ხერხებ... მხოლოდ ეს მითხარი, სად
ხარ, ვისთან ცხოვრობ?

ირმამ მორცხვად განზე გაიხედა, პა-
სუხი შეაგვიანა.

სანებლიძემ ნიკაპზე ხელი წაავლო,
თავი მალა აუწია და თვალეში ჩააც-
ქურდა:

— შენ რა, ხომ არ გათხოვდი?

— დიახ, ვავთხოვდი.

— რას ამბობ, ძალიან აჩქარებულ-
ხარ! ახალგაზრდობა ერთხელ აქვს აღა-
მიანს ცხოვრებაში, განა არ სჯობდა
ჯერ ვესკირნა, დრო გაგეტარებინა?!

მაინც ვის გაპყევი, ვინ არის შენი ქმა-
რი?

— სტუდენტია, გაისად ამთავრებს
ინსტიტუტს!

— აი, აი... რა დაუფიქრებლად მოქ-
ცეულხარ, სტუდენტი რაც არ უნდა
იყოს, მაინც სტუდენტია! თუმცა რაღას
ვლაპარაკობ, მომხდარ საქმეს აღარა-
ფერი ეშველება. — ხელი ჩაიჭინა ექიმ-
მა და განაგრძო, — სიტყვა-სიტყვაა,
რაკილა შეგპირდი, დაგეხმარები. მხო-
ლოდ ერთი პირობით, ყველას ასე
გავაცნობ შენს თავს, ჩემი ნათესა-
ვია-მეთქი. ვინ რა იცის, ვითომ დე-
დაჩვენები დედაშვილები იყვენ. საწ-
ყალი დედაჩემი რახანია ცოცხალი
აღარ არის. ბებიაშენს კი უთხარი, ეს
იმისთვის არის საჭირო, რომ სანებლი-
ძეს ჩემი სამსახურში მოწყობა უფრო
გაუადვილდებათო.

— ბებია სოფელშია...

— მაშინ დეიდას უთხარი ასე. ჩემს
ცოლსაც ნათესავად გავაცნობ შენს
თავს. შენს ქმარსაც ეს აქედანვე შეაგო-
ნე. დე, ისიც დარწმუნებული იყოს
ამაში.

— დიახ, ბატონო, ყველას ასე ვერ-
ყვი. — და ბავშვური მიაბიტობით წაი-
ლაპარაკა. — რაღა მინდა, მართლა რომ
თქვენი ნათესავი ვიყო.

— თუ დამიჯერებ, ნათესავზე მეტი
იქნები! დაგეხმარები, ყველანაირად
ხელს შეგიწყობ. ამთავითვე გთხოვ, ნუ
დამიძახებ ბატონოს. მომმართე ისე,
როგორც ტოლმა ტოლს.

— რა ექნა, ბატონო ექიმო, ეს ჩემ-
თვის ძნელი იქნება!

— სამაგიეროდ, ამით მე დიდად პა-
სიამოვნებ. ახლა ეს მითხარი, როდის
გამაცნობ შენს ქმარს?

— ის აქ არის, ბატონო ლადი, თუ
ნებას დამრთავთ, დავეძახებ!

— მომმართე ასე, ლადითქო! აბა,
მაშ, დაუძახე შენს ქმარს, ვნახოთ, რო-
გორ წარუდგენ ჩემს თავს!

ირმა მკვირცხლად წამოხტა, კარი
გამოაღო და კუთხეში მჯდარ ელიზბარს
ხელით ანიშნა, შემოდით.

ელიზბარს უმძიმდა შესვლა, ხელის გაქნევით უარობდა, მე რაღა მინდო, მაგრამ ცოლი არ მოეშვა, შემოდი, ექიმს უნდა შენი გაცნობაო.

სანებლიძე დიდი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ელიზბარს.

— გაიცანი, ექიმი სანებლიძე, ჩვენი ნათესავი! — მიმართა ქმარს ირმამ და მასპინძელს გადახედა. ამ უკანასკნელმა კმაყოფილების ნიშნად გაუღიმა.

როცა მამაკაცებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, ელიზბარმა თვალი შეასწრო, რომ ექიმმა მის ცოლს, სკამის გამოსაწვევად რომ შებრუნდა, წელქვევით თვალი შეავლო...

არც სანებლიძეს გამოპარვია, რომ ახალგაზრდა კაცმა დაიჭირა მისი მზერა. უმაღლესი შეცდომას. საპირობო რამენაირად თავის გამართლება და ესლა თქვა:

— ვუცქერი ირმას და გოცებულ ვიქარ! ეს რამხელა ქალიშვილი გაზრდილა!

— თქვენ კი ოდნავადაც არ შეცვლილხართ — თქვა აწითლებულმა ირმამ. — ალბათ თქვენი მეუღლეს ისევ ახალგაზრდაა, მოხდენილი, წარმოსადგები?

— რა თქმა უნდა! — მიუგო იმით წახალისებულმა სანებლიძემ, რომ ირმა ასე კარგად ასრულებდა მის მიერ მიცემულ როლს. — სამწუხაროდ, დღეს აქ არ არის, წყნეთშია, კარგს იზამთ თუ გვეწვევით. თამარს ძალიან გაეხარდება თქვენი ნახვა.

— წყნეთში არცა ვყოფილვართ. ალბათ ვერც მოგაგნებთ. — თავისი და ქმრის სახელით მიუგო ირმამ.

— ჩვენი პოვნა არ ვაგვიწინდებდათ. ბავშვებაც კი იცის ჩვენი ავარაკი, რაც შეეხება შენს სამსახურში მოწყობას, ხვალ დილით საავადმყოფოში მოდი, იქნებ ჩვენთანაც გამოგინახოთ ადგილი.

ელიზბარი განზე იხედებოდა, რატომღაც სანებლიძეს თვალს არიდებდა.

სადაც სამართალია, სანებლიძესთან არაფერი აქვს დასამღურებელი ექიმმა

გულთბილად მიიღო, მოუსმინა, დასმარებასაც შეჰპირდა, მაგრამ შანც არ მოსწონს ეს კაცი, რატომღაც გული არ მისდის მასზე! არც მისი დახმარებასა სჯერა! ირმას საქციელიც ვერაფრით გაუმართლებია. ნეტავი ასე რა უხარია, სანებლიძეს ჯერ ხომ გადაწყვეტი არაფერი უთქვამს. იქნებ მისი დაპირება ცარიელი სიტყვებია. ან ეს საიდანღა მოჩამხა, ექიმი ჩემი ნათესავიაო. ნეტავი როდის აქეთ გახდნენ ნათესავები?

— მოგეწონა ექიმი? — შეეკითხა ირმა ქმარს, ქუჩაში რომ გავიდნენ.

— ისე რა! — მიუგო გულცივად ელიზბარმა.

— შენი მოსაწონი ხომ ქვეყანაზე არავინაა! მეტი რა გინდა, კარგად მიგვიღო, დაგვაფასა, სამსახურში მოწყობას შემიპირდა! თან წყნეთშიც დაგვაპატივა. რა კარგია, წყნეთში გავისიერნებთ.

„საოცარი ხასიათი აქვს: ოღონდ აქეთ-იქით ასეირნე, ქვეყანაზე სხვა არაფერი უნდა, სმა-ქამასაც კი შეეღვივა“, — გაიფიქრა ელიზბარმა და ცოლს მკვახელ მიუგო:

— წყნეთში სასეირნოდ სადა გვცალია! თან რაღაც...

— რა რაღაც? იქნებ გგონია, ცალი ყბით დაგვაპატივა?

— შეიძლება გულთაც დაგვაპატივა, მაგრამ...

— ვერაფერი გამიგია, რას აჩემე მაგრამ და მაგრამ...

— კარგი და ერთი ეს გამაგებინე, ექიმი სანებლიძე როდის აქეთ დაგინათესავდა?

— ნეტავ რა შარზე ხარ, სანებლიძე ჩვენი ახლობელი ნათესავია!

— მერე რატომ ამის შესახებ აქამდე კრინტს არ სძრავდი.

— მართალი ხარ, სულ ვაღამევიწყდა ამის თქმას ის კი არა, აღრე ჩვენც არ ვიცოდით, რომ ნათესავები ვიყავით. გინდა გიამბო, პირველად როგორ შევხვდით ერთმანეთს?

— შინ რომ მივალთ, მაშინ მიამბე.

— გაუხარელი ბავშვობა მქონდა. — შინ მისვლისთანავე დაიწყო ირმამ და მწარედ ამოიოხრა, თითქოს იმ დღეთა განსენება უმძიმსო. — მამაჩემი სოფლელი იყო. ექვსი ძმანი ყოფილან და ორ პატარა ოთახში უცხოვრიათ. უბინაობის გამო ძმები არ ცოლშვილდებოდნენ. მამაჩემი, რაკილა უფროსი შვილი იყო, პირველი გასულა ოჯახიდან და საცხოვრებლად რაიონის ცენტრში დასახლებულა. თურმე დაოჯახებას აპირებდა, რომ ომი დაიწყო. პირველივე დღეს გაუწვევიათ ჯარში და ომი ბერლინში დაუმთავრებია. შინ რომ დაბრუნებულა, უკვე ოცდათხუთმეტი წლისა ყოფილა. სანამ მიმდგარა — მომდგარა, საცოლვე ამოურჩევია, ხელეშუა კიდევ ორი წელიც გაფარენია. ისე რომ ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში დაოჯახებულა. დედაჩემიც მაშინ ოცდათხუთმეტი წლისა ყოფილა.

მამა საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა შავ მუშად. მისი ხელფასი თვიდან-თვემდე ძლივს გვეყოფნიდა საქმელ-სასმელზე.

ჩემი თანაკლასელი გოგოები კი ფუფუნებით ცხოვრობდნენ, ფერად-ფერად კაბებს და შეკვეთით შეკერილ ფესხაცმლებს იცვამდნენ, ფართო ბაფთებს იხნევდნენ, დაბადების დღეებს იხდიდნენ. მე კი ყოველივე ამას მოკლებული ვიყავი. თან გული იმაზე მიკვდებოდა, რომ სხვების მშობლები ახალგაზრდები იყვნენ, ჩემები კი მათთან შედარებით მოზუცები. რვა წლისა რომ გავხდი, მამამ კუჭის წყლულის ოპერაცია გაიკეთა და საოპერაციო მაგიდაზე დალია სული.

დაჭერივებულმა დედამ სკოლაში დაიწყო დამლაგებლად მუშაობა.

გაკვეთილების შემდეგ ყოველდღე სკოლაში ვრჩებოდი. დედას ოთახების დასუფთავებაში ვეხმარებოდი. იგი

უარობდა, წადი, შვილო, ამხანაგებში ითამაშე, შენი დახმარება არ შეიძლება, მაგრამ მე ჩემსას ვრჩებოდი, დედას გვერდიდან არ ვცილდებოდი.

მალე დედაც გარდამეცვალა და ბებიას ამარა დავრჩი. ბავშვობაში მეტისმეტად გამხდარი, კაფანდარა გოგო ვიყავი. პატარაობაშივე მუცლის არეში ყრუ ტკივილები დამჩემდა. მთელი ჩემი ბავშვობა ექიმებთან სიარულში გავატარე. ზოგი ამბობდა კოლიტი აქვსო, ზოგი — პერიტონიტიო, ზოგი კიდევ — ნალვლის ბუშტის ანთებაო.

მეზობლების რჩევით ბებიამ სამკურნალოდ თბილისში ჩამომიყვანა.

ერთ პროფესორს გავესინჯე ბინაზე. კოლიტიო, ისე დაბეჭითებით განაცხადა, ეჭვიც არ შემპარვია მისი დიაგნოზის სისწორეში. ენტეროსეპტოლი გამომიწერა. ძნელი საშოვნელია, მაგრამ უებარი წამალიაო. მე და ბებიამ მთელი თბილისის აფთიაქები შემოვიარეთ. ყველგან ერთიდაიგივეს გვეუბნებოდნენ, არა გვაქვსო. ერთმა მოხუცმა აფთიაქარმა განგვიცხადა, ტყუილად დადიხართ, თუ ჯანმრთელობის სამინისტროდან არ მოაწერინეთ, ამ წამალს არავინ გამოგიჩენთო.

ჩვენს ბედზე ჯანმრთელობის სამინისტროში ამ საქმეს ღეთისნიერი ადამიანი განაგებდა. ეს კი შეგვეკითხა, საიდანა ხართო, და მაშინვე რეკეტს რეზოლუცია დაადო.

ორი კვირის განმავლობაში ვსვი ენტეროსეპტოლი, პროფესორის რჩევადარიგებასაც ზუსტად ვასრულებდი, მაგრამ ვერავითარი შეღავათი ვერ ვიგრძენი. ის კი არა და, უფრო მწვავე ტკივილები დამეწყო...

ბებიამ ისევ თბილისში ჩამომიყვანა. ახლა სხვა პროფესორს მივავითხეთ. იმანაც გულისყურით მოგვისმინა, დაკვირვებით გამსინჯა, თავი ჩაიჭნია და განაცხადა ნალვლის ბუშტის ქრონიკული ანთებაა, ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროებაო.

ორი თვე მისი რჩევა-დარიგებით

ემიგრანტულ, ათასნაირი წამლები ვსვი, ორი კვირით სიარულშიც მოვახერხეთ მე და ბებია და წავსვლა, მაგრამ ყოველივე ამან სასურველი შედეგი არ გამოიღო.

ყველას ვეცოდებოდი, ყველა მიბრალვდა, ექიმებიც წუხდნენ, მონდომებით მმკურნალობდნენ, მაგრამ ვერაფერს მშველოდნენ.

დეიდაჩემი გვარწმუნებდა, პროფესორებთან სიარულით ტყუილად დროს კარგავთ და ფულს წყალში ყრითო. მუცელზე ხელის დადებით რომ დიაგნოზის დასმა შეიძლებოდა, მამ რაღა საჭიროა ეს ამოდენა საავადმყოფოები და ლაბორატორიები. ყველაფერს ისა სჯობია, ირმა საავადმყოფოში დავაწვიოთ და ადამიანურად ვუმკურნალოთო. ამას სხვებიც გვირჩევდნენ. მეც ავდექი და იმ საავადმყოფოში დავწექი, დღეს რომ ვიყავით.

ჩვენს პალატაში ექვსი ავადმყოფი იყო. ორი ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთებით იტანჯებოდა, ერთი — პერიტონიტით, ერთსაც კუჭის წყლული ჰქონდა. ჩემს გვერდით მწოლ მოხუც ქალსაც ამასვე ეჭვობდნენ.

გაოცებული ვიყავი! ჩემს გარდა ყველამ იცოდა რა სტკიოდა. ავადმყოფები მაიმედებდნენ, ნუ გეშინია, ხუთ-ექვს დღეში დიაგნოზს შენც დაგიდგენენო.

ყველანაირი ანალიზი ამიღეს, რამდენიმეჯერ რენტგენზეც გამაშუქეს და კვირის თავზე კონსილიუმი მოიწვიეს. ოთხი ექიმი შეიკრიბა ჩემს საწოლთან. დიდხანს მსინჯეს, ანალიზები ამოწმეს, მერე იმსჯელ-იყამათეს, მაგრამ ისე დაიშალნენ, გადაწყვეტით არაფერი უთქვამთ. ხელმეორედ გამიკეთეს ანალიზები და კვირის თავზე კვლავ მოიწვიეს კონსილიუმი, მაგრამ ამჯერადაც გადაწყვეტით არაფერი უთქვამთ.

დავნალღვიანდი. რაშაი საქმე? ყველას დიაგნოზს უსვამენ, მკურნალობენ, აჯანსაღებენ. ნეტავ მე რაღა დამემართა? ვაითუ მძიმე ავადმყოფობა მაქვს და ვერ მიმხელენ-მეთქი?

ამ ფიქრებში ვარ და მკურნალმა ექიმმა ქირურგი სანებლიძე მოიყვანა ჩემს გასასინჯად. იგი ჩემს საწოლზე ჩამოჯდა, გამეცნო, გამომკითხა როგორ მტკიოდა და მერე გულდასმით გამსინჯა.

რატომღაც მგონია, რომ ბრმანაწლავის ქრონიკულ ანთებასთან გვაქვს საქმეო, ბოლოს განაცხადა მან.

მეორე დღეს უზმოზე ფაფა გადამაყლაპეს, სანებლიძეც მონაწილეობდა ჩემი რენტგენზე გაშუქებისას, რის შემდეგ დაბეჯითებით თქვა, ბრმანაწლავის ქრონიკული ანთებაა, საჭიროა ოპერაციული ჩარევაო.

მაშინვე ქირურგიულ განყოფილებაში გადამიყვანეს. პალატაში ხუთნი ვიწექით, ხუთივე ბრმანაწლავის ოპერაციას ვიცეხებდით.

ადამიანებს ყველაზე უფრო გაჭირვება აახლოებს. დაწოლისთანავე ერთმანეთს შევეწყეთ, შევეთვისეთ, დავნეგობრდით.

ექიმებთან სიარულით ისე ვიყავი გაწვალებული, რომ არავისი აღარაფერი მჭეროდა. სანებლიძე კი ზეციურ ადამიანად წარმომიდგა. სიტყვით არ შემეძლო ჩემი მისადმი პატივისცემის გამოთქმა, ამიტომ ცდილობდი ეს რამენაირად თავაზიანი მზერით გამომეხატა.

მე არ ვიცოდი ავადმყოფებს სხვა რითი შეგვეძლო ექიმის პატივისცემა, ამიტომ როცა პირველად მითხრეს, ქირურგის წინასწარ პატივისცემაა საჭიროო, გაოცებულმა ვიკითხე:

— რას გულისხმობთ ამაში?

— ფულის მიცემას! — მომიგო მოხუცმა ქალმა, განაპირა საწოლზე რომ იწვა.

— ვერ წარმომიდგენია, განა ექიმი სანებლიძე ავადმყოფისაგან ფულს აიღებს?!

— ფული, შვილო, ისეთი რამ არის, სანებლიძე კი არა, თვით მამაზეც იერი არ იტყვის უარს!

იმავ დღეს ჩემს მზობელ ქალიშვილს დედამ აცნობა, ექიმი შინ ვინა-

ხულე და ყველაფერი წესრიგშია. სხვა ავადმყოფების ახლობლებსაც მოესწოთ ქირურგის წინასწარ ნახვა.

ბებიანეში დავიბარე. დეკემბერი იდგა. ყინავდა, ცივი ქარი უბერავდა. ბებიას კი თხელი ქაჯეტი ეცვა, თავზე გაწყალებული შალი ეხვია. დერეფანში განვიცალკევე და ყურში წაეჩურჩულე, ბებიას, დღესვე ორმოცდაათი მანეთი უნდა იწოვო და ქირურგს სახლში მიუტანო-მეთქი, მან ხელები გასაყვავა, როგორ ვიწოვო ამდენი ფულიო, მაგრამ როცა გაიგო საქმის არსი, შემპირდა, ვინმესგან ვისესხებ და ექიმს ფულს უსათუოდ მივეტანო.

მეორე დღეს ბებია დავვიანებით მოვიდა. დერეფანში გამიძახა და თვალცრემლიანმა მითხრა, შვილო, ქვეყანა შევაჯერე და ფული არავინ მასესხა. დეიდაშენმაც ამ სიტყვით გამომისტუმრა, ნეტავი რა ვალებს იღებ, ქირურგს ნურათერსაც ნუ მისცემ, განა ვერ შეგატყობთ, რა ქონების პატრონებიც ხართო. მეტი გზა არ არის, შვილო, გაიკეთე ოპერაცია, სანამ გამოეწერები, პენსიას ავიღებ და მერე ვცემ ექიმს პატივსო.

მე კი ბებიას არ დავთანხმდი, ოპერაციის გაკეთებამდე უნდა გადაუხადო ექიმს გასამრჯელო, თორემ მერე რაღა ფასი აქვს-მეთქი.

ორჯერ გამომიძახეს ოპერაციაზე, მაგრამ არ გავედი, ერთხელ თავის ტკივილი მოვისაბაზე, მეორედ — გულის რევა.

მესამე დღეს თვითონ სანებლიძე შემოვიდა პალატაში. რაღაც მკაცრად მომმართა, რატომ ოპერაციაზე არ გამოდიხარო. მთელი ღამე თავი მტკიოდა. თვალი არ მომიხუჭავს, თუ შეიძლება ერთი დღით კიდევ ვაღამიდეო ოპერაცია-მეთქი. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუგინდ სულაც ნუ გაიკეთებო, მომივიო მან გულცივად.

ბებიანეში დილა-საღამოს მოდიოდა საავადმყოფოში, გავყავდი დერეფანში და შემომტროდა, რა ვქნა, რა წყალში გადავიარე, ფულს ვერ ვშოულობო. მე

კი ჩემსაზე ვიდექი, თუ ექიმს წინასწარ არ ნახავ, ოპერაციას არ გავკრეფებ და საავადმყოფოდან გამოვეწერები-მეთქი.

ბოლოს ბებია მოვიდა და მახარა, შვილო, ფული ვიშოვე, გუშინ საღამოს ექიმიც ვინახულეო. ღვთისნიერი კაცი ყოფილა, კარგად მიმიღო, მომისმინა, მადლობა ვაღამიხადა, თან შემპირდა, დედი, დარდი ნუ გაქვთ, თქვენს შვილიშვილს უმტკივნეულოდ გავუკეთებ ოპერაციასო.

მეორე დღეს სანებლიძე დილაადრიან შემოვიდა პალატაში, შემომცინა, როგორა ხარ, წუხელი კიდევ ხომ არ გტკიოდა თავიო. არა, კარგად მეძინა-მეთქი, მიუღვე ცალკვით, გულში კი ვთქვი, აი თურმე რა შესძლებია ფულს, გუშინ აღრენით მელაპარაკებოდა, ახლა კი როგორ შემომცინის-მეთქი. გოგონა, მაშ დღეს გამოხვალ არა, შემეცი-თხა ექიმი და მოფერებით თავზე ხელი გადამისვა. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, თან გავიფიქრე, „მისი გოგონაც ხომ გავხდი, მოფერებით თავზე ხელიც ხომ გადამისვა!“

საოპერაციო მაგიდაზე რომ ვიწექი, უბრალოდ გულიც არ ამძგერებია. მეჩვენებოდა, რომ ქირურგიც, მისი ასისტენტებიც რაღაც განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ჩემდამი. ვერ ეხედავდი, მაგრამ მივხვდი, თუ როგორ ფრთხილად, უმტკივნეულოდ გამიჭრა ექიმმა მუცლის ფარი. იმასაც კი ვგრძნობდი, რა მარად, მკვირცხლად მუშაობდნენ მისი თითები.

საწოლ ოთახში რომ გამომიყვანეს, აღარც მუცელი მტკიოდა, არც ჭრილობა მაწუხებდა, თავს მშვენივრად ვგრძნობდი. მინდოდა მეყვირა, ამხანაგებისათვის მემცნო, რომ ოპერაციამ მშვენივრად ჩაიარა, რომ გამრთულად და კარგად ვიყავი!

ათი დღის შემდეგ საავადმყოფოდან გამომწერეს, ჩემს გამოსაცილებლად სანებლიძეც მოვიდა. თავზე ხელი გადამისვა, გოგონი, აბა ჭანმრთელად იყავი, თუ ოდესმე ჩემი თავი დაგპირ-

დეს არ მომერიდო, ყოველთვის დაგეხმარები, მხარში ამოგიდგებიო.

სანებლიძეს გული არ ვუჩვენე, თვალი ავარიდე. რას ინალღლებს, რაღაც ნახევარ საათში ორმოცდაათი მანეთი ჩაიჭიბა და ნეტავი ამას რაღა პირით მეუბნება-მეთქი.

ექიმს ისე გამოვემშვიდობე, ხეირიანად მადლობაც არ მითქვამს.

მერე კი ბებიასაგან შევიტყე, თურმე მე რომ ვაძალეზდი, გინდა თუ არა, ფული იშოვე და ექიმს მიუტანე-მეთქი, ჩვენი პალატის ავადმყოფები დაინტერესებულან, რა აქვთ ამდენი საღაოო, და ყური დაუგდიათ. ჩვენი გაჭირვება, რომ შეუტყვიათ, ავადმყოფებს ფული შეუტროგვებიათ და ბებიასათვის შეუძლებელია, ეს ფული ექიმისათვის შეგიგროვებო. ბებია უარზე დამდგარა, მაგრამ ავადმყოფებს მაინც დაუყოლიებიათ.

ბებიას სანებლიძის ბინა კითხვა-კითხვით მიუგნია. კარი მოსამსახურე ქალს გაუღია. ოთახში შესვლისთანავე დაუნახავს ძვირფასად ჩაცმული დიასახლისი, დივანზე რომ ყოფილა მისვენებული. თურმე ფეხთით შემანიკურე ქალი უჯდა და პედიკურს უკეთებდა. სანებლიძის ცოლს ყვირილი აუტეხია, ჩქარა დახურეთ კარი, თორემ ორპირმა ქარმა სურდო დამმართა და ეს არიო.

სანებლიძეს ბებია კაბინეტში მიუღია. გულისყურით მოუსმენია და შეპირებია, დარდი ნუ გაქვს, დედი, ოპერაცია მშვიდობიანად დამთავრდებაო.

ბებიას ფული ამოუღია ეაკეტის ჯიბიდან და ჩუმიად შავიდაზე დაუღია. სანებლიძეს თვალი შეუსწრია და უთქვამს, თუ გინდათ, რომ თქვენს შვილიშვილს ოპერაცია მე ვავუკეთო, ეს ფული უკან წაიღეთ, ხვალ პალტო იყიდეთ და ჩაიცვითო.

ბებიას გული ასჩუყებია და ექიმისთვის შეუტრია, რა ვქნა, ბატონო, ჩემი გოგო ასე მეუბნება, თუ ექიმს წინასწარ პატვის არ სცემ, ოპერაციას არ ვავიკეთებო. მაშ, კარგი, რაკილა შენ

ქალიშვილს ასე ჰგონია, უთხარი რომ ექიმს ფული გადაეცემათქო ესე უფრო გულს გაუმაგრებს, რწმენიანად ამედით აავსებს. ხოლო მერე, როცა სავალდყოფოდან გაეწერება, სიმართლე გააგებინეო.

— ეს ყველაფერი ვასაგებია, მაგრამ შენ და სანებლიძე როდისღა დანათესავდით? — შეეკითხა ცოლს ელიზბარი.

— რაც შეეხება ჩვენს ნათესაობას! — წაილაპარაკა აბნეულად ირმამ. — ეს მერე გავიგე.

— ვისგან გაიგე? — დედაჩემის დეიდასაგან, როცა მას სანებლიძის შესახებ ვუამბე, შითხრა, ეს კაცი, მე და დედაშენის დეიდაშვილის შვილიაო. ამის შესახებ მაშინვე მიეწერე სანებლიძეს წერილი. დედაჩემის დეიდის ნათქვამი იმანაც დაადასტურა. — ეს უკვე ისე უღარდელად თქვა ირმამ, თითქოს თავისთვის გულში ამბობდა, გინდა მერწმუნე, გინდა არაო.

დილით ცოლქმარი რვა საათზე გავიდნენ სახლიდან. მეტრო „ოქტომბრამდე“ ტრამვაით იმგზავრეს.

ირმამ სალაროებამდე მიაცილა ქმარი. ელიზბარი ექსკალატორით დაბლა რომ მიეჭანებოდა, ცოლს დიმილით ხელს უქნევდა. როცა ქმარი თვალს მიეფარა, ირმას ისე მოეჩვენა, თითქოს მიწამ დადებული ხახით შთანთქა იგი.

ამ აბუნარი ფიქრით გამოვიდა ქალი გარეთ და საბჭოს ქუჩას გაჰყვა. ნელა მიიბიჯებდა. ჯერ ადრე იყო და უნდოდა სიარულში დრო მოეკლა. მალაზიის ვიტრინებთან ჩერდებოდა, გამოფენილ მზატანსაცმელს ათვალევრებდა. საკომისიო მალაზიის ვიტრინასთან იდგა დიდხანს. თვალს ვერ აცილებდა შავი ფერის საკაბებს, მზის სხივებზე თვალის მომპრეტლად რომ ბზინავდა.

— რა იყო ტურფა, მოგეწონა! — ვილაცამ წასჩურჩულა ყურისძირში.

ირმამ ზიზლით შეხედა უცნობ აყ-

ლავუდა კაცს და ვიტრინას გასცილდა.

— ნეტავი რა დედამ გშობა ეგრეთი კარგი! ლამაზო გოგო, სიმკაცრე არ გიხდება! — სიტყვა დაადევნა უცნობმა.

სანებლიძე ოპერაციაზე იყო. ექთანს გაეფრთხილებია, ჩემი ნათესავი ქალი მიკითხავს და უთხარი, მთავარ ექიმთან მივიდესო.

მთავარი ექიმი კაბინეტში არ დახვდა. მემანქანე ქალმა უთხრა, საათნახევარზე ადრე არ იქნებაო.

ირმამ, შინ წასვლას, ამჯობინა მთავარ ექიმს დალოდებოდა. დერეფანში დასვირნობდა. რამდენიმეჯერ გადაიკითხა დერეფნის ორივე მხარეს კედელზე გაკრული სამედიცინო ლოზუნგები.

თორმეტის ნახევარზე მოხოვნელებმა დაიწყეს მისვლა. რიგი რომ არ დაეკარგა, ისიც მოსაცდელში შევიდა. განაპირა სკამზე დაჯდა, შავებში ჩაცმული ქალის გვერდით.

პირველის თხუთმეტ წუთზე ტელეფონმა დარეკა. მემანქანემ ყურმილი აიღო. ვილაცას ნაზად მიესალმა, ოდნავი თავის დაკვრით და ერთავად დიახ, დიახს გაიძახოდა და თან მოკრძალებით თავს ხრიდა.

მოხოვნელები სულგანაბულნი მიმტერებოდნენ მემანქანეს, თითქოს დასალუპავად განწირული გემის ბაქანზე არიან და მამველი გემიდან რადიოგადმოცემას ელოიანო.

მემანქანემ ყურმილი დადო და მოხოვნელებს ღიმილით გადახედა, მერე კი, თითქოს ვილაცის ჭიბრზე, ერთბაშად განაცხადა:

— მთავარი ექიმი სამინისტროში დაუბარებიათ, დღეს შეგვიანებით მოვა.

— ხვალ ხომ დილიდანვე იქნება? — იკითხა მეორე მოხოვნელმა.

— არა მგონია, ხვალ სასწავლებელში გაკეთილები აქვს! — განაცხადა მემანქანემ.

— ზეგ?

— ზეგ რესპუბლიკური თათბირი იწყება.

— თათბირი კი, ალბათ, სამ დღეს მაინც გაგრძელდება! ისე ვატყობ: სამ კვირას არაფერი გვეშველებს!

ირმამ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, დაეცადა სანებლიძისათვის თუ არა. ლოდინი არ ეზარებოდა, მაგრამ ის აფიქრებდა, რომ მედღამ გარკვევით უთხრა, სანებლიძის სახელით მთავარ ექიმთან მიდიო. იქნებ მისი საკითხი გადაწყვეტილიყა და რატომღა უნდა შეაწუხოს სანებლიძე?!

იენისის ცხელი დღეები მეტისმეტად გახანგრძლივდნენ. ირმამ სამი დღე იარა ტყუილუბრალოდ. მთავარ ექიმს ვერა და ვერ მიუხწრო კაბინეტში. გაწილებული შინ რომ მივიდოდა, ისედაც ნერვებაშლილი იყო და ელოზბარის დამცინავი ლაპარაკი კიდევ უფრო აღიზიანებდა, რა ყველასი გვერა, სანებლიძე არაფერსაც არ დაგეხმარება. ნათესავეები ვართო! ნეტავი რაში სჭირდება შენი ნათესაობა? ვალის მოხდის გულისათვის შეგპირდა დაგეხმარებო. აი ნახავ, ტყუილუბრალოდ იმდენს გატარებენ, შენ თვითონ მოგებურდება და ხელს ჩაიქნევო.

მეორე დღეს ირმა ყველაზე ადრე მივიდა საავადმყოფოში.

მოვიდნენ სხვა მოხოვნელებიც.

ათის თხუთმეტ წუთზე ტელეფონმა დარეკა.

მემანქანემ ყურმილი აიღო.

მოხოვნელები სულგანაბულნი შესცქეროდნენ მას, სწორედ ისე, როგორც მაშინ.

ირმა ფეხზე იდგა, გული ძალუმად უძკერდა.

ნუთუ დღესაც მთავარი ექიმი დეკავებულია?!

მემანქანემ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მაშინ, მხოლოდ ამჯერად მილისდადებისთანავე განაცხადა:

— მთავარ ექიმს ნახევარი საათით შეაგვიანდება!

— ოღონდ დაგვენახვოს და ამას ვინ ჩივის, თუგინდ ორ საათსაც დაველოდებით! — წაილაპარაკა ერთმა მოხოვნ-

ნელმა და სულშეკრული ადამიანივით თავისუფლად ამოისუნთქა.

მთხოვნელები წახალისდნენ, ალაპარაკდნენ.

მემანქანემ კოპები შეიკრა, ყველას თვალს არიდებდა, მაგიდის უკრებს სწევდა, საქალაქეებში რაღაცას ეძებდა, ბოლოს საბეჭდი მანქანა ააჩხაკუნა.

ამასობაში ნახევარი საათი გავიდა.

მთხოვნელები დელავდნენ, მემანქანეს უტრიალებდნენ, ერთმა — ორმა ჩილაპარაკა კიდეც, ესეც ნახევარი საათით, მაგრამ მემანქანე თავუღლებლივ ბეჭდავდა, რეპლიკებს ყურადღებას არ აქცევდა.

კიდეც კარგი, მოსაცდელში შესულმა ქალმა განაცხადა, მოდისო, თორემ ერთი მთხოვნელი თავზე დაადგა მემანქანეს, ჭვედა ყბა ისე უკანალებდა, ალბათ გაუჭირდებოდა თავის შეკავება და აყვირდებოდა.

მთავარი ექიმი მოსაცდელში შესვლისთანავე მთხოვნელებს მიესალმა, ხელში მომარჯვებული გასაღებით კარი გააღო და კაბინეტში შევიდა.

მთხოვნელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და სკამებზე დასხდნენ.

ზარმა დაიწყო.

მემანქანემ კაბინეტის კარი შეაღო, ზღურბლზე შეჩერდა, მთავარი ექიმის რაღაც განკარგულება მოისმინა, კარი გამოიხურა და მთხოვნელებს მიმართა:

— ვინ არის პირველი, შებრძანდით!

ირმას, რომელიც პირველი იდგა კარებთან, სახეზე ალმა აპკრა, გული აუშვებდა, ორიოდ წამით შეყოვნდა.

— შებრძანდით, შებრძანდით! — ვილაკამ წაილაპარაკა მის უკან, თან ამ ვილაკამ კაბინეტის კარი შეაღო და ზურგზე ხელი უბიძგა.

ირმა პატარა, მოგრძო ოთახში აღმოჩნდა.

მთავარი ექიმი კუთხეში მიდგმულ ვეებერთელა მაგიდასთან იჯდა. ირმას მისალმებას თავისდაკვრით უპასუხა. შექალაქავებულ უღვაშებზე ხელი გა-

დაისვა და სკამზე მიუთითა, დაბრძანდით.

ირმა ფეხაყრებით მიუხალხოვდა მითითებულ სკამს და მის ქიშხე ჩამოვდა.

— რას მიბრძანებთ? — იკითხა მთავარმა ექიმმა ნაძალადევი გულგრილობით. სინამდვილეში კი ძალზე ყურადღებით ათვალთვრებდა ფოსოებში ღრმად ჩაცვენილი თვალებით.

ირმამ მორცხვად გაუღიმა მთავარ ექიმს და კბილებში ძლივს გამოსცრა:

— მე ექიმ სანებლიძის ნათესავი ვარ, მისი სახელით მოვედი!

— ჰმ, — ხელები მოისრისა მთავარმა ექიმმა — დიდად სასიამოვნოა. სანებლიძე მელაპარაკა თქვენს შესახებ, ეს რა კარგი ნათესავი ჰყოლიხარ.

მთავარმა ექიმმა ირმას ვინაობა გაიგო, ორიოდ სიტყვით გამოჰკითხა, რა ჰქონდა დამთავრებული, სად ცხოვრობდა, ოჯახური მდგომარეობითაც დაინტერესდა. ბოლოს კი განუცხადა, ორ დღეში ერთი მედლა დერეფტულ შევბულებებაში მიდის, ჭერჭერობით მის ადგილზე გაგაფორმებთ, მერე ვნახოთ, როგორმე სხვა ადგილს გამოვიჩინებთ.

— როდის გამოვიარო? — კაბინეტიდან გასვლისას იკითხა მორიდებით ირმამ.

— ორ-სამ დღეში! ახლა კი ჩემს სახელზე განცხადება დაწერე და მემანქანე ქალს დაუტოვე.

ირმამ უცებ სულიერი შვება იგრძნო. მკვირცხლად წამოდგა და თავისდაკვრით გამოემშვიდობა... კარისკენ რომ შებრუნდა, შენიშნა, რომ მთავარმა ექიმმა თვალი გააყოლა. რატომღაც არ უნდოდა, ამ კაცს გაეგო, რომ მან დაიჭირა მისი შხერა, ამიტომ უშალ განზე გაიხედა. თან შეეცადა, რაც შეიძლება კოხტად, სინარნარით გაეცლო მის წინ. კარი რომ გააღო, მთავარ ექიმისკენ არ გაუხედავს, მაგრამ გრძნობდა, რომ იგი მას შხერით აცილებდა.

ირმამ ფაცი-ფუცით დაწერა განცხადება და მემანქანეს ჩააბარა. დღის ორი საათი იყო. მალე ელიზბარი დაბრუნ-

დებოდა ინსტიტუტიდან. გული შინისკენ მიუწევდა, უნდოდა ქმრისთვის ეხარებინა, რომ ასე კარგად მიიღეს, მოუსმინეს და სამსახურსაც შეჰპირდნენ.

მოსაცდელიდან რომ გამოვიდა, შავებში ჩაცმული ქალი წამოეწია:

— შეილო, შენს გახარებას, რა გითხრა, რა პასუხით გამოგისტუმრა?

— გადაწყვეტით არაფერი უთქვამს, განცხადება დაწერე და ორ-სამ დღეში გამოიარეო. — მიუგო მან.

— თითქმის მეც ეგ მითხრა, თუმცა ჩემთვის ვადა არ დაუღია მე უკვე მებუთე თვეა, ხან ყოველდღე, ხან დღე-გამოშვებით დავდივარ აქ.

ქალის სიტყვებმა ძალიან ჩააფიქრა ირმა. ნუთუ მთავარმა ექიმმა მხოლოდ ფორმალობის გულისათვის დააწერინა განცხადება?! არა, რაღაც ასე არ უნდა იყოს. გული რაღაც სასიკეთო ამბავს უქადის! მთავარმა ექიმმა კარგი თვალთ შეხედა! სანებლიძეს, ეტყობა, ავტორიტეტი აქვს.

ელიზბარი შინ არ დახვდა.

ირმა ბაზარზე აპირებდა წასვლას, ხორცს ვიყიდი და გემრიელ სადილს გავაკეთებო, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ხუთი მანეთილა ჰქონდათ და არ უნდოდა ესეც დაეხარჯა.

როგორმე დღესაც უსადილოდ გადაივლიან. ექვსი კვერციხილა აქვთ. ოთხს დღეს მოხარშავს, ორს კი დილისათვის შეინახავს. სამ ცალს ელიზბარს დაახვედრებს, თვითონ ერთიც ეყოფა...

იგი კარებში შეეგება ქმარს. ყელზე შემოეხვია, გადააკოცა და ახარა, მთავარმა ექიმმა კარგად მიმიღო, განცხადება დააწერინა და თხუთმეტ რიცხვისათვის დამიბარაო.

— კარგია, ორივეს ბედნიერ ფეხზე გვივლია! — მიუგო ელიზბარმა, — მეც ღრეკადობის თეორიაში ხუთი მივიღე. თანაც დედაჩემის გამოგზავნილი ოცი მანეთი მომივიდა. როგორც იტყვიან, სულზე მოგვისწრო ამ ფულმა.

თუმცა ბევრი არაფერია, მაგრამ რიცა ფული არა გაქვს, ეს დიდ ფულად ირმამ სამი კვერციხი ქმარს გადაუღო, მეოთხე კი თვითონ გატეხა.

— რატომ მე სამი და შენ ერთი? — იუარა ელიზბარმა და ცოლს ერთი კვერციხი გაუგორა.

— შენ მოსვლამდე ორი შევჭამე და იმიტომ! არ გეწყინოს რა, მშოიდა და ვერ დაგელოდე!

— ეს რა საზოდიშოა, შეჭამე, ღმერთმა შეგარგოს! — გაიციინა ელიზბარმა და ლუქმა მადიანად მოკბინა.

პოლიკლინიკის დერეფანში ხალხის ტევა არ იყო. ყველაზე ბევრ ავადმყოფს სანებლიძის კაბინეტთან მოეყარა თავი.

ირმას ორი მოხუცი ქალი გადაეღობა, სად მიძვრები, რომ მიძვრები, ამოდენა ხალხს ბუზის ტოლად ველარ გვხედავ, რიგში ჩადექიო.

ირმამ ავადმყოფებს განუცხადა, არაფერი შტკივა, გასასინჯად კი არა, ექიმთან სულ სხვა საქმეზე ვარ მოსულიო.

ყველა ასე გაიძახის, მაგრამ შიგ რომ შევლენ, მერე გასინჯვასაც მოინდომებენ ხოლმეო, ამბობდნენ ავადმყოფები.

ირმა მანაც თავისას გაიძახოდა, გეფიცებით, არაფერი შტკივა, ექიმს ორ სიტყვას ვეტყვი და უკანვე გამოვალო.

ამ დავაში იყვნენ ისინი, რომ კარი გაიღო და სანებლიძე გამოვიდა.

ავადმყოფებს მიესალმა და მოუბოდიშა, ეს ახალგაზრდა ქალი ჩემთან არის პირად საქმეზე და გთხოვთ ურიგოდ გამოუშვათო.

სანებლიძე მხიარულ გუნებაზე იყო. ირმა მოიკითხა, როგორ ხართ, რა არის თქვენს ცხოვრებაში ახალიო. მერე უკებ განზე გადგა და მუშტრის თვალთ თავით ფეხებამდე შეათვალიერა იგი.

უხერხულობაში ჩავარდნილმა ირმამ თვითონაც დაიხედა ფეხსაცმელებსა და კაბის კალთებზე.

— ეს კაბა ცუდად გადგია, იმ დღეს რომ გეცვა ნაქსოვი, აი ის გიხდებოდა ძალიან. „ბასანოშკებიც“ არ გშვენის. მაღალქუსლიანი ტუფლები უფრო პაეროვანსა და მიმზიდველს გხდის. — თქვა სანებლიძემ და ერთხელ კიდევ შეავლო ქალს თვალი.

— რა ვიცი, აბა, ჩაცმაზე გული მაქვს აყრილი! — მიუგო ირმა.

— დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი მოგვარდება! მითხარი როგორ მიგიღო მთავარმა ექიმმა, ან რა პასუხით გამოგისტუმრა?

— მიღების მხრივ სამღურავი არაფერი მაქვს. კარგი სიტყვითაც გამომიტუმრა, ორ დღეში გაგაფორმებ სასახურშიო. ორი დღე კი არა, აგერ უკვე ორი კვირა გავიდა, მაგრამ მე ისევ უადვილოდ ვარ.

— მერე აქამდე რატომ არ მოხვედი?

— ველარ შემოგბედე, მერიდებოდა!

— მე ხომ გითხარი, ნურასოდეს ნუ მომერიდები-მეთქი?

კაცს ირმას აციმციმებულმა თვალებმა გასცა პასუხი, ვიცი, ვიცი, ჩემი ვულისათვის, რომ ყველაფერს გააკეთებ, მაგრამ რა ვქნა, მაშინვე ველარ შეგაწუხეო.

— აბა ერთი წავიდეთ მთავარ ექიმთან. ახლაც გავიგებ რაშაა საქმე! — თქვა წაჩაღისებულმა სანებლიძემ და ირმა წინ გაიმძღვარა.

დერეფანი გაიარეს და მეორე სართულზე ავიდნენ. ვინც კი წინ შემოხვდათ, ყველა თავისდაკვრითა და მოწიწებით ესალმებოდა დასტაქარს. ავადმყოფები მუხლებამდე თავს უხრიდნენ. ისიც ყველას ხალისით პასუხობდა, თან ირმას ღიმილით გადახედავდა ხოლმე. ეს ღიმილი კი ამბობდა: „ხედავ რა დაფასებული კაცი ვარ, ხალხი როგორ პატივს მცემს, ყველას როგორ ვუყვარარ!“

ქალს გულში კი ის ფიქრი უტრიალებდა, რა სასიამოვნოა, როცა ძლიერ, ყველასაგან დაფასებული კაცის გვერდით მიაბიჯებ. მისი მეშვეობით შენც

საჩინო ხდები, ხალხის თვალში მაღლდებიო.

სანებლიძე მთავარი ექიმის კაბინეტში ისე შევიდა, კარებზე არც დაუკაკუნებია. ირმაც თან შეიყოლა.

მთავარი ექიმი ფეხზე აღგომით შეეგება, მობრძანდით, მობრძანდითო.

— ბატონო პეტრე, — მიმართა სანებლიძემ მთავარ ექიმს. — როგორაა ჩემი ნათესავის საქმე? ხომ არ დაგავიწყდათ?

— როგორ გეკადრებათ? — განა შეიძლება ასეთი მშვენიერი გარეგნობის ქალის დაეიწყება გთხოვთ დაბრძანდეთ! — მიუგო მთავარმა ექიმმა და თვითონ პირველი დაეშვა სკამზე.

სანებლიძემ ირმას სკამი შესთავაზა, დაბრძანდით. ეს უქანასკნელი მორიდებით ჩამოჯდა სკამის კიდეზე. სანებლიძეც უმაღ გვერდით მიუჯდა.

— საქმე იმაშია, რომ მედლა ჯერ არ გასულა დეკრეტულ შვებულებაში, მის წასვლისთანავე დავწერ ბრძანებას, ცოტა კიდევ უნდა მოვიცადო!

— რა მეტი გზაა, მოვიცდით. — თქვა სანებლიძემ და ირმას მიმართა. — ხომ ასეა, ირმა!

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ჰო, მართლა, — უთხრა მთავარმა ექიმმა ირმას. — კარგი იქნება, თუ მანამდე საბუთებს მოიტანი! მზეკდავმა ქალმა ხომ გითხრა, რაც არის საქირო?

— დიახ, მითხრა.

სანებლიძემ თითები მაგიდაზე აათამაშა და მთავარ ექიმს შეეკითხა:

— ყური მოვკარი, ვითომ ჩემი დახასიათება მოუთხოვიათ?

— დიახ, მართალია. ეტყობა, დაწინაურებას გიპირებენ!

— ამას არ დავეძებ, ოღონდ სამეცნიერო მივლინება მომცენ ლენინგრადში. უამისოდ გამიჭირდება სადოქტორო დისერტაციის დაცვა.

— არც ამაზე გაგანაწყენებენ. სამინისტროში პატივს გცემენ, გაფასებენ! მთავარი ექიმის კაბინეტიდან, რომ გამოვიდნენ, სანებლიძემ ირმას მკლავ-

ში ხელი ჩაავლო და დერეფნის ბოლოში ფანჯარასთან მიიყვანა.

ირმას სიხარულით თვალები უბრწყინავდა. სახეზე ბედნიერების სხივი უკრთოდა. ბავშვური გულუბრყვილობით შესცინოდა სანებლიძეს და სიტყვა ვერ ეპოვა მადლობის გადასახდელად.

— ნულარ გადასდებ, დღესვე მოიტანე ცნობები, — უთხრა სანებლიძემ და სლოკინა მკლავზე ხელი მოუჭირა.

— ცნობები ხელთა მაქვს, ახლავე ჩავაბარებ. — მიუგო ირმამ და, ვითომ იმიტომ, რომ ჩანთიდან საბუთების ამოღება უნდოდა, კაცის ხელიდან მკლავი გაითავისუფლა. მერე მოიბოდიშა, მამატიე, ერთი წუთით დაგტოვებო, და საბუთებით ხელში შემანქანესთან შეიბრინა.

უკან რომ დაბრუნდა, სანებლიძემ უთხრა:

— რა უცებ მიხვედი და მოხვედი, პატარა გოგოსავით ისევე სწრაფი, მოუსვენარი და დაუდევარი ხარ!

ქათინაურებს მიუჩვეველ ირმას თავბრუ დაეხვა, თანაც კაცის გამქვალავ მზერას ვერ გაუძლო და თავი დახარა. თვალში რაღაც კმაყოფილების სხივი უკრთოდა.

ეს სანებლიძეს ესიამოვნა და გულში დაასვენა, ისეთ ქალთან, რომელსაც ქათინაურები სიამოვნებს, კაცი ადვილად მიადწევს წარმატებასო.

და კვლავ მკლავში ხელი ჩაავლო და ხმადაბლა, თითქოს ერიდება არავინ გაიგონოსო, უთხრა:

— მე დღეს სამინისტროში წავალ, იქნებ ახალი შტატი დავამყვებინო. მიხდა რომ ჩემთან ახლო იყო... შენც ხომ გინდა ასე?

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ირმა ქუჩაში გავიდა. ეა შავ ღრუბლებს დაეფარა და შხაპუნა წვიმა მოდიოდა. მგზავრებს ქოლგები გაეშალათ. მირბი-მირბოდნენ, მალაზიებს აფარებდნენ თავს, ის კი წვიმას არ ებუებოდა, უნდოდა ჩქარა მისულიყო შინ და ქმრისათვის გამარჯვება ეხარებია.

შემართული, აყვავებული ისე ლაღად მიაბიჯებდა, *ერთქელს* მიწას ფეხს არ აკარებსო. *ანთებული* თვალებით ირგვლივ დაუნახავი არაფერი რჩებოდა. თან თითქოს მისი მოქარბებული გრძობები, საამო ფიქრები სხეულში ველარ ეტეოდნენ, ამოხტომას ლამობდნენ, წინ მიილტეოდნენ, მისწრაფოდნენ.

ეს რა კარგ ფეხზე იარა! რა კეთილი, გულისხმიერი კაცია სანებლიძე. გული შესტკივა მასზე, ახლობელ ადამიანვით ზრუნავს. ამოდენა საავადმყოფოს მთავარი ქირურგია, საქმით გაძეძებულია, ერთი წუთით მოსვენება არ აქვს, მისთვის კი დრო არ დაიშურა. ეპ, ნეტავი მართლა სანებლიძესთან იმუშაოს. რაღაც თავის იმედი არა აქვს, რატომღაც ჰგონია, რომ პირველ ხანებში გაუჭირდება. სანებლიძე კი დაეხმარება, ყველაფერს აუხსნის, გააგებინებს, პრაქტიკულად აჩვენებს. თვითონვე არ უთხრა, თუ ჩემს სიტყვაზე ივლი, არაფერი გაგიჭირდებაო. ივლის, რატომღაც არა! თუ რაიმე არ ეცოდინება, როდი მოერიდება. უიმისოდ არაფერს გააკეთებს, ნაბიჯსაც არ გადადგამს. სანებლიძეს კარგი ქირურგის სახელი აქვს. მარტო ის რაღა ღირს, რამდენ რამეს ისწავლის მისგან. თან სანებლიძე ყველას უყვარს, ყველა პატივისა სცემს, ყველა აფასებს. ის რატომღა უნდა იყოს მისადმი გულგრილი? სხვებზე მეტად დააფასებს, მისი ერთგული და თავყვანისმცემელი იქნება. ეკვიც არ ეპარება მის კეთილშობილებაში, მაგრამ ის კი ვერაფრით აუხსნია, რატომ აცქერდება ასე ხარბად, მოწყურებულად, რატომ მოუერიდებლად ეტანება ხელებით. რა კარვად უთხრა, შენ ისევე პატარა გოგოსავით სწრაფი, მოუსვენარი და მკვრაცხლი ხარო! სიმართლეა! იმაზე სისიამოვნო არაფერია, როცა კაცი ქათინაურებით ქალის ნამდვილ ღირსებას აღნიშნავს. თვითონაც მშვენივრად იცის, რომ ლამაზია! განა სხვა მა-

მაკაცები კი არ აცქერდებიან, ისინიც ხომ ქათინაურებით, საალერსო სიტყვებით ცდილობენ მისი გულის მოგებას! ჰოდა, მაშ რა საჭიროა სანებლიძის განსჯა?! ადვილი შესაძლებელია, რომ ექიმს ეს გადაჭარბებული თავაზიანობით, დიდი კულტურითა და კარგი აღზრდითაც მოსდის.

როგორც იყო, ეშველა! მალე მთავარი ექიმი ბრძანებას ხელს მოაწერს და სანუეკარი ოცნება აუსრულდება. ახლ რაღას იტყვის ელიზბარი?! დიდი დაუჭერებელი ვინმეა. პირველ დღიდანვე რატომღაც ეჭვის თვალით შეხედა სანებლიძეს, მაგისი არაფერი მწამს, ეტყობა, მოწადინებული არ არის, თორემ რა გახდა შენი სამსახურში მოწყობა, თუ ჩემი სიტყვა არ გამართლდეს, თავს მოვიჭიროო. ვნახოთ, ახლა როგორ მოიჭირის თავს!

ისე კი, როგორ გააწვალეს, ტანჯეს. ცისმარე დღე აქ არის, საათობით ელოდება, ხან სანებლიძეს, ხან მთავარ ექიმს. ვინ იცის, იქნებ ჯერ უარიც უთხრან! შემანქანე ქალმა ხომ მთელი დასტა განცხადებები აჩვენა გუშინ. თურმე ვილა არ ურეკავს მთავარ ექიმს! ზოგს დეიდაშვილი ჰყავს მოსაწყობი, ზოგს მამიდაშვილი. სანებლიძემაც ეტყობა ამიტომ დაარიგა, ყველგან ასე თქვი, ვითომ ჩემი ნათესავი ხარო.

ამ ფიქრებში იყო ირმა, სანებლიძე რომ თავზე წაადგა. კაცი გულში ზეიმობდა. მიზეზი ის გახლდათ, რომ ირმას ნაქსოვი კაბა და მაღალქუსლიანი ტუფლები ეცვა.

მართალია კაცები ყველაფერს თავის სასარგებლოდ გეზულობენ და ამის გამო თავიანთ მიხედვებში ხშირად სცდებიან, მაგრამ ამჯერად სანებლიძისათვის ყველაფერი ნათელზე ნათელი იყო. ირმა ცდილობდა ისეთნაირად ჩაეცვა, რომ მას მოსწონებოდა, თან ქალი იმნაირად უღიმოდა, თითქოს ეუბნებოდა, ასე იმიტომ ჩაეცივი, რომ შენ

მოგწონებოდი, ახლა ხომ უფრო ხარ ჩემი გარეგნობით მოზიბლული.

ირმას გულისწუხილ, მთავარ ექიმში ხელისმოწერას აკიანურებსო, სანებლიძეს სასაცილოდ არ ეყო, ნუ გეშინია, ახლაც შევალ მასთან და ყველაფერს მოვაგვარებო.

რა კეთილი, გულისხმიერი, ყურადღებიანი კაცია სანებლიძე. როგორ თანაუგრძნობს, მზრუნველობს, მხარს უჭერს. ერთი სული აქვს, მეტი არაფერი უნდა ცხოვრებაში იმას მიაღწიოს, რომ შეეძლოს ამ ადამიანისათვის სამაგიეროს გადახდა.

ზარმა დაიწკარუნა.

მემანქანე ქალი მთავარი ექიმის კაბინეტში შევიდა. ორ-სამ წუთში უკანვე გამოიბრუნდა, ირმას გაუღიმა, საქმე სამალარიჩოდა გაქვს, მთავარმა ექიმმა ბრძანებას ხელი მოაწერაო.

ძლივს არ აუსრულდა ნატვრა! ყველაფერს სანებლიძეს უნდა უმადლოდეს, არასოდეს დაიფიქვებს მის ამაგს!

სანებლიძე აცელქებულ ყმაწვილკაცივით გამოვიდა კაბინეტიდან. სიხარულის, კმაყოფილების სხივები უღივლივებდა მომკინარე თვალებში. ირმას მაგრად ჩამოართვა ხელი, მეორე ხელი მხარზე შემოხვია და ნაძალადევი აღტაცებით უთხრა:

— გილოცავ სამსახურში დანიშნვას! მოხარული ვარ, რომ პირველად მე გილოცავ ამ დიდ ბედნიერებას!

— პატივცემულო ლაღი, სიტყვები ვერ მიპოვნია მადლობის გადასახდელად! — მიუგო სიხარულით თვალებდაცრემლებულმა ქალმა.

— ჩემი მადლობა ის იქნება, რომ კარგად იმუშავებ, მასახელებ!

სანებლიძე მაგიდას მისჯდომოდა. ხელში პატარა თეთრი ქილა ეჭირა და კოვზით რაღაცას გატაცებით თქვეფდა.

კაბინეტის კარის შეღებისთანავე ირმამ თვალი შეასწრო, რომ სანებლიძე დანაშაულზე წასწრებულ ადამიანივით

შეფოთდა, აილანდა და ქილა მაგიდის ქვეშ შედგა.

— პო, ეს შენ ხარ, კარგია რომ მოხვედი! — ფეხზე აღვმობთ შეეგება ექიმი.

„ამ კაცისა ვერაფერი გამოვიდა, მოვიდოდი, აბა, მაშ რას ვიზამდი!“ — გაიფიქრა ირმამ და სანებლიძის მითითებულ სკამზე დაჯდა.

— ესეც ასე! — თქვა სანებლიძემ, ხელები მოიფშვნიტა, თან ფეხებით ქილა მაგიდის ქვეშ შესწია. დაფურცლული საერთო რვეული გაშალა, შიგ ჩაღებულნი ქაღალდები ამოიღო და მაგიდის ზედა უჯრამში შეინახა. საერთო რვეული კი ირმას გაუწოდა.

— ამ რვეულში ავადმყოფების აღრიცხვას მოახდენ. გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, ეროვნება... ერთი სიტყვით, ყველაფერს ისე დასწერ, როგორც გრაფაშია ნაჩვენები.

— და ექიმმა თავისთვის ჩაიციანა, რითაც ეს უნდოდა ეთქვა, იოლი საქმეა, ამის ახსნა-განმარტებისთვის არ ღირს დროს დაკარგვაო. და უმალ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, პირი მოკუმა, ნიკოტინით გაყვითლებული კბილები და ლურჯი ღრძილები დამალა.

სრულ ცხრა საათზე დაიწყო ავადმყოფების მიღება. პირველად შავებში ჩაცმული დედაბერი შემოვიდა.

— დედი, — შეეკითხა მას ექიმი, — ნომერი გაქვთ?

— მაქვს, შვილო, შენ გახარებას! ექიმი ირმას მიუბრუნდა, აბა მაშ რეგისტრაციაში გაატარეო.

— დედი, რა გაწუხებთ? — შეეკითხა ექიმი ავადმყოფს, როცა ირმა რეგისტრირებას მორჩა.

— გვერდი მტკივა, შვილო, თან უძილობა მაწუხებს, ღამეებს თეთრად ვათენებ! — მიუგო მოხუცმა.

— აბა ერთი მკლავი დაიკარწახე! სანებლიძემ ავადმყოფს წნევა გაუზომა და მაშინვე რეცეპტის გამოწერას შეუდგა.

მოხუცი კი თავისთვის ბუტბუტებდა:

— აი, აქ მტკივა, შვილო. — ხელით ფერდს უჩვენებდა. — განსაკუთრებით ღამით მაწუხებს, თვალს ვერაფერს ვხედავ!

— არაუშავსრა, დედი, გაგივლის! ცოტა წნევა გაქვს აწეული. ძილის წამალს გიწერ. კარგად რომ დაიძინებ, წნევა დაგიწევს და ტკივილებიც მოგხსნება.

— ეჰ, შვილო, წნევა რა შუაშია ეს ტკივილები პირველი ლოგინობის შემდეგ დამჩნებდა. ერთი ექიმი იყო, ღმერთმა გაანათლოს, იმის წამალს დავღვედი თუ არა, ტკივილები მეკარგებოდა. ახლა კი, რომელ ექიმთანაც არ უნდა მივიდე, ყველა წნევას მიზომავს. მე ის მიკვირს, ეს წნევა რომ არ გამოეგონათ, ან ეს აპარატი არ გაეკეთებიათ, მაშინ რა ეშველებოდათ ახლანდელ ექიმებს, როგორღა უნდა ესინჯათ ავადმყოფები?

ამასობაში სანებლიძე, მოხუცს ყურსაც რომ არ უგდებდა, რეცეპტის წერას მორჩა და კლიენტს გაუწოდა, თან დაატანა, ძილის წინ მიიღე ღლეგამოშვებითო.

— გმადლობ, შვილო! ეტყობა, მართლა ძილია ჩემი უებარი წამალი. მალე სამუდამო ძილს მივეცემი, მერე მოვრჩები და მოვისვენებ! — სანებლიძეს რეცეპტი ჩამოართვა და სანაცვლოდ ხუთ მანეთიანი ჩაუღო ხელში.

— რა გული გაგტეხია, დედი! — ფეხზე წამოდგა სანებლიძე, ფული რომ მალულად ჩაედო, ორივე ხელი ჩაიყო ჯიბეში და წინ გამოვიდა. — ჯერ არც ისე მოხუცი ხარ, შენი გულის პატრონი ას წელს იცოცხლებს.

— იხარე, შვილო, მაგრამ გული რომ არ გაგისინჯია?

— მაჯა ხომ გინახე, პულსია მთავარი! — და მოხუცს მაჯაზე მოჰკიდა ხელი — აბა, ოცი წლის გოგონავით გიცემს მაჯა... ეს კი გულის სიმპარეზე მეტყველებს! — და მკერდზე სტეტოსკოპი მიადო. უსმინა, უსმინა და მერე მკერდის ძვალზე ზედიზედ მოლუნული

თითი დასცხო — აკი გითხარი, ას წელს კიდევ იცოცხლებ!

— ეჰ, გულს იმდენად არ ვუჩივი, ფერდი მაწუხებს, შვილო, ფერდი!

— აბა, ერთი ზუსტად მაჩვენე, რა ადგილას იტკივებ?! —

— აი აქ მტკივა, შვილო! — და მოხუცმა მარცხენა ფერდზე დაიღო ხელი...

სანებლიძე მითითებულ ადგილზე რამდენიმეჯერ დააწვა ორი თითით, თავი გადააქნ-გადმოაქნია და მცირე ჩაფიჭრების შემდეგ თქვა:

— მოდი დედი, ბარემ წელ ზევითაც გაიხადე!

სანებლიძემ დიდხანს სინჯა მოხუცი. მერე თვალები ფართოდ გაახელინა, თითით ქუთუთო ჩამოუწია და ჰკითხა, გულის რევა ხომ არა გაქვსო.

— არა, შვილო! — მიუგო მოხუცმა.

— კარგი, ჩაიცვი! დამატებით ზოგ რამეს კიდევ დაგინიშნავ.

სანებლიძემ რეცეპტი გამოსწერა და მოხუცის დარიგებას შეუდგა: — დედი, თქვენთვის მთავარი კვებაა. ხორციულს და ცხიმს მოერიდე, ბოსტნეული და ხილეული ჭამე. ივანეშვი ადრე... თუ შეეღვი, სჯობია უვასშვოდ დაწვე. დილა-საღამოს თითო ჭიქა საირმე დალიე. ისეირნე სუფთა ჰაერზე, მოერიდე ნერვიულობას. დამატებით ფხენილები გამოგიწერე. სამჯერ დალიე ჭამის წინ. საშიში არაფერია, გავივლის!

— შენ გაიხარე, შვილო, კიდევ როდის მოვიდე?

— ათი დღის შემდეგ!

მოხუცი რომ გავიდა, სანებლიძემ თავისთვის წაილაპარაკა, ესეც ასეო, და ირმას მიმართა:

— შემდეგი!

კართან ათამდე ავადმყოფს მოეყარა თავი. ერთი ახალგაზრდა ქალი აპირებდა კაბინეტში შესვლას, შავრამ გვერდით მღვომმა კაცმა გზა გადაუღობა, მოითმინეთ, რიგი ჩემიაო.

— საიდან არის თქვენი რიგი, როცა მე მეორე ნომერი მაქვს! — მიუგო ქა-

ლმა და ეტონი დაანახვა, აი ნახე, თუ არაო.

— ქალბატონო, ერთი ეს: მითხარით, თქვენ რომ მოხვედით, მე აქ დაგვდით თუ არა? — იკითხა მამაკაცმა.

— ამას არ უარეყოფ!

— ჰოდა, აქ ცოცხალი რიგია. ეგ მუყაოს ნაჭერი კი ჩემთვის სრულიად არაფერს ნიშნავს!

კაცმა არც აცივა, არც აცხელა, და კაბინეტში შევიდა.

სანებლიძე ფეხზე ადგომით შეეგება მას, თან ეუბნებოდა, როგორ ხარ, ხომ არაფერი გაწუხებსო.

— ისე რა, არც აქეთა ვარ, არც იქით!

— მიუგო ნაღვლიანად ავადმყოფმა, — დღე კიდევ არაფერი, ღამით მაქვს საშინელი ტკივილები. არ მაძინებს, ჩიკორივით ეტრიალებ.

— გაიხადე!

— ბატონო ექიმო, რეგისტრაციაში არ გავაბარო? — იკითხა ირმამ.

სანებლიძემ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, მცირეხნის მერე კი დაუმატა:

— საერთოდ, იცოდე, უნომროები რეგისტრაციაში არ ტარდებიან.

ავადმყოფი ტახტზე დაჯდა, შარვალი ჩაიწია და პირქვე წაწვა.

სანებლიძე ფრთხილად უსვამდა მას ზურგზე ხელს, თან ეკითხებოდა, გტკივა, გტკივაო?

— მტკივა, მტკივა! — ხენეშით პასუხობდა ავადმყოფი.

სანებლიძე გასინჯვას რომ მოარჩა, ხელების ფშვენტით წაილაპარაკა:

— ესეც ასე, სხვა საშველი არ არის, უნდა ჩინური მეთოდით გიმკურნალო! ავადმყოფი ზურგზე გადატრიალდა და ხელები გაასავსა:

— ექიმო, არა, ეგ არ შემიძლია, ისევე დიათერმია ჩამიტარე!

— არაფერი გამოვალ დიათერმიაშემდეგ არ გამრიდო! ვერც ჩემმა მეთოდმა გასჭრა. ჩინური მეთოდილა დარჩა. დღეს-დღეობით საქართველოში ჩემს მეთდმა არავინ იცის ეს! რატომ ჰკარგავ შესაძლებლობას?

— რა ვქნა, ექიმო, იმ დღეს დავინა-

ხე, ავადმყოფს რომ ნემსებს არკობდი და ტანზე ეკალშა დამაყარა.

— საცქერად არის შემზარავი, თორემ ვერც იგარძნობ!

სანებლიძემ გავა-ზურგის არეში თითის დაჭერით ავადმყოფს მტკივნეული აღვლი მოუძებნა. ზედ სპირტიანი ბამბა მოუსვა. მერე კი ერთი ციდა სიგრძის ნემსი პირველივე დარტყმით გოჯის სიგრძეზე შეუსრიალა კანქვეშ.

— გტკივა! — შეეკითხა ავადმყოფს და ნემსს ოდნავ დააწვა.

— არც ისე! — მიუგო ავადმყოფმა.

— ხომ ვითხარი, უმტკივნეულოა მეტი! — და სანებლიძე უფრო დააწვა ნემსს.

— ჰოპ, ჰოპ! — შესძახა ავადმყოფმა, რომელიც უცებ ისე შეხტა, თითქოს საწოლიდან გადაფრენას აპირებდა.

— წყნარად, წყნარად! — ამშვიდებდა სანებლიძე და თავის საქმეს განაგრძობდა.

სანებლიძეს ყოველი ნემსი იმ სიღრმემდე შეჰყავდა, სანამ ავადმყოფი შეხტომით არ წამოიძახებდა:

— ჰოპ, ჰოპ!

ორ-სამ წუთში ავადმყოფს გავა-წელი და ორივე კიდური ნემსებით შეუხუნძლა, მერე წელქვევით ზეწარი გადააფარა, საათი დანიშნა და ირმას მიუბრუნდა, შემოღუშვი შემდეგით.

შემოვიდა ახალგაზრდა ქალი, მამაკაცს რომ ედავებოდა, რიგი ჩემოიამორილებით მიესალმა ექიმს.

სანებლიძემ უნდობლად შეხედა მას და ირმას სახის მოძრაობით ანიშნა, რეგისტრაციაში გაატარეო.

ირმა რეგისტრირებას რომ მორჩა, ექიმი ავადმყოფს შეეკითხა:

— რა გაწუხებს?

— წელი მტკივა, პატივცემულო ექიმო.

— დიდი ხანია?

— ორი თვე იქნება!

— კეთილი! ცოტახანს მოითმინე, ახლავე ვაგსინჯავ! — წამოდგა, საწოლთან მივიდა, პირქვე წაწოლილ ავადმ-

ყოფს ზეწარი გადახადა და ხელების სწრაფი მოძრაობით ნემსები დააწრო.

ავადმყოფი სანამ ჩაქმას არ მორჩა, სანებლიძე თავს ადგა და დარიგებას აძლევდა, წელზე შალი შემოიხვიე, ფეხზე თბილად ჩაიცვი, სასმელს მოერიდე, თამბაქოს ნუ მოსწევ, ღამე არ გადაიხადო. ექიმი ჩვეულებრივზე ნელა ლაპარაკობდა, სიტყვას აქიანურებდა. ზოგი რამ ორჯერ-სამჯერ გაუშვორა, ხოლო ის, რომ წელზე შალი შემოეხვია, მრავალჯერ უთხრა.

შესცქეროდა ირმა ხან სანებლიძეს, ხან ავადმყოფს და ვერაფრით აეხსნა. თუ რატომ ელოლიავენოდა ამდენს პირველი მეორეს. გარეგნულად ხომ ავადმყოფი არ ჰგავდა არც თანამდებობის პირს, არც ინტელექტუალურ პიროვნებას. თუ რატომ იჩენდა ექიმი კლიენტზე ასეთ დიდ მზრუნველობას, მისთვის მხოლოდ მაშინ გახდა ნათელი, როცა თვალი შეასწრო, თუ როგორ ჩაუსრიალა ავადმყოფმა ექიმს ხალათის ჯიბეში წითელი ათმანეთიანი.

სანებლიძემ ავადმყოფი კარებამდე მიაცილა, ერთხელ კიდევ შეახსენა წელზე შალის შემოხვევა და კაბინეტიდან გასვლისას მოფერებით მხარზე ხელიც წაუთათუნა.

— ესეც ასე! — სანებლიძემ ხელები მოიფშვინტა და მაგიდას მიუჯდა. ქალი თავისთან მიიხზო, წნევა გაუსინჯა. მერე უთხრა, აბა ერთი გასწორდი, თავი მაღლა ასწიე. კარგია, კარგი! ახლა თავი უცებ დახარე დაბლა, ისე რომ ნიკაბით შეეხო მკერდსო.

ქალი ამ მოძრაობას რომ აკეთებდა, სანებლიძე გავა-წელზე ხელს უსვამდა გტკივა თუ არა, ამ მიდამოებშიო.

— მტკივა, ექიმო, საშინლად მტკივა!

სანებლიძემ თავი ჩაიქნა, გასაგებოდა, და მაგიდას მიუჯდა. ანკეტაში რამდენიმე სიტყვა ჩაწერა და ავადმყოფს მიმართა:

— ქრონიკული რადიკულიტია, ხანგრძლივი მკურნალობა გესაჭიროებათ.

— ექიმო, გთხოვთ თქვენ მიმკურნა-

ლოთ... მე ისე არ მინდა... ოღონდ მომარჩინეთ, არაფერს დავიშურებ!

— კარგით, ჩემი მეთოდით გიმკურნალებ! აბა, მაშ წელქვევით გაიხადე და საწოლზე პირქვე დაწევი.

ქალმა კაბა გაიხადა. საწოლზე წაწვა. პერანგი აიწია და ზურგი გამოიჩინა.

სანებლიძემ ირმა გააფრთხილა, თვალყური ადევნე, რასაც ახლა გავაკეთებ, შემდგომში შენ მოგიხდება ამ პროცედურების ჩატარებამ, და მაგიდის ქვეშიდან თეთრი ქილა ამოიღო. თეთრი მალამოს მსგავსი ნივთიერება სწრაფად ათქვიფა, ერთი კოვზი საცხებელი ავადმყოფს ზურგზე მოუსვა და ორივე ჩელით შეუღდა ზელას.

ავადმყოფს ტკივილები აწუხებდა, წელში იკლავებოდა, ხტუნავდა.

ექიმი ქალს ამხნევებდა, ცოტა მოითმინე და პროცედურის შემდეგ ტკივილები მთლად დაგიუჩნდებაო, თან მისი კოტიტა თითები სულ უფრო დიდ სიჩქარეს აწვითარებდნენ.

ზელას რომ შორჩა, ათგრამიანი შპრიცით, რომელიც მოთეთრო სითხით გაავსო, ავადმყოფს ნემსი გაუკეთა გავაწელის არეში და ნანემსარზე იოდი წაუსვა.

— ქალბატონო, ოთხი ასეთი პროცედურა კიდევ დაკვირდება! — გააფრთხილა ბოლოს სანებლიძემ.

ქალმა არაფერი უბასუხა და მორიდებით ექიმის მაგიდას მიუახლოვდა.

სანებლიძემ ანკეტაში რამდენიმე სიტყვა ჩაწერა და ქალს მიმართა:

— ქალბატონო, დღეგამოშვებით ივლი. გასაგებია?

— გასაგებია, ბატონო, მაგრამ... — წამოიწყო მორიდებით ქალმა და შეჩერდა, სიტყვას დაუწყო ძებნა.

— მაგრამ, რა?

— რა და, ექიმო, ტყუბი ბიჭის დედა ვარ, შინ ორი აკვანი მიდგია... შემნახველი არავინ მყავს, იქნებ...

— რა იქნებ?

— წამლები გამომიწეროთ... მული ექიმო მყავს... საცხებლითაც დამზელს, ნემსსაც ის გამიკეთებს...

— ქალბატონო, როგორ გეკარებამეს ჩემი მკურნალობის მეთოდია! ამაზე ვაპირებ დისერტაციის დაცვას... ჰოდა, ეს მეთოდი მხოლოდ ახლა იგვლევს გზას მეცნიერებისაკენ! რა ვქნა, საიდუმლოს ჯერჯერობით ვერაგვის გავანდობ, გინდა, მობრძანდი, არ გინდა, თქვენი ნებაა. მე ისედაც დიდი კლიენტურა მყავს, ავადმყოფების მიღებას ვერ აკუდივარ!

— კარგით, ბატონო, როგორც იქნება ვივლი.

ქალი რომ გავიდა, სანებლიძემ ხელები მოიფშვინტა, ესეც ასეო, და ირმას უთხრა:

— ხომ ნახე როგორ კეთდება ეს პროცედურა?

— დიახ, ვნახე!

— ერთი ესეც მითხარი, ინექციის გაკეთება იცი?

— როგორ არა, ვიცი!

— არც საცხებლის წასმა გაგიჭირდება! მხოლოდ უნდა იმოქმედო რწმენით, დამაჯერებლად!

ირმამ ორ ავადმყოფს სანებლიძის მეთოდით ჩაუტარა პროცედურა. ისე კარგად ზელდა ავადმყოფებს, კანქვეშაც ისე ყოჩაღად შეჰყავდა მოთვთრო სითხე, რომ სანებლიძემ შესძახა:

— ყოჩაღ, ქალო! ამას იქით შენ იქნები ჩემი პირველი ასისტენტი. მაღე, სულ მაღე ქვეყანა გაიგებს ჩვენს შესახებ, ქვეყანა ალაპარაკდება!

დღეს დღე მისდევდა, თვეს თვე, მაგრამ სანებლიძეს მეთოდი საქვეყნო აღიარებას ვერ პოულობდა. მართალია კლიენტურამ იმატა, მაგრამ ამასთანავე იმატა ჰორებმა, რომელთა ავტორები მისივე კოლეგები იყვნენ. ისინი ათასნაირ ხმებს აერცვლებდნენ. ზოგი ამბობდა, არავითარი მეთოდი სანებლიძეს არ გააჩნია, ასე იმიტომ ყრის ხმას, რომ პაციენტები მოიზიდოსო. ზოგი პირდაპირ აცხადებდა, ავადმყოფებს ფუტკრის შხამით ზელს, კანქვეშ ნოვაკაინს უშხაპუნებს. ეს მკურნალობა კი რახანია ცნობილია მედიცინაშიო. სხვები კიდევ ირწმუნებოდნენ, ასეთი ყალბა-

ბანდობა სანებლიძისათვის ახალი რო-
ლია, ამის მსგავსი პრაქტიკა მას აღრეც
პქონდა, მხოლოდ მაშინ ქრონიკულ
სურდოთი დაავადებულ ბავშვებს მკუ-
რნალობდაო.

სანებლიძეს ეს ხმები სულაც არ აღ-
ელვებდა. როგორც მეცნიერებით გარ-
თულ აღამიანებს სჩვევიათ, ყურს არ
იბერტყდა და დამშვიდებით განაგრძო-
ბდა ძუშაობას.

გაოცებული იყო ირმა. ვერაფრით
აეხსნა, თუ რატომ უვრცელდებდნენ სა-
ნებლიძეს ასეთ ქორებს! ვანა ერთი და
ორი შემთხვევა ყოფილა ისტორიაში,
როცა უბრალო რიგით ექიმს დიდი აღ-
მოჩენები მოუხდენია მეცნიერებაში?!
მაშ რატომ არ შეიძლება სანებლიძემაც
ახალი სიტყვა თქვას მედიცინაში დი-
დი ზნის ექიმია, კარგი გამოცდილებისა
და პრაქტიკის მქონე. საქმით იწვის, და-
უზარელია, მთელი დღე თავაუღებლივ
მუშაობს. ავადმყოფების მკურნალობის
გარდა ქვეყანაზე არაფერი ახსოვს. ქა-
ლებისადმიც გულგრილ დამოკიდებუ-
ლებას იჩენს. მხოლოდ მას უღიმის,
ქათინაურებით ამკობს, ეალერსება.

ირმა თვალყურს ადევნებდა სანებ-
ლიძეს, უნდოდა გაეგო, თუ როგორ
ამზადებდა მალამოს, მაგრამ იგი ამას
დიდი საიდუმლოებით ინახავდა. ყვე-
ლაზე მეტად ირმას სანებლიძის ოპ-
ტიმიზმი აოცებდა, იგი ყველა ავად-
მყოფს დაბეჯითებით არწმუნებდა, ხუ-
თი პროცენტის შემდეგ ტკივილებს
მოკიხსნი, ზოლო მეორე კურსის ჩატა-
რებით მთლად განკურნავო.

მართალია ავადმყოფების უმრავლეს-
სობას ორი კურსის ჩატარებითაც ვერა-
ფერს ზველოდა, მაგრამ თითოერთოლა
შედავას გრძნობდა, ტკივილები უქა-
რდებოდათ.

როცა ამ პროცენტურებით სასურველ
შედეგს ვერ აღწევდა, სანებლიძე ინ-
ტიმარს არ იტყებდა და თვითონ პაციენ-
ტებს აღანაშაულებდა, სად იყავით აქა-
მდე, რატომ დროზე არ მოხვედით, ავ-
ადმყოფობა შორსაა წასული და რამდენ-
იმე კურსის ჩატარება დაგჭირდებათო.

თუ რამდენიმე კურსით სასურველ შე-
დეგს ვერ მიადწევდა, მეტე ჩინურე მე-
თოდით იწყებდა მკურნალობას, მთლეს
ისევ თავის მეთოდს უბრუნდებოდა და
არავითარ შემთხვევაში ფარხმალს არ
ყრიდა.

პაციენტებს გული უცრუდებოდათ,
ექვი ეპარებოდათ მისი მეთოდის სის-
წორეში, ამიტომ სხვა ექიმებთან გარ-
ბოდნენ. მაგრამ საკვირველი ის იყო,
გადიოდა ხანი და ზოგი მათგანი ისევ
მასთან ბრუნდებოდა სამკურნალოდ.

აი, მაშინ უნდა გენახათ სანებლიძე!
ვით აღიარებულ მეცნიერსა და გამო-
ჩენილ მკურნალს თავმომწონედ ეპირა
თავი. უკან დაბრუნებულ ავადმყოფს
როდილა ლებულობდა, ვისაც ჩემი არ
სჯერა, ვერ ვუმკურნალებო. თან ეტ-
რაბახებოდა, თქვე კაი ხალხო, რომ გა-
რბოდით, სად გარბოდით, რითი ვერ
გაიგეთ, ამ საქმეში ჩემი ბადალი მეო-
რე არ არის საქართველოში. ცოტა
კიდევ დამაცათ, მეცნიერება სცნობს
ჩემს მეთოდს და საქვეყნოდ ცნობილი
კაცი გავხდებიო.

ერთხელ ირმამ ავადმყოფის გამოსა-
ძახებლად კარი რომ გააღო, კაბინეტ-
თან თავმოყრილ პაციენტებში დაინახა
ვიღაც შუახნის კაცი, ხმაშალა რომ გა-
იძახოდა:

— ნება მომეცით რიგგარეშე შევი-
დე ექიმთან. ორი თვის წინ მეც თქვენ-
სავით რადიკულიტით ვიტანჯებოდი.
მთელი თბილისის ექიმები შემოვიარე,
ვიღას არ მივაკითხე, ვიღას არ გავაფ-
ცქვენიე თავი. მოსკოვშიც გახლდით,
ლენინგრადშიც, მაგრამ საშველი არ
დამადგა. ბოლოს აქ მომიყვანეს საკა-
ციო. ღმერთმა ააშენოს, ექიმი სანებ-
ლიძე, სულ რაღაც ორ-სამ კვირაში გა-
მაჯანსაღა. ტკივილები აღარც მახსოვს.
აი თუგინდ ჩავბუქნავ. — და უცნობმა,
თითქოს ბაღდადურს თამაშობსო, ორ-
ჯერ ჩაბუქნა, თან რიგრიგობით ფეხებს
იქნევდა წინ. მერე კი ირმას უთხრა:

— ქალიშვილო, გთხოვთ გამატა-
როთ, მე მხოლოდ ექიმს მადლობა მინ-
და გადავუხადო.

ირმა შეეყოყმანდა, მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა სანებლიძის ხმა, გამოუშვიო.

ირმამ გზა მისცა უცნობს, რომელმაც კარი როდი შეიხურა და ზღურბლიდან ორ ნაბიჯზე შეჩერდა. ხელები გაშალა და სანებლიძეს ამაყად მიმართა:

— გმადლობ, ექიმო, შენ გამაჩანსაღე, შენ ჩამიღდი ხელმეორედ სული!

უცნობი სანებლიძეს ეცა, გადაეხვია და გადაჰკოცნა. ირმასაც ჩამოართვა ხელი, შენი მადლობელიცა ვარო. მერე ისევ ექიმს მიუბრუნდა, შაპატიე, მეტს აღარ გაგაცდენ, რა ვქნა, არ შემეძლო, რომ არ მოესულიყავი და მადლობა არ გადამეხადაო.

აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. რახანია სანებლიძესთან მუშაობს და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ავადმყოფი საკაცით მოეყვანოთ, თან ასეთ მიხვრა-მოხვრისა და სიტყვა-პასუხის კაცს რა დაავიწყებდა?! ნეტავი რად დასჭირდა უცნობს ასეთი ცხელ-ცხელი ტყუილი?

როცა ირმამ თავისი ეჭვები სანებლიძეს გაუმხილა, ამ უკანასკნელმა დამშვიდებით მიუგო:

— მართალი ხარ, იმას მე სახლში ვმკურნალობდი. მეზობლად ცხოვრობს და ეტყობა აქ იმიტომ მოვიდა მადლობის გადასახდელად.

ველარაფერი გაუგია! განა ავადმყოფმა გარკვევით არ განაცხადა, მე აქ საკაცით მომიყვანესო? კარგი და, თუ სახლში მკურნალობდა, მადლობის გადასახდელად აქ რაღას მობრბოდა?

სანებლიძე აივანზე იდგა. ღრმად ისუნთქავდა გრილ ჰაერს. აღტაცებული გასცქეროდა წვიმით ჩამორეცხილ მთებს, ცისკრით მოქარგულ აღმოსავლეთს.

ორ-ორ საფეხურ გამოშვებით დაეშვა აივნის კიბეზე. კოტეჯს ხუთჯერ გარს შემოურბინა და თავისუფალ ვარჯიშს შეუდგა. მერე ცივი წყლით წელზევით ტანი დაიზილა და შინ შევიდა.

თამარი ისევ იწვა და რომელიღაც ფრანგი მწერლის რომანს კითხულობდა ორიგინალში.

სანებლიძემ დილაშვიდობისა უსურვა ცოლს. სარკეს მიუჯდა და ელექტროსაპარსით წვერი გაიპარსა. მაკრატლით უღვაშები შეისწორა. ბრტყელ ყურებზე ამოსული ქინკლები შეიჭრა. თმაზე სუნამო იპყრა და კეფიდან წაღებული თმა მელოტ თავზე გადაივარცხნა.

ცოლი წიგნს თვალს არ აცილებდა, მაგრამ ქმრის ყოველ მოძრაობას ამჩნევდა. მისი გაკვიანურებული ტულატი ნერვებს უშლიდა. ქალის გონება ერთ აზრს მოეცვა: არასოდეს ჩემი ქმარი ასე არ მორთულ-მოკაზმულა, ნამდვილად ამ კაცის თავს რაღაც ამბავიო.

როცა სანებლიძემ ტანსაცმელზე ძვირფასი სუნამო მოიპყრა, თამარმა კინაღამ შესძახა, რა იყო, კაცო, რა ქარაფშუტა გოგოსავით სარკის წინ ტრიალებო.

სანებლიძე რომ სარკეს გასცილდა, თამარმა თავისუფლად ამოისუნთქა და წაილაპარაკა:

— ოი, როგორ გავერთე კითხვით! — და ქმარს შეეკითხა, ნეტავი რა დროაო.

— ცხრას ბევრი არაფერი აკლდება.

— უპასუხა სანებლიძემ.

ქალმა ნიდაყევებზე წამოიწია, ქმარი შეათვალა და დამკინავი ღიმილით უთხრა:

— შენ რა, მიდიხარ საღამე?

— რაზე მეტყობა?

— დილაადრიან რომ ასე მორთულ-მოკაზმულხარ!

— ნეტავი ეს რაღა სალაპარაკოა, ქმრის სიკოხტავე უნდა ვიხაროდეს, თუ გწყინდეს?!

— არა, არ მწყინს. პირიქით, ჩემთვის სასიამოვნოა, ასე რომ გალაპარაკებულხარ. მოდი ჩემთან, მოდი!

სანებლიძემ ვითომ ვერ გაიგონა ცოლის ნათქვამი, ფანჯრისკენ შებრუნდა და ფარდა გასწია.

ოთახი აივსო დილის მზის სხივებით. ქალმა იატაკის მხარეს მოქცეული

საბანი ფეხისაკვრით კედლისკენ ისროლა. მსხვილი, რძესავით თეთრი მუხლისთავი გამოიჩინა და მკლავებაწვდილმა ნაზი ხმით ქმარი კვლავ თავისთან მიიხმო.

სანებლიძე ამჯერად ცოლის სურვილს დამორჩილდა. ხელი შემოხვია შიშველ მხრებზე, ჩაკოცა. ცივი იყო ქალის ტუჩები, ვნების არ ამშლელი, არ აღმტყინებელი.

ცოლმა კოცინითვე უბასუხა ქმარს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერც ამაში პპოვა სიტკბო-სიამე.

— თამარ, გენაცვალე, კმარა ნებინრობა, კვირა დღეა, არავენ გვეწვიოს! — თქვა სანებლიძემ და ცოლს თავი გაარიდა.

თამარმა ხელი უბიძგა და ტუჩაბზეკით თქვა:

— ნეტავი ვის ელოდები?

— არავის, ვის უნდა ველოდებოდე! — და თითქოს რაღაც უმნიშვნელო ამბავი გაახსენდა, შეეცადა რაც შეიძლება გულგრილად ეთქვა:

— ჰო, მართლა, შეიძლება ჩემმა დეიდაშვილის შვილმა გამოიაროს, გუშინ ვუთხარი, წყნეთში გვინახულე-მეთქი.

— ეს სადაური დეიდაშვილის შვილია?

— შენ მგონი არ იცნობ. სხვათაშორის, ჩვენს პოლიკლინიკაში მუშაობს მედდა!

— როდის აქვთ? ნამდვილად შენ მოაწყობდი სამსახურში.

— ჰო, ცოტა მეც წავეხმარე, უცხო ხომ არ არის, შემეხვეწა და უარი როგორ მეთქვა. რა მოხდა, ჩემო თამარ, ხომ იცი, ქვეყნად სიკეთე არ იკარგება!

— ქმარშვილიანია?!

— კი, ეს-ეს არის გათხოვილა. სტუდენტს ქმარი ჰყავს! სხვათაშორის, ცოლ-ქმარმა შენი ვაცნობა მოისურვეს!

— სტუმრებს პატივობ და მე აღარ მეკითხები? ნეტავი შენა, ასეთი ნათესავები რაში გეჭირდება?!

სანებლიძემ ხელი ჩაიჭნია, არ გინდა,

ნუ გინდაო, და რადიო ჩართო. გამამხნეველ ვარჯიშს „გადმოსცმდნენ. უმაღ რადიო გამორთო და გარეთ გავიდა. ისეთი ცნობისმოყვარეობით გასცქეროდა მზის სხივებით გაქათათებულ მწვანე მთებს, ლამაზ კოტეჯებს, ბაღა-ბაღებს, თითქოს ყოველივე ამას პირველად ხედავსო. უცებ ძლიერი სურვილი აღებრა, ემღერა, ეცეკვა, ხელები გაეშალა და ქვეყანა მკერდში ჩაეკრა. მოზღვავებულ ძალასა და უჩვეულო ხალისს გრძნობდა.

ბავშვთა საწოლისკენ გაუწია გულმა, შვილების ალერსი მოუნდა. ის იყო ოთახის კარი შეღო, რომ შინამოსამსახურე ქალის ხმა მოესმა, პატივცემულო ლადი, ნუ შეხვალთ, ბავშვებს ისევ სძინავთო.

კარი ფრთხილად გასცილდა. ერთხელ კიდევ გახედა არემარეს და ეზოში ჩავიდა. აიღო თიხი, შევიდა ბაღაში და ჰამიდორის ძირების გამოთონანს შეუღდა. ჩაფიქრებული მუშაობდა. თავის თავს უსაყვედურებდა, ვერა, ვერ მოვიქეცი კარგადო! განა არ სჯობდა, ცოლისათვის არაფერი მეთქვა?! ვინ იცის, იქნებ ირმა და მისი ქმარი არც გვეწვივნენო.

ცალი თვალს გზისკენ ეკირა. დიდი სისწრაფით მიმოჰკროდნენ მსუბუქი მანქანები. დაკლავილი გზა ნაძვნარში უჩინარდებოდა, ნაძვნარის მიღმა დიდი ქალაქი გუგუნებდა. იქიდან მომავალი მანქანა რომ გამოჩნდებოდა, სანებლიძე თვალს ვეღარ სწყვეტდა, სანამ მათ გადმოსახვევს გვერდით არ ჩაუვლიდა.

— მამიკო, კობა არ მასვენებს, უთხარი რა, გაჩერდეს! — მოესმა პატარა გოგონას ხმა. ბავშვი მის შორიახლო ოდგა და ხელისგულებით აცრემლებულ თვალს იწმენდა.

— მოდი, მოდი, შვილო, გენაცვალოს მამა! — მიეფერა სანებლიძე, ხელში აიტაცა და ჩაპოცა.

გოგონას უფრო აუჩუყდა გული და ატიტიტინდა:

— მამიკო, კობა მეუბნება თოჯინების კაბები ქურდებმა მოიპარესო! მარა

თლა იყვნენ წუხელ ჩვენს სახლში ქუ-
რდები?

— არა, შვილო, მოუტყუებია! აბა
ერთი გაიქეცი და კობას დამძახე!

პატარა გოგონა შინისკენ გაიქცა. ჩი-
ტივით მიფრინავდა კიბეზე, თან ყვი-
როდა:

— კობა, კობა, მამიკო გეძახის!
სანამ ნანა კიბეს აათავებდა, კობა
აივანზე გამოვიდა.

— წამოდი, ახლავე მამასთან წამოდი!
— ეუბნებოდა ძმას, თან ხალათში ხე-
ლი ჩაევლო და დაბლა ეწეოდა.

— ხელი გამიშვი! — შეუტია ძმამ,
დას ხელიდან გაუსხლტა და მამას გა-
დასძახა:

— მამიკო, დილაშშვიდობისა!
სანებლიძეს გაელიმა:

— გაიზარდე, შვილო. — და უცებ
მკაცრი შეხედულება მიიღო. — აბა
ერთი აქ ჩამოდი!

კობა ცხვირაბზეკით დას დაემუქრა,
დამაბეზღე არა, ნახავ რამდენი მოგხე-
დებო, და კიბეზე დაეშვა უხალისოდ.
მამის შორიახლო შეჩერდა, თითქოს
ეშინია ყურში არა მწვდესო.

— ახლო მოდი, ბიჭო, რა განზე დგე-
ხარ?

კობა ახლო მივიდა.
— შვილო, როდემდის უნდა იყო
მატყუარა?

— მატყუარა მე კი არა, შენა ხარ!
სანებლიძემ სიცილი ძლივს შეიკავა:

— რა მოგატყუე?

— გუშინ ხომ შემპირდი ფოტობა-
რატს გიყიდიო, მიყიდე, მიყიდე?..

სანებლიძემ დანანებით თავი ჩაიქნია:

— დახე, როგორ გადამავეიწყდა!
ხვალ უსათუოდ შეგისრულებ დანაბი-
რებს. ახლა კი მიპასუხე, რატომ დაუ-
მალე ნანას თოჯინების კაბები?

ბავშვმა თავი ჩალუნა და არაფერი
უპასუხა.

სანებლიძე ახლო მივიდა ბავშვთან,
მხარზე ხელი დაადო:

— მერე და, შვილო, რითი ვერ მო-
იცილე ეს მოკლე ხალათი, ხომ ხედავ
შარვალშიც ვერ იტან და სულ ამოჩ-
რილი გაქვს. — და ყურში სწვდა,
აუწია, მერე უკანალზე ხელი წასცხო,
ახლავე ნანას თოჯინების კაბები გა-
მოუჩინე, თორემ უფრო მეტი მოგხე-
დებო.

განაწყენებულ ბიჭს თვალებზე ცრემ-
ლი მოაწვა.

ნანა არ მოელოდა საქმის ასე გამწ-
ვავებას. დანადგლიანებული თვალებით
შესცქეროდა ხან მამას, ხან — ძმას.

კობამ და ნიდაყვის წაკვრით ჩამოი-
ცილა გზიდან. რამდენიმე ნაბიჯი რომ
გადადგა, შეჩერდა:

— მამიკო, შენ რაღად გაცვია პატა-
რა პიჯამო? შარვლის ტოტები ფეხებზე
შემოგტმასნია. მისიურიც პატარად გა-
დგია და მუცელი ასე გაქვს გამობერი-
ლი! — ბავშვმა თითები ერთმანეთზე
გადააჭლო და შეეცადა ხელებით რაც
შეიძლება დიდი მუცელი ეჩვენებინა.
მერე კი თავქუდმოგლეჯილმა შინისკენ
მოკურცხლა. პატარა ლაიკოც უკან გა-
ედევნა.

* * *

გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას

შორჩა! მოისრა შენი საუფლო,
დაიმსხვრა, გაჰქრა და გაცამტვერდა!
მოისპო ყველა და ყველაფერი,
რაც გვეკუთვნოდა შენ: დედამიწა,
თავის ქვეყნებით და ქალაქებით,
ისეთი, შენ რომ გესახებოდა,
აღარ არსებობს შენთვის... თბილისიც
არარად იქცა, ან უფრო სწორედ —
აღარ არსებობს, ის, რასაც შენთვის

„თბილისი“ ერქვა...
ქალი, რომელსაც
შენს მიერ, ძმავო, მიკუთვნებული
და შენმიერი ღიმილი ჰქონდა,
თავისი ბედით, მომავლით, მოდგმით, —
ისიც გათავდა...
და მეც, დღვიდან,
(ოდესღაც შენი თანამოკალმე)
რას წარმოვადგენ შენთვის, არაფერს.

* * *

„ის მაინც ბრუნავს!“... ღმერთმა ნუ ქნას, გიორგი ჩემო,
დავეცხრეთ, დაგწყნარდეთ და სიცოცხლის დაგვარვით გემო;
გადავივიწყოთ სიყვარულის ძველი ზღაპარი
და სატრფოს მხრებზე დაფენილა ღომის ფაფარი
არ იყოს ჩვენი შთაგონების თავშესაფარი!

ღმერთმა გვაშოროს, ღმერთმა ნუ ქნას, ჩემო ძმობილო,
დავეცხრეთ, დაგწყნარდეთ, აღარ ვიყოთ უკმაყოფილო
საკუთარ ბედით, უბედობით, ნამოდგაწარით.
ყველაფრით — ჩვენში რაც არსებობს, სხვებში რაც არი...
ღვინოს ვსვამდეთ და არ გვათრობდეს ღვინო ალალი,
სათქმელზე უფრო მეტი გვექონდეს დასამალავი,
ჩვენი სახლები დავამგვანოთ სოროს ან ბუნავს
და დავივიწყოთ შექაზილი: „ის მაინც ბრუნავს!“...

ის მაინც ბრუნავს! მაინც ბრუნავს! ბრუნავს, ტიალი!
არ მოგვეშალოს ჩვენც ეს ბრუნვა და ხეტიალი,
მუდმივი ქროლევა, არა მალევა, თავის დანდობა,
არა დარდისგან მოდუნება — დარდიმანდობა!
და მუდამ, მუდამ სიახლისკენ სწრაფვა ველური,
და ჭირსა შიგან გამაგრება რუსთაველური,
და მტკიცე ქედი, ქედი — ძნელად გასაღუნავი,
და გაჭირვების ეამს სიცილის შინო და უნარი,
და თუ ოდესმე ამ სიცილის დაგვარვავთ უნარს, —
ხსვამ დაიძახოს ჩვენს მაგივრად: „ის მაინც ბრუნავს!“



ბერძენის ჩრდილში

რამაზული ეპოპეა

ნოვალა პირველი

„შენ გადიდას!“

მომავალი პირინი:

მ ა რ თ ა — გლეხი ქალი. ქვრივი. პურის მცხოვრელი დიმიტრი აწყურელის კარზე.
 ლ ე ქ ო — მართას ვაჟი.
 ლ ე ვ ა ნ ა წ ყ უ რ ე ლ ი — თავადი დიმიტრის ვაჟი. სამხედრო პირი.
 დ ა ვ ა რ ი — ლევანის მამიდა.
 ნ ე ს ტ ა ნ ი — ლევანის შვილი.

ტ უ ზ ი — სირაჯი. გამდიდრებული ბოგანო.
 ო თ ა რ ი — სტუდენტი — მედიკი.
 ს ა შ ა — ოთარის სტუმარი რუსეთიდან.
 ქ ა დ ა გ ი .
 პ ი რ ვ ე ლ ი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი .
 მ ე ო რ ე ბ ა ნ ო ვ ა ნ ი .
 ო ფ ი ც ე რ ი გ ი ტ ა რ ი თ .

მლოცველები. თეთრი გიორგის მონები, გლეხები, ვაჭრები, სტუმრები.

1914 წლის აგვისტო. შარამოხის დღეობა აწყურის (ყახეთი) თეთრიგიორგის ეკლესიაში. ეკლესიის ეზო. ეზოში წინააღმდეგობრივი ტაძარი დგას. მთავარი კარიბჭით. ტაძრის კარი ღიაა. სიღრმეში წმინდა სანთლების შუქით გაჩირაღდებული კანკელის ნაწილი და ჭვარცმა მოსჩანს. ტაძრიდან ცისკრის ლოცვის გალობა ისმის. ტაძრის კართან გარდევარდში, ხაშის თეთრ ბერანგში შემოსილი ქადაგი ვლიან ღონისძიებით და თითქმის გონწყობილი. მლოცველები ისე ვერ შეეღწეონ და ვერ გამოვიდნენ ეკლესიიდან, რომ ქადაგს ფეხი არ დაადგან, ან არ გადააღაქონ. ტაძრის ვარს უვლიან ფოთბვით, ასეთივე თეთრი ხაშის ბერანგით შემოსილი, კისერზე მიიჭე ქაჭკადაკიდებული თეთრიგიორგის მონები: ციებისგან ჩონჩხად ქცეული მამაკაცები. სწულა დაკრუნხული დედაბრები. ხატს შეწირული ახალგაზრდები. ქაჭკვების ჩხრიალი ცისკრის ლოცვის გალობას უერთდება. ტაძრის უკან გაღვივნი მოსჩანს, გაღვივნი გაღვივნი, ფერდაზე შეფენილი, ხალიჩებით გადაჩარდახებული ურმების სილუეტები. დამისმთვევლთა ბანაკს ჭერ კიდევ სძინავს, მხოლოდ აქა-იქ ბეჭტავს კოცონი. ეკლესიაში კანტიკენტად შედიან და გამოდიან მლოცველები ანთებული სანთლებით ხელში.

შემოდის მართა. ეტყობა ელდას ეჭებს. ის იმხანად ოცდათორამეტი წლისა თუ იქნება. ტანადობა და ლამაზი სახის ნაკვეთები მიუყარებელ სიამაყეზე შეტყვევებენ. აცვია ქვრივის ჩვეულებრივი, ტანზე კარგად გამოყვანილი შავი კაბა. შავი თავშალი მხრებზე გადაგდება და შავი ნაწნავები მოუჩანს. ის ერთხანს სიბრალულით შეჰყურებს თეთრიგიორგის ჭაჭვისხმულ მონებს და კარიბჭესთან განართხულ ქადაგს. ეკლესიაში გალობა წყდება. საღლაც სამრევლოზე ჩამოპყრავენ ზარს, მხოლოდ ერთხელ და ყრულ. ეტყობა ცისკრის ლოცვა დამთავრდა.

მართა — (გადაჰხედავს მუხლებზე მლოცავ მონებს) ტვირთი თუ გაკლიათ, ბედშავებო, ჯაჭვები რომ აგვიდინათ?

მონები — (გმინვით უპასუხებენ მართას და განაგრძობენ ლოცვას)

მართა — ტანჯვა არა გყოფნით? არდასარჩენებო, რა მალამოა — ცეცხლზე ნავთი!

პირვე. მონა — (შეჩერდება მართასთან. შეაღვრიანებს ჯაჭვებს) თავი დაგვანებე, ქვრივო, თეთრიგოორგი არ გაგვირისხო.

მართა — (შეუპოვრად) შენ, კიკოლა, დიმიტრი ბატონის მონობაზე უარი თუ გითქვამს, ღვთის მონობა რომ გიკისრია?

მეორე მონა — (შეჩერდება მართასთან. შეაღვარუნებს ჯაჭვებს) თავი დაგვანებე, ქალო, კიკოლა მართალს გვემნება.

მართა — (ფეხს დაადგამს ზურგზე) ბენანანთ ზურიას ბიჭო, ციებ-ცხელებამ ოჯახი თუ ამოგიწყვიტა, არც მოხუცები შეგარჩინა, აღარც ბაღდები, თეთრიგოორგი რაღას გიშველის, დობობლიანო!

ახალგაზრდა მონა ქალი — (წამოიწევს. გაწამებული სახით) ამ ქვეყანას თუ რამე უჭირს, შენისთანა ცოდვილების წყალობით უჭირს, გადგვი ჩვენგან შიოს ქვრივო!

მართა — ჩემად, ელო, გადაჰყვა შენი სილამაზე ტუზი-სირაჯის ხასობას და ლოგინის ჭუჭყს. ჩამოჭენა შენი ძუძუები უშობული დეკეულის მტკნარი ცურით. გატყდა სახელი და ქალობა. ახლა რაღა, სულ რომ მტლად იქცე, ამ სოფელში არ დასარჩენო, სულ რომ მატლად, თეთრიგოორგი ქალწულობას ვერ დაგიბრუნებს!

მოსხუცი მონა ქალი — (გვერდზე გადადგება. გზას მისცემს სხვა მონებს. თვითონ წამოიწევს. მართას) მართა, შვილო, აგრე ნუ ჰკვეთავ ნიარებს მტკივნეულია. წიგნის მკითხველი ქალი ხარ და უნდა იცოდე... ღმერთი არავის არ უნახავს და იქნებ ღმერთი ნუგეშია. ამ ნუგეშს, შვილო, ნუ მოგვისპობ. განვედი ჩვენგან, წადი ჩვენგან!

მართა — პელო დეიდა, მართალია, მეც გამიგია, დარდი ღმერთს შობსო, ღმერთი

ლოცვას, ლოცვა ნუგეშს, მაგრამ შითხარი, ამისხენი, ლოცვაა მარტო ეს ცხოვრება, თუ არა და რა თავში ვინღი მარტო ნუგეშს!

მოსხუცი მონა ქალი — ჩვენთვის ლოცვა და ნუგეშია სხვა არაფერი.

მართა — ჰოდა, ჰკოცნე თეთრიგოორგის ცივი ლოდები, იქნებ წყალობით გადმოგხედოს, იქნებ ტვირთი გაგიიოლოს!

მოს. მონა ქალი — ნუ სცოდავ ღმერთს, შიოს რძალო, გაჰხედე ღრუბლებს. ცივის თავზე, სისხლის ფერია ვერა ჰხედავ?

მართა — ვე შიის ამოსვლაზე იცის. ნუის სხივი ჰფერავს, პელო, ღრუბლებს!

მოს. მონა ქალი — არა, მართა, სხივი კი არა ცოდო ჰფერავს. ღმერთი დაივიწყეთ, შვილო, თეთრიგოორგი აბურად აიგდეთ. სინდისი და რწმენა დაჰკარგეთ, გაოპირდით, გაავაზადით და აი ახლა, რაც დასთესეთ, იმას მოიმიკით.

მართა — ჩვენ რა დავთესეთ, დასათესი ნიწა სად გვექონდა.

მოს. მონა ქალი — არა, ქვრივო, მე დამიჯერე, ცუდი ღრუბლებია ცაზე. ცეცხლი დანთება ქვეყნად, იმ ცეცხლის ალიკიდიდან კიდეს გადასწვდება და ერთიანად გადაბუგავს აესა და კარგს.

მართა — (ხუმრობით) პელო დეიდა, მე სხვის ნასახლარში ვცხოვრობ, ჩემი არა დამიწვება-რა.

მოს. მონა ქალი (ქარაგმულად) განა მარტო ქონება იწვის ქვეყანაზე. ხორცი და სული უარესია... (უფრო წამოიწევს. საიდუმლოდ) გაიგებდი, რუსეთის მეფე ნიკოლოზი გერმანიის მეფეს შეგმია. ომი ამტყდარა გაგანია. იწვიან თურმე სოფლები და ხოდაბუნები!

მართა — (დაიძაბება) ვიცი.

მოს. მონა ქალი — (უფრო საიდუმლოდ) მეფეს ჩვენთვის შემოუთვლია, — ქართველებო, თქვენი ქვეყანა ღვთის შიობელი მარამიის წილხვედრიაო, თქვენი სმალი ბრძოლის ველზე ნაწრთობიაო, თქვენც უნდა მხარში ამომიდგეთ ის ასპიდი დავამარცხოთო.

მართა — ვე არ მსმენია. ის კი ვიცი — მეფის ბრძანება მოსულა და ნიკოლოზს ქულზე კაცი მოუთხოვია.

მოს. მონაქალი — პოდა, აი გაგვილა-
ლავენ სიმწრით გამოზრდილ ობოლ ბიჭ-
ებს, წვრილშვილების მარჩენალ ქმრებს,
მამებს და ძმებს იმ ალმოდებულ საკირე-
ში. (ხელებს ალაპყრობს. მუდართ) ღვთის-
მშობელო და თეთრიგვირგვი გადმოჰხე-
დეთ თქვენს ქვეყანას წყალობის თვალთ.
მართა — (თითქმის თავისთვის. გაპყუ-
რებს ცას) როგორა ფიქრობ, გვიშველის
ლოცვა და ვედრება?...

მოს. მონაქალი — (შეხედავს მწყრა-
ლად და სიბრალუღით) ღმერთის ნებაა
ყველაფერი...

(დაემშობა და ფოფხვით განაგრძობს გზას.
ახმის ჯაჭვების ჟღარუნი და ჩუმი გმინვა)
მართა — (შეკრთება). თვალს მოწყვე-
ტავს ცას. ჩურჩულით. თითქო ესლა ჩაწ-
ვდაო. მოხუცი მონაქალის სიტყვებს („გა-
გვილალავენ სიმწრით გამოზრდილ ობოლ
ბიჭებს იმ ალმოდებულ საკირეში“. შეკრ-
თება. მიიხედ-მოიხედავს. ვიღაცას ეძებს.
აფთარივით დაიძაბება. შეპყვირებს) ლექ-
სო, შვილო! (მიდის ტაძრის კარიბჭესაკენ)
შვილო ლექსო! (კარიბჭესთან შეჩერდება.
იფურება. საყდრის სიღრმეში დაძაბული
დიდხანს. გაშეშებული, ფიქრებში წასუ-
ლი. ტაძარში უცბად სანთლების ნამწვავე-
ბი ერთბაშად აელვარდება, კანკელის ჯვა-
რცმას ჰაერში აიტაცებს და ჩაქრება. ტაძ-
რიდან ისმის: სასულე ორკესტრის სამხედ-
რო მარშის ხმა, მწყობრად მიმავალი ჯა-
რის აწყობილი ნაბიჯი და ჩათვლა —
„ერთი... ორი... ერთი... ორი... ეს შორეუ-
ლი ხმები თანდათან ახლოვდებიან და
ძლიერდებიან. თითქო გადაქელვას უპირე-
ბენ ყველაფერს. შემდეგ გემორდებიან, ნე-
ლდებიან და წყდებიან.

მართა — (გამოიქცევა. მიიხედ-მოიხე-
დავს) სად დამეკარგა დედამკედარი! სად
მიმემალა... (დაახედავს ქადაგს. ფებს წა-
ჰკრავს) ზაქარა ხარ? (ქადაგი არ იძვრის)
დაიწყე ისევ შენებური? რა ხანია შენ ლაქ-
ლაქს აღარ შეგხწრებივარ.

ქადაგი — (შვირხვება. ხელით ანიშნებს
წადით)

მართა — აი დამიწდი და გაქვავდი, ის
მაინც მითხარ, უბედურო, ჩემი ლექსო არ-

სად გინახავს. მიმოიხედე საით წავედე,
სად ვეძებო?

ქადაგი — (წამოიწყევლა თვალმომილუ-
ლული) საჭიდაოზე ვხედავ შენ ბიჭს. იქ
მიაშურე, იქ იპოვი! (ისევ დაემშობა)

მართა — (აპირებს წასვლას. მოუბრუ-
ნდება) ზაქარ, გახსოვდეს, იმ შენ ბოდ-
ვას რომ წამოიწყებ, შიგა და შიგ ხალ-
ხისა თქვი, გულს რო მოხვდება იმისა
თქვი. სიმწრისა თქვი, არ დაგაეწიყდეს.
გაგილაძაძებს ბოდვასა და კარგი იქნება
(მართა აპირებს გასვლას. ქალს წინ შეე-
ფეთება ღამენათვეი ახალგაზრდობის ჯგუ-
ფი. ისინი, ეტყობათ, ახლახან წამოშლი-
ლან სუფრიდან. ჯგუფში ჩვენ ვხედავთ
ორ სტუდენტს. ორ მეფის არმიის ოფიცერს
და ორ ახალგაზრდა ბანოვანს. ერთ ოფი-
ცერთაგანს გიტარა უტირავს ხელში და
მღერის იმ დროინდელ რომანს „მხოლოდ
შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის“. მეორე ოფი-
ცერი ლევანია. მათვენ ამაყად მიმავალი
მართას დანახვაზე ჯგუფი მოკადოვებუ-
ლივით შეჩერდება. სიმღერა მიწყდება)
პირველი ბანოვანი — (გვერდზე
მდგომ ოფიცერს აღფრთოვანებული)
Князь, какая красота.

ოფიცერი გიტარით — Да, княж-
на, мадонна Иверская!

ლევანი — (მიუახლოვდება მართას
ხელგაშლილი) ნათლიდებდა, რა ხანია არ
მინახეხართ. თეთრიგვირგვის მადლი გწყა-
ლობდეს.

მართა — (ცივად) ღმერთმა თქვენ
ოჯახს ნუ მოაკლოს ამის წყალობა.

ლევანი — (შინაურულად) გაჯაერებუ-
ლი მეჩვენებით, რა ამბავია?

მართა — იწყის ქვეყანა. მოსალხენად
სადა გვცალია.

ლევანი — არაფერია, ჩემო მართა, რუ-
სთა ხელმწიფის ძლიერებას წინ ვერაფე-
რი დაუდგება.

მართა — მე მსხვერპლს ვჩივი.

ლევანი — როგორ, მიძყავთ ჯარში ჩე-
მი ნათლული?

მართა — აბა, მე რად დამიტოვებენ.

ლევანი — გამოიძახეს სამხედროში?

მართა — დღეს არა, ხვალ დაუძახებენ.

ლევანი — არაფერია, ერთად ვიომებთ

მე და ლექსო. (ჩახედავს თვალბეში. ხელი უნდა მოავლოს) შენ თუ ისურვებ, ჩემ ეს-კადრონში ჩაერიცხავ და ჩემ დენშიკვად დაეანიშინებ.

მ ა რ თ ა — (ხელს აირიდებს) ქართულად მითხარი, დენშიკვი რაღა ჯანაბაა? ლ ე ვ ა ნ ი — როგორ გითხრა, მომვლელია, ოფიცერის მოსამსახურე.

მ ა რ თ ა — (დამცინავად) თავადიშვილო, ფარეშებით გინდა წაბრძანდე ბრძოლის ველზე?

ლ ე ვ ა ნ ი — აგრე არის დაწესებული.

მ ა რ თ ა — თუ აგრეა დაწესებული, იქნება მე წამოვყოლოდე. კაცის მოვლა ქალის საქმეა, ლექსო რაში გამოგადგება!

ლ ე ვ ა ნ ი — (აღვზნებულად) ნეტა კი ვე შეიძლებოდეს!

მ ა რ თ ა — (მედიდური კილოთი) ცუდათ ვბოზინავს ვე თვალბეში, თავადიშვილო!.. რა გაუწყობა, შეეკითხე აწყურის წმინდა თეთრიგორგის, თუ ნება მოგცა ნათელში-რონის წახდენისა, სიკვდილის წინ, სას-თუმალთან ფარეშობას არ დაგამადლებ.

(გადის ამყად)

მ ე ო რ ე ო ფ ი ც ე რ ი — (მიუბრუნდება ჯგუფს)

ო ფ ი ც ე რ ი გ ი ტ ა რ ი თ — (ჩამოკრავს სიმებს. შერე გაბმული დეკლამაციით) «Пусть роза сорвана, — она еще цветет. Пусть арфа сломана, — анкорд еще рыдает».

(ყველანი იცინიან)

კარგად გათენდა. ღამისმთვევლთა და შლოცაკთა ბანაკი თანდათან იღვიძებს. ეს იგრძნობა შორეულ ხმაურში. ნიავს შთაქვს დუდუკზე დაკრული „დილის საარის“ ხმა. სადღაც დაფა-ზურნამ საჭიდაო დაუკრა. სადღაც შორს გრძელი სუფრული შემოს-ძახეს. ხმები ძალიან შორეულია და ოდ-ნაც აღწევს ტაძრის კედლებს. ოფიცერები-სა და ბანოვანთა ჯგუფი მხიარული სიცი-ლით გადის. ჯგუფს ორი სტუდენტი ჩა-მორჩება — ოთარი და საშა.

ო თ ა რ ი — (დახედავს ქადაგს) აი!

ს ა შ ა — რა აი?

ო თ ა რ ი — აი, საქართველო, საშა, გონ-მისხდილი და გამოფიტული, უფლებააყრი-ლი და ჯაჭვებით შეკრული.

ს ა შ ა — რათა ეგა და არა ის ქალი, იმე-დივით რომ მოგვევლინა ამ რეკონთადზე-მუბლმეკრული და შეუპოვარი ალფრესიანი და მკაცრი. (იყურება იქით, საითაც მარ-თა წავიდა)

ო თ ა რ ი — არა, საშა, ის მხოლოდ მოჩ-ვენება იყო. მოჩვენებას ლევანი ხასად დაი-სვამს, და ამით გათავდება საქმე.

ს ა შ ა — (შეშფოთებული) რათა ხასად, ვე რა სათქმელია.

ო თ ა რ ი — იცი რათა. უსახლკაროა ვე ქვრივი და შეზინულია დავითის მამულ-ში. შვილი ისარგებლებს მამის უფლებით და ღამაშ ქვრივს ან დაიმორჩილებს ან და მამულიდან აპყრის.

ს ა შ ა — შვილი ხომ ჰყავს?

ო თ ა რ ი — შვილს ბრძოლის ვედზე წაიყვანენ და იქ სადმე, დუნაისთან დაი-ღუპება.

ს ა შ ა — მკვიდრნი, ოთარ, ხალხი ხომ დარჩება მკვიდრად?

ო თ ა რ ი — ხალხი უმიწაწყლო ვრად არ ითვლება, საშა! ჩვენმა ბრწყინვალე თავა-დობამ წინაპრების სისხლით მორწყული მამულები ქვიფში და ლოთობაში დაახურ-დავა. პატარა კაპის შეუპოვარი მამაკობა თათქარბის ღორმუცელობამ შესცვალა და სინდისი ჩარჩის დავთარში ჩაიძირა. დღეს ეს ტაძარი, ჩვენი წარსულის საიმედო მა-უწყებელი ტუზი-სირაჯის მიწაზე დგას, ტუზს შეუძლია ააფეთქოს ძველი ლოდები, მტვრად აქციოს აქაურობა, წამალის ჩე-ნი ისტორია და მომავალს გზა გადაუჭრას. არა, საშა, შენა მთხოვდი მეჩვენებინა სა-ქართველო, აი გაჩვენე ის, რაც დარჩა.

ს ა შ ა — აჭარბებ, ოთარ, და ყველაფერს უიმედობის ბურუსში მხვევ. ხალხის ძალას და უფლებას ერთი ხელის მოხმით უარ-ყოფ.

ო თ ა რ ი — მე თვალს ვუსწორებ სინამ-დვილეს, სხვა არაფერი. შენ ამბობ ხალხის უფლებაზე. ვე უფლება, ჩემო კარგო, რომანოვების ძღვევამოსილი იმპერიის გვირ-გვინმა და ჩემამ გათულა.

ს ა შ ა — ვე გვირგვინი უნდა დაიმოს, არ დაგავიწყდეს 905-ი.

ო თ ა რ ი — ცხრაასხუთი სისხლში ჩაახ-რჩეს და ციმბირში გადაასახლეს.

ს ა შ ა — მოვა ახალი ცხრაასხუთი!

ო თ ა რ ი — ვინ მოიყვანს?

ს ა შ ა — აი ის ქალი, წყლან რომ ვნახეთ და, მე და შენ. განა ჩვენ რა, ანგარიშში არ ჩავითვლებით?

ო თ ა რ ი — ვინ ჩვენ, საშა?

ს ა შ ა — თუ გინდა მე, თუ გინდა შენ, თუ გინდა კიდევ ათასი სხვა.

ო თ ა რ ი — არა, საშა, არ ჩავითვლებით. ჩვენ ამ ცხოვრების მტკვერი ვართ და ყველგან მტკერის საწმენდი დაგვდევს. ქარიშხლიანში ავიმღვრებით, მერე ჩადგება ქარიშხალი, დავიღვქვებით ძველი განჯინის თაროებზე, მოვა ჩვარი და აგვწმენდავს. ის კი ვინც ქმნის, ვინც ჭედავს ცხოვრებას (უჩვენებს ქადაგზე) ასე იქნება გათანგული! (შემორბის ლექსო)

ლ ე ქ ს ო — (დაინახავს ახალგაზრდებს, შეჩერდება) გამარჯობათ!

ო თ ა რ ი — ლექსო, შენა? ჭიდაობ დღეს?

ლ ე ქ ს ო — რა ვიცი, აბა თუ კი ვინმემ გამამოწვია...

ო თ ა რ ი — (საშას) ჩვენი სოფლის ფალავანია.

ლ ე ქ ს ო — (ოთარის) დედაჩემი ხომ არ გინახავს?

ო თ ა რ ი — აი, ახლახან აქ იყო და იქით წავიდა. შენ თუ გეძებს.

ლ ე ქ ს ო — მამ წავედი. (გარბის)

ო თ ა რ ი — აქ რომ ქვრივი შეგვხვდა, იმისი შეილია.

ს ა შ ა — დედასა ჰგავს. შუბლმეკრული ღიმილი აქვს.

ო თ ა რ ი — თვალი არი ჩვენი სოფლისა.

ს ა შ ა — (მზარზე დაადებს ხელს) ჰოდა, ენ ყმაწვილი მტკვერი როდია, ჩემო ოთარ. (გადიან. გარს უვლიან ტაძარს. სინჯავენ ჩუქურთმებს).

დუდუკის, დაფა-ზურნის, გარმონის და ხალხის ყიფინა გრგვინვასავით შემოიჭრება ტაძრის მოედანზე და ყველაფერს დაფარავს. დღეობა იწყება. ხალხი ტაძრის მოედანს აწყდება. აქ არიან მრავალი წოდების წარმომადგენლები, გლეხები, ჩინოვნიკები, სამხედროები, ჯარში ახლად გაწვეული ახალგაზრდობა. მოედანი ჩვენს თვალწინ იცვლება. მარცხნივ ჩრდილიდან წამოიზრდება მეწვრილი მანე-მეფართოების ფარდული. მარჯვნივ მეჭურჭლეების ურემი სახეს სხვა-

დასხვა თიხის ჭურჭლით. ერთ ვაჭარს ბორბლის ლატარია შემოაქვს, ზედი ჯანყობილი მოსაგები საჩუქრებით. ორი ჯანაზნი თხკის სტიმავს საჯანბაზოდ. მერღვე შემოდის თავის არღნით და ხმაურით. ოინბაზი ვილაცას ქუდს მოხდის და ქუდიდან მტრედებს ააფრენს. ხალხი ესევა და გნისობს. ზოგი ყიდიხ, ზოგი ყიდულობს. ზოგიც სანახაობის საცქერლად მოსულა. ეს ტაძრის კუთხე მხოლოდ ნაწილია დიდი დღეობისა. დიდი დღეობა ტაძრის გალავნის გადაღმა იგრძნობა ხმაურში, ალიაქოთში და ტამ-ფანდურის ხმაში. გარშემო ფერები, ფერები, ფერები და ციველობორზე ამობრწყინებული მზე.

მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე — აბა აქეთ. ქაშანურის კარგი ჭურჭელი. კოკა საპატარძლო, სასიძოს ჩარქვა-ხელადა, სამჩრე. ლობიოს ქოთანი. ტინჭილები ქაშანურისა. აბა, აქეთ კარგი ჭურჭელი, არა ტყდება, არ იბზარება.

მ ე ფ ა რ თ ლ ე — აბა, აქეთ. კარგი ფართალი. (შლის სხვადასხვა ფერის ფართალს) ჩითი და ატლასი, ნარმა და მიტკალი, შალეულობა ქაშირისაგან, უჩინ-მაჩინის ფარჩელი. გასათხოვარო გოგობო, მოდით ჩემთან თუ ფული არა გაქვთ, ნისიად წაიღეთ. თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი!

ლ ა ტ ა რ ი ს პ ა ტ რ ო ნ ი — (დაატრიალებს ბორბალს. ბორბალი გამომწვევად რაკრავებს) ა... პა... პა... პა... ბედი ვყადოთ, ბედი და ყისმათი. ვარდის წყალი და ზეთი კანისა, სანიშნო ბეჭედი და სავარცხალი მინანქრისა. ფერ-უმარლი საკობტაოდ. დანიშნულებო, თითო შაური მოამზადეთ, იქნება ბედმა გაგიღიმოთ. პა... პა... პა... პა... (თავგანწირვით ატრიალებს ბორბალს. ბორბალი რაკრავებს)

მ ე ფ ა რ თ ლ ე — აბა აქეთ კარგი ფართალი!

მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე — აბა, აქეთ კარგი ჭურჭელი!

(შემოდინ ტუზი-სირაჯი, დავარი და ბაფთიანი გოგონა 14 წლის ნესტანი)

და ვ ა რ ი — ჩემი ძმის სახელს გეფიცები, მაგ ვეჭილის დასაფარავად გორგორბიც საკმარისია.

ტუზი — კენინა-ჯან, ცოდო ვარ მე. იქ
რა მიწაა, ხუთი დღიურიც არ იქნება.

დავარი — თელიანში ტყე ხომ წაიღე.
ჯანაანში ბაღა-ბაღები. საოყითში ვენა-
ხები, მეტი რა გინდა!

ტუზი — ვა, კენინა, ყველაფერი ანგა-
რისის საქმე არ არი?

დავარი — კოდა, ჩემი ძმის ერთად-
ერთი მემკვიდრე და ბატონ-პატრონი შენა
ყოფილხარ.

ტუზი — რასა ბრძანებ, დავით აწყუ-
რელის ადგილ-მამულს რა დააკლდება. ვე
წვეთია.

დავარი — მამ იკმარე რასაც გაძლევ
მე ვეწილში და გათავდა.

ტუზი — თქვენი ხათრით დავარ-კენინა.
(ნესტანს მოეწყინა. შემოდის ლევანი)

ნესტანი — (გახარებული მოგხვება)
მამა, საჭიდაოზე გამიშვი რა...

ლევანი — წადი, შვილო.

დავარი — მართო უშვებ?

ლევანი — არაფერია, ჩვენი სტუმ-
რებიც იქ არიან. (ნესტანი გარბის. ტუზს)
ფული, ტუზო, სტუმრები მყავს, ფული
მჭირდება.

დავარი — ლევან!

ლევანი — (ცივად) მამიდაჩემო, და-
ვით აწყურელის ერთადერთი მემკვიდრე მე
ვარ ჯერჯერობით. (ტუზს) ფული.

ტუზი — (დავარს) რა ვქნა, აბა? (ლე-
ვანს) შენა, ლევან, ფულს კი არა, სულს
არ დაგიჭურ. წამობრძანდი, ვექსილზე ხე-
ლი მომიწერე.

(სამიჯენი გადიან. ოთარმა და ლექსომ შე-
მოუარეს ტაძარს და სამეულის ბაასის მე-
ორე ნახევრის შემთხვევითი მოწამენი გახ-
დნენ)

ოთარი — აი, საშა, ჩვენ თითონ ვყი-
დით საქართველოს ხან ცალობით და ხან
ბითუმად. (გადიან)

მეფართლე — აბა, აქეთ, კარგი ფარ-
თალი!

მეჭურჭლე — (კოკაზე ჯოსს ურტყამს)
კარგი მჭურჭელი. არა ტყდება, არ იბზა-
რება!

ლატარიის პატრონი — ბედი შა-
ურად, სხვა რა გინდათ! (ატრიალებს ბო-
რბაღს. ბორბალი რაკრაკებს)

(ქადაგი კარიბჭესთან შეინძრევა. მერე უმ-
ბად მოჩვენებასავით აღიმართება კარბ-
ში)

ხმა ხალხში: ქადაგი... ქადაგი...

(ხალხი ჟრიაშულით შემოერთყმის კარი-
ბჭეზე შემდგარ, თეთრებში შესუდრულ ქა-
დაგს. მართა შემოდის. განზე გადაგება)

მეორე ხმა: — ჩუმად, ხალხო.

(ქადაგი ხელებს გაშლის. ხალხი მიეუჩდე-
ბა)

ქადაგი — პირველი ჭიქა — ბარძიმი-
თა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, ღმერთო მა-
ლალ! მეორე ჭიქა — ბარძიმითა შენ გა-
დიდას, წმინდა მარიამ ღვთისმშობელო!
მესამე ჭიქა ბარძიმითა — შენ გადიდას,
აწყურის მთავარანგელოზო!

(ხალხს) გწყალობდეთ, ხალხო, ჩვენი
თეთრიგორგის მადლი! (ხელებს აღაპყ-
რობს) ადგილის დედაო, ფუძის ანგელო-
ზო, უშველე ყმასა და უყმო ყმად მავალსა.
ჩვენ ორფეხს, ჩვენ ოთხფეხს, ყველა სუ-
ლიერსა!.. ერსა უმიწაწყლოს, ხალხსა
უუფლებოს, დედას ძუძუმშარალსა, ჩვილსა
ურძელსა, ობოლს უსახლკაროს, ქვრივსა
უსაფაროს, გლეხსა უმამულოს, მგზავრსა
ურრდილოსა! ღმერთო, შენ გადიდას ხალ-
ხმა!

ხალხი — (ჩურჩულით) ამინ!

ქადაგი — (ხელებსაპყრობილი) ქრის-
ტე, მწყალობელო ჩვენო, წმინდა ბარძი-
მითა, წმინდა სანთლითა სუფრა დაგვილო-
ცე, ზედაშე განათლე. (ხალხს) სიწმარე
ვნახე, ხალხო! ქრისტეს ჯვარი სისხლის
მორევში ტივტივებდა. თეთრმა გიორგიმ
თეთრი რაშით სისხლის მორევში შესცუ-
რა და ცხენი სისხლით შეიფურა. (წელში
გაიმართება, ხელგაწვდილი თვალებს მო-
ლულავს) ვხედავ, ხალხო, სისხლის ტბო-
რებია ირგელოც!.. ვხედავ ძენო, ხალხი ხა-
ლხზე ამხედრებულა, ლაშქრონი მისწევს
ლაშქრონს. ნახეთ, უბედურებო, ყნა მო-
უშველი გვრჩება, ბაღ-ვენახი დაუკრეფა-
ვი, წისქვილი უმინდო, ქვეყნი უხედაშო,
თონე ცივი, კვრა დანგრეული! შეგვიწყალებ
წმინდაო სამებავე. ღმერთო, შენ გადიდას
ხალხმა!

ხალხი — (შემინებული) ამინ!

(პაუზა. შორიდან შემოიჭრება ძილისპი-

რულის გალობა. მას შორეული სამხედრო მარში გადაჰყარავს. მარში, ასეულების მწყობრი ფეხისხმა და ჩათულა: „ერთი... ორი, ერთი... ორი“ გრგვინვასავით გადაუვლის ტაძარს და მიწყდება. განზე ქანდაკივით მდგომი მართა გაფითრდება. დაიძაბება. ეტყობა ეს პანგები და გრგვინვა მარტო მას ესმის და იმისგან ჩვენ. ხალხი მიუჩნებულ ქადაგს შეჰყურებს).

ქ ა დ ა გ ი — (შვირხევა) დედავ, მარიამ ღვთისმშობელო, უშველე შენსა ქვეყანასა, შენი კალთა გადააფარე. რად გვინდა, დედაო, ძმამ ძმა არ დანიდოს ღვიძლი, შვილმა მამა არ შეიფუროს, დედამ შვილი ჩანასახშივე გააწყალოს, კაცი კაცს არ ენდოს, მეცხვარემ ფარა ვერ გალალოს, გოგო წყაროზე ვერ გავიდეს, საქორწილო ბიჭი არ დაგვგრჩეს სანაშენოდ. რა დღე დაგვაღვება მამისი... ნუ იქმ ამას წმინდაო დედაო, მოკალ სატანასპიდი და ხალხს საპაერო მიეც! ღმერთო, შენ გადიდას ხალხმა!

ხ ა ლ ხ ი — ამინ!

(გალავანში ერთბაშად შემოიჭრება დაფაშურანის ხმა და სადღეობო ხალხის გნიახი. მოთენთილი ქურკში ტაძარში შევა. დაფაშურნა საჭიდაოს უკრავს. ხმები ხალხში) — ჭიდაობა დაიწყო, ბიჭებო!

(ხალხი გარბის. გალავანი იცლება. აქ მართა რჩება მსოლოდ. გარინდული და ჩაფიქრებული. გადაღმინდან ყოიანი და შეძახილები იხმის) — აბა განი, განი დაუდოთ! განი... განი... (საჭიდაო თანდათან ძლიერდება. ხალხის ყაყანი წუთით წყდება, მერე ერთბაშად იმატებს და ამ გნიახს ტაში დაფარავს)

მ ა რ თ ა — (გამოერკვევა. აფორიაქდება) შეიღო, ლექსო! უნდა წამართან შენი თავი? ვეროგორ გამოდის, შენ იქ აღმოღებულ მდუღრის საკირეში, მე აქ ბედგამწყარამა დარდი როგო ვზიდო!!

(ჩაფიქრდება. ბნელში გადადება. არ ჩანს. წუთით ტაძრის მოედანი ცარიელია. საღამოედება. ფარდულები ხის ჩრდილებში ფერმკრთალდებიან. სირუმეს მსოლოდ შორეული დუღუკის ხმები და ხალხის მიწელებული ქოთქოთი თუ არღვევს. შემოდის ლექსო. ლოდზე ჩამოჯდება. უყურებს მზი-

ანეთს ღიმილით და იმედინად. მერე მსრიდან შემობრის ბაფთიანი გოგონა, ის სულ 14 წლისაა. თეთრ კაბაში. ხელში შინდურის ყვავილებისაგან გვირგვინი უჭირავს. მიირბენს ლექსოსთან. შეჩერდება, შეყოყმანდება)

ლ ე ქ ს ო — (წამოხტება. დაბნეული, გახარებული) ნესტან!

ნ ე ს ტ ა ნ ი — (საიდუმლოდ) ჰო, გამოვეპარე ჩვენებსა და აი... (ურვენებს თავულზე)

ლ ე ქ ს ო — (გაჯივრებული) ყვავილები? ქადაგისთვის დაგიკრფია!

ნ ე ს ტ ა ნ ი — არა, შენთვის!

ლ ე ქ ს ო — ჩემთვის რათა?

ნ ე ს ტ ა ნ ი — წამიკითხავს. დელფოსს თურმე ასე იცოდნენ.

ლ ე ქ ს ო — (ვერ გაიგო) სადა?

ნ ე ს ტ ა ნ ი — საბურძნეთში, დაფნის გვირგვინით, ასპარეზში გამარჯვებულთა აჯილდოვებდნენ. შენც ხომ გაიმარჯვე, დღეს. წააქციე ის აყლაყუდა.

ლ ე ქ ს ო — (გულუბრყვილოდ) ეგ რა გამარჯვება იყო.

ნ ე ს ტ ა ნ ი — (აღერსიანად) შენ ხომ ჩემი ფალავანი ხარ.

ლ ე ქ ს ო — (თავდავიწყებით) შენ მიბრძანე და ხუთს ერთად წააქციე!

ნ ე ს ტ ა ნ ი — ჰოდა, აი ეს დაფნის გვირგვინი მინდორში დაწვანი, შენთვის დაეწანი და უარი არ მითხრა! (გაუწყდის)

ლ ე ქ ს ო — (ჩამოართმევს. ათვალეირებს) დაფნა არა და ეს კი ნამშვილად სოსანია.

(იცინის)

ნ ე ს ტ ა ნ ი — (შეწუხებული) დაფნა ვერვიმოვე და რა ვქნა. გესხეწები ვითომ დაფნაა რა!

ლ ე ქ ს ო — (ამხნევეს) დაფნაა მამ... დაფნაზედაც უკეთესია! (წამოიცვამს მკლაგზე)

ნ ე ს ტ ა ნ ი — (გაბუტული) აგრე არ მიინდა, შენ დამცინი!

ლ ე ქ ს ო — (შეშინებული) მე დაგცინი?

ნ ე ს ტ ა ნ ი — მამ დაფნის გვირგვინს მკლაგზე ვინ იკეთებს.

ლ ე ქ ს ო — (დაბნეული) მამ სად, ნესტან?

ნ ე ს ტ ა ნ ი — (გამოგლიჯავს ხელიდან.

გვირგვინს. ბრძანებით) დაიჩოქე! (ლექსო ყოყმანებს ერთ წუთს. მიიხედ-მოიხედავს თომ არავინ მიყურებსო. იჩოქებს. ნესტანი ყვაფილების გვირგვინს ჩამოაცემებს თავზე. განიდან შეხედავს. ტაშს შემოჰკრავს. აკისკისდება მხიარულად. ეტყობა ძალიან მოსწონს მთელი ეს სცენა. მართა გამოჩნდება. შეკუთრებს წყვილს.

ნესტანი — (კმაყოფილი) აი ასე! აგრე იყავი, არ გაინძრე. (ლექსო უხერხულად გრძობს თავს. ნესტანი ლოდზე შეხტება და თვატრალურ პოზას მიიღებს. მიუხედავად ამისა, მასში იმდენი უშუალობაა და გულუბრყვილობა, რომ ბაფთიან კოგონას მიმზიდველს ხდის) შემომფიცე, რომ შენ მუდამ ჩემი რაინდი იქნები და ჩემი მფარველი.

ლექსო — (გაუბედავად და ისე ჩუმად, რომ მართალსა ჰგავს) ვფიცავ!

ნესტანი — (იმავე კილოთი) შემომფიცე, რომ ამ გვირგვინს არასოდეს არ მოიშორებ და ერთგულებას არ უღალატებ.

ლექსო — ვფიცავ!
(ნესტანი ჩამოხტება ლოდისა და კვლავ აკისკისდება. ლექსო წამოდგება. გვირგვინი ჯერ ისევ თავზე აქვს ჩამოცმული.

ნესტანი — (სიცილით) უა, ეს რა კარგად მოვიგონე, არა, ლექსო? არ დაგავიწყდეს, რომ დღეიდან შენ უკვე ჩემი რაინდი ხარ. (აყვედვება სიხარულისაგან. რამდენიმე ილეთს გააკეთებს) გედების ტბიდან. მთვარის შუქზე ის მართლაც გედივით ლამაზია.

(მარჯვნიდან შემორბის აქლოშინებული და შეშინებული დაჯარი. უკან მხარზე გიტარაგადადებული ოფიცერი მოსდევს)

დაჯარი — (ნესტანის დანახვაზე ხელებს გაასავსავებს) თავადის ქალო, რასა ჰგავს ეს? ჩვენ იქ ქვეყანა შეგძარით და შენ აქ — „გედების ტბა“!

ნესტანი — (ღრმა რვეერანსით) მაბატოე, მაშიდაჩემო.

დაჯარი — (ლექსოს დააცქერდება) ლექსო!

ნესტანი — (გამომწვევად) ფალავანი ჩემი.

დაჯარი — წამობრძანდი და პასუხი ავე მამაშენთან. მე მეტი აღარ შემიძლია!

ნესტანი — (კიდევ რვეერანსი) მოგუდივარ, მაშიდა. (ლექსოს იმედთანად) ფიცო არ გატებო, ლექსო! (ხელს დაუტყნევს და კისკისით გარბის)

დაჯარი — (ასხედ-დახედავს ლექსოს დაცინვით) ფალავანი! (გადის)

ოფიცერი გიტარით — მიუახლოვდება ლექსოს. ჩამოჰკრავს სიმს. დევლამაციით, ძლიერი პრანონსით)

«Пусть роза сорвана, — она еще цветет
Пусть арфа сломана, — аккорд еще
рыдает».

ლექსო — (მიიწვევს მუქარით) წად. შენი!..

(შეშინებული ოფიცერი დაფეთებული გარბის)

მართა — (უახლოვდება ბედნიერებისგან გარინდულ ლექსოს) მოიხსენ, ბიჭო, ვგრადე გვირგვინი. შენ მაგას, შეილო, ნუ შეგძარი, ტყუილად ნუ შეიარცხვენ სახელს.

ლექსო — (მოიხსნის გვირგვინს. გულზე მიიხუტებს. იყურება იქით, საითაც ნესტანი წავიდა) რა ვიცი, დედი, ყველაფერი ზღაპარსა ჰგავს...

მართა — (პირდაპირ, შეუპოვრად) გულს იმედს ნუ მისცემ, ვე ყველაფერი ზღაპრადვე დარჩება.

(შორეული გრგვინების შემპარავი ხმიანობა)

ლექსო — (აპხედავს ცას) არა, არ დარჩება ზღაპრად!

მართა — (ალერსიანად შეხედა შეილს. მოტყდა) კიბე მაღალია, ბიჭო, სად ჩვენ, სად ისინი.

ლექსო — მოგიტაცებ არსენასავით და ამით გაგათავებ საქმეს. (გაუწვდის გვირგვინს) შენ ეს შეშინახე, დედი, თვალის ჩინივით შეშინახე, დაჯბრუნდები და მერე ჩემზე იყოს!

მართა — (შეტოკდება. ხმაჩაყარდნილი) გაგიწვივს?

ლექსო — ხვალ დილით უნდა გამოგცხადდე.

მართა — მერე დედაშენი, ბიჭო?!

ლექსო — (თავისკენ მიიზიდავს. ცდილობს გაამხნოს) ყოჩალი დედა მყავს.

ხელსაც ვერ ახლებენ. (იყურება იქით, საითაც ნესტანი წავიდა. მცირე პაუზის შემდეგ) ვერც იმას ახლებენ ხელს!

მართა — ვისა, შვილო?

ლექსო — (გონს მოვა. გულზე მიიკრავს მართას) ზღაპარს. (ახლა მთვარე მხოლოდ დედაშვილის დაძაბულ სილუეტებს ანათებს. მათ მიღმა მხოლოდ სიბნელეა. გრგვინვა ახლოვდება. ის ახლა უფრო ზარბაზნების ქუჩილსა ჰგავს. მართა შეკრთება. მას კვლავ ესმის ცნობილი მარშის, ასეულების მწყობრის და მონოტონური გულის შემზარავი ჩათვლის ხმა.)

მართა — გესმის, ლექსო?

ლექსო — (ახედავს ცას) კოკისპირული წვიმა მოვა. (ხმები ახლოვდება)

მართა — გესმის, შვილო?..

ლექსო — გრგვინავს და ქუხს.

(მარშის ხმა ძლიერდება. ომში მიმავალი ასეულების და ჩათვლა: „ერთი... ორი, ერთი... ორი“. ახლა გალაყანის გადღმა ისმის. სულ ახლო. სულ ჩვენთან. დაიქუხებს და გაიფლავებს. ელვის შუქი ანათებს დედა-შვილის დაძაბულ სახეებს და ძველი ტაძრის კარიბჭის სილუეტს!

დასასრული პირველი ნოველისა

ნოველა მიოკა

„ალმოდებული სპირობა“

მოქმედი პირნი:

1. სევასტიანოვი — ზემდეგი. მზვერავი
2. ლექსო — ჯარისკაცი. მზვერავი.

თეთრი დილა. თვალუწყვენელი, დათოვლილი მიწისფერი. შუაში წინწამოწყვეთი დიდი მუხა, მზვერავები ფრონტის წინა ხაზის მიღმა, მტრის სანგრების ახლო. ბრძოლის ეელი სდუმს. სამარცხებური სინდრეა, ამ სინდრეში ძალიან მკაფიოდ ისმის კანტი-კენტი ტყვიების მწიკაა ზუზუნი. ხისპირას ფარაქაწაფარებული ჯარისკაცის ცხედარი ასვენია. ლექსო თოფით ხელში ხეს მიყრდნობია და დაძაბული გაყურებს თოვლიანს. ზემდეგი სევასტიანოვი შორიახლოს დგას და ფურბინდით ათვალერებს გარემოს.

სევასტ. — (დურბინდს არ იშორებს თვალიდან) მდაა... ცუდათ მოგვიმწყვდიეს, ლექსო. ვერ გამოვდექით მზვერავებად.

ლექსო — (ისევ შორს იყურება) აკი ტიმოშა გვაფრთხილებდა, დამინად უნდა გავცდეთ ამ ტრამალებს.

სევასტ. — (დურბინდს არ იშორებს) გამოცდილი მზვერავი იყო საწყალი ტიმოშა.

ლექსო — იმ საღამოს, წამოსვლის წინ, ახალი ბათინკები მისცეს. გაუსარდა და სულ ზედ დაჰყრებდა. (დააცქერდება თავის დახეულ ჩექმებს)

სევასტ. — (მოიხსნა დურბინდი) ისე უცბად შემოგვათენდა ეს წყეული, დავალების შესრულებაც ვერ მოვასწარი.

ლექსო — მე ისა მწყინს, დედაჩემის მოქსოვილი წინდები მაქვს. ისა მთხოვა, ამ ბათინკებს მოუხდებოა...

სევასტ. — (სხვაზე ფიქრობს) მერე?

ლექსო — ვერ გავიმეტე, არ მივეყი.

სევასტ. — (ისევ დურბინდს მოიმარჯვებს) კაცი არ ჩანს გარშემო და ჩვენ მაინც ხაფანგში ვართ. როგორც გავცდებით ამ მუხას და საიქით ხელში გვიჭირავს. ლექსო — ჰოდა, მიმევა ის წინდები, რა იქნებოდა!.. (პაუზა) (ტყვიამ წივილით გაიზუუნა ლექსოს ყურთან. ლექსო შეკრთა აზრმიუცემლად დაიხარა.)

ლექსო — გამჩენძალი, როგორა წივის.

სევასტ. — დაწევი, ბიჭო, ვერა ხედავ ჩვენი მუსა მიხანშია ამოღებული. აქ,

ძმო, ერთი ნაბიჯია სიკვდილსა და სიცოცხლის შორის. (იყურება დურბინდში) საკვირველია, მტრის წინა ხაზი შორს არის და ტყვია ახლოდან მოსუზუნებს. აქ რაღაც მახე უნდა იყოს... ჰა, რას იტყვი...
 ლექსო — (უგულოდ) იქ, მარცხნივ, ტბასთან ლეში გდია, სხვა არაფერი.

სევასტ. — (დურბინდი მოიხსნა. დაინტერესებული) ლეში?

ლექსო — ჩვეულებრივი ცხენის ლეში.

სევასტ. — (უახლოვდება) ვე ვინ გითხრა?

ლექსო — (ხელს ცხედრისაკენ გაიშვერს. არ უყურებს) იმან.

სევასტ. — (შეხედავს ცხედარს) ტიმოშამ თქვა?

ლექსო — ჰო, დასაზვერად ხეზე ასულმა გადმოშტახა. ტბასთან მარცხნივ ლეში გდია, სხვას ვერაფერს ვერა ვხედავო.

სევასტ. — (გაკვირვებული) მე რატო ვერა გავიგე რა.

ლექსო — განზე იდგე და იმიტომ.

სევასტ. — კიდევ რაო?

ლექსო — რაღა რაო, ტყვიამ მოუსწრო იმ საწყალს და სიტყვა პირში გამოაცალა.

სევასტ. — შიგ შუბლში ჰქონდა მოხვედრილი, თითქო განგებ დაუმიზნესო. ხიდან მოსხლეტით დავშვა და გათავდა, გონთ არც მოსულა.

ლექსო — ჰო, მერე ფარაჯა წაპხურე და ვე იყო.

სევასტ. — (კარგა ხნის ფიქრის შემდეგ) ლეში გდიაო?... ვე არ მომწონს...

(ისევ დურბინდი მოიშველია) აქ ვერაფერსაც ვერა ვხედავ. (მოიხსნა დურბინდი. აპხედა ხეს) ალბათ ზემოდან უკეთა ჩანს.

ლექსო — (უთვალთვალებდა დაძაბული) ლეშთან რა გინდა. გდია თავისთვის და იხრწნება!

სევასტ. — (თოფს ხელთან მიაყუდებს) ვნახოთ ერთი, თითონ იხრწნება თუ ჩვენა გეხრწნის.

ლექსო — (წამოდგება. შეშინებული) რას აპირებ?

სევასტ. — გვატყუებენ. ის ალბათ ცხენის ფიტულაა. იმ ფიტულაში გამოცდილი მსროლელი ზის. გვსვერავს იქიდან არხენიად და თუ მიზანზე წამოგვე, წე-

რილს წაიღებ საიქიოს. ტიმოშასაც იმისი ტყვია იმსვერპლდება. მახე? [სტ. მუსიკა] ლექსო — მერე? [სტ. მუსიკა] სევასტ. — მერე მერეში... ავალ, დავხვერავ და გავიგებ.

ლექსო — (გადაუდგება) არა, ლუკიო! სევასტ. — განზე, ბალო, უნდა მოვსპოთ, სხვა გზა არ არის.

ლექსო — მიუცოდეთ.

სევასტ. — არა, ლექსო, ამ კუთხიდან ვერც ჩვენა ვხედავთ, ვერც ის გვაშინებს. როგორც გავცდებით ამ მუხას და, იმის მიზანზე დავსკუპდებით.

ლექსო — ხის კენწვრო, რო იცოდვ, საუკეთესო სამიზნეა.

სევასტ. — (აპხედავს ხეს) ფრთხილად უნდა, ტოტებში უნდა გაიხლართო (ემზადება).

ლექსო — (ხვეწით) შენც მოგკლავენ ტიმოშასავით და მერე მე?..

სევასტ. — (არ იცის რა ქნას. აბუსულუნდება) აი, მოგცემენ ამისთანა ძუძუმწოვარა ბაღლებსა და იომე.

ლექსო — (ნაწყენი) ბაღლებს რათა, გინდა მე ავალ თუ მიბრძანებ.

სევასტ. — დავედე მანდ!

(პაუზა. სევასტიანოვი ხეს შეაყურებს. სიჩუმეში რამდენიმე ტყვია გაიზუზუნებს, შეარხვეს ხის კენწვროებს და თოვლის ფანტელებს ჩამოებრტყავს)

ლექსო — გესმის, ლუკიო...

სევასტ. — რკულდალები, ვარცხნიან ხეს!

(პაუზა. სევასტიანოვი მუხის ძირას ჩამოჯდა. ლექსომ ჯიბიდან სამკუთხედი წერილი ამოიღო და კითხვას შეუდგა. კითხვის დროს ხანდახან სევასტიანოვს ქვეშე ქვეშ გააყურებს!)

სევასტ. — (დაინტერესებული) რას კითხულობ?

ლექსო — (თავაუღებლად) დედარემის წერილს ვკითხულობ.

სევასტ. — (აფორიაქებული) მერე, აქამდე სად იყავი?

ლექსო — (თავაუღებლად) დრო ვერ ვიხელთე, წამეკითხნა.

სევასტ. — (ცდილობს მიუჯდეს გვერდით. დაპხედავს ჩექმებზე) ვე რა არი?

ლექსო — (თვალს მოწყვეტავს ბარათს) რა, ივან ლუკი?

სევასტ. — (ჩექმებზე) რა გაცვია!

ლექსო — (იყურება ჩექმებზე) რა ვიცი, კაპტინარუსი მარწმუნებდა ჩექმებით.

სევასტ. — (უკმაყოფილო ბუზღუნით) იყო ჩექმები, ახლა ჩექმის ნაფლეთებია, ვერა ხედავ!

ლექსო — სულერთია, ივან ლუკი, ახალ ჩექმებში მოგვკლავენ, თუ ამისთანა ნაფლეთებში.

სევასტ. — თავისდროზე უნდა გეზრუნა.

ლექსო — მე და ტიმოშამ ვიზრუნეთ და ორივეს ერთი წყვილი ბათინკები გამოგვიწერეს. საწყობში მეტი არა გვაქვსო.

სევასტ. — მერე.

ლექსო — ტიმოშამ ჩაიცვა და ძან მოეწონა. გაუხარდა და სულ ზედ დაჰყურებდა...

სევასტ. — (აფორიაქდება. გაძხვდავს ტიმოშას და ფარაჯიდან გამოყოფილ ახალ ბათინკებს დააშტერდება. თვალს აარიდებს)

ლექსო — მე კი, აი, წინდები მთხოვა და არ მივყვი. დედაჩემის მოქსოვილი ვერ გავიმეტე.

სევასტ. — ჰოდა, ჩაიცვი ვე წინდები, აქ საქართველო არ გეგონოს. რუსეთია. ყინვა დაარტყამს — ქვეს გახეთქავს. მოგვიყინება ფეხები და მერე კაპუტ. ჯარისკაცად ველარ ივარგებ. (მიუჯდება) რაო, რასა გწერს დედაშენი?

ლექსო — მოკითხვას ვითვლის, შორიდან ხელისჩამორთმევით. ჩემ თავს გაბარებს. ამანათი გამოვგზავნე, თუ მიიღეთო, გვეკითხება.

სევასტ. — მაღამოა დედის წერილი... ასე მისწერე ჩემს მაგიერ, მოგიკითხა-თქო ჩვენმა ზემდგამმა. ივან ლუკი სევასტიანოვმა. კოდვე მისწერე, დარდი ნუ გაქვს, თუ ვიცოცხლე შენ შვილს არავის დავეთმობ-თქო. გაამხნევე. დედის გული მცირე იმედის ნამცეცხაე კი სიხარულით ებლაუჭება.

ლექსო — (მიეკრობა) კარგი, ლუკი.

სევასტ. — დედა სხვაა. აი საწყალი დედაჩემი, სხვისა სარეცხის რეცხვამ მოკლა. მთელი სიცოცხლე გაუხარებლად ჩაე-

ფურცლა. მე კი მაინც არ მივიწყებდა. ჩემთვის იყო. ჩემთვის წვალობდა.

ლექსო — (დაინტერესებული) მე მამა, ლუკი, აღარ მახსოვს, აღრე მომიკვდა. შენა?

სევასტ. — (ხელს ჩაიჭნევს) მამა მეისრედ მუშაობდა რკინიგზის ხაზზე. შრომობდა. სვამდა და შრომობდა. ერთხელ ნასვამს და დაქანცულს ლიანდაგზე ჩამოეძინა, ორთქლმავალი წამოეპარა და გათავდა. ჩვეულებრივი ამბავია.

ლექსო — (ჩაფიქრებული) მე როგორც ვატყობ, ლორლიანია ეს ცხოვრება არა, ლუკი?

სევასტ. — ლორლიანია, ლექსე, ლორლიანი.

ლექსო — რათა მერე?

სევასტ. — აბა რა ვქნა, როგორ აციხსნა. მიჰყვე ცხოვრებას და გაიკვებ.

ლექსო — (პაუზის შემდეგ) ივან ლუკი, შეიძლება ერთი გკითხო?

სევასტ. — მკითხე, ბიჭო, რაც გინდა თქვი.

ლექსო — (ყოყმანობს) არაფერი, ერთი ზღაპარი გაშახსენდა.

სევასტ. — რა ზღაპარი?

ლექსო — როგორ ვითხრა... აი, ვთქვათ, როგორც ზღაპარშია, შეიძლება თავადი-შვილის მზეთუნახავს გლეხის ბიჭი წაეპოტინოს?

სევასტ. — (თითს დაუქნევს) რად მიქარაგმებ, პირდაპირ თქვი, შენა ხარ გმირი იმ ზღაპარისა?

ლექსო — (დარცხვენილი) არა, მე რათა, ერთი ჩემი ამხანაგია.

სევასტ. — ჰოდა, ურჩიე შენ ამხანაგს, ძნელია-თქო სხვის ციგაში მოკალათება. (პაუზა)

ლექსო — დელფოსში თურმე ჭიდაობაში გამარჯვებულს დაფნის გვირგვინით უმკობდნენ შუბლს.

სევასტ. — სადა?

ლექსო — საბერძნეთში.

სევასტ. — მერე?

ლექსო — (დელავს) ჩვენ სოფელში ერთი დიდი, ძალიან ძველი ტაძარია. აგვისტოში დღეობა იცის. მიღეთის ხალხი თავს იყრის იქ. სანთლებს უნთებენ თეთრი გი-

ორგის ღვთისმშობლის ხატს. მერე ქადაგი ლაპარაკობს გაუგებარს და უცნაურს. სე ვ ა ს ტ. — ვერ მიგიხვდი.

ლ ე ქ ს ო — დამაცადე. მერე იწყება ლხენა-ჭეიფი, ჭიდაობა, ცეკვა-თამაში და ჯირითი. ძან კარგი სანახავი.

ს ე ვ ა ს ტ. — ნუ ღელავ, ბიჭო, ნუ ჩქარობ, დალაგებით ილაპარაკე.

ლ ე ქ ს ო — ჰოდა, ერთხელ იმ ჩემმა კარგმა მეგობარმა ჭიდაობაში ფალანობა და ისაკუთრა. მერე იმ ბიჭს თავადის ქალმა დაფნის გვირგვინი მიართვა და შეპფიცა...

ს ე ვ ა ს ტ. — რა შეპფიცა?

ლ ე ქ ს ო — ერთგულება, ივან ლუკიჩ!
ს ე ვ ა ს ტ. — ეგ, ბიჭო, მართლა ზღაპარია.

ლ ე ქ ს ო — ჰოდა, მეც იმას გეკითხები, ივან ლუკიჩ, აი, ვთქვამთ, როგორც ზღაპარშია, შეიძლება ის აფალავანი, ერთი უბრალო გლეხის შვილი, თავადის ოჯახს დაესძოს?

ს ე ვ ა ს ტ. — (თავზე მოუთათუნებს ხელს) რატომაც არა, შეიძლება, თუ ეს ცხოვრება, ჩემო ლექსო, ზღაპარივით გარდაიქმნება.

ლ ე ქ ს ო — (ფიქრებში წასული) თუ არა და...

ს ე ვ ა ს ტ. — თუ არა და, ისევ ისე, ყველაფერი ზღაპრად დარჩება.

ლ ე ქ ს ო — მაშ ის ბიჭი, აქ ბრძოლის ველზე რათა კვდება, ვისთვისა კვდება?..

ს ე ვ ა ს ტ. — ეგ არ იცი? რუსეთის მეფის ბრწყინვალეების საკეთილდღეოდ.

ლ ე ქ ს ო — მერე ეგ მეფე გაათავადებს იმ გლეხის ბიჭს.

ს ე ვ ა ს ტ. — (იციანის) ცინგლიანო, მეფეს ჩვენთვის სადა სცალია. აგრე ადვილად დააპირე, ლექსეი, ღორლიანის გადასწორება?

ლ ე ქ ს ო — (ჩაფიქრდება. თითქმის თავისთვის) დედაჩემიც აგრე ამბობდა, სად ჩვენა და სად ისინიო...

(ორივენი მიყურდებიან. ხანგრძლივი სიჩუმე. ლექსოს ჩასთვლემს)

ს ე ვ ა ს ტ. — (გადახედავს ლექსოს) ჩაეძინა. საწყალი ბიჭი ორი ღამის უძინარია. (ფრთხილად წამოადგება) ახლა მაინც უნდა დავხვერო, ის წყველი უნდა მო-

ისპოს თორე ამ ბიჭსაც დამილუბაჟს. (აბხედავს ხეს) გონი ჰყინავს... (დაჭედავს ლექსოს ჩემებს) დაეყინებო... და მერე მორჩა. (მზერას ტიმოშას ახალ ბათინკებზე გადაიტანს. ერთ წუთს ყოყმანობს, ნერე ხელს ჩაიჭნევს, მიუახლოვდება, დაიჩოქებს და ხდის ფესსაცმელებს) საბრალო ტიმოშა, ყინვა ახლა მკვდარს ველარაფერს დაგაკლებს და მოდი ეგ შენი ბათინკები ლექსეის დაუთმე. (ხსნის თასმებს) არ გეწყინოს. ომი ომია და ზედმეტი გულწივილობა არაფერში გამოგვადგება. (გახადა ერთი ფესსაცმელი. გვერდზე გადადო) ეჭ, ტიმოშა, შენ რომ ახლა წამოგახედა, მომიწონებდი ამ საქციელს. კარგი ბიჭია რო იცოდე. დედისურთაა ეგ საწყალი. ამ შენს სიკეთეს რო გაიგებს, ბიჭო, დედამისი სანთლებს დაუნთებს ივერიის ღვთისმშობლის ხატს შენი სულის მოსასხენებლად. მართალია, სანთლები ახლა რას გიშველის, მაგრამ მაინც ყველაფერს თავისი წესები აქვს. (გახადა მეორე ფესსაცმელიც. ტიმოშას ფეხებთან ფარაქის კალთა შემოუკეცა) აი ასე... (წამოდგა. ბათინკები მითვლემილ ლექსოს ფეხებთან დაუდო. მერე გარშემო გამეფებულ სიჩუმეს ყური მიაპყრო) აღარ ისერის. იქნებ იმასაც ჩაეძინა. კარგი დროა. აბა, ლუკიჩ, ახლა შენ იცი... (ფარაქას გაისდის. მიძინებულ ლექსოს გადაახურავს. დაუს გახინჯავს. დურბინდს თანხით ცალ მხარეზე გადაიგდებს. მერე მუხაზე ფრთხილად აცოცდება და ხის ტოტებში გაუჩინარდება)

(სამარისებური სიჩუმეა. ლექსო ძიღნა ბორგავს. ვტყობა სიუმარშია. ისმის შორეული გალობის ხმა. ცხედარი თითქოს შეირხვება. საგალობლის ფონზე ხის კენწეროდან ტიმოშას ჩურჩული მკაფიოდ მოისმის.)

ტ ი მ ო შ ა ს ხ მ ა — (უძახის) ლექსო... ლექსო... არ შეგეშინდეს ტიმოშა ვარ, ჩაგძინებია შე საწყალი, მე კი აი, მკვდარი ვარ და ამ ხის კენწეროდან გავეურებ ქვეყანას. ყველაფერს ვხედავ კიდიდან კიდემდე. დუნაის ვხედავ თავიდან ბოლომდე. რა მენადღლება, ვიჯდები აქ. ყინვა ვერაფერს დამაკლებს და ტყვიისა აღარ მეშინია... შენა,

ლექსო, წინდებზე ვე რა გიფიქრია. მე გე-
ხუმრე და შენ გულში დაღად რად ჩაიდევ?...
სადარდებელი სხვა რამ გაქვს და იმას მო-
უარე გიჯობს. დედაშენი ავს არა გწერს.
გიფრთხილდება. გილოლიავენს. მე კი ვი-
ცი, მე აქედან ყველაფერს ვხედავ. შენ აქ
თავს იკლავ საწყალო და იქ შიოს ქვრივს
ავიწროვებენ. წადი, მიძხედე იმ საწყალო
ქალს, დავით ბატონი ემუქრება — ავსასხ-
ლებო ამ მიწიდან. ტუნი-სირაჯი დაბრუნ-
და და ნესტან-ქალს ულოლიავენს. შაშვიან-
ში თქვენი ძროხა ვერანა მგელს დაუგლე-
ჯია, წადი, ბიჭო, ვე იარაღი იმ მგლები-
სთვის გამოგადგება. თუ მავ ჩექმებით ვერ
ივლი და გზაში დაგცვივა, წაიღე ჩემი ბა-
თინქები რა მენადღლება. ოღონდ წადი, აქ
უგზოუკვლოდ დაიწვი და გავერანდები.
შენ „ვაი-დედას“ ვინ გაიგებს ამ ტრამა-
ლებში... წადი, ლექსო!.. წა.. დი წა.. დი...

ამ ჩურჩულს და გალობას უეცრად ხის კენ-
წეროზე თოფის გრიალი და ტყვიების ზუ-
ზუნი გაწყვეტავს. ხმაური თოვლის ფანტე-
ლებს ჩამობერტყავს ხიდან. ტოტებზე დუ-
რბინდი ჩამოსრიალდება, ქვედა შტოზე
გამოებნება თასმით და აქანავდება. ხმაუ-
რით დაფეთებული ლექსო ფეხზე წამოიჭ-
რება. ჯერ ბათინქები შეეჩხირება თვალე-
ში და უკან დაიხვეს, მერე აქანავებულ დუ-
რბინდს დააშტერდება და სახარლად შეკ-
ყვირებს.

ლექსო — ლუკიჩ!

(სევასტიანოვი მძიმედ დაეშვება ხიდან
და ზურგით მიეყრდნობა მუხას)

ლექსო — (მივარდება სევასტიანოს)

ლუკიჩ, ვე რა პქენი, ლუკიჩ.

სევასტ. — დამჭრა, ძაღლმა! (თავს ჩა-
ქინდრავს)

ლექსო — (თოფს წამოავლებს ხელს.
ტყვიას ლულაში მისცემს. შემოტრიალდე-
ბა და მიდის. ნაბიჯზე ეტყობა, რომ ანგა-
რისს არ აძლევს თავის საცვიოს)

სევასტ. — (მიუხვდება რომ ეს ისტე-
რიაა. ჯოჯოხეთში მოხვედრილი ახალგა-
ზრდა ყმაწვილის ისტერია. უკანასკნელ ძა-
ლას მოიკრფის. ბუდიდან რევოლვერს იძ-
რობს. სიტყვაშეუბრუნებელი ბრძანების
კილოთი) Солдат, стой! Стрелять бу-
ду!

ლექსო — (ამ შეძახილზე შეჩერდება.
ერთ ადგილას გაიყინება)
სევასტ. — (გრძნობს რომ გადამწყვე-
ტი წუთია. კიდევ ნაბიჯიც და ლექსო მტრის
სამიზნეს წვერზე მოხედება) საით, ლექსე,
მტოვებ დაჭრილს... (ძალა გამოეყლებ.
ჩაიკვავს. რევოლვერი ხელიდან გაუვარ-
დება)

ლექსო — (გონს მოვა. შემოტრიალდე-
ბა. თოფს გადაადგებს. მივარდება სევას-
ტიანოს.) რა ვქნა, ლუკიჩ! (უშწოდ და-
კყურებს)

სევასტ. — (წამოიწვეს. მიმოიხედავს)
ნისლი წვება თუ მე ვკვდები ვერ გამი-
გია...

ლექსო — (დაიჩოქებს. სინჯავს) ჩუ-
მად, წყნარად, აი ხედავ თავში ხარ დაჭ-
რილი.

სევასტ. — გათავებულა ჩემი საქმე.

ლექსო — სმირნა, სალდათო, ეგენი არ
იყოს. (ჩანთიდან ბინტს ამოიღებს, უხვევს
ჭრილობას)

სევასტ. — აქ, უბეში ერთი პატარა
წიგნი მაქვს და ის ამომიღე.

ლექსო — (უბეში ჩაუყოფს ხელს და
პატარა წიგნს ამოიღებს)

სევასტ. — შეინახე. კარგად დამალე. ე
მავ პატარა წიგნისათვის ჯარისკაცებს ასა-
მართლებენ და ხვრეტავენ. როცა დრო გქო-
ნდეს, წაიკითხე. გარდა მაგისა შიდა ყდა-
ზე მისამართია მიწერილი. ხმა მიაწვდინე
ჩემს შესახებ. აცნობე შენი მისამართიც.
წიგნისათვის უსათუოდ მოგაკითხავენ. გა-
უფრთხილდი თვალისჩინივით გესმის, ლე-
ქსეი... (დაიკვნესებს) თავბრუ მესხმის.
ამისხენი ნისლია თუ მე მეჩვენება.

(გარემოს თანდათან ნისლი ედება)

ლექსო — ნისლი წვება, ივან ლუკიჩ!

სევასტ. — ჰოდა, შენთვის კარგია ეგ.
როცა მაგრა დაინისლება, მარჯვნივ წადი.
ფოფხვით იარე. იმ სულძაღლმა არ შეგა-
მჩნიოს. მინდორს ირთბად თუ გადასტრი,
ხვეში ჩახვალ. ხვეს დაკყვი, თითონ ჩაგი-
ყვანს ჩვენს სანგრებთან. იქ შენ იცი...

ლექსო — (მტკიცედ) უშწოდ, ლუკიჩ,
მე აქედან ფეხსაც არ დავმრავ.

სევასტ. — ლექსეი, ვალდებული ხარ
ჩემი ბრძანება შეასრულო.

ლექსო — (იყურება. უსმენს) ნისლი ჩამოწვა, აღარაფერი აღარა ჩანს, აღარაფერი აღარ იხმის.

სევასტ. — ახლა ჩქარა ზარბაზნები დაიქუსებენ, წადი სწრაფად. მე და ტინოშა აქ დავარჩებით, არაფერია.

ლექსო — არ წავალ-მეთქი, ივან ლუკინ, აკი გითხარი.

სევასტ. — (მისუსტებული) შიში წაგიყვანს, აქ ათ წუთში ჯოჯობეთი დატრიალდება. იმათ ჭკონიათ ჩვენ ბევრნი ვართ. ჰოდა, წადი. უფროსი ნახე, მოახსენე — მტრის განლაგების წინა ხაზზე საგანგაშო არაფერი შეიმჩნევა-თქო. კიდევ უთხარი, თქვენი რიგითი ჯარისკაცი ტიმოფეი სიმონისძე ავდენკო და ზემდგვი სევასტიანოვი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა-თქო. სიტყვა სნაიპერი არ გამოგჩეს, დაიმახსოვრე... (დაილალა. დაიგმინაგს) ჰო, დედაშენს აღარ მისწერო რაც

გითხარი, რა საჭიროა ტყუილები... (გონს კარგავს)

ლექსო — (შეაჯანჯლარებს) ივან ლუკინ, მარტო ნუ მტოვებ, მეშინია!..

სევასტ. — (ბოდავს) ცეცხლი!

(სიზუმეს ზარბაზნების ქუხილი შეანძრევს. ზალბის ალი ბუნდათა სერის გარსგამდგარ ნისლს. ლექსო ხვს ეკვრის. კანკალებს. დახედავს ტიმოშას ბათინქებს. დასწვდება. მიიტანს ტიმოშასთან და ფეხთით დაუწყობს. ისევ ზარბაზნების გრგვინვა მუხა შეირხვევა. თოვლის ფანტელები ცვივა მიწაზე. ლექსო დაჭრილ სევასტიანოვს მიფარდება, ზურგზე წამოიკიდებს და მიდის მძიმედ, წელში მოხრილი. ტვირთწამოკიდებული ლექსოს სილუეტტი ნისლში იცრიცვება. ზარბაზნების გრგვინვას თავაწყვეტილი ბოშური სიმღერა სცვლის. სიმღერის ტემში ძლიერდება და გარემოს ედება.

დასასრული მეორე ნოველისა

ნოველა მისამა

„სამთისტომო გზაჯვარედინზე“

მოქმედი პირნი:

ლევან აწყურელი.

ნატაშა პალეცკა — ბალერინა.

ლექსო — დაჭრილი ჯარისკაცი.

საშა — ოფიციატის როლში.

ოთარი — სამხედრო ექიმი.

ტუზი

გენერლები. რევოლუციონერები. მგზავრები.

ეთორჟი — უცხოელი მეღვინე, კომერსანტი.

ლიზა — მანდილოსანი.

სერგეი — ლიზას ქმარი.

ელენ — ქალი წინა მაგიდასთან.

ელენის თანამესუფრე.

ლულუ — მეძავი ქალი.

შვეიცარი — მგაარე.

მუსიკოსები ორკესტრიდან. ოფიციატები.

თავაწყვეტილი ბოშური სიმღერა. რესტორანი რუსეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქში. რკინიგზის სადგურის ახლო ან, იქნება, თითონ ვოგზალში, ჩადგან რესტორანში ხშირად შემოიქრება ხოლმე მიმივალი და მომივალი მატარებლის ვანგაში. ორთქლმავლების კვილი. რკინიგზის ზარის ხმა და მორიგეს შეძახილი, რომელიც მატარებლების სელის ვანრიგს აცხადებს. ეს ეტუობა საკვანძო სადგურია. აქედან მიდიან ფრონტისკენ გზები.

რესტორანის საერთო დარბაზი სუფრაგადაფარებული მაგიდებით და ქურქულვაწყობილებით. დარბაზის მარჯვნივ და მარცხნივ ცალკე კაბინეტები. დარბაზის სიღრმეში აბაღლებული ესტრადა მსახიობებისათვის. მარჯვნივ ესტრადასა და პირველ კაბინეტს შორის სადარბაზო შემოსასვლელი რესტორანში. მარცხნივ ასეთვე შემოსასვლელი მომსახურე პერსონალისთვის. ესტრადა და კაბინეტები ღია მზრიდან, როცა ეს საჭიროა მოხატული ფარდებით იხურება. დარბაზის ოთქმის ყველა მაგიდა დაკეპებულია. აქ არიან ფრონტიდან დაბრუნებული ოფიცრები. მაღალი წოდების ჩინოვნიკები. ბოქმეა. სპეკულიანტები. როსკიბები. ესტრადაზე თავაწყვეტილი სიმღერა და ცეკვა. ამ ხმაურს ორთქლმავლის კვილი და სადგურში შემომავალი მატარებლის ხმაური ფარავს. მუსიკა წყდება.

შვეიცარი — ჩამოდა სანიტარული მატარებელი ბობრუსკიდან. გაჩერება 28 წუთი!

მანდილოსანი — (მეორე მაგიდასთან. შეერთება. შეხედავს მაგიდაზე ჩამოძინებულ თანამგზავს, აღვიძებს) სერგეი, სანიტარული მატარებელი ბობრუსკიდან. სერგეი, გაიღვიძე, იქნება აქ არის ჩვენი ვოვა. იქნება ღმერთმა გადმოგვხედოს, სერგეი!

სერგეი — (შეირხვევა. თვალბმული). როდის გაძლება შენი ღმერთი, ჩემო ლიზა, ხალხის სისხლით და ვარაშით მანდ. — (პირჯვარს გადაიწერს) ნუსცოდავ, სერგეი, ჩემი ღმერთი შენი ღმერთია. ადგე, წამოდი!

სერგეი — მიმიფურთხებია ყველა ღმერთებისათვის... აი, ასე... (ჩამოძინება მაგიდაზე. მანდილოსანი ხელს ჩაიქნევს და გარბის).

ქალი წინა მაგიდასთან — (თანამესუფრეს) კიდევ ერთი სანიტარული მატარებელი, ღმერთო ჩემო, ეს მერამდენა დღეს?

თანამესუფრე — (შეჭეფიფიანებულნი) ვინ მოსთვლის, ქალბატონო ელენ, რუსეთი დიდა და სანიტარულ მატარებლებს ყველგან გზა აქვთ. დავლით, ელენ! (სვამენ).

მარჯვენა კაბინეტის ფარდა იხსნება. გაშლილ სუფრასთან სხედან: ორი გენერალი და ორი უმაღლესი წოდების სამოქალაქო პირი. სვამენ, მაგრამ სიმთვრალე არ ეტყობათ.

პირველი გენერალი — სანიტარული ბობრუსკიდან. ცხარე ბრძოლებია ყველგან.

მეორე გენერალი — განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე.

პირ. გენ. — ვერდენი გადარჩა, ბატონებო, ეს უდიდესი გამარჯვებაა მოკავშირეთა ჯარებისა.

მეორე გენ. — უწინარეს ყოვლისა, ბატონებო, რუსეთის ძღვეამოსილი არმიისა, არ დაგაიწყდეთ.

პირ. გენ. — დიახ, ჩვენმა მედგარმა შეტევებმა სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე, გერმანელები აიძულა მოესხნათ ალყა ვერ-

დენზე და უკეთესი ნაწილები საბრძოლოვლად რუსეთისკენ გადმოგროვდნენ.

მეორე გენერალი — რა ხატქმულია, გადავარჩინეთ საფრანგეთი საშინელი განსაცდელისგან. ისტორია ჩვენ გმირობას არ დაივიწყებს, მაგრამ...

პირ. გენ. — (გააწყვეტინებს) არავითარი მაგრამ. რუსეთი უკან არ დაიხვეს. უნდა ვიბრძოლოთ საბოლოო გამარჯვებამდე. ბოლოს და ბოლოს გალიცია ჩვენი ხვედრია. დარდნელი უნდა გაიხსნას. ოსმალთმ უნდა დაიჩოქოს და უარი თქვას იმპერიის კავკასიაზე.

მეორე გენერალი — ბატონებო, არ-ზრუმის და ტრაპეზუნდის დაცემის შემდეგ, ჩვენ სარდლობას გზა ხსნილი აქვს სტამბოლისაკენ. ჩქარა აღბათ აიასოფიას გუმბათებზე ჩვენი დროშა აფრიალდება. (ასწევს ტიქას) გაუმარჯოს რუსეთის ძღვეამოსილებას! (ყველანი სვამენ).

პირ. მოქალ — ბატონებო, მე მაშინებს შინაგანი უთანხმოება. ბზარი ერის მთლიანობაში გარეშე მტერზე ძლიერია.

მეორე გენერალი — ვერ გავიგე, სად ხედავთ ბზარს?

პირ. მოქალ. — მემარცხენე სოციალისტები ულიანოვის მეთაურობით მუშათა კლასს და გლეხობას აქეზებენ ჩვენს წინააღმდეგ. ლენინს უნდა ჯარმა იარალი ჩვენ წინააღმდეგ შემართოს და ბრძოლის ველს ზურგი აქციოს.

მეორე გენერალი — თუ ცხრაას-ხუთი დაავიწყდათ, ჩვენ შეგვიძლია გავახსენოთ.

პირ. მოქალ. — ვინც სისხლსა ღვრის მეფისა და იმპერიის ძლიერებისთვის, მას სისხლის ღვრა აღარა სურსო, აცხადებენ ბოლშევიკები. ამბოხებით გვემუქრებიან.

მეორე მოქალაქე — (ხელს ჩაიქნევს) ცუდად მუშაობს პოლიცია, ძალიან ცუდად!

პირ. გენ. — (წამოდგება სასვე ტიქით ხელში) ტყვია გულში, ბატონებო, რუსეთის ყველა მოღალატეს!

(ყველანი წამოდგებიან. სვამენ. მარჯვენა კაბინეტის ფარდა იხურება. იხსნება მარცხენა კაბინეტის ფარდა. მაგიდას სამი რევოლუციონერი უხის. მაგიდაზე რამდე-

ნიმე ბოთლი ღვინო და საუზმე. ჭიკები საესეა ღვინით. არა სვამენ-

პირველ. — ამხანაგებო, როგორც ცნობებით დასტურდება, ვერდენტან ბრძოლამ საფრანგეთში მილიონამდე ადამიანი შეიწირა.

მეორე რევოლუც. — სამაგიეროდ კრუპის ფირმამ ასეული მილიონობით მოგება მისცა ზარბაზნების დამზადებაში იმავე კრუპს.

მესამე რევოლუც. — გამოდის, რომ თითო მკვდარსა და ინვალიდს, კრუპის ფირმა სარფიანი მოგებით ჰყიდის.

პირ. რევოლ. — ამერიკის კომპანიებმაც ოქროს მომცემი ახალი ძარღვი იპოვეს და ამ ბრძოლებში დახოცილთა ლეშით ძღვებიან. კოლორადო აღარ სჭირდებათ.

მეორე რევოლუც. — არც სხვა ქვეყნების მონოპოლისტთა კონცერნები ჩამორჩებიან ამერიკას. ყველა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანა სიკვდილის ცვლით ვაჭრობაში. აუქციონში მონაწილეთა აზარტსა ჰგავს ეს ყველაფერი.

მესამე რევოლუც. — მართალია. (ჩანგალს ასწევს) ვერდენტან ერთი მილიონი მოგება. ერთი მილიონი. ვის სურს მეტი?... (ჩამოჰკრავს ჩანგალს ბოთლზე) ერთი... (კიდევ ჩამოჰკრავს) ორი...

მეორე რევოლუც. — სომხის ბრძოლებთან მილიონნახევარი ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე.

მესამე რევოლუც. — დიამ. ყურადღება. მოგება ორი მილიონი. ვის სურს მეტი? (ჩამოჰკრავს ბოთლზე ჩანგალს) ერთი...

მეორე რევოლუც. — ახლა მსხვერპლი რუსეთის ველებზე დაღუპულნი ოსმალეთის მთაგრეხილებში.

მესამე რევოლუც. — (მოისვრის ჩანგალს) როდემდის ეს, და ვისთვის ეს!.. გაგიჟდება ადამიანი!

მეორე რევოლუც. — რა ენაღვლევათ კაციჭამია კომპანიებს. იმედი აქვთ მოგებიდან თავის ულუფას მიიღებენ ამ ბაზრობის დამთავრებისას.

პირვე. რევ. — ამ მოგებიდან ხალხს რა რჩება თქვენ ის უნდა იანგარიშოთ.

მეორე რევოლუც. — ვბადგოლია. თუ გროში აქვთ — პურის დუქნებთან რიგში დგომა და თუ ბურთის დუქანთან აქვთ — შიმშილი, ცრემლი, მათხოვრობა და სიკვდილი.

პირვე. რევ. — არაფერია, მეგობარო, თქვენა გგონიათ არ ვესება მოთმინების ფიალა ხალხს? არა ბობოქრობს და არა დულს? მთავარია ეს ბობოქრობა ჩვენ დაურაზმით რევოლუციის გამარჯვების საკეთილდღეოდ. (რალაც ქალადებს ჯიბიდან ამოიღებს) რა ამბებია ფრონტის ხაზზე. როგორია ამ ბოლო დროს ჯარისკაცთა განწყობილება, ან ჩვენთან და ან მტრის ბანაკში?

მეორე რევოლუც. — ზოგმა ცნობები მოგვაწოდა და ზოგი სდუმს.

პირვე. რევ. — მაგალითად?

მეორე რევოლუც. — სევასტიანოვი არაფერს გვწერს, რა დაემართა ვერ გავიგეთ.

პირ. რევ. — მე მივიღე ბობრუსკიდან ერთი უცნობი ჯარისკაცის წერილი და ის მატყობინებს სევასტიანოვი დაიჭრაო. შეხვედრას მოხოვს. აქ დაეიბარე დღეისთვის და საცაა ალბათ გაჩნდება. (დაიხუდავს საათზე) სხვები რაღას გვატყობინებენ.

მეორე რევოლუც. — (ამოიღებს ქალადს) ტიმოფეევი გვატყობინებს. ფრონტზე ამჟამად სიწყნარეა. ჯარის ყველა განაყოფებში მუშაობა გააჩაღეთო. ეს დაშიფრული სიბეა. (გადასცემს)

მესამე რევოლუც. — გრიგორიევი მოკლდა გვწერს. ტყვედჩავარდნილ ჯარისკაცებს დაუკავშირდით, გერმანელთა მშრომელების ფართო ფენებში ომისადმი საპროტესტო განწყობილება იზრდებაო.

მეორე რევოლუც. — (გადასცემს ქალადს) ცნობებია. საფრანგეთის არმიასი აქა-იქა ჯარისკაცთა საბჭოები აურჩევიათ.

მესამე რევოლუც. — ვეროპაში გაფიცების ტალღა იზრდება. ბოლო არ უჩანს საპროტესტო დემონსტრაციებს. (გადასცემს წერილს)

მეორე რევოლუც. — გახშირებული შემთხვევები, ფრონტის ხაზზე, მოპირდაპირ-

რე ბანაკების ჯარისკაცთა დაძმობილების.
(გადასცემს) მნიშვნელოვანი ცნობები.

(კარებზე ფრთხილი კაკუნი ისმის. კა-
ბინეტში მყოფნი ქაღალდებს შეინახავენ.
სავსე ჭიქებს გადასწვდებიან)

პირვე. რევე. — (კარებისკენ) დიახ!

(შემოდის ოფიციატის ტანსაცმელში
გამოწყობილი საშა)

საშა — (პირველ რეველოციონერს) ჯა-
რისკაცთა შერთან. სევასტიანოვისაგან.

პირვე. რევე. — შემოიყვანე და შემოდი.

(კარებს გააღებს. ლექსოს შემოუსვებს.
უცქერის თითქო სადღაც უნახავსო. ლექს-

ოსს მარცხენა ხელი შეხვეული და ჩამო-
კიდებული აქვს თასმით)

ლექსო — (თავს უხერხულად გრძნობს.
არ იცის როგორ მოიქცეს, სამხედრო წესით
თუ ჩვეულებრივად) გამარჯობათ...

პირვე. რევე. (სკამზე მიუთითებს) გავი-
მარჯოს. მოდი. დაჯექი.

ლექსო — (ჩამოჯდება სკამის ნაპირზე)

პირვე. რევე. — საიდანა ხარ, მეგობარო?

ლექსო — (წამოდგება) საქართველო-
დან, ბატონო უფროსო.

პირვე. რევე. — დაჯექი და ბატონებს თა-
ვი დაანებე.

ლექსო — (ჯდება)

პირვე. რევე. — რა გჭვია, ყმაწვილო?

ლექსო — (წამოდგება) ალექსანდრე
დედაბრძვილი. ისე კი ლექსოს მეძახიან.

საშა — (დააცქერდება) რომელი სოფ-
ლიდან, ბიჭო?

ლექსო — (შეხედავს) აწყურიდან. მე
თქვენ გიცნობთ, ერთხელ იყავით ჩვენ-
თან ხტუმრად.

საშა — დაიცადე, (იგონებს) შენ მართას
ბიჭი უნდა იყო, არა?

ლექსო — დიახ.

საშა — (ხელს მოხვევს) გაზრდილხარ
და დაკაცებულხარ. (პირველ რეველოცი-
ონერს) კარგი ბიჭია, მთელი სოფლის ფა-
ლავანია.

პირვე. რევე. — ყოჩაღ. (ამოიღებს ჯიბი-

დან ბარათს) ეს შენ დაწერე თუ სხვას
ვისმე დააწერინე?

ლექსო — (მორცხვად) შეცდომებია,
ბატონო უფროსო?

პირვე. რევე. — არის, მაგრამ აზრიც არი
გადმოცემული. სად ისწავლე ასეთი რუ-
სული?

ლექსო — ჩვენ სოფელში, თავადის კარ-
ზე ვიზრდებოდი, იქ მასწავლეს ცოტაოდუ-
ნი. მერე ჯარშიაც გავიწაფე.

პირვე. რევე. — ძალიან კარგი. ეგ პირა-
დი. ახლა საერთოს დაუბრუნდეთ. დაჭრი-
ლი ხარ?

ლექსო — დიახ, მკლავში.

საშა — (გახარებული. თბილად) მიემგ-
ზავრები მაშ აწყურში?

ლექსო — (ნალელიანად) არ გამიშვებს.
ოთხი დღე მომცეს, ისიც ხვეწნით, ძაან მიწ-
დოდა თქვენი ნახვა და ლუკიჩის დანაბარე-
ბის შესრულება.

პირვე. რევე. — როგორ არი, ან სად არი
სევასტიანოვი?

ლექსო — დაჭრილია ძალიან მძიმედ.
ცეცხლის ხაზიდან როგორც იყო, გამოვიყ-
ვანე. მერე სანიტრებს ჩავაბარე. მერე დავ-
კარგე. და ვედარ ვიპოვე.

საშა — რომელიმე პოსპიტალში მოათავ-
სებდნენ.

მეორე რეველოუც. — თუ საცოდავი
სევასტიანოვი გადარჩა, თითონ გვიპოვის,
ყოჩაღია.

ლექსო — გადარჩება. იცით როგორი მა-
გარია. როგორც მუხა.

(ყველას გაეცინება ამ უშუალო წამოძა-
ხილზე)

პირვე. რევე. — შენა, ლექსო. წელან რა-
ღაც დანაბარები ახსენე და...

ლექსო — (წამოფრთხილდება) პო!
(უბიდან წიგნს ამოიღებს) ეს, ეს წიგნი
უნდა გადმომეცა სევასტიანოვის დავალე-
ვით.

პირვე. რევე. — (გამოართმევს. გადაშლის.
კითხულობს) (შეხედავს ლექსოს) წაი-
კითხე?

ლექსო — წავიკითხე.

პირვე. რევე. — მოგეწონა?

ლექსო — ის, რაც გავიგე, მომეწონა. დორდიანის გადასწორებას აპირებს და კარგია ეგ.

პირვე. რევე. — როგორ?

ლექსო — როგორ გითხრათ. ივან ლუკიჩი რო იყო აქ, ის ავიხსნიდათ. აი, უბრალოდ, მეც ვეცდები. ჩვენმა თავადმა დედაჩემს მიწა მიუხსომა პურისცხოებაში. სულ კი არ მისცა, დროებით მისცა. უნდა დაგეტოვებს — უნდა აგვეყრიოს. ერთი სიტყვით, დედაჩემის თქმისა არ იყო, იმ მიწაზე, როგორც ტივზე, ისე ექანაობთ. არ ვიცი როდეს ჩასძირავს და ჩაგვიტანს თან. ლენინი ამბობს უსამართლობას ვებრძოლოთ და უმიწაწელოს მიწა მიეცეთო.

მეორე რეველო უც. — ყოჩაღ, ბიჭო!

ლექსო — (გათამამებული) მაგრამ, აბა, გამოვა ეგ?

მეორე რეველო უც. — ვითომ რატომაც არ გამოვა?

ლექსო — იმათ ფული აქვთ, წოდება აქვთ, განათლება აქვთ. ჩვენ?

მესამე რეველო უც. — სამაგიეროდ ჩვენ ბევრნი ვართ, ძალა ჩვენშია!

ლექსო — ჰო, ეგ კია!

პირვე. რევე. — ამხანაგებო, დღეისათვის ერთი გვრჩება გადასაწყვეტი — ეს ცნობები ვისი ხელით გადავაგზავნოთ კომიტეტში?

მეორე რეველო უც. — (უყურებს ლექსოს) იქნებ ლექსო გამოვიყენოთ. დაჭრილია. ეჭვს ამ ბიჭზე ვერაფერი მიიტანს.

პირვე. რევე. — კარგი აზრია. მე მხარს ვუჭერ. საშა, დააბინავე და ეცადე პეტროგრადის რომელიმე ჰოსპიტალში გადაიყვანონ. დაჭრილია და ჩვენ ეჭიმებს საფუძვლიანი საბაბი აქვთ. შენა, ლექსო, თანახმა ხარ?

ლექსო — თუ მიბრძანებთ?

პირვე. რევე. — ძალიან კარგი. ამ დღეებში მოგინახულებ. საშა, (გაუწეღის წიგნს) აქ, ცნობებია. გაშიფრე და გამომიგზავნე. (ადგება. ტიქას აიღებს) ლექსოს დაუსხით. (ყველას) ამხანაგებო, ჩვენ დიად საქმეს გაუმარჯოს! (ტიქებს ერთმანეთს მიუჯახუნებენ. იხურება კაბინეტის ფარდა).

საერთო დარბაზი. ისმის მიმავალი მატარებლის ხმაური და ორთქლმავლის ჩაყვირის ხმა, რომელიც თანდათან გვეწორდება. ჭალი ქანაობს. მატარებლის ხმაურს ბოშების ტემპიანი სიმღერა სცვლის. ესტრადის ფარდა იხსნება. ასრულებენ ახალ მუსიკალურ ნომერს. დარბაზი ისევ ხალხით ივსება. მეორე მაგიდასთან მძინარე სერგეის გაედვიძება. ფეხზე წამოიჭრება. ეტყობა ცუდი სიზმარი ნახა.

სერგეი — (ხალხს ისტერიულად) ჩემი ვოვა, საწყალი ბიჭი. ჩემი ლურჯთვალე ვოვა, იქ სადღაც ბრძოლის ველზე გდია. ესენი კი ყვავებივით ჩხავიან აქ. გააჩუმეთ, ხალხი არა ხართ, ღვთის გულისათვის გააჩუმეთ. (წაბორძიკდება. ლულუს სკამს დაეჯახება) უკაცრავად, მადამ. (დააშტერდება) თქვენ გყავთ შვილი?... (ხელს ჩაიქნევს) არა, თქვენ არა გყავთ შვილი. თქვენ... თქვენ... სიყვარულით ვაჭრობთ. დიას... დიას... კოცნას ჰყიდით. რა გუყოთ მერე, ყველა კაცი უხათოდ რაღაცას ჰყიდის ცხოვრებაში. (ესტრადის მსახიობებზე) ეს ციგნები სინდისსა და პატიოსნებას... გააჩუმეთ. (ბოთლს წამოავლებს ხელს. ესტრადაზე სიმღერა წყდება. ფარდა იხურება)

ლიზა — (შემოვა დარბაზში. დიანახავს აფორიაქებულ ქმარს. მიხვდება ყველაფერს. მივარდება ბოთლს, წაართმევს) დაწყნარდი, სერგეი, დაწყნარდი-მეთქი, შეურჯულო!

სერგეი — (ხალხს ცოლზე) აი, ესეც, წმინდა ნიკოლას მოლოზანი, ესეც ჰყიდის, გთხოვთ იცნობდეთ, ჩემი მეუღლეა, ჩემი მოთმინებით ვაჭრობს.

ლიზა — (მუდარით) წავიდეთ, სერგეი! (სადგურში მატარებელი შემოდის)

შვეიცარი — (შეირხვეა) ჩამოდგა ჩქარი. თბილისი-პეტროგრადი. გაჩერება თვრამეტი წუთი.

(ლიზას მიჰყავს სერგეი. დარბაზში შემოდის ტუზი პატარა ჩემოდნით ხელში. შეეჩებება მიმავალ წყვილს)

სერგეი — (ბარბაცებს, ტუზს დააშტერდება მაი...მუ...ნი.

ტუზი — (გაკვირვებული) ვინა... ეს მე?

სერგეი — (თითს დაუქნევს) По...длец!..

ტუზი — ვა! ერთი შეხედვით როგორ მიხვდი, господин пяница.

(ლიზას კარისკაცის დახმარებით სერგეი გააყავს)

ტუზი — (კარისკაცს ჩემოდანს გაუწვდის) შემიჩანს. ვინ იყო ვე გიჩი?

კარისკაცი — (ხელს ჩაიქნევს)

(ტუზი ათვალეირებს დაბრახს. ეძებს თავისუფალ მაგიდას. თვალს შეაელებს ლულუს. ლულუ გაუღივებს)

ტუზი — (მიუახლოვდება ლულუს მაგიდას) შეიძლება, ჩიტო?

ლულუ — (მინაზეული) აქ უხერხულია, იქნებ კაბინეტში ჯობდეს?

ტუზი — (ჯდება) არა, ჩიტო, მე აქ უნდა შევხვდე ნაცნობს.

(ხელს მოუცაცუნებს ლოყაზე. დაგვირგება).

ლულუ — უსინდისო!

ტუზი — ვა, ეს ისევე მე?

ლულუ — არა ის უხრდელი ვირი, თქვენ რომ დაგეჟანათ წელან.

ტუზი — რაო ვითომ?

ლულუ — კოცნას ყიდიო, ალერსს ყიდიო, ეგ როგორ მკადრა საზიზღარმა.

ტუზი — შენ უყურე! შერე, ბითუმად ჰყიდი თუ ცალობით?

ლულუ — რასა, გიჟო?

ტუზი — (იმავე კილოთი) კოცნას, ჩიტო!

ლულუ — ვიცნობდეთ ერთმანეთს. (გაუწვდის ხელს!) ლულუ!

ტუზი — (ჩამოართმევს) ძალიან კარგი. მე ტუზს მეძახიან. (კოცნის მკლავზე) (რესტორანში შემოდის ლევანი ბალერინას და ფრანგი ღვინის მოვაჭრის თანხლებით. მათ დანახვაზე კარისკაცი კიდევ უფრო გაიჭიმება. რამდენიმე ოფიციანტი მოწინებთ მიუახლოვდება სტუმრებს)

ლევანი — (იხდის ხელთათმანებს. ერთ-ერთ ოფიციანტს) კაბინეტი!

ოფიციანტი — გახლავთ კაბინეტი.

(მიდის მარჯვენა კაბინეტისაკენ)

ტუზი — (წამოდგება. ლულუს) დამაცადე, ჩიტო!

ლულუ — ლულუ.

ტუზი — ჰო, ლულუ იყოს, სულერთია. (მიდის ლევანთან)

ლევანი — (შეაწრევს მისკენ მიმავალ ტუზს. შეეგება. გვერდზე გაიყვანს) ჩამოხვედი?

ტუზი — როგორც მიბრძანე. წუთი წუთზე. (შეათვალეირებს ქალს, რომელიც თავისი ტუალეტით არის გართული) ვაჰ, კნიაჟან, ერა კაკაბი გიპოვინია.

ლევანი — სუ!

ტუზი — ვა, სერიოზნათ?

ლევანი — ჩემი საცოლვა.

ტუზი — იფ... მამილოცნია, გენაცვალე. (ხელს გაუწვდის)

ლევანი — (არ ართმევს ხელს. ფრანგზე უჩვენებს) ეს ის ფრანგია, მე რომ გწერდი. ღვინოებს ყიდელობს. მსოფლიოში განთქმული ფირმისთვის.

ტუზი — ვა... ჩემსავით სირაჯი ყოფილა.

ლევანი — მოეთათბირე. შევეატრე. მხოლოდ იცოდე საზღვარგარეთ ღვინოები გავიდეს ჩემი სახელით და ჩვენი გვარეულობის ღერბით.

ტუზი — ჰო, მარკით, რა. (თითით ჰაერში წერს) Из подвалов князей Аккурских точка. Кахетия!

ლევანი — ჭაშნიკები სულ გაგასინჯე. ერთი კვირაა გონზე არ მოსულა. თითო ბოთლი სინჯათაც წაიღო. არ ითაღლითო, ვერაფერში ვერ მოატყუებ.

ტუზი — მე და ტყელი, რასა ბრძანებთ!

ლევანი — (მოკიდეებს ტუზის ხელს. მიიყვანს ბალერინასთან და ფრანგთან, რომლებიც რაღაცაზე ლაპარაკობენ) მუსიე ჟორჟ, ეს გახლავთ ჩემი რწმუნებული, გთხოვთ იცნობდეთ. იმედი მაქვს მოითათბირებთ და ყველაფერში შეთანხმდებით. (ჟორჟი და ტუზი ესალმებიან ერთმანეთს. ლევანი გზად მიმავალ ხაშას) ამათაც ერთი კაბინეტი! (მიუბრუნდება ბალერინას, მკლავს შესთავაზებს და მარჯვენა კაბინეტში მიჰყავს)

ტუზი — (ღვინით მოვაჭრეს) ერთი წუთით! (კარისკაცს) მომეცით ჩემი ჩემოდანი.

(კარისკაცი მიაწვდის ჩემოდანს. საშა ტუზისა და ჟორჟს მარცხენა კაბინეტზე მიუთითებს. მიდიან. ლულუ, რომელიც აქამდე დაძაბული უთვალთვალებდა ტუზის, უკან ადევნება მათ. ტუზი შეამჩნევს. საშა სტუმრებს კაბინეტის კარებს გაუღებს. ჟორჟს წინ გაუშვებს. ლულუსაც უნდა კაბინეტში შესვლა. ტუზი გადაუღობავს გზას)

ტუზი — აბა, ჩიტუნია, გაგვრეთ! (შედის კაბინეტში, კარს მიიხურავს)

საშა — (სიბრაღულით) შე საწყალო, დღეს რაღაც ბედი არა გწყალობს.

ლულუ — подумаеть!.. (გაეის ქნევით თავის მაგიდას უბრუნდება. დაღლილი დაეშვება სკამზე. მაგიდას იდაყვით დაეყრდნობა და მხრები აუცახცახდება)

ქალი წინა მაგიდასთან (შეამჩნევს ლულუს აცახცახებულ მხრებს) ტირის...

თანამესაუბრე — (გადახედავს ლულუს) დღეს მთელი რუსეთი ტირის, პალატონო ელენ! (ჭიქებში შამპანურს ასხამს) ვიტყვით ჩვენც. (სვამენ)

(შემოდის სამხედრო ექიმის ფორმაში გამოსწყობილი ოთარი)

საშა — (დაინახავს ოთარს. მიდის ხელგაწვდილი მისკენ) როდის ჩამოსველი ოთარ? (ეჭვება)

ოთარი — ეს-ეს არის დაჭრილების ეშვლონი ჩამოვიყვანე. დაღლილი ვარ. მშინერი, დასვი სადმე და რამე მაჭამე.

საშა — მოდი, ჩემო კარგო, მოდი. (წამოიყვანს წინა კუთხეში გამოდგმულ მაგიდასთან) აი, ამ კუთხეში უფრო სიწყნარია. (ოთარი ჩამოჯდება. საშა გვერდზე მდგომ ოფიციატებს მიიხმობს) სტიოპა, ეს მგონი შენი მაგიდაა. მოემსახურე ჩვენ ექიმს და შენებურად გაუმასპინძლდი.

სტიოპა — (ოთარს) რას მიირთმევთ?

ოთარი — სულერთია, რამე ბევრს და გემრიელს. (ოფიციატი გადის) შენც დაჯექი, რას ატუზულხარ.

საშა — არა, ჩემთვის არ შეიძლება!

ოთარი — რამდენი ხანი გაგრძელდება ეს კომედია. სად შენა და სად რესტორანი. ამისთანა გზაჯვარედინზე ინტერესთა მღელვარებანი უფრო იოლად შეიმჩნევა?

საშა — საქმესა სჭირდება, ოთარ. შენ რასა იქ. ფრონტზე ისევ? (გაუწვდის ოთარი — არა, ამჟამად შეტრიალდა და დაჭრილების ერთი ნაწილი პიტერში უნდა ჩაიყვანათ. ამ დღეებში გადაარჩევენ დაჭრილებს და...)

საშა (რაღაც გაახსენდა) ეგ კარგია, ძალიან კარგია. იცი, ოთარ, ვინ არის აქ? ოთარი — არა.

საშა — დამაცადე. ახლავე გაიგებ. (მიდის)

(ოთარი გაკვირვებით გაკბედავს მიმავალ საშას. ოფიციატს სინით მოაქვს საჭმელ-სასმელი. შლის სუფრას)

სტიოპა — დამატებით თუ რამეს ინებებთ, მე აქა ვარ. (მიდის)

(ოთარი მადლიანად შეექცევა საჭმელს) (იხსნება კაბინეტის მარცხენა ფარდა. ტუზი-სირაჯი და ჟორჟი)

ტუზი — მე ისეთ ღვინოს ვაგასინჯებთ, ბატონო ჟორჟ, უკეთესი არ შეიძლება. (გახსნის ჩემოდანს. ამოიღებს ბოთლს. ჭიქაში ჩაასხამს. უსუნებს. გაკბედავს მუქზე) იფ!.. კაპლია რა!..

ჟორჟი — ვერ გავიგე, ჯიშია ასეთი, თუ ღვინის სახელია „კაპლი“?

ტუზი — არა, ეგ მე ისე... (გაუწვდის ჭიქას) თქვენ გასინჯეთ.

ჟორჟი — (გამოცდილი დეგუსტატორის ჩვევით. სინჯავს ღვინოს)

ტრებინენ... ლაკრიმა კრისტი!

ტუზი — როგორ?.. (გაუღიმიებს) დიას.

ჟორჟი — ბევრი გაქვთ ამ ღვინის?

ტუზი — რამდენიც გუნებოთ, ბატონო ჟორჟ, მთელი კახეთი ჩემ ხელშია.

ჟორჟი — ვერ გავიგე.

ტუზი — ვა, კახეთი რა. კავკასია, კავკასიონი.

ჟორჟი — ო, ტრე-ბინენ.

ტუზი — (კმაყოფილი) დიას.

ჟორჟი — გაფრთხილებთ წინასწარ, ეს ღვინო ჩემთვის მასალაა საკუთარი ღვინობის შესაზავებლად. არავითარი პრეტენზია. არავითარი კახეთია.

ტუზი — ეს ღვინო მასალად, ბატონო ჟორჟ? აფსუს კახეთის რქაწითელ!

ჟორჟი — ვაჭრობა არ მიყვარს. (წამოდგება)

ტუზი — ვა, რა მოხდა, ეგრე იყოს. მასალა იყოს. თქვენ დაბრძანდით.

ფორტი — (დაჯდება) პირველ ხანებში დამჭირდება ზუთი ათასი დეკალიტრი. ფასი — ბოთლი ოცი კაპიკი.

ტუზი — ბატონო ფორტი, ძალიან ცოტაა.

ფორტი — (წამოდგება) მე გითხარით ვაჭრობა არ მიყვარს, მორჩა და გათავდა!

ტუზი — ეს ვინ არი. კარგი, იყოს ოცი კაპიკი...

ფორტი — მე თავადის ღვინოებიც გამომაღდება. დაგპირდი და ამ პირობით ერთი ამდენს იმათ ღვინოსაც შევისყიდო.

ტუზი — ეგ არ გამოვა, ბატონო ფორტი.

ფორტი — (გაკვირვებული) როგორ?

ტუზი — როგორ და ისე, არ გამოვა, მორჩა და გათავდა. (წამოდგება)

ფორტი — ამიხსენით.

ტუზი — თავადს უნდა (წერს ჰაერში თითით) Из подвалов князей Сулханских. точка. Кахетия.

ფორტი — (ნაწყინი) ეგ არ გამოვა, სამწუხაროდ. კახეთს სახელი და ფასი არა აქვს. შავ მარკით ღვინოს ვერ გაყვიდი. აუსხენით გააგებინეთ.

ტუზი — ვაჭრობა არ უყვარს, ბატონო ფორტი!

ფორტი — „ლაკრიმა კრისტი“ არ გესმით თქვენ.

ტუზი — (თვალს ჩაუკრავს. ეშმაკურად) ჩემი მასალით რომ შევაფსო ლაკრიმა კრისტი, ბატონო ფორტი?

ფორტი — ძან მიყვარს საქმიანი წინადადება. (დაჯდება)

ტუზი — ესე იგი, (დაჯდება) ასხამს ჭიქებში ღვინოს)

(მარცხენა კაბინეტის ფარდა იხურება) (სადარბაზო კარებში საშა და ლექსო კარისკაცი ეტყობა ლექსოს არ უშვებს რესტორანში. საშა ყურში წასჩურჩულებს რაღაცას კარისკაცს და ლექსო მოჰყავს ოთარის მაგიდასთან)

ოთარი — (ლექსოს დანახვაზე. გაკვირვებული და გახარებული) ლექსო, ბიჭო, შენ აქ რა გინდა. (წამოდგება. გადახეხვება)

საშა — რა ამბავია, დღეს საქართველოს სათვისტომოა გახსნილი აქ?

ოთარი — (მიუაღრსენს) ჩემო ლექსო, რა სათვისტომო, რა თქვი, საშა?

საშა — აი რა ვთქვი, იმ კაბინეტში, ყმაწვილებო, თავადი ლევან დიმიტრის ძე ვიღაც საეჭვო ბაღერინას ულოლიავებს. ამ კაბინეტში ტუზი სირაჯი ღვინოებს ყიდის და ყიდულობს. აქ ძველისძველი მეგობრები ვხვდებით ერთმანეთს. რითი არ არის სათვისტომო!

ოთარი — ჰოდა, მოდი ასე დეარქვით. შენ რესტორანს „სათვისტომო გუაჯარედინზე“. (ლექსოს) ლექსო, ბიჭო, ეგ რა არი, მძიმეა ჭრილობა?

ლექსო — (მოკადგოებულივით შეჰყურებს კაბინეტს) ნესტანის მამა, თავადი ლევანი! (საშას) უნდა ვნახო, იქნებ აწყურშიაც იყო.

საშა — წყნარად, ლექსო, იმას შენთვის არა სცალია და მგონი რომ თქვენი შეხვედრა საჭიროც არ არი. გესმის.

ლექსო — მესმის.

ოთარი — რას გაირინდე, შენ გვეითები, მძიმეა ჭრილობა?

ლექსო — არა, ოთარი, გაკაწრულია. (ნამოჯდება სკამზე. გაირინდება)

საშა — ოთარი, საჭიროა ჩვენი ლექსო ამ დღეებში პეტროგრადის რომელიმე ქოს-პიტაღში გადავაგზავნოთ. ბუნმა გთხოვა პირადად შენ იყისრო ეს საქმე.

ოთარი — გასაგებია ყველაფერი. მე წავიყვან. (ნაფიქრებულ ლექსოს მხარზე დაადებს ხელს. მხნედ) მუხათხვევლი ვაეკაცები ნევის პრისპექტზე, როგორია! (გვერდით მიუჯდება ლექსოს. საშა თავს დასტრიალებთ)

ქალი წინა მაგიდიდ. — (დიდხანს შეჰყურებს ჩაფიქრებულ ლექსოს) რა ახალგაზრდაა და უკვე დაჭრილია.

თანამოსაუბრე — გადახედავს ლექსოს) დღეს, ქალბატონო, მთელი რუსეთი დაჭრილია. (ასხამს ჭიქებში შამპანურს) დალიეთ, ელენ! (სვამენ)

ლულუ — (თავის მაგიდასთან. აღარავის აღარ უყურებს. უაზროდ ატრიალებს ხელში საგრილობებს. ხან ხსნის, ხან ხურობს)

(იხსნება მარჯვენა კაბინეტის ფარდა) (თავადი ლევანი და ნატაშა პალეცკა. ხანგრძლივი, სულმოუთქმელი კოცნა. ქალი დაუსხლტება. მიიმედ სუნთქავს. ლევანი შეზარბოშებულია.

ნატაშა — თავადო ლევან, თქვენი ალერსში შეიძლება ქალი დაიხრჩოს როგორც ზღაპში. (მიიმედ ჩაეშვება სავარძელში) ლევანი — (დაიჩოქებს პალეცკას ფეხით) პანე, თქვენს ფეხთ არის საქართველოს თავადობის უძველესი შთამომავალი, Светленый князь Сулханский და მოუთმენლად ვლის პასუხს.

ნატაშა — (თავზე კეკლუცად გადაუსვამს ხელს) თმებში ქალარა გაგრევიათ, პრენს!

ლევანი — ნატაშა, ნუ მაწვალებთ, პოთუ არა?

ნატაშა — თქვენი ოჯახი, მე მგონია, ბალერინასთან შეუღლების დასტურს არ მოგცემთ, ჩემო კარგო.

ლევანი — (წამოდგება. ნაწყენი) სადაც გრძობაა, მე მგონია, იქ წერილმანებზე არ შაჯლობენ!

ნატაშა — (ღიმილით) გამებუტე? მოდი ჩემთან!

ლევანი — (დაიხსამს ჭიქაში ღვინოს, სვამს)

ნატაშა — დამისხი მეც. (ლევანი უსხამს. ნატაშა მოსვამს) როდის ბრუნდები ბრძოლის ველზე? (კიდევ მოსვამს)

ლევანი — ხვალ საღამოს.

ნატაშა — (მოსვამს) როდის ჩამოხვალ კიდევ ჩვენთან?

ლევანი — ომში მიმავალს არ ჰკითხავენ როდის ჩამოვა.

ნატაშა — (დაცლის ჭიქას. ადგება, მიუახლოვდება. ჩაეხუტება ლევანს. თვალეში ჩახედავს) შენ ჩამოხვალ, უთუოდ ჩამოხვალ. (კოცნის)

ლევანი — (თავდავიწყებით) ნატაშა, ჩემო ნატაშა!.. მე მიწოდდა იმედი წამელო. სითბო წამელო ჯოჯოხეთში, ასე უფრო ადვილია გამარჯვებაც და სიკვდილიც.

ნატაშა — (თითს მიაღებს ტუჩზე) სსუუ... მხოლოდ გამარჯვება, პრენს. მე თანახმა ვარ, ბალერინა княгиня Ацхурская კარგად ეღერს.

ლევანი — (ხელში აიტაცებს) ნატაშა!

ნატაშა — ფრთხილად, ლევან, ნასვამი სარ.

ლევანი — (ჩასვამს სავარძელში. მიიხედ-მოიხედავს) რა გაეაკეთო ისეთი, რომ სასსოფრად დაგრჩეს სამუდამოდ. გინდა ამბარჩა ბრილიანტის თვლებით ნაჭედი?

ნატაშა — ეგ მერე, თავადო. მე ერთი მინდა, მხოლოდ ერთი, მე მინდა შენ ცოცხალი დაბრუნდე. (ხელს გაიწვდის ლევანისკენ) მოდი ჩემთან, დაახსი ღვინო და დაგლით ჩვენი შეუღლების დღისა.

ლევანი — (მიდის, ჰკოცნის ხელზე) არა, მაინც რას ისურვებდი ბედნიერი დღის სამახსოვროდ?

ნატაშა — ღვინოს და შენ!

ლევანი — (ასხამს ჭიქებში ღვინოს) კიდევ? (გაუწვდის ჭიქას)

ნატაშა — (მოსვამს. თვალეხს დახუჭავს) იცი, ლევან, რას ვისურვებდი? ფიქრობს) ჭვენად სიმშვიდეს, სათნოებას. ზამთრის დილას. ჩემს აგარაკში დათოვლილ მოლს. თოვლიან დილას რომ სწვევია, რაღაც უცნაურ, ღრმა სიჩუმეს. ამ სიჩუმეში უცაბედად ამღვრებულ რუსულ ტროიკის ეჭვნების ხმას და შენს შეძახილს თოვლიანის მდუმარებაში — „პანა პალეცკა, საქორწილო ციგა მზად გახლავთ, გელოდებით!“ (თვალს გაახვლს. ალერსიანად შეათვალთვრებს აღტაცებულ ლევანს. დასცლის ჭიქას, მაგიდაზე დადგამს და უცნაურად ჩაიციინებს)

ლევანი — (თანდათან ვკიდება ღვინო) დიდებულია... სიზმარია... ეგ სიზმარი, ჩემო კარგო, უსათუოდ უნდა აგინდეს. დიახ... უნდა აგინდეს... დილით, ნატაშა, შენს აგარაკზე თოვლიც იქნება, ციგაც და მეც. (დასცლის ჭიქას. თავდაჭერილი ბარბაცით მიუახლოვდება ნატაშას. ხელზე აკოცებს) ბოდიშს მოეხიდი, ერთი წუთით უნდა დაგტოვო. განკარგულება უნდა გავცე. (გადის)

ნატაშა — (თვალს გააყოლებს ბარბაცით მიმავალ ლევანს. სახეზე ღიმილს აიკრეფს. მთლიანად შეიცვლება. მივა სკამის ზურგზე გადაკიდებულ ლევანის კიტელთან. სწრაფად იჭებება ჯიბეებში.

უმის ჯიბიდან კონფერტს ამოიღებს. კითხულობს) სრულიად საიდუმლოდ. პირადად პოლკოვნიკ თავად აწყურსკის. (ხსნის კონფერტს, ბარათს ამოიღებს. კითხულობს ჯერ ჩუმიად, მერე ხმამაღლა) ...ჯარების არტილერიის განაყოფთა დისლოკაცია. (მიიხედ-მოიხედავს. ბარათს უბეში ჩაიდებს. ცარიელ კონფერტს კიტელის უბეში ჩააბრუნებს. მივა მაგიდასთან ღვინოს დაისხამს. სვამს)

(მარჯვენა კაბინეტის ფარდა იხურება)
(კაბინეტიდან დარბაზში პერანგის ამარა ლევანი გამოჩნდება. მაგიდებთან ჩოჩქოლი ატყდება)

ქალი წინა მაგიდას. — (შეშფოთებული შეპყურებს ლევანს) რუსეთის ჯარის ოფიცერი რესტორანში პერანგის ამარა, რასა ჰგავს ეს? ბარემ გატიტვლდეს და ეგ არი! (ოფიციატი ლევანისკენ გაეშურება)

თანამოსაუბრე — ნუ აღელდებით, ჩემო კარგო, დღესდღეობით მთელი რუსეთი ტიტვლია. (ასხამს ტიქებში შამპანიურს) შევსვით ტიტვლების სადღეგრძელო, ჯალბატონო ელენ! (სვამენ)

ოფიციატი — (ლევანს მოკრძალებით) მე გაგაცილებთ ტუალეტი თუ გნებავთ.

ლევანი — Молчать, скотина!

ლულუ — (გამოერკვევა. შეხედავს ლევანს. წამოდგება, შერბის კაბინეტში და კიტელი გამოაქვს) ჩაიცვით, თავადო, აქ უხერხულია.

ლევანი — (ლულუს) შენ კარგი გოგო ხარ, ვიცი. (ოფიციატს) იმ კაბინეტში ტუზია და აქ დამიძახეთ. (ოფიციატი მიდის მარცხენა კაბინეტისკენ. ლულუ კიტელს აცმევს ლევანს) კარგი გოგო ხარ. (მიდის წინ ავანსცენისკენ) შენ არ იცნობ ჰანა პალეცკას, ისიც ძან კარგი ქალია! (ჩაიყოფს ჯიბეში ხელს, ამოიღებს ფულს, აძლევს ლულუს) აი წაიღე, იყიდე რამე ჩემ სახსოვრად.

ლულუ — რასა ბრძანებთ. ასე უბრალოდ, განა მართლა მათხოვარი ვარ.

ლევანი — (თავზე გადაუსვამს ხელს) არა, გოგონი, მე დღეს ძალიან ბედნიერი ვარ და იცოდე ნუ გამაჯავრებ!

ლულუ — კარგი, მაგრამ იქნებ როგორმე დაგჭირდეთ და მე აქა ვარ, ამ რესტორანში, თითქმის ყოველ ტისმარე დღეს. ძანა ვთხოვთ ეს ფული ვალად არ დამედოს.

(კაბინეტიდან გამოსული ტუზი უახლოვდება მათ)

ტუზი — (შეუბღვერს ლულუს) ჩიტო, გავქრეთ!

ლულუ — (მედიდურად) შენი ჩიტები კავკასიაში მოიკითხე. (ენას გამოუყოფს. თავის მაგიდასთან მიდის. ოფიციატს) მოდი ჩემთან, ღვინო, ბივტექქი, თევზეული, პური ბლომად. ნუ გეშინია, აი ფულიაბა ჩქარა!

ოფიციატი — ყოჩაღ, ლულუ!

ტუზი — (შეამჩნია რომ ლევანი მთვრალია. უფრო დატკბა) რას მიბრძანებთ, ლევან დიმიტრი?

ლევანი — (ხელს ჩაკიდებს და იქით გაიყვანს, სადაც მეგობრების მაგიდადგას. ოთარი, ლექსო და საშა დაიძახნენ. ლევანი და ტუზი ვერ ამჩნევენ მათ) ახლა მჭირდება შენი თავი იცი, ტუზო. პატივისცემა ჩემზე იყოს.

ტუზი — (ხელს ჩაიქნევს) ეჰ, რომელი პატივისცემა, თქვენთან კნიაზო, შავადა ვარ.

ლევანი — რა სისულელეს მეუბნები, რა შავად და რომელი შავად.

ტუზი — თქვენმა ფრანცუზმა უარი მითხრა, „იხ პოდვალოვ აწყურსკის“ — არაო. კახეთია რას მიქეიო. მაშ...

ლევანი — პოდლეე!

ტუზი — მეც მიინდა ვაო, კახური ღვინო, თავანკარი. ჩარქვა ათი კაპიკო, მაგათებურად ლიტრა რადა. ვახ, სადღა არი ამ ქვეყანაზე სამართალი!

ლევანი — (ხელს ჩააქნევს) მორჩი მაგაზე ლაპარაკი, ყველაფერი წყალს წაუღია!

ტუზი — არა, კნიაზ, გულს ნუ გაიტებს. თორმეტ კაპიკად მე ავიღებ რამდენიც გინდა, მაგრამ რათა, რათა, კაცო! ცრემლები მაშდის, ბოღმა მამჩრობს.

ლევანი — რაებსა ბოდავ, რა ცრემლები! მე ხვალ დილით ნიშნობა მაქვს, სალა-

მითი ფრონტზე მივდივარ. გესმის, ტუზო!
ტუზი — ვა, გენაცვალოს ჩემი თავი,
ნიშნობა მაქვსო, გამახარე. შეილივით მყვე-
ხარ გამოზრდილი. (უნდა აკოცოს).

ლევანი — დაიცადე. შენ ამაღამ, ქა-
ლაქვარეთ, ბალერინა პალეცკაიას აგარა-
კი უნდა დაწვევრო.

ტუზი — ვა, მე რომელი მწვერავი ვარ.

ლევანი — იქ ამაღამ დიდი თოვლი
უნდა მოვიდეს.

ტუზი — (გაკვირვებული) ამ აგვისტო-
ში დიდი თოვლი?

ლევანი — იმ აგარაკთან დილით ად-
რე რუსული ტროიკა უნდა დამხვდეს, კარ-
გი ცხენებით და ვეფენებით, გესმის, ტუზო?

ტუზი — არა, კნიაზ, არაფერი არა
მესმის რა.

ლევანი — რევენი ხარ.

ტუზი — ვარ და რა ვქნა.

ლევანი — თოვლი, ციგა და ცხენები,
ყველაფერი შენ კისერზეა.

ტუზი — (გაოგნებული) ჩემზე?

ლევანი — ჰო, სანიშნობო საჩუქარი.

ტუზი — შენ ქალსა ნიშნავ, კნიაზო
და ამისთვის მე ფოკუსნიკი როგორ გავხ-
დე?

ლევანი — მე ჩემ საცოლეს დავპირდი
და ლევანის სიტყვა არ გატყდება.

ტუზი — ციდან ვარსკვლავებს არ და-
პირდი?

ლევანი — ერთი სიტყვით, როგორც
გინდა ისე გააწყვე.

ტუზი — არა, კნიაზ, ვერ დაგპირდები.
ლევანი — ჰოდა ჩემი სარდაფებიდან
ერთ წვეთ ღვინოს ველარ მიიღებ. გადავლ-
ვრი და შენ არ მოგყიდი... (წაბარბაცდება.
იქვე მაგიდას დაებჯინება, სამარილე გად-
მოფარდება მაგიდიდან და მარილი იატაკ-
ზე თეთრ ზოლად დაიბნევა)

ტუზი — (სამარილეს აიღებს. შეათვა-
ლიერებს. მერე მარილის თეთრ ზოლს და-
ხედავს. ლევანს შეხედავს.) კაცო, ციგა —
კარგი, ცხენები — ჰო, ეს თოვლი როგორ
მოვიყვანო, ქრისტე ვარ მე?


ლევანი — შენ შიოს ქვრივის ნაკვეთს
რომ მთხოვ, როგორ მოგიჭრა, ქრისტე ვარ
მე? (გველიანად ჩაიცივნებს)

(ამის გაგონებაზე აცახცახებული ლექ-
სო ფეხზე წამოიჭრება. მაგიდა გადაყირავ-
დება. ხმაური ლევანის ყურადღებას მიიპყ-
რობს. შემოტრიალდება. ლექსოს დააცქერ-
დება. ლექსო და ლევანი ზომიერად ერთმან-
ეთს. საშა და ოთარი გვერდში ამოუდგე-
ბიან ლექსოს. ტუზი ხან სამარილეს ათვა-
ლიერებს, ხან ლევანს შეხედავს, ხან მათ
წინააღმდეგ ამრეზიდ ჯგუფს. გარეთ რკი-
ნიგზის ზარი სამჯერ ჩამოჰკრავს).

კარისკაცი — მესამე ზარია. ჩქარი
თბილისი-პეტროგრადი გადის პირველი
ბაჭანიდან!

(ორთქლმავლის კივილი. მატარებელი
უმატებს სვლას. გრგვინვით გადაუვლის
დარბაზს. ჭალი ირხევა. ბროლში გადამტყ-
დარი შუქი გადასერავს დარბაზში მყოფთა
დაძაბულ სახეებს).

დასასრული მესამე ნოველისა



შალვა შორაჩიძე

ლექსები

ქართულ გვერანახებს

აქ თბილ სილაში, როგორც ხორბალს, მზე
სხივებს თესდა,
აქ ჩვენი ძმები მართავენდენ გუთანს..
მათ ნაფუძარზე დაფუსფუსებთ ვენახის
ფესვთან,
და თქვენი შრომის სამადლობელს ვგუგუნებ
მუდამ!

აქ მზე ანათებს ისე თამამად,
აქ ისე ლურჯად ყვავილობს ვაზი,
მე უნდა დავდგე შრომის თამადად,
გვერდით დავისვა ჩემი მისხის
მესხი და ლაზი...

აქ მზეს ჩამოაქვს სითბო იმდენი,
აქ მზემ იმდენი თოვა ბარაქა,
მე თქვენი შრომის მადლიც ვიგრძენი,
მინდვრის ფერები რომ შემოაქვს აპრილს
ჭალაჭაღად...

ხან ვიძირები ფსკერზე ფაზისის,
ხან კენტავრივით გავცქერი პონტოს...
ხან მესიზმრება დილა მისისი,
ოდეს ეს მიწა მზემ ვენახის რტოებით
შორთო!

* * *

როგორც ბალახში კრუხი კაკაბი,
მზე თბილ სილაში ჩეკავს სიცოცხლეს...
პირველყოფილი ლურჯი ნაკადის —
ჩიტებმა წყალი სვეს და ილოცეს!

გადმოიფრინეს მწვანე ღარტაფი
ამომიკენკეს ბიბლია ლამის.

ხან მბარბაცებს ქარბუქი მკაცრი,
ხან წარმართული კოცონები სულში
ბოლავებს.

ხან შითრიდატის ვარ ჯარისკაცი,
პირქუშ რომაელთ პონტოს კართან ვურბევ
ხომალდებს...

ხან მხარს მასხედან ლურჯი ჩიტები,
ხან მესხურ მთების ფერს ვაკვირდები
და უცრემლემოდ თვალებს ვერ ვახელ...
ტკაცუნებს სიტყვა, ვით აპრილში თოთო
კვირტები,

ხედავთ?
მეც თქვენთან ნედლი ლექსის ვარ
მევენახე!..

აქ თბილ სილაში, როგორც ხორბალს,
მზე სხივებს თესავს,
ძმები ჭალებში მართავენ გუთანს...
ჩავმკვიდრებივართ საქართველოს ვენახის
ფესვად
და მხოლოდ შრომის საგალობელს
ვგუგუნებთ მუდამ..

ფრთებით მოზიდეს ჭამი ნაკაფი,
მზეს მიუფიცხეს ყვითელი შლამი...

ბაღლის ნებია თუ ვაზი თოთო
გაქვავებული პონტოს სილაზე?
მე პირველადქმნილს ვყნოსავ ხის
ფოთილს
და სულში ლურჯად წვეთავს სინაზე.

აზმორებს ქვებზე უცხო სიზმრებად
 იხტიოზავრის დამზრალ ნაკვალევს...
 სადღაც ვასაკა კივის ბინდებთან,
 კრუსი კაკაბი მზეს შეეკაანებს.

ჭალა ანთია ხობხის ფერებით,
 და პონტოს მიწის მსუყე სხეულზე

ცვივა ზღაპრები და ლეგენდები
 ვაზის ფოთლებად ათასწლეულებს
 და ვგრძნობ ფაზისის ლურჯ წილიდან,
 სულს ღვთაებრივი ამოაქვს სიბრძნე.
 მთები ბიბლიურ ფერებს მალურიან,
 რალაც იდუმალს ვყნოსავ და ვიძენ...

ნიქარა, მე და მწვანე ვენახი

ჩემი წიქარა ურემში მება
 და ცერზე მესვა ჩემი მიმინო...
 მივეცემოდი თავდავიწყებას, —
 წიქარას თეფშით ვასმევდი ღვინოს!

პურზე მესატა შენი მტევანი,
 წიქარას რქა და ძელქვის გუთანო...
 ხან მტერს მივდევი გზით უტევანით,
 ხან უღრან ტყეში ნადირს ვგუდავდი.

მუხლისთავამდე მიწას ვარღვევდი
 (ხორბალთან ვთესე სიბრძნის მარცვალი),
 შენს ლურჯ ფოთლებში თვალებს ვახელდი
 და ვერ მტაცებდა შენს ჩრდილს ალალი!

შენს ფოთოლს ფერი არ გაეუხუნე,
 ხელში მეჭირა მარჯვედ ბოძალი...
 შენით ვაბრუნე და ვაგრუხუნე
 მე ჩემი წუთისოფლის ბორბალი...

გამოვირბინე შორი მინდვრები,
 გვერდს ჩავუქროლე ნოეს კიდობანს.
 მოველ რიონზე და ოფლს ვიდენდი,
 და საქართველო უფრო დიდობდა.

ჩემი წიქარა ურემში მება,
 ცერზე ვუსტევედი ჩემს თეთრ მიმინოს.
 ვერ მოვიშალე თავდავიწყება,
 ბალახებს ლოცვით ვამცვრევდი ღვინოს.

ვეფერებოდი მწიფე კუნელებს,
 ყოველ ფოთოლში ჩემს მზეს ვხედავდი.
 მოვამღერებდი საუკუნეებს
 წიქარა, მე და მწვანე ვენახი...

გზაზე შენს ტოტებს დავაყრდნე მხარი,
 მე დავილაღე რამეთუ ლოცვით.
 შენ დაგიკალი წიქარა ხარი
 და მე წიქარას არ ვჭამე ხორცი.

აგტირდი და მზე ვხვრიბე ხაპებით,
 გაბრუებული ვიდექ მინდორში.
 აღარ მჯეროდა ძველი ზღაპრების,
 მე ხომ წიქარა და შენ მინდორი?!

მე მისი ქედი ვერ დავივიწყე,
 მესიზმრებოდა ჯანმოულღელი.
 გადაბლაოდა რიონის რიყეს,
 მოჰქონდა ჩემი მძიმე უღელი...

დაილაღა და შენ შემოგწირე,
 მე როგორ ვზიდო წიქარას ცოდვა?
 ლურჯი ზვირთები ჩემს ცრემლებს ირვეს
 და მის ნამუხლარ ჭალაკებს ვლოცავ.

ჩემი წიქარა ურემში მება,
 ცერზე ტოკავდა ჩემი მიმინო.
 მე ვეძლეოდი თავდავიწყებას
 და ხარებს თეფშით ვასმევდი ღვინოს...

ბ ი ბ ღ ი უ რ ი ნ ო ე

რიონის პირას ბლავის კამეჩი,
 ცრემლით მიხსენებს ბიბლიურ ნოეს,
 — მზე დამანახვე, ღმერთო რას მერჩი,
 მასვი ნუნუა და სული მოხოვე.

მე დავადწიე ქარიშხლებს თავი,
 ვძლიე მრისხანე პოსეიდონი,
 გავაპე პონტო აფრიან ნავით,
 მთებში ვიპოვე მწვანე მინდორი.

კამეჩი ჩემს ნავს ვკიდა რქითა,
ისე გადურჩა საწყალი წარღვნას,
ღონიერ მუხლებს ზღვები ვერ ღლიდა,
უღლის სიმძიმე რას უზამს ახლა?

შეხედეთ მის შავ თვინიერ თვალებს,
რა სვედას იტყვს, რა უთქმელ ნაღველს,
შემორჩა ამ ლურჯ ნოყიერ ქალებს
და ცას შებღავის ჩემს ზღაპრულ სახელს.

მე მოვაცურე აქ კიდობანი,
მიწას მოვასხი ყველა სულდგმული,
მთებში გაეხიზნე მარჯვე ჩობანი,
მინდვრად ვასმინე ჩიტებს ურმული.

რიონის პირას, სველ ბალახებში,
ვამრავლე ჯიში ქრელი ხობების,

ნადირთ ვაბამდი რგინის მახეში,
დამშვიდდა სული ნაამბოხსენი.

ვიხილე ვაზი და მზე ვილოცე,
მემა დაღლილს თეთრი ნუნუა,
თვალებზე ცრემლი ჩამოვიხოცე,
ვიკმარე ხილი და პურის ყუა.

მას შემდეგ ვცოცხლობ, როგორც ზღაპარი,
ჩემი ხომალდი პონტონი ცურავს,
დამესიზმრება ღვინის მარანი
და ველარ ვართმევ თავს მძიმე ბურანს.

რიონის პირას ბღავის კამეჩი,
ცრემლით მიხსენებს ბიბლიურ ნოეს.
— გამომაფხიზლე, ღმერთო რას მერჩი,
მასვი ნუნუა და სული მთხოვე...

ვენახი — დედა

მხოლოდ მზის მადლი, — ვენახი — დედა,
მხოლოდ ბარაქა ნოყიერ მიწის,
მშფოთვარე სული,
ხან თვალბში უცნობი სვედა,
ვინ დამიბედა სიყრმიდან მიწყივ....

მადვრიან ლილას შორეული ცის არეები,
და ვუცქერ მთების ლანისფრად
შემობინდებას...
ეს ხომ ოდითგან, როგორც ლურჯი
მდინარეები,
საქართველოში ვაზის ფერი მოედინება.

მოაქვს სინედლე მწვანე ტოტებით,
დამტვენებული ჩუქურთმების, თეთრი
ტაძრების...
მე შუადღისას ყვავილივით ჩუმაღ
მოვეკვდები,
ოღონდ ჭამისგან ნუ დამიზრები! —

ოღონდ ბოლომდე, ჩემო დედა,
მესიზმრებოდე,
ოღონდ ბოლომდე დრომ სიცივე სულს არ
შეახოს.

ნურც გამოვფხიზლდე,
ლურჯი ფერით ისე ვთვრებოდე,
შენ, ღვთისმშობელის თვალბებივით სათნო
ვენახო!

შენზე სიმღერა მე მემართა საქართველოში,
და შენი ეშხით გაჯურიე ხმაში ფოლადი...
გავეხვეოდი ყვითელ ნემოში
და ლურჯ სიზმრებში შენზე ვბოდავდი.

შენ მწიფე მტვენებს მაწურავდი ტურებზე
ფრთხილად,
მთვარე თეთრ ხალათს მისველებდა
ცრემლით შენს ახლოს...
ხან ბალახებში ვიჯექი ღვინად,
ხან ნაწვიმარზე შენი მადლით ვკაფავდი
ახოს.

მხოლოდ მაღალი ვენახი — დედა,
მხოლოდ ბარაქა კურთხეულ მიწის,
ამაყი სული,

სიხარულის უცნობი ელდა,
ნუ მომიშალოს სოფელმა მიწყივ...

ჰოი. შენ ჩემო გზაზე ვენახო



შენ იყავ ჩემი ლურჯი ღვთაება
და ტანზე მუდამ შენი ფერის მეცვა
პერანგი.
ოდენ კუმტმა და ოდენ თავნებამ
შენი სხეული ამოვკვეთე ქვებზე წერაქვით...

ყველა უცხო ფერს, უცხო ხილვებს შენ
განაცვალე,
შენს ლურჯ ფერს უნდა სული შევასო.
ბევრი არ მინდა, ცოტა მაცალე,
ჰოი, შენ ჩემო მწვანე ვენახო!

მე მჩუბდნენ, შენი ტიროდა ტოტი,
შენ გჩუბდნენ, ჩემი კიოდა სისხლი.
ვერ მაკავებდა სამარეში სიმძიმე ლოდის,
განახლებული, ფენიქსივით ვდგებოდი
რისხვით.

ბუმბერაზ მთებზე შენი ფერის ვამრავლე
ციხე,
და ციხის ზღურბლთან იდგა შუბით ჭაღარა
დედა....
ფიცხი ცხენივით ჭიხვინებდა ჩემს სულში
სიცხე,
ყოველ ნაბიჯზე ხიფათი მდევდა.

და ვთეხე ქართულ მიწაში ძვლები,
მე, როგორც შენი სადედე ლერწი,

გამოვატარე ბეწვის ხიდზე დადლიძე ძმები,
არ მომიხრია მტრის წინაშე მუხლები
ხვეწნით.

თითო ბალღივით სველ სილაზე აიდგა
ფეხი
და მიცოცავდი მზისკენ მწვანე კორდებით,
ბორცვით....
და თითქო მთები დათხრილნი მუხით
დასუქდნენ შენი და ჩემი ხორცი.

შემოვგრაგნე გარს საქართველოს,
დამძიმდა მიწა მწიფე ზერებითა.
შორი მწვების მადლო,
ციდან სხივად ნადენო,
ჩემს სისხლთან შენი სისხლი შენივთდა.

წამოამწვანე დამაშრული, დამკდარი მიწა,
და დამანახვე ჩემი სულის ლურჯი სხეული.
ლორთქო ტოტები ლოცვებივით თითქოს
ცას მიწვდა,
ავგაროზივით ქედებს ყელზე შემოხვეული.

შენს ტანში ჩემი დუღდა სიცოცხლე,
რაც ძირში გვთხრიდნენ, უფრო
ვმრავლობდით.
ჩვენ ერთმანეთი შევისისხლხორცეთ,
ჩემს სულში შენი ლურჯი ფერის გზნება
გადმოდის!

ღ ი ღ ი ს ი მ გ ე ა ნ ე

მზეებს წამოცდა დიდი სიმწვანე
და შენი თესლი ჩამოჰყვა მზის სხივს...
ამიხსე სული
და ურჯულომ რჯულად ვიწამე
შენი ცისფერი ტოტების სისხლი!

გამოვექეციო რძისფერ ქაოსს და
სიმარტოვეს
და შორ მინდვრებზე ერთად ვიარეთ...
ყოველ საფლაგთან შენი ნედლი ტოტი
დავტოვე,
შენი ფოთლებით ვიშუშებდი გზაზე
იარებს...

თვალეში მედგა მნათობების ცივი კრიალი
და დავეძებდი და-ძმებს არყოფილთ...
სხეულს მივსებდა შენი სისხლი
ნაპერწყლიანი,
მზისა და მიწის პირველქმნილი მწიფდა
ნაყოფი!

მწიფდა ნაყოფი და უსიერ ტყეთა
შრიალში
ნაპირს ლოკავდნენ ძუძუსავსე მდინარეები.
შენი ფესვები შიშინებდნენ ყვითელ სილაში
და ჩემი სული იღვიძებდა შორი მწვებით.

მოვშრიალებდით შეფოთილი თითქო
ბადახშით,
მარცვლები შენი ლოცვებივით მეკრდზე
დამებნენ.
ოთხო ყლორტების ჩეროები მწვანე
ბალახში
სოფლის ფეხშიშველ ბალებივით
დატანტალებდნენ.
შენ მოდიოდი ქალღმერთივით
ნაყოფდასხმული,
მდინარის პირას ულურჯესი მკლავთა
ზმორებით.
თველმდა ფოთლებში გახვეული ცხელი
ზაფხული
და ბუბუნებდნენ დაბინდული დობილოები.

ნოეს კაბერი

ან უნდა დამცე ან ამადღეო,
ან უნდა ცხელი ცრემლით ვიტვირო,
ადუღებულო ქართულო მზეო,
ბაგრატიის ტაძრის დიდო ქვიტიკირო.

რიონის პირას ველარ ვეტვეი,
სად დამიკარგეს მე ჩემი ფორჩხა?
გამოქცევიაწ წარღვნას მტრედები,
პონტოზე ნოეს ხომალდი მოჩანს...

და სულში როგორც ჩერო ვენახის,
იზრდება სვედა ლაზური მისხის.
კივის წარსული და მე მეძახის
ჯამს მიხვლილი წინაპრის სისხლი...

და ცხელ ქვიშაზე ეამთა ძუძუებს
ვწოვ უცხო ხილვებს, როგორც კამეჩი.
მწვანე მინდვრებში მზე დაძუნძულებს,
ჰაუ, პირველ ცეცხლს როდის ვაჩენდით?!

მე მქონდა ცის და მიწის შუა გაბმული
ხიდად
შენი ლერწმებით დაწული ბონდი,
და თითქო ციდან დიოდა წმინდა
სული ჩემი და სისხლი ჩემი ბორბალა
ტოტის...

და ჩემი სულის უცხოდ ნაშენ თოვლისფერ
ტაძრებს
შენი ლერწმები დავატანე უტკნობ არშიად...
შორეულ გზებზე დროის სუსხში რამდენი
დაზრნენ,
შენმა სიმწვანემ ჩემი სული არ დაამშია!

ლაბა ხარივით შენს ჩრდილში ვძოვე
მე წუთისოფლის სიტკბო, სიმწარე,
შენს ლურჯ ფოთლებში პირველქმნილი
სინათლე ვპოვე
და შენი სისხლი რჯულად ვიწამე!..

ბობოჭრობის პონტო და ნაპირს ლოკავს,
ტალღები თინით კბოდეებს ხრავენ...
მე ვგრიხავ ნოეს ლეგენდებს თოკად
და მთებზე ვკიდებ ბიბლიურ კარვებს.

ზღვებმა რომ მართლა წალვეკოს მიწა,
მეკრდზე მოგვაწყდეს შავი ქარები,
ჩვენ თუთრ ქედების ფრთები დაგვიცავს,
ცაში მზის სხივებს შევეფარებით...

იკურთხოს ჩვენი მთების სიმაღლე,
ქართველი კაცის ნება უტეხი.
ჩვენ გვიყვარს მზე და სულის სილაღე,
როგორ მოგვლუნავს ბედი უკმეხი?

განა უღლისთვის მუხლი არ მერჩის?
მომანდეთ კბილით კლდეების დაღრღნა...
გავიწეო როგორც ნოეს კამეჩი,
გადარჩენილი ბიბლიურ წარღვნას!

ჩვენს აივანზე დიდი მოთვანი შემოიღოდა...

შემოდოდა, შემოდოდა,
ჩვენს აივანზე დიდი მოთვარე შემოდოდა,
და აფეთებდნენ თვალებს ჩვენი დიდი
ხარები...

გათენებამდე სახლის უკან თონე ღვიოდა
და მარნის თავზე ხტოდა ჭინკა
ნამძინარევი.

ჩამოდოდა ხის ფოთოლი და იდგა
 მშვიდი
 გიორგობისთვის ხმელი დარები...
 ჩალის ზვინებზე დაღვენთილი დნებოდა
 ბინდი
 და ცას ანგრევდნენ საკვირაო ცისკრის
 ზარები.

ისხდნენ სუფრასთან ნათესავები
 და მამა უფრო ენაშუებოდა.
 იბზარებოდნენ თითქო დარდით სასვე
 თასები,
 ოდეს წვრილ ჭიჭებს დიდი ყანწი
 ენაცვლებოდა...

დაძაძვანებდა ჩვენს ეზოში მგლისხელა
 ძაღლი
 და ძიგძიგებდნენ მისი შიშით ლანდები
 ხეთა...

ზოგი როკავდა,
 ზოგთაც ფიცხი ღვინის სმით დაღლილთ,
 რძიანი ღამე ბურანში ხვევდა.

და მერე, როცა დიდი მთვარე გაილეოდა,
 თეთრი ჩიტოვით ასკვებოდა ფანჯრებს
 ნათელი,

ნიავეს სურნელი შემოჰქონდა საბლში
 მდგლოთა
 და დედა ჩუმად ისვენებდა
 ღამენათვეი.

წამოდგებოდნენ გაძარცვულნი სოფლის
 ჯაგრითა,
 მამას კიბეზე ამოჰყავდა ჭიხვინით ცხენი,
 ახერხებინებდა წითელ ღვინოს თიხის
 ჯამიდან
 და სიხარულის მდიოდა ცრემლი.

მეჩვენებოდა, შორს ღობე-ყორეს
 თავს ვგლებოდნენ ასკინკილით ციცქნა
 ჭინკები,
 ჭალიდან ნისლი მიიწვევდა მთებისკენ
 მდორედ,
 და შეეცქეროდი ცას გაკვირვებით.

ცა იყო ღურჯი, ღურჯი, ღურჯი,
 როგორც ჯეჯილი,
 მერე თანდათან სიყრმის ზეცა დაცრიცა
 ეამმა!

გაჰქრა ბავშვობა...
 და მე დაერჩი გულგაგლეჯილი,
 ვაიმე, ჩემო საწყალო მამა!..

სიყვლის სიზგრაზი

თითქოს მალვიძებს ქარის ტოტებით,
 ადიდებული ბუჯის ყვირილი,
 მინდვრებში თეთრი ჩიტბატონები,
 გადაბინდული მთები გვირილით.


სერებზე ჩრდილი დიდი ცაცხვების,
 სალამოს ბინდი — ქანგი მკენესარი,
 ბალახზე წითელ ღვინის ნამცვრევი,
 თეთრი მაგიდა — ლოდი გკლარის.

მამის ღიმილი — თვალი ფოცხვერის,
 დღეები ტკბილი, სიყრმის დღეები...

ცისკენ წასული, როგორც ლოცვები,
 გარინდებული გუნდის ხეები.

გული — გახსნილი ფართო ჭიშკარი,
 შეუწყვეტელი ღვინის უნარი...
 სათიბი — მუდამ ფერით მდიდარი,
 ხავესმოდებული ძველი მუხნარი.

სულ თვალწინ მიდგას სიყრმის სურათი,
 ჭალები, მთვარე, ჩუმი ლოდინი...
 ისევ ბალახში ვდგავარ მუხლამდი,
 და გულზე რალაც მაწვეს ლოდივით!



იარაღი იოსელიანი

საბავშვო ჟურნალი

1. ხულოცანი

„ხულიგნური მოქმედება, რასაც მძიმე დანაშაული მოჰყვება“, — ასე იყო კვალიფიცირებული ბრალდება, რაც მეონკანე ვლადიმერ ევგრაფის-ძე სლასტნიკოვს წაუყენეს. იგი შუახნის კაცი იყო, ქერა, ტანმორჩილი, მაგრამ სასიამოვნო გარეგნობისა. სახეზე საკმაოდ მტკიცე გამომეტყველება აღბეჭდოდა. სქელი ტუჩები და ვიწრო, მოგრძო სახისათვის ცოტა მსხვილი ცხვირი ჰქონდა. ჭარისკაცოვით გამოქიმული იდგა და მარჯვენა ხელით ისედაც საკმაოდ გაცვეთილ ქუდს ჰმუჭნიდა. ადგილკომის წევრების კითხვებზე ისე მშვიდად და დაუბრკოლებლად პასუხობდა, თითქოს წინასწარ სცოდნოდა, რასაც ჰკითხავდნენ.

სლასტნიკოვს კარგად ესმოდა, რომ ეს დაკითხვა, რაც მის პირად საქმეს ეხებოდა, მხოლოდ ფორმალური აქტი იყო დაპატიმრების წინ. თუმცა კატეგორიულად უარყოფდა თავის მონაწილეობას მომხდარ ამბავში, მოწმეთა ჩვენებებზე დადასტურებს მისი დანაშაული, და ახლა მხოლოდ ერთს მოლოდინი ჰქონდა: პროკურორის სანქციისა და დაპატიმრებისა.

— რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯრებელია, რომ... ასეთ წარმოსადევ ადა-

მიანს და ისიც... თითქმის სრულიად ფხიზელს... აბა იმდენი რა დალია: სულ ორი პატარა ჭიქა!.. რომ ხულიგნობა ჩადინა: ქვა ესროლა მაღაზიის ვიტრინისათვის, მინა ჩაელეწა და... ბავშვი დაეჭრა! რა ეჭნა, სლასტნიკოვისაგან ასეთი ბოროტი საქციელის ჩადენა რალაც არ მჯერა! — გრძელი გამხდარი ხელები გაასავსავა ვადიმ მიხეილის-ძე კრივონოსოვმა, რომელიც ადგილკომის სხდომას თავმჯდომარეობდა. — მაგრამ მოწმეები? ორი მანდილოსანი და მერე ისიც ასე დარბაისელნი... მიკვირს და გამკვირვებია... ჩვენი საკუთარი თვალთ ვნახეთო, ამბობენ, ქვა სწორედ ვლადიმერ ევგრაფისძემ ისროლაო.

— როგორ დაინახავდნენ იმას, რაც არ მომხდარა! — სიტყვა მოუჭრა სლასტნიკოვმა და ქუდს უფრო მაგრად მოუჭირა ხელი. — ეს ქალები იმ დროს მაღაზიაში იყვნენ და შეშინებულებმა ძიებას არეულ-დარეული ჩვენება მისცეს.

— მართალია! — შესძახა ვილაცამ უკანა რიგში. — ის დედაკაცები ხომ ყველაფერს შორიდან უყურებდნენ...

— მაშ ვისა ვკითხოთ? თქვენვე არა თქვით, ჩემს გვერდით სხვა არავინ ყოფილაო? რიყის ქვა ხომ თავისით ვერ

შეფრინდებოდა ფანჯარაში? — კრივონოსოვი წამოდგა, ორმეტრიანი სხეული გამართა და სლასტნიკოვს წინ დაუდგა. თითქოს შავ ხვრელებში მიმაჯული შავი თვალები დაჟინებით მიაპყრო და ერთხელ კიდევ გააფრთხილა:

— გამოძიება დამთავრებულია და დასკვნები, სამწუხაროდ, თქვენს სასარგებლოდ არ მეტყველებენ.

— კი, მართალია, ვაღიმი მიხაილოვიჩი, ფაქტებთან ვერაფერს გააწყობს კაცი, — ამოიოხრა სლასტნიკოვმა. — ჩემს სიახლოვეს, მართლაც, არვინ მიწინახავს. დამნაშავემ საქმე ისე მალულად გააკეთა, რომ თავის მაგიერ ხათახალაში შე გამხვია.

სახევერწუთიანი პაუზა ჩამოვარდა. ჩანდა, ადამიანებმა არ იცოდნენ, რა ეთქვათ. ელოდნენ, პირველად ვინ იქნებოდა დუმისის დარღვევა.

— ელადიმირ ევგრაფოვიჩი — კრივონოსოვი სკამზე ჩამოჯდა. — ჩვენ აქ ადგილკომი შემთხვევით არ მოგვიწვევია. თათბირის დროს თითქმის ყველა წევრმა ერთხმად გამოთქვა აზრი, რომ თქვენ ასეთ დანაშაულს არ ჩაიდენდით. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ მოგვეწვია ეს სხდომა და თქვენი სიტყვა მოგვესმინა... თუ შევძლებდით და, ცხადია, საჭიროდ ჩავთვლიდით, დაგეხმარებოდათ კიდევ, აი რა გვინდოდა. გამოძიება გამოძიებაა, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ჩვენი ოჯახია და აქ მეტი პასუხისმგებლობა გვაკისრია, ვიდრე გამოძიებულს, ამიტომ ისევ თავიდან გვიამბეთ ყველაფერი... როგორ მოხდა ეს ამბავი?

— როგორ მოხდა? — სლასტნიკოვმა ფეხი მოინაცვლა და მცირე შესვენების შემდეგ დაიწყო: — ყველაფერი ძალიან უბრალოდ მოხდა. როცა სამუშაოდან შინ ვბრუნდებოდი, უკვე ბინდებოდა. მალაზიის წინ შევჩერდი, ვიტრინის ახალმა გაფორმებამ დამაინტრესა. უეცრად ტაკ ვიტრინის უხარმხარო მინა ჩაიმსხვრა და მალაზიაში დიდი მრგვალი ქვა შევარდა. მაშინვე მოვტრიალდი — არავინ ჩანდა. მალა-

ზიაში აღიქმითი ატყდა. ერთ წუთს ყველაფერი აირ-დაირია, მაშინვე დამაკავეს და ბრალდებაც სასწრაფოდ გამოაცხვეს. ვინ იცის, იჩენება ამ ქვით ჩემი მოკვლაც უნდოდათ. თავში რომ მომხვედროდა, რა თქმა უნდა, წირვას იქვე გამომიყვანდა.

— ახალმა ვარაუდმა აუდიტორია ერთხმად გამოაცოცხლა.

— მერე, თქვენ მტრები გყავთ? — ადვილი შესაძლებელია. მტერი ვის არა ჰყავს!

— მოგვიყვით თქვენი ამბავი. ჩვენ ხომ თქვენზე თითქმის არაფერი ვიცით! ვის უნდა მოენდომებინა თქვენი მოკვლა?

ადგილკომის წევრები ერთიმეორეს აღარ აციოდნენ, სლასტნიკოვს სეტყვასავით აყრიდნენ კითხვებს. ამ კაცზე, მართლაც, ბევრი არაფერი იცოდნენ. ოდესაში ის სულ ერთი წლის წინ გამოჩნდა. სადღაც მალაია არნატუსკაიას ქუჩაზე დასახლდა, კერძო ბინაშიც, ცოტა ხნის შემდეგ მენკანის თანაშემწედ მოეწყო პორტში. საგრძნობი ტექნიკური ცოდნა ჰქონდა, მოკლე ხანში დაუფლა სპეციალობას და კარგი მენკანი გახდა. საქმეს კეთილსინდისიერად ეკიდებოდა, საწარმოო გეგმას გადაქარბებით ასრულებდა. თავაზიანი კაცი იყო და გულგახსნილი, მაგრამ განსაკუთრებული მეგობრობა არავისთან ჰქონია. მუშაობის დამთავრების შემდეგ, თუ რაიმე კრება არ იყო, პორტის მიდამოებში ვაჩერებულს ვერ ნახავდით, მაშინვე შინ მიდიოდა. რას აკეთებდა, სად და ვისთან იყო, გამოსასვლელ დღეებში და დელსასწაულებზე დროს ვისთან ატარებდა, არავინ იცოდა. არც ერთი ამხანაგი არ შეხვედრია ასეთ დღეებში, გარდა ერთი შემცველის. ვალოდია ეგოროვისა. ეს იყო ახალგაზრდა, ჯერაც პირტიტველა ჰაბუკი, შავთვალწარბა, ერთი შეხედვით მეაკრი გამომეტყველებისა, თავგამოდებული მეთევზე და დაუღალავი ტურისტი. ეს შემთხვევა ზაფხულში მოხდა. ვალოდია დიდი შადრევნის მხარეს

გაეშურა სათევზაოდ. სანაპირო ბექობის თავზე ავიდა, და ვიდრე ნაცნობი ბილიკით ზღვისკენ დაეშვებოდა, განმარტოებით ქვაზე მჯდომი ვლადიმერ ევგრაფის-ძე შენიშნა. იდაყვზე დაურდნობილი სლასტნიკოვი როგორღაც გაურკვეველად გასცქეროდა სარკესავით კრიალა ზღვის შორეთს. ღრმა ფიქრებში წასულს არც კი შეუნიშნავს მიახლოებული ამხანაგი, და არც ეგოროვს შეუშფოთებია ჩაფიქრებული ვლადიმერ ევგრაფის-ძე.

ვლოდა ეგოროვი მაშინ საკმაოდ გააოცა ამ შეხვედრამ. მართლაცდა, განა ღირდა ქალაქიდან ამ სიშორეზე წამოსვლა მარტო იმისათვის, რომ კაცი ქვაზე დამჯდარიყო და ზღვისთვის ეცქირა? რის მაქნისია ასეთი ოცნება? თევზაობა კი, ცხადია, სულ სხვა საქმე იქნებოდა.

მალე ეგოროვმა სულაც დაივიწყა ბექობზე სლასტნიკოვთან შეხვედრა. ვისი რა საქმეა, სად დაისვენებს მუშაობის შემდეგ ადამიანი? ერთს ეს მოსწონს, მეორეს ის... მაგრამ ადგილკომის სხდომაზე მან არა მარტო გაიხსენა ის უცნაური შეხვედრა, არამედ წარმოსახვამ უფრო შორსაც წაიყვანა. ახლა, ერთნახევარი თვის შემდეგ, ეგოროვს მოეჩვენა, რომ მაშინ სლასტნიკოვი ზღვის პირას ვილაცას ელოდა, ან რაღაც საიდუმლო ნიშნის მოლოდინში გასცქეროდა ზღვას. განა ოდესაში ცოტანი იყვნენ კონტრაბანდისტები, ყოველნაირი დამრღვევნი ან ნამდვილი ბანდიტები. ყველა ისინი რამენაირად უკავშირდებოდნენ ზღვას, გემებს, ორჩხომელებს, ახლა კი ახალი შესაძლებლობა მიეცათ, რომ წყალქვეშა ნაგებიც გამოეყენებინათ. დიახ, უთუოდ ელოდა რაღაც აკრძალულს, დანაშაულებრივს, ელოდა ზღვიდან. ამა რისთვის უნდა მჯდარიყო ასე განმარტოებით, სადღაც უკაცრიელ ბექობზე, ორმოცი მეტრი სიმაღლის ხრამის თავზე, და რისთვის უნდა ეცქირა ზღვისკენ ასე თვალდაკეციტის?

— ჩვენ კარგად არ გიცნობთ, დაწვ-

რილებით გვიტხარით თქვენი ამბავი, — კატეგორიული ტონით მოიფხრევა ეგებ ეგოროვმა. ვინც ომში მონაწილეობდა, აქვს ორდენები და მედლები, შენს მკერდზე კი არაფერი მინახავს. ასაკი ისეთი გაქვს, რომ მონაწილეობა უნდა მიგელო ომში და... რაიმე საჩუქარიც გქონოდა, თუ... დაიმსახურე, ცხადია.

— ომში ემონაწილეობდი თუ არა? — სლასტნიკოვმა კითხვა გაიმეორა, თითქოს თავის ყურებს არ უჯერებდო, ფეხი ისეე მოინაცვლა, თავი დახარა და ერთხანს დუმდა. ამასთან ცალი ზელით გაისწორა უკან გადავარცხნილი სწორი თმა, მიწებებულევით რომ ჰქონდა კანზე სქლად დაწყობილი. პასუხის მოლოდინში ყველა დუმდა.

— საერთოდ, — სლასტნიკოვმა ისე დაიწყო, თავი არ აუწუვია. — რამდენადც მე გამეგება, ომში ჩემს მონაწილეობას არფერი საერთო არა აქვს ამ სამუშეარო ამბავთან.

კრიეონოსოვმა თითქოს იცოდა, რომ სლასტნიკოვი სწორედ ასე აარიდებდა თავს პირდაპირ პასუხს.

— სამშობლოსათვის იბრძოდი, თუ თავს არიდებდი, ამას მნიშვნელობა აქვს. — რაღაც მუქარით თქვა ლოპატკომ. ბრაზი და უხეში სიძულვილი იგრძნობდა მის ხმაში.

— ვლადიმერ ევგრაფოვიჩ, — კრიეონოსოვის ხმამაღლმა ნათქვამმა დაფარა ყველა დანარჩენი ხმა. — ჩვენ გვინდოდა თქვენთვის შუამდგომლობა, რომ... სასამართლო აგვეცდინა, მაგრამ საამისოდ გვინდა მოგისმინოთ, ესე იგი უნდა ვიცოდეთ ყველაფერი თქვენს შესახებ.

— ვადიმ მიხაილოვიჩ! — სლასტნიკოვმა თვალები თავმჯდომარეს მიაპყრო და როგორღაც უფრო დაჯერებული ხმით დაიწყო: — ძალიან მიხარია, რომ ასე... ზრუნავთ ჩემი ბედისათვის. სიმაართლე რომ გითხრათ, ჯერ ჩვენს კოლექტივში არც დამიმსახურებია ასეთი პატივი. ყველაფერი ეს მხოლოდ თქვენს კეთილშობილებაზე მეტყველებს. დიდი მადლობა, ამხანაგებო, დიდი მადლობა,

მაგრამ მე ვფიქრობ: ჩემთვის შუამღ-
გომლობა არ არის საჭირო. მე დამნა-
შავე არა ვარ. ახლა ისეთი დრო არ არის.
რომ უდანაშაულო ადამიანი დასაჯონ...

— ჩვენ მაინც უნდა ვიცოდეთ, რას
აკეთებდით ომის დროს! — ეგოროვი
სულ უფრო იმაღლებდა ხმას. — ყვე-
ლა საბჭოთა ადამიანი ომობდა, თქვენ
კი... იწყით და ნებივრობდით, არა?

სლასტნიკოვმა მკვეთრად მიაბრუნა
თავი ეგოროვისაკენ, მაგრამ მზერა შეა-
ჩერა ზეიბრის მრისხანე სახეზე და წა-
მიერი შესვენების შემდეგ სახე სასიამ-
ოვნო ღიმილმა გაუბადრა.

— ბოძა გრიშა! მეც მხოლოდ ახ-
ლა გიცანით! კაცი რომ გაბრძოლებდა,
პა! — უეცრად გახალისდა სლასტნი-
კოვი, და ყველამ იგრძნო, რომ მზად
იყო ლობაძკოს გადასხვეოდა, მაგრამ,
ალბათ, ზეიბრის სახის უნდობლად და-
ღმეჭამ შეაჩერა.

— აი, ზედავთ, ეტყობა კიდევაც...

— ძალიან კარგი, ყველაფერსაც გია-
მბობთ. რა თქმა უნდა, დიდი სამამუ-
ლო ომის მონაწილე გახლავართ. მე
ვიყავი წყალქვეშა ნავის „მალიშკას“
ტრიუმის მემანქანე, — ღრმად ამოიხვ-
ნეშა სლასტნიკოვმა. — სამწუხაროდ,
ბედნიერ ათეულში ვერ მოხვდი. ჩემი
თვალთ ვნახე თითქმის ყველა ჩემი
მახლობელი მეზობელი ამხანაგის და-
ღუპვა... ძალიან შიმშილს ყოველივე ამის
გახსენება, მაგრამ რაკი საჭიროა, ვიტ-
ყვი.

1942 წლის 21 აგვისტოს საღამოს
დავიწყება სლასტნიკოვს მართლაც არ
შეეძლო. იმ ღამეს „მალიშკა“ უკანასკ-
ნელად ტოვებდა ნავთსადგურს, უკ-
ანასკნელად მიდიოდა სალაშქროდ გაშ-
ლილ ზღვაში. უკანასკნელად ეშვებო-
ბებოდნენ მეზღვაურები ნათესავებსა
და მეგობრებს. სასტიკი ომის მრისხა-
ნე დღეებისა და ზღვაზე შექმნილი მძი-
მე ვითარების მიუხედავად, არავინ ფი-
ქრობდა, რომ ველარასოდეს დაბრუნ-
დებოდა მშობლიურ სანაპიროზე, ისე
დაიღუპებოდა მლაშე წყლის ცივ წია-
ღში. ნაპირს რომ მოშორდა, „მალიშ-

კამ“ მაშინვე ნავთსადგურიდან გასასვ-
ლელს მიაშურა.

საბედისწერა

ზღვაზე სრული შტილი იდგა. მანქან-
შიც სიწყნარე იყო, ნიავეც არსად ქო-
და. ნავის მოძრაობით აგორებული
ტალღები ფარვატერის ორსავე მხარეს
იშლებოდნენ კიჩოს უკან. ნათელ, მთვარე-
რიან ღამეში მათი თანაზომიერი მოძ-
რაობა კარგად ჩანდა. ნაპირს რომ აღ-
წევდნენ, ქვიან ზრეშზე, ხმაურით იმსხვ-
რეოდნენ და არხის ორსავე მხარეს ქამე-
რონსების ჩრდილში ვერცხლისფერ ქა-
ფის ზოლებად იშლებოდნენ, თეთრი ბი-
ლიცების სახით.

ნავთსადგურის გასასვლელში წყალ-
ქვეშა ნაევებზე მონადირეები გადაარაჯე-
ბულიყვენენ. მათ ჯერ კიდევ დღისით „გა-
ერეკათ“ სიღრმის ბომბებით მტრის
წყალქვეშა ნავი, ჩვენს წყლებში რომ
დათარეშობდა, და ახლა ელოდნენ „მა-
ლიშკას“, რათა გაეტარებინათ სახიფა-
თო სანაპირო რაიონში, ან როგორც იმ
წლებში იტყოდნენ, „გაეგდოთ“ ღია
ზღვაში.

„მალიშკა“ მზად იყო. თუ ბაზის მი-
დამოებში მოდარაჯე მტერი მოულოდ-
ნელად დაესხმოდა თავს, პასუხსაც
დროულად გასცემდა. წყალქვეშელები
თავიანთ საბრძოლო პოსტებზე იდგნენ,
იარაღი სამოქმედოდ გამზადებული
ჰქონდათ და ელოდნენ.

სლასტნიკოვი ჩვეულებისამებრ ცენ-
ტრალურ საგუშაგოზე იდგა. ტრიუმის
მემანქანეთა შორის მას ტოლი არა
ჰყავდა წყალქვეშა ნავთა შენაერთში,
და თუნდაც რაიმე მიზეზით ფრახის ხა-
წილი ვერ გაეგონა, მახვილი ყურით
მაინც მიხედებოდა, რაზე იყო ლაპარა-
კი და რა ბრძანება გადასცეს. სლასტნი-
კოვი არა მარტო ყურადღებით აკვირ-
დებოდა ყველაფერს, რაც ნაკვეთურში
ხდებოდა, არამედ ყოველ ფაჩუნსაც
გულდასმით უსმენდა სალაპარაკო მი-
ღში და ყოველნაირად უზრუნველყოფ-
და ბოგირზე კავშირს. მას მშვენივრად
ესმოდა „მალიშკას“ მშვიდობიანად გა-
ღწევის მნიშვნელობა მტრის ნაევების
სათარეშო ზონიდან. აკი სწორედ „მა-

ლიშკამ“ ჩასძირა რამდენიმე თვის წინათ კონსტანციის პორტიდან გამოსვლისას მტრის წყალქვეშა ნავი. ეს სწორედ ასეთსავე ვითარებაში მოხდა, როგორც ახლა, ოღონდ როლებია ვაცვილილი. შეიძლება საბჭოთა ნავი გამხდარიყო სამიზნი, მტრის ნავი ხომ ზღვაში დარაჯობდა.

...„მონადირეები შეუდგნენ წყალქვეშა ნავის ესკორტირებას“, — ჩაიწერა სლასტნიკოვმა მორიგი ბრძანება ბოგირიდან. ეს ნიშნავდა, რომ ორივე ფერდის მხრიდან და წინაც 8-12 კაბელტოვის მანძილზე „მალიშკას“ მოკყვებოდნენ მტრის ხომალდები, შეიარაღებული სიღრმის ბომბებით, არტილერიით, მტრის წყალქვეშა ნავების ხმაურის დამჭერი ზელსაწყობებით. სლასტნიკოვსაც და სხვა წყალქვეშელებსაც ესმოდათ, რამდენად საიმედო იყო საბჭოთა სწრაფი ხომალდების ასეთი ამაღა. „მალიშკა“ არაერთხელ შებამია ამაზე ძლიერი ამალის თანხლებით წამოსულ ფაშისტთა ბადრავს და მუდამ გამარჯვებას აღწევდა. მით უმეტეს, საკუთარი მონადირეების თანხლებით ნავის ეკიპაჟი თავს არხეინად გრძნობდა.

„მალიშკას“ უფროსი, მესამე რანგის კაპიტანი დიმიტრი ივანეს-ძე სუროვი სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში სლასტნიკოვს, ბოგირზე მდგომი მის საყვარელ პოზაში. ლუკის მარცხენა მხარეს დადგებოდა საფეხურზე, თავის საუფროსო ადგილზე, თითქმის ნახევარი ტანით ამალღებული ბოგირის კრილზე. ამასთან მისი ჩასხმული, ძალუმი სხეული კიდევ უფრო დეკემპირული ჩანდა. დიმიტრი ივანეს-ძე მხოლოდ ოცდათერთმეტი წლისა იყო, მაგრამ მისი მოკუტული თვალები, ფხიზლად რომ აკვირდებოდნენ ზღვის დაბინდულ სივრცეს, ვაჟაკური ფართო გარუჯული სახე და გაზიდული ჩალისფერი წარბები ბევრად უფრო ხნიერის იერს აძლევდნენ. მხედველობა სუროვს განსაკუთრებით მახვილი ჰქონდა. როცა ზედა ბოგირზე იდგა, ვერც ერთი მენიშნე ვერ ასწრებ-

და ზღვაში რაიმე ობიექტის შემჩნევას. სუროვი, თუ პირველი არა, მენიშნეებთან მაინც დაინახავდა ზღვაში გამოჩენილ ყოველ ოდნავ საგულისხმო საგანს, მაგრამ იმ დაწყველილ ღამეს სუროვს ჩვეულებრივმა ალლომ უღალატა. სასიკვდილო საფრთხე ნავს კატასტროფული სისწრაფით უახლოვდებოდა. პირველად ეს შეამჩნია არა კაპიტანმა, არამედ მენიშნემ, რომელიც მის უკან პერისკოპის ფუძეზე იდგაროცა მან უფროსს მოახსენა, მარჯვენა მხრიდან ორმოცი ტორპედო მოდისო, ნავის დაღუპვა უკვე გარდუვალი იყო. სუროვმა უფრო ინტუიციით, ვიდრე შეგნებულად ბრძანა საკის მობრუნება და... აშკარა საფრთხემ ნავს რაღაც ორიოდ მეტრზე ჩაუარა სლასტნიკოვის მახვილმა სმენამ ყველაფერი გაიგონა ან იაზრა, თუ რა ხდებოდა გარეთ და რას ამბობდნენ ბოგირზე. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა იმათზე არანაკლებ ღელავდა, რომლებიც თვალნათლივ ხედავდნენ მტრის დამლუპველი ტორპედოების მოძრაობას, მაგრამ თავის მოვალეობას მაინც უნაკლოდ ასრულებდა. საგუშავო ქურნალის ჩანაწერებში ზუსტად აღინიშნებოდა ყველაფერი, რაც ზღვის ზედაპირზე ხდებოდა, თუმცა ბრძოლის ორმოტრიალში ბოგირიდან ხშირად ავიწყებოდათ სალაპარაკო მილით ცნობის მიცემა.

მონადირეებმა უკვე შენიშნეს პორიზონტის წყვედიანში მიმალული მტრის წყალქვეშა ნავი, რომელმაც ტორპედოები ისროლა, და მაშინვე გადავიდნენ შეტევაზე. ახლა „მალიშკას“ კორპუსი ირყეოდა საბჭოთა მონადირე გემებიდან ნატყორცი სიღრმის ბომბების აფეთქებისაგან, სერიებად რომ უშვებდნენ მტრის მიმართულებით. იყო წუთები, როცა მეზღვაურებს, თუმცა იცოდნენ, რომ ეს ჩვენი გემები ბომბავდნენ მტერს, მაინც უსიამოვნო განცდა მოიცავდათ ხოლმე. ფოლადის კორპუსს სიღრმის ბომბების თითქმის ერთდროული, მეხთა კვეთების მსგავ-

სი, კარგად ნაცნობი გრგინვა-ქუხი-ლი აზნაზარებდა. მაგრამ მეზღვაურებს დიდხანს აღარ უელოათ თავიანთი დამცველების ბომბების ამაზრუნენ აკომპანემენტში. „მალიშკა“ მალე გავიდა ღრმა ზღვაში, ფსევროს სიახლოვეს ჩაეშვა და ბიძგებიც შეწყდა. სიღრმეში, წყალქვეშ, ნავი უკვე თავს საკუთარ სტიქიაში გრძნობდა. ფაშისტთა ნავი იოლად ველარ დამეჭვრებოდა. თანასწორ ვითარებაში მალიშკელები გრძობდნენ თავიანთ უპირატესობას და შედარებით არხეინად იყვნენ. „მალიშკას“ საბრძოლო ამოცანა არ შეადგენდა მტრის წყალქვეშა ნაგების მოსპობას, მაგრამ თუ აშკარად დაესხმოდნენ თავს ან პირდაპირი ამოცანის შესრულების დროს დაბრკოლებას შეუქმნიდნენ, ნავს უფლება ჰქონდა იარაღი მტრის წინააღმდეგ მიემართა. წყალქვეშ ეს სავსებით შესაძლებელი რამ იყო და წარმატების იმედიც უნდა ჰქონოდათ.

როცა სუროვმა ბოგირის ლტყი დაკეტა და ცენტრალურ საგუშაგოზე დაბრუნდა, სიღრმისმშობმა 32 მეტრი აღნიშნა. ამაზე ღრმად ჩაშვების საშუალებას ზღვა არ იძლეოდა. უფროსმა ნავის შემდგომი კურსის შესახებ განკარგულებები გასცა და ცენტრალურ საგუშაგოზე გამოიძახა მატროსი ასტამურ მიკამბა, რომელიც ნავში ორ მოვალეობას ასრულებდა მესაქეც იყო და მენიშეც.

ნაკვეთურში უფრო შემოიჭრა, ვიდრე შემოვიდა სასიამოვნო აღნაგობის გამხდარი ჭარისკაცი, საშუალოზე მაღალი ტანისა, და ტიხარის კარი ხმაურით მიხურა. მის ყოველ მოძრაობაში შეინიშნებოდა ენერჯია, ჰაბუტური ცეცხლი, ოპტიმიზმი. სუროვთან მიიჭრა და წესდებისამებრ გამოეჭიმა, სმენაზე დადგა და სხაპასხუპით მოახსენა:

— ამხანაგო მესამე რანგის კაპიტანო, მატროსი მიკამბა გამოცხადდა თქვენი ბრძანებისამებრ!

ნავზე ამბოდნენ, უფროსი თავის ვვარს — სუროვს — ნამდვილად ამართლებსო. უაღრესად მკაცრი და მომთ-

ხოვნი ოფიცერი იყო. მაგრამ სამზედრო მეათურისათვის აუცილებელი ფაფვისებების გარდა სხვა მხარეც მჭირდნენ. შესანიშნავად უხამებდა სიმკაცრეს მამობრივ ზრუნვას, რასაც ხელქვეითებისათვის იჩენდა. შორსმჭვრეტელიც იყო და სამართლიანიც. წყალქვეშა ნავზე ცხოვრებისა და სამსახურის ყოველ წვრილმანს კარგად ითვისებდა. არ შეიძლებოდა თქმულიყო, რომ წყალქვეშელებს სუროვისა ეშინოდათ. პირიქით, ყველას უახლოესი მეგობარივით უყვარდა, ყველა პატივსაც სცემდა. თუ ვინმე დანაშაულს ჩაიდენდა, დამნაშავეს ელოდა უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე შენაერთის რომელსამე სხვა ნავზე მაგრამ ამაზე არავინაც არ ჩიოდა. რაკი „ჩვენმა დიმიტრიმ“, როგორც უფროსს ეძახდნენ ფარულად წყალქვეშელები, სწორედ ასე დასაჯა, მაშასადამე ეს სამართლიანი სასჯელი ყოფილაო, იტყოდნენ ხოლმე. სუროვს შეეძლო არა მარტო დასჯა, არმედ თავის ხელქვეითთა წაქეზება და წახალისებაც.

— სამსახურის სახელით მადლობას გიცხადებთ, ამხანაგო მიკამბა! — მაგრად ჩამოართვა მატროსს დაკოვრებული ხელი. — თქვენი სიფხიზლით ნავს სასიკვდილო საფრთხე ააცილეთ. ბაზაში დაბრუნებისთანავე ვიშუამდგომლებ თქვენს ჭილღოზე წარდგენისათვის.

მეზღვაურს თითქოს შერცხვავა, ისე ისმენდა ნავის უფროსის ქებას. თავისი შავი, გამჭირახი თვალებით აქეთ-იქით იცქირებოდა, და ფართო ღიმილი კიღვე უფრო აძლიერებდა მისი სახის საზეიმო იერს.

სუროვი სიტყვის კაცი იყო და მატროს მიკამბას უსათუოდ წარადგენდა ჭილღოზე, მაგრამ „მალიშკას“ ბაზაში დაბრუნება აღარ ეწერა.

ტორპედოების გზაზე დარჩენილი პატარა პაერის ბუშტების შემჩნევა ღამით, როცა ეს დღისითაც კი ჰქირს, ნამდვილად დიდ დაკვირვებულობას, ნე-

ბისყოფასა და გმირულ შემართებას ითხოვს.

— ამხანაგო უფროსო, მიკამბას რაღაც სათხოვარი აქვს თქვენთან, — ჩაერთა საუბარში მიკამბას ახლო მეგობარი სლასტნიკოვი, — მაგრამ, ხომ იცით, მორიდებულია...

— რა სათხოვარი?

— რეკომენდაცია მჭირდება, პარტიაში შესვლა მსურს, — ძლივს ამო-

ღერდა მიკამბამ და გაუბედავი მზერა მიიპყრო.

— ჩემთვის დიდ პატივად ჩავთვლი, ამხანაგო მიკამბა, რომ რეკომენდაცია მოგცეთ ლენინის პარტიაში შესასვლელად! — მიუგო სუროვმა. საბრძოლო პოზიციიზე გასვლის წინ დაუწერა სუროვმა რეკომენდაცია ასტამურ მიკამბას, მაგრამ კრება აღარ შემდგარა და მიკამბას მიღება ვერ მოასწრეს.

2. საბედისწერო ნაღმი

24 აგვისტოს დილით „მალიშკამ“ დავიკავა სამხედრო მოქმედების ის რაიონი, სადაც სარდლობის ბრძანებით გაიგზავნა.

ვიდრე ბოგირზე ღამენათევი სუროვი დასასვენებლად წავიდოდა, მან სანაპირო ორიენტირების მიხედვით ერთხელ კიდევ განსაზღვრა „მალიშკას“ დგომის ადგილი: დიდი შადრევნის შექტურასა და სოფელ ლუსტრორფის რაიონის ერთ თვალსაჩინო პუნქტს შორის. სუროვი შექებაში სიტყვა-ძენწი იყო, მაგრამ ამჯერად შტურმანის მუშაობით კმაყოფილი დარჩა — „მალიშკა“ თავის საბრძოლო პოზიციიზე პირდაპირ აფთიაქის სიზუსტით მივიდა.

გუშაგად უფროსის მოადგილე უფროსი ლეიტენანტი ივანე ნიკოლოზის-ძე როზოვი დადგა. ეს იყო ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა ოფიცერი, სიცოცხლით სავსე, გონებამახვილი კაცი. სამსახურიდან თავისუფალ დროს მას ხშირად ხედავდნენ ბაზის კლუბში, ოფიცერთა საღამოებზე. მის გარეშე არც ერთი ცეკვა, არც ერთი სიმღერა არ ჩაივლიდა. ამხანაგობაში თავი ბავშვივით ეჭირა, სულ ხუმრობდა, იცინოდა და ათასგვარ ოინს იგონებდა. ზღვაში კი, სამსახურის დროს, მის ადგილზე თითქოს სულ სხვა ადამიანი დგებოდა. თანამოსამსახურეები თითქმის სუოვზეც უფრო შეაცრად თვლიდნენ. სავსებით მიეცემოდა ხოლმე სამსახურის საქმეს. რა სიცილი, რა ხუმრობა და ოინები, ერთი ზედმეტი სიტყვა არ წამოსცდებოდა.

სავუშაგოზე რაიმე წესის დარღვევაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, საქმეში მის მახვილ თვალს ვერაფერს გამოაპარებდით. ტყუილად კი არ ამბობდნენ წყალქვეშელები: „ყველაფერს ხედავს, და ესმის იმას თვით მშინაც კი, როდესაც სძინავს!“

გუშაგობა რომ ჩაიბარა, როზოვმა ჩვეულებისამებრ მტკიცე ნაბიჯით აიარა კიბე, ბოგირზე დადგა, პორიზონტს გახედა, პერისკოპი დაუშვა.

„მალიშკა“ ნაპირის გაყოლებით მიცურავდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. გემის ცხვირის მარცხენა მხარეს, არც ისე შორს, პორიზონტის იქით, ოდესა ეგულბოდა. როზოვი ოდესაში დაიბადა და განსაკუთრებით უშიშმა იმ მძიმე სინამდვილის გახსენება, რომ ეს მშვენიერი ქალაქი მტრის ხელში გმინავდა და მის ქუჩებს ტლანქი ფეხით თელავდნენ პიტლერელები. იქნებ სხვებზე მეტი სურვილიც ჰქონოდა, რომ რაც შეიძლებოდა მალე პირისპირ შეეყოლა მტერს, იერიში მიეტანა და შური ეძია, თავისი წვლილი შეეტანა საყოველთაო სახალხო შურისმაძიებელთა ბრძოლაში სამტროდ შემოქრილი ავაზაკების წინააღმდეგ.

სალაპარაკო მიღში კოკის ხმა გაისმა. საუზმე მზად არისო. გუშაგმა ოფიცერმა მაშინვე ნაკვეთურებში გასცა ბრძანება: „საუზმეზე!“ ეს იყო „მალიშკას“ უკანასკნელი საუზმე, და საერთოდ ეკიპაჟის უკანასკნელი დღე. მხოლოდ ორს ეწერა ხვალინდელი დღის

სინათლის ხილვა. დანარჩენთა ხვედრი იყო ვერაგ მტერთან უკანასკნელ ბრძოლაში დაღუპვა.

ნაკვეთურში თევზის კონსერვები, კარაქი და თეთრი პური მოიტანეს. წყალქვეშელებს დასვენება ეჩქარებოდათ და სწრაფად გაუსწორდნენ უბრალო საუზმეს. დღის განრიგი უკვე დამეზე იყო გადატანილი და ყველას უნდოდა დასვენება მოესწრო, ვიდრე ნავი წყალქვეშა მანევრებს მორჩებოდა. ღამით ნავს უნდა ამოეცურა და ზედაპირზე დაემუხტა აკუმულატორის ბატარეები, შეეუმშული ჰაერითა და სხვა ენერგეტიკული საშუალებებით მომარაგებულიყო. ყწალზევით ტარდებოდა ის სამუშაოები, რომლებიც გავსლასა თუ კორპუსის გარეთ განლაგებული მექანიზმების საბრძოლო უნარჩინობას ეხებოდა. ამას გარდა, გუშაგად მდგარ ადამიანთა რიცხვი იზრდებოდა და ეს ნიშნავდა, რომ ღამით არც ერთ წყალქვეშელს არ უნდა ჰქონოდა თუნდაც ერთი წუთით თვალის მოტყუების იმედი.

სლასტნიკოს მორიგობამ ყველაზე მიძიმე დროს მოუწია. — მესამე ცვლაზე — ოთხიდან რვა საათამდე. ძალიან დაიქანცა და როგორც კი ლოგინს შეეხო, მოკვეთილივით „დაეცა“. რა თქმა უნდა, ტყბილად იძინებდა, როგორც შეზღუდურებმა იციან, თვით თავის მეორე მორიგობამდე, იძინებდა წყალქვეშელურად, მკვდარივით, მაგრამ ფიცხელი ბრძოლის ზარებმა გააღვიძეს — „მალიშკას“ კორპუსის შიგნით, ყველა ნაკვეთურში ქუბდა საბრძოლო განგაშის გამაყრუებელი ნიშანი. წყალქვეშელები ისრებივით მიჰქროდნენ თავიანთ საბრძოლო პოსტებისაკენ. სუროვს თვალი ვერ მოეცილებინა პერისკოპის ერთადერთი ოპულარისათვის და ისე გადასცემდა ლაკონიურ ფრაზებს საგუშაგო კურნალში ჩასაწერად. „ნამდვილი პელენგი 243 გრადუსი, მანძილი 60 კაბელტოვი, ამაღა ნაპირის გაყოლებით, ჩრდილო-აღმოსავლეთის კურსით. ბადრაგის შემადგენლობა: ორი ტრანს-

პორტი, დაცვა ჯერ არ ჩანს, მაგრამ ალბათ, შედგება 8-12 მონადირისა და თვითმავალი კარკაპისაგან.

პორიზონტის სწრაფი დაზვერვის შემდეგ უფროსმა პერისკოპი დაუშვა და „მალიშკა“ მტრის ამაღის შესახვედრად გაეშურა. ნაკვეთურებში დამაბული დუმბილი ჩამოვარდა, რასაც არღვევდა მხოლოდ ზღვის წყლის ყრუ გუგუნის და ნაირნაირი ხელსაწყოების ზომიერი წიწყი. წყალქვეშელებმა იცოდნენ, რომ მოვლით ცხარე შეტაკება ძლიერ მტერთან, „მალიშკა“ მანევრებს აკეთებდა თავისთვის მეტად არახელსაყრელ პირობებში. ვერ სარგებლობდა წყალქვეშა ნავის ძირითადი უპირატესობით — სიღრმეში მანევრების უნარით. შეტევის რაიონში სიღრმე არ აღემატებოდა ოც მეტრს. ამაღის რკალს რომ გაარღვევდა, წყალქვეშა ნავს შეეძლო მტრის მონადირეთა შორის გავსლის დროს შეუმჩნეველი ყოფილიყო მხოლოდ პერისკოპის სიღრმეზე. მტრის გემების სიმრავლისა და სრული შტილის პირობებში ეს ძალიან ძნელია. და მართლაც, „მალიშკა“ ფაშისტებმა შენიშნეს უფრო ადრე, ვიდრე ტრანსპორტს ტორპედებს დაუშენდა. ერთბაშად დაესხნენ თავს წყალქვეშა ნავებზე მონადირე მტრის გემები. ბომბები პირდაპირ კორპუსის გვერდით ეცემოდნენ, „მალიშკა“ კი მაინც სრული სისწრაფით განაგრძობდა სვლას მიზნისაკენ, თუმცა ზედიზედ ზიანდებოდა. მწყობრიდან გამოდბოდნენ მექანიზმები, ქრებოდა შუქი, ცალკეულ ნაკვეთურებში წყალი ქონავდა, მაგრამ ნავი განაგრძობდა თავის კანდიერ მანევრს, და მალე გაუშვა კიდევ მოშაკვდინებელი ტორპედები. ფაშისტების ტრანსპორტი მკვეთრად მიბრუნდა მარჯვნივ, საფრთხეს გარიღება სცადა, მაგრამ გვიანდა იყო. საბჭოთა წყალვეშა ნავის მარჯვე ნასროლს ველარსაით გაეჭკეოდა. ერთიმეორის მიყოლებით გაისმა გრგვინვა და სამუდამოდ დაიმარბა წყალთა წიაღში დიდი ფაშისტური ტრანსპორტი, პირამდე სავსე საბრ-

ძოლო ტექნიკითა და ცოხალი ძალე-
ბით.

„მალიშკამ“ თავისი საქმე გააკეთა და გარიდება სცადა. სუროვს უნდოდა ღია ზღვაში გასვლა, შორს გაჭრა, დიდ სიღრმეთა რაიონში. ეს გადაწყვეტილება ყველაზე უფრო გონივრული იყო, მაგრამ მტრის გაშმაგებულ მონადირეებზე რომ არაფერი ვთქვათ, სუროვმა არაფერი იცოდა მტრის დანადგურულ ველზე, სპეციალურად რომ იყო გამიზნული საბჭოთა წყალქვეშა ნაგების მოსასპობად. ეს დანადგური ველი სერავდა შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს და გადიოდა ისეთ ზოლად, რომ მის შიგნით გერმანელთა გემებს შედარებით უშიშრად ემოქმედნათ და ზღუდე შემოევილოთ, ხოლო ჩვენი ნაგები შიგნით ვერ შეჭრილიყვნენ. „მალიშკამ“ სრული სვლა განავითარა და კურსი აიღო 142 გრადუსზე, როცა მტრის სიღრმის ყუბმარამ მძიმე ზიანი მიაყენა. მტკიცე კორპუსი ვაიბო და წყალქვეშელები იძულებული გახდნენ მოეხდინათ საღიზელო ნაკვეთურის ევაკუაცია, მისი იზოლირება ნავის დანარჩენი ნაწილისაგან. ყველაზე დიდი ნაკვეთურის ზღვის წყლით ავსებამ მეტისმეტად გააძნელა ნავის მართვა. „მალიშკამ“ ვერ ჩერდებოდა საჭირო სიღრმეზე, წარამარა ვარდებოდა ფსკერზე და მიწას მიპყვებოდა უკან კი ტოვებდა ფართო „ხელს“ და მღვრიე წყლის გრძელ ზოლს.

— სერგეი ანისიმოვიჩი! — მიუბრუნდა სუროვი ნავის პარტორგს, მთავარ ზემდეგს ანისიმოვს, — ვთხოვთ გახვიდეთ ტორპედების ნაკვეთურში. როგორმე იქ მაინც უნდა მოვახდინოთ ავარიის ლიკვიდაცია, რაც არ უნდა დაგვიჯდეს. თუ საღიზელს გარდა ერთი ნაკვეთურიც აივსო წყლით, გავეიჭირდება...

— არის, წავიდე სატორპედო ნაკვეთურში! — მოკლედ მოუჭრა პარტორგმა, ხშირი ქერა თმა ხელით შეისწორა და მაშინვე გავიდა.

სატორპედო ნაკვეთურში თავგანწირული ბრძოლა მიმდინარეობდა გარე-

დან შემოჭრილ წყალთან. წყალქვეშელები წელამდე წყალში იდგნენ, არაქათი ეცლებოდათ, ზებზებდნენ, ანდებდნენ სალბუნს, უჭერდნენ ხრახნებს, დგამდნენ სოლისებურ მოწყობილობას, ქაჩავდნენ ბანის მიღმა წყალს უხმაურო ხელსაწყოების შემწეობით, მაგრამ არაფერი არ იძლეოდა სასურველ შედეგს. ნაკვეთური სულ უფრო იცვებოდა წყლით, სულ უფრო ჭირდა ამ ეგზეზომ სასიცოცხლო განყოფილების შენარჩუნება. ამასობაში „მალიშკამ“ ძალიან ნელა, მაგრამ მაინც განაგრძობდა სვლას ზღვისაკენ, კაბელტოვობით უახლოვდებოდა საბედისწერო დანადგურულ ველს, მშვიდი ზღვის სიღრმეში შეუშინებლად მიმალულს. მტრის მონადირეთა იერიშები თანდათან შენეელდა და ბოლოს სულ მიწყდა. ელემტროდენივთ დაიარა მთელი ნაგი პილროაკუსტიკოსის ცნობამ. მღვეართა გემების ხმაური აღარ ისმისო. ყველა გაახარა ამ ცნობამ. შესაძლებელი გახდა ავარიასთან ბრძოლის ყველა საშუალების განუსაზღვრელად გამოყენება. დიდ იმედს ამყარებდნენ შეკუმშულ ჰაერზე. აქამდე მისი გამოყენება არ შეეძლოთ, რომ თავიანთი ადგილსამყოფელი არ გამოეაშკარაებინათ, მაგრამ ახლა, როცა ფაშისტი მღვერები შორს იყვნენ, მცირე ოდენობის ჰაერის გამოშვებას აღარ შეეძლო ზიანის მოყენება. სუროვმა სატორპედოში იკითხა საქმის ვითარება.

— შესაძინევი წარმატება არა გვაქვს, ამხანაგო უფროსო, მაგრამ ნაკვეთურის სიცოცხლეს კი შევინარჩუნებთ, — უპასუხა ანისიმოვმა. უფლებას გაძლევთ გამოიყენოთ საპირისპირო წნევა მალაქი წნევის ჰაერის შემწეობით! — ბრძანა სუროვმა. — როგორც კი ნაკვეთური გაშრება, მალა აცურავთ!

შიშინით შეიჭრა ნაკვეთურში ჰაერი და შედარებით იოლად განდევნა ზღვის წყალი. სუროვის კითხვაზე ანისიმოვმა მოახსენა, რომ ჯერ კიდევ არაა სავსებით განდევნილი შემოჭრილი წყალი სატორპედო ნაკვეთურიდან,

მაგრამ „მალიშკამ“ უკვე შესძლო დიფერენტის გასწორება და ფსკერიდან მოწყვეტა-სვლას უმატა საშუალომდე, ნელა, თითქოს უხალისოდ წავიდა მაღლა, ნახვევებ სიღრმემდე, აიღო 110 გრადუსის კურსი — ყველაზე უფრო ხელსაყრელი იმისათვის, რომ ზღვის თხელი ნაწილიდან გასულიყო. წყალქვეშელებს გული სიხარულით ეგებებოდათ. ყველა წინასწარ გრძნობდა მტერთან შეხვედრის სასიკეთოდ დამთავრების სიამოვნებას. ნავმა დიდი ზიანი ნახა, ბევრი მექანიზმი გამოვიდა მწყობრიდან, საჭირო გახდებოდა ხანგრძლივი და შრომატევადი რემონტი, მაგრამ მტრისთვის მიყენებული ზიანი ათმაჯად აღემატებოდა ყოველივე ამას. ფაშისტური ტრანსპორტი, რომელზედაც შეიძლებოდა ყოფილიყო ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი, მთელი საბრძოლო ტექნიკითა და შეიარაღებით, განადგურებული იყო და ზღვის ფსკერზე ჩაბარხული. რჩებოდა მხოლოდ თავის ბაზაში დაბრუნება, აქამდე ასე შორეული კავკასიის სანაპიროზე. სატორპედო ნაკვეთურის ამოშრობის შემდეგ შესაძლებელი ხდებოდა საგრძნობლად შელახული ნავის დაბრუნება მშობლიურ ბაზაში, სხვა რაღა უნდოდათ? ცენტრალურ საგუშაგოს საათი უჩვენებდა 20 საათსა და 24 წუთს. „გუშინ, მგონი ამავე დროს, ნავზე დროშას ვუშვებდით, — გაუელვა თავში სლასტნიკოვს, — ისეთი წყნარი საღამო იყო... დღეს კი ძნელი წარმოსადგენია ასეთი რამ!“

— ცენტრალურში! ჩიი მზადაა! — კოკიც დასუსტებული ჩანდა, ხმა ჰღალატობდა ამდენი მღელვარების შემდეგ და ძლივს შეარჩია მომენტი, როცა მეზღვაურებს მოაკონებდა, ამდენი მძიმე განსაცდელის მერე მოლონიერებაა საჭირო.

სუროვმა კოკის წინადადებაზე პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, გაისმა გამაყრუებელი აფეთქება, ჩაქრა შუქი, ნავში ყველაფერი ერთიან ქაოსად იქცა. სლასტნიკოვს მოეჩვენა, რომ ნავის ნა-

მუსრევებთან ერთად მაღლა მიფრინავს, ცაში, უზარმაზრი აფეთქებული ტალღის ძალით ატაცებული, მაგრამ კლდოვანადა, რომ მხოლოდ რამდენიმე მეტრით გადაფრინდა თავისი პოსტიდან შტურმანის პატარა მაგიდასთან და კუთხეში თავდაყირა დავარდნილ ბოცმანს დაეცა ზემოდან.

„მალიშკა“ ქვესაეთ დაეცა ფსკერზე, აღარც სვლს ჰქონდა, აღარც საკე და აღარც რაიმე მართვა. აბსოლუტურ სიბნელეში, სადაც მეორე ნაკვეთურში წყალი შიშინებდა, შადრევნად ეცემოდა მტკიცე კორპუსის შიგნით.

— ჩართეთ საავარიო განათება! მაცნობეთ დაზიანებანი და შეუდექით შეკეთებას! — შეკავებული, მაგრამ მბრძანებლური ხმით გასცა განკარგულება სუროვმა. მისი მძლავრი ხმა სადაც სლასტნიკოვის გვერდით ისმოდა. ალბათ უფროსიც იქ დაავლო აფეთქების ძალამ, სადაც ტრიუმის შემანქანე გადაისროლა.

— სატორპედოში პირდაპირი ნარღვევია, ნაკვეთური სწრაფად ივსება, განათების ჩართვა შეუძლებელია! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოახსენებდა ნაკვეთურის მამასახლისი. ამასთან სლასტნიკოვი გრძნობდა, რა მძიმედ სუნთქავდა წყალქვეშელი.

— მოახდინეთ ნაკვეთურის ევაკუაცია! — სხაპასუხით მიუგო სუროვმა, რომელიც სალაპარაკო მილთან მივარდა. — ანისიმოვი მილთან! როგორია ხალხის მდგომარეობა?

სუროვმა ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი ბრძანება, მაგრამ სატორპედო ნაკვეთური აღარ პასუხობდა. მეზობელი ნაკვეთურიდან შეატყობინეს, რომ აფეთქებამ ტიხარი გადაღრიცა და სატორპედოსთან კავშირი გაწყვეტილა. სუროვმა სცადა ტორპედისტებთან ტელეფონით დალაპარაკება, მაგრამ ეს ცდაც უშედეგო გამოდგა. სატორპედო ნაკვეთურმა მოასწრო ევაკუაცია, პერმეტულალ დაიხურა და გაჩუმდა. კოთხეებზე აღარ პასუხობდა.

— დაილუპნენ ძმები... ვმირწულად

დაიღუპნენ, — ამოიოხრა როზოვმა, რომელიც უფროსის გვერდით აღმოჩნდა. საავარიო განათების სუსტ შუქზე ნავის უფროსის პირველი მოადგილის სახე სლასტნიკოვის მრავალი წლით დაბერებული ეჩვენა.

— რატომ აუცილებლად დაიღუპნენ?

— სხვათა შორის ჰკითხა სუროვმა — მათ ნაბრძანები ჰქონდათ ნაკვეთურის დატოვება. მათ შეეძლოთ თავიანთი ნაკვეთურის ლუკით ასულიყვნენ და ნაპირისაკენ გაეცურათ ან ჩვენს ზედაპირზე აცურვისათვის დაეცადათ.

უფროსი ცდილობდა გაეზნევენებინა ცენტრალური პოსტის წყალქვეშელები მაგრამ არაღის, და რა თქმა უნდა, არც თვითონ მას, არ სჯეროდა, რომ ტორპედისტები შესძლებდნენ ასე მალე ნავის მიტოვებას, გადარჩენას და ზღვის ზედაპირზე ასვლას.

ყველას ესმოდა, რომ „მალისმა“ მტრის ნაღვზე აფეთქდა და შიშხედ დაზიანდა. ორი დიდი ნაკვეთური წყლით იყო სავსე, ბევრი სასიცოცხლო მექანიზმი გამოსული იყო მწყობრიდან და აღარც მთავარი ბალასტის ცისტერნების ნაწილი ვარგოდა რამედ. მათი გაბერვა იმისათვის, რომ ნავი ზედაპირზე ატიკტიკებულყო, აგრეთვე საეჭვო ჩანდა.

— ამხანაგო სმაგინ, — მიუბრუნდა სუროვი ნავის მექანიკოსს, — ახლა ჩვენთვის ეგზომ საჭირო შეკუმშული ჰაერის ამო ხარჯვას რომ თავი დავაღწიოთ, აუცილებლად უნდა გავიგოთ, შესაძლებელია თუ არა მთავარი ბალასტის საავარიო გაბერვა. სწრაფად, პირადად შეამოწმეთ უნდა აცუროთ წყლის ზედაპირზე. მალე დაღამდება, თავს ავარიდებთ, თუ რამე გამოჩნდა, ასე ვეჭვობ, — ნაკვეთურის სათიშე მიანიშნა, რომელიც სლასტნიკოვის აზრით გაჩერებულიყო, ამიტომ 20 საათსა და 26 წუთს უჩვენებდა, თუმცა ამჟამად ბევრად მეტი დრო იყო გასული.

ტანად დაბალი, ჩასხმული ოცდარევა წლის კაპიტან-ლუიტენანტი გიორგი პეტრეს-ძე სმაგინი გარეგნულად მეტის-

მეტად მშვიდი ჩანდა. მაგრამ ეს იყო მოჩვენებითი შთაბეჭდილება. სინამდვილეში სულაც არ იყო ფლუგმატიკური კაცი. თავის მოვალეობას ყოველგვარ, თვით ურთულეს ვითარებაში წესიერად ასრულებდა, თავის დროზე და ზუსტად. არაფის ახსოვს, რომ ოდესმე სადმე დაჰგვიანებოდა.

— არის პირადად შევამოწმო აცურვის სისტემას — გიმიერა სმაგინმა უფროსის ბრძანება და ნაკვეთურიდან გაუარდა.

ცენტრალურ საგეშაგოზე ახალ-ახალი მოხსენებები მოდიოდა მექანიკებისა და ხომალდის კორპუსის დაზიანებაზე. საცხოვრებელ ნაკვეთურში მტკიცე კორპუსი გარღვეულიყო, მაგრამ საპაერო საპირისპირო წნევის მეშვეობით შესაძლებელი გახდა წყლის განდევნა, საღებუნის დადება, ტრუბცინის ჩახრახუნა და წყლის დენის შეჩერება. მაგრამ ელემენტების დამტვრეული ავზებიდან ზღვის წყალმა მოასწრო აკუმულატორთა ბატარეაში შეღწევა და ატმოსფეროში უხვად გამოიყოფოდა ქლორი. აირწინაღებით აღჭურვილი წყალქვეშელები წელამდე წყალში იდგნენ და ხელით ქაჩავდნენ წყალს საბატარეო ღრმულიდან ღობურებში. ელექტრომტორულ ნაკვეთურში გარსაცმის გარღვეულ ნაკერში პირდაპირ კორპუსის კედლიდან წყალი დაეღვარა ნავის მთავარ ძრავებს. წყალქვეშელებმა სწრაფად მოახერხეს ნარღვევის შეკეთება და ნაკვეთურის ამოშრობა, მაგრამ ხელსაწყოები აღნიშნავდნენ ძრავების იზოლაციას ნულამდე. ასეთ ვითარებაში საშიშიც იყო მოტორებით სარგებლობა და ახლა ელექტროოსტატები ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, ყოველგვარი საშუალებებით ამრობდნენ მოტორთა ნაწილებს. სავსე სატორპედო ნაკვეთურიდან წყალი განუწყვეტლივ ჟონავდა ტიხარში. რა ღონისძიებას არ მიმართეს წყალქვეშელებმა, რა არ გააკეთეს, მაგრამ ნაკვეთურის მთლიანად პერმეტიზება მაინც ვერ მოახერხეს.

სუროვი ბოლომდე არ ისმენდა მოხსენების სიტყვებს, იქვე იძლეოდა განკარგულებას ამა თუ იმ დაზიანების შეკეთებაზე და ყურადღება გადაჰქონდა მორიგ მომხსენებელზე. სლასტნიკოვი ხედავდა, როგორ ჩამოსდიოდა უფროსს ჭირის ოფლი სახიდან, და მაინც ისე ირჩებოდა, თითქოს აქ არაფერი იყო.

მექანიკოსის ბრძანებით, სლასტნიკოვი ხელსაწყოებით ამოწმებდა მთავარი სადგურის ცხოველუნარიანობას, ახდენდა ინდიკატორების ჩვენებათა შეფარდებას, სწავლობდა მთავარი ბალასტის სავენტილაციო მანქანა-დანადგარების ფაქტიურ მდგომარეობას იმის მიხედვით, თუ რომელ ნაკვეთურში რა ადგილი ეჭირათ.

ამ სისტემაშიც ბევრი რამ აღმოჩნდა დაზიანებული. სლასტნიკოვმა და სმაგინმა ბევრი იჯახირეს, ვიდრე სისტემას წესრიგში მოიყვანდნენ და აურვისათვის გამოსადეგად აქცევდნენ.

სადგურში საქმეს რომ მორჩა, სლასტნიკოვმა მშვიდად ამოსუნთქა, სახელოთი ოფლი შეიწმინდა და ნაკვეთურის საათს ახედა. მაშინვე მიხვდა, რომ საათი გაჩერებულია. მისმა ჩვენებამ გააოცა: 20 საათი და 26 წუთი...

ნაკვეთურში მექანიკოსი შემოვიდა. სლასტნიკოვს მისი გამომეტყველება არ მოეწონა. მექანიკოსის მოძრაობა ჩვეულებრივზე სწრაფი და ენერგიული ეჩვენა. კარის კომინგსზე რომ გადმოაბიჯა, მაშინვე დაიწყო:

— ამხანაგო უფროსო! მთავარი ბალასტის ბერვის სისტემა ასაცურავად გამზადებულია! სავენტილაციო მანქანები, მათი ინდიკატორები და კინგსტონები შემოწმებულია!

სუროვმა ჩვეულების ძალით ნაკვეთურის საათს ახედა-

— გაჩერებულია! — დაიჭირა მისი მხერა სმაგინმა და მაშინვე თავისი მაჯის საათს დახედა. — ახლა ნოლ საათი და ორმოცდასამი წუთია... მაშასადამე, დაიწყო მორიგი დღე...

სუროვი სრულიად ჩვეულებრივად

გილზე დადგა პერისკოპთან და ბრძანა: — ადგილებზე! გაემზადეთ მსაცურებელი!

უჩვეულო მდღეღარებამ მოიცვა სლასტნიკოვი, ალბათ სხვა მეზღვაურებიც იმასვე განიცდიდნენ.

საგრძობლად შელახული, მძიმედ დაზიანებული „მალიშკა“ წყლის ზედაპირზე ამოცურდა. რა თქმა უნდა, ყველას ესმოდა, რომ უკანასკნელი ენერგეტიკული მარაგიც იწურებოდა, რომ თუნდაც აცურვა წარმატებით დამთავრებულიყო, ზედაპირზე მათი მდგომარეობა შეიძლებოდა უფრო სავალალოც გამხდარიყო: თუ მტერი დაუყოვნებლივ დაესხმოდათ თავს, ფაქტიურად უიარაღო და მანევრირების უნარს მოკლებული ნავი საბოლოოდ ჩაიმარხებოდა წყალთა წყვილიანში.

სლასტნიკოვმა ხელის მოვლებით გადაატრიალა სარქველის კოლოფი და შეკუმშული ჰაერი შიშინით შეიჭრა მთავარი ბალასტის ყველა ცისტერნაში ერთდროულად. სუროვმა და სმაგინმა თითქოს სული განაბეს, ისე მოუთმენლად ელოდნენ აცურვის შედეგს. თვალმდებარეები უსესტეკროდნენ სიღრმის მზომს, ხანაც პორიზონტალური საქვების მმართველის წინ განლაგებულ დიფერენტომეტრს უთვალთვალეზდნენ. ჰაერი გაშმაგებით შიშინებდა, ყურთა სმენა მიჰქონდა ცისტერნებიდან განდევნილი წყლის ჩუხჩუხს, მაგრამ ნავი ფსკერზე მიჯაჭვულს ჰგავდა. წამები წუთებად ეჩვენებოდათ. დრო ტატიტ ვადიოდა. „რა მოგვივა, თუ მთელს ჰაერს დავხარჯავთ და აცურვას კი ვერ შევძლებთ?“ — ტვინს უღრღნიდა უხამსი აზრი სლასტნიკოვს. სწორედ ამ დროს ნავი შეირყა, თითქოს გააღვიძესო. დიფერენტომეტრის ბურთულა ჯერ ნელა, ზანტად დაიძრა, მერე კი სწრაფად ვაცურდა კიჩოს მხარეს-სიღრმისმზომშიც აღნიშნა სიღრმის შემცირება, ჯერ დეციმეტრით, მერე მეტრით, სამი მეტრით. მიღწევა გასაგიჟებელი არ იყო, მაგრამ „მალიშკამ“ როგორც იქნა, გაიღვიძა, უკვე ბრძანე-

ბებს ემორჩილებოდა, წყალქვეშელებს გადარჩენის იმედი მოეცათ.

— ბოცმანო, აცურე! — უბრძანა სუროვმა და მანქანების ტელეგრაფი „მცირე წინსვლაზე“ დააყენა.

წყალქვეშელებმა სუსტი ბიძგი იგრძნეს და სიღრმის ისარიც უფრო აქტიურად გაეჭანა წინ. ამასთან ცხვირის მხარეს დიფერენტმა სახიფათო ზრდა დაიწყო. „მალიშკას“ ცხვირის მხარე მეტისმეტად მძიმე ჩანდა. ამასთან აფეთქების ადგილას ცისტერნები დაზიანდნენ და აღარ შეეძლოთ გაბერვა.

სუროვმა სვლის მომატება ბრძანა, პორიზონტალური საჭეები მთლიანად

ასაცურავად დააყენა და ცხვირის მხარის ცისტერნების გაბერვის განკარგულება გასცა.

„მალიშკამ“ წინსვლა ააჩქარა, მაგრამ სიღრმიდან მეტი აწევა ვერ შესძლო და ცხვირის მხარეს დიფერენტიც აღარ გაზრდილა.

სუროვი მოწყვეტით მობრუნდა სმაგინისაკენ და რაღაც ბრძანების გასაცემად გაემზადა, მაგრამ მხოლოდ პირის გაღება მოასწრო. გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა... წყალქვეშა ნავი შეიერყა, ასანთის კოლოფივით ატორტმანდა და ყველაფერი წყვდიადმა შთანთქა.

8. ჩვეულებრივი ხველი

როცა სლასტნიკოვი გონს მოეგო, სრულ სიბნელეში ვერ გაარკვია, სად იმყოფებოდა. ძლივს ესმოდა სადღაც ახლოს წყლის ჩხრიალი, დანარჩენი არაფერი არღვევდა ღუმელს. მყისვე წამოხტა საგებიდან, სადაც წყლის ჩხრიალის ხმა აღწევდა და მაშინვე მიხვდა, რომ „მალიშკა“ მტრის ნაღმს დაეჯახა და აფეთქდა. „ამჯერად ნავი ალბათ დაიღუპა“, — გაუელვა ძარღვების დამწლელმა აზრმა.

— ამხანაგო უფროსო! სადა ხართ? ამხანაგო უფროსო! — სლასტნიკოვი ბნელ ნავეთურში დაბორილობდა და ამხანაგებს ხელების ფათურით დაეძებდა. — ამხანაგებო! გესმით ვინმეს ჩემი ხმა? მეგობრებო! ხმა გამეცით, თუ შეგიძლიათ!..

რაღაც საგანზე დავარდნილიყო, კეფა დაზიანებოდა. თავიდან მონადენი სისხლი კისერში, საყელოში და მკერდში ჩასდიოდა. მთელი ზურგი ტეხავდა და მარჯვენა ფეხსაც ძლივს იმორჩილებდა, მაგრამ საკუთარ ტკივილს არ დაეძებდა — როგორმე ამხანაგებს უნდა დახმარებოდა.

ორ ნაბიჯზე იპოვნა პირქვე დავარდნილი და ნახევრად წყალში ჩაძირული ადამიანი. ზრუნვით გადააბრუნა და წა-

მოყენება სცადა, მაგრამ დაზარალებული სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამკლავებდა. ამო გამოდგა ხვეწნა-მუდარა.

— ამხანაგებო, გამიგონეთ, — მოესმა სლასტნიკოვს უკანიდან ვიღაცის ხრინწიანი ხმა და მაშინვე იცნო სუროვი.

— არის, ამხანაგო უფროსო! მეორე რიგის ზემდეგი სლასტნიკოვი, — ისე უბატაკა წყალქვეშელმა, რომ იფიქრებდით, არაფერიც არ მომხდარაო.

— ჩვენ ნაღმზე აფეთქდით, — სუროვმა ჩაახველა, შეისვენა, ალბათ უპირდა ლაპარაკი, თუმცა ცდილობდა თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს შეეძლო კიდევ, — ნავის გადარჩენა აღარ შეიძლება... გიბრძანებთ: მიატოვეთ ნავი ყველამ, ვისაც შეგიძლიათ, გაცურეთ ნაპირისაკენ, მონახეთ პარტიზანებთან დაკავშირების საშუალება და ყოველნაირი ღონისძიებით შეატყობინეთ ჩვენს სარდლობას, რომ ამ მიდამოებში ფაშისტების დანადგული ველია... ჩვენი პოზიციის რაიონში... ეს... დიახ, სულ ეს... შეასრულეთ! ბრძანება შეას...

— ამხანაგო უფროსო! — სლასტნიკოვმა უფროსის მხარეს გაიწია, მაგრამ თავი რაღაცას მიარტყა, გაჯავრე-

ბელს გინება წამოსცდა, ნატყენ ადგილზე ხელი მოისვა. სუროვი აღარ პასუხობდა. სუროვმა აკანკალებული ხელებით გადაქექა ნაკვეთური, ოთხი ამხანაგი დაღუპულიყო აფეთქების დროს მიღებული ჭრილობებისაგან.

წყალქვეშ ყოფნისას მეზღვაურები ერთნაირად იცვამდნენ: მსუბუქ კომბინიზონსა და პილოტურ ქელს, ასე რომ სლასტნიკოვმა ვერ გაარკვია, დაღუპულთა შორის რომელი იყო უფროსი. მაგრამ იმაში კი დარწმუნდა, რომ ნაკვეთურში ცოცხალი მხოლოდ თვითონ გადაარჩა.

„უფროსის ბრძანება — სამშობლოს ბრძანებაა, ის უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაჯდეს“ — მოაგონდა სლასტნიკოვის დივიზიონის კომისიის სიტყვები. სწრაფად იპოვნა კიბე, კატასავით ახტა, გააღო ლუკი და აღმოჩნდა ბოვირთან, ჭრილში, მაგრამ აქ მოაგონდა, რომ მსუბუქი საყვინთი სამოსელი ცენტრალურ პოსტზე იყო. დაბლა დაეშვა, მაგრამ ნაკვეთური სანახევროდ წყლით იყო სავსე, შტურმანის მაგიდის ქვეშ ჩანთით შენახული საჭირო აღჭურვილობა რომ აედო, მთლიანად ზღვის წყალში მოუხდა ჩაყვინთვა. სოლიართან, ზეთთან და კუჭყთან არეულ წყალში რომ ჩაყვინთა, დასველებულმა ჭრილობამ საშინელი ტკივილის ახალი შეტევით შეახსენა თავი, მაგრამ ამხე ფიჭრის დრო აღარ იყო.

საბრძოლო განყოფილებაში დაბრუნებული სლასტნიკოვი ნაეიდან გამოსასვლელად სამზადისს შეუდგა, მაგრამ ეს იოლი საქმე არ აღმოჩნდა. ნაღმის აფეთქების დროს დაზიანებულაყო ჭრილის ლუკის სახურავი, და ეს დაბრკოლება რომ გადაეღახა, საათობით მუშაობა დასჭირდა წყვილიაღში. როცა სლასტნიკოვი ზღვის ზედაპირზე ამოვიდა, მზე უკვე დიდი ხნის ამოსული იყო. ზღვაზე უწინდებურად სრული შტილი სუფევდა. უღრუბლო ცა სარკეში არეკლილი ზღვა გეგონებოდათ. სლასტნიკოვი ზურგზე დაწვა, დიდხანს კუტავდა დაბრძანებულ თვალებს, და როცა შექს

როგორც იქნა შეეჩვია, პორიზონტის მარჯვენა მხარეს ვახედდა, და მალე თვალსაწიერზე ჩანდა დაქანებული ნაპირო ხაზი. „ათი მილი იქნება, ან შეიძლება მეტიც“, — გაიფიქრა ზღვას მინდობილმა.

საგანგებოდ ამ მიზნით შეეკმშული ჰაერით გაბერილი მსუბუქი საყვინთი სამოსელი ახლა მაშველ სამკერდე ბალიშად გამოიყენა. სლასტნიკოვს თავისუფლად შეეძლო სული მოეთქვა, ვიდრე ნაპირზე გასასვლელად ცურვას დაიწყებდა. ვინ იცის, კიდევ როდემდე იძინებდა, ზურგზე დაწოლილი, მაგრამ გააღვიძეს.

— შენ სრულიად... ცოცხალი ხარ? მადლობა ღმერთს, როგორც იტყოდა ჩემი საბრალო ბებია! — ზედ ყურთან მოესმა ასტამური მიკამბას ნაცნობი წამოძახილი.

— შენც... მარტო ხარ? მეგობარო, ასტამურჯანი! — სლასტნიკოვი ამხანაგს ეცა და გადაეხვია. — რა უბედურება დაგვატყდა! ყველა დაიღუპა!

ვაჟაკთა ცრემლს ნუ დაეძრახავთ ახლა, სამუდამოდ ზღვის წიაღში მიკარგული „მალიშკას“ საფლავის თავზე, მტრის ზურგში, მეგობრებმა დაქანებული ნერვები ვეღარ შეიკავეს და ღვარად გადმოედინათ თვალთაგან მლაშე ცრემლი. ზღვა კი ისედაც მლაშე იყო!

ელემენტრო-მოტორული ნაკვეთურიდან ცოცხალი გადაარჩა და მალა ამოვიდა მხოლოდ ერთი მეზღვაური, მიკამბა, დანარჩენი სამი კაცი დაიღუპა. ნაკვეთური მაშინვე წყალმა დაფარა.

— არაფერია, ვალოდია, არაფერია! გაგვიპირდება, მაგრამ არაფერია... ნაპირს მივალწვეთ! — მუჭარის კილოთი ამბობდა ასტამური. და სანაპირო ხაზს გასცქეროდა, — გავალთ და თანაც შურს ვიძიებთ ამხანაგებისათვის... ჩვენი თვისაც და ნავისთვისაც...

სლასტნიკოვმა შეისვენა, ამოიოხრა და ამხანაგს სუროვის უკანასკნელი ბრძანება გადასცა. ასტამურმა დაუფა-

რავი მღელვარებით მოისმინა და შეს-
ძახა:

— მაშ გავუდგეთ გზას! ჩვენ აუცი-
ლებლად შევასრულებთ იმას, რაც უფ-
როსმა ბრძანა! წამო, მეგობარო, ნაპი-
რისაკენ!

გაუჭირდათ ცურვა წყალქვეშელებს.
უკვე ორი დღე და ღამე გავიდა, რაც
საქმელისათვის პირი არ მიგეარებინათ.
სწყუროდათ, დაჭრილებსა და ქანცა-
წყვეტილებს, მაგრამ გზას შეუპოვრად
განაგრძობდნენ და მეტრობით ამოკ-
ლებდნენ მანძილს, რაც აღთქმულ ნა-
პირამდე დარჩენოდათ. ისე გაუჭირ-
დათ, ერთიმეორის გამოლაპარაკების
თავიც აღარ ჰქონდათ, მხოლოდ თითო
სიტყვას თუ იტყობდნენ კენტად და ისევ
ღუმილით განაგრძობდნენ ცურვას.

შეე უკვე ჩავიდა, სანაპირო ხაზზე
ბინდი ჩამოწვა, მათ კი ეჩვენებოდათ,
რომ ნაპირი ისევ ისე შორს იყო.

— ნუთუ მდინარება უკანვე წაგვი-
დებს, აღმოსავლეთისაკენ? — ასტამუ-
რმა ხმამალა გამოთქვა ის, რასაც
სლასტნიკოვიც ფიქრობდა. ამის გა-
ფიქრებაც კი საშინელება იყო: მაშინ
საერთოდ ვერ ეღირსებოდათ ხმელეთ-
ზე ფეხის დადგმა და საზარელი აღ-
სასრული ელოდათ უნაპირო ზღვის
ტალღებში, რბილსა და მლაშე სარე-
ცელში. მაგრამ საშინელი აზრი დაჩრ-
დილა მწარე სინამდვილემ — ჩრდი-
ლოეთიდან ორი ფაშისტი მონადირე
მოჰქროდა. გეზი სწორედ იმ ადგილი-
საკენ ჰქონდათ აღებული, სადაც წყალ-
ქვეშელები იმყოფებოდნენ ასეთ სავა-
ლალ დღეში. სლასტნიკოვმა ბრძანა,
აპარატები გადავიცვათ და ჩავყვინ-
თოთ, ვიდრე მონადირეები ჩაივლიანო,
მაგრამ ამ ბრძანების აღსასრულებლად
აღარც ღონე შესწევდათ, აღარც დრო
ჰქონდათ, რადგან მტრის მენიშნეებს
მაინც ვერ დაეშალებოდნენ.

— ასტამურ, მეგობარო! ფრთხილად!
თუ საქმე ისე წავიდა, რომ ხელში ჩაგ-
დება დაგვიპირეს, მაშველი აპარატები

არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაეუ-
გლოთ ხელში მტრის! აქაერებით
შესძახა სლასტნიკოვმა და თან დგალი
არ მოუცილებია „ქვეწარმავლებისათ-
ვის“, რომლებიც სწრაფად ახლოვდე-
ბოდნენ.

მაგრამ გვიანდა იყო. ველარაფერი
მოასწრო, ისე აღმოჩნდა მტრის გემის
ქიმათან. როგორც მგლის ბუნაგს, ისე
მოსცილდა, განზე გაკურა, მაგრამ გე-
მიდან ნავი ჩაუშვეს. ნავი სწრაფად
დაეწია სლასტნიკოვს. წინააღმდეგობის
გაწვევა სისულელე იყო, ფაშისტმა ნი-
ჩაბი დაჰკრა თავში და მეზღვაურმა
ცნობა დაჰარგა.

რამდენი ხანი დაჰყო გულწასულმა,
ეს ვლადიმერ ევგრაფის-ქემ ვერასო-
დეს ვერ გაიგო. გონს რომ მოვიდა,
შედარებით მცირე ზომის მონადირე
გემის სველ ბანზე აღმოჩნდა. იგრძნო,
ფაშისტების ტყვე იყო და მაშინვე წა-
მოიწია, მაგრამ ვიღაცის მძღავრმა ხე-
ლმა ისე დააწვინა.

— შვეიდად იწეკი! — ენერგიულად
ჩასჩურჩულა ასტამურმა, რომელიც მის
გვერდით აღმოჩნდა.

სლასტნიკოვი მიწწარდა და ფრთხი-
ლად მიაბრუნა თავი მეგობრის მხარეს.
პირველადვე თვალში ეცა ფაშისტი გუ-
შაგი. იოლად იცნო ფაშისტის დამახა-
სიათებელი ფიგურა, ლეერის მხარეს
რომ იდგა, ბანზე გაქიმულ თოკთან.
თითქოს გაქვავებული იყო, უძრავად
იდგა და სადღაც იქით იყურებოდა,
სხვა მხარეს. პირველი შეხედვით იფი-
ქრებდით, რომ ესაა ქანდაკება და არა
ცოცხალი ადამიანი.

— კატერები სადღაც მიდიან, აღ-
ბათ ბაზაში, — აუხსნა ასტამურმა. —
ჩვენი მეორეა ჩქარობენ: ხედავ, რო-
გორ მიჰქრის?

სლასტნიკოვმა მხოლოდ ახლა მიაქ-
ცია ყურადღება მანქანების დამახასია-
თებელ და საკმაოდ ძლიერ ღმუილს,
რაც ფარავდა არა მარტო ჩურჩულს,
არამედ ორი ადამიანის ჩვეულებრივ
საუბარსაც:

— როგორა ხარ? შეგიძლია გაქცევა?

— გაქცევა? მერე, როგორ? მე, რა თქმა უნდა, შემძლია, მაგრამ... რანაირად? — სლასტნიკოვს ძლიერ სტიქიონდა თავი, მაგრამ გაქცევის აზრმაც კი ყველა ტყვილი გაუქრო, და ისევ ძალთა მოზღვავება იგრძნო. გაქცევის ათასნაირი ვარიანტი დაუტრიალდა თავში.

— ბანიდან უნდა გადავხტეთ? — ჰკითხა ამხანაგს.

— კი, ვფიქრობ, მხოლოდ ასე უნდა გავაყეთოთ, მაგრამ... სადმე ნაპირის ახლოს და... ამ „მეგობრის“ მოშორებაც დაგვეპირდება, — ასტამურს მხედველობაში ჰყავდა გუშაგი.

სლასტნიკოვმა გუშაგი თვალთ გაზომა, მონადირის ბოგირს ფრთხილად გადახედა. ბნელშიც კი გაარჩევდა ადამიანი, რომ იქ ბევრი ხალხი იყო. ასეთ პირობებში გუშაგის „მოშორების“ იდეა განწირული ჩანდა. მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ გაჩუმდა.

— ჯერ ხელები გამიხსენი, — სთხოვა ასტამურმა. — ოღონდ ფრთხილად, ისე რომ არსაით არ გადაბრუნდე, კარგი?

— შენ ხელები შეგიკრეს? მე რატომ არ შემბოჭეს?

— არ ვიცი, დააეწყდათ ალბათ, ან მკვდრად თუ ჩაგთვალეს. საშინელი სახე გქონდა, ერთიანად სისხლით იყავი მოსვრილი, უგრძობლად ეგდე. ერთი სიტყვით, მაპატიე, მაგრამ მეც ვიფიქრე, რომ გათავებული ხარ.

სლასტნიკოვმა მარჯვენა ხელით მოსინჯა კვანძი, მკიდრო რგოლად რომ კრავდა რბილი ტყავის ღვედს და ასტამურის ხელებს ბოჭავდა ზურგს უკან, მერე კი შეუდგა ფრთხილად გახსნას.

თავი რომ არ გაეცათ, მუშაობა მხოლოდ ცალი ხელით შეეძლო და ეს ძლიერ ართულებდა საქმეს. ძლიერ მოშერილი სველი ღვედი ისე იყო განაცვული, რომ კაცი კბილებით თუ გახსნიდა, ხოლო გუშაგის თვალწინ რომ ქამარს კბილებით ჩასკიდებოდა, მაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

— ჩვენს მდგომარეობაში მხოლოდ არაჩვეულებრივი რამის გაცეთვით შეგვიძლია წარმატების იმედი ვიქონიოთ, — უთხრა მეგობარს ასტამურმა. — სცადე ჩემი განთავისუფლება, მეგობარო, სხვა გამოსავალი არ არის.

სლასტნიკოვი ასტამურის გამხნევებასაც არ საჭიროებდა. იგი მთელი ძალღონის დაძაბვით ცდილობდა ნასკვის გახსნას და იმედს არ კარგავდა. მართლაც ამბობენ: ადამიანის ნებისყოფის წინაშე ქვები ირღვევიანო. ბოლოსდაბოლოს ნასკვი მოეშვა. სლასტნიკოვს ეჩვენებოდა, რომ აგერ სადაცაა გაათავისუფლებდა მეგობარს.

ამ დროს გემზე გაისმა ხანგრძლივი ღრიალა სიგნალები. წყალქვეშელებმა იცოდნენ, რომ ეს იყო განგაში. ფაშისტები თავბრუსტებით გარბოდნენ თავიანთ პოსტებზე.

გუშაგმა თავის ადგილზე ცმუკვა დაიწყო, მაგრამ საგუშაგოს არ ტოვებდა. ალბათ ცვლას ელოდა, მაგრამ წუთები გადიოდა, შემცველი კი არ ჩანდა და არა.

უეცრად მთელი კორპუსი შეცახცახდა. მონადირემ სვლას უმატა, მკვეთრად მობრუნდა მარცხნივ, ცირკულაციის დროს ისე გადაიარა მარჯვნივ, რომ გუშაგი ორივე ხელით ჩაეჭიდა ლეერის სამაგრს და კინაღამ ბანიდან გადავარდა. მიკამბა და მის ხელებზე ჩაჭიდებული სლასტნიკოვი თითქოს ყინულზე დაცურდნენ და ზღვაში გადაცვიდნენ. მათ გაიგონეს, როგორ ყვიროდა გუშაგი, მაგრამ მონადირე გემი ისეთივე სისწრაფით განაგრძობდა წინსვლას და მალე თვალს მიეფარა. სლასტნიკოვს ყველაფერი დააეწყდა ამქვეყნად, კბილებით ჩააცივდა ღვედის კვანძი, ასე მაგრად რომ უბოჭავდა ხელებს მიკამბას და მალე მოახერხა კიდევ მეგობრის განთავისუფლება ტანჯვისაგან.

— ნაპირი ახლოსაა! — პირველად შენიშნა ასტამურმა, რომელმაც ჩრდილო-დასავლეთში ჩამოწოლილ ზოლს მიაჭია ყურადღება, — მოდი, მეგო-

ბარო, სწრაფად ვიცუროთ! თორემ წყე-
ული მონადირეები დაბრუნდებიან, შე-
გვიპყრობენ.

წყალქვეშელებს თვითონვე უკვირ-
დათ, საიდან აღმოაჩნდათ ამდენი ღო-
ნე. ალბათ ეს იყო წლობით გამოძუშა-
ვებული ნებისყოფა გამარჯვებისა, მო-
ვალეობის გრძობა, პირადი პასუხის-
მგებლობა სამშობლოს წინაშე, რითაც
სასწაულებს ახდენდნენ. მათ არაფერი
ეჭამათ და ესვათ უკვე ორი დღე და
ორი ღამე. მთელი ამ ხნის განმავლო-
ბაში ისინი განიცდიდნენ ტიტანურ ნე-
რვულ, ფიზიკურ და წმინდა მორალურ
დაძაბულობას, რაც მოითხოვდა უწინ
არნახული რაოდენობის ენერჯის ხა-
რჯვას, მაგრამ სასწაული ხდებოდა: ეს
ენერჯია კი არ იფიტებოდა, თითქოს
ახალი ძალით მატულობდა, დაღლილო-
ბა დაუყოვნებლივ უკან იხევდა ძალთა
დაძაბვის ყოველ მორიგ აუცილებლო-
ბის წინაშე.

წყალქვეშელები სწრაფად მიიწვედ-
ნენ წინ და დარწმუნებული იყვნენ,
რომ მალე მიალწვედნენ მიზანს. უკვე
გრძობდნენ ნაპირის უშუალო სიახ-
ლოვეს, როცა უეცრად დაინახეს პრო-
ექტორის მახვილი „ენა“, გვეგაზო-
მიერად რომ დასრიალებდა ზღვის ზე-
დაპირზე და დიდი სისწრაფით დაიძრა
მათკენ.

— ეს მონადირის პროექტორია!
ჩვენ გვეძებენ, ჩაყვინთოთ! — ბრძანა
სლასტნიკოვმა და პირველმა ჩაყვინთა.

ახლა წყალქვეშელები სპეციალური
მსუბუქი საყვინთი სამოსის გარეშე მი-
ცურავდნენ და დიდხანს წყალქვეშ, რა
თქმა უნდა, ვერ გაჩერდებოდნენ. სლა-
სტნიკოვმა თავი ამოპყო სწორედ იმ
მომენტში, როცა პროექტორის „ენამ“
თავს გადაუარა. მიმოიხედა და გულზე
მოეშვა, როცა ზედაპირზე თავისი მე-
გობარი ვერ ნახა. „მაშ, ამჯერად გა-
დავრჩით, ახლა მომდევნო გადავლას
უნდა ვუცადოთ“, — გაიფიქრა, და
მართლაც პროექტორის შუქმა დიდ-
ხანს არ ალოდინა დაღუპვას გადარჩე-
ნილი მეზღვაურები, რომლებიც რა-

ღაც სასწაულის ძალით ჯერ კიდევ ას-
რულებდნენ ზღვის ბინადართან როლს.
შუქმა ისევ მოინახულა ისინი და ამ-
ჯერად მოულოდნელად წაადგა თავს-
ორივეს წყალზემოთ ეკირა თავი. მაგ-
რამ რაღაც ბედნიერი გარემოების წყა-
ლობით ფაშისტებმა ვერ შენიშნეს და
სხვა მხარეს განაგრძეს ძებნა. გაქცეუ-
ლებს პროექტორის შუქი აღარ სწვდ-
ებოდა და ისინი უკანასკნელი ძალების
დაძაბვით მიიწვედნენ ნაპირისაკენ.

უკვე სრულიად გათენებული იყო,
როცა სლასტნიკოვი ფეხით შეეხო ქვი-
შაინ ნიადაგს. მიწა! რა საზეიმო წუ-
თი დაუდგა! შეიძლებოდა ფეხზე და-
დგომა და ნაპირისაკენ ისე წასვლა. ამ
ადგილას პლაჟი ძალიან დაქანებული
იყო, ნაპირამდე სულ მცირე ორასი
მეტრი მაინც უნდა გაეცლოთ. სანაპი-
რო ფაშისტებს ჰქონდათ დაკავებული,
მაგრამ ეს იყო მაინც მშობლიური სა-
ნაპირო, სადღაც მახლობლად იბრძოდ-
ნენ და ცხოვრობდნენ საბჭოთა ადამიან-
ებში! გამოჩნდა რეალური, თითქმის
უკვე ხელშესახები იმედი, რომ შეუე-
რთლებოდნენ იმ მამაც ადამიანებს,
რომლებიც სადღაც მტრის ღრმა ზურ-
გში იბრძოდნენ, და მათთან ერთად გა-
ნაგრძობდნენ თვითონაც ბრძოლას სა-
ძულველ გადასთიელებთან.

მზის პირველი სხივი შეეხო ხეთა კენ-
წეროებს სანაპიროზე, რომელიც თით-
ქოს ზღუდავდა ფართო პლაჟს ხმელე-
თის მხრიდან. ლტოლვილები წყლიდან
გამოვიდნენ, ფრთხილად მიმოიხედეს
და რამდენადაც შეეძლოთ წელში მოხ-
რილებმა ხრამის ძირს მიამშურეს. აუ-
ცილებლად უნდა შეესვენათ, სული
მოეთქვათ, გამოეძინათ, ძალა მოეკრი-
ბათ, მაგრამ საამისოდ საჭირო იყო ადა-
მიანის თვალთაგან მიუწვდომელი და-
ფარული ადგილი. კარგად იცოდნენ,
რომ სანაპირო ხაზი არ შეიძლებოდა
ფაშისტებს მხედველობის გარეშე დარ-
ჩენოდათ და სულ მცირეოდენი დაუ-
დევრობაც საკმარისი იქნებოდა იმისათ-
ვის, რომ კვლავ მტრის კლანჭებში ჩა-
ვარდნილიყვნენ.

იქ, სადაც ხრამის ფრიალო ფერდობი იწყებოდა, წყალქვეშელებს თვალში მოუვიდათ საკმაოდ ხშირი ბუჩქნარი და ბალახი და დაუფიქრებლად გაიშხლართნენ ეკლიანი ლაბირინთის ყველაზე უფრო ხშირ ნაწილში.

სულ მახლობლად რაღაცამ დაისისინა და ბალახი შეარხია. მიკამბამ ნახა, როგორ გაისრიალა პირდაპირ მის ფეხებთან შავმა, რუხად დაწინწკლულმა გველმა, რომელიც დაუპატივებელმა სტუმრებმა შეაშინეს, და შეერთა, მაგრამ ადგილიდან კი არ დაძრულა, ისე დაემორჩილა ძილის უსაშველო ძალას. მხოლოდ ეს უთხრა ამხანაგს:

— გველი...

— რაო? ფაშისტები? — წამოიჭრა სლასტნიკოვი. — სად არიან?

— არა, ჩვეულებრივი გველი...

მიკამბას სათქმელი არ დაუსრულებია, ისე მიეცა ღრმა ძილს.

— ჰოო, ეს არაფერია...

• • •

სლასტნიკოვი ლაპარაკმა გამოაღვიძა. ერთბაშად ვერ გაიგო, სად იყო და რატომ წევს პირდაპირ ბალახში, მცხუნვარე მზეში. ვიდრე მეგობრებს ეძინათ, მზე მალლა ამოსულიყო ცის ტაქნობზე, ხშირ ფოთლებში აღწევდა

და უწყალოდ რუჯავდა წყალქვეშელებს.

ლტოლვილებს თავს წამოდგომოდანთ ოცდაათ წელს გადაცილებული მამაკაცი, რომელსაც ხელში კეტი ეჭირა. გემოვნებით ეცვა, მაგრამ უბრალოდ, როგორც იცამენ ხოლმე სოფელ ადგილებში. ხელებს რომ დააკვირდებოდით, ფიზიკურად მომუშავე მამაკაცად არ ჩათვლიდით, მაგრამ არც ინტელიგენტი იყო.

...ვინა ხართ? რა გინდათ? — წამოიჭრა სლასტნიკოვი და წინააღმდეგობის გასაწევად მოეშადა.

მიკამბამაც გაიღვიძა, მაგრამ ის როგორღაც უფრო მშვიდად შეხვდა უცნობს, მხოლოდ წამოიწია და ჩაცუქულმა გამომცდელი მზერა მიაპყრო, თითქოს თვალებით ხერხტო.

— დამშვიდდით, ამხანაგებო, — გაიღმა უცნობმა და სლასტნიკოს ხელი გაუწოდა, — და ვიცნობდეთ ერთმანეთს. ჩემი გვარია ლოპატკო, ვრიშას მეძახიან. თქვენც ხომ გაქვთ სახელი, სიიდან ხართ?.. თქვენ, როგორც ვხედავ, ვერ წარმოგიდგენიათ, რა სასიამოვნოა თავისიანების შეხვედრა. ეს რომ წარმოიდგინოთ უნდა ცხოვრობდეთ მტრის მიერ ოკუპირებულ მიწაზე.

„ნამდვილი გველების მიერ დაპყრობილ მიწაზე“, — უნდოდა დამატებინა სლასტნიკოს, მაგრამ გაჩუმდა.

4. კურდულად თავდასხმა

ჩვენ სლასტნიკოვის მოთხრობას ვიმეორებთ. ვიდრე ამ ამბავს ყვებოდა, ლოპატკო მხოლოდ უადგილო და უხეში რეპლიკებით აწყვეტინებდა, რაც განსაკუთრებით არ უშლიდა, მაგრამ როცა თავისი გვარი გაიგონა, მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. ინვალიდს თითქოს მდულარე გადაასხეს, ისე დაპყრა იატაკზე ყავარჩენი და ბოროტად შეპყვირა:

— როდემდე უნდა ვისმინოთ კიდევ ამ ხულიგნის სულელური ბოდვა? ვა-

დამ მიხაილოვიჩი! თქვენ ხომ ჭკვიანი კაცი ხართ?

თითქოს ბრძანებას ასრულებნო, ისე ერთბაშად ამეტყველდა მთელი დარბაზი. საერთო ხმაურში შეუძლებელი იყო იმის გარჩევა, თუ ვინ რას ამბობდა, მაგრამ ერთი რამ კი აშკარა იყო: ყველა არ ეთანხმებოდა ლოპატკოს აზრს და დიდი ინტერესითაც ისმენდნენ მეონკანე სლასტნიკოვის საკმაოდ დამაჭერებელ ამბავს.

კრივონოსოვმა ზანტად მოიფხანა კე-

ფა, სლასტნიკოვთან მივიდა, ნაზად ჩაველო მხარში ხელი და თითქოს სხვათა შორის უთხრა:

— ვლადიმერ ევგრაფის-ძევე, დაბრძანდით! თორემ უხერხულია, დგახართ სმენაზე, თითქოს პარადი იყოს, აქ კი... ყველა თქვენი ამხანაგია, და აუდიტორია უჩვენა.

— არა, ვადიმ მიხაილოვიჩი, ახლავე თქვას, რისთვის დასჭირდა ჩემი ჩარევა ამ მოგონილ ამბებში? ეს ხომ... საინტერესოა?

— მე ვერ დავავალე ყველაფერი უცებ მოგვითხროს, — თქვა კრივონოსოვმა და ხელები ცოტა უხერხულად გაშალა. — დაჯდომა ეთხოვე მხოლოდ...

— არაფერი შემეშლებოდა, ამხანაგებო! ასეთი ზუსტი გარეგნული მსგავსება და გვარისა და სახელის დამთხვევა, თუ დამიჯერებთ... წარმოუდგენელია, — სლასტნიკოვი ისე მიაჩერდა ლოპატკოს, თითქოს მხერით უნდა მოახდინოს მისი ჰიპნოტიზირება. — მეორე მხრივ... ვერ გამიგია: რისთვის უნდა მალავდეთ თქვენს ვინაობას?.. თქვენ ხომ ასე ბევრი გააკეთეთ ჩვენთვის? თქვენ ხომ ვადაგვარჩინეთ?

— ვლადიმერ ევგრაფის-ძევე, საქმე ის არის, რომ ლოპატკომ ვერ შესძლო თქვენი გადარჩენა, — აუხსნა კრივონოსოვმა და კიდევ ერთხელ ანიშნა, დაჯექით. — ჩვენ კარგად ვიცით მისი საბრძოლო საქმეები. ის ჩრდილოეთში იბრძოდა, ოდესის რაიონში ყოფნა არ მოუხდა.

— ბოლოსდაბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, იყო იქ ლოპატკო თუ არა! — თითქოს აფეთქდა ვალოდია ეგოროვი. — გვიამბე, რა იყო შემდეგ? სლასტნიკოვმა თავისი დახრილი მხრები აიჩეჩა და როგორც იქნა, დაჯდა.

— რა მოხდა შემდეგ? — თითქოს თავისთავს ჩაეკითხა, — შემდეგ... ლოპატკომ გვაქამა, გადაგვამალა, შემდეგ კი პარტიზანებთან გაგვაგზავნა. რაც მთავარია, ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი უფროსის სუროვის ბრძანების შესრულება. ფლოტის უფროსებს მივაწოდეთ ცნო-

ბები ოდესის მისადგომებთან ნალმის ველის არსებობაზე. შეიძლება ამით ვიხსენით ზოგი ვინმე ცერაგი ნალმებისაგან.

— ომი ისე დამთავრდა, წყალქვეშა ნავზე მოხვედრა ველარ მოვახერხეთ, განაგრძო მეგრანემ შესვენების შემდეგ. — მაგრამ მე და მიკამბას ურიგოდ არ გვიბრძოლია პარტიზანთა რიგებში. მართალია, ცალცალკე ვიბრძოდით. გარემოებამ დაგვაშორა და მეტად აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. მე კიევთან გასულა მიბრძანეს, ის კი აქვე დარჩა, ოდესის რაიონში, ომის დამთავრებამდე აქ იყო.

— თუ ნამდვილად ასე იბრძოდი, ჯილდოებიც უნდა გქონოდა. რატომ არა გაქვს? — ორჭოფულად ჰკითხა ლოპატკომ. — და საერთოდ, რა გაქვს, რა საბუთები გაგაჩნია იმის დასადასტურებლად, რაც აქ გვიამბე? სლასტნიკოვი ერთთავად ინვალიდს აკვირდებოდა, მაგრამ ახლა, ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გასცემდა, ისეთი თვალებით შეხედა, რომ ლოპატკო კინაღამ ცუდად გახდა. ყველამ შეინშნა, როგორ აცმუქდა ერთ ადგილზე, აშკარად უადგილოდ ილიმებოდა, ნერვული ხელებით ხან მოიწვედა ახლოს თავის ლითონის ყავარჯნებს. ხან მოიშორებდა. მერე ყოველივე ამას აკეთებდა ყოველგვარი პრაქტიკული საქმეების გარეშე, უმიზეზოდ.

— იცით, — მცირე პაუზის შემდეგ დაიწყო სლასტნიკოვმა, — თქვენ მთხოვეთ, მე ვიამბეთ, ხოლო რაიმე სპეციალური მოწმობები... რა თქმა უნდა, არა მაქვს. თანაც, რა აუცილებელია? მე პირადად ამაზე არც მიფიქრია. ჯილდოები კი მაქვს. თან არ ვატარებ, რადგან რაზე გავიკეთო? პერანგი მაცვია, სამულაოზე სპეციალური ტანისამოსით ვცხადდები. პერანგზე და სპეცსამოსზე ფირფიტების გაკეთება მიღებული არაა, ორდენებისა მით უმეტეს. პერანგზე კიდევ ფიჯაკის ჩაცმას, როგორც ამხანაგებმა იციან, არა ვარ მიჩვეული.

პირდაპირ რომ გითხრათ, არ მიყვარს თბილად ჩაცმა.

— რა თქმა უნდა, მართალია! — დაუდასტურა ეგოროვმა, — რა საჭიროა ფარშავანგევით კოხტაობა, უბრალოდ უნდა, ნამდვილი ადამიანები...

— რა ჭილღოები გაქვთ? — იკითხა ვილადამ უკანა რიგიდან. — ჩვენ გვაინტერესებს.

— ნაგზე მე მივიღე სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორდენი, ოდესისა და სევასტოპოლის დაცვისათვის დაწესებული მედლები — „მალიშკასთან“ ერთად ჩაბირებულნი, — ამოიოხრა სლასტნიკოვმა და თავი დახარა. — პარტიზანთა რიგებში ბრძოლისათვის მაქვს წითელი დროშის ორი ორდენი და მედლები...

— ახლა სადღა ის თქვენი ამხანაგი, აი ისა... რა ერქვა... ვისთანაც ნაგში იბრძოდით? — არ დაამთავრებინა პირველ კითხვაზე პასუხი იმავე ხმამ.

— ასტამურ მიკაშმა? თავის სახლშია, აფხაზეთში. პარტიის რაიკომში მუშაობს. იშვიათად, მაგრამ მიწერს მოწერა გვაქვს. უკანასკნელ წერილში მპირდებოდა, შევებულებას ავიღებ და ჩამოვალა შენთან. ოდესაში. მაღე „მალიშკას“ დალუპვის ოცი წლისთავი იქნება და სწორედ აქ უნდა აღვნიშნოთ, იმ ქალაქში, რომლის მისადგომებთანაც დაილუპნენ ჩვენი დაუფიწყარი მებრძოლი ამხანაგები.

— ამხანაგებო! — წამოიჭრა ეგოროვი, — თქვენ როგორც გენებოთ, მე კი მზად ვარ ვითავადებო ვლადიმერ ევგრაფის-ძისათვის. თუ მართლა ხელიგნობაში სდებენ ბრალს და უნდათ ეს კაცი... დასაჯონო, არა? ახლავე უნდა ვიშუამდგომლოთ, რომ თავდებით გაუშვან.

ეგოროვს დანარჩენებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი. ყველა ამეტყველდა

— ვალოდია მართალია, ჩვენ უნდა გამოვეჭომავოთ ჩვენს კაცს.

— რა თქმა უნდა, ვლადიმერ ევგრაფოვიჩს არ შეეძლო ხელიგნობა ჩაე-

დინა, აქ რაღაც გაუგებრობაა, ჩვენ ვშუამდგომლობთ...

— ვადიმ მიხაილოვიჩ, ჩვენ გვჭირდება სლასტნიკოვის...

ყველა ერთი აზრის იყო. თვითონ ყველაზე უფრო კრიტიკულად განწყობილმა ლობატკომ მოითხოვა, პროფორგანიზაციამ უნდა თავი გამოიღოს სლასტნიკოვის დასაცავად.

ყოფილ წყალქვეშელს კითხვებს აღარ აძლევდნენ. ყველა მხოლოდ კენჭისყრას ითხოვდა ერთადერთ წამოყენებულ წინადადებაზე.

კრიგონოსოვმა მშვიდად მოისმინა ამხანაგების ნათქვამი, ჩანდა თვითონაც თანაუგრძნობდა დანარჩენ წევრებს, მაგრამ ვიდრე კენჭს უყრიდა, კიდეც ერთი კითხვა წამოიჭრა:

— ვლადიმერ ევგრაფის-ძე, მაინც როგორ ფიქრობთ... უკეთ რომ ვთქვათ, ახლა ხომ დარწმუნდით, რომ კაცი, რომელმაც თქვენ ნაგის დალუპვის შემდეგ გადაგარჩინათ, იყო არა ჩვენი ლობატკო, არამედ ვილად სხვა?

სლასტნიკოვმა თავი ასწია და ერთხელ კიდე გადახედა ინვალიდს, რამდენსამე წამს დუმდა, ეტყობოდა თავის მესხიერებას ცდიდა, შემდეგ კი ყოველგვარი ეჭვისაგან თავისუფალი კაცის კილოთი თქვა:

— არა, ამაში დარწმუნება არ შემიძლია. მგონია, ბიძია გრიშამ დამივიწყა და ისაა. მაგრამ მე მის სიკეთესა და... გმირულ საქციელს არასოდეს არ დავივიწყებ. სწორედ ეს გახლდათ, ამ კაცმა გვიხსნა.

ინვალიდს სიწითლემ გადაჰკრა, თითქოს რაღაც დაეშავებინოს. მხოლოდ ხელები გაშალა და ამოიოხრა, რითაც იმისი თქმა უნდოდა, სლასტნიკოვის მსურდული მოთხრობის უარსაყოფად რაიმეს თქმაც კი სისულელედ მიმაჩნიაო.

— გეყოფათ მართლა! — ისევ ჩაერია ეგოროვი. — ბიჭებო, აკი ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ. ამდენი ხნის განმავლობაში ხომ შეიძლება ადამიანებს ერთმანეთი დაევიწყე-

ბოლოთ, მეხსიერებას ეღალატა! რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას?!

ეტყობოდა, მხოლოდ კრივონოსოვი არ ეთანხმებოდა ეგოროვს. ჩანდა, დიდ მნიშვნელობას აძლევდა იმ გარემოებას, რომ სლასტნიკოვი ასე დაეინებოდა ამტიკებდა, ომის წლებში ლოპატკოს შეეხვდით და ლოპატკო კი ასევე დაეინებოდა უარყოფდა შეხვედრის ფაქტს, მაგრამ კრივონოსოვი უმრავლესობას დაემორჩილა და ამით შეწყდა ცდა ჰემობარიტების გარკვევისა, თუ რომელი იყო ორიდან მართალი.

ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ვეშუამდგომლოთ სლასტნიკოვს პროკურორისა და სასამართლოს წინაშე, თუ საქმე ვასამართლებამდე მივა, პროფკავშირის კომიტეტის თავდებობით ვანთავისუფლდესო.

სხდომა გვიან დამთავრდა. პროფკომის წევრებმა სახლებს მიაშურეს. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ეგოროვი, რომელმაც სლასტნიკოვის გაცილება იკისრა. ფრთაშესხმული გეგონებოდათ, ისე გაუხარდა, რომ მისი ამხანაგი ბრძოლაში ასეთი ნაცადი ადამიანი გამოდგა. ახლა დროის დაკარგვა აღარ უნდოდა, გადაწყვიტა იმავე საღამოს მისი ახლო მეგობარიც გამხდარიყო.

თუმცა მისი „პერსონალური საქმე“ სასიკეთოდ დამთავრდა, მაგრამ სლასტნიკოვი პორტიდან მიინც გულდამძიმებული გამოვიდა. ლაბარაკის ხალისიც აღარა ჰქონდა. დაფიქრებული მიჰყვებოდა ტროტუარს, რომელიც აღმა აღიოდა ქალაქის შუაგულში და ყურადღებას არ აქცევდა ვალოდია ეგოროვის აღფრთოვანებას ამინდითა თუ თავისი აღმოჩენით, მშობლიური ქალაქის არაჩვეულებრივი სილამაზითა და გემების საყვირთა ქუხილითაც კი. მაგრამ სლასტნიკოვის გულგრილობასაც მოედო ბოლო. ძალაუნებურად მოუხდა ამხანაგის კითხვებზე პასუხის გაცემა და ცოცხალ საუბარში უნებურად თვითონაც შეჰყვია. ცნობისმოყვარე ეგოროვმა

ბევრი წვრილმანი გაიგო ვლადიმირ ეგოროვის-ძის ცხოვრებიდან.

სლასტნიკოვი წარმოშობით სლასტნიკის მიდამოებიდან იყო. ომის წლებში მისი სოფელი თურმე სრულიად გადაბუგეს, მშობლები დაუხოცეს. მართა რომ დარჩა, უსახლკარო ყმაწვილი კაცი იძულებული გახდა მშობლიური ადგილები მიეტოვებინა და მუშაობა დაეწყო. ჯერ სწავლობდა, მერე ფოლადის მდნობელი გახდა. კარგ ხელფასსაც იღებდა და კარგი ავტორიტეტიც ჰქონდა. დაქორწინდა. ქალიშვილი ეყოლა. ცხოვრება მოაწყო, მაგრამ აი, ქალიშვილი ლოგინად ჩაუვარდა ფილტვების ანთება აღმოაჩნდა. ჯერ კიდევ მხოლოდ რვა წლისა იყო. დროზე ვერ მიმართეს ექიმებს, ვეღარ გადაარჩინეს ბავშვი. ასულის დაღუპვამ სიცოცხლე მოუსწრაფა ისედაც ჯანით სუსტ დედას. ნევრასთენიით შეპყრობილს ექიმებმა ურჩიეს, უსათუოდ სადმე ზღვაზე უნდა წახვიდო. ქმარს უფრო გარკვევით აუხსნეს: უნდა მოაშოროთ იმ ადგილებს, რომლებიც დაღუპული ქალიშვილის სახეს მოაგონებენო. ეს ჩათვალეს მკურნალობის ერთადერთ ეფექტურ საშუალებად. სლასტნიკოვმა გადაწყვიტა ოდესაში დასახლებულიყო, იმ ქალაქში, რომლის მისასვლელთანაც დაიღუპა „მალიშკა“ და მასთან მისი ეკიპაჟი.

— ახლა სადღაა.. ცოლი? — ჰკითხა ეგოროვმა, როცა მცირე არნაუტის კუთხემდე მივიდნენ და სლასტნიკოვი დასამშვიდობებლად შეჩერდა.

— სახლშია, წევს. უკანასკნელ ხანებში ჯანმა უმუხთლა, სულ უფრო მეტ დროს ატარებს ლოგინში.

— მერე... ვინ ადგას თავზე?

— არავინ. აი, მივალ და მოვუვლი. სხვა ვინა გვყავს?

— იცი, რა? — შესძახა უცებ ეგოროვმა. — მე დედა მყავს! მოსავლელი აღარავინა ჰყავს მოხუცებულს. ყველანი დიდები ვართ. ძალიან კეთილი ქალია, სიამოვნებით დაგვხმარებათ და ძალიანაც მოხარული იქნება. აბა, არა-

ფერი თქვა, მეგობრები ვიყოთ! ბინაც ღილი გვაქვს, მზიანი, და ზღვაც იქვეა. სამუშაო ადგილიც ახლოსაა. მოდი, პირდაპირ დღესვე გადავსახლდეთ!

სლასტნიკოვი ეგოროვისაგან ასეთ თანაგრძნობას არ მოელოდა და ერთბაშად პასუხის გაცემაც ვერ მოახერხა. ეგოროვი მიხვდა, რომ სლასტნიკოვი ყოყმანობდა და კიდევ მეტი დაჟინებით დაუწყო თხოვნა, მიიღეო ჩემი წინადადება.

სლასტნიკოვი ბუნებით ისეთი იყო, არ უყვარდა სხვების შეწუხება, წერილმანი საქმითაც კი, თორემ თავისი აუღმყოფი ცოლის აკიდება უცნობი ადამიანებისათვის ზომ წარმოუდგენელ საქმედ მიაჩნდა. სულითა და გულით დაუმადლა ეგოროვს, მის საქმიან წინადადებაზე კი კატეგორიული უარი განუცხადა. მაგრამ ახალგაზრდა კაცის თავიდან მოცილება არც ისე იოლი აღმოჩნდა. სლასტნიკოვის ყველა საბუთს ეგოროვი მაშინვე საკვირველ ლოგიკურ პასუხს აგებებდა. საკმაოდ ხანგრძლივი დავის შემდეგ ყოფილმა წყალქვეშელმა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ამხანაგი დაიყოლია, შენს სახლში გადმოსვლა ხვალისათვის გადავდოთო.

დამშვიდობების დროს ეგოროვმა მაგრად ჩამოართვა ხელი, როგორც უახლოეს მეგობარს, შებრუნდა და წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ გაახსენდა:

— შენ იცი, სოფელ ლუსტდორფთან რომ გნახე, ზღვის ნაპირას? ახლა ვხვდები, რისთვისაც იყავი იქ.

— მეც შეგნიშნე, მაგრამ ხმა არ გავეცი, — ღიმილით მიუგო სლასტნიკოვმა. — უბრალოდ, მომენატრა ძველი ადგილები. ზედ იმ ქვასთან ვიჭექი, სადაც ოდესღაც ფაშისტებისაგან გვიფარავდა გრიშა... ლოპატკო.

— გამიგონე, ნუთუ... მართლა გიხსნათ თუ... ვიფარავდათ მხოლოდ? ვითომ არ შეგეშალა? მერე, რატომ არ აღიარა?

სლასტნიკოვმა პირდაპირი პასუხის

ნაცვლად მხოლოდ ხელები გააქნია. ორივე განუშნა, მხოლოდ ხელს ჩამოართვეს ერთმანეთს და დასაწყობად თი გზით წავიდნენ.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარეს, სლასტნიკოვი ისევ მიბრუნდა და თითქოს ფარულად გაიხედა ეგოროვის მხარეს, მსუბუქი ვაჟკაცური ნაბიჯით რომ მიდიოდა.

„რა კეთილშობილი გული ჰქონია ამ ახალგაზრდა კაცს და რა კარგია, რომ ჩვენს შორის ასეთი ადამიანები არიან“, — გაიფიქრა და შინისაკენ გაეშურა. დღეს ძალიან გვიან ბრუნდებოდა. მრავალტანჯული ღიღია ნიკოლაევნა (ასე ეძახდა ცოლს) ალბათ დარდით აღარ იქნებოდა. თუმცა იცოდა, რომ ქმარს ჩვეულებრივზე დიდხანს უნდა დაჰკვიანებოდა.

რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით უფრო დარდობდა ცოლზე, და სლასტნიკოვი სულ უფრო უჩქარებდა ფეხს. აი, მივიდა, ძალით გამოსწია მძიმე ვისოსიანი კარი, რკინის ჰიშკარში რომ იყო ჩამჯდარი და ეზოში ერთადერთ შესაჯალს კეტავდა. გააღო და მტკიცედ შებიჯა. ჯერ მცირე თალი უნდა გაევლო, მერე ეზოს ბნელ კუთხეში მიუჩქულ პატარა სახლთან მივიდოდა და უკვე შინ იქნებოდა. მაგრამ სწორედ ეს რამდენიმე ნაბიჯი აღმოჩნდა მისთვის საბედისწერო და მუხანათური. ჰიშკარის ჩრდილში მარჯვენა მხარეს რაღაც ამოძრავდა, სიბნელეს კატასავით უხმაუროდ გამოეყო ვიღაცის ლანდი და სლასტნიკოვს გაშმაგებით მიეარდა. სლასტნიკოვმა იგრძნო უცნობის განზრახვა, განზე გადახტა, შეყვირება უნდოდა, მაგრამ პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ თავში მუშტი მოხვდა, თითქოს ნაპერწკლები გადმოყარა და მაშინვე თვალთ დაუბნელდა შებარბაცდა და დაეცა. შემდგომი დარტყმები აღარ უგრძნია, მაგრამ რომ ეგრძნო, დარწმუნდებოდა, რომ ბოროტმოქმედი თავისი მსხვერპლის გადავებას ცდილობდა.

5. შილაპარაკის

კვირაში მხოლოდ ორი დღე შეიძლება ავადმყოფის ნახვა—ოთხშაბათობითა და კვირაობით — და ისიც რამდენიმე საათით. დანარჩენ დროს კი მხოლოდ ცოტა რამეების გადაცემა და ბარათების მიწერა იყო ნებადართული.

სლასტნიკოვი მალე მიეჩვია ასეთ სასტიკ წესრიგს და სულაც არ ღრტვინავდა თავის მდგომარეობაზე, როგორც იციან ხოლმე ცალკე პალატაში ხანგრძლივი მკურნალობის მიზნით მოთავსებულმა ავადმყოფებმა. ახლა სლასტნიკოვი უკვე გადაყვანილი იყო მრავალადგილიან პალატაში, ამიტომ შედარებით იოლად ამოკლებდა დროს და უფრო მზიარულადაც იყო. დღეს ხომ მისთვის არაჩვეულებრივი დღე გათენდა. ღამითაც ვერ დაისვენა, არ დაეძინა, ადრე ადგა, პალატაში ფრთხილად სიარულს მოჰყვა, თუმცა ასეთი რამით „შექცევა“ აკრძალული ჰქონდა. დროს ვერ ააჩქარებდა, მაგრამ ყოველ გასულ წუთს კი ითვლიდა და ძალიან ღელავდა. დღის ორ საათზე, მიღების დაწყებისთანავე, პალატაში ელოდა ახალგაზრდობის უაზლოვს ამხანავსა და თანამებრძოლს ასტამურ მიკამბას. სლასტნიკოვის თავში, როგორც კალეიდოსკოპში, ცოცხლად აღდგნენ შორეული წარსულის მოგონებები, — საბრძოლო დღეების ამბავთა ქარაევანი. მაგრამ ეს მოგონება ახლა დაკავშირებული იყო რაღაც მღელვარე სურვილთან. კაცი ბუნებით ასეა აგებული: რა სიძნელეებიც არ უნდა შეხვდეს ცხოვრებაში, ამას ყველაფერს იოლად ივიწყებს. მაგრამ საბრძოლო გამარჯვებათა მოგონებანი უმშვენიერეს მიჯნად რჩებიან მის ხსოვნაში. სლასტნიკოვმა ვაიხსენა ასტამურთან ერთად გატარებული უკანასკნელი ღამე ზღვის მალალ სანაპიროზე, სოფელ ლუსტდორფთან, სადაც ისინი ბიძია გრიშამ დამალა, ორი უზარმაზარი ლოდის ნაპრალში იწვნენ, თითქმის ერთმეორეზე გადაკლობილნი, და მწვანე ტოტები ფარავდათ.

გვიან ღამით, როგორც იტყვიან, სამხრეთის წყვილიადის მეფობის ქაშ მოიყვანა ლოპატკომ ქაბუჯი პარტიზანი ვიქტორ ბესედინის რაზმიდან. სიბნელის მთელი დანარჩენი ნაწილი წყალქვეშელებმა გზაში გაატარეს. მიჰყვებოდნენ მეგზურს უსიტყვოდ ვიწრო ბილიკებსა და სასოფლო გზებში, როგორც სლასტნიკოვი ვარაუდობდა, სადაც სიღრმეში, შორს ზღვიდან. შეღამებისას ბესედინმა ბიძია გრიშას უბრძანა უკანვე ქალაქში გაბრუნება, თვითონ კი წყალქვეშელებთან ერთად განაგრძო სვლა წინანდელი მიმართულებით. მეზავრებმა იარეს კიდევ საათი და როცა მზე ამოვიდა, განზე გადაუხვიეს, სრულიად უგზო და უქაცურ მხარეს. ბესედინი ალბათ ბუჩქებისა და ჭუჭყა ხეების მიხედვით არკვევდა მიმართულებას, გორაკიან შორეთში რომ იყვნენ გაფანტული მიდიოდა სწრაფად და მსუბუქად, თითქმის მიხტოდა, მთელს გზაზე ჰყვებოდა რაღაც სასაცილო ამბებს და განუწყვეტლივ ხუმრობდა. ასტამურ მიკამბა ყველაზე მეტს იცინოდა. ადვილად შეატყობდით, რომ თავიდანვე განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა ახალგაზრდა პარტიზანს და მის ყოველ მოთხოვნას დიდი ინტერესით ისმენდა. ბესედინსაც თავის მხრივ მოსწონდა ამჟაოდ და მათ შორის უკვე თავიდან შეიკრა გარეგნული მეგობრობა, რასაც მხოლოდ სულიერი გაღრმავება აკლდა. ამ მეგობრობამ დიდი როლი ითამაშა სამხრეთ უკრაინაში „მთის არწივად“ წოდებულ კაცის საბრძოლო სამსახურში.

პარტიზანთა რაზმებში შემდგომმა სამსახურმა საბოლოოდ დაამეგობრა ეს ორი ადამიანი, და როცა სარდლობამ კიევთან გადასაყვანად მოითხოვა პარტიზანები, რომელთა ნათესავეები არ ცხოვრობდნენ ოდესის რაიონში, ასტამურ მიკამბამ გადაწყვიტა თავის ახალ მეგობარს ზღებოდა.

— უნახ! — დამახასიათებელი ხმა-

მალალი აფხაზური წამოძახილით ეცა მიკამბა თავის ძველ მეგობარს და გადაეხვია. — აი, შენ ცოცხალი ხარ, ჩემო ძვირფასო ძმავო! აჰ, როგორ მოვიჩქაროდი შენთან! მაგრამ მამატიე, შენი ჭირიმი, ვერ მოვასწარი. დროზე რომ მომესწრო მომზადება, ვინ იცის, იქნებ შენი თავი ვადარჩენილიყო სიმამარის ასეთ შემოწმებას, არა? როგორ ფიქრობ, ჩემო ძმავო? მომისმინე. შენ ურიგოდ არ გამოიყურებდი ყოჩაღ! მართლაც ყოჩაღ შენი! — აჰ მკლავები მოაშორა და გამომცდელი თვალით შეხედა.

— შენ როგორღა ხარ? როგორ ცხოვრობ? — თავის მხრივ დაჰკრა ხელი სლასტნიკოვმა. — შენ თითქმის არ მოცვლილხარ...

— უნახს! როგორ არ შევიცვალე! — უნდობლად ჩაიქნია ხელი მიკამბამ. თმა ბებიაჩემზე მეტად შემითეთრდა და ეს ცვლილება არ არის? შენ გინდა კასრივით სქელიც გავხდე, როგორც ჩვენი მეზობელი ივარდავა? არა, ეს არ მოხდება! მე მშრომელი კაცი ვარ, არა ზარმაცი, არა უქნარა. სპორტს მივდექ, ზედმეტს არ ვჭამ და... საერთოდ, ოცი წელი ცოტაა. მოდი, ერთხელ კიდევ გადაგეხვიო.

ორი მეგობარი ისევ გადაეჭდო ერთიმეორეს.

— ცოტა წყნარად, ამხანაგებო, თუ შეიძლება! — შემოჰყო თავი კარებში მორიგე დამ. — პალატებში ხმამალლა ლაპარაკი ნებადართული არ არის.

— საყვარელო გოგონავ, ნუ ღელავ! — მიუბრუნდა მიკამბა მოწყულეხს დას. — ნუ გაგიკვირდება, ჩვენ, მე და ჩემს ძმას ერთმანეთი არ გვინახავს მას შემდეგ, რაც პიტლერმა თავი მოიკლა...

— მე არ ვღელავ, მაგრამ... წესი მოითხოვს...

— წესები მოითხოვენ შესრულებას! მართალია, ყოჩაღ, გოგონავ! წყნარად ვილაპარაკებთ. ღმერთმა მოგცეს ამისათვის ისეთი ჭმარი, როგორიც ჩემი ძმავა. მეტს კი აღარ ვინებურებთ. დაწყ-

ნარდი, თუ შეიძლება, — როგორღაც საზეიმოდ ილიმებოდა მიკამბა.

ქალიშვილმა მხიარულად გადაიფიქსკისა და კარი გაიხურა, მიკამბა და სლასტნიკოვი კი ერთიმეორის ჭიმუნჯის წაკერას და ჩქმეტას განაგრძობდნენ, თითქოს კიდევ არ სჯეროდათ, რომ ერთიმეორე ნახეს.

ათ წუთზე მეტი გავიდა, ვიდრე პირველი მღელვარება დაცხრებოდა და სლასტნიკოვი თავის სტუმარს დაჯლომას სთხოვდა. სალაპარაკოს რა გამოუღევდათ. იცოდნენ, შეხვედრისათვის გათვალისწინებული ორი საათი ცოტა იქნებოდა, რომ ყველაფერი გადმოეღვლაგებინათ, ამიტომ ცდილობდნენ უმთავრესზე ელაპარაკათ.

— ჰო, ჯერ სადღეისო საქმეებზე ვთქვათ, მერე წარსულის მოგონებებზე გადავიდეთ, — დაიწყო ასტამურმა. — საავადმყოფოდან ორი კვირის შემდეგ გამოვიშვებენ. მე ვერ დაგიციდი — შევბულება თავდება. ამიტომ მინდა შენი ლიდია ნიკოლაევნა ახლავე თან წავიყვანო. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება?

— როგორ, „წავიყვან“, ჩემს ცოლს? — გაუკვირდა სლასტნიკოვს.

— ჰო, შენს ცოლს. შენ მიხვედრილი კაცი ხარ. აუცილებლად თან უნდა წავიყვანო. ავადმყოფობის შემდეგ შენთვის ძნელი იქნება მასთან გზაში დავიდარაბა...

— საით? რისთვის უნდა წავიდე თქედან?

— ჰო, მამატიე, გეთაყვა, მე არაფერი ამისნია. ლიდია ნიკოლაევნას ესაქპირება ჩვენი აფხაზეთის ჰავა. უკვე გავეცანი და ყველაფერი აუხსენი. ყველაფერი გამიგო და მითხრა, რომ არც შენ იქნები წინააღმდეგი ჩვენთან გადმოსვლისა. ლიდია ნიკოლაევნა იქ მაშინვე მომჯობინდება, შენც კარგად გახდები. იცი, რა კარგი იქნება? ყველაფერი რომ იცოდე, კითხვებსაც აღარ მომცემდი.

— ჰმ! — გაურკვევლად აიჩეჩა მხრე-

ბი სლასტნიკოვმა. — ეგვი არ მეპარება, რომ შენთან კარგი იქნება, მაგრამ...

— უნახს არავეთარი „მაგრამ“! ჩემი მეზობელი გოჩი ივარდავაც გელოდებოდა. მემკვიდრეობითი მეღვინეა და ხომ იცი, რას ნიშნავს მისთვის კარგი სტუმარი? ყველა შენი წერილი წავაკითხე და ახლა სულ შენს გაცნობაზე ოცნებობს. უნახს! რა კაცია! პირდაპირ ოქროსა და არა უბრალო მეზობელი.

— დიდი მადლობელი ვარ, ცხადია, მაგრამ...

— უნახს! როგორ შეიძლება მადლობა უთხრა მეგობარს? თუ გიყვარდე, მაგრამები არ იყოს-მეთქი! როგორც გენებოს, მე კი შენი აქ დატოვება აღარ შემიძლია. შენ ჩემი ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ძმა ხარ, შენთან ერთად ბევრჯერ შემიხედავს სიკვდილისათვის თვალეებში და ვეღარ დაგშორდები. იცი, სწორედ იმ წყევულმა ნამდვილმა გველმა, რომელსაც გრიშა ლოპატკოს ვეძახდით, სწორედ იმან დალუბა ჩემი ძმა ვიტკა ბესედინი...

— როგორ? — თვალეები დაჰყვიტა სლასტნიკოვმა და კინაღამ ლოგინიდან გადმოვარდა. — ნუთუ ეს მართალია? რატომ არაფერი მომწერე? ვანა იმან არ გვიხსნა?

— ჩვენ რომ იმან გვიხსნა, ეს მართალია, მაგრამ ჩვენი დახსნით რომ უნდოდა პარტიზანთა რაზმისათვის მიეგნო და გერმანელებისათვის ჩაეგდო ხელში ყველანი, ესეც მართალია. როცა ეს ვერ მოახერხა, ვიტკა დალუბა... ვიტკა, ჩვენი რაზმის ყველაზე დიდი გმირი...

— ახ, რა ასპიტი ყოფილა! — სლასტნიკოვი ისევ წამოწვა.

— მხოლოდ ამისათვის სცადა შენი მოკვლაც. ეშინოდა, რომ რაღაც იცი და ადრე თუ გვიან ვასცემ.

— სადღა გახდა ხეიბარი ის ასპიტი?

— უნახს! რომელი ხეიბარი! გამიგონე, სრულიად ჭანსალი კაცია! ერთი გენახა ციხეში, — ასტამური მეგობარს გადაეხვია. — კუთხიდან კუთხეში დაძ-

რძწის, როგორც მგელი ვალოში, ჩვენზე უკეთ დარბის...

— აი გველი! ნუთუ... ფხეცი კი... მთელი აღმოაჩნდა?

— ის კი არა, წყევული გველი იმ ვლადიმერ ეგოროვს ემუქრება. უნახს! რა ყოჩაღია ეს ვალოდია! იმასაც ვეპატიეები აფხაზეთში. წარმოიდგინე, რა ქეიფი გვექნება! გოჩი ივარდავა სიხარულით ცას ეწევა. მით უმეტეს, როცა ვაიგებს, რომ ვალოდიამ მარტო ერთმა შეიპყრო დამნაშავე ლოპატკო, რომელსაც რევოლუციური ჰქონდა, დანაც და ეშმაკმა იცის, კიდევ რა...

— გულახდილად რომ გითხრა, ეს ჩემთვისაც გამოცანაა. ჯერ ერთი, როგორ გამოჩნდა ვალოდია დანაშაულის ადგილზე — ეს ვერ გამიგია. მე და ის ხომ დავცილდით და უკვე შორს იქნებოდა...

— თვითონაც ასე ამბობს, ერთმანეთს დაგშორდითო და სახლში წავედიო. მერე მოესმა, რომ შენი სახლის ახლოს ვიღაცამ რაღაც ცუდი ხმით შეჰყვირა, მოიხედა, მიიბრინა შენს სახლთან და იმ ლოპატკოს კი შეეფეთა... გრიშა თუ რაღაც ჭანაბა, ჯერაც არაუინ იცის. ამბობენ, საერთოდ საბჭოთა ადამიანი არ არისო.

— ეს ყველაფერი ვალოდიამ მიაძმო, მაგრამ სხვა რამე მაკვირვებს: როგორ შეეძლო ვაიგონა ჩემი კენესა, მოერბინა და მარტო ერთს პირისპირ ბრძოლაში ეძლია ის გველი...

კარი გაიღო და პალატაში ვალოდია ეგოროვი შემოვიდა. ავადმყოფს ისე მივარდა, თითქოს რამდენიმე წლის უნახავი ყოფილიყვენ.

ახლა მეგობრების საუბარი კიდევ უფრო გამოცოცხლდა, დრო შეუმჩნეველად დილია და ვერც კი შენიშნეს, როგორ შემოვიდა მორიგე და, რომელმაც თავაზიანად, მაგრამ ისეთი კილოთი, რაც შეკამათებას არ ითმენს, განუცხადა, ავადმყოფებს დემშვიდობეთ და საავადმყოფო დატოვეთო.

— საყვარელო გოგონავ, ჩვენ ახლავე წავალთ, იმედი მაქვს კარგად მოუყ-

ლით ჩემს ძმას, — ხუმრობის კილოთი მიუგო ასტამურმა მორიგეს. — თორემ ისე აფხაზეთში არ დაგპატიებთ. იცი, როგორი საქმროებია იქ? უნახ! არწივებია და არა უბრალო საქმროები...

— არავითარი საქმროები არ მინდა, მე მყავს ჩემი არწივი, — ხუმრობითვე მიუგო დამ და გავიდა.

— ერთი უსმინეთ, თუ გიყვარდეთ, ასეთი პატარაა და უკვე ქმარი ჰყოლია! — გაუკვირდა მიკამბას. — ასე აჩქარება როგორ შეიძლება!

— კოსმიური საუკუნეა, ვერაფერს გახდები! — გააცინა ამხანაგები ეგოროვმა.

— ჰო, კარგი, ჩემო ძმაო, — ისევ ვადაეხვია სლასტნიკოვი, — მოვილაპა-

რაკეთ: ლიდია ნიკოლაევნა, მე მიმეცავს, ხოლო როცა მორჩები, ვალოდინა და შენ დაუყოვნებლივ ჩამოხვალთ ჩემთან, დანარჩენზე იქ მოვილაპარაკებთ.

— კარგი რამეა, მოვილაპარაკეთ, — თავის მხრივ იხუმრა სლასტნიკოვმა. — ცოლს მართმევს და მეუბნება: შევთანხმდითო.

— რა გინდა, ძმაო, თუ ცოლი ანდე ახალგაზრდა, ლამაზ, უცოლო ვალოდია ეგოროვს, მაშინ ჩემთან, ჭალარა, ცოლ-შვილიან კაცთან ეჭვიანობა სულ სისულელეა, — გააცინა ასტამურმაც ამხანაგები.

მხოლოდ მეორე გაფრთხილების შემდეგ დატოვეს პალატა მიკამბამ და ეგოროვმა.



თიბურაზ ჯანგელაშვილი

ჩქარიდან „ჯეონი“

„ვირე ქვეყანა იგოს, დიჯლად ჟეონი დიოდეს, ზღვათა შიგან თეეზი იპოვებოდეს, მზესა და მთვარესა ელვა ჰქონდეს, ლამე დაბნელდებოდეს, მათა ზედა ქარი ჰქროდეს და მინდორთა ზედა ნადირნი ძოდენენ, — სხვა ცოცხალმან გულისაგან კიდევ არავინ ეჭებნო“...

„მე რა შენგან ჰირნი მოვიგონნი, ცეცხლი ფეჩბთით ტვინამდის გამიხდების და თვალთა ჟეონი მდინდების“.

„დაანაყოფიანე სიხარულის შტო“.

„ეისრამიანი“.

ისევ შეგადგი ფეხი ბარქასა, ამყვა ნაპირის ფისი და ლამი, უცხო ჩვენებამ შემაბარბაცა, უცებ დავლანდუ ვისი და რამინ.

ჯეონზე ნავით დინჯად მიდიან, გარუჯულები ვით ბრინჯაონი, ისევ ფიცხია, ისევ დიდია რამინის მღვრიე ცრემლი ჟეონი.

ათასწლეულის გაღმა გავძახი:
— სიყვარულს ცრემლი რისთვის ხლებია, გულის თბილ თრთოლევას ცივი ცახცახი დასავით რატომ შესახლებია...

ისინი სდუმან ვით ბრინჯაონი და დამგუგუნებს ათასწლეული, მოდიდებული როგორც ჟეონი და სიურცესავით ფრთადარწეული. —

„ცრემლი დაშრება, წყლული დაცხრება, თუ სიყვარული ძალგიძს მარადი, იგი არასდროს არ დამარცხდება, მეც კი ვერ შევძელ მისი ღალატი.“

ცეცხლით ხილულით, ცეცხლით ფარულით დე, თუნდაც სვამდე ცრემლის ფილებს, იყავ, გიყვარდეს, შტო სიხარულის გაფურჩქნე, დაანაყოფიანე.

ასე იყო და ასე იქნება,
„ვირე დიოდეს დიჯლად ჟეონი....“
ასობით წლები იდგნენ რიგებად, გაქვავებულნი ვით ბრინჯაონი.


ათას წლის მერვც შევასწარ თვალი, — მზეს შესცინოდნენ ვისი და რამინ, დედამიწაზე დროს მათი კვალი ვერ წაეშალნა ქვიშით და ლამით.

ღამის თევა

ცაზე დაყარა ვარსკვლავთ ქვირითი ღამემ.

* მდინარე ამუდარიას ჩვენში ძველად ჟეონი ერქვა.

მაღალი მოჩანს ცა უფრო. ოქროს კვიცივით შეიჯირითა, მთვარემ. განათდა მიწის საუფლო.



ხის ხმელ როკებზე ახოხებული
ხესავეით დიდი ვაზის ქვეშ ვწევარ,
ვგრძნობ დედამიწის ბრუნვას და რწევას,
მესმის მისი ხმა დაბოხებული.

ამბოხებული გრუხუნებს სადღაც,
რამ აამბოხა ასე მშფოთავი?...
ტაშკენტში მისი გრიგალი ჩადგა,
სხვა კონტინენტზე ამოყო თავი.

კაცის გულიც ხომ სულ ასე იძვრის,
სულ ასე ბორავს გაუთავებლად,
დამძიმებული მიწიდან სიბრძნით
ეძებს ახალ შუქს და უკვდავებას.

ბრუნავს შურის და სიკეთის ღერძზე,
ღღის მღამებული, ღამის მთევარი,
ეძებს და ჰპოვებს,
ჰპოვებს და ეძებს
მარადეამ მკერდში დაუტყვარი.

იქნებ მიწასაც კაცის გული აქვს
ნაწიცი და მკაცრიც, ცხელიც და ცივიც...

ცა კალმახვით დაწინწკლულია,
სივრცეში ირმის ნახტომი წვივის

ჯეონის ტალღამ გამტაცა ძილი
და შუალამე გადატყდა უკვე,
შესტიდებიან შუქი და ჩრდილი
ერთმანეთს.
უნდა აღზევდეს შუქი!

და გაფერმკრთალდნენ ვარსკვლავთ შრეები,
ვით ყვავილები ღვართქაფ წვიმაში —
ჰკარგავენ მცირე სინათლეები
თავის ფერს დიდი შუქის წინაშე.


მაშ, სიტყვაც ჩემო, იმატე შუქი
თუ კი გსურს ქვეყნად სჩანდე, ბრწყინავდე,
შეჰკარ კამარა, დაჰკარი ბუკი
და შენი შუქი მეც მიწილადე.

...და ააა, დილის მამალი ყივის,
კვლავ დღის უღელში უნდა შევება,
ცაზე აბრუნდა თაკარა სხივით
მზე.
გაუმარჯოს ჩვენს ამზევებას!

ნუთიანი დაუძიება თვითშეზიანების პოლონიში

კოცონივით შენთებული
დღე გადუვლის ველს...
ველი მოცემენტებული
ნობჯენია სკვერს.
სკვერში ვზივარ.
ფერ ვშვვიდდები,
ეჩქარობ, ნეტაც რად?...
მე გაურჩენას ველოდები,
ფრთების გაშლას ცად.
საათს დავცქერ, წუთებს ვითვლი.
რად ეჩქარებ დროს?...
მზეში წითლად ასდის სვითქი
ყვავილების ჯგროს.
...სიტყვით ვაგლებთ ფერთა შრეებს,
თუ ჩუქურთმას ვთვლით,

ჩვენს ისედაც დათვლილ დღეებს
საათობით ვთვლით.
...სიხარულთან დამეს ვათვეთ
თუ მის ცდაში ვკრთით,
ისეც დათვლილ ჩვენს საათებს
წუთ-წუთობით ვთვლით.
...ქარი გვინგრევს გულის ბუდეს,
თუ მზეს ვხვდებით წვით,
ჩვენს ისედაც დათვლილ წუთებს
სულ წამობით ვთვლით...
სადა ვჩქარობთ,
რად ვიჩქარით
რად ვაჩქარებთ დროს?!
დავრია ცხელი ქარი
ყვავილების ჯგროს.



სიმონ ჯაფარიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ო

საღვას მიქუნეშულაჲდა კაღლი

ვაჲამ სწრაფად ჩაირბინა კიბე და ქუჩაში გამოვიდა. გრილი ოთახის მერე ცხადად იგრძნო გაზაფხულის სითბო. სხეულში უცნაურ სიმსუბუქეს გრძნობდა, ფართე ნაბიჯით მიაბიჯებდა და უეცრად აკვიატებულ მოტივს ღიღინებდა.

ადრიანი გაზაფხულის თბილი საღამო იდგა თბილისში. ცაზე უმოძრაოდ ეკიდა ღიღი, ყვითელი მთვარე. ლუღის ფარდულთან სამი ზელოსანი იდგა, ტარანს შეეპყროდნენ, ზედ ლუღს აყოლებდნენ და ხმამაღლა საუბრობდნენ. კოჭლმა ხარახმა წინსაფარი მოიხსნა, პატარა სახელოსნო დაკეტა და ლუღის ფარდულისაკენ გაემართა. პირველი სართულის ფანჯარაში მოხუცი ქალი იჯდა და ქუჩას უცქერდა. ღია ფანჯრებიდან ტელევიზორის ხმა ისმოდა.

ვაჲამ დაღმართი ჩაიარა და რუსთაველის გამზირზე გამოვიდა. ხალხი ნელა მისეირნობდა განათებული ვიტრინების გასწვრივ. ქუჩაში საზეიმო განწყობილება სუფევდა. ლადიძის მაღაზიაში გრძელი რიგები იდგა. რამდენიმე ნაცნობს თავაზიანად მიესალმა და ფიქრში წასული ნელა ჩაყვა გამზირს. სანაპიროზე ერთხანს მოაჯირს დაყრდნობილი მდინარეს უცქერდა. დაგუბული მტკვარი ნელა მიედინებოდა ბეტონის კედლებს შორის, მდორე წყალში სი-

ნათლები ირეკლებოდა გრძელ სვეტებად და სიღრმის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ვაჲა ნელა გაყვა სანაპიროს. ქვის მოაჯირზე ბიჭი და გოგო ვადაყუდებულოყვნენ და წყალში მუქად ირეკლებოდა ორი გრძელი სილუეტი.

საავადმყოფოს კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ვაჲამ დააკაკუნა. პატარა სარკმელში დარაჯის გაუპარსაეი სახე გამოჩნდა.

— მეგობრის მამა წევს და ნახვა მინდოდა, — უთხრა ვაჲამ.

— რაღა დროს ნახვას, გვიანია... — დარაჯმა სარკმლის მიხურვა დააპირა.

— ერთი წუთით შევეალ და გამოვალ, — სთხოვა ვაჲამ.

დარაჯი დაფიქრდა.

— რომელ პალატაში წევს?

— მეათეში.

დარაჯმა უხალისოდ გააღო კარი.

— მალე გამოდი.

— ახლავე გამოვალ.

ვაჲამ კიბე აირბინა, გრძელი დერეფანი გაიარა და პალატის მიხურულ კართან შეჩერდა, ნომერს შეხედა, მერე გამოაღო და ოთახში შეიხედა. ლოგინზე მსუქანი კაცი იჯდა და წიგნს კითხულობდა, მეორე ცარიელი იყო.

— სხვაგან გადაიყვანეს? — ჰკითხა ვაჲამ მსუქანს და ცარიელ ლოგინზე ანიშნა. კაცი ერთხანს ისე უცქერდა,

თითქოს ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა.

— შენ ვინა ხარ მისი, შვილო?

— მეგობრის მამა.

კაცი დაფიქრდა, მერე თქვა:

— ღამე ცუდად გახდა და დილას...

შენი რა იყო, შვილო?

— არაფერი.

— კარგად იყო, გამოწერას აპირებდა, ვინ იფიქრებდა... ეპ, რას გაუგებ ამ ავადმყოფობას, — კაცმა ხელი ჩააქნია და ფანჯარაში გაიხედა.

— სულ ნადირობაზე მიყვებოდა, მპირდებოდა გამოვეწერები და სანადიროდ ერთად წავიდეთო... საწყალი, კარგი კაცი იყო, — თქვა კაცმა თავისთვის.

— დილას მოხდა?

— დილას... ღამე ძალიან ცუდად გახდა და დილას... ეპ, ვინ იფიქრებდა.

ვაჟა ერთხანს დაფიქრებული იდგა და ფანჯრის იქით სიბნელეს უტყვებდა.

— სულ ნადირობაზე მელაპარაკებოდა, გამოვეწერები და ერთად წავიდეთო სანადიროთო მპირდებოდა, საწყალი, კარგი კაცი იყო...

— კარგად იყავით...

ნელა გაიარა გრძელი დერეფანი. დარაჯმა თვალები გაახილა, ზანტად წამოდგა და კარი გაუღო.

— ნახე?

— ჰო.

ქუჩაში გამოსულმა შევება იგრძნო.

საავადმყოფოში თითქოს რაღაც გულზე აწევბოდა, სუნთქვას უძნელებდოდა და მთელი მკერდით ხარბად... ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი.

ერთხანს ავტობუსის გაჩერებაზე იდგა, მაგრამ როცა მანქანა მოვიდა, არ ჩამჯდარა, ნელა გაყვა სანაპიროს. მტკვარი შეუმჩნევლად მიედინებოდა, მდორე წყალში სინათლეების შუქი იდგა. შორს მოჩანდა ხიდი და მასზე მოძრავი მანქანები. ქვის მოაჯირზე ბიჭი და გოგო დაყრდნობილიყვნენ და მდინარეზე მუქად ირეკლებოდა ერთი გრძელი სილუეტი.

რუსთაველზე ხალხი შეთხელებულიყო. ვაჟა უხალისოდ მიესალმა ვიღაც ქალს. ლაღიმეში ხალხის რიგი იდგა.

ჩაფიქრებული შეუდგა თავის ქუჩის აღმართს. ლუდის ფარდულთან სამი ხელოსანი იდგა; მათ კოჭლი ხარაზიც მიმატებოდა. დახლზე თევზის ძვლები ეყარა. მელუდემ ოთხი კახა აავსო და დახლზე დადგა. ხელოსნები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ხარაზს რაღაცას უმტკიცებდნენ. ფანჯარაში მოხუცი ქალი იჯდა და გულგრილი თვალებით ქუჩას მისჩერებოდა. ღია ფანჯრებიდან ტელევიზორის ხმა გამოდიოდა.

ის ჩაფიქრებული მიჰყვებოდა მოწყენილ ქუჩას. ცაზე უმოძრაოდ გვიდა დიდი, ყვითელი მთვარე. ეზოდან გამოსულმა ძაღლმა ძუნძულით ჩაირბინე ქუჩა და მოსახვევში მიიმალა.

კატა სასწორზე

ვიტრინაში თეთრი ქაღალდი ეფინა. მზის ირბიბი სხივი ჭუჭყიან მიწაში ატანდა, შაქრის ფხვნილით და მაკარონით სავეს შუშის ნახევარკილოიან ქილებს ეცემოდა და თეთრ ქაღალდზე უცნაურ ჩრდილებს ხატავდა. პურის პატარა მაღაზიაში დახუთული, უმოძრაო ჰაერი იდგა. ცხელოდა. დახლთან მელოტი ნოქარი იჯდა, ნიკაპით ხელებს დაყრდნობოდა, მოწყენილი თვალებით ქუჩას უტყვებდა და სიცხისგან მოთენ-

თილს განძრევა ეზარებოდა. მაღაზიის კუთხეში, დაბალი, საწყობის დიდი სასწორი იდგა, სასწორზე გრძელბეწვიანი, ნაცრისფერი კატა თვლემდა. „ნეტავი რამდენს იწონის“, — გაიფიქრა ნოქარმა და კატას მიაჩერდა. იგი ყოველთვის ამას ფიქრობდა როცა სასწორზე კატას ხედავდა, მაგრამ აწონვა ეზარებოდა მაღაზიაში პატარა ბიჭმა შემოიხედა.

— ძია, პური არ არის?

— არ არის. — ზანტად უპასუხა ნო-

ქარმა, ისე რომ თავიც არ გაუნძრევია.

— მერე იქნება?

— იქნება.

კარი ხმაურით დაიხურა. ნოქარი ადგა, კარი გამოაღო, იატაკსა და კარს შორის ხის ნაფოტი გაქედა. უკიდურესობამდე დაჭიმულმა ზამბარამ გაიფლარუნა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ნოქარი ისევ დახლს დაუბრუნდა, ნამცეცები ხელით გადახვეტა, იდაყვებით დახლს დაეყრდნო და ქუჩას მიაჩერდა. კატა უმოძრაოდ იწვა, მხოლოდ მუცელი ოდნავ ებერებოდა სუნთქვისგან. ნოქარმა ვენტილატორი ჩართო, სახე პერის ნაკადს მიუშვირა და შვევით ამოისუნთქა. კატამ თვალეზი გაახილა, გვერდი მონაცვლა და ისევ ჩათვლიმა.

მაღაზიაში ხანშიშესული ქალი შემოვიდა.

— პური არ მივიღიათ?

— არა.

— მალე მიიღებთ?

— ნახევარ საათში, მანქანა გამოსულია.

ნოქარმა ვენტილატორი გამორთო და თვალეზი მილულა. კეფაზე ბუზი დააჯდა, ხელი არ გაუნძრევია, თავის ოდნავი მოძრაობით მოიცილა. ბუზი აფრინდა და ისევ დააჯდა თავზე. ხელი ზანტად გაიქნია, თვალიც არ გაუხელია. ბუზი ერთხანს თავს ვარშემო უტრიალებდა, მერე ისევ დააჯდა. კაცმა ნახევრად მომუშტული ხელი მოიქნია, დაქერა სცადა. ბუზი ვიტრინის მინას აეკრა და ერთფეროვნად აზუზუნდა. კატამ ზანტად გაახილა თვალეზი, ბუზს შეხედა, მაგრამ ადგომა დაეზარა და ისევ მილულა თვალეზი.

მაღაზიაში პიჯამოიანი კაცი შემოვიდა, დახლთან გაჩერდა და ცარიელ თაროებს მიაჩერდა.

— არ არის?

— ველოდებით.

— მალე იქნება?

— კი.

პიჯამოიანი ერთხანს კიდევ იდგა, მერე ნელა გავიდა და ქუჩაში გაჩერდა. მერე მობეზრდა ცდა და წავიდა.

ნოქარმა განახევრებული ბოთლი მიიყუდა და გამოცალა. მერე სასწორს მიაჩერდა. კატა თვლემდა. „ნეტავი რამდენს იწონის, — გაიფიქრა ნოქარმა, — სამ კილოზე მეტი არ იქნება... რადუნდა ამ სიცხეში ამხელა ბეწვი... თუმცა ზამთარში დასპირდება... იატაკზე მაინც დაწოლილიყო, არ დასცხებოდა... არა, მაინც რა სულელია კატა, ძალი ათასჯერ ჭკვიანია...“ — სიცხისგან მოთენთილს ფიქრიც კი ეზარებოდა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, თავზე გადაისვა, ზურგით თაროებს მიეყრდნო, მოკლე ბანჯგელიანი ხელეზი გულზე დაიკრია და უნარო გამომეტყველებით ერთ წერტილს მიაშტერდა. კატა ზანში თვალეზი თავისით დაეხუჭა და თავი ჩაქინდრა. კატამ გაიღვიძა, მთელი ტანი დაძაბა, ზურგი ამოზნიქა, მერე ერთბაშად მოეშვა, ისევ დაწვა და ცხვირი თათებში ჩარგო.

მაღაზიაში დამლაგებელი, სქელი აისორის ქალი შემოვიდა, იატაკს თვალი მოავლო, კუთხეში მიყუდებული ცოცხი და ნიჩაბი აიღო, დახლს უკან შეიტანა, კუთხეში მიაგდო. ნოქარმა თვალეზი გაახილა.

— ვანო, ჯერ არ მივიღია პური?

— არა.

— მე წავედი, მერე გამოვივლი.

— ბოთლი გაიყოლე და ცივი წყალი მომიტანე, დაეიხრჩვი წყურვილით, — სთხოვა ნოქარმა.

— აქ არ მოდის?

— არა, მოუშვი და კარგად გააცივე.

როცა დამლაგებელი დაბრუნდა, ნოქარი თვლემდა. დაორთქლილი ბოთლი დახლზე დადო.

— რამდენ ხანში მიიღებ პურს, ვანო?

— ნახევარ საათში.

— სახლში პური არ არის... .

ნოქარმა თვალეზი გაახილა, თავი ისე გაიქნია აქეთ-იქით, თითქოს ვიღაცას უარს ეუბნებო, გამოფხიზლდა, ცხვირსახოცი თელი შეიმშრალა, ბოთლი მიიყუდა და განახევრა. მუკში წყალი დაიგუბა, სახეზე შეისხა, მერე ადგა,

კართან მივიდა. მალაზიაში შედარებით გრილოდა და მაშინვე იგრძნო ქუჩის სიმხურვალე. რამდენიმე ადგილას სიცხისგან გამლღვალ ასფალტს მკვეთრად აჩნდა საბურავის კვალი. ტიტლიკანა ბიჭმა მალაზიას ჩაურბინა და ეზოში შევარდა, უკან მეორე ბიჭი მისდევდა. ნოქარმა შურით გააყოლა თვალი, მერე ისევ დახლთან მოთავსდა და ერთ წერტილს მიაშტერდა. ვიტრინის შინაზე ბუზი ერთფეროვნად ზუოდა, შუშის გახვრეტას ლამობდა. ნოქარმა თვალებით ბუზის საკლავს დაუწყო ძებნა, დახლზე ვერ იპოვა, თავი უკან მიაბრუნა. მავთულის ტარზე მიმაგრებული ბუზების საკლავი ხელუკუღმა გადმოიღო, ერთხანს ათვალიერებდა, მერე ბუზს შეხედა, მაგრამ ადგომა დაეზარა; საკლავი მუხლებზე დაიდო. ძველი გაზეთი გაშალა და კითხვა დაიწყო. თვალზე რული მოერია, თავი ჩაქინდრა, გაზეთი მკერდზე გადაეფარა და ისევ ჩათვლია.

ცოტა ხნის მერე მალაზიაში პიქამოიანი კაცი შემოვიდა.

— არ არის პური? — თითქოს თავის თავს ჰკითხა კაცმა. ნოქარმა თვალები გაახილა და უაზროდ მიაჩერდა.

— პური არ არის? — გაიმეორა კაცმა.

— ვერ ხედავ, რომ არ არის?!

— რა გაყვირებს, შე კაი კაცო... ხომ უნდა მიგეღოთ...

— უნდა მიგველო, მაგრამ არ მიგვიღია!

კაცი გაჩუმდა.

— მალე მიიღებთ? — ჰკითხა გაუბედავად. — დღეს არ მივიღებთ!

კაცი ცივად მიბრუნდა და წავიდა.

— გააჭირეს რა საქმე! — თავისთვის ჩაიბუზღუნა ნოქარმა. — მიგიღია, არ მიგიღია, როდის მიიღებ... ხომ ხედავ არ არის, რაღას შეკითხები?! — ფეხზე წამოდგა და დახლში სიარული დაიწყო. მერე კატა მოხვდა თვალში.

— შენ რას ვაწოლილხარ მანდ, ვის გაუგია სასწორზე კატა, მაგაზე მე პურს ვღებ!... — ხელში ნამცეცების გადასახვეტი ჯაგრიის მოხვდა და კატას ესროლა. ჯაგრიის კატას წელში მოხვდა, დაფეთებული წამოხტა და მოპკურცხლა.

— ვის გაუგია სასწორზე კატა!... — ცოტა გულზე მოეშვა, დახლს დაეყრდნო და ვიტრინის მიაჩერდა. მიწას აკვირებული ბუზი მომაბეზრებლად ზუოდა და ნერვებს უშლიდა. საკლავი აიღო და ჩქარი ნაბიჯით ვიტრინისკენ წავიდა, რამდენჯერმე მაგრად მოიქნია, კინალამ შინა ჩაამსხვრია, მერე ცოტა ხანს შეიცადა და როცა ბუზი ერთ ადგილას გაჩერდა საკლავი დაუმიზნა. გაჰყლეთილი ბუზი მინას მოაცილა. საკლავი დახლზე ისროლა. საიდანღაც კატა გამოძვრა, მკვდარ ბუზს თითით გაეთამაშა, მერე დასუნა და იმედგაცრუებული სასწორის გვერდით წამოწვა.

ნოქარმა გაჩეთ გაიხედა, მერე კარსა და იატაკს შორის დატანებული ნაფორტი ფეხით ამოადგო. კარი ხმაურით დაიხურა.



ნაღი გაბრიჩიძე

ღღანი სიხოსხლის

მე ისე მაკრთობს თქვენი ბრჭყვიალი,
თქვენი მსუვები, თქვენი ჩიტები,
მხრები მომწვანო და უჭვიანი,
მორთული მძიმე მარგალიტებით.

სად გაგეპყვევით, თქვენ გპვიათ ჩემი...
ჩემი უგონო სიცოცხლის დღენი,
და მაინც სხვისთვის მოგქონდათ ჩერო,
ბროწეულებით მორთული სხვენნი.

სად გაგეპყვევით, როცა პირიქით,
თქვენ გამირბიხართ როკვით, ზარებით,
და სიცოცხლისკენ ჩემი ბილიკით
მიაბიჭებენ სულ სხვა მგზავრები.

მე თქვენს სიყვარულს ვიღაც მპარავდა,
თქვენ მიდიოდით თეთრი დროშებით,
და მე მრჩებოდა მხოლოდ კარავთან
მიტოვებული ვიწრო ქოშები.

და მე მესმოდა სიმღერა თქვენი,
თქვენ სხვის კარავში ისე მღეროდით,
რომ ბალახების ყვითელი ხსენი
გადმოდიოდა ცრემლად ღეროდან.

ო, ხვალაც თქვენი და უნაზესი,
უმანკო სულის მდიდურება,
ჩამივლის გვერდით, ვით უცხო ლექსი,
რომლის თარგმანიც არ მეგულება.

დამრჩება მხოლოდ დიმილი ბრძნული
მარტის რტობით დაბურულ თვალთა,

და ასე, მარად სიცოცხლის წყურვილს
აღვიძებს თქვენი ცისფერი კალთა.

მალავრდება ეჭვი და ტრფობის არსი
მიერგება წინ ბედაურებს...
ან იქნებ ყველას ჰგონია ასე,
რომ სხვის კარავში ინანდაურეთ.

და ვერ აფასებს სიწმინდეს თქვენსას,
ვისთვისაც ასე უხვად თენდებით,
რადგან ყველას სურს ბოლომდე შეგსვით
თქვენი ოცნებით და იმედებით...

თქვენ კი ეკუთვნით ხეებს, გუმბათებს,
ოკვანეებს, ვარსკვლავებს, ირმებს,
სადღაც მომაკვდავ სპილოს უნათობთ,
სადღაც შეჭორფლილ კვერცხს უთბობთ
ფრინველს.

სადღაც უმკერივეს თქვენი ძუძუდან
რაც გადმოდის და თვითონვე კრთებით,
ან უკაცრიელ, ლამაზ კუნძულზე
განწირულ გემებს ხედებით დებივით.

დაფლეთილები საათის ისრით,
დაღლილი მხრებით, დამსკდარ ხელებით,
კვდებით და მაინც ყველასთვის იცლით,
კვდებით და მაინც თავზე გვევლებით.

მიდისხართ, გვრჩება სიმშვიდე ბრძნული
უკანასკნელად გახელილ თვალთა...
და ასე, მარად სიცოცხლის წყურვილს
აღვიძებს თქვენი ცისფერი კალთა.

მემახსოვრება



ვინ ჩამოუშვა ლექსების კიბე,
როგორ დაგეტოვებ ჩემი დიღვეგი,
საკითხავია, კიდევ და კიდევ
ბნელში რაზდენხანს ვიცოდვითღებდი.

ვინ მ-მაწოდა ტრფიალი მწარე,
ვით გამოშშრალი ყუა პურისა,
ვინ გადმომიგდო ბრჭყვიალა ცვარი,
მაგრამ ჩამთვალა წვიმის უღირსად,

ვისი ამაყი ლანდი ვიხილე,
ვისი იური დამყვება თანა,
ვინ მომარჯუნა ერთი ღიღილო,
მაგრამ დამალა თავთუნის ყანა...

საიდან მოდის ეს სასოება,
რაიც არასდროს მქონია უწინ. —
ჩე სამუდამოდ მემახსოვრება
ნისი სიკეთე, ესოდენ ძუნწი...


ვეტყვიო ყველას

დაიწერება პატარა ლექსი
და ჭორფლიანი ბიჭივით გარბის,
არ შეშრობია მელანი თმებზე,
ყველაფერს თხუპნის და მანც გარბის.

ხველას ვეტყვიო, ვეტყვიო ყველას,
არ შეგინახავს ფიქრს ნაუცბათევს,
თამაშობს ფეხბურთს, ჭიდაობს, ღელავს,
და ღ-მეს თივის ზვინებში ათევს.

ვინდა დაბანო ხელი და პირი,
და გაუბაცო თვალები ოდნავ,
ვერ იტანს საშლელს, გარბის და ყვირის
ჭორფლიან ბიჭთა წყვეული მოდგმა.

მშიერ-მწყურვალე დადის და დადის,
წუთში მოიბრუნს მცხეთას და დილომს...
ხვეწნა-ვედრება არ ესმის დედის,
დგას, იკრიჭება და ენას გიყოფს.



ღამე და ღილა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მე ვთქვი, ფეხსა ვკრავ და მოვიცი-
 ლებ. ვგრძნობდი, თუ ხმას ამოვიღებდი,
 ძილი უმალ გამომეყრებოდა. შალის
 საბანზე წაფარებული ფარაჯისა და ჭუ-
 ბის ქვეშ თბილად ვიწექი და ეს მსია-
 მოვინებდა. მაგრამ როგორც კი გავინ-
 ძერი და ჭეჩითა და ბამბით რბილად მო-
 გებული ბუნაგიდან ცხვირი გამოვყავი,
 წვიმის ხმა გავიგონე. წვიმა შორს, ტყე-
 ში ხმაურობდა, მერე მოულოდნელად
 ჩვენს კარავსაც დაეცა და თითქოს დო-
 ლზე დააბრაზუნა: უმტრ-რ-რ-რ-ტა-
 ტტა-ტტა! და გადაიარა, ოღონდ რამ-
 დენიშე წვეთი კიდევ დაეცა სახურავს.

— ახლავე ავღვები, ბორის, — წავი-
 ბურტყუნე მე.

— ისევ არ დაგეძინოს. ძალიან შემ-
 ცოვდა.

— წადი, ვღვები და ეს არის.

კარვის კალთა გადაიწია. ბორისი, რო-
 მელსაც საწვიმარი თავზე წამოეფარე-
 ბინა, ერთხანს ღამის ბინდბუნდში იღ-
 გა, მერე ერთბაშად გაქრა.

ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ გაშლარ-
 თული ორი პირმრგვალი, ტლუ ბიჭი
 რომ არ გამეღვიძებინა, ფრთხილად წა-
 მოვდექი. ავდექი თუ არა, ჩემი დაცა-
 რიელელებული ადგილი უმალვე შეავსეს.

ხელების ფათურით მოვძებნე ტანი-
 სამოსი, კბილის ჯავრისი, პასტა, საპონი,
 ჩავიცვი, წელში მოხრილი გავედი გა-
 რეთ და სქელ, ნოტიო თქორში გავებ-

ვიე. გამაყრკოლა. პირი საფუძელიანად
 უნდა დამეზანა, რათა ძილი გამეფრთხო.
 და საბოლოოდ გამოვფხიზლებულიყა-
 ვი.

პირსახოცი წელზე შემოვიხვიე. პას-
 ტას თავი მოვხსენი, წყალგადავლებულ
 ჯავრისზე დავაწურე და პირსახანის ნე-
 სტიან, აშშორებულ გობზე გადავიხარე.

ირგვლივ არყის ტყე იყო, მაგრამ წვი-
 მაში გაწუწულა ხეები ჩვეულებისამებრ
 არ ქათქათებდნენ. ათიოდე ნაბიჯზე ლა-
 ნდად მოჩანდა საკუქნაოს შავი სილუ-
 ეტი. იმას იქით ჩამუქებული კარკების
 რიგი გაჭიმულიყო.

ჯავრისი კბილეს მივჯაარე და უცებ
 პასტის გამომაფხიზლებელი სიგრილე
 შევიგრძენი. უცნაური რამ დამემართა:
 თითქოს კბილეს, ღრძილეს, ბაგეებს,
 ყელს ერთბაშად რაღაც გაახსენდათ.
 მე ამ გახსენებას ველოდი და სურვილი-
 საგან კისრის კუნთებიც კი დამეძაბა.
 თავბრუ მესსმოდა. ირგვლივ ყველაფე-
 რი ბურუსში გაეხვია, ტაქრა და მე თვალ-
 ნათლივ დავინახე, როგორ თქრილით
 გაღმონჩქედდა მაჭის სიმსხო ანკარა წყა-
 რო კლდეში ჩავირთულ რკინის მილიდან,
 როგორ ბრწყინავდა და ციმციმებდა
 რკალად გაღმომდინარე ბროლის ნაკა-
 დი. ჩრდილში ვზვიარ და ყურს ვუგდებ,
 როგორ იესება ღარის ქვეშ შედგმული
 ჩაფი. ჩაფში მომწყვდეული ხმა მალღა-
 მალღა იწევს, შემდეგ ხემოთ ამოვარ-

დება და წყალიც გადმოიღვრება. მოლაპლაპე ტბორში, სველ ფრთილზე დევს ვარდისფერი, ნამღვეა საპონი...

...პირში წყალი ისე გამოვიფლავ, რომ პასტის მომწარო გემო და სივრილე შემენარჩუნებინა, მერე კი ბორისის შესაცვლელად წავედი. შორიდანვე შემომემსმა, როგორ ატყაპუნებდა ბორისი ჩექმებს ტალახში.

— ყველაფერი რიგზეა. ბებერს ძანავს. შენც შეგიძლია თვალი მოატყუო.

— წადი, წადი ყარავში. დასველდი?

— დასველდი რომელია, ძაღლივით გავილუმბე. უ-უ-უ, — ბორისმა ძიგძიგით მოიხსნა საწვიმარი და ხანჯალი და მომაწოდა, — თქვენთან, სამხრეთში, ალბათ, ჯერ ისეე თბილა... — ოცნებით თქვა და წამით ანაკალიც კი შეწყვიტა. ასანთი გავკარი და წყოს მოვუკიდე.

— წადი, დაიძინე, ბიჭო. ცივა, ეს უღმერთო!

— პო, წავალ, — ბორისმა ნაბიჯი გადადგა. სიარულზე შევატყე, როგორ ეძინებოდა. მე მარტო დავრჩი ტანსაცმლის შესანახი შენობის წინ, რომელშიაც ცინოგადაღებისათვის საქირო რაღაც ხარახურით ავსებული ყუთები, ჩაფხუტები, მუნდირები, მაღალყელიანი ბოტფორტები და ხმლები ეწყო.

რა გაათენებს ამ გრძელ ღამეს...

ზედ კიბის წინ ონკანი მოჩანს. ონკანის ირველივ კარგა მოზრდილი ვუბე დამდგარა. ეს ვანა მარტო ონკანის ბრალია. მეოთხე დღეა, გადაუღებლივ წვიმს...

ფიქრით ერთთავად საქართველოში ვტრიალებ. თავს მოგაბეზრებს და გაჩენის დღეს დაგაწყევლინებს სმოლენსკის გაუთავებელი წვიმები. უამინდობის გამო კინოგადაღება შეწყვეტილია და დღეები უხმაუროდ, მოსაწყენი ზღაზვნით მისდევენ ერთიმეორეს. ყარავში შეუჩერებლივ მღეროან, მღეროან რადიოცნობი კინით, თქვენ წარმოიდგინეთ, გაფთრებითაც კი. ძველისძველი სიმღერა ორ თავაწყვეტილ ცხენზეა შეთხზული. ეს საშა დროზდოვის, ლამაზი, კრელთვალა ბიჭის საყვარელი სიმღე-

რაა. საშა გაუბედავად იწყებს, დაწალი კრინით, თითქოს აღარც კი იცის, როგორ გააგრძელოს და ამ გაუბედობაში ერთხელ რაღაც, რაც წინასწარ შეუცნობ სიმწარეს გაეგრძნობინებს.

«Пара гнедых, запряженных впрягу. Пара голодных и жалких на вид». შემდეგი სტროქონი სულ მიმქრალია, ძლივს გააჩნევ. «Что ж вы претете, мелкой рысцой» — აკორდონისაკენ დახრილი, რეჩიტატივით, ოდნავ ჩახლეჩილი ხმით იკითხავს საშა და უეცრად უკან გადაიგდებს გადახორჩლ თავს, მწარე სიამოვნებისაგან შუბლშეკმუხბენილი ბიჭურ ხმას სადავეს მიუშვებს და გამყინვად გაჰკივის: «Пара гнедых, ой-да, пара гнедых!»

მე ვული მეკუშმება. იმიტომ, რომ ყარავში ეწვევართ, ეწვევართ ყარავში და გარეთ კი წვიმს, იმიტომ, რომ თვალწინ მიდგას საშა მოსკოვში, გამწვევ პუნქტში, მაგონდება მისი დაბნეული გამომეტყველება და ნამტირალევი გოგონა, რომელსაც ის დად ასაღებდა, ვული მეკუშმება იმიტომ, რომ ჩემს მეზობლად მხართეძოზე წამოწოლილმა ბიჭმა პაპიროსის ხეირიანად მოწვევა არ იცის და მაინც ალაყუნებს, ბორისი კი დაბალ ბანს ეუბნება საშა დროზდოვს, იღიმება და მთელი საათია, რაც წიგნის ერთსა და იმავე გვერდს ჩასჩერებია, ვული მეკუშმება იმიტომ, რომ ჯარისკაცები ჯერ კიდევ არა ვართ, ჩვენ ახლაც, ამ წუთშიც იქ ვცხოვრობთ, აქ კი მხოლოდ ეწვევართ ჩველ ფიცრებზე, ყარავში, გაწუწულ ტყეში... შევეყურებ ბრუნენტის სველ ქერს. ნერწყვს ვყლაპავ და ვიგონებ ცისფერ, კაშკაშა მზის აღმურში გახვეულ ვენახებს მთის ფერდობებზე. თბილი სიო ჰქრის და ირგვლივ ტბილი სურნელი დგება...

შემიყვარდა აქაური ტყეები, გორაკები და ღნებრი, დილაადრიან საგულდაგულოდ ნისლით დაბურული. შემიყვარდა შორიდან მომავალი ნახარის ხმა. რომელიც წვიმის მზაპუნს მიაგავს. შემიყვარდა ირგვლივ გამეფებული სიწყნარე ყოველი არსისა. ეს რუსეთია.

სმოლენსკინა. თვით ამ სიტყვასაც კი დაბრუნული ტყის სურნელი ასდის. იგი გულს საამოდ ესალბუნება. მაგრამ უცებ ისევ სამშობლო მაგონდება და უკვე არაფერი არ მინდა, მის გარდა... თაყარა სიცხისაგან გამღვალი, ბენზინის სუნით გაედენთილი გულარონი ჩვენსკერ მოქტრის. გარბიან გზის კიდევებზე ჩარიგებული თეთრი ბოძები, გარბიან და ორივე მხარეზე, წისკვილის უშველვებელ დოლაბებზეთ ბრუნავს დედამიწა, მზე ცეცხლს აფრქვევს...

ჩემო მზეო, ჩემო მიწავ, გამარჯობა შენი!

წვიმა ხმაურობს. ტალღა-ტალღა მატულობს მისი შრიალი. ხან მოიკლებს, ხან ისევ ძალუმად წამოუშენს. მიწა ყველაზე ღრმა ფესვებამდე გაიქვინდა და ჯიშინი ძროხის ჯიქანით დამძინდა.

ყურს ვუვადებ წვიმის შაპუნს და ვცდილობ ხელახლა გამოვიწვიო ის გრძნობა, წელან რომ პირსაბანის გობთან გამიჩინდა. მინდა გონებას ძალა დავატანო.

ცვლავ სახლის კიბეზე ვზივარ. იქვე მახლობლად დიდრონ-დიდრონი ყუთები აწყვია. ვუყურებ მუქ, მზონივარ ტბორს ონკანის ირგვლივ და ყურს ვუვადებ წვიმას, თქორით რომ დაიზღაზნება ჩემს გარეშე.

ზედ სახლის წინ მუხა აწვდილა ცაში. შტოებს კანტიკუნტად წყდება თითო-ოროლა რკო და მიწაზე დაკემისას ნეშოში ფაჩუნობს. ასეთსავე ხმას გამოსცემს ფოთლებში ჩავარდნილი ბროწი წაბლი. თვით წაბლნარი შეწითლებულია, თითქოს ხანძარს გადაუტრუსავსო. ცვივა, ფარფართო ცვივა ფოთლები, ტყე შიშვლდება და ყოველ ზეს საითაოდ ხედავ. ვზივარ და ვუყურებ ამ ხეებს, მანამ ვუყურებ, ვიდრე ყველას არ ვიცნობ, ვიდრე არ გავარჩევ ზედ ლოკონების ნაკვალევს, ვიდრე არ შეცემა ნეშომპალას — მიწადატყეული ფოთლების სუნი...

...თინელავს. წვიმის წვეთები ირიბად ჩარბიან ვაგონის მინებზე. მატარებელი

ხეობაში მიიკლავება. კუბედან გამოვდივარ. ბორბლების გრუხუნნი შეკაფიოდ მესმის, ირიყრაჟა. კართან ვდგავარ, უი-შმუშნები და ხელებს შარკლის ჯიბებში ვიყოფ. ჟერ კიდევ ვგრძნობ ლოგინიდან გამოყოლილ სითბოს, ვცდილობ გაუნძრევლად ვიდგე და ეს სითბო როგორმე შევიინარჩუნო. მოულოდნელად აქრობენ სინათლეს და მე უმაღვე მეუფლება სიცივე და მიუსაფრობა. მინის მიღმა ყველაფერი მკაფიო მოხაზულობას იღებს: ლურჯი და შავი ლაქები იქცევა კლდეებად, რუხ ხეებად, მკრთალ, მბეუტავ ნათურებად... უეცრად კლდეები ზედ მოაწყდებიან ვაგონებს. ბორბლების გრუხუნნი მძლავრი და გამოკვეთილი ხდება. თვალწინ ყოველივე ირევა, ქრეღდება, ძნელია რაიმე გაარჩიო.

ადგილი მოვიინაცვლე, მოპირდაპირე კართან ვადავედი. აქედან ყველაფერი ნათლად ჩანს. თითქმის ფეხქვეშ ლიბ ქვეზე, სწრაფად მიედინება მწვანე მდინარე. აქა-იქ, ჩქერებში, თეთრი ქაფი გაიქვლებს. მდინარის აქეთა ნაპირი გაშლილია და გარეცხილი რიყით არის დაფარული. გაღმა წითელი ცხენი მიბორჩიკობს. გაცრეცილ ნისლში ჩანს ძველი, მოფუშული წისკვილი. და უცებ წისკვილის მიღმა, მადლობზე, სკოლის ვარდისფერი შენობა იფეთქებს. კარს ვაღებ. მანძილი თეთრ კენჭებს შორის, რომლებიც რკინიგზის კიდებზეა ჩამოკრთეებული, თანდათან იზრდება. ჩამოვხტი. მუხლებში სისუსტე გამომყვავს უთოლად გამოუძინებლობის გამო. გამოჩორკილი ქვით ნაგები და კირით შეფეთქილი სადგურის პატარა შენობისაკენ წავედი. ბაქანზე ნაცნობი ბერიკაცი იდგა. გრძელი, ჭაღარა უღვაშები ორივე მხარეს სიმეტრიულად გადაეგრისა. მივესალმე. ბერიკაცმა ყურადღებით შემათვლიერა და სალამზე დინჯად მიპასუხა.

— ზემოთ როგორ არის საქმე? — ვკითხე მე.

— კარგად. მშვიდობა ვახლავს. გზა კარგია.



— გმადლობთ.

ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ორი მოხუცებული ქალი იდგა და მოთქმით ტიროდა. სახეს იხოკდნენ. გვეგონებოდათ, ფერფლისფერი თმა ჩამოეშალათ და თითებით ივარცხნიანო. მოეტრიალდი. ორ ნაძინარევე მამაკაცს ცოცხალი იების გვირგვინი მოჰქონდა.

ფარდულს, სადაც კვირადღეობით ბაზრობა იმართება ზოლმე, გვერდი ავუქციე. დახლის ქვეშ ცარიელი ბოთლი და გატეხილი ტაბურეტი ევდო. აღმართს ავუყვიე. გაფუარე სასოფლო საბჭოს, სადალაქოს, გაცვდი ქარხნის საერთო საცხოვრებელს. საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთ საჩემელში შუქი ენთო. ვილაც დგებოდა სამსახურში ადრე წასავლელად. ირგვლივ სიჩუმე იყო. ციოდა, მხოლოდ მოსახვევის იქიდან ისმოდა მდინარის ძლივს გასაგონი ჩხრიალი.

შარაზე ნისლის ფლასებში გახვეული სახედარი დაეინახე. თითქმის ცისფერი იყო. კეზზე გადაკიდებული ტომარების ზომიერი ყანყალით და კუდის ამპარტავნული ქიციანით მიდიოდა. როცა ათიოდე ნაბიჯზე წამოვეწიე, სახედარმა ყურები დაცქვიტა და გაკვირვებულმა მოიხედა.

— მიდი, დაუდე ეგ შენი ჩანთაც!

მეც უკან მივიხედე. ახალა შევნიშნე ჩია ტანის ბერიკაცი, რომელიც უკან მოვედევდა და გზადაგზა შარვალს იბნევდა. მალე წამომეწია, თვალები მოჰუტა და ქვემოდან ზემოთ ამომხედა. ფეხთ ცხვირაბზეკილი კალოშები ეცვა, შარვალის კი მალაყელიან წინდებში ჰქონდა ჩატანებული.

— გმადლობთ, ძალიან მეჩქარება.

მოხუცმა იწყინა. ერთხანს ხმა აღარ ამოუღია, მერე თქვა:

— პაპიროსი გექნება, შვილო.

კოლოფით მივაწოდე. მოხუცმა დიდხანს აფათურა თავისი დაკოყრებული თითები კოლოფში, პაპიროსი ვერასგზით ვერ ამოიღო. ბოლოს, ორი ცალი ამოჰყვა. ერთი უკან ჩააბრუნა, კოლოფში, მეორე გააბოლა და თქვა:

— კარგია, ქალაქურია. ზევით მიდიხარ?

— კი ბატონო.

— ჰოდა, კარგად იყავი, აბა.

ნაბიჯს მოვეუმატე. მოთენთილობამ თანდათან გამიარა. ნელ-ნელა მოვცოცხლდი. გზაზე ჭინკის ბურთი ევდო. ბავშვობაში მე და ჩემი თანატოლებიც ასეთი ბურთით ვთამაშობდით. მინდორში უზომო მარწყვი იყო და მეკარეებს მაისურებზე ყოველთვის მოწითალო ლაქები აჩნდათ. კარებიც გვექონდა, ხაზებიც, საჯარიმო მოედნებიც, მაგრამ ნამდვილი ბურთი არსად იყო. ერთხელ ეილაცამ მუქის სიმსხო მრგვალი კაუჩუკი მოიტანა. ათი-თორმეტი წლის პატარა ბიჭებმა ფეხები კი დავიმტვრიეთ, მაგრამ იმას რა ჯობდა, როცა ბურთი სწორედ ნამდვილი ბურთივით ავარდებოდა მიწიდან და მერე ისევ დაეშვებოდა.

ბოჯირი გადავიარე, უკან მოვტრევე აგურის ქარხანა და მთებში მიმავალ ბილიკს დავადექა. მზე ამოდიოდა. ზვეებიდან ნისლმა მალა აიწია და მის მოვარდისფრო ფოთლებში მთის წვეროები გამოილანდა. სადაც ზემოდან სახლების მხრიდან, კუტი პურისა და მომყავო ღვინის ნაცნობი სუნი მცემდა.

...ბაბუაჩემი სახლის წინ დამიხვდა. მზისგულზე იჯდა. თავზე ოქროსფერი, ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა. ვიდრე მივეახლებოდი, ნალვლიანი თვალებით მიმხერდა და ილიმებოდა. წინ ქარვისფერი ღვინით სავსე ბოთლი ედგა. სიციხემ შემაწუხა. ტანსაცმელი სასწრაფოდ გავიძრე, ბალახზე დავყარე დე პურანგის ამხანაგის ამარა დავრჩი.

— რამდენის ვახდი, ბიჭო? — მკითხა ბაბუამ.

— შეიღის.

— ოო... — გამიტრიზავე ბაბუამ და ხმამალა დაიძახა: — მარო!

სადაციდან მაშინვე მოცუნცულდა ბებიაჩემი, მოფუტფუტსე, ჭერ კიდევ ახალგაზრდა ქალი და ბერიკაცს დაუცაცხანა:

— რა გინდა, ბოშო, რა?

მალე ბალახზე პატარა სუფრა გაიშალა. გაჩნდა თორნის პური, ჭყინტი ყველი, მწვანილი. ყველი ძალიან თეთრი იყო. ქათვათა თეთრ სუფრაზე თითქმის არ ჩანდა.

— უყურე ამას შენ, შეიძინე გამხდარა! — თითქმის თავისთვის თქვა ბაბუამ. ბებიაშემ მომხმედა, შუბლი შეიკუმუნხა, მომხვია და ტირილი დაიწყო.

სუფრას აკაციის ჩრდილი მოადგა. შექვიფიანებულმა ბაბუამ ჩრდილში ჩამოპარული მზის სხივებით მოხატული სატინის ხალათის ღილები გაიხსნა, ერთხელ კიდევ გაიღიმა და ალერსიანად მიიხრა:

— კია... ნახე, რომელი საათია.

მაშინვე წამოვტი, ოდის გრძელ აივანზე ავირბინე და იატაკს დავაჩერდი: რა ადგილასაა ჩრდილი მოაჯირსა და კედელს შუა? ჩვენი აივანი რვა ფართო ფიცრით არის მოგებული. თუ ჩრდალში მხოლოდ ორი ფიცარია, უკვე ხუთი საათი სრულდება და მე შემიძლია მდინარეზე გავიქცე. აივნის მზით განათებული მხარე თვალისმომკრელად ბრწყინავს და კაცს ერთი ფიცარი გეგონება. არც ნაბზარი აჩნია, არც გადაბმული ხაზები, თანაც ისე გავარვარებულია, ზედ ფეხშიშველი ვერ გაივლი. ჩრდილში დარჩენილ ფიცრებს რუხი ფერი დაჰკრავთ და რალაც ლაქები აჩნიათ. ეს, ალბათ, ქათმების სკორეა. შავ წერტილებად მოჩანან ლურსმნის თავები, თვით კედელი კი ლურჯია, სულ ლურჯი. ვინ შელება ნეტა ასე ლურჯად?

მზე არა ჩანს. მთელი ცა მზედ ქცეულა. თეთრ იატაკს თვალს ვერ ვუხსოვრებ. გაწითლებული ზურგი მიხურს. სული მეხუთება. მდინარე მინდა. უეცრად მაგონდება წყლის სუნი, ვრილი, მწვანე, რბილი წყლის და ლიპოდებულ ლოდების სუნი და ფესვები, გაძენილი, მოწითალო ფესვები, წყლის დინებას დაღმა რომ მიჰყვებიან. ამ სანუკვარი სუნის გახსენება ყოველთვის მანიჭებდა და ამ წამშიაც მანიჭებს ნამდვილ ბედნიერებას.

ერთი შენც! რას არ მოგიგონებს ამა, წყლის სუნი აქ რა მოსატანია! თვეთ ცხოვრება იყო სხვაგვარი, სულ სხვახანირი... ხომ არ შეიძლება, დრომ გაიაროს და კაცი მაინც ბავშვად დარჩე. მაგრამ იმ ცხოვრებიდან აღამიანში მაინც რალაც რჩება. არც შეიძლება არ დარჩეს, რადგან უმისოდ აღამიანი ლოკოკინად იქცევი.

და კიდევ... ფრენა სიზმარში. სიზმარში ყველა ბავშვი ფრინავს. ფრენა ზოგჯერ ჭაბუკობის ასაკშიაც კი ესიზმრებათ, მაგრამ ეს უკვე სხვა ფრენაა. დიდები ვარდებიან ფანჯრებიდან, სახურავებიდან, ხეებიდან, ეცემიან წვეტიან ქვებზე და ჭაობებში, სადაც გველები და ჯოჯოები ბუდობენ. მათი ვარდნა აუტანელად დიდხანს გრძელდება. გული გასკდომანება. საცოდავებს შიგნეული ეყინებათ ლოდების ქიმებთან მიახლოებისას. ცივ ოფლში გაწუწულნი წამოვარდებიან და დაფეთებულები აქყეტენ თვალებს. ბავშვებს სულ არ აკრთობთ შიში. მახსოვს, თითქმის ჩემდა უნებურად რალაც წამიღებდა ხოლმე მალლა და თუმცა ბევრს ვფართხალბდი, მიწაზე ფეხის დაკარებას ვეღარ ვახერხებდი. როცა ის ძალა შორს ამტაცებდა, ნელა ვიწყებდი დაბლა დაშვებას, მაგრამ ზევით მიმავალი ჰაერის მძლავრი ნაკადი გზას მიღობავდა და მიწას რის ვათავალახით ვუბრუნდებოდი. ჩამოვიწყოდი რამდენიმე მეტრზე და რალაცას ისევ მალლა მივქონდი. მე ისევ მთელი სიმძიმით ვაწვებოდი ჰაერის ნაკადს, კიდევ, კიდევ და ყველაზე მალალი ხის კენწეროს წავავლებდი ბელს. ფეხები ჰაერში მრჩებოდა და ასე თავდაყირა დაყუდებული ხისკენ ვექაჩებოდი საკუთარ სხეულს, მაგრამ ის უცხო ძალა ხშირად მაინც ამაგლეჯდა, ხის კენწეროსათვის ბელს გამაშვებინებდა და კვლავ ბუმბულივით წამიღებდა მალლა.

ბლობაზე ბებიაჩემს შიშისაგან სული სძვრებოდა, ბალლი ხიდან არ ჩამომივარდესო. მაფრთხილებდა ხოლმე: თუ მე არ ეუბრძანე, როგორც კი ზედ ახვალ, ხე გაფრინდებათ. ეჭვიც კი არ მეპარე-

ბოდა, რომ ეს უთუოდ ასე მოხდებოდა. მაგრამ ეზოში იყო ერთი დიდი ხე, რომელიც ბებიანების ნებასურვილს არ ემორჩილებოდა. ხე შავ, მსხვილ ბალს ისხამდა. ერთხელ დილაადრიან მივაშურე. კარგა ხანს ვუარე შორიახლო, მერე ავდექი და ზედ ვაუბედავად ავფოფხდი. ყველაფერი კარგად დაიწყო. ბალს შევექცეოდი და კურკებს დაბლა ვყრიდი. უეცრად, თითქოს ზემ ჯიბრზე, ქარი არ ამოვარდა? შეშინებული ტოტს მივეკარი და თვალები დავხუჭე. ხე შეტორტმანდა, დაიძაბა, ფრთები აიქნია, ფესვებიანა ამოვარდა მიწიდან, პირდაპირ აიჭრა სივრცეში და გაფრინდა. მიფრინავდა ის წყეული და ტოტებს ზომიერად იქნევდა. ქარი დაცხრა. ხე ისევ წყნარად ტორტმანებდა. თვალები გავახილე. მსხვილ ტოტზე ორივე ხელი მქონდა შემოკდობილი და მის ხაოიან, გრილ, კალმახივით დაწინწკლულ ტანს მაგრად ვეკვროდი. მარჯვენა ხელი დაჭყლტოლი ბლით მომეთხარა. ფრენის შემდეგ ხე ოდნავ ტოკავდა, დგომით კი ისევ მიწაზე იდგა და მისი მწვანე ფოთლების იქით, ღობის გადაღმა, კრამიტის სახურავიანი სახლი მოჩანდა.

ამის შემდეგ დავრწმუნდი, უთუოდ გავფრინდები, თუკი ვიმარჯვებ და მიწას მოფწყლები მეთქი. აფრენას იმ მთის კალთიდან ვნატრობდი, რომელზედაც ჩემი სოფელი იყო გაშენებული.

როცა ბიჭები საქონელს გამორეკავდნენ საძოვარზე, მეც ავედევნებოდი ხოლმე ნეხვით დასვრილ შეწუხებულ ხბოებს. ბილიკი წაბლნარში მიიკლავებოდა და სიცხე-პაპანაქებაშიაც კი ნესტიანი იყო.

გაძვალტყავებულ ჯორზე, რომლის პატრონი თავისი ერთგული პირტყვის გამძლეობით ამაყობდა, სამნი, ხანაც ოთხნი ვკვებოდი. ჯორი კვენსოდა, რაღაცას ბუტბუტებდა და გვერდულად მიდიოდა. უპატრონოდ მიგდებული საქონელი ტყეში იფანტებოდა. ვინ ყავდა ყურის მგდებელი!

ტყე მოულოდნელად ილეოდა და უცბათვე იწყებოდა მზის სწივებით გაღა-

ბრუკული ფერდობი. ფერდობს ზემოთ, ოდნავ მარცხნივ, წინ გამოზნექილ მთას ვეება მწვანე ვეშაას ვამგვანებდი და მთავონა, ერთხელაც იქნება, ვეშაპი ადგილიდან დაიძვრის და მთავრეხილებს გაჰყვება მეთქი. მთაზე სირბილით ავდიოდი. ზემოთ ასვლასას ძლიერი ქარი მცემდა სახეში და უკან მამბრუნებდა. არსად და არასდროს მინახავს ასეთი თვალშეუღვამი ცა! მთა, მე რომელზედაც ვიდექი, ყველაზე მაღალი იყო. ვხედავდი ირგვლივ შემოჯარულ გორებს, ტყეებს, მუქ ხნულებს. შორს პატარ-პატარა სოფლებიც მოჩანდა. ერთიმეორეზე მიჯრილი მთები თითქოს ერთმანეთს აწყლებოდნენ, ეკაკავებოდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ. ზოგჯერ თეთრი კლდეებიც ამოტივტივდებოდნენ ხოლმე. მთები თანდათან ინთქმებოდნენ უფრო ვაშლილი ქედების ლილისფერში, უეცრად მაღლა, ზეცაში იჭრებოდნენ და მუქდებოდნენ მწიფე ქლიავისფრად. იქ, სადაც მთები ცას ერთვოდნენ, ლურჯი თხემები მუდმივი თოვლით იყო დაფარული და შუა ზაფხულში ლილო-ჭრილოდ ჩანდა.

ჩემს უკან გორები თანდათან დაბლდებოდნენ. ქვევით მოწითალო ველი ღაღანებდა. ველზე ტყეები არ იყო და აქედან ყველა მოზრდილ ხეს დაითვლიდი. მზიან ამინდში მათი ჩრდილებიც კარგად ჩანდა.

ვეყურებდი და მივირბოდა, რად მოდიოდნენ ღრუბლები დაბლობის მხრიდან. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, თუ იმ მხარეს ზღვა იყო!

როცა ღრუბლები ცას კიდისკიდემდე დაფარავდა, შემფოთებული ბავშვები თავს ეუყრდით საქონელს, სახელდახელოდ კარავს ვაშენებლით და ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცის ფარჯის ქვეშ შევიყუებოდი ხოლმე. გაწვიმების წინ ცივი ქარი ამოვარდებოდა, კარავს შეაქანებდა და დიდხანს ისმოდა ჯერ ისევ მშრალი ფოთლების განუწყვეტელი შრიალი.

წვიმა ზოგჯერ სულ სხვანაირად დაგვატყდებოდა თავს. მოწმენდილ ცაზე მოულოდნელად გამოჩნდებოდა პატარა

ღრუბელი და სწრაფად დაიძვროდა სწორედ ჩვენს მხარეს. ქალაში კარგად ჩანდა, როგორ კისრისტეხით მოსრიალეზბდა მისი ჩრდილი. ჩრდილი წელში იზნიჭებოდა, როცა მთას ამოადწევდა. ღრუბლის ქვეშ გაცრილ სილასავით მოცვივოდა წვიმის წვეთები. მალე წვიმის სხრილასაც გაევიგონებდით. ხმა ახლოვდებოდა, ძლიერდებოდა, ბოლოს, წინ მოდენიდა სიგრილეს და სახეში მსხვილ, თბილ წვეთებს მოგვაცრიდა. ოციოდენ ნაბიჯის მოშორებით ბალახი იბრუებოდა მზეზე. ჩვენ ყოყინითა და ტარცააღლით გამოვრბოდით, მზეს ენას ვუყოფდით და ისევ შევევარდებოდით ხოლმე წვიმაში. ხბოები მოუქნელად დაკუნტრუშობდნენ, ყურებს ცქვეტდნენ და სველ კუდს იქნევდნენ...

ერთხელ, როცა ჩემს უკან მზე ჩადიოდა და ყველაფერი, თეთრი ცხენებიც კი, წითლად მოჩანდა, გადავწყვიტე გავფრენილიყავ... ზურგში მოწოლილი ქარიც თითქოს დასტურს მეუბნებოდა — შენ სცადე და მერე მე ვიცხო, ოღონდ მიწას ასცდიო...

გაფრენით, რა თქმა უნდა, არ გავფრენილვარ. უმალ მიწას დავასკდი. როცა გავვრუტდი და მეტისმეტი თინით მოვიწოდოდე დედამიწის მიზიდულების ძალის გადალახვა, ხელახლა გავიშლარათე და ამჯერად ნიკაბი დავკარი მიწას. ტყვილისაგან დავიქყანე. გული მაინც ვერ დამეჭურებინა. რატომღაც მგონია, რომ მე მაშინ ვერ ავხტი ისე შორს, სადამდეც საჭირო იყო და ფათერაკიც იმიტომ შემემთხვა.

ჩემს მარცხნივ ფანჯარაში შუქი აინთო. მერე ვილაცის ჩრდილი დავინახე. მალე კიბეზე ვარენკა გამოვიდა. იგი თითქმის ზედ გადმომაწყდა ჩამოსვლისას, მოულოდნელობისაგან შეკვივლა, ნაჩქარევად ჩაუხვია და სახლის კუთხეს მიეფარა.

ვარენკა აქ გავიცანი ამ ზაფხულზე გაცხარებული ვადალებების დროს. რატომღაც მომინდა გამეკვირვებინა ეს

მოსკოველი გოგონა, რომელიც ჯარისკაცებს ქედმაღლურად გვიწურებდას საუბარი ვაფუბი მათ ფილმზე! სიტყვა შემდეგ კინოხელოვნებაზე გადავიტანე და ენას კლიტე ავხსენი. შიგადაშიგ რჩეულ რეჟისორებს ვახსენებდი. გრიფიტს... ძიგა... ვერტოვი... ეიზენშტეინი... ბერგმანი... ხახა თითქოს სიტყვებით მქონდა ამოტენილი. მე მხოლოდ პირი უნდა დამელო და სიტყვებიც თავისთავად გადმოცვივდებოდნენ. ვლესე და ვლესე ენა. როცა სახეში შემოჩერებულ ვარენკას მოვკრძო თვალები ღრმა და შემწყყარებელი გაუხდა, მითხრა:

— შენ აქ როგორ მოხვდი?

დათვისბეწვიანი ქული თვალებზე ჩამოვიფხატე და პასუხის გაცემის მაგიერ დარდნიანდულად გავიღრიტე.

სალამოს ქალაში შევხვდით ერთმანეთს, კავალერიის საჯინბოებების მახლობლად. მოულოდნელად ყველაფერმა ამან გულში აუტანელი ზიზღი მომგვარა და ძალზე მტკივნეულად ვიგრძენი სინანული, რატომ ბედნიერი არა ვარ მეტიქი.

ვარენკა დაბრუნდა, გვერდი ამიარა და შეჩერდა.

— ვერ გიცანი.

— ბნელა, — ვთქვი მე.

— არ მოგეწყინა მარტო ყოფნა?

— თითქოს არა...

— გინდა მოსწიო?

— გმადლობთ, მაქვს მოსაწყვეი.

ქალი ადგილიდან არ იძვროდა.

— დღეს ცადალება იქნება. მეტეოროლოგები დარს გვირბდებიან.

ხმა არც ახლა გავეცი. პირში წყალჩაგუბებულოვით ვიდექი.

— თუმცა უკვე აღარც წვიმს, — თქვა ისევ ვარიაამ.

მივაყურე. მართლა აღარ წვიმდა. ტყეში იშვიათად თუ გაიშრიალეზბდა ან გაიფაჩუნებდა რაღაც.

— მოგწონს ჩემი ჩექმები? — მკითხა ბოლოს ვარენკამ.

ფეხებზე შევხედე. მალალ წვივებზე მქიდროდ შემოტმასნილი ჩექმები ეცვა. ბოტფორტები თეთობებზე წვდებოდა. გა-

მელმა. დღეს რატომღაც ყველას სურდა ჩემთან საუბარი.

— წადი, დაიძინე...

ვარეწკა მოულოდნელად მომეკრა. მისმა ცხელმა სუნთქვამ ჩემს ქუთრულში გაატანა. მომავალდა: ბებერს ნამეტანი ეამებოდა, ეს სცენა რომ დაენახა. ვარეწკას მხრებში ჩავჭოდე ორივე ხელი და ოდნავ ვუბიძგე კარისაკენ. გულდაწყვეტილი წავიდა.

კვლავ მარტო დავრჩი. ონკანისაკენ გავტობე, წყალი დავლიე და შენობას შემოვფუარე.

ბანაქში სიჩუმე სუფევდა.

ჩემი ფიჭვები ნელ-ნელა დაიწმინდა, თანდათან ნათელი გახდა. თვალწინ ღია მდგა. მისკენ ფეხაკრეფით მივფიქვდი. მივიწყედი, როგორც მშობლიურ სახლისაკენ მიღის კაცი. მახსენდებოდა ბევრი რამ, ძალიან ბევრი რამ მახსენდებოდა და ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ ღია იყო.

მომავლად ქალაქი, სადაც ვსწავლობდი, სადაც დარჩა ღია, სხვა ქალაქები...

როგორ ხდება, აღამიანი რომ თავისუფლად სუნთქავს ზღვაზე ან მთაში? იქნებ იმიტომ, რომ იქაური პაერი ჯერ აღამიანთა ბედითა და უბედობით არ დამძიმებულა? ათობით კილომეტრზე თავისუფლად ეტევა სამი სიყვარული, ორი სიძულვილი და ერთი მწუხარება. ქალაქი სხვაა, ქალაქი სულ სხვაა. აქ ასობით კაცის ბედი, ავი და კარგი, ერთმანეთს აზის კისერზე. აგერ, პირველ სართულზე ჩასუქებული მამაკაცი გამაღიზიანებლად ეუბნება ქალს, გტოვებ და მივდივარო. ქალი შეშინებული შეპყურებს კაცს, გულამომჯდარი სლუკუნებს და რაღაც იმედის მსგავსი რამ მის მის სლუკუნში: მეორე სართულზე ყბებჩაცევილი ბიჭი მისჯდომია მავნიტოფონს, უსმენს, თან სიგარეტს ამოლებს; მესამეზე ახალგაზრდა დიასახლისი შეუჩვეველი ხელით ატრიალებს საკერავი მანქანის სახელურს და სახეზე კმაყოფილება ეხატება; უფრო მაღლა კუბო დაუსვენებიათ მაგიდაზე. სრული სიჩუმეა. პანაშვიდს იხდიან. კუბოში ქალარი

ბერიკაცი წევს. უღვაშებდადარებნილ შუბლი ამოზნექია, ნიკაბი მკერდზე ამჯობი დაბჯენილი და თითქოს მთელი სამყარო გაქვევებული ამ ერთ უსიცოცხლო გემში. მეხუთე სართულზე ვახშმად დამჯდარან. კერძს მადიანად შეექცევინ დაზედ შუშხუნა ლიმონათს აყოლებენ. მეექვსეზე სიცილ-ხარხარია: „წარმოგიდგენია? ასე წამოიყრანტალა... ხა-ხა-ხა-ხა! დაუქვრებელია, მე და ჩემმა ღმერთმა!“ მათზე მაღლა გულმოღვინედ დაუთოვებულ ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი ხნიერი რკინიგზელი აკაკუნებს ნაქარგებით მორთული ოთახის კარზე. აბა, მან რა იცის, რომ შინ არავინაა. ახველებს, ღელავს, წამდაუწუმ ისწორებს ყელსახვევს, ნერწყვს ყლაპავს. მერვე სართულზე სიყვარულის თავდაიწყებას მისცემიან. მეცხრეზე შეშინებული გაიძეურა დაჭერას ელოდება. აი, სადაცაა დააკაკუნებენ. ოთახში ყველა გარინდებულია. თვითელი გაფაჩუნება და დამნაშავესა და მისი ოჯახის წევრებს თვალეზი გადმოცვენაზე აქვთ. შეათე სართულის ფანჯარასთან ქალიშვილი დგას. ფანჯრის ფარდა გადამწეულია; მინა კი პაერივით გამჟვირვალე. ქალიშვილი გადაპყურებს ქუჩას, ატომანქანებს, აქედან რომ პაწაწინა ქიამაიებს ჰგვანან. მოძრავი წერტილები — აღამიანები — ერთმანეთს გზას უჭრიან, სადღაც მისწრაფვიან, გზადაგზა ერთმანეთში იხლართებიან. ქალიშვილი რაღაცას ელის. მოლოდინი წამითაც არ ეშვება, მაგრამ ის მაინც უნდა დამთავრდეს რაღაცით. თუმცა არ მთავრდება და ქალიშვილი თვალეზს ხუჭავს, სახურავზე აჩონჩხილი ანტენები კი ოთახების კოლოფებს ტენიან არაბებით, მესხატებებით, დიპლომატებით, წყალდიდობისაგან დაზარალებულებით, ზოლო პირველ სართულზე ჩემად ქვითინებს ქალი, რომლის კალთაში სამ ბავშვს ჩაუმაღავს სახე. მეხუთეზე მორჩნენ ვახშამს და მამაკაცები კბილებს იჩიქნიან, ნავახშმევეს პაპიროსს უკიდებენ. მეექვსეზე სიცილისაგან ღონემიხდილი ქალები და კაცები მიმოფენილან. მეცხრე სართულზე და

ატუსაღეს ის, ვინც დაჭერას ელოდა და მისი ცოლი თითებს იმტვრევს, რაკი ხმის ამოდება ვერ გაუბეღია. მერვე სართულზე შეყვარებულები გაშხლართულან ლოგინში, ჭერს უსაგნოდ უყურებენ და ვერაფერს ხედავენ. დაღონებული ქალიშვილი ისევ ფანჯარასთან დგას. ხოლო ქვევით, სულ ქვევით, კვლავ დაცოცავენ ჭიამაიები და ანტენები ტუმბავენ კოლოფებს.

საძირკველში კი ამ კოლოფების სვეტს, ამ ობელისკს, ოთხი ნაბიჯი სივრცე და ამდენივე სივრცე აქვს. რა ტვირთის სიმძიმეს უძლებს მიწის ეს მცირეზე მცირე მონაკვეთი! ამიტომ ზომ არ გაოცებს კაცს ღამით ქალაქის თავზე შორიდან დანახული შუქი დაფიონი? მძინარე ქალაქს დილამდე ადგას თავზე განვლილისა და განცდილის შეწამული შარავანდელი.

ისევ ქალაქზე ვფიქრობ და ეს ყველაფერი ისევ ლიაა. ლიას ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდები, როგორც დანგრეულ მშობლურ სახლს. ვდგევარ ნანგრევებთან და ვიგონებ, როგორი ღამაში იყო ჩემი სახლი, როგორი ნათელი...

წყნარ, მზიან ამინდში სიმწიფით დამძიმებული მტევნები ტბილი სურნელებით ავსებენ ვენახს. მე და ლია შარებს შუა დავხეტილობთ. ხელით ვშლით სიწითლმორარულ ცისფერ და მწვანე ლერწებს. მარცხნივ და მარჯვნივ...

დაღლილობა. უსიამოვნება, უკმარობა, ყველაფერი შორს დარჩა, ქვევით, ქალაქში. მე დაბნეული ვარ. შეძრწუნებულციც, თითქოს ჩემი წილხვედრი ერთბაშად გადმომილაგეს. ფოთლები მარჯვნივ, ფოთლები მარცხნივ... შემფოთებული ვუყურებ ლიას. ლია იცინის და ჩემკენ მობრბის.

ღამით აივანზე ვწევარ და ცას ვუყურებ. შორს მატარებელი მირახრახებს. ხევსუვები იმეორებენ ლიანდაგზე თვლების დგანდავრს. სახურავს რკო ეცემა, კრამიტის ღარში ჩამობრბის და ძირს ვარდება. ლიას აქვე ახლოს ძინავს, ჩემს ოთახში...

გათენებისას გაურკვეველი მღვლეარება შალეიძებს და თვალს-მანუღინებს. ირგვლივ სივრცეა, როგორც მთის მდინარის სიახლოვეს იცის ხოლმე. ვდგები. გარეშემო შემოჯარული მთების პანორამა განსაცვიფრებლად, მარტივი, მძლავრი და უძრავია. აგურის ქარხნის მილიდან ამოსული კვამლი ჰაერში იახილის ნიშანივით აღმართულა. სახლის უკან მზე ამოდითა, სახლის წინ კი ვენახს პეპელა დაფარფატებდა. ირგვლივ, რასაც თვალი სწვდებოდა, ყველაფერი უძრავი იყო, გარდა ამ პეპელასი და თვალნათლივ ჩანდა მიწის შეურყევლობა მიწა არ ბრუნავდა სივრცეში, მზე კი დინჯად ამოდითა აღმოსავლეთით და მას თავს ევლებოდა. ვუყურებდი ყვითელ პეპელას, ღობის სარზე ჩამოცმულ გამურულ ქოთანს, ლედვის ხეებს ვენახის გარშემო, ვეება მთავრეხილის დაკბილულ კონტურს, ცის ასევე პირუკუ დაკბილულ ხაზთან ჩაჭვდილს.

ლიას მიეუახლოვდი და მხარზე სათუთად ვაკოცე. მისი ლოგინის სითბომ სუნთქვა შემიგუბა. თვალებგაუხელლად მომეხვია. თმა ავუწიწი. ლია უცებ წამოიწია, წამოჯდა, ღიმილით შემომხედა და შემეხვეწა:

— ასეთ მშვენიერ ვარცხნილობას ნუ დამიშლი!

— დილა მშვიდობისა!

— დილა მშვიდობისა!

ორივეს გაგვეცინა. ორივე დილის ხალისით ვიყავით ავსებულნი.

— როგორ ამასწარი? — მკითხა.

— შემცივდა აივანზე. სიცივემ აღარ დამაყენა.

— აგრე მოვიხდება!

ფეხზე წაფიხმსეთ და სოფელში სახეტილოდ გავედით.

— აქ კარგია, — თქვა ლიამ, — არც კი მინდა ვიფიქრო, რომ ამ „არდადეგებს“ ჩავვამწარებენ.

დიდ კაკლის ხეს მივადექით. კაკლის ძირას, ჩრდილში, წყარო მოჩუბჩუხებდა. ქვევით, მოსახვევში, მდინარე ლაპლაპებდა მზეზე.

— ხომ შეიძლება, აქ გვეცხოვრა? — მითხრა ლიამ.

— გინდა, დავჩინო?

ღია შეჩერდა, შემომხედა. სახეზე თითქოს სიომ გადაშირბინა. ეს იყო ის, რასაც კარგა ხანს გაეუბრბოდით. იქნებ ყველაფერი სხვანაირად წარმართულიყო. კი, ყველაფერი სხვანაირად წარმართებოდა, რომ გამეგო, რომ მიემხვდართყავი, რომ როგორც ყველა ქალს, ღიასაც ოჯახი და სიმშვიდე უნდოდა. ახლა გვიანდა. ახლა აღარც ღირს თავის მტვრევა...

ჩვენ ზევით მივდიოდით, ზევით, ორლობებში.

რა მოხდა მერე?

არა, არა, ვახსენებაც არ ღირს...

ორლობეს მივყვებოდით ზევით, ჩემი კარვისაკენ.

იქნებ მაინც ღირდეს ვახსენება? რა მოხდა მერე?

არა, არა, არ მინდა, არაფერიც არა მსურს მოვიგონო!

გზაზე ბებერი თხა შემოგვხვდა. რა მითხრა მაშინ ლიამ? რომ მგონი... მგონი ფეხმძიმედ ვარო. მე აღერსიანი, უმწყო, უნაათო სიტყვებით ვუპასუხებ.

რად ვიგონებ ამას? რა აზრი აქვს ახლა ამის ვახსენებას?

ჩვენ ზევით, ზევით მივდიოდით.

გზად ბებერი თხა შემოგვხვდა. პო, ბებერი თხა... მერე ღობის გადაღმა ცხვარი დაეინახე. ღობეს მივადექი და გადავიხარე. ცხვრის ჩრდილში თეთრი ბატკანი იწვა. ბატკანს ეძინა. ღიას დავუძახე და დავანახე.

მალე ხშირი ტყე დაიწყო. ხის ძირებში ღორები დაბორიალებდნენ და წაბლს ახრამუნებდნენ. ტყე თანდათან უფრო დაბურული ხდებოდა და რამდენადაც სოფელს ვშორდებოდით, უცნაური მღელვარება მით უფრო მიპყრობდა. ჩემი კარვისაკენ ბილიკიც აღარ იყო. კარავი უღრან ტყეში დავდგი, რათა იქამდე ჩემს მეტს არავის მიეღწია.

გზას ეკალბარდებში მივიკვლევდით.

ტყე ჩაიხუთა, ნეშომპალის სუნით აივსო. მე და ღია სწრაფად და აღვზნებუ-

ლი მივდიოდით, თითქოსდა ვიღაცას გავუბრბოდით, თითქოს ვიღაცა მოგვდეგდა კვალდაკვალ და ჩვენც მივაბიჯებდით ხშირ ბუჩქნარში, აქეთ-იქით ვშლიდით ტოტებს, ვიცილებდით ეკლებს, მაგრამ ჭიუტი ეკლები კვლავ ერთდებოდნენ, ერთმანეთს ეხლართებოდნენ და გზას გვიღობავდნენ. ეკლიან ტოტებს ხელახლა ვშლიდით, ვშლიდით, როგორც რვაფეხას კლანჭებს, მაგრამ ჩვაფეხა ისევ გვიპერდა. ვუსხლტებოდით, ეხრებოდით, გვერდს ვუვლიდით, ვალაჭებდით ჩახლართულ ჩირგვებს.

კარავი ერთადერთი ნაძვის ძირში იდგა. მივედით თუ არა, ნაძვს მიწამდე დახრილი ტოტები დავამტვრიე და კარავში დავყარე. ხელები ფისით გამეწევა. ხალათი გავიძრე და კარავში შეეძვერი. იქ კარგა ხანს ნებიერად ვიწექით ნაძვის ნედლ, სურნელოვან შტოებში ვახვეულები. კარავში მზის სხივები ატანდა. პაერი მსუბუქი და სუფთა იყო.

— არ გცივა? — ვკითხე ღიას.

— არა, — ღია ჩემკენ გადმობრუნდა, — კარგია!

ხელი მოვხვიე. შემოდგომის ფოთლებში ჩამოპარული მზის სხივი კარვის თხელ სახურავში ჩამოძვრა და მის სახეს დაეცა.

— რა ბედნიერებაა, — წაიხურჩულა ღიამ.

ის დღე კარავში დავალამეთ. ღიას როცა მოშვიდა, მახლობელ ვენახში ჩავედი და ყურძენი უბით ამოვიტანე. აქეთ მომავალმა წაბლიც ჩავიყარე ჭიბებში.

ვიწექი ნაძვის ტოტებზე და ვაბოლებდი. ღია კარვის შემოსასვლელთან იჯდა. ფეხები თათრულად მოეკეცა. ჩვენს წინ შინდისფერ ხალათზე ეწყო ქარვისფერი ყურძნის მტვენები. ღია ხანდახან ყურძნის რამდენიმე კუმპალს გამომიწოდებდა. მარცვალს ენით სასაზე მივაქერდი. მაგარი კანი ყრუ ტყაცუნით სკდებოდა და გრილი, ტბილი წვენი პირში მეღვრებოდა.

— თითქოსდა სულთანი იყო, — თქვა ლიამ.

მე ხელეები თავქვეშ ამოვიდე და გავილიძე.

— რა გეცინება? შენ ბუნებით აზიელი ხარ!

— წარმოშობით, — შევეუსწორე მე.

— ყოველთვის მეგონა, რომ მაღალ-მაღალი, ქერა ბიჭი შემიყვარდებოდა, ძალიან სერიოზული და საქმიანი.

— არ გავიმართლა...

ლიამ გაიცინა, ჩამხუტა და კინალამ ხელი დაიწვა სიგარეტით.

ტყიდან საღამოს გამოვედით. ლია ამჯერად წინ მიდიოდა. თავი ჩადუნა, ხელეები ჭიბებში ჩაეწყო, თმა თვალე-ბში ებლანდებოდა. ნიკაბი თითქმის მკერდზე ჰქონდა დაბჯენილი და გაყოფილ თმებში კისერი უჩანდა. მიდიოდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნაბიჯით, როგორც თორმეტი წლის გოგონა. რაღაცაზე ელიძებოდა. თითქოს ოთხფოთლიან სამყურას ეძებდა — ბედნიერების უტყუარ ნიშანს. ტანთ ზოლიანი ზედაწელი და ხავერდის შარვალი ეცვა. ვუყურებდი და მეც მელი-მებოდა.

მეორე დღეს რთველი დაიწყო.

ყველა საქმე, რომელსაც გულით აკეთებ, დღესასწაულს ჰგავს, მაგრამ არცერთი სამუშაო ისე არა ჰგავს დღესასწაულს, როგორც რთველი. ჩვენ არ ვმღეროდით, მაგრამ მღეროდნენ კალათაში ჩაწვენილი მტევნები, აჭრიჭინებული მძიმე ვოდრები, ყუნწამდე დაწითლებული ფოთლები, სასხლავი მაკრატლები, შორიდან მოისმოდა ხმაჩახლეჩილი ყეყეჩი სახედრის ყრაყინი.

მთებს თავლოვით ეღვრებოდა მზე.

— ღმერთო კი მომკალი, ეს შენი გოგო რა მოუხერხებლად კრეფს ყურძენს! — გადმოშილაპარაკა ბებია.

— ეგ არაფერი, ბებო, დიდი ყოჩაღი არც შენ იქნებოდი მაგის ოდნობაზე!

— რა მშვენიერი თითები აქვს, ბეჩა. ცოდვაც კი არი მაგისთანა თითებს საქმე აკეთებინო.

— ვენახის თოხნაზე მოგვკახმარე, —

— მირჩია ბაბუამ. ის ფოთლებს აშრი-ალებდა და ვაზის გულში იტყვიებს ჭრიდა.

— ბევრს მოგიტოხნის! ჯობია, კი ბუთხუზა ბიჭი ჩამომიყვანოს.

ეს, რა თქმა, უნდა, ბებია თქვა, თქვა და სიამოვნებისაგან ჩაიცინა. ოჯახის ახალგაზრდა რძალმა, ორსულობისაგან ჩამრგვალებულმა, მორცხვად ჩაილიძა და ნუშისებური თვალეები გაუბრწყინდა.

ბებია ლიას შეხედა.

ნაშუადღევს საწნახელი პირთამდე იცისო. ძლივს ავიკაბიწე ვიწრო შარვალი, საგულდაგულოდ დაეიბანე ფეხები, გადავივლე ქაქის არაყი და ყურძნის გროვაზე შევდექი.

ყურძენზე პირველად ისე გავიარე, როგორც იატაკზე, მერე ოდნავ ავიწიე და ქუსლს დაეაწიე. დასკდა პირველი მარცვლები. ერთ ფეხს მეორე ფეხიც მივაშველე და უფრო ღრმად შევტოპე. ხან ერთ ფეხს ვაწვებოდი მთელი სიმძიმით, ხან მეორეს, როგორც მოცეკვავე სპილო და მალე ატლასუნდა, აბორგდა, აფშვინდა, ახმაურდა ახელილი მტევნები. საწნახელი მითრევედა, მიზიდავდა, ძლივსლა ამომქონდა ფეხები მწვეანე ტკბილიდან, ღარში კი ქუჩისაკენ მიედინებოდა მღვრიე ტკბილი დელე.

ძველ წარმართებს მოგვდგამს: ვწუჩავთ ყურძნისაგან იმას, რაც მიწისა და მზისაგან მიუღია, რათა შემდეგ ეს ნაწური დოჭით მოვიყუდოთ და აღვივსოთ მიწისა და მზის მათრობელი ძალით.

— ლია, დამალევიწე!

ლიამ ღარს ჭიქა შეუშვირა და მომაწოდა.

— უფრო ახლო მოიწი!

მე დავლიე მღვრიე, მწვეანე ბადაგი, გადავიწიე და ლიას ტუჩებში ვაკოცე.

— კიდევ გინდა?

— ბადაგი? არა! ნამდვილი ღვინო მომიტანე.

— სადა მაქვს?

— ბაბუას უთხარი და ჩამოგისხამს.

ლია მარნიდან გავიდა და მალე უკან დაბრუნდა. ზელში კაკლის ნეშოთი თავდაცობილი დოქი ეკავა. ღვინო ძელგი იყო, მით უფრო ტკბილის დაღვევის შემდეგ. მაინც მწყურვალნი ხარავით დავეწაფე, დავეწაფე და ტუჩიდან ველარ მოვიშორე. ძელგი ღვინო პირს მკვახე ზურმასავით მოვლო. კინალამ გავიგულდე. დოქი პირიდან მოვიგლიჯე და ისევ ლიას მივაჩეჩე.

— რას შერები, რა ამბავია? — ლია განცვიფრებული იყო.

— მშვიდობა. ყველაფერი რიგზეა!

— ლოთო...

— ბედს ვერ გავმეცხვეი... გათენებულა, გამიშვი, გამიჩავრდება დედაო.

საწინაზელი კენესოდა, ოხრავდა ფეხქვეშ და ირყეოდა, მერე კი მარანი გამოქვაბულად იქცა და შიგ მე ვბატონობდი.

შემოვიდა ბებიაჩემი. ნიკაბთან თავსაფარგასკენილი ჯადოქარი და თორნეში ცეცხლის ჩანთება დაიწყო. ფიჩხი ატყაუნდა, აკვამლდა და ალი ერთბაშად სახურავამდე ავარდა. გამოქვაბულში ცეცხლის ანარეკლი ათამაშდა, სახეში შემომანათა და ღვიძლ მშასავით გადამეხვია. ჩემი უსარკმლო მარნის კედლებზე მრგვალი ძელები გამოიკვეთა და გამშვარტლული კედლებიდან პილპილის აცმის სიწითლემ გამოანათა.

ბოლოს, წურვას რომ მოვრჩი, საწინახლის ინდურზე ჩამოვკეჭი და ვარდისფერი ფეხები აქეთ გადმოვალაგე.

ბებია არსად ჩანდა. თორნესთან ახლოს მდგარ ლიას ნაკვერჩხლების სიმხურვალისაგან სახე ატყეცვოდა.

— გოგო, ვიხრჩობი წყურვილით! ლიამ მორჩილად მომაწოდა დოქი.

როცა ღვინის ქარხანაში ყურძნის წასალებად ურმები მოაყენეს, მე მთვრალი ვიყავი. დატვირთვის დროს მეზობლებს მაინც მოვებმარე. ბარბაცით მიმქონდა ურმებისაკენ მძიმე გოდრები. თუმცა გაფაციცებული ვცდილობდი არაფერი გამეფუჭებინა, ორი თუ სამი მტვეანი მაინც ვადამიფარდა.

— არა, ესე ვერ მოგართვეს. ახლავე

მოგ-ნა-ხავთ!.. — სიბნელეში ზელებს ვაფათურებდი მიწაზე და ვბტრტყუნებდი. ვერაფერს მივავენო. დაღლუნე თაყვი და ურმის ქვეშ შექვიერი. მუცელზე ხოხვით გავყვივი კოფოდან უღლამდე. ვერაფერი ვნახე და წამოვდექი. ორივე მხარეს ხარები იღვნენ. ერთ მათგანს ზელი მოვხვიე. მისი კისრის სითბო გულზე მესალბუნა და ვიყვირე: —

— ლია, ხარები! სადა ხარ, ლია?

მოშორებით იღგა.

— ვხედავ! — მომაწვინა ხმა.

— ლია, დააკვირდი, რომაული პროფილები აქვით მხოლოდ უღელი არ ითვლება. მონები არ გეგონოს. უბრალოდ, კეთილი გულისანი არიან.

როდესაც დატვირთვა მოთავდა ხარებს მეურმე გაუძღვა წინ. მე ავიღე თავი და უკან გამოვდევენე. ვირყეოდი. ვირწეოდი და ისე მივექანებოდი თავდაღმა.

ერთგან ურმის კრიალი და ხარების ფეხისხმა შეწყდა. გზა გაიზნიქა. აქ ხრამის პირას გავიარე. ყურებში მდინარის ხმაური მეცა, მაგრამ მე მეჩვენებოდა, რომ ეს წყალი კი არ იყო, არამედ ხევში წყლის მაგიერ ქვიშაში არეული ლოდების ნიაღვარი მოედინებოდა.

უკან მარტო დაგბრუნდი. მთელი დღის ნაჯაფს ყოველი კუნთი მამძიმებდა. ლიას არ ეძინა. მაგიდას უჯდა და ბელურასავით მხრებჩამოყრილი საკვეში იყურებოდა.

— ძალიან დაიღალე? — ვითომ ბოდიში მოვუხადე.

— არაფერია..

— ძინავთ?

— ჰო, შენც დაწეკი.

უეცრად ჩამოვარდნილმა სიჩუმემ შემაკრთო. ძველ ოდა-სახლს ღამის პრიკინების კრუალი აცოცხლებდა. ლიას საბრალო სახე ჰქონდა. ალბათ, ნაწყენი იყო. მარტო მივატოვე და ხარებს გავეკიდე. მის ღუმელს ველარ გავუშე-ლი და ენა ამოვიდგი.

— შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ, ლია!

— თუ გიყვარდე... უკვე ყველას ძინავს.

— მე შენ ძალიან მიყვარხარ, ლია.

— დამშვიდდი. ახლა ეგ რა საჭიროა.

— მე შენ ძალიან მიყვარხარ! — დავივივირე და ვივრძენი, მკერდში რაღაც ჩამწყდა. თითქოს გულმა მოიწადინა, ამ სიტყვებს თან ამოჰყოლოდა. — მე შენ ძალიან მიყვარხარ, ლია!

— ეიცო.

— არა, არ იცი, როგორ მიყვარხარ. არაფერიც არ იცი, ლია, არაფერი არ იცი...

დილა იყო. ისევ იქ ვიჯექ, კიბეზე. ატლახებულ ბილიკზე კაპიტანი ლიკოვი მორბოდა.

უკანასკნელ სიგარეტს მოეუკიდე და წვეკოს მომწარო კვამლი ღრმად შევი-სუნთქე. გვიან შევნიშნე: საუკუნაოსთან მდგარი მორიგე რაღაცას მანიშნებდა. ტყისკენ გავიხედე და ხეებში ჩემგან მომავალი ბებერი დაეინახე. თავი უკან გადაეგდო და ვითომდა უკეთ რომ დავენახე, თვალებზე ჩამოფხატული „კოზირიოკის“ ქვემოდან მიუღრებდა.

— რატომ არ აგვიკრეფია ნამწვავები?

უცებ ვერც კი მივხვდი, რას მეუბნებოდა. წუხელ დამ ისე შორს ვიყავი აქედან, რომ ასე უცებ დაბრუნება შეუძლებელიც იყო.

— ახლაც აკრიფეთ!

— მესმის!

ეს ნამწვავები თვითვე დავყარე. ვუყურებ და ჩემდა უნებლიედ ვითვლი. ბანაკის მეტუკე ადგომისას უცრავს. ტყე ჩექმების ბრახუნით ივსება. ვზახე, რომელიც ჩემს წინ ვადის, ჭარისკაცები გარბიან. ისინი ათეულეზად დაწყობილი მიდიან ფეხისადგილში, მერე უკან მწყობრადვე ბრუნდებიან და დნებრისაგან მირბიან კისრის ტეხით. წელს ზევით ყველა შიშველია და შესაზურებლად ხელებს იქნევს. მათრახის

ქნევით გაიქროლა დიდ თეთრ ულაყზე ამხედრებულმა ახალგაზრდა ლეიტენანტმა და ტალახი მომაშხეფა. ეღირსა, გამოჩნდნენ ჩვენი ბიჭებიც.

დამინახეს თუ არა, ვიღაცამ შორიდანვე დაიძახა:

— მარჯვნივ გენერალია!

გვერდს რომ მივლიან, ფეხებს უფრო მაგრად აბრახუნებენ, სასაცილოდ მესალმებიან, თითქოს მართლაც ვიღაც დიდი უფროსი ვიყო, მერე სიტყვიერადც მომიკითხავენ:

— დილა მშვიდობისა, სტუდენტო!

— სიკვდილი ან გამარჯვება!

გაეყურებ წამის წინ გავლილ ჭარისკაცებს, მეც ვილიძები და მინდა ყველაფერი კარგად იყოს: ვინ წერილებს გეწერს, არ დაგვივიწყოს, არ დაგვეფანტონ სხვადასხვა ნაწილში, არ ატყდეს ომი...

ბორისი მცელის.

— კმარა...

საუზმეზე წუხანდელ ფიქრებს ევბრძე. თითქმის ვიფიწყებ კიდევ. სასადილოში ჩემს გარდა, ბევრი საუზმობს. წყრიბალებზე ჯამებია. თავგადაბოტრილი წითელ-წითელი სახეები. მაგიდებზე გამოხრული თევზის ძელები ყრია. ამდენ ბიჭს ბევრი საწვავი უნდა.

დილა მიინც დილა.

ვკლები ჩვენს ბიჭებთან.

— როგორ არის საქმე?

— უკეთესად აღარ შეიძლება. ბებერი წუხელ პაპიროსს პაპიროსზე ქაჩავდა ჩემთან. ინათლა თუ არა, მივაყენე და ნამწვავები თავისი ხელით ავაკრეფინე.

— უყურე შენი!

მაწვდიან თევზს და ჩაის ალუმინის ფათით. ჩაი თბილი და ცხიმნარეგია, ბიჭები — მხიარული და გულგაუტეხლები. საერთოდ, დილა სჯობს დამეს.

მეტეოროლოგების პროგნოზი გამართლდა. ცამ ღრუბელი გადაიყარა და მზე გამოჩნდა.

ტყიდან დნებრის ხილებსაკენ დაიძრნენ ჭრელი კოლონები — ცხენოსნები და ქვეითები.

და ნელა, რიტმულად, განრიგის მიხედვით ბრუნავს დღე და მიიზღაზნება თავის ზომიერ მორევში.

ვმუშაობ. ვხევატავ, თავს ვუყური შემოდგომის ფოთლებს და ცეცხლს ვუყირდებ. ფოთლები სველია. ცეცხლი ბეტატავს, კვამლდება და გასაღვივებლად დიდხანს ვუბერავ. შემდეგ შაშხანას ვწმენდ. ბოლოს, გადამღები ჭაგუფის ხალსს ბუტაფორით დატენილ ყუთებს ვატვირთვინებ და ძალაუნებურად ყურს ვუგდებ მსახიობების ლაყბობას.

— ჭარისკაცო, მოდი ერთი მეც მომიკიდე ხელი! — შეძახის ვილაც.

და ასე... ახლა ნაგვის ჩასაყრელი ორმოა ამოსათხრელი. ვიწყებ მიწის ჩიჩქნას და როცა ბორისი შესაცვლელად მოდის, უკანვე ვგზავნი.

კარვებს შორის ფეხბატკივებულები და ავადმყოფები დაბორიალებენ. მზე მცხუნვარედ აჭერს. ყველა ერთად გროვდება მოსაწევ ადგილას. თითქმის თვითულ მათგანს ვიცნობ. ლამით ყველა ერთად ვთხრით თავეშსაფრებს. თითები უკვე ვეღარ იჭერენ ბარს. შეიდეკილომეტრიან ლაშქრობებშიც ერთად დავიარებოდით. ყელი მათარსავით გვიშრებოდა. ამჭვრად საქმე არაფერი აქვთ და ლაყბობენ ამ მთისას, იმ ბარისას. ჰყვებიან, როგორ სვამდნენ და როგორ მზიარულად ატარებდნენ დროს ჭარში წამოსვლის წინ. ვინმე გარეშემ შეიძლება არც კი დაიჭეროს, რომ ისინი კარგი ვაჟკაცები არიან. ერთიმეორეს არ აცლიან მოყოლას, თუ ვინ როგორ მოატყუა სანინსტრუქტორი. მეცინება. სანინსტრუქტორი, ასეულში ექიმად რომ ვასაღებთ, მხოლოდ დიზენტერიას სცნობს და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ამის ნივთიერ საბუთს ნახავს.

— რას აკეთებ? — ბიჭები ისე მეკითხებიან, თითქოს ვერ მხედავდნენ.

ორმოზე ვანიშნებ, კაცის სიმაღლე უნდა ამოვთხარო-მეთქი. ჩემი სიღინჯით გაოცებულნი რიგრიგობით ხტებიან ორმოში და მეხმარებიან. მალე მათ ისევ მზე იზიდავს. ორმოში, სიღრმის გასაზომად, პატარა ტანის ჭარისკაცს

უშვებენ. მორჩა, სწორედ კაცია სიმაღლეზეა ამოთხრილი! მაშ წაფრდეთო; მეუბნებიან შემდეგ მე, უკვე ცხვარას სწორედ დნებარში ბანაობის დროაო. ისინი მიდიან, მე ვრჩები. ისევ ვთხრი. ვთხრა შეუსვენებლივ. ყურს შორეული გუგუნი სწვდება. გადალებები, ალბათ. დაწყვი. ბოლოსდაბოლოს, ბარს მიწაში ვასობ, არყის ძირას ვჭდები და პაპიროსს ვუყირდებ.

წყნარი, კრიალა დღეა წუხანდელი უქმური ამინდის შემდეგ. ჩემს თვალწინ გადაშლილი სამყარო ფხიზელი და ღრმაა. ვგრძნობ, თანდათან როგორ მიბრუნდება ფიზიკურად ხელშესახები წონა და თვალმოუხრებლივ ვუყურებ ამ მარადიულ სიმშვიდეს. იგი არაა მთლად გამოუცნობი. მახსოვს დღეები, როცა აღტაცებული და ბედნიერი ვიყავი და ღამეები, როდესაც მოგონებების ცხელ კუბრში ვბორგავდი, დღეები, როცა სიციხისაგან სული მეხუთებოდა და მტვრის კორიანტელში წინ მიმავალ ამხანავს ვერ ვარჩევდი და ღამეები, როცა ყიყვი ყელში მეზჩინებოდა და მახრიაზბდა აღამის მწვრთ ვაშლივით. დღეები, როცა ისე ვცივდებოდი ქარში, საკუთარი ჩონჩხის ძვლები შემეძლო დამეთვალა და ღამეები, როდესაც ტირილი არ შემეძლო, შუბლს ვისარესდი და გაგუდულივით ერთსა და იმავეს ვიმეორებდი — დედა, ოხ, დედა... — თითქოსდა დედას შესძლებოდეს მართლაც შეეღა; ვიხსენებ ამ დღეებსა და ღამეებს და მიკვირს, ძველებურად რომ აღარ ვგრძნობ მათ სიღუჭიერს.

...და როდესაც მზე ცის თვანზე ადის და მიწა იცილებს ყოველივე ზედმეტს, ჩრდილებსაც კი, მე თვის ვუებნები: ვაიხსენე! და თანდათანობით გულისძგერა მიმატებს და ლიას საზე სულ იოლად, ძალდაუტანებლად დამიდგება თვალწინ. მხოლოდ ეგ არის: არ ძალმიძს მისი სახლის ხმაძალა წარმოთქმა. მისი სახლის ხმაძალა წარმოთქმას უკვე გადავეჩვიე. იგი ჩემმა ტუჩებმა შეისრუტეს, მაგრამ ტუჩებით მამინც ვგრძნობ სანუკვარ შეხებას...

ორგვლივ თეთრი ხეები შრიალებენ. ვინ თქვა, რაც თავს გადაგვხდენია, დავიწყებას ეძლევაო?

ყველაფერი, რითაც ვვიცოცხლია, ჩვენშია.

მზე მაჭერს კეფაზე. სამყარო კარს მიღებს და სიბრძნეს მახიარებს. მისი სიკეთის იმედო არაოდეს მომეშლება.

ქვეყნიური გრუნიოვები

რუსთა საბჭოთა მწერალმა დ. პეტროვმა (პირიუცმა) გამოქვეყნებული „საბჭოთა საქართველო“ წარუდგინა თავისი ახალი ისტორიული რომანი „ქვეყნიური გრუნიოვები“, რომელიც პირველად ქართულ ენაზე ქვეყნდება.

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს დ. პეტროვის ისტორიულ რომანებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „ქაზაკებს“. მასში დიდი მხატვრული შთაბეჭდილობითაა წარმოსახული დონელი კაზაკების ცხოვრება წარსულში. მწერალი „ქვეყნიური გრუნიოვები“ № 18 საუბრის მეორე ნახევრის კაზაკთა ცხოვრების ისტორიულ ფონზე გვიხატავს ევგრაფ იოსების რე გრუნიოვის ტრაგიკული აღსაყვანი ცხოვრებას.

ევგრაფ გრუნიოვი წარმოშობით ქართველია. მისი პაპი რომან გრუნიოვი აზნაურთა წრიდან იყო გამოხული, გვარად ნაჩხავი. იგი საქართველოს ბელეჯუდშარობის ემს ვადასახლდა რუსეთში და ჩერკასკის ვოისკოვოი კრუგმა კაზაკად მიიღო.

თეთონ რომან გრუნიოვი და მისმა შთამომავლობამ მრავალ ბრძოლაში ასახელო რუსეთის მხედრობის ძველამოსილი დროს. ხოლო მისი შვილიშვილი პოლკოვნიკი ევგრაფ გრუნიოვი მეფის სასახლის დამცველ გვარდულ კაზაკთა პოლკის მეთაური გახდა და ირიცხებოდა პავლე პირველის პირად ოფიცერთა ბრწყინვალე ამაღლებაში.

პავლე პირველს თავდაპირველად ძალზე უყვარდა. ევგრაფ გრუნიოვი ვეფაცური შემართებისა და უღამაზესი გარეგნობის გამო. მეფემ თავის რჩევებს უპირადად ადგილ-მამული უწყალობა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, მაგრამ საფრანგეთის რესპუბლიკური იდეებით შთაგონებული ევგრაფ გრუნიოვი ვულგარულად ეკიდებოდა მეფის ასეთ გულუხეობას, რადგან მთელი არსებით სსაგდა ადამიანის ღირსების უკიდურესად დამამცირებელი ბატონყმური ინსტიტუტი. სასახლეში მოკალათებულმა იეზუიტებმა შეფესთან დაასმინეს ევგრაფ გრუნიოვი, როგორც თავგამოდებული რესპუბლიკელი, ხალხის მოსარჩლე და თეთონყარობელობის დაუძინებელი მტერი. იგი დაამატებრეს ჩერკასკში და ვოისკოვოი კრუგის სამხედრო ტრიბუნალმა 1800 წლის 5 სექტემბერს სიკვდილით დასაჯა.

„მნათობის“ რედაქცია აქვეყნებს რამდენიმე თავს დ. პეტროვის რომანიდან, როგორც პირველ მხატვრულ ნაწარმოებს ჩვენს გამოჩენილ თანამემამულეზე.

XV

ვოისკოვოი ატამანი ვასილ პეტროვიჩ ორლოვი ჭერ კიდევ წარმატად გამოიყურებოდა, იგი ორმოცდაცამეტი წლისა გახლდათ და უკვე მიეღწია მაღალი ჩინისათვის. კავალერიის გენერალი და მრავალი უმაღლესი ორდენის კავალერი ცოტა ხნის წინათ დანიშნეს ვოისკოვოი ჯარების ატამანად. რა დამსახურება მიუძღოდა, რომელ ბრძოლაში გა-

მოიჩინა თავდადება და მამაცობა, ან სად გამოამყვანა მან თავისი გონების მადლი, რომ ასეთ აღზევებას მიაღწია?

თითქმის არავითარი. სამშობლო მისით არასოდეს ყოფილა განსაკუთრებით დავალებული, არც რაიმე თვისებით გამოირჩეოდა, არც ვეფაცობითა და არც გულადობით, მით უმეტეს ჰკუთნით. ეს ყველა იყო. რას იზამ, ასე

მოეწყო ამ ადამიანის ცხოვრება. ამავხე იტყვიან, თუ კაცს ბედი აქვს, ცივ ქვაზეც დასახლდებოდა.

მთელი მისი ბედნიერება იმაში მდგომარეობდა, რომ შესანიშნავი სიმამრი შეხვდა. ეს გახლდათ ჩვენთვის კარგად ცნობილი დენისოვი. მისი შემწეობით მიიღწია ყველაფერს უბრალო დონელმა კაზაკმა ორლოვმა, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა სხვებისაგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დენისოვზე მრავალი თქმულება და ლეგენდა დადიოდა. მოხუცსა თუ ახალგაზრდას დონზე, ყველას უყვარდა დენისოვი და ამაცობდნენ მისით.

ვიდრე ოცდაათი წელი შეუსრულდებოდა, დენისოვი სტანიცა პიატიზბინსკაიაში ცხოვრობდა მუდმივად. მანამდე იგი არ ყოფილა სამხედრო სამსახურში. 1770 წელს, თურქებთან ომის დროს, იგი პირველად გაიწვიეს არმიამ.

ერთხელ მდინარე ლარგთან ბრძოლის დროს ფელდმარშალმა რუმიანცევმა, რომელიც დურბინდით თვალს ადევნებდა ჩვენი ჯარების შეტევას, გაოცებულმა შეინშნა, რომ კაზაკურ ლურჯ ზიფთანში გამოწყობილი რუსი მხედარი თურქებს ხმლით ცელავდა და ისინიც ყოველი მხრით კისრისტეხით გარბოდნენ, მაგრამ იმ მხედრის ხმალი მაინც ყველას სწვდებოდა.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ ფელდმარშალმა გაიხსენა მამაცი მეომარი და ბრძანა, მოეძებნათ იგი.

მაღე მის წინაშე წარსდგა ლურჯ ზიფთანში გამოწყობილი თეთრცხენიანი მხედარი.

— ვინა ხარ? — შეეკითხა ფელდმარშალი.

— დონელი კაზაკი გახლავართ, თქვენო ბრწყინვალეობავ, ფედორ დენისოვი, სტანიცა პიატიზბინსკაიადან.

— მე დაგინახე, როგორ ებრძოდი თურქებს. ყოჩაღ! რამდენი ჩამოაგდე ხმლით?

— არ დამითვლია, თქვენო ბრწყინვალეობავ, ამის დრო სადმეტყუნდა!

— სამაგიეროდ მე დავებრუნდი! — გაცაცინა ფელდმარშალმა. — შენი გულადობისათვის ორდენზე წარგადგენ.

აქედან დაიწყო ამ უბირი, გაუნათლებელი კაზაკის გასაოცარი სამხედრო კარიერა. მალე შეუპოვრობისა და გულადობისათვის დენისოვი კაზაკთა პოლკის მეთაურად დანიშნეს. თავის პოლკთან ერთად მამაცმა მეთაურმა მრავალი ლაშქრობა გადაიხადა. მარტო ამ ომში ხუთიათასმდე ტყვე-თურქი იგდო ხელთ, მტერს წაართვა ასამდე საბრძოლო დროშა და ორმოცდაათი ზარბაზანი. თავისი სიმამაცით დენისოვმა სახელი გაითქვა არა მარტო თავისიანებში, არამედ თურქებს შორისაც. ისინი პატივისცემით წარმოთქვამდნენ მის სახელს და „დენის-ვაშას“ უწოდებდნენ.

1788 წლის ყირიმის კომპანიაში დენისოვი კაზაკთა ლაშქრის ატამანს იყო. მეთაურობდა კავალერიის კორპუსს, რომელიც კაზაკთა ხუთი პოლკისაგან შედგებოდა. მან თავისი ჯარებით ამ ომშიც ისახელა თავი და გენერლის წოდება მიიღო.

შედეგებთან ომში დენისოვმა ექვსი კაზაკითა და ერთი ქვეითთა პოლკით ფარხმალი დააყრევინა შვედეთის მეფე გუსტავ III-ს.

ყველანი განცვიფრებული იყვნენ დენისოვის ბრწყინვალე წარმატებებით. როდესაც გამარჯვებული ატამანი დედოფალ ეკატერინე II-ის წინაშე წარდგა, იგი შეეკითხა დენისოვს:

— როგორ გაბედე, გენერალო, ერთი მუჟა კაზაკებით თავს დასხმოდით შვედეთის მეფის დიდძალ ჯარს?

— გამბედაობა გამარჯვების გასაღებია, თქვენო უდიდებულესობავ, — მოკრძალებით მოახსენა დენისოვმა.

ფედორ პეტროვიჩი უსაზღვროდ უყვარდა ალექსანდრე ვასილევიჩ სუვოროვს, დენისოვთან შეხვედრისას მამაც მეომარს მკერდში ჩაიკრავდა და იტყოდა:

— აი, ეს დენოლი რუსია!.. ილია მურომეცია!... პატივი და დიდება მას!..

გულადობის, მამაცობისა და ჭარბის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის ეკატერინე II-მ დენისოვს კაზაკთა შორის პირველთაგანს მიანიჭა გრაფის ტიტული.

იმპერატორ პავლე პირველთან ფედორ პეტროვიჩ დენისოვი კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკს მეთაურობდა. მასთან მსახურობდა ევგრაფ გრუზინოვიც. მოხუცს უყვარდა იგი და ყოველთვის კეთილად და მამაშვილურად ეპყრობოდა.

ერთხელ პავლე I-მა ევგრაფის თანდასწრებით გამოიძახა გენერალი დენისოვი. მეფემ იცოდა, რომ იგი მცირემცოდნე იყო და უჭირდა სტრატეგიული შინაარსის წიგნების კითხვა. ხელშედეგმ წინ დაუდო შვეიცარიაში ფრანგების წინააღმდეგ მებრძოლი არმიის ნაწილების განლაგების რუკა.

— როგორ ფიქრობ, დაამარცხებენ ჩვენები ფრანგებს? — მეფემ ცბიერად შეავლო თვალი დენისოვს.

დენისოვმა ცალი თვალით გადახედა რუკას და დაბეჭთებით განაცხადა:

— თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენი არმიის განლაგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აუცილებლად დაგვამარცხებენ ფრანგები.

პავლემ ეს თავხედობად მიიღო.

— შენ არაფერი გავეგება, — გაბრაზებით დაუყვირა მან. — მომცილდი!

მეფე ისე გაურისხდა ამის გამო, რომ აუკრძალა სასახლეში გამოჩენა.

დენისოვი მართალი გამოდგა: რუსებმა შვეიცარიაში დამარცხება განიცადეს. ამის შესახებ მეფის გარდა არავინ არაფერი იცოდა. მეფეს ვახსენდა დენისოვის წინასწარმეტყველება, იგი განაცვიფრა მისმა გამჭრიახობამ. ევგრაფს უბრძანა, სასახლეში მიეწვიათ იგი. როდესაც დენისოვი იმპერატორს წარუდგა, პავლე შეეკითხა:

— შენ წინანდებურად ფიქრობ, რომ

ჩვენი არმია შვეიცარიაში დამარცხდება?

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა დენისოვმა. — თუ შვეიცარიაში ჩვენი ჭარბების სარდალი კორსაკოვი საბრძოლო პოზიციებს არ შეიცვლის, უთუოდ დამარცხდება ფრანგებთან.

პავლემ ხელი გაუწოდა დენისოვს ჩამოსართმევად და ევგრაფის მიუბრუნდა.

— იგი დიდი გენერალია... მე, ეს ეს არის, მივლევ ცნობა, რომ ჩვენი არმია ციურითან დამარცხდა.

შემდეგ მოხუცი გენერალი, მისივე თხოვნით, საცხოვრებლად დონზე გაგზავნა, ხოლო მის ნაცვლად, გვარდიის კაზაკთა პოლკის მეთაურად მისივე შვილიშვილი, ვოისკოვოი ატამანის ვასილი პეტროვიჩ ორლოვის ვაჟიშვილი დანიშნა, ახალგაზრდა ბრწყინვალე გენერალი — ვასილ ვასილევინ ორლოვი¹.

ჩასხმული, ჯმუხი, მკვირცხლი, მაგრამ ოდნავ სიმსუქნემორეული, მოჩოფურო სახის ატამანი თავის ასაკთან შეწარებით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

სალამოს ატამანმა ჩაი მიირთვა, მერმე კაბინეტში შებრძანდა და თავის საყვარელ ტყავგადაკრულ საფარძელში მოიკალათა. აიღო ფანჯრის რაფიდან გაზეთი „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ და თვალთერება დაუწყო. თუმცა გაზეთი ორი კვირის წინანდელი გახლდათ, მაგრამ მასში ბევრ რამეს ნახავდა საინტერესოს კაცი.

ღია ფანჯრიდან გაზაფხულის ნელი სიო ჰქროდა. ქუჩიდან ტაძრის ახლოს, მოედანზე, თავშეყრილი ჭაბუკებისა და ქალიშვილების სიმღერა, სიცილი და

¹ შემდგომში, პავლე I-ის სიცილის შემდეგ, მოხუცმა ვეტერანმა ფ. პ. დენისოვმა მეფე ალექსანდრე I-ის შემწეობით შესწლო თავისი გრაფის ტიტული ეანდერძებინა შვილიშვილისათვის ვასილი ვასილევინ ორლოვისათვის. ეს უკანასკნელი შემდეგში იწოდებოდა გრაფ ორლოვ-დენისოვად.

წხიარული შეძახილები მოისმოდა. მზე აუჩქარებლად ეშვებოდა სადღაც აქსაის მთების მიღმა. ვასილი პეტროვიჩმა გადაათვალიერა ქრონიკა, სადაც აღნიშნული იყო დაწინაურებული გენერლებისა და ოფიცერების სია. მათ შორის ატამანის ბევრი ნაცნობი აღმოჩნდა.

ვახეთში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საფრანგეთის ამომავალ ვარსკვლავს — გენერალ ბონაპარტეს, რომელმაც თავისი ბრწყინვალეობით სრულიად დაჩრდილა რესპუბლიკის სხვა მნათობები.

ატამანმა ვახეთი განზე ისროლა, ტკბილად დაამთქნარა და გაიზმორა. კარი ოდნავ გაიღო და გამოჩნდა მსახურის მწითური თავი.

— თქვენო მაღალღმადებულებავ, — მოახსენა მან, — თქვენთან პოლპოლკოვნიკი შემშვეია... ამბობს, მნიშვნელოვანი საქმე მაქვსო.

— მუნდირი მომწოდე, ლუკაშვა, — უთხრა ატამანმა.

ახალგაზრდა მსახურმა კაზაკმა ვასილი პეტროვიჩს საშინაო ხალათი ჩამოართვა და მის ნაცვლად მხრებზე გენერლის ოქრომკედლით ნაქარგი მუნდირი მოახსა.

— დაუძახე შამშვეს, — უთხრა მსახურს ატამანმა.

— მესმის.

კაბინეტში, მორიდებული ნაბიჯით შემოვიდა შამშვეი.

— რა ამბავია, პოლპოლკოვნიკო? — ზვიადად შეეკითხა ატამანი, — დააბრუნეთ გრუზინოვ-მეორე?

— დიახ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — დეზი დეზს შემოჰკრა შამშვემა. — ნაეი გადაუბრუნდა და კინაღამ დაიხრჩო... ცოცხალ-მკვდარი ამოათრიეს წყლიდან...

— რაო, რას ამბობს?

— არაფერს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, უგონოდ წევს.

— სად?

— ვოისკოვოი კანცელარიაში. — რა

ვუყოთ ახლა იმას, თქვენო მაღალღმადებულებავ? — შეეკითხა შამშვეი.

— უნდა დაეკითხოთ დასწმენქვინათ, სად აპირებდა წასვლას.

— სასიეროდ მივდიოდით, გულის გადასაყოლებლადო, ამის შეტს არაფერს ამბობს.

— მისმა ძმამ რაღა თქვა? გაგზავნე მასთან ვინმე?

— როგორ არა, თქვენო მაღალღმადებულებავ, ატამანელი პასტუხოვი გაგზავნე. ის კი გრუზინოვებისაგან თავზარდაცემული, ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა.

— რაო? — ვაოცებით იკითხა ატამანმა.

— აი, წაიკითხეთ, თქვენო მაღალღმადებულებავ, იმ კაზაკი პასტუხოვის დასმენა, — შამშვემა ქაღალდი გაუწოდა ატამანს.

ვოისკოვოი ატამანმა წაიკითხა და სიბრაზისაგან წამოჰპარხლდა.

— აი, ის არამზადა!.. ატამანი აღელვებული დარბოდა კაბინეტში, თუ იმას ფიქრობს, მეფის ამაღაში ვარ ნამყოფი და ყველაფრის უფლება მაქვსო... ძალიან შემცდარა არა, ძვირფასო, არა!.. კისერს მოგიგრებს... დააპატიმრეთ! გესმის, შამშვე, დააპატიმრე გრუზინოვ-პირველი ახლავე...

— თქვენო მაღალღმადებულებავ, — უთხრა შამშვემა, — კაზაკი პასტუხოვი ამბობს, პოლკოვნიკი გრუზინოვ-პირველი თავის ჭკუაზე არ არისო...

— მიმიფურთხებია მე იმის ჭკუისათვის, — დაიყვირა ატამანმა. — მთავარი ისაა, რომ ჩვენი იმპერატორი და პირადად მე, ვოისკოვოი ატამანი, აუგად ვუხსენებიათ. დაუყოვნებლივ დააპატიმრეთ და გაჩხრიკეთ.

— მესმის, თქვენო მაღალღმადებულებავ, — კვლავ ქუსლი ქუსლს შემოჰკრა შამშვემა. — რა ვუყოთ გრუზინოვ-მეორეს, რას ვვიბრძანებთ?

— ძაიკ ჩასვით!.. ჩასვით ახლავე!.. ისიც ისეთივე მეთამბოხეა... ოღონდ ცალ-ცალკე ჩასვით...

შამშვეის წასვლის შემდეგ ორლოვი საშინელუბამ მოიცვა. მას ახლდა ვაახ-სენდა, რომ გუშინ თვით ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით პეტერბურ-გიდან ჩერკასკში ჩამოვიდა გენერალ-ადიუტანტი კოეინი, რაღაც ფრიად მნი-შვნელოვანი საქმის გამო. ორლოვმა ვერც კი მოასწრო მასთან წესიერად მოლაპარაკება, რომ კოეინმა ვაკვრით იკითხა ევგრაფ გრუზინოვი. ვაითუ გე-ნერალ კოეინს არ მოეწონოს გენერალ ორლოვის მოქმედება, მაშინ რაღა ეშ-ველებო?

„ეჰ, ეშმაკმა მიქცია მხარი, რომ ასე მკაცრად მოვექეცი გრუზინოვებს, — ფიქრობდა ატამანი და კაბინეტში ბოლ-თასა სცემდა, — ვაითუ არ მოეწონოს ეს ამბავი გენერალ კოეინს და თვით იმპერატორს? ა? რა ეშმაკი დამემარ-თა?... იქნებ დაეპარუნო შამშვეი, ვუთხ-რა, რომ ცუდი არაფერი შეამთხვიოს გრუზინოვს? ანდა იქნებ სჯობდეს, თეი-თონ წავიდე კოეინთან და წინასწარ მო-ველაპარაკო ყველაფერზე, ა?... წავალ გენერალთან, მოველაპარაკები, მაგრამ იქნებ უკვე სძინავს? ნამგზავრი დალ-ლილი იქნება...“

მაგრამ ვოისკოვი ატამანი მაინც წა-ვიდა კოეინთან, რომელიც ჩერკასკში საგანგებოდ ჩამოსულ დიდებულთა და საბინავებელ სახლში იმყოფებოდა, ტა-ძრის ახლოს, ორლოვის მეზობლად.

კოეინს არ ეძინა, იგი ციმლიანსკის შუშუნა ღვინოს მისჯდომოდა გენერალ რეპინთან ერთად, რომელიც ერთი კვი-რის წინათ ჩამოვიდა სენატის საქმე-ებზე.

— ა-ა, გენერალი ორლოვი ხართ? — შეზარხოშებული კაცის მხიარული ტო-ნით შეეგება კოეინი. იგი წამოდგა სკა-მიდან და მკლავებგაშლილი გაეშურა მისკენ. მოდი, ვადაკოცნოთ ერთმანე-თი, ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად, — უპასუხა ორლოვ-მა და ტუჩები შეაგება. ვადაკოცნეს ერთმანეთი. ატამანს გულზე მოეშვა,

„ღმერთმა ქნას, ყველაფერმა მშვიდო-ბიანად ჩაიაროს“, — გაიფიქრა მან...

— დაბრძანდით, ვასილ პეტროვიჩი, — კოეინმა ორლოვს სკამი მიაწოდა — და-ვლიოთ... რა საოცარი ღვინო გაქვთ დონზე, ეს ციმლიანსკის შუშუნა — კოეინმა ხელში შეათამაშა ბოთლი და სანთლის შუქზე გახედა. შეხედე, ლა-ლისფრად ღვივის, თანაც სისხლის ფე-რი დაჰკრავს. ვყოფილვარ შამპანში. შამპანურის სამშობლოში, მისვამს იჭა-ური ღვინო... და განა ფრანგული შამ-პანური შეედრება ციმლიანსკისას?... არა!.. არავეითარ შემთხვევაში! დავლი-ოთ, გენერალო რეპინ, მომაწოდეთ თქვენი სამოსი, და შეგეცებთ მაცოცხ-ლებელი ელექტრით.

— არა, არ შემიძლია, ნიკოლოზ კარ-პოვიჩი, — უთხრა მოხუცმა გენერალ-მა, — გმადლობ... გული რაღაც ვერა მაქვს კარგად. ნება მიბოძეთ, თქვენო მაღალადმატებულებავ, დაგტოვოთ.

— მე არ შემიძლია, ვერ დაგაძა-ლებთ, მაქსიმ სერგეევიჩი, — ქაქანებდა ზარხოშმოკიდებული კოეინი, — კეთი-ლი, წაბრძანდით და მოისვენეთ. თქვენ ხომ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, ვასილი პეტროვიჩი? — ღვთის გულისა-თვის, ხელები მაღლა ადამყრო კოეინმა, მოისვენეთ, თქვენო მაღალადმატებუ-ლებავ, მოისვენეთ...

რეპინი გამოეხიზოვა მათ და წავიდა. ორლოვს გაუხარდა კიდევ. ახლა შეეძ-ლო კოეინს ყველაფერზე თავისუფლად მოლაპარაკებოდა. მათ კვლავ განაგრ-ძეს ასა.

— გუშინ, თქვენო მაღალადმატებუ-ლებავ, — შორიდან დაიწყო ორლოვმა, ვაკვრით მკითხეთ, როგორ ცხოვრობს სამსახურიდან გარიცხული გრუზინოვ-პირველიო. მე ვიპასუხებთ, ცოცხალია-მეთქი, სხვა არაფერი გითქვამთ... აი, ახ-ლა მინდა ვიამბოთ, რა დაემართა მისა და მის ძმას... ღმერთო ჩემო, პირდაპირ თავზარდაცემული ვარ.

— თქვი, რა მოხდა. ორლოვმა ყველაფერი დაწერილებით

უამბო კოეინს, რაც გადახდათ ძმებს გრუზინოვებს.

— აი, იმ კაზაკ პასტუხოვის დასმენაც, — ორლოვმა გაუწოდა კოეინს ქალაქის ფურცელი. კოეინმა აჩქარებით მიიტანა სანთელთან ქალაქი და წაიკითხა.

— აი, ყოჩაღ!.. ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა მან მხიარულად. — ეს რა ოინები ჩაუდენიათ!.. ძალიან კარგად გამოვიდა!.. ძალიან!..

კოეინი მთლად გამოცოცხლდა, გვეგონებოდათ, ღვინო არც კი დაუღუვიაო, თვალები სიამოვნებისაგან გაუბრწყინდა.

— რა უქენით მერმე იმ არამზადებს? — შეეკითხა იგი.

— გრუზინოვებს? — კითხვითვე მიუგო ორლოვმა.

— ჰო.

— გავეცი ბრძანება, დაეპატიმრებინათ და ციხეში ჩაესვათ.

— სწორედ მოქცეულხართ, ბატონო ვოისკოვი ატამანო, შეაგულიანა კოეინმა. — სწორია თქვენი მოქმედება. მოდი, ამის გამო ერთხელ კიდევ დაელოთ.

...კოეინისაგან დაბრუნებული შეზარხოშებული, გამხიარულებული ატამანი ორლოვი მიუჭდა საწერ მავიდას და დაწერა:

„სამხედრო სასამართლო კომისიას. ამასთან ერთად გიგზავნით კაზაკ პასტუხოვის დასმენას გრუზინოვზე, რომელიც აყვანილ იქნა პატიმრობაში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წმინდათაწმინდა პიროვნების უშვერი და უწმაწური სიტყვებით მოხსენიებისათვის. ვაძლევ კომისიას რეკომენდაციას, რათა ამ მეტად სერიოზული ხასიათის დასმენასთან დაკავშირებით რაც შეიძლება მალე გადასცენ სასამართლოს გრუზინოვი, გამოიტანონ მის საქმეზე დასკვნა მკაცრი კანონების გათვალისწინებით და აღნიშნული დასკვნა საქმესთან ერთად გადმოგიგზავნონ მე, რათა ვადაეგზავნოს მის იმპერატორობით

უდიდებულესობას. გრუზინოვის დაკითხვას დავცსწრები თვითონვე მე, მესი კომპერატორობითი უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტი კოეინი და ვოისკოვოი კანცელარიის საბჭოში მივლინებული კავალერიის გენერალი რუბინი, რომლის თავმჯდომარეობითაც გაირჩევა საქმე“.

XVI

სამხედრო სასამართლოს კომისია შედგებოდა თავმჯდომარისაგან, გენერალ-მაიორ როდიონოვ-პირველისაგან, ასესორებისაგან: ვოისკოვი სტარშინების — ჩელიცევ-პირველისა და შჩედროვ-მეორისაგან; პოლკოვნიკებისაგან: ლეონოვისა და ილოვასკი-მეშვიდესაგან; პოდპოლკოვნიკებისაგან: სლიუსარევ-პირველისა და აგეევ-პირველისაგან, აგრეთვე აუდიტორის: ვოისკოვოი ვსაელის იუდინ-მესამისაგან.

როგორც კი მიიღო ვოისკოვი ატამანის ორლოვის მოწერილობა, რომელსაც დართული ჰქონდა ატამანულ პასტუხოვის დასმენის ქალაქი, კომისიამ გადადო ყველა საქმე და უჩვეულო სისწრაფით შეუდგა ევგრაფ გრუზინოვის საქმის გარჩევას.

განჩრეკის შედეგად ევგრაფის ოთახში აღმოჩენილ ქალაქდებსა და წიგნებს შორის კომისიამ ყურადღება გაამახვილა რაღაც გაურკვეველი შინაარსის წერილზე.

ერთ მათგანში ევგრაფის ხელით ეწერა:

„განაძლიეროს და განამრავლოს ბედნიერება მისი, რომელიცა იწოდების ატამანად, შეკრიბოს სულ მცირე — ორასი ათასი მონასპა საბრძოლად მათდა, რომელნიცა არა ჩაებან ომში. განვედევნო სტამბულიდან თურქნი, ჯაშუშნი ყოველი ჯურისანი და შთამომავლობისანი და შემდგომად ჩემისა არა რაჲ მიიღონ მათ სენატისაგან. დაეამკვიდრო იქ ქალაქი თვისი, დაეაფუძნო სენატი სიკეთითა ყოვლითა და ძლიერებითა, ყოველთათვის მზის ქვეშეთში, კუნ-

ძულზე მცხოვრებთათვის, რომელთაც უღიღესი მსხვერპლი გაიღეს. შემდგომად სენატმან შეადგინოს კანონი მზისქვეშეთში დასახლებულ ყოველთა ხალხთათვის ისე, რომ იყოს მისაღები და შესათვისი თვითუღისათვის, რათა ყოველთა იცოდნენ და დაიწყებინათ ზეპირად და მოქმედებდნენ მისდა მიხედვით. ბრძნულად დაიწეროს კანონი, რომელიცა იქნებოს კეთილ მზის ქვეშე ყოველთა მცხოვრებთათვის, რათა არცა ამგებამდ, არცა შემდგომად დაუტყვეონ იგი დედამიწასა ზედა და იღიდოს უკუნითი უკუნისამდე“.

მეორე წერილს შინაარსი ასეთი იყო:

„დაემკვიდროს ქალაქსა შინა ხალხნი სხვადასხვა სჯულისანი: კახეცი, ქართველი, თათარი, ბერძენი, ყალმუხნი, მცირედ-მცირენი იზრაელნი, მცირედ-მცირენი ჩერქეზნი, მცირედ-მცირენი თურქნი, რომელთა შორის არ იქნეს მტრობა სჯულისა გამო, არამედ ერთსულოვანი თანხმობა ყოველთა შორის. შთაენერგოს კახეცთა, ქართველთა, თათართა, ბერძენთა, ჩერქეზთა ჯარს რომ აღმირჩიონ უფროსად“.

კომისიამ ევგრაფ გრუზინოვს ბრალად დასდო, რომ მას ჰქონდა ვოლტერის „ორლენელი ქალწული“, რომელიც მას თავადმა იუსუპოვმა აჩუქა.

„იაკობინური წიგნია“, — დაჰაკვნა კომისიამ.

თითქოს ბედმაწერამ განსაზღვრა ორივე ძმის ხვედრი. ორთავემ ჯერ კიდევ თითქმის ბავშვებმა დაიწყეს სამხედრო სამსახური, ორივე გვარდიამი მოხვდა, მსახურობდნენ იმპერატორთან. თითქმის ერთდროულად დაიშახტურეს მეფის რისხვა და მეთვალყურეობის ქვეშ გადასახლეს ღონზე, მერმე ერთად წარსდგნენ სამხედრო კომისიის სამსჯავროს წინაშე.

თუ ევგრაფს ბრალი ედებოდა იმპერატორობითი უდიდებულესობის შეურაცხყოფაში, პეტრეს სამხედრო გუშაგის შეურაცხყოფა და წინასწარ ვანზ-

რახული ბოროტი საქციელი წაუყვეს ბრალდებად.

ეროვნული

ვოისკოვი ატამანი ორლენოვს მარტანგებით, პეტრე გრუზინოვი გადასცეს სამხედრო სასამართლოს კომისიას, რომელსაც გენერალ-მაიორი პოზდევე-პირველი თავმჯდომარეობდა.

მასზე საჩივარი შეიტანა ურიალნიკმა ალიშპეევმა, რომელიც იმ დღეს საგუშაგოზე იღვა და პირველმა დაინახა პეტრე ნაეში.

ვოისკოვი ატამანის სახელზე დაწერილ დასმენაში ალიშპეევმა განაცხადა: როცა პოდპოლკოვნიკ გრუზინოვ-მეორეს ვთხოვე, შეჩერებულყო, რადგან ეტყობოდა, უცნობი მიმართულებით აპირებდა წასვლას, იგი ზვიადად შემეკამათა: „ვინ დაგაყენა ამ ადგილზე გუშაგად, აბა, მაჩვენეთ ქალაღი, შენ რა აქ ფოკას ხომ არ ელოდებო?“ მერმე პეტრე გრუზინოვმა აღშფოთებით დაიწყო ყვირილი რომ მე არავისზე არავარ დამოკიდებული, არავის ვემორჩილები, თვით ვოისკოვი ატამანსაც დაუფლებს მაქვს ჩავიღინო ყველაფერი რაც მომესურებაო“.

ეს ყველაფერი პოდპოლკოვნიკ შამშევის მიერ იყო შეთხზული და დაწერილი, ხოლო ვოისკოვი ატამანის სახელზე დასმენამ ზელს აწურდა ურიალნიკი ალიშპეევი.

ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი-სათვის ამკარა იყო, რომ ვოისკოვის უფროსობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც შეიძლება სწრაფად გაესწორებინათ ანგარიში ძმები გრუზინოვებისათვის. როგორც ჩანდა, ისინი ზელს უშლადნენ მათ.

ძმების დაპატიმრების მეორე დღეს სამხედრო სასამართლოს კომისიამ გენერალ-მაიორ როდიონოვის თავმჯდომარეობით ასეთი დადგენილება გამოიტანა:

„სამსახურიდან გარიცხული პოლკოვნიკი გრუზინოვ-პირველი გამოძახებულ იქნას სასამართლოს წინაშე მის მიერ ჩადენილი კანდიერებისათვის. დაი-

კითხოს მკაცრად ვათვალისწინებელი დასაკითხი პუნქტების მიხედვით, აღინუსხოს ამ საქმეზე საჭირო გარემოებანი, მოხდენილ იქნას ექსტრაქტი კანონის შესაბამისად, შემდეგ კი შეჯამდეს სენტენცია იმ კანონების საფუძველზე, საქმე ექსტრაქტითა და სენტენციით, რაპორტით წარედგინოს კავალერიის გენერალს, ვოისკოვი ატამანს კავალერ ორლოვს“.

XVII

შანდლებში ჩასმული სანთლებით გაანათებულ ვოისკოვოი კანცელარიის ვრცელ დარბაზში მწვანე მალღადაფარებულ მაგიდას სრული შემადგენლობით შემოსხდომოდა სამხედრო სასამართლოს კომისია.

საპარადო მუნდირებში გამოწყობილ კომისიის წევრებს მკერდზე ორდენები და მედლები უბრწყინავდათ.

კომისიის თავმჯდომარის უკან, კედელზე, ოქროთი მოვარაყებული, მძიმე ჩარჩოში პავლე I-ის პორტრეტი ეკიდა.

კომისიის წევრებისაგან ოდნავ მოშორებით, განზე, მკაცრი, ცივი გამომეტყველებით ისხდნენ ვოისკოვოი ატამანი ორლოვი, აგრეთვე გენერლები — კოჟინი და რეპინი. მათაც საპარადო მუნდირები ეცვათ და მედლები ეკიდათ.

— შემოიყვანეთ ტუსადი გრუზინოვპირველი, — გაისმა კომისიის თავმჯდომარის გენერალ როდიონოვის მოგუდული ხმა. როდიონოვი მთლად გამელოტებული, მიხრწილი მოხუცი იყო.

კარი გაიღო. დარბაზში ცისფერხიფთანიანი ორი ზორბა ტანის ატამანელი შემოვიდა. მათ ხელში შიშველი ხმლები ეჭირათ და შუაში ევგრაფი ჩაეყენებინათ.

ევგრაფი ძალზე გამხდარიყო, ტანსაცმელი მთლად ვაჟუჭყინებოდა, თანაც დიდი ხნის ვაუპარსავი იყო. მიუხედავად ამისა იგი ღირსებით, ამაყად, თავაწეული მოდიოდა. ფოსოებში

ღრმად ჩაცვივნილი თვალები რისხვით უელავდა.

მაგიდის ახლოს, რომელსაც კომისია შემოსხდომოდა, ევგრაფი მცველებითურთ შეჩერდა.

შუაში მჯდარმა გენერალმა როდიონოვმა სათვალე გაიკეთა, კითხვარში ჩაიხედა და...

— ჰმ!.. რამდენი წლისა ხართ? ა-ა? ყურზე ხელი მიიფარა და ამღვრეული თვალებით შეაქებრა ევგრაფს.

— ოცდაათოთხმეტისა, — მკაფიოდ უპასუხა ევგრაფმა.

— გიმსახურიათ თუ არა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურში? — კვლავ შეეკითხა მოხუცი.

— რაო?! ვითომ არ იცით? — დაცინვით შეეკითხა ევგრაფი.

— უპასუხეთ კითხვაზე, — გულმოსული, ხრინწიანი ხმით უყვირა მოხუცმა, — თორემ ცუდად წაგივა საქმე.

— ოჰო! — ჩაიციხა ევგრაფმა — უკვე მემუქრებით? კეთილი, გიპასუხებთ. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურში ვიმყოფებოდი 1779 წლიდან. ვარ ვოისკოვოი სტარშინის იოსიფ რამანოვიჩ გრუზინოვის ვაჟიშვილი, დაეიბადე კახკის წოდებით. მივიღე შემდეგი აღმატებანი: ოთხმოცდაექვს წელს გავხდი პოლკის მწერალი, შვიდას ოთხმოცდა რვაში — ასისტავი, შვიდას ოთხმოცდა ცამეტში — იასაული, შვიდას ოთხმოცდა თხუთმეტში — ვოისკოვი სტარშინა, ოთხმოცდა თექვსმეტში — პოლკოვნიკი. სამსახურისათვის ხელმწიფე იმპერატორმა მიბოძა წმინდა ანას მეორე და მესამე ხარისხის ორდენები. კიდევ რისი შეკიფხვა გსურთ?

— გაქვთ თუ არა მამულები? მემკვიდრეობითი ან ხელმწიფე-იმპერატორის მიერ ბოძებული?

— საკუთარი მამული მე არასოდეს მქონია. ხელმწიფე-იმპერატორმა კი ყოვლადმოწყალედ ინება, ებოძებინა ჩემთვის ათასი სული ყმა-გლეხი, მოსკოვისა და ტამბოვის გუბერნიებში.

— მამულის შემოსავლით თუ სარგებლობდით?

— არა, არ შემიძლია სხვისი შრომით ცხოვრება... მართალია, ერთხელ გლეხებმა ჩამომიტანეს დედაქალაქში ორი-ათასი მანეთი და ძალისძალად დამიტოვეს. შემდეგში სასოწარკვეთილებისაგან ადგილს ვეღარ ვპოულობდი, რომ ფული გამოეკრათვი მათ.

გენერლებმა ერთმანეთს გადახედეს, მხრები აიჩიჩეს, ეს ვინ ყოფილა ასეთი სულელი, ფული როგორ არ უნდა აეღო. მათი შეგნებისათვის ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო.

— დადიოდი თუ არა ეკლესიაში, გრუზინოვ, წმინდა ზიარება თუ მიიღეთ?

— ჰკითხა ისევ როდიონოვმა.

— აღრე ეკლესიაში დადიოდი, ზიარებასაც ვლებულობდი, აღსარებასაც ვეუბნებოდი მღვდელს, — უპასუხა მხიარულად ევგრაფმა. — ახლა კი აღიკვეთე ეს საქმე. ექვსი წელიწადია ეკლესიაში აღარ ვყოფილვარ.

— რატომ? — გაოცებულმა კომისიის თავმჯდომარემ თვალეზი დააქყიტა.

— იმიტომ, თქვენო მაღალღმადმობულებავ, რომ დღერთი აღარა მწამს.

კომისიის ყველა წევრმა ერთმანეთს გადახედა, ხოლო გენერალ როდიონოვს სახეზე შიში გამოეხატა. — იესო ქრისტე დიდებულო, — წაილულულა მან, — შენ შემიწყალე.

მერმე როდიონოვმა რატომღაც შემკითხველი მზერა მიაპყრო ვოისკოვი ატამანს და პატიმარს შემპარავად ჰკითხა:

— მის იმპერატორობით უდიდებულესობას ხომ შეპფიცეთ ერთგულება? ცნობილია თუ არა თქვენთვის უზუხაესი კანონები და ამ კანონთა მთელი სიმკაცრე იმ დამნაშავეების მიმართ, რომლებიც ივიწყებენ ზეციურ და მოქალაქეობრივ მოვალეობას და ბედავენ, წამოროშონ ღვთით მირონცხებული მეფისადმი, თვითმპყრობელი მონარქისადმი უშვერი სიტყვები?

ევგრაფი წუთით ჩაფიქრდა და მიუგო:

— რასაკვირველია, იმპერატორს ერთგულება შევფიცე... შევფიცე. ვემსახურებოდი კიდევაც ერთგულად. მხოლოდ არ ვიცი კი, რით გავანაწყენებელმწიფე...

— ერთი მითხარი, ექიდნურად შეეკითხა ისევ როდიონოვი, — როდესაც თქვენთან ატამანელი კაზაკი პასტუხოვი მოვიდა ვოისკოვი ატამანის ბრძანებით და გკითხათ, სად გაემგზავრა თქვენი ძმაო, რა უპასუხეთ?

— ვუთხარი, რომ ეს შენი საქმე არ არის-მეთქი.

— მერმე რაღა უთხარი?

— მერმე? — რაღაც არ მახსოვს, — ჩაფიქრდა ევგრაფი.

— აბა, იქნებ გაიხსენოთ?

— ნეტავ რა ვუთხარი, პა? — ჩურჩულებდა ევგრაფი და გონებას ძალას ატანდა. — მე... იმას... ჰო-ო, — მხიარულად წარმოთქვა მან, და ღიმილისაგან სახე გაუბრწყინდა, — მგონი ჭაკის კულტეშ გავაგზავნე... გადამეკიდა, საშველი აღარ მომცა... ვეღარ მოვითმინე.

— ჰმ... — ჩაიღმუვლა კომისიის თავმჯდომარემ. — ვოისკოვი ატამან როდოვზე რაღა თქვით, ა?

— მგონი, პასტუხოვისა და მის კომპანიასთან ერთად ისიც იქ შეეპარძანე, — გაიცინა ევგრაფმა.

ვასილი პეტროვიჩი სკამზე შესწორდა, სახე სიბრაზისაგან წამოუჭარხლდა, მაგრამ თავი შეიკავა და დადუმება არჩია.

— ხომ არაფერი გითქვამთ რაიმე უწმაწური მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წმიდათაწმიდა პიროვნების წინააღმდეგ? — წყნარი, შემპარავი ხმით განაგრძობდა დაკითხვას გენერალი როდიონოვი.

— უწმაწური, მგონი, არაფერი მითქვამს, — თითქოს თავის თავს ელაპარაკებო. — იქნებ ღედა შევაგინე, არ მახსოვს.

— არა, გაიხსენეთ.

— რაღა გავიხსენო, თქვენო მაღალ-

აღმატებულება? თუ კი სურვილი გაქვთ, ადექით და დაწერეთ, რომ გრუზინოვმა, აღელვებისას გალანძლა ხელმწიფე უშვერი სიტყვებით.

— ჩასწერეთ, — უთხრა როდიონოვმა აუდიტორს, იასაულ იუდინს, — ჩასწერეთ ასე: „უშვერი სიტყვებით გალანძლა არა მარტო ვოისკოვოი ატამანი ორლოვი, არამედ ხელმწიფე-იმპერატორის მიერ მივლინებული კავალერიის გენერალი რეპინი და გენერალ-ადიუტანტი კოვინი. უშვერი სიტყვებით გალანძლა თვით ხელმწიფე-იმპერატორი. სწორად ვთქვი? — შეეკითხა როდიონოვი ევგრაფს.

— მიდი, — გულგრილად ჩაიქნია ხელი ევგრაფმა, რომლისთვისაც სულერთი იყო, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. იგი ყოველივე ამას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა. მას საშინლად დაუწყო ტეხა თავმა, ტკივილი სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. — დაწერეთ, რაც გინებოთ... რა განსხვავებაა, ვიტყვი თუ არ ვიტყვი, სულ ერთია, თქვენ თქვენსას დაწერეთ... როგორ ვნანობ, რომ ვალის გადახდა ვერ მოეპყარა, — თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა ევგრაფმა.

— რას ამბობდით, გრუზინოვ? — შეეკითხა როდიონოვი.

ევგრაფმა თვალები უაზროდ მოავლო ღარბაზს და ჩაფიქრდა.

— გრუზინოვ-პირველი, თქვენ გელაპარაკებით, — დაუყვირა როდიონოვმა, — გესმით, თქვენ მოგმართავთ, გრუზინოვ!

— ა? — გაეხშიანა ევგრაფი, თითქოს ფიქრებიდან გამოერკვაო, — რა მითხარით, თქვენო მაღალაღმატებულება?

— რომელ ვალზე ლაპარაკობდით?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცით, ამ წუთში ახსენეთ რაღაც ვალები.

— აა, ამას ჩემს ვალებზე ვამბობდი. კასმინინისა და პოპოვისა რომ მმართებს.

— სადაურები არიან ის კაზაკები?

— ლუგანსკელები არიან, — უპასუხა ევგრაფმა. — მათ თავიანთი კუთვნილი ფული მთხოვეს და ვერ მიიღეს. —

— მიაბიტად მოაქვს თავი, — კუსტად წაიბუზღუნა ვოისკოვოი ატამანმა. — სიმართლეს ბრძანებთ, — თავი დაუქნია კოვინმა.

ამ რეპლიკამ ისე იმოქმედა მოხუცზე, როგორც ქეციან ცხენზე. ზეწამოიპრა, თავი ასწია და დაიყვირა:

— რაო? იქნებ იმ კაზაკების — პოპოვისა და კასმინინის თანდასწრებით ლანძღვდით მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უავგუსტოეს, უბრწყინვალეს წმიდათაწმიდა პიროვნებას, ყოვლად მოწყალე ჩვენს მონარქსა და თვითმპყრობელს, პავლე პეტროვიჩს? ევგრაფი დაფიქრდა.

— აბა, ილაპარაკეთ, გრუზინოვ.

— მე იმაზე ვფიქრობ, ვინ ვის ლანძღავდა: მე ხელმწიფეს, თუ იგი მე? როგორ ვონიათ, თქვენო მაღალაღმატებულება?

— ჩაწერეთ, იასაულ, — უთხრა როდიონოვმა აუდიტორს, — ჩემთან ლუგანსკელი კაზაკების პოპოვისა და კასმინინის ყოფნის დროს უშვერი სიტყვებით გავლანძღე ხელმწიფე-იმპერატორი.

მერმე ევგრაფს ჰკითხეს, თუ რა ეწერა მის წერილებში. მან გაიციინა და უპასუხა:

— თქვენო მაღალაღმატებულება, ალბათ, მხედველობაში გაქვთ ჩემი ჩანაწერები რესპუბლიკაზე?

— დიახ, — თავი დაუქნია როდიონოვმა.

— მე დიდხანს ვიყავი უსაქმოდ, — უთხრა ევგრაფმა. — თავისუფალი დრო ბევრი მქონდა. პოდა, აზრად მომივიდა, დამეწერა მოთხრობა, როგორ ჩაიგდეს ხელთ კაზაკებმა სტამბული, როგორ ესზომდნენ ჩვენი წინაპრები თურქებს და როგორ დაამკვიდრებდნენ იქ მომავალში რესპუბლიკას.

— რატომ რესპუბლიკას? — დაიყვი-

რა ორლოვმა და ფეხზე წამოიჭრა, — რატომ მონარქიას არა?

— მე ჯერ საბოლოოდ არ მომიფიქრებია, თქვენო მაღალღმადებულებავ, — ირონიულად შენიშნა ევგრაფმა. — შესაძლოა, საბოლოო ანგარიშში მონარქია დაგვემკვიდრებინა.

— თქვენ კი მეფედ აგირჩევდნენ, არა? — დაცინით უთხრა როდიონოვმა.

— არა, — უარის ნიშნად თავი გააქნია ევგრაფმა. — მეფობა არა მსურს. მას ბევრად სჯობია პრეზიდენტობა.

— იაკობინელი! — გაბორტებით ჩაისისინა რეპინმა.

— მართალი ბრძანებაა, იაკობინელი, — კვერი დაუტყრა გენერალმა კოეინმაც.

— ეს რა წიგნია? — როდიონოვმა თავად იუსუპოვის მიერ ნაჩუქარი ვოლტერის „ორღეანელი ქალწული“ დაანახა ევგრაფს.

— მაჩვენეთ, ხელი გაუწოდა რეპინმა.

იასაულმა იუდინმა მას მოწიწებით გადასცა წიგნი. გენერალმა რეპინმა სათვალე გაიკეთა, სათაური ჩაიკითხა, გადაფურცლა წიგნი და მერმე როდიონოვს დაუბრუნა.

— ეს წიგნი ვოლტერისაა თანა და არაა, — აუხსნა მან. — მკრეხელური აქ არაფერია. დედოფალი ეკატერინე II ამ წიგნის ავტორის, ვოლტერის დიდი მეგობარი იყო.

— უმორჩილესად გმადლობთ, თქვენო მაღალღმადებულებავ. მაამებლურად დახარა მოტვლეპილი თავი როდიონოვმა. ერთი ეს გვითხარით, გრუზინოვ-პირველო, რა კადნიერი ზრახვები გაერთიანებდათ თქვენ და პლატოვს და რაზე შეთანხმდით?

— მე არ მქონია რისიმე განზრახვა მატვეი ივანოვიჩ პლატოვთან ერთად, მოურიდებლად მიახალა ევგრაფმა, — არც არაფერზე შევთანხმებულვართ. ისე კი დიდი ხანია მასთან მეგობრული დამოკიდებულება მაქვს. მატვეი ივანოვიჩი ღირსეული გენერალია. ნეტავ

ბევრი გეყავდეს ასეთი ვაჟაკები დონზე.

— იცით თუ არა, ზნეობაში ანიშნა ევგრაფზე როდიონოვს ორლოვმა, — რომ პლატოვმა იგი თავის თანამოაზრედ დაასახელა?

— არ ამბობთ მართალს, ბატონო ვოისკოვი ატამანო, — ხაზგასმული გულგრილობით უთხრა ევგრაფმა. — მე არა ვარ მისი თანამოაზრე რაიმე დანაშაულში. ამას ის არ იტყოდა. თქვენ არ გიყვართ იგი, რადგან ვშურთ მისი.

— მშურდეს პლატოვისა? — იყვირა გააფთრებულმა ატამანმა, — სახელმწიფო დამნაშაეისა?... რა სისულელეს არ იტყვიან. ჰო, თქვენო მაღალღმადებულებავ, — გასძახა როდიონოვს, — დამთაერეთ დაკითხვა. ყველაფერი აშკარაა.

— სცნობთ თუ არა თავს დამნაშაეედ? — აჩქარებით ჰკითხა როდიონოვმა ევგრაფს.

— რაში? — შეეკითხა ევგრაფი.

— ჩვენი მონარქიის წინააღმდეგ დანაშაულში.

— მე არაფერში არ ვარ დამნაშაეე, — მტკიცედ განაცხადა ევგრაფმა.

— იასაულო იუდინ! — უბრძანა კო-მისიის თავმჯდომარემ აუდიტორს, — მიაწოდეთ დაკითხვის ფურცლები ბრალდებულ გრუზინოვს ხელის მოსაწერად.

ახალგაზრდა ვოისკოვი იასაული მკვირცხლად წამოხტა სკამიდან, კალამი ჩააწო მელანში და ევგრაფს გაუწოდა.

— ხელი მოაწერეთ. აი, აქ.

— არაფერსაც არ მოვაწერ, ნუ ჩამაცივდებით. მე არაფერი დამიშავევია.

— რატომ არ გინდა, მოაწერო ხელი? — გაშმაგებით უყვირა ორლოვმა.

— მოაწერე ხელი, თორემ ინანებ.

— ნუ იმუქრებით! — ცივად უთხრა ევგრაფმა. — მე თქვენი არ მეშინია.

— წაიყვანეთ საკანში! — უბრძანა კახაკებს ატამანმა.

ევგრაფი მობრუნდა და კარისკენ გა-

ემართა. მას მღუმარედ ვაჟყვენ ხმაღ-
ამოღებული კაზაკები.

XVIII

პეტრე სულ უფრო ძლიერად უს-
ვამდა ნიჩაბს, ჩქარობდა, უნდოდა რაც
შეიძლება სწრაფად გადაეღებოდა სივრ-
ცე, რომელიც აქსაის მთებისაგან ამო-
რებდა.

ვარშემო მინდვრები და სანაპირო
დაბლობი ადგილები თითქმის მთლიან-
ნად დაეფარა ადიდებულ წყალს. წინ
ნამდვილი ზღვა გადაჭიმულიყო. კუნ-
ძულებივით მოჩანდა ტირიფის მსგავსი
ხის კენწეროები და ტკბილსურნელოვან-
ნი წითელბუჩქას კვირტები. პეტრე
მთელი ძალ-ღონით, შეუჩერებლად უს-
ვამდა ნიჩაბს, თანაც უკან-უკან იხე-
დებოდა. უნდოდა, მდევრის გამოჩენამ-
დე მიედგინა ნაპირამდე, მისულიყო თა-
ვის ეზოში, შეება ტარანტისი, გაეჭრო-
ლებინა წმინდა დემეტრეს ციხე-სიმაგ-
რისაკენ და მერე ეძებათ ქარი მინდორ-
ში.

ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. ახალუ-
ხის ქვეშ პერანგი ისე დაუსველდა, რომ
გასაწური გაუხდა.

ნელ-ნელა მოიწვედნენ აქსაის მთები.
ჩერკასკელებს იქ ბევრსა ჰქონდა მეურ-
ნობა. აი, გრუზინოვების ქოხიც, სა-
დაც მათი დარაჯი ცხოვრობს და უვლის
ციხენებს. ახლა ფედოტკაც იქ არის და
მოთმინებით ელის მის ჩასვლას.

კარგი ბიჭია, — ფიქრობდა პეტრე.
— აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ მას-
ზე და ფეხზე დავაყენოთ... მის სიკეთეს
არასოდეს დავივიწყებ... აი, მოვეწყო-
ბით მე და დუნიაშა და შეიძლება ვუშ-
ველოთ კიდევ...“

მერმე მისი ფიქრები დუნიასა და
ბავშვს მისწვდა, რომელიც მალე უნდა
გაჩენილიყო.

„ღმერთო ჩემო! — პეტრემ ცრემ-
ლიანი თვალები მოკამკამე ცისკენ აღა-
პყრო, — უფალო, შენ მიშველე!.. ყო-
ველი ადამიანი ადამიანურად ცხოვ-
რობს, ყველასა აქვს თავისი ბედნიერე-
ბა და სიყვარული. მე და დუნიაშკა

კი როგორღაც უიღბლონი ვართ. ყვე-
ლაფერი უჩვეულოდ მოეწყო. ყველა-
ფერს ქურდულად ვაქვებ... რატომ
მოგვისაჯე ასეთი ტანჯვა? რა შეგცო-
დეთ ასეთი?..

ბევრი იფიქრა პეტრემ, თუ რა შე-
ცოდება მიუძღოდა ღვთის წინაშე, მაგ-
რამ ისეთი ვერაფერი გაიხსენა. რამდენ-
ნი ადამიანი მასზე ცოდვილი, მაგრამ
ისე ბედნიერად ცხოვრობენ, კაცს შე-
შურდებდა. პეტრეს ფიქრებმა წაართვა
თავი, ერთ ხანს ყველაფერი დაავიწყდა
და შეანელა ნიჩბის მოსმა, ნავი ძლივს-
ლა მიაპობდა წყალს. უცებ მოაგონდა
მდევარი, მოიხედა და თავზარი დაეცა.
ვოისკოვოი კანცელარიის ახლად გაფი-
სული სამხედრო კარავა სწრაფად მოა-
პობდა ადიდებულ წყალს. იგი უმალვე
იცნო პეტრემ მაღალი ცხვირით, რომ-
ლის ფლაგმენტოზე სახელმწიფო აღამი
ფრიალებდა. ნახევარი დუჟინი ნიჩაბი
მწყობრად ეშვებოდა წყალში და კარა-
ვა ისარივით მოჰქროდა წყლის ზედა-
პირზე.

— მდევარი!.. — აღმოხდა სასოწარ-
კვეთილ პეტრეს. მან მოიქნია ნიჩაბი და
მთელი ძალ-ღონით მოუსვა. ნავი, თით-
ქოს ცხენს მათრახი გადაუჭირესო,
ხტუნვა-ხტუნვით გაქანდა წინ.

მაგრამ რანაირად უნდა გაეწრო პე-
ტრეს თავისი პატარა ნავით ახალი,
სწრაფლმავალი კარავისთვის? მანძილი
მათ შორის ყოველ წუთს შესამჩნევად
მცირდებოდა. აი, თითქოს აქაფებული
ნაპირი მისკენ მოიწვევს საშველად. კი-
დევ ცოტაც და შეიძლება გადაჩენის
იმედი იქონიოს. მაგრამ უბედურებას
უბედურება დაერთო. ესლა აკლდა! მან
მოუხერხებლად მოუსვა, ნიჩაბი ნავის
ქვეშ მოჰყვა და გადატყდა. ხელში ნიჩ-
ბის ნამტვრევილა შერჩა, ნიჩაბი კი დი-
ნებამ გაიტაცა... პეტრე გადაიხარა, უნ-
დოდა ხელი ეტაცა, მაგრამ ნავი გადაბ-
რუნდა და წყალში გადავარდა. ვერც კი
მოასწრო ხელი ჩაველო ნავისთვის, რომ
გადმობრუნებული ნავი ნიჩბის კვალ-
დაკვალ ფსკერისაკენ წავიდა დინების
მიმართულებით. ტანსაცმელი სწრაფად

გაიქვინთა წყლით და პეტრეს სიღრმი-საკენ ეზიდებოდა...

„გათავდა ამ ქვეყნად ჩემი ცხოვრება, — გაიფიქრა პეტრემ, — მშვიდობით, ღუნიუშას... მშვიდობით, შვილო...“

მაგრამ მას არ ეწერა იმ წუთს სიკვდილი. სამხედრო კარაბამ უსწრო და ამოიყვანა წყლიდან.

• • •

პეტრე ვოსკოვოი კანცელარიის სარდაფში მოთავსებულ ცივ და ნესტიან საყანში ჩააგდეს. რამდენიმე საათს გალუმბული ეგდო მიწაზე უგონოდ, ვიდრე სახლიდან ხორუნიე შაპოშნიკოვმა მშრალი თეთრეული და ტანსაცმელი არ მოუტანა. გამოჩნდა ვიღაც კეთილი ადამიანი, რომელმაც მის მოსაყვანად გაგზავნა კაცი.

ხორუნიემ პოლიციელის დახმარებით როგორც იქნა, ოხვრითა და წუწუნით (ლაპარაკის ნება არ მისცეს) გამოუცვალა ტანსაცმელი. განშორების დროს ივან კონდრატიევიჩმა პეტრეს ხელი ჩამოართვა.

იქედან მოკიდებული, უკვე რამდენიმე დღეა, სიციხისაგან გათანჯული პეტრე ლეიბზე მოუსვენრად ბორკავდა. მასთან გამოგზავნილმა ფერშალმა დაადასტურა ფილტვების ანთება.

ვოსკოვოი ატამანმა ვასილი პეტროვიჩ ორლოვმა, მიუხედავად იმისა, რომ პეტრე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და არავინ იცოდა, დარჩებოდა თუ არა ცოცხალი, მისი საქმის გამო დააჩქარა ვოსკოვოის სასამართლოს კომისიის შედგენა, გენერალ-მაიორ პოზდნეევის თავმჯდომარეობით.

კომისია პეტრეს გამოჩანჩორებულბას ელოდა, რათა დაეწყო გამოძიება, შემდეგ კი გაესამართლებინათ იგი.

• • •

რაკი დათქმულ დროს, აღდგომის მესამე დღეს, პეტრე აქსაის მთებში არ ჩამოვიდა, ფედოტკა შეშფოთდა. ყოვე-

ლი შემთხვევისათვის ერთ დღეს კიდევ დაელოდა. პეტრე მიინცარე გამოჩნდა. მაშინ ფედოტკამ გადაწყვიტა, წამინდა კვირის მეხუთე დღეს დაბრუნებულიყო ჩერკასკში და შეეტყო, თუ რა დაემართა პეტრე იოსიფოვიჩის.

კარაბით მშვიდობით გადაცურა მდინარე. შინ მისვლისას ხორუნიემ ყველაფერი უამბო.

რამდენიმე დღე ბიჭი სახლიდან არ გამოსულა. ეხმარებოდა ივან კონდრატიევიჩს საკმლის მომზადებაში, აკმევედა ავადმყოფ მოხუცს. ის სულ ელოდა, იქნებ ძმები პატიმრობიდან გაათავისუფლონო. რამდენჯერმე საკმელიც მოიტანა გადასაცემად. ბიჭისგან საკმელს იღებდნენ, მაგრამ სალაპარაკოდ არ უშვებდნენ პატიმრებთან.

როცა დარწმუნდა, ძმებს არათუ გამოუშვებდნენ, პირიქით, როგორც ყური მოჰკრა, სამხედრო სასამართლოზე უპირებდნენ გადაცემას, გადაწყვიტა, წამინდა დემეტრეს ციხე-სიმაგრეში წასულიყო და ყველაფერი ეცნობებინა დუნიასთვის. მან კარგად იცოდა, რომ ქალს ლოდინისაგან გული ჰქონდა გადაღეული.

მაგრამ საჭირო იყო სახლიდან ისე წასულიყო, რომ ეტვი არავის აეღო, საამისოდ რაიმე საბაბი უნდა მოეგონებინა.

— ჩვენი დარაჯი აქსაისი შიმშილობს, — უთხრა მან ხორუნიეს. — მითხრა ცოტადენი ქუმელი და პურის ხორბალი ამომიტანეო.

— რას ამბობ, აქამდე სად იყავი? რატომ დროზე არ მითხარი? — გაუკვირდა ხორუნიეს.

— დამეიწყდა. ხომ ხედავ, რა უბედურება დაგვატყდა.

— ამას კი მართალს ამბობ, დიდი უბედურება დაგვატყდა, — უთხრა ივან კონდრატიევიჩმა, — კარგი, ფედოტკა, ხვალ დილისათვის წადი, მოგიმზადებ რამეს.

მეორე დღეს დილით ადრე ადგა ფედოტკა, დაიბანა ხელ-პირი, მხარზე

თოფრა გადაიკიდა და ნავმისაბმელისა-
კენ გაეშურა.

აქსაის მთებში შუადღისას მივიდა.
სურსათი მოხუც დარაჯს გადასცა, მერ-
მე სთხოვა, ცხენი მომეცი, ცოტას გავა-
ჯირითებო. მოხუცს უარი არ უთქვამს.

ფედოტკა მოახტა ცხენს და მთელი
სისწრაფით გაქუსლა, ციხე-სიმაგრისა-
კენ. დიდი გავირვებით მოძებნა ნაცნო-
ბი ჯარისკაცი, რომელიც დუნიას მოტა-
ცებისას ეტლს ახლდა.

— გამარჯობა, ბიჭო! რისთვის მო-
სულხარ ჩვენთან, ა?

— ქალბატონთან გამომგზავნა პეტ-
რე იოსიფოვიჩმა, — უთხრა ფედოტკამ.

— კარგი, უთხრა ჯარისკაცმა. —
ავერაა მისი ბინა, ოღონდ იცოდე, ბი-
ჭო, არსად წამოგვდეს... ნაბრძანები
მაქვს, ამაზე კრინტი არ დაეძრა.

ოთახში შესული ფედოტკა რომ დაი-
წახა, დუნია სიხარულისაგან ლამის გა-
ხედა.

— ფედოტუშკა, ნუთუ ეს შენა
ხარ? — წამოიყვირა მან — ღმერთო
ჩემო! ჩემო ძვირფასო!.. აბა, მამაზე, რა
ამბავია თქვენთან. მომენატრეთ ყველა-
ნი. დარდით აღარა ვარ... რატომ დამი-
ვიწყა პეტრე იოსიფოვიჩმა? რა დაემარ-
ტა, ა? ავად ხომ არ არის?.. დიდი ხა-
ნია უნდა ჩამოსულიყო... ფედოტუშკა,
რატომ ხმას არ იღებ? — შემფოთებით
ჩახედა თვალეებში ქალმა.

თავდახრილი ფედოტუშკა თავისი
ჩექმის წვერებს დაშტერებოდა და
ღუმდა.

— ფედოტუშკა! — არაადამიანური
ხმით წამოიძახა მან. — ჩემო კარგო!..
რატომ არაფერს მეუბნები?.. რა ამბავი
მომიტანე?.. გული ნუ შემიღონე. რა
დაემართა ჩემს პეტრეს?

— პეტრე ოსიფოვიჩს... — ენა დაება
ბიჭს.

— მოკლეს?.. მოკვდა?.. — აქვითინ-
და ქალი.

— დაიჭირეს.

— დაიჭირეს?.. რისთვის?.. მამაჩემმა
ხომ არ მოუწყო?.. იმან ხომ... გული

მიგრძნობს, რომ ეს მისი ნამოქმედა-
რია... ფედოტუშკა, ასეა, ზოგი?

— არ ვიცი, ქალბატონო! თავი
გააქნია ბიჭმა. — მისი ძმა ევგრაფ იოსი-
ფოვიჩიც დააპატიმრეს.

— ოი, უბედურო თავო ჩემო! მო-
თქვამდა ქალი. — რაღა მეშველება ბედ-
შავს? რა ვიღონო?

სასოწარკვეთილი დუნია აქეთ-იქით
აწყდებოდა, ცრემლი ღვარად ჩამოს-
დიოდა.

— რა ექნა? — ხელებს იმტრევედა
ქალი. რა ექნა?.. მერმე დუნია უცებ
დამშვიდდა. — მოიცა, ფედოტუშკა, —
ხელი სტაცა ბიჭს. — ახლავე წავიდეთ.
ახლავე, ჩემო კარგო! მე ვხვდები, რომ
ეს ჩემ გამო მოხდა. ალბათ, იფიქრეს
პეტრემ ძალით მომიტაცა, ანდა ჰგო-
ნიათ, მოშლეს... აი, წამოვალ და და-
ვუმტყიცებ, რომ ჩემი ნებით გავიბა-
რე... მორჩა და გათავდა... ისინიც უმა-
ლვე გაათავისუფლებენ... გაათავისუფ-
ლებენ... — დაარწმუნა საკუთარი თავი,
რომ ყველაფერი ზუსტად ისე იყო, რო-
გორც თვითონ ფიქრობდა და დუნია
სრულიად დაწყნარდა. დასვა ფედოტ-
კა სკამზე და დაწვრილებით ამბობინა,
თუ როგორ დააპატიმრეს პეტრე. მანაც,
რაც იცოდა ხორუწყე შაპოშნიკოვისა-
გან, მოუყვა.

— ახლა აქ გაჩერების დრო არ
არის, — აფუსფუსდა დუნია, — უნდა
წავიდეთ ჩემი პეტრეს გამოსახსნე-
ლად... ოღონდ გრიგოლ ივანოვიჩი უნ-
და ვნახო. უმისოდ ვერ წავალ... მან
ხომ ღვიძლ დასავით მიმიღო და შემე-
ფარა. შენ, ფედოტუშკა, აქ დამიცადე,
მე მის ცოლთან წავალ...

დუნია წავიდა, გზადაგზა მაქმანიათ
ცხვირსახოცით იწმენდა თვალებს.
ნახევარი საათის შემდეგ მაიორ კარნიც-
კის თანხლებით დაბრუნდა. გრიგოლ
ივანოვიჩი მწვანე მუნდირში იყო გა-
მოწყობილი, თავზე შავი სამკუთხა ქუ-
დი ეხურა. იქიდან შეპუდრული ნაწნავი
მოუჩანდა, თეთრ კვალს რომ უტოვებ-
და ზურგზე.

— ა-ა, — მხიარულად წამოიძახა ოფი-

ცერმა, — ეს შენა ხარ?.. ვიფიქრე, ვინ უნდა იყოს ეს ფედოტკა-მეთქი. თურმე ნაცნობი ყოფილხარ. შენ არ იყავი, ზამთარში თევზის ბაზრობაზე პოდპოლკოვნიკ გრუზინოვს რომ ახლდი?

— მე გახლდით, — თავი დაუქნია ფედოტკამ.

— ეს რა ამბავი მოგიტანია, ძმაო, — უთხრა მათორმა... ძალიან შეგიშინებია ქალბატონი ავდოტია ფილიმონოვნა, შენც ერთი, მოიგონე რაღა... აბა, ერთი მიამბე, რა მოხდა.

ფედოტკამ დაწვრილებით უამბო ყოველივე, რაც ძმების დაპატიმრების შესახებ იცოდა.

— ხოლო, — გაკვირვებით წარმოსთქვა მათორმა, — საქმეს ვერ უჩანს კარგი პირი. ოღონდ, ავდოტია ფილიმონოვნა, არა მგონია, რაიმე კავშირი ჰქონდეს თქვენს ამბავთან პეტრე იოსიფოვიჩის დაპატიმრებას. არა, აქ მამათქვენი არაფერ შუაშია... ტყუილბრალად გგონიათ. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ მართო პეტრეს დაპატიმრებდნენ. მათ კი ორივე ძმა დაუბატიმრებიათ. მასხადაძემ, გრუზინოვებს უფრო სერიოზული ბრალდება აქვთ წაყენებული. თანაც ამ შემთხვევაში შეიძლება თქვენმა ამბავმა უფრო გაართულოს საქმე. დედათქვენმა ხომ იცის, რომ თქვენი ვაპარვა პეტრე იოსიფოვიჩთანაა დაკავშირებული. მით უმეტეს ფული მისი ხელით გამოგიგზავნათ. კარგია, რომ სახლში დაბრუნება გადაგიწყვეტიათ. ჩერკასკში თქვენი ყოფნა ერთგვარად შეუშლბუქებს მდგომარეობას პეტრე იოსიფოვიჩს. წადით, მაგრამ არ გეშინიათ მშობლებთან დაბრუნებისა?

— მეშინია, — გულწრფელად გაუტყდა დუნია. — მამაჩემი ძალიან მკაცრი კაცია.

— გაგიჭარბდება, ბოლოს და ბოლოს ხომ არ გაგლახავს.

— ღმერთმა უწყის. შეიძლება გამლახოს კიდეც, მაგრამ დედა არ დაანებებს... იქნებ გამაგდოს კიდეც სახლიდან. მაგრამ ამისა არ მეშინია. ჩერკასკში ბევრი ნათესავი მყავს, ვინმე შემი-

ფარებს. ყველაფერს ავიტან, ოღონდ პეტრეს ეშველოს რამე.

— სწორად მსჯელობთ, ავდოტია ფილიმონოვნა, — დაეთანხმა კარნიცი. — ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად დამთავრდეს. თუ წასვლას აპირებთ, ვუბრძანებ ეტლი შეაბან. ჭარისკაცი მიგაცილებთ აქსაის ფონამდე. ოღონდ, ავდოტია ფილიმონოვნა, რაც არ უნდა მოხდეს, ჩემო კარგო, არსად წამოგყდეთ, რომ მე შეგიფარეთ... დვთის გულისათვის, გამიგეთ, ქალბატონო, ოჯახის პატრონი ვარ, მცირეწლოვანი შეილების მამა... თუ პასუხისგებაში მიმიცეს, გაუბედურდებიან... შენც, ფედოტუშკა, — მიმართა მათორმა ბიჭს, — კრინტი არსად დასძრა, ნურავის ნურაფერს ეტყვი.

— თუნდაც დამშანთონ, ვერაფერს მათქმევიწებენ, — აგზნებით წარმოსთქვა ფედოტკამ, — ეს როგორ იფიქრეთ? ყველაფერი, აი, აქ დაიმარხება, ძია მათორო, — მკერდზე მუშტი დაიბაგუნა ბიჭმა.

— ღმერთმა ნუ მოგაკლოთ მფარველობა, ძვირფასო ავდოტია ფილიმონოვნა, დამშვიდობა მათორი დუნიას, — გისურვებთ, ყველაფერი კარგად და ბედნიერად დამთავრდეს... წავალ, ეტლს გამოგიგზავნი.

მალე დუნია ტარანტასით აქსაის ფონისაკენ გაეშურა. ფედოტკა აქსაის მთებამდე უკან ცხენით მიჰყვებოდა, ხოლო როგორც კი ფონამდე მიადწიეს, გრუზინოვების ეზოსაკენ გაქუსლა, ცხენი დარაჯს ჩააბარა და გამობრუნდა.

მათ სხვადასხვა კარაპით გადმოსცურეს მდინარე, რომ რაიმე ეჭვი არ აელო ვინმეს.

ათრთოლებული ხელით დააკაუნა დუნია მშობლიურ სახლის კარზე. კარი მამამ გაუღო.

— დუნიუშკა! — აღმოხდა მოხუც პოლკოვნიკს და უნებურად ქვითინი წასცა. — ოი, ჩემო საყვარელო გოგო! შემოდი, შემოდი! დედა, — გასძახა მან შეუდღეს, მოდი მიიღე ძვირფასი სტუმარი!...

XIX

გენერალმა როდიონოვმა კომისიის წევრები სათათბიროდ მიიწვია.

— ბატონებო, — წამოიწყო მან ურმის გაუპოხავი ღერძივით ჭრიალა ხმით და თავისი წვრილი ჩაწითლებული გამჭოლი თვალები დამსწრეთ მოავლო. თქვენ ყველანი ესწრებოდით გრუზინოვ-პირველის დაკითხვას და მოისმინეთ, როგორ უტიფრად ლაპარაკობდა ჩვენს ხელმწიფე-იმპერატორზე. ბრალდებულის სიტყვებში ოდნავდაც არ იგრძნობოდა სინანული ჩადენილი დანაშაულის გამო. პირიქით, უფრო აყვირობდა და უტიფრად შეურაცხყოფდა მის იმპერატორობით უდიდებულესობას. ხომ მეთანხმებით?

კომისიის წევრებს თავები დაეხარათ და დუმდნენ. ჭაღარა, ტანბრგე პოლკოვნიკმა ილოვაისკი-მეშვიდემ თავი ისე გააქნია, თითქოს ბუზებს იგერიებდა, და ხრინწიანი ხმით ჩაიბუზღუნა:

— მართალს ბრძანებთ, თქვენო მაღალღმადებულეებო!

კომისიის წევრთა უმრავლესობამ კარგად იცოდა, რომ არავითარი არსებითი საფუძველი არ არსებობდა პოლკოვნიკ გრუზინოვის დაბატონებისათვის, მაგრამ ვოისკოვოი ატამანმა ორლოვმა ყველაფერი იღონა მისი პასუხისგებაში მიცემისათვის. ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ ეამებინა მეფისათვის, და გადაწყვიტა კიდევ, გასწორებოდა ძმებს გრუზინოვებს.

მიუხედავად ამისა ევგრაფის დასაცავად კომისიის არც ერთ წევრს არ ამოუღია ხმა. მათ ეშინოდათ ატამან ორლოვისა. მძიმე და მკაცრი დრო იყო. ერთი უბრალო უნებური, წინდაუხედავი სიტყვისათვის შეიძლებოდა კაცს არა მარტო თავისუფლება, თავიც კი დაეკარგა. „დაე, როგორც უფროსებს უნდათ, ისე გააკეთონ საქმე“, — ფიქრობდნენ გუნებაში.

— ყველა ჩვენთაგანისათვის აშკარაა, რომ, — განაგრძობდა როდიონოვი, — გრუზინოვ-პირველი სულით-ხორცამდე

დამნაშავეა. მას არ სურს ხელი მოაწეროს დაკითხვის ოქმს, მაგრამ მშვენივლად არ გვესაჭიროება მისი ხელმოწერა. საქმისათვის ისიც კმარა, რომ მან აღიარა თავისი დანაშაული. ბატონებო! წინადადება შემომამქვს, შევადგინოთ ექსტრაქტი და გამოვიტანოთ სენტენცია... თანახმა ხართ? — მას პასუხისათვის არც კი დაუცდია და პირდაპირ მიმართა კომისიის აუდიტორს, — დაწერეთ, იასაულო.

ახალგაზრდა ოფიცირმა კალამი ქალღმერთად ააპრიალა და ქშენით შეუღდა ნაკარნახევი ექსტრაქტის წერას.

ექსტრაქტში მოკლედ იყო გადმოცემული გრუზინოვის დაკითხვის პროცედურა და კანონის ვათვალისწინებით დანაშაულისათვის შეფარდებული ჰქონდა სათანადო მუხლი. შემდეგ სენტენციის დასკვნით ნაწილში აღნიშნული იყო: „ეყვაროს ყოველგვარი წოდება და აზნაურის ღირსება, ჩამოერთვას პატენტი და ბოძებული ორდენები, დაისაჯოს სიკვდილით შაყის კვრით, ხოლო ხელმწიფე იმპერატორის მიერ ბოძებული ათასი სული ყმა-გლეხი მოსკოვისა და ტამბოვის გუბერნიებში ჩამოერთვას და გადაეცეს სახაზინო უწყებას. ეს სენტენცია კრიესრეხტიულრთ წარედგინოს ბატონ ვოისკოვოი ატამანს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის გადასაჯავანად“.

მაგრამ ვოისკოვოი ატამანს არ უნდოდა ამით დამთავრებინა საქმე. მან ბრძანება გასცა, განეგრძოთ დაკითხვა, როგორც თვითონ ევგრაფისა, ასევე მისი ნათესავ-ნაცნობებისა, რომლებიც მასთან დადიოდნენ. ევგრაფი ისევ გამოიძახეს დაკითხვაზე. სამხედრო სასამართლოს კომისიის წევრების გარდა, რომლებიც კუშტი სახეებით შემოსხდომოდნენ მაგიდას, — დაკითხვას ესწრებოდა სრულ სამოსელში გამოწყობილი ჩერკასკის ტაძრის მღვდელმთავარი მამათ პეტრე ვოლოშნევესკი, რომელიც „უბოროტესი სახელმწიფო დამნაშავე“

ის“ ევგრაფ გრუზინოვის რელიგიური შეგონებისათვის იყო მოწვეული.

მღვდელმთავარმა ლოცვანიდან რაღაც წაიკითხა და ევგრაფს პირჯვარი გადასახა.

— გონს მოდი, მონაო ღვთისაჲ, ევგრაფ, — დაადექ გზასა ქეშმარიტსა, მოინანიე ცოდვანი შენნი და მოგიტევეს უფალი...

მღვდელი დიდხანს ლაპარაკობდა, არწმუნებდა ევგრაფს, ელიარებიანა დანაშაული. მაგრამ ევგრაფი მას არ უსმენდა. თავი ჩაექინდრა და თავის საფიქრელს მისცემოდა.

— გრუზინოვ! — ხმამალლა გასძახა გენერალმა როდიონოვმა.

— ა? — გამოერკვა, რაღაც ტკბილი ბურანიდან ევგრაფი. — რა გინდობათ გეკითხათ, თქვენო მაღალღმადმობულებაჲ? — კომისია საგონებელშია ჩაუარდნილი, თქვენთან გაჩხრეკის დროს ნაპოვნი ქაღალდების გამო, — გენერალმა ხელში აიღო ქაღალდის ფურცლები. — აქ თქვენი რაღაც გაუგებარი ჩანაწერებია, ესენი, ეს ჩანაწერები. პირდაპირ მიუთითებს თქვენს თავხედურ, აღმაშფოთებელ გეგმებზე. მითხარი რისთვის გპირდებოდათ ორასი-ათასი მებრძოლის შეგროვება, ა?

ევგრაფი უაზრო თვალებით შეკყურებდა გენერალ როდიონოვს და სდუმდა.

— თქვენ გეუბნებით, გრუზინოვ-პირველო!.. — ხმას აუწია გაბრაზებულმა როდიონოვმა, — გესმით, თქვენ, გრუზინოვ! კეთილი ინებეთ და მოახსენეთ კომისიას, რას ნიშნავს, მაგალითად, თქვენს ჩანაწერებში შემდეგი სიტყვები: „დავიპროტ“, „ავილოთ სტამბული“. ანდა: „დაეფუძნოს დედაქალაქი“, „ხელთ ვიგდოთ კუნძულები...“ რომელ კუნძულებზეა ლაპარაკი!..

— ცუდად ვარ, — ნღვლიანად წარმოსთქვა ევგრაფმა, — თავი მტკივა... გული მერევა...

— თავს ნუ იკატუნებთ! — გაჭავრებით დაუყვირა როდიონოვმა. — მომისმინეთ და მიპასუხეთ! აი აქ, — გენერალმა სათვალე მოიმარჯვა, — წერია: „გავილოთ დიდი მსხვერპლი...“ რა

მსხვერპლი გაქვთ მხედველობაში?.. გესმით, გრუზინოვ, მიპასუხეთ! აი, აქ შემდეგ წერია: „დაემკვიდროს სენატი“. ეს რაღაა?.. რაზეა აქ ლაპარაკი?

— ხელები... ხელები მტკივა, — ამოიკვნესა ევგრაფმა, და მაგიდისკენ ბორკილგაყრილი, დაწყლულებული და დასისხლიანებული ხელები გაიწოდა, — ამხსენით ბორკილი.

— აგხსნით, აგხსნით, — აჩქარებით გაეპასუხა კომისიის თავმჯდომარე. — აუცილებლად აგხსნით, ოღონდ მოინანიეთ, მოინანიეთ, ყველაფერი გვეთხარით, როდისთვის აპირებდით სტამბოლის დასახლებას სხვადასხვა ხალხით, ა? საიდან აპირებდით მათ მოყვანას?.. აბა, ჰე!

როცა პასუხი ვერ მიიღო, გენერალმა ნერვიულად დაჰკრა მუშტი მაგიდას.

— შენ რა, დაგვიცინი თუ რა? — გაეცოდა როდიონოვი. უცებ საღდაც გაქრა მისი მოჩვენებითი თავზიანობა, რომლითაც აქამდე ცდილობდა ეწარმოებინა დაკითხვა, — თქვი, ყვიროდა გენერალი.

— უბრძანეთ, გამიყვანონ და ჩამომახრჩონ, — უთხრა ევგრაფმა. — ბარემ მომიღეთ ბოლო!

— ერთხელ კიდევ სცადეთ, მამაო პეტრე, — კუშტად ანიშნა მღვდელმთავარს როდიონოვმა.

დაბალ-დაბალი, ჩაკურატებული, მკვირცხლი სახის ღვთისმსახური მორჩილად წამოდგა სკამიდან.

— მამისათა, ძისათა და წმიდისა სულისათა, — დაიწყო მან, — მონაო ღვთისაჲ ევგრაფ, მოინანიე წინაშე უფლისა მკრეხელობაჲ შენნი, ამხილე თანამზრახველნი, ევედრე გულითა წმიდითა, რომ უზუნაესმა მოგიტევოს ცოდვანი შენნი.

გაქამებული და გატანჯული იდგა სამხედრო კომისიის წინაშე ევგრაფი. მღვდელი კი ყოველნიარად არწმუნებდა, გამომტყდარიყო დანაშაულში. როცა მთლად გამოეღია ძალა, როგორც იქნა, გაგზავნეს პატიმარი თავის საკანში.

ქართული ვერსიფიკაციისა და ჰიმნოგრაფიის საკითხები

უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული ჰიმნოგრაფიისა და ვერსიფიკაციის საკითხებზე დაიწერა და გამოქვეყნდა მთელი რიგი გამოკვლევებისა. არც ერთი მკვლევარი ჩვენში სპეციალურად არ გამოხმაურებია ამ გამოკვლევებს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგი მათგანი ტრცლად განვიხილოთ. ქართული ლექსის რიტმიკისა და ჰიმნოგრაფიის საკითხები ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ ზოგი უცხოელი მკვლევარის შრომებში ეს საკითხები მოკლედ და თანაც არა სწორადაა განხილული (ქართულ ლექსზე არსებული ერთერთი შრომის გამოჭვეუნების შემდეგ უცხოეთში გაზღვირდა ინტერესი ჩვენი ლექსათწყობის მიმართ).

უკანასკნელად ქართული ჰიმნოგრაფიის (და მასთან დაკავშირებით ქართული ვერსიფიკაციის) საკითხებს შეეხო ვ. ვახაჩიძის ნაშრომში „ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის საფუძვლები“ (1967), რომლის I ნაწილი „ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება“ 1962 წელს დაიბეჭდა. მთელს შრომაში ავტორი თავის წინამორბედ მკვლევარების შეხედულებებსაც ეხება. ჩვენ აქამად გვიანტერესებს სტრქოლოგიური ნაწილი ვ. ვახაჩიძის გამოკვლევისა და მასთან დაკავშირებით — უფრო ადრე სხვა მკვლევარების მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ქართული ლექსის რიტმულ ბუნებაზე.

თავდაპირველად უნდა შევეხოთ ვ. ვახაჩიძის გამოკვლევის ამ ნაწილს, რომელსაც „მიქელ მოდრეკელის კრებულა“ ეწოდება და ჩვენი დიდი პატივდელი პონოგრაფის ტექსტის ფილოლოგიური ანალიზსა და აღწერილობას შეიცავს. მესამე ნაწილს შეადგენს თვითონ მიქელ მოდრეკელის კრებულის ტექსტი, იგი უნდასაბუთოდან მხედრულ ანბანზეა გადმო-

ღებული მუსიკალური ნიშნებითურთ და ფოტოპირით წარმოდგენილი. შრომათა ამ სერიას დაართული აქვს „რეზიუმე“, რომელსაც ავტორი ეფერატთან ერთად (იგი რუსულადაა დაბეჭდილი) აქვს საერთო სათაური: «Основы древне-грузинской гимнографии».

რავინდ საკამათო არ იყოს ავტორის რომელიმე ცალკეული დებულება, რავინდ უზუსტობებს არ შეიცავდეს მიქელ მოდრეკელის ტექსტის გადმოღებული პირი (რომლის შემოწმება ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების დამდგენი სპეციალისტი-ტექსტოლოგების საქმეა), არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი შრომა, რომელიც ჩვენს მკვლევარს ჩაუტარებია. ამასთან — ყველა ძირითადი მოსაზრება, რომელიც ჩვენთვის საინტერესო სფეროს ეხებოდა, დავას არ იწვევს (მოიპოვება ზოგი ტერმინოლოგიური უზუსტობა, რაზეც ამ წერილის ბოლოს ვიტყვი).

ამვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. ვახაჩიძის, როგორც ქართული ჰიმნოგრაფიის მკვლევარისა და სპეციალისტის სახელი უკვე გასცა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია იმ გარემოებაზე მითითება, რომ ამ საქმეში ჩვენს მივიძღვის მცირეოდენი წელი: პირველად ჩვენ მივაგვიტო იმ ფაქტს, რომ ჰენდელის ოპერა „Radamisto“ ქართულ სიუჟეტს ეხება (ეშვარება რომელიმე ისტორიკოსის ტაიტიუსის „ანალიზში“ მოთხრობილ ეპიზოდს — იბერიის ერთერთი უფლისწულ რადამისტის (ივ. ჭავჭავაძის ვარაუდით — როდამის) და მისი მეუღლის ზენობეას თავგადასავალს. ამ საკითხებზე ჩვენ გამოვამყვეუნეთ სტატია 1947 წელს (ორჯერ გადაიბეჭდა ჩვენს წიგნებში „ლიტ. ნარკვევები“ და „რჩეული ნაწერები“, ტ. 1). ვ. ვახაჩიძემ 1960 წელს გერმანულად გამოაქვეყნა წერილი Eine Oper von

Georg Friedrich Händel mit einem grusnischen historischen sujet. „Händel-Jahrbuch“, 1960; Leipzig. Deutschen Verlag f. Musik, რომელმაც ყურადღება მიიქცია საზღვარგარეთ და რომელმაც ჩვენი დამსახურება დაიწყო მსახური ახლა. შემდეგ ვ. გვახარიაძემ სთარგმნა კიდევ ქართულად ჰენდელის ოპერის ლიბრეტო და გამოაქვეყნა თავის წიგნში „ჰენდელი, მოცარტი, ვაგნერი“ (თბ., 1967), რომლის შესავალში (გვ. 7) ურუდა ნათქვამი: „ამის შესახებ არსებობს ლიტერატურა — ავ. ვაწარელია...“ და ა. შ. საჭირო კი იყო შეაფიქროდ აღენიშნა, რომ ეს ფაქტი პირველად ვის მიერაა მიკვლეული (ჩვენი წერილის შენიშვნებში მითითებულია ჰენდელის თხულებათა ის ტომი (კრიზანდერის გამოცემაში), რომელშიაც კომპოზიტორის ნაწარმოების ლიბრეტოა დაბეჭდილი, მითითებულია ამ ლიბრეტოს ავტორზე — პიმზე და მრ. სხვ.).

მეცნიერებაში სხვისი მიგნების ყოველგვარი წაყრება — დასაფიქრია.

სულ მცირეოდენი დამსახურებაც კი ვისმეც „სხვათაშორის“ არ უნდა აღინიშნოს. ჩვენში ეს გავრცელებული სენია, ვისურვებდი — ვ. გვახარიაძის არ შეყოფდეს ეს სენი. მისი წყარო — პროვინციული ეგოცენტრიზმი და პატრიმთავარობა, აგრეთვე თვითკმაყოფილება. მინდა გავიხსენო ლაროშვიტის გამოთქმა — თვითკმაყოფილებებს იგი წყდებათ რომ ისინი სხვებში უკმაყოფილებას იწყებენ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შარშან ვ. გვახარიაძემ გერმანულად გამოაქვეყნა მორიგი თავისი შრომა *Mehrstimmigkeit in altgrusnischen Handschriften? (Sonderdruck aus Beiträge zur Musikwissenschaft. Heft 3/4. (1967, გვ. 284-304)*, რომელშიაც მოცემულია ცნობები ქართული საეკლესიო მუსიკის შესახებ, აღნიშნულია ბგერათათმარობები (Tonarten) თავისებურებანი, პოტიონია პარალელები ბიზანტიურანი (განსხვავებთა აღნიშვნით), დახასიათებულია ქართული მუსიკალური ნიშნები (ნეუმები), რომლებიც იპოპსებს (ძლისპირებს), ბრელებს (Variationen) და ვ. წ. „კარნებს“ თანახმად, გადატანილია იგი ნოტებზე და ა. შ. შრომას დართული აქვს მდიდარი ბიზანტიური ანოტირება.

მომავალში ვ. გვახარიაძის ძალიან დიდი მოვალეობა აქვს, როგორც მუსიკისმცოდნეს: საბოლოოდ ამოხსნას ძველ-ქართული მუსიკალური ნიშნები. შესაძლოს ის, რაც ვერ შესაძლო თვით ვ. თბომ და საეკლესიო მონოგრაფიით ვაიციოს იგი ევროპას. ჩვენ ვიცით, რომ ვ. გვახარია ასეთ კაპიტალურ მონოგრაფიაზე მუშაობს კიდევ.

ჩვენი წერილის მიზანია:

1). ნათელი გახადოს, თუ რამდენად ზუს-

ტა ვ. გვახარიაძის შეხედულებანი ქართული ბიზანტიური პოეტური ტექსტების რიტმულ ბუნების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მოგვიხდება რადიკალური შეფიქრების ჩატარება აღნიშნულ საკითხზე არსებული იმ პიპოთეზებისა, რომელნიც ახლანდელ მეცნიერული კვლევის ამ სფეროს...

2). შევუქმნათ მეკლავარებს მტკიცე ნიადაგი ქართული ევრსიფიკაციის საკითხებში, თუმცა ასეთი ნიადაგი უკვე შექმნილია (რომ ის ხელახლა არ გავხადო სადაოდ ზოგიერთს). ამავე დროს გამოვთქვამთ ჩვენი კრიტიკული შენიშვნები თვით ვ. გვახარიაძის ნაშრომზე.

ყველაფერი ეს საჭიროა ქვეშაობების საბოლოოდ დასადგენად, რადგან ორი ურთიერთგამომრიცხველი ქვეშაობება მეცნიერებაში საერთოდ არ არსებობს. თანაც: ტექსტის სწორ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სავალაობლის სიტყვიერი დედანი არ შეიძლება აბსოლუტურად მოწვევტილი იყოს მისი მუსიკალური გამმანებისაგან, თუმცა წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული პიპოთეზიზაციის რიტმულ ხასიათს, უწინააღრეს ყოველისა, ვალაობის ხასიათი განსაზღვრავს.

აქვე უნდა განვაცხადოთ: მიქელ მოდრეკელის ტექსტის სისწორის შესახებ სიტყვას ჩვენ ვუთმობთ საეკლესიოებს, რომელთაც ამ ტექსტზე უმეზენათ, ხოლო ვ. გვახარიაძის მუსიკალური კონცეპციის შესახებ სიტყვა ვაუთენის აგრეთვე საეკლესიოებს უთმობდნენ. ქართული ბიზანტიურიანი მიმართების საკითხს, ალბათ, ქართული კლასიკური ფილოლოგიის წარმომადგენელი შეეხება, თუმცა ამ სფეროში, სათანადო შრომების გათვალისწინებით, ჩვენც მოგვიხდება საუბარი.

ჩერ თვითონ მიქელ მოდრეკელის ტექსტის აღწერილობის შესახებ.

ეს ნაწილი შედგება შემდეგი თავებისაგან: 1) „მიქელ მოდრეკელის ტექსტის გამოცემისათვის“; 2) „მიქელ მოდრეკელის „ილგარის“ ფორმა (სქემა)“; 3) ანდერძები და მინაწერები 1. ქართულ ენაზე; 2. სომხურ ენაზე; 3. ბერძნულ ენაზე“; 4. პალეოგრაფიული ანალიზი“; 5. „X ს-ის ისტორიული მიმოხილვა. მიქელ მოდრეკელის დროინდელი ეპოქა და ეულტრია“; 6. „X საუკუნის დამწერლობითი და ლიტერატურული ძეგლების მიმოხილვა“; 7. „ზოგიერთი ენობრივი მოვლენების მიმოხილვა“. თვითთვე ამ თავს დაართული აქვს მითითებანი გამოყენებულ ლიტერატურაზე; 8. „ზოგიერთი ქარაგები“; და 9. „საკუთარ სახელთა სპიებელი“.

ამ აღწერილობაში მკითხველი თანმიმდევრულად ეცნობა კარბელის შედგენილობას, თვითონ ბიზანტიურიანი ტექსტის, პიპოთეზის პოეტური ფორმის ძირითად საკითხებს. გარკვეულ ნი-

წილებში ასეთი სამუშაოს ჩატარება შეეძლო მხოლოდ ისტორიკოს-მუსიკოსმცოდნეს, ვისგანაც ივანე ჯავახიშვილი მოითხოვდა — ქართული მუსიკის საფუძვლების შესწავლისას მკვლევარმა არა მარტო მუსიკა უნდა იცოდეს, არამედ ისტორიკოსიც უნდა იყოს და ამასთან რამდენიმე უცხო ენაზე სათანადო ლიტერატურის წაკითხვაც უნდა შეეძლოსო. ეთა გვახარია ამ პირობას აკმაყოფილებს.

აღწერილობის დასაწყისშივე ვ. გვახარია წერს, რომ „მიქელ მოდრეკელის „იადგარის“ შივის მოცულობით აღმატება აქვდა იმ ბიზანტიურ, სომხურ თუ დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ხალხების მუსიკალურ კრებულებს, რომლებშიც ხმარებულა მუსიკალური ნიშნები. ამ ნიშანთა ხმარება მტკიცეად არის ანონის მიხედვით დაცული და როგორც მიქელ მოდრეკელი მიგვითითებს ანდერშში, ყოველი ნიშანი და კონტექსტი მოცემულია „ძლიერად და სიწმიდით და სიპაართლით სისწორითა კილოსიამათა და უცხო მფლობითანიშნისათა“. იქვეა მოტანილი კრებულის შემდგენლის ფრაზა იმაზე, რომ შას ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შეუკრებია „წინდისა აღდგომისანი, რომელნი ეპოვნენ ენითა ქართველთათა მებერნი ბერძენი და ქართუნი, სტულთ ყოველითა განგებისა წესისებრ საეკლესიოსა“-ო.

ვ. გვახარია დაწვრილებით მსჯელობს მიქელ მოდრეკელის კრებულის მნიშვნელობაზე ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის სხვა დარგებთან შესწავლის თვალსაზრისითაც. მკითხველი ეცნობა „ტექსტის რაობას“, ამითივე დღესასწაულის „თუგისა“ და რიცხვს. დასდებულსა თუ ძლიანობის სტრუქტურას, ლექსითი საგალობლების ცალკეულ ელემენტებს (მაგ. აკროსტიხს, რეფრენს) პუნქტუაციის ხასიათს, ლიტურგიულ „კანონთა“ რაოდენობას, პიშვნების ავტორებს, საგალობელთა წარმომავლობას (ამ ნაწილში ვ. გვახარიას მრავალი მიგნება აქვს, ის ყარვალ იცნობს კრისტოსა და ბერძენ პარანიკასის ცნობილ ანთოლოგიას და სხვ.), ლიტურგიული წესის თანმიმდევრობას გალობის შესრულების პროცესში, ანდერშის ვადაწყობა და ა. შ. მეორე ეტაში მიქელ მოდრეკელის „იადგარის“ ფორმა (სქემა) წარმოდგენილია სტრუქტურა იადგარისა და შემირისპირებულა იგი ფ. ქორიძის მიერ მუსიკალურად ფიქსირებულ საგალობელთან (ორივე კრებულის სათანადო ნუსხურაციის ჩვენებით). ყველაფერი ეს უაღვილებს მკითხველს მისთვის საჭირო საგალობლის სწრაფად მოძებნას თვით „იადგარის“ ტექსტში.

ასევე დიდად მნიშვნელოვანია მიქელ მოდრეკელის კრებულის შემირისპირება ხინას მითის საგალობელთა კრებულთან და ანტონ 1-ის მიერ რედაქტირებულ „თუგისა“ (ანტონ 1-ის მიერ ჩატარებული რედაქციის დახასიათება

ყველასათვის ცნობილია აკად. კ. კეკელიძის წიგნიდან „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I. რამდე. ვამოი.).

აღწერილობაში ანდერშმენს და მნიშვნელობას სრული სახითა მოტანილი. ვრცელა ბაღეოგრაფიული ანალიზი. ამ თავში ურჩადლებს იქცევს ვ. გვახარიას შემდეგი შენიშვნა:

„პ. ინგოროყვას ამ სიიდან მხოლოდ ეფთჳე და ვილად ანონიმი ვადაწყურა შიანია, მიქელ მოდრეკელთან ერთად, კრებულის ვადაწყურად. მიქელ მოდრეკელს, პ. ინგოროყვას თვალსაზრისით, ვადაწყურა 408 გვერდი, ანონიმი X ვადაწყურს 46 გვერდი, ხოლო ეფთჳემს — 20. ზეენ ეფიქრობთ, რომ მკვლევარის მოსაზრება მოთხოვის დახუტებას და შესწორებას. ისმის კითხვა იმ ზემოთ ჩამოთვლილიდან, რატომ შინდელამინე ეფთჳე ვადაწყურა და არა სტეფანე? ზელის საკითხი და რედაქტირების საკითხი უფერულადაა წარმოდგენილი პ. ინგოროყვას ვრცელ ნაშრომში. მკვლევარს ვამორჩენია თვით ნაწერი მასალის, შედნის ანალიზი, რომელიც სხვადასხვა გვერდებზე იცვლის ფერს და ფერთან ერთად ხელიც ვანსხვაეებულა. მკვლევარს ვამორჩენია, რომ ხელნაწერში არის ვაერული, საკმაოდ უფერული ზელი ნაწერი გვერდი. რომელიც აბრევირთი კალიგრაფის მიერ არ არის დაწერილი. თვით სათაურებშიაც კი ჩანს კვალთ ახალი ვადაწყურის, თუ რედაქტორის, რომელსაც პირვანდელი ვრცელი, კარგი ზელით ნაწერი სათაურები შეუცვლია სხვა წითერი, ვანსხვაეებული ფერისა და უხეში ზელი ნაწერი შემოკლებული სათაურებით.“

ვ. გვახარიას ამ შენიშვნის შემოწმება დედამე დაკვირვებით შეიძლება. მხედრული ანონით ვადაწყურული ტექსტის ფოტოპირი ამის საშუალებას არ იძლევა. მაგრამ მის კატეგორიულ მტკიცებას რომ არ ვერწმუნოთ — არც ამის საბუთი ვაქვს. ერთი სიტყვით — ვ. გვახარიას მტკიცებას დედამე დაკვირვება ვაამართლებს ან უკუაგდებს. ორიგინალის ერთი გვერდის ფოტოპირიც მკაფიოდ არ აჩენს მსგავს რასმე, რადგან იგი (ფოტოპირი დედნისა) საერთოდ ნელის ფერს არ ვადმოსცემს.

ვ. გვახარია აღნიშნავს, რომ „მიქელ მოდრეკელის კრებულს დართული აქვს მუსიკალური ნიშნები. ვხედვით გვერდებს სადაც ეს ნიშნები არ არის დასმული“ (მითითებულა გვერდები). ამას მოსდევს ეფთჳეგრაფიული ნიშნების ფოტოასლი (სტიქარონისა), ქართული ეფთჳეგრაფიული ნიშნები და XIX-XX სს ქართული მუსიკალური ნიშნები (ანანია ერქოშიაშვილის მიერ ხალხური სანოტო ნიშნებით ჩაწერილი სპორტილი საგალობელი „სიყვარულმან მოგვიყვანა“).

ვ. გვახარია ავრთვე აღნიშნავს დიდი ხნის წინათ ცნობილ ფაქტსაც, რომ „ვარდა მუსიკალური ნიშნებისა, ტექსტში იხმარება ვამყოფი პუნქტუაციის ნიშნები“ და მოყვებს მათი

სხვადასხვა გრაფიული მოხაზულობა, ამ ნიშანთა სხვადასხვა მუსიკალური გამოყენების მომენტთა გათვალისწინებით.

ეროვნობის ამგვარ ნიშნებს ავტორი მიძღვრს მოდერული ეპოქის დახასიათებისას (თავში „X ს-ის ისტორ. მიმოხილვა“). ამ თავის სათანადო შენიშვნები ცხადყოფენ, რომ ვ. გვახარია კარგადაა ორიენტირებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენ არ ვთვლით თავს ამ საკითხების მოკლედ და თუ ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, როგორც არა ისტორიკოსის, ამის საფუძველია ნაშრომის ვრცელი მეცნიერული აპარატურა, რომელიც არც ჩვენთვისაა მთლად უცხო რამ. ყოველ შემთხვევაში, საექვზო არ უნდა იყოს ვ. გვახარიას დასკვნა (რაც მის მიღებული აქვს თავით „ილუზორი“ ჩვენებათა და სხვა წყაროების შესწავლის საფუძველზე), რომ „ქრონოლოგიურად მიქელ მოდერული ტექსტი ემთხვევა დავით დიდი კურაპალატის, ერისთავთერისთავის, ტაოს მეფის (გვ. 1001 წ.) ეპოქას.“ ერთი ხომ უეჭვად იტყობა — მიქელ მოდერული ძველი სწორედ მე-X საუკუნისაა და სინქრონულობის ეს მომენტი ნაშრომის ავტორის სასარგებლოდ წყვეტს საკითხს.

ჩვენთვის, როგორც ქართული ვერსიფიკაციის მკვლევარისათვის, განსაკუთრებით საყურადღებოა აღწერილობის მე-5 თავი „X საუკუნის დამწერლობითი და ლიტერატურული ძეგლების მიმოხილვა“, უფრო ამ თავის ის ნაწილი, რომელიც „დასდებულს“ (ე. წ. ტროპას), იამბიკოსა და მის სპოზს (12 მარცვლოვანს) აგრეთვე კონტრაქციონებს და „კანონების დამკვიდრების“ ანალიზს ეხება. ამასთან, როცა ვ. გვახარია ჩამოთვლის ანდრია კრეტელის, იოანე დამასკელის, კოზმან იერუსალიმელის (იგივე მიუხეილი, ლაზელი; ა. გ.) „კანონების“ ცალკეულ ნიმუშთა სახელწოდებებს, ასკენს: „ანალიზშია, რომ სამივე ავტორი: ანდრია კრეტელი, იოანე დამასკელი და კოზმან იერუსალიმელი ერთი და იმავე ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიქელ მოდერული კრებულში მხოლოდ მათი ნაწარმოების შეტანა და მათ მიერ ბიზანტიურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ „კანონების“ გადმოტანა, ქართულ ჰიმნოგრაფიაში მიუთითებს მიქელ მოდერული ლიტერატურის მიმდინარეობის ლიტერატურულ მისწრაფებებზე. მიქელ მოდერული ქართულ ჰიმნოგრაფიაში ვეგვლინება ამ სკოლის მიმდევრად და მის დამამკვიდრებელად.

ამ სკოლის დამსახურებაა „კანონების“ დამკვიდრება, რომლებმაც შესცვალეს რომანოსის კონტრაქციონები... კანონები შედგება ცხრა პანისიკანს, ან სიმღერისაგან. თვითიველი სიმღერა სამ, ან ოთხ სტროფს შეიძლება, ყოველ ოდეს საკეთარი

რეფრენი გაახნია, ოდის ყოველ სტროფში ტაქების გარკვეული რაოდენობა განიჭო. აქრისტებელ ფორმას შეესაბამება.

იოანე დამასკელის ნიშნაგება ავტორი პოეზიის ლექსწყობის მისწავლისადმი არ ჩანს შემთხვევითი, მან მოინდომა კვანტიტატიურ ტაქების შემოტანა. შემდეგ ავტორი განიხილავს ასეთი ტაქების მულოდერ სტრუქტურას.

ზემოთ მოტანილი მოსაზრებანი არაა ახალი. მათ შესახებ ლაპარაკობს აკად. კ. კეკელიძე, ხოლო სპეციალურად და ვრცლად — პროფ. ს. ყაუხჩიშვილი თავის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის პირველ, 1949 წ. გამოცემაში (მდრ. მისივე „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“, თბ., 1963). ყვრბოდ ჩვენი „ქართული კლასიკური ლექსის“ (1953) გარკვეული გვერდები არ დაიწერებოდა ს. ყაუხჩიშვილის ამ ნაშრომისა და პ. მათის გამოკვლევების გარეშე (ამ უკანასკნელზე ჩემი უზრუნველბა საგანგებოდ მიაქცია, ჭერ კიდევ სტუდენტობის წლებში, მარად დაუვიწყარმა გრიგოლ ფილიპონის ძე წყრეთელმა, რაც საგანგებოდ გვაქვს აღნიშნული კიდევ მის შესახებ დაწერილ ესეში. (ქართულ ლექსწყობაზე მოხსენება პირველად წაეკითხეთ შწ. კაქობიანი 1929 წ.).

ვ. გვახარია, რასაკვირველია, კარგად იცნობს ამ შრომებს. იგი მათ ათერატვის ასახვლებს შორშან გერმანულად გამოქვეყნებულ შრომაშიაც ქართული ჰიმნოგრაფიის შესახებ. აქაც, მიქელ მოდერული კრებულის აღწერილობაში და „ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარებაში“, კ. კეკელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის შრომებზე მას სწორად აქვს მიითთებული, მაგ. იოანე დამასკელის კანონის სტრუქტურის ანალიზის დროს, აგრეთვე იამბიკოზე მსჯელობისას — რომ თორმეტმარცვლიანი ლექსი კანონსა და იამბურ ტრიმეტრში იყოფა ცენტრით ასე — 5+7 ან 7+5 (იშვითად), მათ მახვილი ეცემათ ტაქებს მეტწილად ბოლოდან მეორე მარცვალზე და რომ ტაქში პაროქსიტონიანი სიტყვით მთავრდება. აგრეთვე — რომ აკროსტიხი, რომანოსის მიერ შემუშავებულ კონტრაქციონსაგან განსხვავებით, ემყარება სტრიქონებსა და არა სტროფებს, ა. შ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის შეხედულებათა გადმოცემის დროს ვ. გვახარია თავის აღწერილობის ტექსტში დასმული აქვს შენიშვნის რიცხვი „31“, ხოლო თვით შენიშვნების სათანადო ადგილას დასახვლებულია „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მე-11 ტომის გვ. გვ. 478-491. მაგრამ წიგნის გვერდები არაა სწორად მიითთებული. ამ საკითხებზე პროფ. ს. ყაუხჩიშვილი მსჯელობს წიგნის 419-423 გვერდებზე. გარდა ამისა, აღწერილობაში ვ. გვახარია წერს: „იოანე დამასკელის სახომი იმეტრ იქცა თორმეტმარცვლიანი მეტრიულ სისტემად, რომ ხმოვან-

თა სიგრძის დაქარგეთ იმ ეპოქის ბიზანტიურში იამბი ველარ იქვა ტრიბრაქად (U U) . ამ

აღვლეს წყაროს აღმნიშვნელი ციფრის არ უზის.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი ამ საკითხზე წერს:

„კანონი“ ზველაზე თვალსაჩინო წარმო-
მადგენელმა, იოანე დამასკელმა, მოინდომა კი-
დედაც კვანტიტეტიანი ტაგებში შემო-
ვლო. მან თავისი „კანონები“ იამბური
ტრიმეტრიით გამართა, რასაკვირველია,
იოანე დამასკელს იამბური ტრიმეტრი უფრო
მეტად ბიზანტიური აქცენტიანი ლექსია, ვიდრე
ანტიკური კვანტიტეტიანი. ვინაიდან ბიზანტიელ
აღარ ანსჯავენდა ვრძელსა და მოკლე ზმონებს
(მათი „სისქრონობის“ გამო), იამბი მოკლებუ-
ლი იყო სამედიტაციის ტრიბრაქად (U U)

დალაქცეოლიყო და, მასთანავე, ყველა ტაგში
თორმეტმარცვლისაგან შემდგარი აღმოჩნდა...
იმჯერად, იოანე დამასკელის იამბურმა ტრი-
მეტრმა მოგვცა ბიზანტიური სილაბური თო-
მეტმარცვლოვანი ლექსი, რომელსაც
აქვს კანონობიერი ცნულება 5 ან 7 მარცვლის
შემდეგ, იამბური ტრიმეტრიდან მიღებულ
თორმეტმარცვლოვანს იმაშიაც ვერცხობა ბიზან-
ტიურობა, რომ ტაგების ბოლოს ზვეულებრივი
მოვლენა პაროქსიტონიანი სიტყვა,
ე. ო. ტაგების მოღიბთ მახვილი ბოლოდან მე-
ორე მარცვალზე“ (ს. ყაუხჩიშვილი, „ბერძნუ-
ლი ლიტერატურის ისტორია“, 1949, ტ. II,
გვ. 420; შდრ. მისივე „ბიზანტიური ლიტერა-
ტურის ისტორია“, გვ. გვ. 168 და 171-173).

ე. გვახარიას უნდა მიეთითებინა ამ წიგნებზე.
საქმე იმაში კი არაა, ვინ გამოარჩია თაუდა-
პირველად ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები ბი-
ზანტიური ლექსისა (თვითონ ს. ყაუხჩიშვილი
თავისი შრომების ყოველი თავის ბოლოს ასა-
ხელებს საკითხზე არსებულ ძირითად ლიტერა-
ტურას, ერთგან საგანგებოდ შენიშნავს კიდე-
რაც: „თორმეტმარცვლოვანი ლექსიც,
როგორც ეს გამოარკვეულია მასისის მიერ,
ამავე საფუძველზეა აგებული...“ (სებრძნ. ლიტ-
რისტ“; II, გვ. 301), საქმე იმაშია, ეს თ ეკუთ-
ვნის ქართულ ფილოლოგიაში
პირველი და ვრცელი მიმოხილ-
ვა იმ საკითხებშისა, რომლებსაც ე. გვა-
ხარია ეხება (მით უმეტეს, თუ ეს მიმოხილვა
ეკუთვნის გამოჩენილ ბიზანტინისტს, რომელიც
ბერლინის უნივერსიტეტში მსოფლიოში ცნო-
ბილი მსვენების კარლ კრემპლბერის ლექცი-
ებში იმდენდა, მასთან ერთად ზოგჯერ კთვეში
შიორთმევედა უყავს, ხოლო უნივერსიტეტის დე-
რეფენებში გვერდით აღდებოროიდან გამო-
სულ აღბერტ აინშტაინის მიმოხერას ადევ-
ნებდა თვალს. მაგრამ ეს სხვათაშორის, —
ჩვენს შორის მყოფი მეცნიერის ბიოგრაფიის
რამდენიმე შესანიშნავი შტრიხის ვასაცნობად
შეთხველისათვის).

ამიტომ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ვალ-
ლებული ვართ მივითითოთ ქართულ ფილოლო-

გიაში პირველად მოტანილ ცნობაზე. მაგრამ
ე. გვახარიას აშორებებს ეს გარეყოფა, რომ
მიქელ მოდარეკლის კრებულის აღწერილობის
შენიშვნებში საგანგებოდ აქვს აღნიშნული: ბი-
ზანტიური „ლექსის ანალიზისა და სტრუქტუ-
რის საკითხებზე ვემყარები ვესტფალის, ე. ვე-
ლემისა და ს. ყაუხჩიშვილის შრომებში“. სა-
უკეთესო ტარებმა დასახელებული!

იქვეა დასახელებული ე. იმედაშვილის დაბე-
დილი შრომაც ქართულ საგალობლებზე.
აღწერილობის 0995 გვერდზე ერთერთი კა-
ნონის (ერძოდ სტროფის — „ვარსკვლავთა
მოგუთა“) ანალიზისას ე. გვახარია წერს:

„ამ კანონის საწყისი სტროფი პ. ინგოროყ-
ვას ვადმოცემით იწვევა „წილით წმიდით“.
აღბათ ეს კანონი მას სხვა ხელნაწერის მიხედ-
ვით აქვს შესწორებული, რაც შეეხება ხელნა-
წერში მოცემულ წერტილებს, არც ისინი შე-
ესაბამებთან ყოველთვის, როგორც დაინახეთ,
ქართული ნუსხის მიხედვით, ლექსის სტრუქ-
ტურას“ და მოყავს სხვა ნიმუშები ბერძნული
პარალელუბით.

ნიმუშებზე დაკვირვება არავითარ იტვს არ
ტოვებს ე. გვახარიას შენიშვნის სისწორეში.
ამასთან, ქართული ნიმუშის ბერძნულთან შე-
დარებას, რაც 12 მარცვლოვანს მეტრს ცხად-
ყოფს ირივე ენის სალექსთწყობო სტრო-
ფებში (ძირითადი სქემათ 5+7=12), საზოგა-
დოდ ქართული იამბიკოს სტრუქტურის ანა-
ლიზისათვისაც აქვს მნიშვნელობა.

საერთოდ ტექსტის აღწერილობის ეს ნა-
წილი მრავალი მნიშვნელოვანი დაკვირვებუ-
ბითაა მდიდარი, ეგრძოდ — ეარგლდა განა-
ლიზებული ნახევარსმოვანთა და დიფთონგ-
თა როლი ქართულ საგალობლებში (როგორც
ამ თავში, ისე მომდევნო, ბოლო თავში —
„ზოგერთი ენობრივი მოვლენების მიმო-
ხილვა“).

როცა პატ. მეკლევარს იზიარებს ჩვენს მიერ
მიქელ მოდარეკლის რამდენიმე იამბიკოს მეტ-
რულ ანალიზს, იგი ერთმანეთს ადარებს ქარ-
თულ თარგმანსა და ბერძნულ ორიგინალს და
აშკარას ხდის მათი შეტრული ფორმულისა და
მუსიკალური მხარის განსხვავებებს. ეს მოსა-
ლოდენი იყო. ე. გვახარიას დაკვირვება სა-
დოდ არაა.

საერთოდ ე. გვახარია ეარგად ხსნის „მუსი-
კალური ბგერისა და ლექსის მარცვლობრივი
სტრუქტურის თანშთხვევის არა თანაზომიერე-
ბის“ მოვლენებს. ვალობისათვის ან რეიტაცი-
ისათვის ვანუთენილ ბიზანტიურ საგალობელ-
ში ეს მოვლენა a priori იგულისხმება. მე-
ტრე: თუთ ელასიურის (ელანურის) პერიოდის
ლექსში (რომლის მეტრული ჩარჩოები უდი-
დესი დახვეწილობითა და უსწორესა რიტმულ
პროპორციებით ხასიათდება), მისი რადსოდულ
ამღრებების დროს მუსიკალური ინტერპრეტა-

ციის ზასიათი, როგორც ჩინს, ყოველთვის არ ემთხვეოდა ტექსტის მეტრულ სტრუქტურას. ამიტომაც, რომ ბერძნულ კლასიკურ ლექსში არსებული შესავალური მახვილის ბუნება დღემდე არაა საბოლოოდ გარკვეული. ეს საკითხი ბერძნული მეტრიკისა ვერ გადაწყვეტს მკვლევარებმა — ვესტფალიდამ და გლუდონილან მოყვლებულმა დღემდე.

ჟ. ვეხარაის მოყავს ბერძნული საგალობლის ნიმუშები ნოტებითრთ და ასკენის: „...არსებითად არა ტექსტის მარცვლობრივი რაოდენობა, არამედ თვით ის სიმეტრია, რომელიც მუსიკალურ ლიტერატურაში იოანე დამასკელის სახელთან არის დაკავშირებული, ესაა ოქტოგონოსის ხმათა კონსტრუქციის პრინციპი, რომლის საფუძველიცაა გარკვეული, დაკანონებული მელოდიური სტრუქტურა, ან ჰანჯე და ამ ჰანჯთან შეფარდებითაა ტექსტის მარცვლობრივი მხარე გამართული. შესრულების დროს, მის მუსიკალურ ფაქტურასთან შეფარდებით, ტექსტი იძლევა საფუძველს მელომატიკისათვის, თვით ჰიმნის კონსტრუქცია არ უშვებს რეფრენის შესაძლებლობას, ხმის საფუძველი, როგორც ცნობილია, არის ძლიერი და სუსტი მარცვლობრივი ელვრადობების გარკვეული ტაქტების ოდენობაში ერთმანეთთან მთავრდება. ვალდისა ლექსის ფორმულსაცან, იმავე ხმის მელოდიის სტრუქტურით, უმნიშვნელოა და მუსიკალური მხარე ზღვება ხშირ შემთხვევაში, რომ იამბური ლექსის სტრუქტურა, რომელიც „კანონს“ ექვემდებარება, დიორლესს. ამის გარდა მისი და რვევები, რაც წარმოადგენილია ჰ. ინგოროყვას მიერ გაანალიზებულ ლექსებში... ბუნებრივია, როგორც ქართულისათვის, ასევე როგორც ვხედავთ, ბიზანტიურისათვის. მისი შესწორება აქვარა შეცდომა და მორტვევებელია ტექსტის დადგენის დროს“ (დაყოფა ჩვენი ა. გ.).

სრული ჰემარიტება! ეს დებულება კარგად დასახსოვებელია. მას კარდინალური მნიშვნელობა ენიჭება ქართული საგალობლების კვლევის დროს. თანაც იგი ძირფესვიანად ანგრევს ქართული საგალობლების სიმეტრიულ პროპორციებში ჩამოსხმის ცდებს სხვადასხვა რეკონსტრუქციების გზით. ჩვენის მხრით ნათელყოფთ ამ ასოლურ ჰემარიტებას ისტორიულ ვესკურსითა და დამატებით ფაქტებითა და უმნიშვნელოთ.

ბიზანტიური მუსიკისა და ჰიმნოგრაფიის შესწავლას დიდი ხნის ისტორია იქვს. პროფ. ს. ყუბნიშვილმა „ფეოდალიზმის გენეზისის პერიოდის ბიზანტიური ლიტერატურის“ მიმო-

ხილვისას სპეციალურად გაღმოსცა „ბიზანტიური რიტმიული პოეზიის“ (გენევესენება VII-X ს. ს.) შესწავლის ისტორია (ს. ყუბნიშვილი „ბერძნული ლიტ-ის ისტორია“, 1949, ტ. II, გვ. 386-390. ბიბლიოგრაფია იქვე — გვ. 390). მაშინ, როცა Egon Wellesz-ი თავის კამიტალურ ნაშრომში A history of Byzantine music and hymnography (second edition, Oxford, 1961)

ძირითადად მყოფილდება პიტრასა და კრისტის შრომითა მოკლე მიმოხილვით (გვ. 5-7; „III: j.-B. Pitra and W. Christ“) და მის მიმოხილვაში ზაზვამულია უმთავრესად ერთი ძირითადი მომენტი — ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში რომ დასახლებულმა მკვლევარებმა დაინახეს „იზოსილაბური სტრუქტურა“ (გვ. 6. „...isosyllabic structure...“), — პროფ. ს. ყუბნიშვილი სხვა ფრიად მნიშვნელოვან მომენტებზედაც მიუთითებს. იგი წერს: „პირველად ჰიმნებში სტროფული წყობა შენიშნა პეტრებურველმა მკვლევარმა კონსტანტინე იკონომოსმა. მან თავის შრომაში „ბერძნული ენის ნამდვილი გამოთქმისათვის“ (პეტერბ., 1830) ჰიმნების მელოდიების საშუალებით მიავნო, რომ ეს ჰიმნები სტროფებისაგან შედგებიან, ხოლო სტროფებში ტაქტული განიზიგვიან თავითი მახვილითა და მარცვლობა რაოდენობით, როგორც ვხედავთ, იკონომოსმა აღნიშნა რიტმიული პოეზიის ორი დამახასიათებელი მოვლენა: აქცენტაციანობა და სილაბურობა. ეს ის ძირითადი მოვლენებია, რომლებიც საფუძვლად უდევს ევროპულ მკვლევართა Mone-ს და კარდინალ Pitra-ს აღიზიგვანს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის რიტმულობის კანონთა შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იკონომოსმა, მონემ და პიტრამ, ერთმეორისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს ეს კანონები, მაგრამ საჭიროა იცოდეს შეითხველმა, რომ იკონომოსის შრომა დაიწერა პეტრებურგში 1830 წელს, მონეს „Litnische Hymnen des Mittelalters“ 1853-1855 წლებში (სამ ტომად), ხოლო პიტრას ორი გამოკვლევა... 1867 და 1876 წ. უცნაური ამბავია, რომ 30-40 წლის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩეს მკვლევარს მის სპეციალურ დარგში მომხდარი აღმოჩენა“ (II, 386).

მართლაც უცნაური ამბავია მაგრამ ჩვენიმაც, მეცნიერებამიც, ხომ არა ნაღლებ უცნაური ამბები ზღვება. მაგრამ ასეთ ამბებზე უფრო დაწერილობით — ჰქვითათ.

E. Wellesz-ი, რასაკვირველია კარგად იცნობს მონეს შრომას (A history... 4. შენიშვნაში და სხვაგან), მაგრამ არაა დასახლებული იკონომოსს მიუხედავად ამისა, არ ვიქნებოდით მართალი, თუ ინგლისელი მკვლევარის ერთდღიანი მიზნით უმადური დავრჩებოდით. მისაექსტრისი პიტრას წინადადებელი ევროპელი

ავტორების (მაგ. ბერძნული ენის პალეოგრაფისტთა) შრომების მიმოხილვის მოიცავს. (A hystory... გვ. 1-5). ორი ბიზანტიანისტი, Wellesz-ის და ს. ყუბჩინიშვილის მიმოხილვები ერთმანეთს ავსებენ.

ე. ველეშის წიგნი, რასაკვირველია, მოიგებდა, რომ ის იცნობდეს პროფ. ს. ყუბჩინიშვილის შრომას. თუ რამდენად საჭიროა ეს, ამას ცხადყოფს თუნდაც კიდევ ერთი მაგალითი.

ს. ყუბჩინიშვილს მოჰყავს რომანოზ მელოდოსის „იბაკონი“-ს ქართული თარგმანი (II, 416-418). ამ ნაწარმოებში ავტორმა საცილობელია და ქართული თარგმანის სათაურში დასახელება რომანოზია, ჩვენი აზრით, სავსებით ამაჯობებს ამ ჰიმნის რომანოზისადმი მიუთითების დღემდე საცილობელ ჰიმნობას. ძველმა ქართველმა ჰიმნოგრაფებმა კარგად იცოდნენ თუ ვის ეუთვნოდა მათ მიერ თარგმნილი ესა თუ ის ჰიმნი!

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტიც.

ე. ველეში კარგად იცნობს ავად. კ. კეკელიძის მსოფლიო მნიშვნელობის გამოცემას, კერძოდ მის „იერუსალიმის ვანჩინებსა“ (K. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века. Тб., 1912), მკვლევარს მასზე და მითითებული აქვს შენიშვნაში მდიდარი ლიტერატურა აღნიშნულ ძეგლზე (A hystory... გვ. 131). უნდა გავხსოვდეთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ადვილად მოუპოვებია იერუსალიმის ვანჩინების მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ და ჰიმნოგრაფიის გამოჩენილ მკვლევარს უსარგებლად გ. ფ. წერეთლის ერთი შრომითაც (კერძოდ — სომოლევსკისთან ერთად გამოცემულ Exempla codicum Graecorum-ის 2 ტომით, რომელიც პეტ-ში დაბეჭდა 1911 და 1913 წ.წ. იხ. Wellesz, 440).

მაგრამ დავუბრუნდეთ ისტორიულ ექსკურსს, რაც ეგზეზის საჭიროა ე. გვახარიას ნაშრომთან დაკავშირებით.

მანკ პიტრა ყველაზე მეტად მიუახლოვდა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საიდუმლოებს. მან მიაგნო (1867 წ.) გრამატიკოს თეოდოსი ილეკსანდრიელის ერთერთ სქოლიოს ირმოსისა და ტროპარის შესახებ (ს. ყუბჩ., II, 388) და ამ სქოლიოს მიხედვით იზოგა ვასალები ბერძნული საგალობლების სტროფული სტრუქტურისა, რასაც თავისი ორი შრომა მოემყვანა („ბერძნული ეკლესიის ჰიმნოგრაფია“, 1867 წ. და „Analecta sacra... 1876 წ.; იხ. ს. ყუბჩინიშვილი, II, 388. შტრ. Wellesz, გვ. 5-7). აშკარა გახდა, რომ ბიზანტიურ რიტმული პოეზიის ძეგლებს ახასიათებდა სილაბურობა. კრისტმა მათში აღმოაჩინა მახელები და დადგინდა, რომ ბიზანტიურ ლექსს ტონურობაც ახასიათებდა. შემდეგ ეს საკითხები უფრო დაზუსტდა: სილაბურობა მკაცრად არ ვრცელდება

ყველა ტიპზე (განსაკუთრებით ტროპარების ტიპებზე), ხოლო მათში საგალობლებშიც ფილა ორი მახელი — ცუბურებიც და ტიპების ბოლოს, ე. წ. პაროქსიტონაცია, რაც ბერძნულ-ბიზანტიურ ლექსსწერებას თავიდანვე მოსდევს (ს. ყუბჩინიშვილი, 3, მასი), რომ ბერძნული ლექსსწერება ძირითადად სილაბურია, რაც აგრეთვე ახასიათებს რომანულ ენებს, ხოლო სლავური ენებიდან — პოლონურს (უფრო დაწვრ. ქვემოთ).

პიტრას მთავარი დამსახურება იმაშია, რომ მან დაადგინა სტროფული შედგენილობა ჰიმნებისა. თვითუფრო ჰიმნი შედგება სამდენიმე სტროფისაგან. პირველს ეწოდება ირმოსი (ქართულად „ძლისპირი“), რომელშიაც შერჩეულია სალექსო საზომი (რაც იმას რადი ნიშნავს, თითქმის ყველა ძლისპირი დამოუკიდებელ მეტრს შეიცავს), ელო (ან მელოდიი), ტაქთა მარცვლების რაოდენობა და ა. შ. მომდევნო სტროფებს ეწოდებათ ტროპარები (ქართულად „დასდებელი“, „მუხლი“ ან იგივე „ტროპარი“ (ე. ველეში). ტროპარი ირმოსის მოდელირებას წარმოადგენს მთელ ჰიმნში — იგი უკვე ყველა ამ მეტრშია და სილაბურად დაბეჭდვით იმორებს ირმოსს (როგორც ბერძნულში, ასევე ქართულში).

ბიზანტიურ საგალობლებს ახასიათებთ აგრეთვე რეჟენი (მინამღერა); აკროსტიხი (კიდურწერილობაც), ხოლო აქა-იქ ემბროზალური რითმაც (ქართულში — რითმა ვეხვდება მხოლოდ სამდენიმე იამბიკში. იგი სპორადული ხასიათისა ბერძნულშიაც (იხ. ჩვენი „ქართული ელასიკური ლექსი“, 1953).

პიტრას ძირითადი დასკვნები ბერძნული ჰიმნების სტროფიკის მიმართ სავსებით გამართლდა, რაც შეეხება ყველა სტროფში ერთმარცვლიანობას ამ ტიპებში მახელითა კანონზომიერებას ირმოსთან მიმართებაში (კრისტა) — არ გამართლდა.

მიუხედავად პიტრასა და კრისტის დიდი დამსახურებისა, ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ მათთან პოლემიკის ერთი მაგალითი, ამ პოლემიკას უშუალო კავშირი აქვს ე. გვახარიას ნაშრომთან, აგრეთვე ქართული ჰიმნოგრაფიის შესახებ ქართულად დაბეჭდილ ზოგადერთ შრომასთანაც.

ბერძნულ-ბიზანტიური საგალობლების ცნობილმა მკვლევარმა Е. И. Ловягин-მა, ავტორმა შესანიშნავი მონოგრაფიისა «Богослужбные каноны на греческом, славянском и русском языках» (СПб, 1861) პიტრას შრომების გამოკვეყნების (1867 და 1876 წ.წ.) შემდეგ, სწორედ 1876 წელს, დაბეჭდა დიდი სტატია სათაურით «О форме греческих церковных песнопений» (იხ.

Христианское чтение, СПб, 1976, март—апрель, стр. 431—491). ლოვაგინის ორივე შრომას ასახელებს ს. ყუბზინიძე (II, 389-390), მეორეს კი — ჩვენც (იხ. აქართული კლასიკური ლექსი“). ამ ნარკვევში ავტორმა გამოთქვა მოსაზრებანი, რომლებიც ბევრ რამეში წინ უსწრებენ გამოჩენილი ბიზანტიანისტების — ა. ეპალიფეის, ფ. უსპენსკის, ვ. შეიერის, კ. კრუმჰაზერის, პ. შაასის, გ. ველუშის და სხვების შრომებში გამოთქმულ შეხედულებებს. ჩვენ სრულიად შეგნებულად მივმართეთ ამემაღ დავიწყებულ (მარტო სპეციალისტებისათვის ცნობილ) ამ სტატიას, რათა ეაჩვენოთ — ის რაც სრული უეჭვობლივით იყო და ლოვაგინმა 1876 წელს, არ იცის (ან არ უნდა იცოდეს) ზოგაერთმამ მკვლევარმა დღეს!

ღ. ლოვაგინი იწყებს იმ ცდების კრიტიკით, რომლებში მიზნად ისახევენ ბიზანტიურ საგანობლებში ბერძნული კლასიკური მეტრიკის წესების აღმოჩენას. ლოვაგინი კატეგორიულად მიუთითებს, რომ «в целом круге богослужебных книг нет ни одного песнопения, составленного собственно по правилам классической метрики» (439); ეკლესია საერთოდ გაუბოდა „წარმართული ელემენტების“ გამოყენებას ჰიმნოგრაფიაში, მიუხედავად იმისა, რომ თედორე სტუდიტის ქმნილებათა გამოყენებელი ორი ბუნდობლივად სწავლარი, ტუსტენი და ტისსინი (XVIII) დაწმუნებულნი იყვნენ, რომ ბერძნულ ტრაპარებში იმალება ბერძნული ლირიკული ოდებისა და ქორიკული პოეზიის რიტმიო (გვ. 438. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ რომ ზოგი დღესაც ცდილობს მე-18 საუკუნის სტიქოლოგური აზროვნების ხანას დაუბრუნდეთ).

«Необыкновенное употребление точек. — говорили они, — открывают в канонах и стихирах сокрытые стихи, так как тропары взаимно соответствуют посредством симметрических делений, то нельзя не видеть здесь стихов; большая часть греческих молитв составлена таким образом; впрочем трудно описать стихи гимнографов и еще труднее определить их природу и свойства» (438—439).

იქედან ცხადი ხდება, რომ წერტილების ვითომდა მეტრულ დანიშნულებაზე ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში უწერიათ. ზოგი კი ამ გარემოებას თავის „აღმოჩენად“ თვლის. თუ რამდენად სწორია ჯერ კიდევ ლოვაგინის მიერ გაკრიტიკებული ასე-

თი შეხედულება — ამას ქვემოთ დავინახავთ.

ლოვაგინის ისიც აქვს აღნიშნული, რომ წარმართობაზე ქრისტიანობის გამორჩევის შემდეგ, ერთეიკოსები, მართალია, ჯიუტად ცდილობდნენ დაენერგათ ხალხში თავიანთი მწვალებლური შეხედულებანი ლექსითი ფორმის საგანობლებით, რომლებიც ბერძენი ლირიკოსებისა და ტრაგიკოსების ოდებისა და ქორიკის ნიმუშების მიბაძვით იყვნენ შედგენილნი. ასე იტყვიან, მაგ. ერთეიკოს-მწვალებელთა მიბაძვით მინიქველნი,¹ არიანელები, მეღვთიანე-

1 პ. ინგროსევა წერს („მნათობი“, 1959, № 6, გვ. 133): „წყობილი სიტყვა“ მიღებული ყოფილა აგრეთვე ანტიკური ხანის ირანულ პოეზიაში. ასე, როგორც ამ ბოლო ხანში იქმნა გამოვლენილი, „წყობილი სიტყვის“ ლექსწყობით არის დაწერილი მინიქვერი ჰიმნები ფალურ (პართულ) ენაზე (იხ. Manichean hymn cycles in Parthian, by M. Bouce. Oxford university press., 1954)“. (დაყოფა ჩვენია. ა. გ.). ასე არ ყოფილა მინიქველების ჰიმნები — სილაბური წყობისა — დიდი ხანია გამოვლენილია, რასაც ლოვაგინის ზემოთ მოყვანილი ცნობაც ადასტურებს. მაგრამ ვანა მართკ ლოვაგინის ცნობა?

მინიქვერი ტექსტები იპოვეს ცნობილ ტურფანის ოაზისში. ახლად მოპოვებული დიდი ნაწილი მინიქვერი ტექსტებისა გამოქვეყნებულ იქმნა „ბერლინის აკადემიის ცნობებში“ 1904 წელს ფ. კ. მიულერის მიერ, ტრანსკრიპციით, მაგრამ მათი წაყოფა მოხდა მას შემდეგ, რაც სიტყვების დადგენდა პირვანდელი სემიტიკის სახე (მინიქვერი აღფაბერი სირიული აღფაბერის საფუძველზე იყო შექმნილი). 1906 წელს გამოჩენილმა რუსმა ირანისტმა, აკად. კ. ზაღმაშვილმა გამოისცა ტექსტები ახალი ტრანსკრიპციით — დამატებითი ნიშნებით და კვლარატული ფრჩხილებით. ეს ტექსტები ფრავმეტება, ზოლო ცალკეული ტაბები, როგორც ჩანს, ჰიმნების დასაწყისია. კ. ზაღმაშვილის მიერ ამოშიფრული ტექსტთა გაგება შესაძლებელი გახდა: დადგინდა, რომ მინიქვერი ტექსტების ზოგი ფრავმეტი შეიცავდა ლექსებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მინიქვერი ლტერატურაში არსებობდა ლირიკის ეანრი. ამ ლექსთა ფორმა ისეთივეა, როგორც პართული (ფალური) ეპიკური ძეგლებისა: რითმა არაა, საზომი სილაბური, თერმეტმარცელიანი. ტაბში ეს საზომი ატარებს ცეზურას მესხეთე მარცვლის შემდეგ. მინიქვერებს ჰქონიათ კიდევ სხვა საზომის მრავალი ჰიმნი. ეს ყველაფერი ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1908 წელს (იხ. დაწვრი. E. H. Bertels. Избр. соч., т. I. Исто-

ლები ალექსანდრიაში, აპოლინარიოსისა და პეტლე სამოსტელის მიმდევარნი აღმოსავლეთში და მრავალი სხვა, სხვადასხვა ადგილას (მაგ. სირიაში) და ა. შ. დასავლეთში ამბროსი მედიოლანელმა შემოიღო აღმოსავლური ანტიფონური გალობა და ლათინურ ენაზე შეადგინა ჰიმნები კლასიკური მეტრიკის წესების მიხედვით, ისინი შემდეგ მისაბამ მავალითებად იქცნენ დასავლეთში. მაგრამ ბერძნულ-აღმოსავლურ ეკლესიაში (რომელიაანაც უშუალოდ იყო დაცემიერებული ქართული ეკლესია, ა. გ.) გზას უხმავდნენ ასეთ ერტიკულ განხრებს ჰიმნობრაფიაში სხვა საშუალებებით. მაგ. ათანასე ალექსანდრიელმა მას დავთრისპირა დავითის ფსალმუნთა გალობა ეკლესიაში. რაც, გენაულურ ნეტარი ავგუსტინეს (IV ს.) მოწმობით, უფრო მიაგავდა სიმღერას (იმეჟად გამოჩვენულია — იგი მიაგავდა მუსიკალურ დღეამაციას ან რეჩიტატივს). ასე იყო ქართული ეკლესიაშიც (რასაკვირვლია, წმინდა გალობის გვერდით, რაზედაც აკად. კ. კეკელიძე მართებულად მიუთითებს), ე. ი. ჰიმნობრაფიის გარკვეულ ეტაპზე გაიშარა ეტაპი ეტაპული ფსალმობრიაში. კონსტანტინოპოლში იოანე ოქროპირმა ათანასესზე უფრო მკაცრად გაილაშქრა მეტრული ჰიმნების წინააღმდეგ და ბიზანტიის სატაბო ქალაქში დანერგა აგრეთვე აღმოსავლური ანტიფონური გალობა დავითის ფსალმუნებისა, მაგრამ ყოველგვარი ცვლილებების გარეშე, რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია ეკლესიის ზოგი დიდი მამისათვის, მაგ. გრიგორ ნაზიანზელისათვის, თავისთვის ეწერა ლექსები დაქტობური, ქობულთა და იამბური საზომებით, მაგრამ, მიუხედავად ამ ლექსების მთლიანი მხატვრული ღირსებებისა, ეკლესიაში ისინი არასოდეს არ უგალობნიათ, არც წასაკითხად ან რეჩიტაციისათვის გამოუყენებიათ (ლოვიანინი, 444). არსებობდა საგანგებო დადგენილება საეკლესიო კრებისა (365 წ.), რომლის მიხედვით ეკლესიაში „უწმინდურ“ ჰიმნთა გე-

ლობა აკრძალული იყო. ცდები საგალობლოთა მკაფიო მეტრული წყობით ჩამოყალიბებისა — მარცხით მთავრდებოდა. გამოსაკლისებს წარმოადგენენ ანდრეა კრეტელის, იოანე დამასკელის, კოზმა იერუსალიმელის და რამდენიმე სხვის ჰიმნები, მაგრამ კერძოდ იოანე დამასკელის (VIII ს.) განთქმული სამი „კანონი“-ს გარდა სხვების ჰიმნებში მეტრული ფორმა დაცული არაა (იქვე 447). საკუთრივ იოანე დამასკელის „კანონთა“ ეკლესიაში მოსმენას კამათობდა თვითონ ამ „კანონთა“ ღრმა რეკლავიური შინაარსი და ჰიმნობრაფიის დიდი საეკლესიო ავტორიტეტი. ამასთან, თვით იოანეს „კანონები“ არ იყო საესეებით წმინდა მეტრული სისტემისა (447), რაც ამჟამად კარგად: ცნობილი და ახსნილი: VIII საუკუნისათვის (დაგვიღებთ ადრეც) უკვე დაკარგული იყო ბერძნული კლასიკური ლექსის ტრანსკრიპციონა (ბიზანტიურ ბერძნულში ხმოვანთა სიგარტისმოკლის გაქრობის შედეგად), ამგვარად, ი. დამასკელის „კანონებს“ ფორმა ბერძნული კლასიკური ლექსიწყობის ფორმითა გარეგნულ იმიტაციას წარმოადგენდა (ე. ველეში). ამ შეუსაბამობის გამო გერ კიდევ ლევიანინი წერდა დასაბუღებული „კანონებს“ უნდასებ: «...они же резим отличием своим от всех прочих песнопений церкви ясно показывают, как всегда были далеки и теперь далеки эти последние от действительной метрической формы поэзии» (448). ლოვიანინი მართალია!

მთელი ამ ისტორიის გაღმოცემის შემდეგ რუსი მკვლევარი ასკენის: «Итак на попытку некоторых ученых — отыскать поэтические элементы песнопений в классикометрическом их построении, следует сделать ответ отрицательный: эти элементы не заключаются и не могут заключаться в метрической форме их, потому что самых то метров такого рода нет в них» (450).

სრული პეშმარტივობა ასე ფიქრობდა ქართული საგალობლების შესახებ აკად. კ. კეკელიძეც. ეს პეშმარტივობა თითქოს „უარყოფილია“ ზოგის მიერ ამჟამად. ჭევემით ჩვენ დაეინახავთ — მოეპოვება თუ არა რეალური საფუძველი ასეთ უარყოფას და ისიც — აღმოჩინება“ გასაღებულს.

ლოვიანინი მაშინაც მართალია, როცა ეცხადებს — სხვა ხასიათის პოეტური ელემენტები ბერძნულ-ბიზანტიურ ჰიმნობრაფიას აქვს, ბევრ ნაწარმოებში («...во многих их») ასეთი ელემენტები მართლაც არისო. სწორედ ამ ელემენტებზე მიუთითა პირამ (არმოსებისა

რია персидско-таджикской литературы, М., 1960, стр. 84—87.

იქვეა მოტანილი რამდენიმე ლექსითი ტექსტი (თარგმანითურთ). ზოგისთვის კი ფალაური ჰიმნების არსებობა ჩვენში ცნობილი ვახდა 1959 წელს, ე. ი. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ.

ასე რომ პ. ინგროიყვის სიტყვები — „ამ ბოლო დროს იქმნა გამოვლენილი“ მანიქური ჰიმნობრა — სიმართლეს არ შეიძენენ და საკითხზე არსებული ლიტერატურის არა საკმარისი ცოდნით აიხსნება. საჭარბოვლოში „მანიქველთა ორდენის“ არსებობის პაპოთების ავტორს, ყოველშემთხვევაში, ეს არ შეუფერება!

და ტროპარათა აღმოჩენით) თავისი წიგნის — „ბერძნული ეკლესიის ჰიმნოგრაფია“ (1867) — წინასიტყვაობაში. ლოვიაგინი გადმოსცემს პიტრის შეხედულებებს ბერძნული ჰიმნების სტროფებზე და რომ ეს სტროფები იყოფიან ტრეპებად «...отделяемые одна от другой ощутительными образом голоса при пении, а в печатных книгах и рукописях запятыми, точками, красными и золотыми звездочками и т. п., независимо от строчных знаков препинания и надстрочных знаков для пения; эти строки бывают большею частью неравны между собой в каждой отдельной строке» (451). ლოვიაგინი წერტილებში საგალობლო ფუნქციას (მელოდიური პასაჟების აღმნაშენელ გრაფიკულ ნიშნებს) ხედავს. ამასვე აღნიშნავდა კ. კველოძე.

ახე შეტყუდუმი. ასევე ქართულში. ვ. გვახარიას ბერძნულზე (რომელიც ქართული ჰიმნების შესწავლასა და მუსიკათმცოდნეობის ერუდიციას ემყარება) ამასვე ადატურებს).

თავისთავად სინტერესთა აგრეთვე ლოვიაგინის შენიშვნა პიტრას მისამართით:

«На такое-то построение греческих песнопений особенно подобных (იგივე ტროპარები, ა. გ.) обратил свое внимание кардинал Питра и, выдавая его за собственное открытие, недавно и случайно сделанное по петербургским, московским и ватиканским книгам и рукописям, находит в нем поэзию, неизвестную или по крайней мере забытую самими греками» (451—452).

შენიშვნაში (№ 2) ლოვიაგინი აღნიშნავს, რომ პიტრას «мнимое открытие давно известно в Греции и России» და მოყავს ორი მაგალითი: ერთი: — 1730 წ. გოარის მიერ ბერძნულ ენაზე გამოცემულ „ექვოლოგიონიდან“ (351) და მეორე — „ერუსალიმის განჩინების“ მეორე თავი რუსული მღვდელმსახურების შესახებ 1792 წელს გამოცემულ წიგნიდან, სიტყვა „ირმოსის“ ქვეშ, რაზუმოვსკის შრომის «Церковное пенне в России» (1867, II, стр. 137). მიხედვით (Wellisz-ის მიხედვით J. Goar-ის „ექვოლოგიონი“ დაიბეჭდა 1648 წ. პარიზში. იხ. A history... 2. შტრ. იქვე, გვ. 136).

დამახასიათებელია აგრეთვე შენიშვნა იმის შესახებ, რომ თვითონ პიტრასაც აღნიშნავს — ზეერი საგალობელი ბერძნული ეკლესიისა არ იცავს კლასიკურ საზომებს; მათს ძებნას ბერძნულ ჰიმნოგრაფიაში პიტრა თვლის, როგორც

ლოვიაგინი თარგმნის, «трудом неблагодарным и бесплодным» (р. 7). (ლოვიაგინი, 453). პიტრას უყვია, რომ ბერძნული ჰიმნოგრაფია არ გამოყენებს არც დასვენების ხაზს (ამბროსი მედიოლანელი და სხვ.), არც ვარიაციულ ნაზიანზელის გზას (ლოვ., 453) და რომ „ძალზე მცირე გამოხატვის ვარდა ვაიმარცხა სილაბურმა რიტმმა“ (ლოვ., 453).

ქვემოთ დაინახავთ, რომ ასეთ „უხელოვო ცდებს“ ჩვენშიაც მიმართავენ).

ლოვიაგინი სვამს კითხვას, როგორც უნდა პიტრას „სილაბური რიტმი“. პიტრასაგან მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ „ჰიმნოგრაფიის საიდუმლოება იმაშია, რომ ჰიმნოგრაფებს ეზიზღებოდათ კლასიკური მეტრები და ამიტომ მიიჩნევიან „უცვლელ“ («неизменному») ელემენტს — „სილაბურ მარცვლიანობას“, რომელიც შემდეგ გაბატონდა ყველა შემდგომ პოეზიაში“ (454). ლოვიაგინი ვმეწინიერად ასწორებს ამ მცდარ დებულებას. მან იცის, რომ „მარცვლების გარკვეული რიცხვით თავისთავად შედილობა მეტრულ (ა. გ.) ბერძნულ და რომაულ კლასიკურ, ა. გ.) ლექსებშია. მაგრამ ამასში არ გამოიხატებოდა მათი პოეტური ელემენტი“ (454)! ამიტომ მართებულად აყენებს იქვს ქვეშ პიტრას აზრს ჰიმნების ტრეპებში ერთმარცვლიანობის „უცვლელიობის“ შესახებ: «И выражение: неизменный элемент — в настоящем случае не совсем понятно, когда достоверно известно, что число слогов в каждой строке почти каждого тропаря бывает различно, следовательно изменяется» (454).

ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვებია, ბერძნისათვის კარგად დასახსოვებელი.

ასევე ქართული საგალობლების ნიმუშებშია ცვლილება მარცვლიანობის ცვლილებით არ წუნდა და ეცივიწყოთ. ყოველგვარი ცვლილება საგალობლებში „სილაბური სიმეტრიის“ აღმოჩენისა — მარცხით უნდა დამთავრებულ იქონოს და როგორც ქვემოთ ზუსტად გამოვლიან კვევთ — მარცხით დამთავრდა კიდევ.

პიტრა ირმოსის სთელის ერთგვარ პრელუდიად ყველა ტროპარისათვის, რომლებშიც მისი აზრით ტრეპთა სილაბური სიმეტრიაა დატული, ირმოსისაგანა დამოკიდებული მისი საგალობლის პარამონია. მაგრამ ლოვიაგინი ამ დებულებას უპირისპირებს თავის საგნებში სწორ შეხედულებას: «Между тем взгляд его не обнимает многочисленных песнопений, не стоящих в систему

силлабической симметрии. И во первых он не обнимает так называемых самогласных, именно: большей части автомелов, не сделавшихся образцами для других им подобных, и идиомелов, которые не бывают образцами для других и всегда стоят одиноко» (455). (ვრცლად ამ ტერმინის შესახებ იქვე, შენიშვნაში). ლოვიავინი მიუთითებს, რომ ამ უბერხელობას ვრცლად თვითონ პიტრა, მისა აზრით ტროპოების შრავალიცხოვან კატეგორიას ამიტომ არ უძღვის წინ ირმის: «...от того делается трудным определить с точностью форму этих одиноких стихов... если музыкальные ноты в свою очередь не выдают их секрета» (თარგმანი ლოვიავინისა. 456). თავის მხრივ ლოვიავინი დასძინს: «...не только трудно, скажем мы, определить с точностью поэтический характер и даже состав автомелов и идиомелов таким способом, какой принят автором, но не возможно» (456). ამასთან ლოვიავინი ამბობს, რომ ერთი და იგივე გლობა, მგალობელის ნებრისავებრ, შეიძლება და ვანკუთენილი ყოფილიყო ამათუიმ მელოდისათვის და პირველი — მელოდია შეიძლება და გამოყენებული ყოფილიყო სხვადასხვა წყობის მქონე მიმნიებინ ვალობის შესრულებისას (456). პიტრას მიერ შენიშნულ ელემენტებს ყველა საგალობელი არ შეიცავს. სილაბური სისტემა შემოდის კანონის დამკვიდრებასთან ერთად, VIII—IX ს. ს-ში, გამოჩენილი ჰიმნოგრაფების იონან დამასკელის, კონსტანტინელოსის, თედორე და იოსებ სტუდიტის და სხვათა ნაშრომში (457) და მხოლოდ ამ ვერტოთა ნაწარმოებებში გვხვდება.

უაღრესად ვერადასაღებია ლოვიავინის მიერ გამოქვეყნებული ბიზანტიური ჰიმნოგრაფიაში მიღებული სტროფიკისა (ირმოსისა და ტროპარის) ხანაიათისა კლასიკური ბერძნული ლექსთწყობაში არსებული სტროფისა და ანტისტროფის თანმიმდევრობისაგან. იგი დამაჯერებლად უარყოფს ასეთ ანალოგიას (461—462), ამგვარი ცდა კი ჩვენშიაიც არის.

ლოვიავინი წერს: «...СИСТЕМА СИЛЛАБИЧЕСКОЙ СИММЕТРИИ, — КТОЮ ПРИ ТОМ НЕ ОПРЕДЕЛЯЕТСЯ ПОЗИЦИЯ МНОЖЕСТВА САМОСТОЯТЕЛЬНЫХ ПЕСНОПЕНИЯ, НЕ ЕСТЬ ИСТИННО-ПОЭТИЧЕСКОЕ rhythmizomenon а есть простой перечень слогов. одна по-

верхностная техника или механика (как выражается сам Питра, 26 и 27)» (462). პიტრას თეოლოგე გამოტყვენიასასტიკა ვერდიქტი «...არცვლენების თვლი» ტენიკაზე.

ლოვიავინი არღვევს პიტრას ცნებას „სილაბური რიტმი“, რაც მისი აზრით „შინაგან შეუხაბამობას“ შეიცავს და ამას ასაბუთებს ზღაპრული ზუსტად (463-464). ჩვენში კი მთელი ქართული ლექსთწყობის სილაბური სისტემადა გამოცხადდება ცდილობს ზოგიერთი. ქვემოთ დავინახავთ, რომ ასეთი ცდა პირველი ვალარიბებია ქართული ვერსიფიკაციისა.

შემდეგ ლოვიავინი ეხებაკრისტისა (W. Christ) და ბერძენ პარანაქსის შეხედულებებს, განსაკუთრებით კრისტის შეხედულებებს ბერძნულ ჰიმნოგრაფიაზე. კრისტი მიმნიებს რიტმულობას ეძებდა ტაბებში აქცენტების განლაგების კანონზომიერების აღმოჩენის გზით. ამაზე ლოვიავინი შენიშნავს: «Здесь ученый, занимающийся классиками, неоднократно повторяет, что в греческих песнопениях, употребляющихся при общественном богослужении, никогда не допускалось и не допускается метрическое построение древней греческой поэзии» (465).

კრისტის მიხედვით, საგალობლებში რამდენიმე დაეღლია ნორმა, რაც არ გამოიხატება მარტოდენ მარცვალთა ოდენობაში და რომ პიტრას შეხედულობიდან გამორჩა მახვილებით თვით ირმოსებსა და სილაბურობის მხრივ ირმოსის მსგავს ტროპარებში. კრისტის აზრით, ტაბებში აქცენტთა სისტემური განლაგება განსაზღვრავს საეკლესიო გალობათა პოეტურ წყობას (466). მაგრამ ლოვიავინი აქ ახერხებს კრისტს და შენიშნავს, რომ ასეთი შეხედულება ცდილობს ცალხმრივობით და რომ ის არ მოიცავს საგალობლების, ავტომელებისა და იდიომელების, დიდ რაოდენობას. კრისტა წინაშე უგრძნია აგვარა შენიშვნის შესაძლებლობა, და ვანცხადებია, რომ მას ძირითადად შეხედულობაში აქვს ისეთი თანაბარმარცვლიანი ირმოსეული ტროპარები, რომელთა ტაბები ვარკვეულ მარცვლებზე ატარებენ მახვილს და ამიტომ შეიძლება ამ კანონის საერთოდ საგალობლებზე გაერელება (466). მინც, კრისტმა მიუთითა აქცენტების არსებობაზე ირმოსებსა და ტროპარებში, ოღონდ ტაბებში (ან კოლონებში) მათი მერყობა (არა სისტემურობა)

და ცვალებადი რიცხვიანობა — არ გაითვალისწინა. ეს კარგად ჩანს ე. ვეელემის წიგნიდანაც. ამგვარად დადგენილია მხოლოდ ერთი უტყუარი ფაქტი — ბიზანტიურ ლექსში (ჰიმნში) ავტორებელ ელემენტად გვევლინება უმოთარესად პაროქსიტონაედი (იხ. ზემოთ).

ქართულ პროზაულ ჰიმნებში ის საკითხი საერთოდ არ დგას. ამიტომ მართალი იყო კ. კეკელიძე, როცა წერდა — მათში რაიმე ზომის ან სხვა ხასიათის კანონზომიერებას ადგილი არ აქვსო. კ. კეკელიძის ამ აზრის უარსაყოფად ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაგვანია, რადგან ასეთი კანონზომიერება საგალობლებში მყარდება მხოლოდ მათი გალობით შესრულების პრაქტიკაში. არც ის უნდა დაევიწყოთ, რომ გალობაზე ბატონობდა ტექსტის აზრი, რომ მულოდია დამატება იყო ცოცხალი სიტყვისა, მას არ უნდა დაეჩრდილა ტექსტის სიკვანძე და შთაბეჭდილება. ლოგიკაგინი, რომელიც პრაქტიკოსი — ლიტურგიკოსიც იყო, ამ საკითხზე წერს: «Гласовая мелодия богослужебного пения, можно сказать, составляет служебную часть текста священных песнопений» (476).

კრისტი ნებისმიერად ანაწილებს იოანე დამასკელის «სიტყვიერ-მეტრულ» ტაბებს ტაბებზედ, რაც არავითარ კრიტიკას არ უძლებს. ლოგიკაგინი თარგმნის მის სიტყვებს, რომლებიც ლოგიკურად ანგრევენ გერმანელი მკვლევარის სტიხოლოგიურ შენობას: «Под конец главы о колонах и их тактах... чтобы объять сумму вопроса и кратко определить, каким законам тактов подчинялись эти стихотворения, скажу, что византийские мелоды и певцы, пренебрегли и презрели ту мелочную тщательность, с какою древние греки различивали и выравнивали стопы обычных стихов, напр. диктилического [r]ензаметра и анапестического тетраметра, преследовали не рифм (იგულ რიტმი. ა. გ.), а некоторую тень (quandam umbram) рифма; и свойство тактов было так не ясно для них, что учителя не учили разделять колоны на стопы (т. е. по системе г. Криста), ни музыканты не употребляли линии или других пособий для деления напевов на равные части» (479—480). ასეთია თვით კრისტის დასკვნა. ლოგიკაგინი დამატებით შენიშნავს: «А нам кажется, что не христианские греческие песнописцы никогда не гонялись за некоторою тенью, которой они никогда не видали и не могли видеть в акцентных своих произведениях, а г. автор разбираемой попыт-

ки гоняется за совершенною тенью, созданною его воображением...» (480). ამ ირონიის საბაბი ლოგიკაგინი თვითონ კრისტმა მისცა. ცუდია, როცა ევკლიდეს ტაბებში სიტყვითარ მოწყობებებს გამოეკიდება ხოლმე მკვლევარი! ფსალმუნების შესახებ ლოგიკაგინი იმუშავებს Thierfeld-ის საგულისხმო სიტყვებს «Еврейские псалмы... по естественному произношению и акценту слов, были воспеваемы таким свободно-музыкальным образом, что большее или меньшее число слогов не препятствовало, чтобы псалмы, переведенные на другие языки, пелись почти таким же образом (Thierfeld, Die Christian. Psalm. et hymnis. 1868. p. 8)». თუ ქართული გალობის შესახებ ეს არ იქნის, ქართულად თარგმნილ ფსალმუნთა ტექსტის მიმართ ანალოგიური მოსაზრება სრულიად საფუძველიანია.

აღსანიშნავია, რომ ყველაფერი ის ძირითადი, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ პირბას, კრისტისა და მათი შრომების კრიტიკოსის ლოგიკაგინის სტატიასთან დაკავშირებით, აღნიშნული იყო ქართული საგალობლების შესწავლის უარგზო წინადაც. მხედველობაში მივქვს შემდეგი ფაქტი.

ამ ექვსი წლის წინათ, 1962 წ. გ. იმედაშვილიც დასწერა შრომა თემაზე: «ქართული საგალობლების ენისა და პოეტიკის საკითხები». ეტყობა მას კარგად არ იცნობს ე. გვახარია.

გ. იმედაშვილიც თავის შრომაში მოტანილი აქვს ერთი ადგილი ჩვენი წიგნიდან «ქართული კლასიკური ლექსი» (1953, გვ. 110): «ლიტერატურულ ქართულში მუსიკალური მახვილი წმინდა სახით არ გვხვდება, უნდა არსებულყოფილს ჰიმნოგრაფიაში». ავტორი დასძენდა: «მკვლევარის ვარაუდი სავსებით გამოართულია ჩანს ქართული ჰიმნოგრაფიული შემოქმედების მეორე პრაქტიკით, რომელშიც პროზაზედა ქველელი მეტრიკის ბუნება მუსიკალური მახვილითაა განპირობებული». გ. იმედაშვილი სხვათაშორის აღნიშნავდა, რომ «ჩვენთვის ამგვარად უცნობია სფერო ქართული საგალობლების ლიტურგიკულ პრაქტიკაში ასრულების ევკალიური თავისებურებისა, მათი მელოდიების ფორმებისა და შინაარსთან ერთად, იგი რიტმული აგებულებებს საიდუმლოებას შეიცავს. მისი გასსნა სხვათაშორის წარმოვიდგინოდა ქართული ჰიმნის სახესა და დანიშნულებას». — ი. ნაშრომში ჭრეთვე ნათქვამია: «ამჟამად ქართული სანოტო ნიმუშების ამოღონების მიზნით ქართულ საგალობელთა ენა დაკარგულია და როგორც მუსიკალური შინაარ-

სისა ამ ნიშნებში მოქცეული მელოდიები, ჟერ დადგენილი არაა. გ. იმედაშვილის შრომა უკვე დასრულებული იყო, როცა ე. გვახარიას წინა გამოცემა (იგი 1962 წ. დაიბეჭდა), ამიტომ გ. იმედაშვილის შრომაში ე. გვახარიას დასკვნები არ აირყუა. არც პირველ, მაგ. გ. იმედაშვილი მიუთითებდა, რომ „საგალობელთა ფორმა თავისუფალია, ურითმო, ვარაუდამელო პრინციპულ და პოეტურ მეტყველებას შორის. ეს თავისუფლება, დაუმორჩილებლობა პოეტურ ნორმებს, განსაკუთრებით ახასიათებს ქრისტიანულ ლირიკას მის ბიზანტიურ ნაქაღ-ში“. პიმნის ტექსტის გარკვეული საზომის ვარუშე დალაგება კომპენსირებული ხდებოდა მელოდიის ფორმით, რომელიც ტექსტს ანიჭებდა საზომს“. მანვე აღნიშნა, უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი (და სათანადოდ განმარტა იგი): „კრებულებში ძლისპირთა ქართულ რეპერტუარში გარკვევისათვის სდგებოდა ინდემ-სები, რომელნიც საგალობლებს აწვევებდნენ უმთავრესად კილოების მიხედვით“. ხოლო ზოგიერთ მკვლევარს ეს კილოები საზომებად (მეტრებად) მიუჩნევიდა და ამრიგად მიუღია პიმნების „1217 სალექსო საზომი“. ამ მელოდიას მიუთითებელი და არა საზომი“-ო, წერს იგი. იგულისხმება პ. ინგოროყვას „გიორგი მერულეს“ შემდეგი ადგილი:

„...ძლისპირთა კრებულებში ფიქსირებულია დღის ფორმის საგალობლებისათვის (ე. ი. „გალობათათვის“) 893 სტროფულ-ტაემობრევი საზომი, ხოლო მცირე ფორმის საგალობელთათვის (სტიქარონსათვის) 324 სტროფულ-ტაემობრევი სალექსო საზომი“ (აბ. მ., 622 დაყოფა ჩვენი. ა. გ.).

უნდა გატვირთულად განაცხადოთ — არ მართო ქართულ პიმნოგრაფიაში, არამედ მთელს ბიზანტიურ პიმნოგრაფიაში (ქართულის მიმატებითაც), 1217 „სალექსო საზომის“ ფიქსირება — გაუგონარი შეცდომაა ზოგადი ვერსიიფიკაციის თვალსაზრისით. მეტიც: ამდენი საზომი არ იცის მსოფლიო პოეზიაში საერთოდ (შუამდინარეთისა და ევროპის პოეზიიდან მოყოლებული დღემდე). ამას ვაცხადებდით 1962 წელს. ამასვე ვიმეორებდით დღესაც.

საკვირველია, რომ საზომების ამ ფანტასტიკურმა რიგებმა შეცდომაში შეიყვანა მ. თარხნიშვილიც (იხ. „მნათობი“, 1958, № 1, გვ. 138). თუმცა იგი ლამაზი ირმოსთა საერთო რაოდენობაზე და არა მათს „სალექსო საზომებზე“, რადგან კარგად იცის, რომ მეტრი სხვა და სტროფი სხვა საზომი (მეტრი) გარკვეული ცნებაა, იგი რეალიზებულია ან მთლიანად სტროფში (უველა

ტაემში) ან სტროფის რომელიმე ტაემში, დანარჩენი კი საზომის რიტმულ ვარიაციებად გვევლინებიან. სწორედ ამიტომაც შეიძლება განმარტება ზუსტად დეფინიციის სახეს უნდა ატარებდეს, ზვენ უფლება არა გვაქვს ნებისმიერად შევქმნათ ცნებები, რომელნიც არ შეიძლება გამოდგნენ და ელემენტარულ შემარითებისათვის არ შეიძლება ზოგადი პოეტის თვალსაზრისით.

გარდა ამისა — გამართლებულია ცლა ქართულ ლექსში ვითომცდა აქამდე უცნობი (თანაც — ფანტასტიკური რაოდენობის) საზომთა „ამოჩენისა“ და „დადგენისა“. ფაქტიურად ქართული ლექსის ყველა ძირითადი საზომი უკვე გაანალიზებულია ყოველმხრივ (და არა მარტო მარცვლების რაოდენობისა და „კადენციის“ მხრივ). ქართული კლასიკური საზომების სტრუქტურული ანალიზის სფეროში ამიერკავკასიის ადგილი არ არება „ახალი ამოჩენებისა“ და ხელოვნურად შექმნილი, შინაარსის მხრივ ყოველად გაუშართლებელი ტერმინოლოგიისათვის, არავეთარ შემთხვევაში!

2. იმედაშვილმა გაიზარა ზვენი შეხედულება, რომ „პიმნოგრაფიული პოეზიის რიტმულ სტრუქტურას განსაზღვრავდა არა მოწყობილებული ტონიკა, არამედ ვალობის კანონები“. იგი დასძენს: „მუსიკალური საზომი ყოველთვის არ შეიძლება ზუსტად ემთხვეოდეს ტექსტის ვერსიფიკაციულ საზომს მეტრიკის თვალსაზრისით“ და რომ მთავალიად „აქრობაში დაწერილი უოველი პიმნი შეიძლება არათანაბარი ოდენობის სტრიქონებსა და სტროფებს გამოყოფდეს, რაც ვალობის პროცესში ყოველთვის რეგულირება ცალკე ხმოვნების აქტივობის ვარაუდით ან შემოიკრებოა. მიუხედავად სინქრონულიობისადმი ლტოლვისა ვალობის პროცესში ესათვის სტროფი „მთლიანად მწყობრი პოეტური აგებულებისა მიხედვით ვერ იქნებოდა. ამის მიხედვით საფიქრებელია, ასეთ საგალობელთა უმეტესობა შესრულების მიხედვით რეჩიტატული უნდა ყოფილიყო“.

მკვლევარს საგანგებოდ უმეზვნია მიქელ მორტეკელის კრებულზე და მისი დაკვირვების დამთხვევა ე. გვახარიას შეხედულებასთან (საგალობელთა ტროპარების მიხედვით სტრიქონთა არა თანაბრობის საკითხში) დამახასიათებელია. სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო.

იი მეროდ დამთხვევაც. გ. იმედაშვილი წერს: „მარცვლითა მეტნაყლებობა ზვენი საგალობლებისა იმითაა მუსიკალური ფრაზაში ანაზღაურებული და იმპროვი-

ზირებულ საზოგადოებაში დამორჩილებული, რომელიც მარცხილი ხელოვნურად გავრცელდება ან გავრცელებულია ახალ ზოგადი ჩამატებით, რაც ვალდების თავისებურებას წარმოადგენს და საგლობლის ტექსტში ქმნის იმპროვიზირებულ ცეზურასა და ტერმინებს. ამიტომ, ის ვინც „იმის ცდაშია, რომ ნებისმიერად შედგენილი ვერსიებიდან წარმოებულ შეფარდებს საგლობლეთა ტექსტების მარცხელთა ჩაოდენობა“ — თავის მიზანს ვერ აღწევს. „ამ ჩანწორებებს რეალური მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეთ, რამდენადაც საგანგებოდ შეშაბუბრებულ იდგარში... პარცელათა მოწყობაში მონაწილეობა იქ საგნებით კანონზომიერი მოვლენაა, ვ.რ.ს.ზე რეალურ საგნობრივ მუშაობაში შესრულებით“. ვაიხსენით ვ. ვაიხსენის შემოდ უიტირებელი ადგილის ბოლო: „მისი (საგლობლის, ა. ვ.) შესწორება აშკარა შეცდომაა და მიუტანველელია ტექსტის დადგენის დროს“.

კიდევ ერთი შეხვედრის გამოც. გ. იმედაშვილი უარყოფს „მეტრული პუნქტუაციის“ ცნებას: „ლიაკრიტული ნიშნები ყოველთვის არ ხდებათ მკვლევარის (პ. ინგოროვას) მიერ საგლობლეთა სტრუქტურაში გამოყოფილ ტაქტთა მოცულობას, რაც იმის ნიშნავს, რომ მათი ფუნქცია განსაზღვრული არაა უფროდ სალექსო საზოგადოების გამოყოფით, სხვანაირად, მათ წარმოშობას მხოლოდ ვერსიებიდან უნდა საწყისი არ უნდა“. ახლა, როცა ჩვენს ხელთა მიქელ მორტაგლის ტექსტი, ეს მოსახრება საგნობრივ დადასტურებულია. ამას საგნობრივ ნათელს ხდის ის გარემოება, რომ „იამბიკონებით დაწყებულ საგლობლებსათვის ქართული ლიაკრიტული ნიშნები არაა დასმული, თუცა მათ მართლაც საზოგადოების ჩვენება ჰქონდა დაკორექტირებული. ამ თეატრალისტიკურ საყრდენებათა ისიც, რომ არც ბიზანტიური საგლობლებში ჰქონდათ მათ ასეთი ფუნქცია და ვასილიევმა აღრევე აღნიშნა, რომ ლიაკრიტული ნიშნების ფუნქციას აკრისტობულ მიმდებარე განსაზღვრავს არა მეტრული ტაქტის საჭიროება, არამედ აკრისტობის შინაარსით გაბირობებული ტაქტთა წყობის ჩვენება დასაწყისის ასოების მიხედვით“ (დაყ. ჩვენია ა. ვ.) და ბოლოს, „...იხვედრად შენუტრალური ტენდენციისა ლექსისადმი ლტოლვაში, საგლობლები არ იქცევა ლექსად, მისი საზოგადოება ტაქტში შეყარა არ არის, მისი ფორმა სტრუქტურა იდენობა, რის გამოც თანამედროვე გაგებით ეს საზოგადოებრივობითა როგორც პოეტური მოვლენა... საგლობლის ტექსტი იმეტიმ კი არ ივალდებოდა, რომ ის გარკვეული საზოგადოება დაწერილია, არა-

მედ იმეტიმ იქცევა პოეტური მოვლენის მოვლენად, რომ ის ივალდებოდა, რითაც ავლენს იმპროვიზირებულ საზოგადოებაში, რამდენადაც მხოლოდ მელოდიის თანხლებით იმპროვიზირებულია. ბიზანტიური პიშნოგრაფიის შესწავლის ისტორიაც ამ შეხვედრებას ადასტურებს. ამავე აზრსა აა შეისყისტოდანე ვ. ვაიხსენის. ჩვენის შემდგომად 1962 წელს, როცა საგლობლეთა ასეთი მუსიკალური ინტერპრეტაცია გავიზარდა. ამიტომ, არავითარი „სამი სისტემა“ ლექსთაწყობისა ქართულ მკვლევარს ივალდებოდა არ იცის. ლექსობის თეატრალისტიკა — ქართული პროზაული საგლობლები მხოლოდ და მხოლოდ მუსიკალური ხასიათის პროზაული საგლობლებია. მათი მეტრული რეკონსტრუქციის საჭიროება არ არსებობს, რიტმის ისინი ვალდების დროს იქნენ (შედეგობაში არა ვაქვს იამბიკონებით და ირმოსთა გარკვეული რაოდენობა). მეცნიერებაში ფაქტებს არსებობის უფლებას ანიჭებს სწორი თეორიული კრიტიკიზმი. უამსოდ — რისამე ვლევა შეიძლება სრულად უნაყოფო აღმოჩნდეს. აი ერთი მაგალითი (რასაც ქართული პიშნოგრაფიის მკვლევართათვის აქვს მნიშვნელობა). ჩვენში არა ერთხელ უცდით ძველ ქართულ საგლობლებში რითმის ლექსები მოეძებნათ (არ ვგულისხმობთ რითმის იამბიკონებს — მაგ., დემეტრე მეფის იამბიკონებს, ბორჯანს ლექსს, იოანე შიშხიშვილის სტროფს, ფილიპეს 16 მარცხლიან „ბეთლემს“ და სხვ.). ამ ცდუნებას ბევრი ვერ ასცდა ჩვენში, თუმცა საზოგადოდ ცნობილია რომ ქრისტიანული ეკლესია არ ითმენდა საგლობლებში რითმის შეტანას. თე ბიზანტიურ საგლობლებში ემბრიონალური რითმები აქა-იქ ხვდება, ქართულ პიშნოგრაფიაში ასეთი „პარტიზანული საქმიანობისათვის“ არ მიუშარბათ. რითმა, როგორც მეტრული მოვლენა და სტროფის ერთერთი კომპონენტი, ტაქტის კლასიკურებას განეკუთვნება, ამასთან ის თეონონ ტაქტის ბგერითი ელემენტების (სუსტი და ძლიერი მარცხლების) სუქსესიის (თანმიმდევრობის) დამთავრების სიგნალია — მას უეკუველად პაუზა უნდა მოჰყვეს (რითმა არაა უბრალო სამკვეთი ლექსისა, როგორც ეს პოეტის პრიმიტიული სახელმძღვანელოების ავტორებს ვგონათ ოდესღაც. ამაზე ჩვენ საგანგებოდ და ერთხელ ვლაპარაკობთ

„ქ. კ. ლ-ში“). რითმა ინტონაციურად ჰქვიატა
 ტაქს, თუ ე. წ. „გადატანის“ (enjambement)
 შემთხვევასთან არა ვეძქეს საქმე, ხოლო „გადა-
 ტანა“ საკუთრივ საგალობლებისათვის — სრუ-
 ლი ნონსენსია (enjambement-ი ქართულ პოე-
 ზიაში ჩვენ პირველად და ერთხელ ბარათი-
 შვილთან გვხვდება, რომანტიული ლირიკის ზე-
 გავლენით). უოველთვე ეს კარგად უნდა დავი-
 სტოროთ. ის, რაც რითმის მიაგავს ჯერ კიდევ
 არაა რითმა. ამიტომ საგალობლებში „რითმი-
 ან ლექსების აღმოჩენა“ — გაუგებრობის შე-
 დგენა და წინასწარ განწირული ფიასკოსათვის.

მაგ. ერთნაირ გრამატიკულ ბრუ-
 ნვაში დასმულ სიტყვათა ტექს-
 ტიდან გამოსყოფა და ამინაირი
 სიტყვების მქონე წინადადებათა
 პარალელურად დაბეჭდვა —
 დაუშვებელია. აქ კ. კველიძეს და მს-
 თან ერთად მეც — „ქართულ კლასიკურ ლექს-
 ში“, არ უნდა ჩაგვეთვათა იელოვნურად გა-
 მოჭრილი რითმიანი ლექსი ლექსად „ქმინის“
 ერთ ადგილას. ამიერადან ეს მეთოდი
 კატეგორიულად უნდა უკუგაგ-
 დოთ. თუ რამდენად ადვილია ეს საქმე. ამის
 მაგალითებს (ჩვენს მიერ „აღმოჩენილ“ „რით-
 მიან ლექსებს“) აქვე მოგაწოდებ:

1. „ექსტათე მცხეთელის მარტვილობიდან“
 (ი. იმნაიშვილი, ქართ. ენის ქრესტომათია,
 1953, გვ. 174):

რომელი-იგი განუზახე წმიდათა
 მათ შოწამეთა შენთა,
 მეცა, უფალო, ღირს მეც
 შონაწილე მათ თანა,
 და სამკდრებელსა მათ თანა,
 სიხარულსა მათ თანა,
 უოტუნოსა შეგებასა მათ თანა — და ა. შ.

2. ი. საბანისის საგალობლიდან (ქრესტ.,
 176):

და ჯერისა დაწერაჲ კელითა ჩემითა,
 და შეწვენითა ღმრთისა, მამისა და ძისა
 და სულის წმიდისაჲთა,
 მეოხებთა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა,
 და წმიდათა მოციქულთაჲთა
 და მოწამეთაჲთა — და ა. შ.

3. ბასილი ზარზმელის „სერამიონის ცხოვრე-
 ბიდან“ (ქრ. 234).

და ჯეროენითა ვალობითა,
 და სანთელთა სიმრავლითა,
 და საუქმეველთა სუნელეებითა — და ა. შ.

4. მერჩულეს „გრაგოლ ხანძელის ცხოვრე-
 ბიდან“ (ქრ., 241):

„ოქვენ ზართ სიწმიდისა ნაყოფნი.
 მცენარენი სუნელნი, || ვარდნი შეენიერნი,
 ფინიენი კეთილნი || და ზეთისხილნი ნაყოფ-
 სასენნი,

ზეთითა მით სიწმიდისაჲთა პოხილნი... და ა. შ.
 (აქ მგონი „შინაგანი ღარიბი რითმიანი“ შე-
 იძლება დაეინახოს!)

5. იმავე ძეგლში, სხვა ადგილას (ქრ., 248):
 არა მოაკლდეს მთაერობაჲ შეილთა შენთა,
 და ნათესავთა მათთა ქუეყანათა,
 ამათ უცუნისამდე ეამთა,
 არ ამეღ იყვნენ და მტკიცედ უფროჲს
 კლდეთა მყართა,
 და მთათა სატყუნეთა... — და ა. შ.

აქ ვითომც „რითმიაცა“, „სწორი კლავუზუ-
 ლაც“ და სხვა, მაგრამ... არც ერთი აქ მოტანი-
 ლი ნიმუში რითმიან ლექსს არ წარმოადგენს.
 რატომ?

იმიტომ, რომ აღნიშნული „რით-
 მიები“ მეტრული რიგის დასრუ-
 ლების სიგნალს არ შეიცავენ
 და, მაშასადამე, „კლავუზულათა“
 მოჩვენებითი ერთფეროვნება ტა-
 ეპის ნამდვილ დაბოლოებაზე
 (რითმიანზე) არ მიუთითებს.

ასეთ „აღმოჩენებს“ ამიერიდან მიიწვდნენ
 უნდა მოვებყრათ, აგრეთვე ყველა ღიდად
 საჭურო პიპოთეზისაგ. შინაგონობაში ეს მო-
 სათმენია, მაგრამ უკლია, როცა რომელიმე
 უცხოელი მკვლევარი შეგვეყვას შეცდომაში.
 მაგ. არსებობს პიპოთეზა (განსვ. ს. იორდანი-
 შვილის მიერ გაფანტული), თითქოს რუსთა-
 ველს დაწერილი ჰქონია პოემა „იოსებ მშვე-
 ნიერზე“. ეს აზრი გაიმეორა გამოჩენილმა ინგ-
 ლისელმა მეცნიერმა C. M. Bowra-მ (იხ. მისი
 Inspiration and Poetry. London, 1955, გვ. 45-
 67, შდრ. მორის ბოურა. „ვეფხისტყაოსანი“,
 ინგლისურიდან თარგმნილი, აღ. გამყარების
 რედაქციითა და ბოლოსიტყვაობით. თბ., 1966,
 გვ. 4).

3. ინგოროყვას მოაქვს ერთი „რითმიანი“
 ადგილი ჰაიგოგრაფიული ძეგლიდან „წამებაჲ
 მიქაელ საბაწმიდელისა“ (კველიძის „ქმინა“-ს
 მიხედვით, რომელშიაც ეს ადგილი პროზითაა და-
 ბეჭდილი). გამოვეყოფთ ზოგიერთ სტრიქონებს
 (დაყოფა ჩვენია):

მამისა საბაჲს საქსენებელად,
 საქებულად და საღიდებულად,
 რნ უო უდაბნოჲა ურწყული
 ვითარცა ქალაქი განთქმული.

არცა კაცთა შევედრებული
 არამედ ლეთისაგან განგებული
 მის მიერ დაწესებული...

და მრავალთა მარტვილებულთა მამამან...
 რომელი ლავრასა სწავლითა რწყვიდა,
 და დაფარულსა მონაზონთასა ჰხედვიდა,
 და სიწმიდით იერქოს მოწაფესა სცვიდა...
 ეს პროზაა და არა ლექსი!

X საუკუნის ძველში რითმით გაწყობილი ლექსი რომ გვეკონოდა, შეუძლებელი იქნებოდა სტრაფის შევნიშნა ნაცვალსახელი „რომელმან“ ან „რომელი“ (სხვა საკითხია, როცა პირი ასეთი ნაცვალსახელი იწყება. შდრ. შავ. შტებვარია: „რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი მალანი ძალითურთ“ და შრ. სხვ.), ან კიდევ კავშირის ფორმა „არამედ“, რაც იმას მიუთითებს, რომ სინტაქსურა სინტაგმები ვანზრახაა დაქრილი „რომთმების“ მისაღებად, ე. ი. საქმე გვაქვს არა სალექსო ტაქსებთან, არამედ მთლიან პროზაულ სტრიქონებთან, რომელთა დაშლა არ შეიძლება. ანალოგიურია პ. ინგოროყვას მიერ მოყვანილი ერთი „ანტისტროფის“ ფრაგმენტიც (ურჩიშო):

აღდგომითა საფლავით
 არცხენენ მოძულეთა
 და აღიდენ, რომელნი
 ღირსად ვადიდებენ შენ

სალექსო ტაქსის ბოლოში ნაცვალსახელ „რომელნი“-ს დატოვება არ შეიძლება. თუ enjambement-თან არა გვაქვს საქმე. მაგრამ ასეთი რამ XVIII ს. ბოლოზე ყოველად წარმოუდგენელი ამბავია. ვერსიფიკაციის მკვლევართათვის ეს ანბანური ქვეშეაიტება (სხვათაშორის — ანალოგიური რამ დაუშვებელი იყო კლასიკურ (ბერძნულ და რომაულ) ლექსთწყობაშიც).

„გიორგი მერჩულე“-ში დალაგებული „სტროფები“ და „ანტი-სტროფები“ ამ მხრივ კრიტიკას ვერ უძლებენ. მათი თუნდიც ნაწილობრივ ჩამოთვლა დიდად გაზრდიდა ჩვენს წყრილს.

გავიხსენოთ ერთი შემთხვევა.

„სმენითი ფილოლოგის“ მამამთავარმა და ფონეტიკოსმა, გენიალურმა Ed. Sievers-მა (რომლის სახელთანაა დაკავშირებული სასკოლო დოგმატიკური მეტრიკის დასამარება) სცადა აღედგინა „გიორგის ლაშქრობის“ მეტრული სტრუქტურა (იხ. „Das Igorlied metrisch und sprachlich bearbeitet, von Eduard Sievers, Leipzig, 1926). ეს ცდა მარცხით დამთავრდა I. „გიორგის ლაშქრობის“ რატმულ-მეტრული ჩონჩხი ვერ აღადგინა ვერც რუსული ხალხური ლექსთწყობის შესანიშნავმა მკვლევარმა ავად.

1 «Нужно однако сказать, что все эти попытки сплосшь разложить «Слово» на стихи не могут признаны удачными» (проф. Н. К. Гудзин. История древней русской литературы. М., 1938, стр. 160).

ფ. კორშმა. რატომ? იმიტომ, რომ მეთოდოლოგიურად არ იყო სწორი ამ რჩევი შევნიშნების მიღვაში ტექსტსაღმდეგ, რის გამოც „სლოვოდან“ შათ ვერ „გამოჭრეს“ ლექსი. „გიორგის ლაშქრობა“ „ორატორული სიტყვა“ (მ. რ. ფ. გუძის გამომოქმით — «Ораторская речь» და არა ლექსი). რასაკვირველია, ორატორულ სიტყვაშიაც გვევლება გარკვეული კოლონები, კიდენციები და სხვა (შავ. ციკერონის ორატორული პროზა ამ მხრივ გააჩნია ცნობილი ელენისტმა ფ. ზელინსკიმ გერმანულად დაბეჭდილ შრომაში, მაგრამ ციკერონის რატმული ელემენტებით მდიდარი „სიტყვები“ არაის მიერწვეთა (მეტრული სიზუსტითელსაზრისით) კატულეს, ვერგილიუსის ან ოვიდიუსის ლექსების ბადალ პოეტურ მოვლენად). მეტყველების რიტმულობა, პროზაში ზოგჯერ გამოვლენილი იღუბია რიტმისა, საფუძველს არ გვაძლევს მათში მეტრული კონსტრუქციები ვეძიოთ. ამაზე ნუ ვიღაებთ. ავირიდან შინც.

და თუ ზოგად პოეტიკაში სავბოლოოდ განმტკიცებულ ამ თვალსაზრისს მივიჩნევთ უდავო პოსტულატად, მაშინ არ გამოვეციდებით პროზად დაწერილ მუსიკალურ საგალობლებში სწორი კონსტრუქციების აღმოჩენის უმადურ და უნაყოფო“ ვქსპერამენტებს (თეით პიტრას გამოთქმა რომ გავიმეოროთ).

ე. გვახარის ნაშრომთან დაკავშირებით უნდა შევეცადო კიდევ რამდენიმე კარდინალურ საკითხს, რომლებიც ქართული ლექსთწყობის ბუნების სწორ გაგებასა და ჩვენი ჰიმნოგრაფიის ზოგიერთ პრობლემას მოიცავს.

ჩვენი ცნობილი მკვლევარის პ. ინგოროყვას ვრცელი შონოგრაფია „გიორგი მერჩულე“ (1954) ორ ნაწილად იყოფა. პირველ, ისტორიულ-ნაწილს არ ვეხებოდ, მისი ვარჩევა ისტორიკოსთა მოვალეობაა, ისინი არაერთხელ შეხებთან კიდევაც მას. შრომის მეორე ნაწილის თეორიული მხარე კი უშუალოდ ჩვენი ინტერესის სფეროში შემოდის. რამდენადაც ე. გვახარის შრომა ქართული ჰიმნოგრაფიის საფუძვლებს იკვლევს, მით უფრო აუცილებელია დასახელებული ნაშრომის ვანალიზება, თუნდაც ზოგად ხაზებში. ზედმეტი დეტალიზაცია, როგორც დავინახავთ, ისედაც არაა საჭირო.

პ. ინგოროყვას შრომის ეს ნაწილი ძირითად მიღწენილა გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურულ-ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობისადმი, მაგრამ მასში ქართული ლექსთწყობის ისტორიკაა გადმოცემული (თავისებურად), დალა-

გებულა ქართული კლასიკური ლექსის საზომები, მოტანილია გამოჩენილი ქართველი პინფორმატორების სავალისებრი (რეკონსტრუირებული) და მრ. სხვა.

მონოგრაფიის ამ ნაწილის უკვე მე-5 გვერდზე (წიგნის გვ. 551) ავტორი აცხადებს:

„შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ძველი ლექსის, ძველი ქართული წყობილი სიტყვის ისტორია ბურუსით იყო მოცული. არც ისე ბევრი ხანია მას შემდეგ, რაც ფიქრობდნენ, რომ უძველესი ნიმუშები ქართული ლექსისა ჩვენ ვაქვს მეთორმეტე საუკუნეიდან“.

ცოტა ქვემოთ:
„ხოლო ამჟამად, შეიძლება ითქვას, ნათელი ეფინება ქართული ლექსის, ქართული წყობილი-სიტყვის ისტორიას“ (იქვე).

ძალიან თვითდარწმუნებული უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი რამის დაწერა გახდეს.

„არც ისე ბევრი ხანია“ — ეს შემპარაფი სიტყვები მიზნად ისახავენ სინამდვილეზე ფარდის დაშვებას. მაგრამ რა ეუყოთ იმ ფაქტს, რომ 1953 წელს დაიბეჭდა ერთი წიგნი — „ქართული კლასიკური ლექსი (VII-XVIII ს. ს.)“? ამ მონოგრაფიის ცალკეული თავები ქვეყნდებოდა სხვადასხვა დროს. მაგ. თავი „ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიისათვის“ დაიბეჭდა 1948 წ., თავი „მასხვილი“ (რომელშიაც ქართული პროსოდის საკითხებია გარჩეული თანამედროვე მეცნიერული პოეტის დონეზე — 1947 წ., ხოლო თავები „სტროფი“ და „საზომები“ დაწერილია 1941-1942 წლებში (იხ. „ქართ. კლ. ლექსი“, 1953, გვ. VIII). გამოქვეყნებულ თავებს მ. ინგოროყვა კარგად იცნობს (ამასთან, იგი ესწრაფებოდა ჩვენს მოხსენებას ქართული ვერსიფიკაციის საკითხებზე 1941 წ. საქ. სსრ მეც. აკადემიაში). 1948 წ. გამოქვეყნებულ თავში „მასხვილი ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიისათვის“ ჩვენი ძირითადი დებულებანი ქართული კლასიკური ლექსის ბუნებაზე სრულიად მკაფიოდაა ჩამოყალიბებული.

ცნობილია: არაიშვიათად თვით ლექსიც ჩამოდიოდა ზოგჯერ ოლამპიიდან დედამიწაზე. ზოგი მოკვდავი ამის არ კადრულობს.

ქართული ლექსთ წყობის კვლევა არაქვის მონოპოლიას არ შეადგენს, არც ამ სიტყვების ავტორისას. ჩვენ ღაფიყებული არა ვაქვს სხვათა სულ მეტყობიანი წვლილიც კი, შეტანილი ქართული ვერსიფიკაციის შესწავლის საქმეში, ზოგან მთელი გვერდები უძღვევით თვით მ. ინგოროყვას მოსაზრებებს. ისინი ხელუხლებლად დავტოვეთ ჩვენი წიგნის შესამე გამოცემაშიც (იხ. „რჩეული ნაწერები“, ტ. II, 1965), ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, თმცა ბევრ რამეში არ ეთანხმებოდით.

„გიორგი მერჩულეს“ შესავალში თეორიულ

საკითხებს მცირე ადგილი ეთმობა, უმეტესი ნაწილი კი — ქართული პინფორმატორის რეკონსტრუირებულ ტექსტებს. მათი „გარემოცვა“ საზომების“ მარკვლების თვალს და ამ მარკვალთა სტატისტიკურ ცხრილებს (ეს ცხრილები არაფერს არ ეუბნებიან მკითხველს და უფრო ავტორის დიდ ფიზიკურ გამძლეობაზე მეტყველებენ). არსებითად „გიორგი მერჩულეს“ ეს ნაწილი ანთოლოგიური ხასიათისაა.

მაგრამ ეს არაა მთავარი.

მთავარი ისაა, რომ მთელი შრომა სასკოლო, დოგმატიკური მეტრიკის თეორიულ საფუძვლებზეა აგებული. მკვლევარი ტექსტებს სწავლობს თვლით („აუტენფილოლოგიე“), აღაგებს საგალობლებს სილაბურ პროპორციებად, ქართული კლასიკური ლექსის მეტრიკის მხარის ანალიზი უარყოფილია (შეცვლილია იგი „მუხლედოვანობის“ ცნებით, რაც მამუცა ბარათაშვილიდან (XVIII ს.) მომდინარეობს და ა. შ.). თანაც — თეორიულად რომ ვაძაგროს ანტიკური ლექსთწყობის ცნებების და საზომთა სახელწოდებების შემოტანა, მიზართავე არა ამ ლექსთწყობის გამოჩენილ მკვლევართ (ეესტ-ფალი, გლადიჩი, როსბაჩი, ვილამოვიც-მოლენდორფი, დენისოვი...), არამედ ვაძაგროვებ (ავტორის დაუსახებლად) ეს ცნებები და ტერმინები ერთ-ერთ ძალიან მოკლებულ რუსულ სახელმძღვანელოდან, რომელშიაც, აგრეთვე, ყალბადაა მიყენებული ეს ცნებები რუსულ სილაბურ-ტონური ლექსთწყობის მიზართ. მ. ინგოროყვას მიერ ზოგიერთი ამ ცნებათაგანი შენაარსის მხრივ მცდარადაა გაგებული. ზოგი ქართული საზომის დახასიათებისას გამოყენებულია ბერძნული საზომთა სახელწოდებანი (პიპერმეტრიული პეტროტრი, დისტიქი, დიმეტრი და სხვ.), რომლებიც ტაქტთა ტერმინებებს აღნიშნავენ და რის არსებობასაც ქართულ კლასიკურ ლექსში მ. ინგოროყვა უარყოფს. სამწუხაროდ — მთელი ეს ეკლექტიური შენაზავი გასაღებელია, როგორც ქართული ვერსიფიკაციის ახალი სიტყვა.

ასეთია სინამდვილე. სინამდვილე კი თავისთავადაა მკაცრი მსაჯელი.

ჩვენი განცხადება, რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს, მოვიყვანე კონკრეტულ მაგალითებს:

მ. ინგოროყვა ცდილობს მეტრული საფუძველი მოუჩვენოს სავალისებრი, ეერძოდ ვ. წ. „უცხოელ ლექსს“.

„ადვინშაეთ აქ ძველ-ქართული სილაბური უკეთესი ლექსის მეტრიკის ზოგიერთ თავისებურებას.“

პიპერმეტრია და დიპომეტრია. საზომთა მონაცვლეობა (პიპოსტასური შენაარსებობა).

ისევე, როგორც ბერძნული პინფორმატორის ლექსში, ქართული პინფორმატორის სილაბურ უკეთესი ლექსში (ავტორი აქ გულისხმობს

ქართული ლექსის „მეორე სისტემას“ — ძველ-ქართული საგალობლების „მარცვლებს“. ა. გ.) დასამუშავებლად ითვლება ცალკეულ ტაქტთა პიპეტრია (მარცვლის მეტობა ტაქტებში) და ლიპომეტრია (მარცვლის დაკლება ტაქტში).

ქართული სილაბური უკეთესი ლექსი არა იშვიათად მიმართავს მონათესავე, მარცვლდობით აბლო მდგომი საზომების მონაცვლეობას (ლიპომეტრული შენაცვლება). ასე, მაგალითად, ერთმანეთს ზოგჯერ ენაცვლება 7-მარცვლადი და 8-მარცვლადი მონომეტრი. ასევე ერთმანეთს ენაცვლება დიმეტრული 10-მარცვლადი და 11-მარცვლადი; იამბიკონური დიმეტრის 12-მარცვლადს ზოგჯერ ენაცვლება 13-მარცვლადი (პიპეტრია), ან 11-მარცვლადი (ლიპომეტრია); და სხვაინა“ (აგ. შ., 707).

ჯერ ერთი: სილაბური ლექსის შიგნით (სტროფში) „ს ა ზ ო მ თ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე თ ბ ა“ სრულიად წარმოდგენილი ამბავია, ასეთი რამის დაქრება და დაბეჭვება საერთოდ არ შეიძლება (ე. წ. ბერძნული მეტრიკობის სტროფის რიტმული სისტემა სულ სხვა კანონებს ემუხრება, რაც მას გათვალისწინებული არ აქვს და შეიძლება ამ გარემოებამ შეიყვანა ჩვენი მკვლევარი შეცდომაში). შემდეგ: ვიკითხოთ — საიდან ვადმოიღო ანტიკური მეტრიკის ეს ტერმინები ავტორმა?

სანამ ამ კითხვას უპასუხებდეთ, უნდა ეთქვათ: საკუთრივ ბერძნულ-ბიზანტიურ საგალობლებში პიპეტრიის, ლიპომეტრიის და ლიპოსტაზის შესახებ არასოდეს არც ერთ მკვლევარს არ უღაპარაკია. ეს ტერმინები ეხება კლასიკურ ანუ ბერძნულ-ლათინურ (ქვაბიტატორ) ლექსთწყობას და სრულიად ზედმეტია სილაბური და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სილაბურ-ტონური ლექსთწყობებისათვის.

ეს ტერმინები პირველად და გარკვეული თანმიმდევრობით გამოიყენა ვ. ბრიუსოვმა, თავისი ორიგინალური სისტემის წამოყალიბების მიზნით, ორ სასკოლო ნაშრომში 1. Основы стиховедения. Курс В.У.З. Части первая и вторая. Общее введение. Метрика и ритмика. Издание 2-е. Гос. изд-во. Москва, 1927, და 2. Краткий курс о стихе. ч. 1. М., 1919. (პირველ წიგნს ვ. ბრიუსოვი თვითონ უწოდებს: Учебник-ის, ხოლო მეორე წიგნი სტუდენტებისათვის წაუკითხავს ავტორს მოსკოვში 1918 წ. პ. ინგოროვსა სარგებლობს უმთავრესად პირველი წიგნით, ამიტომ ვასახელებთ ჩვეულებას პირველად.

მოგვიყვან სათანადო ადგილი ვ. ბრიუსოვის სახელმძღვანელოდან (Основы... 30):

«Е. Иперметрия и липометрия.

Если в метре, кроме тех слогов, которые входят в состав стоп, имеются еще

слоги, то такое явление называется иперметрией. Если в метре не достает слогов, входящих в состав стоп, то такое явление называется липометрией».

შემდეგ ვ. ბრიუსოვს მოყავს საილუსტრაციო მაგალითები (31-32).

მთელი ეს „სისტემა“ ე. წ. დოგმატიკური მეტრიკის კლასიკური ნიმუშია და მხოლოდ და მხოლოდ ვ. ბრიუსოვის საკუთრებას წარმოადგენს. იგი დიდი ხანა განვლილი ეტაპია რუსული ლექსის შესწავლის ისტორიაში. ბრიუსოვის თეორია თავის დროზე დასამარბებულ იქმნა რ. იაკობსონის მიერ¹. არც ერთი სხვა რუსულ მკვლევარს არ მიმართავს ამ ცნებებს (ტრედაკოვსკიდან დღემდე) იმ თანამიმდევრობით, როგორც ვ. ბრიუსოვი. თუ ჩვენი ეს მტკიცება არ გაქარწყვლდა — ძალიან მძიმე მდგომარეობა შეიქმნებოდა.

მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ პ. ინგოროვას შეუცვლია ბრიუსოვის მიერ გამოყენებული ტერმინების შინაარსი ნებისმიერად. ვ. ბრიუსოვს მებდველობაში აქვს პიპეტრიის და ლიპომეტრიის მომენტები ტრეფის («стопы») ფარგლებში (რაც ჩვენს მიერ ციტირებულ ადგილდაწავ კარგად ჩანს), და არა სტროფებში. თანდა „ლიპოსტაზის“ ცნებაში ვ. ბრიუსოვი გულისხმობს ერთი ტრეფის მეორით შენაცვლებას (მაგ. იამბისა პიპისით) და არა სტროფში „ს ა ზ ო მ თ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე თ ბ ა“, როგორც ეს პ. ინგოროვას სწავლია და რაც თეორიულად და ფაქტურად უხეში შეცდომაა. მაშასადამე — საქმე გვექვს არა მარტო წყაროს დუნახებულად მთელი სისტემის (მასთან ყალბის) ვადმოტანასთან (რასაც თავისი ხახელი ეწოდება), არამედ ამ სისტემის შინაარსის თვითნებურად შეცვლასთან, რაც უკვლად შეუწენარებელია (სხვა რომ არა იქონს რა — ტერმინოლოგიური სიუსტის თვალსაზრისით).

ვ. ბრიუსოვის სისტემის შესახებ ჩვენ ვწერდით (ქ. კ. ლ., 1953, გვ. 29).

„ტრეფების ურთიერთშენაცვლება რომ მართლაც რეალური ფაქტი იქონს, მაშინ რიტმულად ვეძიოთ პროზაშიც, რადგან „ლიპოსტაზის“ შემთხვევებს იქ უფრო ადვილად ვიპოვით. ასეთი თეორიული უტყურებლობა იგრძნო ჯერ კიდევ ა. ბელიმ... ვ. ბრიუსოვი ლექსის რიტმს ეძებს სქემაში, იკვლევს სხვადასხვა ტრეფების (უმთავრესად ო რ ტ ე რ ფ ი ა ნ ი ქ გ უ ფ ე ბ ი ს ა ნ უ „დიპოლიციები“) შესა-

¹ Роман Якобсон. Брюсовская стихология и наука о стихе («Научные известия», Сб. II, стр. 222—240. შტრ. ჩვენი „ქ. კ. ლ.“ 1953, გვ. 289. ნ. ავტორი: В. Жирмунский. Введение в метрику. 1925).

მებისა და ურთიერთშენაცვლების კანონს — იოსტასს, ზოგადად ეს თეორია შეიძლება მოინათლოს ლოგაედურ თეორიად, რომელიც ლექსის რიტმის თავისებურებას ხედავს საზომის, უკეთ მებრუნო სქემის განყენებულ ნაკვეთების, ანუ ტერფების ურთიერთშენაცვლებაში, ლექსის რიტმის გამოსატყულებად მის შიანში ელემენტები, რომელთა საზღვრები სრულიად პირობითია ტაქში. ვ. ბრიუსოვის თეორია ერთერთი სახეა ლოგმატიკური მებრუნისა (წიგნში სიტყვები დაყოფითა დაბეჭდილი. ა. გ.).

არ შეიძლება ვიხმართ გამოთქმაც — „დიმეტრული 11 მარცვლი“, რადგან დიმეტრის ცნება ტაქსის ტერფოვანობას გულისხმობს. ეს ცნება გამოსადეგია ან მებრუნო (ქვანტობრტობრი) ლექსუფობის საზომთა დახასიათებისას, ან სილაბურ-ტონური ლექსუფობის კვლევისას (თუ მიინდამიან — პირობითად, ნამდვილად კი — არც იქ).

ვ. ბრიუსოვის „სახელმძღვანელოში“ მოტანილი ტერმინებისაჟი ერთგულების გამო პ. ინგოროყვამ სხვა მხივე შეედომებეც დაუშვა. „გოგორც მებრუნლემი“ „პიპერმებრუნლემი და ლ. პომერტობრუნლემი“ მსყელობას უშუალოდ მოჰყვება შემდეგი აზხაყები, რახაყირველია, ისეყეყარის დაუსახელებლად:

„დიერესი და სინერესი.

ჟველქართული სილაბური უყეუთელი ლექსის მებრუნაჟი (ისეყე, გოგორც ბერძნულ მებრუნაჟში) მიღებულია დიერესი და სინერესი.

ქართულ ლექსში ნახეყარხმოყანი ი და ნახეყარხმოყანი უ (ბრყეუ), წყის თანახმად, არ ქქნინან მარცვალს, ტაქსის მარცვალთა სითეაღლემი ისინი მხედველობაში არ მიიღებიან. მებრუნლექსულ შემთხვეყეყეში ისინი ჩითელებიან გოგორც სრულხმოყანი (დიერესი), ე. ი. ნახეყარხმოყანი ჰ გამოითქმის გოგორც სრულხმოყანი ი, ნახეყარხმოყანი უ გამოითქმის, გოგორც სრულხმოყანი უ.

სინერესი ჟველქართულ სილაბურ ლექსში შემდეგში გამოითხტება:

ა) ორი ურთიმეორის ჟვერდით მღგომი ხმოყანი ზოგყერ ერთიანდება ერთი ხმოყნის სახით: ასე, სინერესის შემთხვეყეყეში, მგალითად, სიტყვა „განახლა“ ჩითელება არა ოთხმარცვლივანად, არამედ სამმარცვლივანად (ერთიანდება ორი ი). ასეყე, როღესაც სიტყვა იწყება იმეყე ხმოყანით, რომლითაც დასრულდა წინა სიტყვა, დასაშეყებია სინერესი; მგალითად „კაცია იგი“, სინერესის შემთხვეყეყეში, ჩითელება სამ მარცვლად, ასეყე „და აღეიდა“ სამ მარცვლად ჩითელება.

ბ) სრულხმოყანი ი და უ სინერესის შემთხვეყეყეში ჩითელებიან ნახეყარხმოყნებად (ე. ი. ხმოყანი ი გამოითქმის გოგორც ნახეყარხმო-

ყანი ჰ, ხმოყანი უ გამოითქმის გოგორც ნახეყარხმოყანი უ. (707-708)“.

ვ. ბრიუსოვის სასკოლში სიტყვულ-მძღვანელოშიაც ქიპერმებრუნლემისაჟი ლიპომებრუნის შესახებ მსყელობას აგრთეყე უშუალოდ (გოგორც „გოგორც მებრუნლემი“) მიჰყეყება შემდეგი აზხაყი (გვ. 32):

«Ж. Систола и диастола, диереса и синереса и другие дополнительные элементы метра».

სისტოლასა და დიასტოლას რამდენიმე მგალითის შემდეგ ვ. ბრიუსოვი წიგნის იმეყე ჟვერდზე წერს:

«Синереса или синесса есть стижение двух или несколько гласных в один слог; диереса — разложение одной гласной или дифтонга (двоегласной) на два слога, так же принятые за метрический элемент (за слог) комплекс согласных» (შემდეგ ჩამოთვლილია მგალითები).

კიდევ კარგი, რომ ჩვენი მკვლევარი არ ცდლობს „ქართულ უყეუთელ ლექსში“ ან „წყობილისტყევა რიხეყედში“ სისტოლის, დიასტოლის და სინესის შემთხვეყეყე აღმოაჩინოს, გოგორც ამას რუსული სილაბურტონური ლექსუფობის საზომებში ეტებს ვ. ბრიუსოვი სრულიად ამოად.

ამრავად, პ. ინგოროყვას თეორიული წყარო ნაჟონია.

თუ რამდენად სწორია თეით მგალითები „დიერესისა“ და „სინერესისა“ მის წიგნში, ამას ნათელყოფს დაყირვება თეითინ მგალითებზე.

პ. ინგოროყვას მტყეყება, თითქოს სიტყვები „განახლა“ და „და აღეიდა“ შეიძლება სამმარცვლივანებად იქცენ — არაა მართალი. ასეთი მოვლენები ქართულ კლასიკურ ლექსშიაც არ ვხეყენება (მასში მხოლოდ იშვითად ნახეყარხმოყანები იქენენ მარცვლის შემადგენელი ხმოყნების ფუნქციებს (მდრ. გურამიშვილის ტაქში „ამად სმრახვერ ვინც აეს ჩადის) „ქუღაე აღარ ჩაიღინოს“. აქ ნახეყარხმოყანი „უ“ მარცვლის ქმნის (იხ. ა. კ. ლ., 1953, გვ. 126, ს. ერთოდ ასეთი მოვლენების შესახებ იხ. თავი „მახელი“, § 11. „დღღოღინე და ნახეყარხმოყნები“, გვ. 125-126).

ქართულ საგალობელთა ტექსტებში ორი ხმოყნის „შეერთებანი“ არასოდეს არ ქმნიან მარცვალს, ამიტომ ჩვენს ჰმენას სიტყვა „განახლა“ არ ესმის „განახლად“ ან „და აღეიდა“ — დაღვიდად“. ასეყე გაუგებრობას უნდა მიეყეროს მგალითი „კაცი იგი“. აქ ორი ი ერთ ხმოყანს კი არ ქმნის, არამედ ისინი დამოუყიდებელი ხმოყნებია. წარმოთქმაში „კაცი იგი“

შეორე სიტყვის ხმოვანი მხვილის ზეგაღვლით ექსპირაციულად გაძლიერებულია, რის გამოც მას არ შეუძლია შეიწოვოს წინა სიტყვის ბოლო ხმოვანი (ი). ქართულში სიტყვათშეხვედრები რომ არსებობენ, ეს ცნობილია ფონეტიკურ-ლიტერატურაში (იხ. გ. ახვლედიანის — ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკა. თბ., 1938. მისივე: ქართული ფონეტიკის საკითხები. თბ., 1949 და სხვ.).

საერთოდ პ. ინგოროყვა არ წყალობს მეცნიერულ ფონეტიკას. ეს გამოჩნდა მისი პოლემიკის დროსაც ავად. ე. კეკელიძესთან. პ. ინგოროყვა სწერდა: „უნდა აღინიშნოს, რომ ე. კეკელიძეს, საერთოდ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ლექსის ბუნებაზე“ („მნათობი“, 1959, № 3, გვ. 152). მაგრამ ამავე წერილში პ. ინგოროყვა სწერდა: „ქართულ ლექსში, როგორც ცნობილია, დაქტილური, ქორეული და ეპეტური მახვილებია“ არა, ვერსიფიკაციის თეორიასა და საერთოდ პოეტიკაში ასეთი რამ ცნობილი არაა: „ეპეტური მახვილი“ არ არსებობს (განა შეიძლება რუსულად ითქვას «мужское ударение»? არსებობს „ეპეტური რიმი“ და არა „ეპეტური მახვილი“ (ასეთი ტერმინოლოგიური შეცდომაზე შეკლევას ხშირად მოსდის).

„ეპეტური მახვილი“ ავტორს უფლება არ ჰქონდა კომპეტენტურად განეცხადებდა ავად. ე. კეკელიძის მისამართით — „ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ლექსის ბუნებაზე“—.

ყოველ შემთხვევაში — როცა რომელიმე მკვლევარის სრულიად დამოუკიდებელ და მოთვლიერად სისტემას იყენებ (ამ სისტემის ავტორის დაუხატებლად) და ამასთან უაღბადაც — ეს გაცილებით დიდი და მოუტრეველი დანაშაულია მეცნიერებაში, ვიდრე ცალკეული დასუსტება ანა თუ იმ მკვლევარისა.

პ. ინგოროყვა გამოდის ე. წ. „გრაფიკულ-ლოგიკური პროსოდიის“ პრინციპებიდან (ე. ბრიუსოვი), რ. იაკობსონი ასე ახასიათებს ამ სახის მეტრიკას (იხ. P. Jakobson. O chešskom stixе. Гиз. 1923, стр. 23):

I. «Просодия графико-логическая, оперирующая, по выражению Сарана, бумажными определениями и вполне соответствующая по типу донаучной грамматики (Altgrammatik), т. е. также игнорирующая фонетику и историческую перспективу, навязывающая современному языку чуждые греко-латинские категории, устанавливающая вместо эмпирических законов догматические правила. Такая просодия естественно должна была отмереть волею за старой школьной грамматикой; она за последнее время под-

вергалась суровой критике ритмиков новых направлений — Минор, школа Силверса (ср. напр. Саран DV, 25 Schriftbild und Metrum). Верьте, что я не стану здесь на ней останавливаться»²⁰».

სათანადო შენიშვნაში აღნიშნულია: «Типичный образчик подобного рода просодия я подробно разобрал в статье «Брюсовская стихология и наука о стихе» (Научные Известия. Москва, № 1). სხვათაშორის, პროფ. რ. იაკობსონის დამსახურება ცნობილია ჰიმნოგრაფიული (ეკაროდ ძველ სლავურში) ძველებს აქვეტრუაციის კვლევის სფეროშიც, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს E. Wellesz-ი (A history... 25. შენიშვნაში).

ეს დახასიათება ამომწურავად შეეფერება პ. ინგოროყვას მეტრიკულ შეუდეგს, რომლებიც ე. ბრიუსოვის „ბერძნულ-რომაული კატეგორიები“ მდიდარი სტიხოლოგიითა წყვება.

მაგრამ ნუ წაეკით ასე შორს. 1953 წელს დაბეჭდილ ჩვენს შრომაში აღნიშნული გვაქვს: „სასკოლო ანუ დოგმატიკური მეტრიკა მეცნიერულად საარგებლობდა ბერძნების მიერ გამოშვებული სისტემით სულ სხვა ფონეტიკური მოვლენების ასახვად ახალი ენების ლექსოწმობათა რიტმის კვლევისას. ამიტომაც ქვალიტეტური ლექსოწმობის ანალიზი დიდხანს არ გასცილებია ლექსის რიტმული ფორმების თვალთ შესწავლის ფარგლებს“ (გვ. 19-20. დაყოფა სიტყვებისა თვით შენიშნა).

როგორ აქვს წარმოდგენილი პ. ინგოროყვას ქართული ლექსის ბუნება? „ვიოჩგი მერჩულეში“ იგი წერს:

„ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი (?), რომ ძველქართულ ლიტერატურაში არსებული არა ერთი სახის ლექსოწმობა, როგორც ამას დღემდე ფიქრობდნენ, არამედ სამი სახის ლექსოწმობა, რომლებიც თავის წყობით, მეტრულ-რიტმული სტრუქტურით, სხვადასხვა სისტემებს (დაყოფა ჩვენია. ა. გ.) წარმოადგენენ.

ეს სამი სახეობა ქართული ლექსისა, რომელი მიღებული ყოფილა ძველ ქართულ ლიტერატურაში, შემდეგია:

1. სილაბური მულედოვანი ლექსი (ძველქართული კლასიკური ლექსი).

2. სილაბური უკვეთული ლექსი (ძველქართული საგალობელთა „მარცვლელი“).

3. „წყობილი სიტყვა რიცხვული“ (ანუ მოკლე აღნიშვნით „წყობილი სიტყვა“), ძველქართული თავისუფალი უმარცვლადო ლექსი, შინაარსობლივ-ტემობრივი რიტმიკით (ამ უკანასკნელს მესამე სახეობას ბარა-

ღელი აქვს აღმოსავლურ ლექსთწყობაში“ გვ. გვ. 551-552).

ჩვენ კარგად არ გვესმის შინაარსი ფრაზისა „როგორც ამას ღღემდღე ფიქრობდნენ“ შინაგანი პირადი ჩვენ ეფიქრობთ, რომ ქართული ლექსთწყობის ისტორია იწყება VII საუკუნიდან, ქართული ჰიმნოგრაფიის აღმოცენების ეპოქიდან. ამ ხანიდან უნდა დაწყებულყო ფორმირება-ჰიმნოგრაფიის წიაღში — სილაბური, აქცენტური თავსაზრისით მოწყობილი, ურითმო ლექსი-ჰიმნიებისა (ურითმო იამბიკოების). შემდეგ ხდება კრისტალიზაცია ამ ფორმისა — მასში რითმის გაზენა, რადგან კლავულის ბიზუბტე ქართულ ლექსში მისი ტაქტის ბევრითი მხარის მოწესრიგების მომენტუდაც მიუთითებს. ამ ბაზაზე ყალიბდება შემდეგ ქართული სილაბურ-რითმული ლექსთწყობა, რომელიც თავის განვითარების უმაღლეს მწვერვალს ჩაბრუნების და შეთქმულების ოდებში და გამსაჯულებითი რუსთველის ქმნილებაში აღწევს. ამ ლექსის პროსოდიას უცვლელი რჩება დღემდე. ეს როგორც აქართველი ენის ფონეტიკური თვისებებითაა განპირობებული.

შეგვიხარს, ერთი ენის პროსოდიის უარყოფითი სრულიად წარმოდგენილია ლექსთწყობის საშუალო „სხვადასხვა სისტემის“ არსებობა. ახელი მონაწილეობა, რასაკვირველია, ნონანსია და სერიოზულად ამაზე მსჯელობა არც შეიძლება.

საერთოდ, პ. ინგოროყვას თავისებური წარმოდგენა აქვს თვით ბიზანტიურ ლექსთწყობაზე. მაგ. იგი წერს „მახელი ბერძნულ-ბიზანტიურში მოძრავია (არაა დავაგვირგებელი სიტყვის ვარკვეულ მარცვალთან) და მისი მოწყობა რჩება ლექსში ტონურ (resp. ტონურ-სილაბური) ლექსთწყობის სტრუქტურის მიხედვით ხდება“ („მნათობი“, 1959, № 6, გვ. 129). პ. ინგოროყვა ედგება — ბიზანტიური ლექსთწყობა სილაბურიცაა.

პ. ინგოროყვა ხშირად იმორჩება მ. თარხნიშვილს თავის „პასუხში აკადემიკოს კონილი კიპელისადმი“ („მნათობი“, 1959 № 3 და 6). გავიხსენებთ მის მიერვე ციტირებულ ერთ ადგილს მ. თარხნიშვილის წერილიდან „ბიზანტიური პოეზიის სილაბურობა შეიძლება ახსნილი იქნას მხოლოდ აღმოსავლურ პოეზიასთან დაშორებით“ („მნ.“, 1959, № 6, გვ. 131). მისადაამე — მ. თარხნიშვილის არბიოთი ბიზანტიური ლექსთწყობა სილაბურია, თანაც: მ. თარხნიშვილი არ ენობს ქართული კლასიკური ლექსის სილაბურობას. იგი წერს „რაც შეეხება ძველი ქართული პოეზიის ფორმას, ჩვენ შეგვიძლია ის ორი მთავარ ჯგუფად გავყოთ: მეტრული და რიტმული პოეზია; ამასთანავე ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ქართული პოეტია, მსგავსად იტალიურისა და ფრანგულისა, მხოლოდ სილაბურ-ტონურ მეტრიკას იცნობს

და იყენებს“ (მიხეილ თარხნიშვილი: ქართული პოეზია და მისი ურთიერთობა ბიზანტიურ პოეზიასთან. თარგმანი პ.ო.ფ. ს. რეკონსტრუქციისა. „მნათობი“, 1958, № 1, გვ. 303-304).
ნია. ა. გ.).

ამ ციტატაში სწორი არაა ქართული ლექსთწყობის დაყოფა ორ ჯგუფად — მეტრულად და რიტმულად. (საკუთარი მეტრული ლექსთწყობა ახასიათებს ბერძნულსა და ლათინურს). მაგრამ უნდა გავყოთ ავტორს: მას მხედველობაში აქვს აქცენტურად მოწყობილი ლექსთწყობა, როცა ხმარობს ტერმინს „მეტრული“. რასაკვირველია, ედგება მკვლევარი, როცა ქართულ ლექსთწყობას იტალიურსა და ფრანგულს ადარებს (იტალიური და ფრანგული ლექსთწყობა სილაბურია), მაგრამ აბსოლუტურად სწორია მათში, როცა კატეგორიულად ამბობს: „ქართული პოეტია... მხოლოდ სილაბურ-ტონურ მეტრიკას იცნობს და იყენებს“. ამ საკითხში მ. თარხნიშვილს უნდა დაუჭეროდ.

სამწუხაროდ, მ. თარხნიშვილის წერილში ბევრ სწორ შეხედულებასთან ერთად ბევრი მცდარი აზრაცაა გამოთქმული, ისინი უმთავრესად საქართველოდან წაღებული მცდარი შეხედულებების ზეგავლენითაა გამოწვეული. მათზე ამეიმაღ არ შევირბებთ.

ასეთი შეცდომები არ მოგვივა, თუ გავითვალისწინებთ პოეტიაში დადგენილ ფაქტს:

საერთოდ არსებობს ლექსთწყობის სამი ძირითადი სისტემა:

1. მეტრული (ანუ კვანტიტური) ბერძნულ და ლათინური, ამჟამად მკვდარი ენებისა (ნიჟილბოვი — სპარსულ-არაბული ლექსთწყობაც), რომელშიც მეტრისა და რიტმის განსაზღვრავს გრძელი და მოკლე მარცვლების კანონზომიერი განმეორება და ტერფოვნება, ჯწყარება იზოქრონულობის პრინციპს.

2. სილაბური ლექსთწყობა (ბიზანტიური, რომანული ენების — ფრანგული, იტალიური, ესპანური; სლავურ ენებიდან — პოლონური). ამ ლექსთწყობისათვის დამახასიათებელია ორი მახვილი — ცეზურის წინ და ტაქტის ბოლოს (საკუთარი ბიზანტიურში ამ მოვლენას პაროქსიტონაცია ეწოდება).

3. სილაბურ-ტონური ლექსთწყობა, რომლის რიტმს განსაზღვრავს თანაზომარცვლიანობა და მხედვლების სისტემა ტაქტებში. ეს ლექსთწყობა ახასიათებს რუსულს, გერმანულს, ინგლისურს და ქართულს. მეტრი (საზომი), როგორც სკანდინავიის პრინციპი, ასეთ ლექსთწყობაში იწყებს სიტყვიერების მხედვლების ინტენსივაციას (და არა ნივთიერებას, როგორც რომანულ ენებში, მაგ. ფრანგულ ლექსთწყობაში, სადაც ცალკეულ სიტყვათა აქცენტური მწვერული წამდლია). მეტრული ლექსთწყობის

ინტონაციაში ასეთ ლექსთწყობას არ ახასიათებს.

XX საუკუნის გერმანულ და რუსულ ლექსთწყობაში ხანს ტენდენცია წმინდა ტონური ლექსთწყობისადმი, რომელშიაც ერთს ან ორ სიტყვას (ერთ ან ორ მსხვილს) შეუძლია მრავალმხვილიანი ტაქტის ბგერით ექვივალენტად მოგვევლინოს (მაგ. გერმანულსა და ინგლისურში, რუსულში — მთავრისთან, ნაწილობრივ ალ. ბლოკთან — მის ზოგიერთ ანაპესტურ ტაქტებში... ტონურია აგრეთვე რუსული ხალხური ლექსთწყობა, ე. წ. ბილანები) (დაწერ. იხ. ჩვენს მონოგრაფიაში).

Vers libre აგრეთვე ტონურობას ემყარება (მხოლოდ სილაბურ-ტონური სისტემის ენებში). უახლეს ქართულ პოეზიაში ტონურობის მართოდენ გარეგნული იმიტაციით შესაძლებელი: ჩვენი ენის პარალელი საშუალებას არ იძლევა წმინდა ტონური ლექსის წარმოქმნისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რუსული სილაბურ-ტონური ლექსთწყობა აგრეთვე აღმოცენდა სილაბური წყობის მქონე სისტემის ფარგლებში. ლამონოსოვმა მოახდინა ამ ლექსის რეფორმა (იხ. ცნობილი «Письмо о правилах русского стихотворства» 1739). ჩვენს წინაშე არ იდგა ამოცანა ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის სრული მიმოხილვისა, რაგვან ჰიმნოგრაფიული ტექსტების წილში ქართული ელასტიური ლექსი სათავეს იღებს მხოლოდ ურიტომი და რითიან იამბიკებში, რომელთა წარმოშობა ბიზანტიურ ლექსთწყობისთანაა დაკავშირებული და ქართულში მოდიფიცირებული საზოგადოებრივი. მაგ. ე. წ. თორმეტმარცვლიანი საზომი (ძირითადი — ეჭურით მეხუთე მარცვლის შემაღვ) ბიზანტიურიდან გადავიდა რომანულ ლექსთწყობაშიც (იხ. Edmund Stengel, Romanische Verslehre, Strassburg, 1902, გვ. 14), აგრეთვე ამ ენათა პროსოდიისთან შეთანხმებით (ქართულში ბიზანტიური 12 მარცვლიანი ტონურ-ტრი შეიცავდა ძირითადად ქორეაქტიურ 12 მარცვლიანად (იხ. ა. ქ. ლ., 1953, 208-213). ქართული ჰიმნოგრაფიული ტექსტები (იამბიკების გარდა) მწუბრ მეტრულ სტრუქტურას არ აელენენ, მათში რიტმს აყარებს ვოკალი (ვალობა) რას გამოც თვით ტექსტებში კანონზომიერების დადგენის საკითხზე არცაა. ამიტომ არავითარი „შესაძლებელია“ ლექსთწყობისა ქართულ პოეზიაში არაა და არც შეიძლება იყოს.


რაც შეეხება ქართული კლასიკური ლექსთწყობის „სილაბურად“ გამოცხადებას, ეს შეხედულება უკუაგლო ჩერ კიდევ იმეინი ბოლხოვიტინოვმა 1802 წელს, ყველაზე დასაბუთებულად კი გრამატიკოსმა ე. დონაშვილმა 1890 წელს. მან ცხადყო „რეალური ტონური წარ-

მოდგენის მარცვლების თვალადაგვიანა „თუ რით განსხვავდება მარცვალთა რაოდენობა ერთნაირი ლექსები და რას უნდა მიეძღვას მთავარი ყურადღება, როდესაც გვიდღა შევითვლო წყობა ლექსისა“ (იხ. ა. ქ. ლ., 80). ასევე ფიქრობდა ს. გორგაძეც. ასე ფიქრობთ ჩვენც (რასაკვირველია — სულ სხვა მეთოდოლოგიურ საფუძველზე დგომით).

ბ. ინგროუეის აზრით კი ქართულ კლასიკურ ლექსს ახასიათებს „მულდოვანება“ და არა ტრეფოვანება, ე. ი. ის ურყოფს ქართული ლექსის ტაქტის მეტრულ სქემაში ტრეფის არსებობას (ტრეფად მას ისევ ბერძნული მეტრის ელემენტი აქვს მხედველობაში, თუმცა მეცნიერულ ვერსიფიკაციაში დიდი ხანია ცნობილია, რომ ტრეფი ბერძნულ ლექსთწყობაშიაც სქემის ელემენტია და არა რეალური მეტრული ბიტი. ტრეფის საზღვრები შეიძლება დამთხვას ან არ დამთხვას ბიტყვათაშორის საზღვრებს. ასეა ყველა სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაშიც. მაგ. აქვენი ონგანი“ დაწერილი ოსტრენგანი იამბით, მისი პირველივე ტაქტი სქემის მიხედვით შემდეგნაირად უნდა დაიყოს: $M\ddot{o}n + \dot{d} \dot{r} \dot{a} \dot{r} + \dot{c} \dot{a} / m \dot{y} x + \dot{v} \dot{e} / \dot{c} \dot{t} \dot{n} y x + p r' \dot{a} / v \dot{y} l$ თუ ამ მომენტს არ გავითვალისწინებთ, ამ ტაქტსაც „მულდოვან“ ლექსად მივიღებთ; მაგრამ ნამდვილად სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე — სქემა ერთია, რეალური მეტრული — მეორე. ასეა გერმანულ და ინგლისურ ლექსთწყობაშიც. გერმანულ ლექსთწყობაში ეს მოვლენები ახსნილი აქვს Fr. Saran-ს (იხ. მისი Deutsche Verslehre. München, 1907 იგი პირდაპირ წერს: „Fuss ist-kurz gesagt-ein Teil des Metrums bezw. des Metrischen Schemas“ (DV, 203). რეალური მეტრული ბიტი თვალსაზრისით ტრეფს, ე. წ. „ფუტბიტს“ და კათალექტიკოს მოვლენებს ინგლისური ლექსთწყობისათვის ფიქტად აცხადებს გამოჩენილი ფრენტისტი და ინგლისური ვერსიფიკაციის მკვლევარი E. Scripture (დაწერ. იხ. ა. ქ. ლ., 1953, 153).

სქემა გრაფიკული გამოხატვა რეალურ მეტრულებაში მოცემული ძლიერი და ზუსტი მომენტების (მახვილიანი და უმახვილი მარცვლების) კანონზომიერი თანმიმდევრობისა. ამ მომენტის უგულებელყოფა რომ არ შეიძლებოდა, ეს იცოდა ჯერ კიდევ თეიმურაზ ბატონიშვილმა, რომელიც აკად. მ. ბროსეს შეკითხვაზე იმეინი ბოლხოვიტინოვის წიგნის იმ ნაწილის გამო, რომელიც ქართულ პროსოდიას ეხება, სხვათაშორის აცნობებდა ფრანგ ქართველოლოგს:

„თვითთვლითა გვართა ლექსთა ტაქტი მარცვ-



ლებითაცა ჭერ არს, რათა იყვნენ თანასწორ ურთიერთისა (იგულისხმება — სილაბურობა, ა. გ.), მაგრამ განსინჯველი ლექსთა ქართულია ამხ შინა შესკდების ფრიალად, უკეთ არა უწყის ესე, რომელ სიტხთა შინა ხმოვანთა ასოთაგანი აქვს თუთულსა ძალი სრულისა ხამარცვლისა შინა ადგილთა (იგულ. ტონურობა ა. გ.)" (იხ. ქართული პოეტიკის ჭრეტომითი. ვივი მიქაძის რედაქციით და შენიშვნებით. თბ., 1954, გვ. 62).

მამასაღამე, თავის დროის გამოჩენილ მეცნიერს თეიმურაზ ბატონიშვილს (რომელიც თვითონ პ. ინგოროვასთვის ავტორიტეტული პირია, მაგ. რუსთველის ბოგარაფიის საკითხებში) კარგად სცოდნია, რომ ქართული ლექსითაა სილაბურ-ტონურია: იგი პირდაპირ, კონკრეტულად აცხადებდა — „შესკდების ფრიალად“ ის, ვინც ქართულ ლექსში ვერ დაინახავს — რომელი ხმოვანი არის ძლიერი და მასში მარტოოდენ მარცვალთა ოდენობის აღნიშვნით დაქაყოფილდებაო.

პირველი ქართული აკადემიკოსი ცამდე მართალი იყო და რა სამწუხაროა, რომ ეს ჭეშმარიტება უგულვებელყოფილია XX ს-ის 60-ან წლებში!

ჩვენი მონოგრაფია მიზნად ისახავდა არსებობდა ამ ჭეშმარიტების საბოლოო დადგენას და მის მეცნიერულ დასაბუთებას (ქართული კლასიკური ლექსის სტრუქტურის ყოველმხრივ ანალიზთან ერთად). ნუთუ ამოდ დაეშვრით? მაგრამ, საბედნიეროდ ჩვენდა, ეს ასე არაა. ჩვენი შეხედულებას საილუსტრაციოდ მივმართეთ კონკრეტულ მაგალითებს:

ავიღოთ რუსთაველის შემდეგი ტაბეი:
„მიბრძანა: „მოლანმანვიდეს || მე, მისთვის
გაცუდებულსა“.

„მუხლდოვანების“ მიხედვით ეს ტაბეი ასე უნდა დაიყოს (დაქტილური „კადენციით“):

„მიბრძანა: / მოლანმანვიდეს || მე, მისთვის / გაცუდებულსა“.

16. ჩვენი სქემით კი ეს ტაბეი-საზომი სკანდირების ფონზე ასე წაიკითხება:

„მიბრძანა: მოლა: მანვიდეს || მე, მისთვის:
გაცუდებულსა

3 + 2 + 3 || 3 + 2 + 3 = 16.

დაქტილი + ქორე + დაქტილი || დაქტილი + ქორე + დაქტილი. მამასაღამე: ტაბეი — „დაბალი შაირი“-16 მარცვლიან ქორედაქტილურ მეტრს

წარმოადგენს (მისი ვარიანტია: „იყო: არამეთს:

როსტვენი || მეფე: ლეთისაგანი: სვიანი“). ვახანლოზებულ ტაბეში ორი ხელმძღვანელი სიტყვის შინაგანი სტრუქტურა შექმნილია მათს ტერ-

ფებთან არ დამთხვევას აღნიშნავენ („მოლა:

მანვიდეს / / / / და „გაცუ: დებულსა“ / / / /). რაც იმას ნიშნავს, რომ ტერფი ანტრეპეტული „სქემის ერთი ნაწილია“ (ფრ. ზარანის გამოთქმა რომ ვიხსენებოთ) და რაც სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მეტრული (კვანტიტეტური) და სილაბურ-ტონური ვერსიფიკაციის თვალსაზრისით; ვიმეორებთ: სქემში სიტყვის მიწენები შეიძლება დამთხვევას ტერფის მიწენებს ან არ დამთხვევას.

თანაც — 16 მარცვლიან შაირში სხვა აქცენტაციის მქონე საზომიც გვხვდება, ე. წ. „მაღალი შაირი“ (წმინდა მე-II პეტრე, ქორეული ვარიანტებით): მაგ.

მე რუსთველი/ხელბრთია/ვიქმ საქმესა/ამადარი
4 4 4 4 = 16

ბოლო ტერფში მახვილი გადაადგილებულია საზომის კლავიშის ზეგაყვანილი, რადგან მაღალ შაირს ქორეული რითმა აქვს. ამიტომ უღებია პ. ინგოროვამ, როცა ამტკიცებს — ქართული მახვილი უძრავიაო. არა-ქართული მახვილი ექსპრესიული-დინამიური, ლექსში იგი მოძრაობა, მაგრამ არა თავისუფალი (როგორც რუსულში). თვით ქართული ენის მიმართაც მახვილი არ შეიძლება ტიპიურ უძრავ მახვილად იქნეს შინაგული: სიტყვის მარცვლებრივ გაზრდის ან შეფუცის შემთხვევაში იგი ადვილს იცდის დაქტილ-

რობისადმი შეიძრეკილების გამო (მაგ. „მარგალიტა“ (3) და „მარგალიტი“ (4) და ი. შ.

(ერკლად იხ. „ქ. კ. ლ.“ თავი — „მახვილი“). ეს იყოდა ჭერ კიდევ პ. იოსელიანმა (მღრ. მისი „ღრამატიკა“... 1840). თვით რუსულ ლექსშიაც, ზოგჯერ ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საკმე. პუშკინის ტაბეი — „Легким зэфиром летит“ შეიძლება წაყვებობთ მეორენაირადც „Легким зэфиром летит“. პირველ შემთხვევაში ტაბის სიტყვას зэфиром იმიტომ ექთხებლობთ მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე, რომ მთელი ტექსტის მეტრი ქორეულია (ე. ი. ცნობილია რიტმული იმპულსი ლექსისა). დაქტილურ საზომში კი იგივე სიტყვა წაიკითხებოდა, როგორც зэфиром (იხ. „ქ. კ. ლ.“ გვ 131).

„მაღალი შაირის“ საზომს აქვს ქორეული ვარიანტები. მაგ.

არცა/ჭირი/ჭირად/უზანს/არცა/ლინი/ზედა/ზედა
 2 2 2 2 2 2 2 2 = 16.

ამის შემდეგ აბსოლუტურად ნათელი უნდა იყოს თ. ბატონიშვილის სიტყვები და კ. დოდაშვილის განცხადება: ქართული ლექსწყობის ანალიზისას მთავარია გათვალისწინება იმისა „თუ რით განსხვავდება მარცვალთა რაოდენობით ერთნაირი ლექსები და რას უნდა მიეცემა მთავარი ურჩადლება, როდესაც გვიანა შევიტყო წყობილება ლექსისა“.

მარცვლების თვლა ადვილია, ტაქტის აკუსტიკური მხარის ანალიზი კი-ძნელი. მაგრამ ამ სიძნელის გამო ანალიზი არ უნდა გაეიფოტო.

ერთი მაგალითიც:
 „შენ ჰქენ სამართალი, სწორე და მართალი“
 (დ. გურამიშვილი)
 6 6 = 12

„მუხლედოვანობის“ მიხედვით ამ ტაქტში უნდა გვექონდეს ორი წეჭი, თეითელი — 6 მარცვლიანი, უტერფო და უმახვილო:

ჩვენ კი მთელი ტაქტის აქცენტუაცია ასე წარმოგვიდგება მეტრულ სქემაში (სქანდირების ფონზე):

შენ + ჰქენ + სა: მართალი | სწორედ + და | მართალი
 3 3 3 3 = 12

ე. ო. ტაქტი ოთხტერფოვანი დაქტილური მეტრიია.

შტრ. გ. ტაქტიც:
 ანგელოს/ეჭირა/გრძელი + პერ: გამენტი
 3 3 3 3 = 12

ამრიგად — მუხლედოვანება ფიქციაა, ქართული ლექსის მეტრული სქემის ტერფოვანება — კი ფაქტი. ვინც ქართულ კლასიკურ ლექსში სიტყვიერ-მეტრულ მახვილებს უარყოფს, იგი საშინლად აურუებს და აღარაბებს მას. ჩვენი მონოგრაფიის მეორე, 1955 წლის, გამოცემაში ვწერდით:

„ვინც სმენითს პლანში ვერ არჩევს განსხვავებას, მაგალითად, აქცენტუაციის ორი სახისას „დაბალ შირში“ (შაგ. „მე რუსთველი ზელობითა ვიქმ საქმესა...“ და „ნახეს უცხო მრყე ენმე...“), იგი უმჯველად მიავაგებს ადამიანს, რომელსაც სიმფონიის მოსმენა სწავლია მარტოოდენ ნოტების თვლიერებისას და არა მისი ორკესტრითი გახმაინების დროს“ („ქართული ლექსი“, 1955, ბოლოსიტყვე. გვ. 230).

თავის დროზე (1955 წელს) ეს იყო ჩვენი

მსჯავრი ქართული ლექსის შესახებ არსებულ სილაბისტრ თეორიებზე.

დაცხსომით კიდევ ერთი გრძელდება: ყველა სილაბურ ლექსწყობას ახასიათებს ერთი ურღვევი კანონი: თუ ტაქტი ათ მარცვალს ასცდა, იგი ატარებს ორ მსხვილს — ცეზურის წინ და ტაქტის ბოლოს. კიდევ ერთხელ მოვავიკნებთ: ბინანტიურ ლექსწყობაში ამ მოვლენას ეწოდება პაროქსიტონაცია (მასს, ყაუზნიშვილი), ასევე რომანულ ენებშიც (ეღმუნდ მტენგელი). ამიტომაც ტაქტი აღმავალი ისეთ ლექსწყობაში, არავითარ ანალოგიურ მოვლენას ქართულ და სხვა სილაბურ-ტონურ ლექსწყობაში ადგილი არ აქვს (ყურძოდ, ქართულში ტაქტების რიტმი (გურამიშვილის მსგავსად) და აღმავალია). ფრანგულში მაგალითად, სიტყვიერი მახვილები ნიველარდებიან ცეზურამდე და ქალეზულამდე. ქართულ ტაქტს კი არაიენ კითხულობს აღმავალი ტემპით, გაბმულად მარტოოდენ ორი მახვილით:

იუოარაბეთსრო სტევან მეფელავისაგანსევიანი
 ყველა ამ შენაშენების შემდეგ მაინც ნათელი უნდა იყოს რომ ქართული ელახიკური ლექსის სილაბისტური „მუხლედოვანების“ თეორიული შენობა ჭეიშაზე აგებული და მიხვან არაფერი რჩება.

ვინც ფიქრობს, რომ ქართული კლასიკური ლექსის ტაქტში სიტყვის ფონეტიკური პროფილი მყოფოდ არაა გამოსატული (ე. ო. სიტყვათა აქცენტური მწვერვალები მასში წაშლილია), იგი თვალთ სწავლობს ქართულ ლექსს. ამგვარ იოდ და ტექნიკურ საქმიანობას არავის მივუღოცავთ.

პ. ინგროსყვა მინც იძულებულია კაცკლოძესთან კამოში განსხვავდოს:

„ქართულ ენაში არსებობს მახვილი, და თავისთავად ცხადია, მახვილი თავს იჩენს ქართულ ლექსში, როგორც საღვესო კომპონენტი“ („მნათობი“, 1959, № 6, გვ. 120). როდენ უმატებს რომ „მისი (მახვილის. ა. გ.) მოწესრიგება ლექსში წმინდა სილაბური ლექსწყობის სტრუქტურის მიხედვით ხდეება“ (იქვე).

მაგრამ საკითხავია: რომელ სილაბურ ლექსწყობაში ხდება ამგვარი რაში? ასეთი სისტემის ლექსწყობაში ხომ ენაში დაცული სიტყვიერი მახვილები ნიველირდებიან და მათი ოციხვი არსებობთად 2-დე დადის — ცეზურის წინ და ტაქტის ბოლოს! ჩვენი მკვლევარის შეცდომის წყაროა ძველი, მცდარი შეხედულება — თითქოს უძრავ (სიტყვის გარკვეულ მარცვალზე მატარებელ, ფიქსირებულ) მახვილთა მქონე ენებში ლექსწყობა სილაბურია. მაგრამ ჩვენ შემოთ დავინახეთ, რომ ასეთი ვითარება ქართულში არაა (შედრ. აქ. კ. ლ., თავი — „ძახვილი“).

3. ინგოროყვა არ უფლის კ. კეკელიძეს განსაკუთრებულ დამახებრებელ ქართული ჰიმნოგრაფიული და ლიტურგიული ტერმინოლოგიის პირველად დადგენას (ეს ტერმინები დართული იქნეს ორ შრომას: *Литургические грузинские памятники*, Тифл., 1908 და *Иерусалимский канонарь VII века*, Тифл., 1912). 3. ინგოროყვა აცხადებს: „მე რომ ამ საკითხებში არაგად ვარ ვარკვეული, ამისი კ. კეკელიძის ეჭვი არ უნდა შეუვადებს, რადგან მის არაგად მოგხსენება, თუ ვის ეკუთვნის პირველი მეცნიერული გამოცემა იმ პირობებისა, სადაც ეს საბუნდოობები ვხვდებოდა (იხ. ჩემი „ძველ ქართული [?] ჰოზია“, წიგნი I) („მნათობი“, 1959, № 3, გვ. 150). შევლევას არ აღნიშნავს „ლიტურგიული ძეგლების“ გამოცემის წილს (1908), არც თავისი წიგნის გამოცემის თარიღს (1912). ამ კონტექსტში თარიღების არ დასახელება მგონი გამჭვირვალე ნუანსია (ამასთან მოვარგონებ პ-ლ 3. ინგოროყვას, რომ ის სწორედ კ. კეკელიძეს უხდის მადლობას თავის წიგნში „განათლებული რწმუნისათვის“).

ქართული ლიტურგიული ტერმინოლოგიის დადგენა კ. კეკელიძის ერთერთი დიდი დამახებრებაა. ბიზანტიურ ტერმინთა ქართული ექვივალენტები მანამდე არც ერთს ფუნდამენტალურ შრომაში ბრძანულ-ქართული ჰიმნოგრაფიის შესახებ არ შეიძლება აღნუსხული ყოფილიყო. ჩვენ ვრცლად არაფერს ვამბობთ 3. ინგოროყვას კატეგორიულ განცხადებაზე:

„ფიქრობთ ჩვენს განსხვავება ქართული კლასიკური ლექსის სილაბური წყობისა და მისი სტრუქტურული სპეციფიკისა — ურყევია“ („მნათობი“, 1959, № 3, გვ. 162-163). მაგრამ და თქმული ყველა იმით მიმართ, ვინც ქართული ლექსის სილაბურ-ტონურობას იცავს! მაგრამ ჩვენს სიტყვა ამ საკითხზე უმით უკვე ითქმობ, ქვემოთ კი დავინახავთ, რომ ეს „ურყვევი განსხვავება“ თვითონ 3. ინგოროყვამ შეარყია და მისგან არაფერი დატოვა.

აქ აღენიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ქართული კლასიკური ლექსის სილაბურ-ტონურობას აღიარებდნენ: ე. ბილხოვიტინოვი (1802 წელს), თავის დროისათვის დიდად განთავლებული მკვლევარი ვერსილიაკისა, რომელსაც არაგად სმენა აღმოაჩინა ქართული ლექსის კვლევის დროსაც; თეიმურაზ ბატონიშვილი; გრამატიკოსი კოტე დოდაშვილი (1890 წ.); არსებობდა ავად. ნ. შარტი (მის ევროპის შემოტრანა ცნებისა „სამახვილი კომპლექსები“); ჩვენს დროში. ს. გორგაძე და მე. ქ. კ. ლექსის სილაბურობას კი იცავდა: სხვათაშორის, უმეცარი ლუკა ისარლოვი. ხანაიძეონო გარემოებად მიგვანჩია იმის აღნიშვნა, რომ ქართული ვერსილიაკის კვლევის ისტორიაში ჩვენს სავარძელი არ დგას ლ. ისარლოვის სავარძლის გვერდით (მისი საექვო პოლიტიკური ფილიონოშია არაგად ცნობილია —

ხშირი ცნებული უყვარდა განსვენებულს ინდროინდელ მმართველ ელიტასთან, ზემო ორგანოებში, თავის სხვადასხვა ბნელ საქმეთა მოსაგვარებლად, საზოგადოებაში კი დიდ პატრიოტად მოქონდა თავი და ზოგი მამატი კიდევაც უყვრებდა მას).

თავის „პასუხში“ პ-ლი 3. ინგოროყვა ვრცლად მსჯელობს იმაზე, რომ მან ითანეზონისმეს (X ს.) „გუნდნი იგი ზეცისანი“ განსვ. პ. ბერამზე აღერ დალაგა მეტრულად („მნათობი“, 1959, № 3, გვ. 151-153) და ამბობს, რომ — „მე გენტლმენურად მოვექები პ. ბერამს“ და „არაფერი მიიჭეპს პლაგიატზე“ (იქვე, 154). გენტლმენობა, რასაკვირველია, ჩინებული თვისებაა, ოღონდ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიცავდეს თვითრეკლამის მეთერიოდენ ელემენტს. კი. გენტლმენურად მოვექობი ჩვენც პ-ლ მკვლევარს ვალერობრიუსოვის ამბებთან დაკავშირებით. —

„პასუხში“ 3. ინგოროყვა მოაგონებს კ. კეკელიძეს ძველ შედგომებს რუსთველოლოგიაში. ეს განვილი ამბავია. უფრო ცუდია, როცა დღესაც დაფიქრებით ვიმეორებთ ძველ შედგომებს, — მაგ. თითქოს ვახტანგ VI-ის გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ (1712) კრიტიკული გამოცემა კი არაა, არამედ რომელიღაც ძველი ვერსიის უცვლელი განმეორება (ეს საკითხი ხომ ავად. ა. შანიძემ აბსოლუტური სიზუსტით ვადამა 1937 წელს, მის მიერ გ. ტყეის 1712 წლის გამოცემის აღდგენილი ტექსტის კომენტარებში?). ამჟამად რუსთველოლოგთა შორის მხოლოდ 3. ინგოროყვა იმეორებს ქართული მეცნიერების მიერ საბოლოოდ უარყოფილ, სრულად უსაფუძვლო შეზღუდვებს. არ ვიცი — შედის თუ არა იმეორებული გენტლმენობის სფეროში ზუსტად დადგენილი კვლევების უფლებებუფა?!

„პასუხში“ 3. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ მის „ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარში“ დადგენილი ფაქტი, „ეამი“ რომ უდრის „იდებს“ („ქართული ეამი“ უმეტრეალობოდ ნიშნავდა იმსვე, რასაც რომაული idus „იდები“; გვ. 158-159) კ. კეკელიძეს არ აღნიშნავს 1946 წელს, მის მიერ გამოცემული „პროკოპის მარტივილობის“ ტექსტის წინდართულ ნარკვევში (დაიწერ. „მნათობი“, 1959, № 3, გვ. 158-160), და რომ კ. კეკელიძემ მისქმალა გერეთვე 3. ინგოროყვას მიერ ამ ტექსტში პირველად შეინიშნული თარგმანი — სტრიქონი პომპროსის „ლიადა“-დან („არა კეთილ არსსმარად უფლებად, ქორთ უფად იყავნ! და ერთ მეუფეშ“ (იქვე, 155-156) და მხოლოდ მისი (კ. კ. კეკელიძის) გამოცემის მიხედვით ვახდა ცნობილი ყველაფერი ეს საზღვარგარეთ.

რა გვეთქმის ყოველივე ამის გამო? სხვისი დამახებრებლის მიწქმალვა რასაკვირ-

ველია, არავის ებატება, მაგრამ საყვედურის მოქმელი თვითონ უნდა იყოს დაზღვეული ანალოგიური თვისებებისაგან. სამწუხაროა იმის აღნიშვნა, რომ ქართულ ფილოლოგიაში ამ მხრივ რაკრადი, უწინარეს უოვლიანო, თვითონ მბრძოლია. ბ. ინგოროვამ დაამყარა.

პირდაპირ აღერიცხველ მაგალითებიდან მოვიტანო რამდენიმეს (არა ერთი მაგალითი სხვებს აქვთ ჩამოთვლილი).

1). ბ. ინგოროვამ აღნიშნავდა „რუსთველიანში“, რომ ვ. ტ.-ს ეპილოგის მიერ სტროფში („ქართული ლმობისა დავითის“) შესამე ტაეში: „ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთის ზართა მარებლად“ გვაქვს ზმა „თ ა მ ა რ“, რაც აგრეთვე მოწმობს ამ სტროფის რუსთველისადმი კუთვნილებას. ეს მოსაზრება სწორია. მაგრამ საერთოა ვინ აღნიშნა ეს დეტალი პირველად? იგი აღნიშნა მის ვ. ჟანაშვილი მ. ა. (იხ. „მოამბე“, 1903, № 4, გვ. 69).

მ. ჟანაშვილს ბევრი სხვა რამაც შეუნიშნავს პირველად, რომელთა დასახელებს, რატომღაც, ზოგიერთი არ ეკადრებოდა (ამაზე სხვა დროს).

2). ბ. ინგოროვამ თავისთვის მიიწერს ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ თითქოს ფალაურ „ხუდაი-ნამაგ“-იდან (ბ. ინგოროვამთი — „ხეატაი-ნამაგ“; ნიშნავს „მეფეთა წიგნს“) მოტანილი ერთი ლექსითი ციტატის ქართულ მეცნიერებაში პირველად აღმოჩენის. ეს ციტატა (ბ. ინგოროვასეული წყაროებით):

რომელმან შეკრა ჭაჭვითა ბერასფი გველთა უფალი

(და) „დაბა მთასა რასს ზედა, რომელ არს კაცთ-შეუვალი.

(იხ. „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“. „მნათობი“, 1939, № 4, გვ. 96 და სხვა მის შრომებში). ლეონტი მროველის ტექსტის მეცნიერულ გამოცემაში ეს ციტატა ასეა მოტანილი:

რომელმან შეკრა ჭაჭვითა ბერასფი გველთა უფალი

(და) დაბა მთასა [მ ა ს] ზედა, რომელ არს კაცთ(ა)-შეუვალი.

3. ინგოროვას „რაა“-ს ნაცვლად აქ. ციტატაში, რედაქტორის მიერ შეტანილი კონიექტურა „[მ ა ს]“ და ტაეში. სილაბურად გამართულია აგრეთვე „ა“-ს მიმატებით სიტყვაში „კ ა ც თ (ა)“. (იხ. ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. სიმონ ყუბინაშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 8) მაშასადამე სიტყვა „რაა“-ს ტაეში ნებისმიერადაა შეტანილი 3. ინგოროვას მიერ („ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველის ტექსტი უშუალოდ ასე იკითხება: „რომელმან შეკრა ჭაჭვითა ბერასფი, გველთა უფალი, და დაბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ შეუვალი“ იხ. აქ. ცხ., I. ს. ყუბინაშვილის მიერ დადგენილი ტექსტი.

თბ., 1955, გვ. 13. ამგვარად ჩვენ ვტივობთ, რომ ის არაა ლექსითი ორტყვედურ ნუსხაში ამ ციტატის ფორმისთვის ცხარედაცვლა (1929 წ.) „შანამედან“ წარმოშობაზე უწერიათ მ. ბრასენ (ლეონტი მროველის ტექსტის ფრანგული თარგმანის შენიშვნებში) და სხვებს.

ლეონტი მროველი XI საუკუნის შემადგენელი (იგ. ჟაბახიშვილი, ქ. კეკელიძე ვ. დონდუა და სხვ.) ეს აზრი დადასტურდა თვითონ მროველის ქვაზე ამოტვილი ეპიტაფიის აღმოჩენით (თუმცა ეს საკითხი ზოგისთვის საკამათოა და ჩვენ ამ კამათში არ ვერგვივით). მაგრამ აღნიშნავთა შედეგში მომენტით: ბ. ინგოროვას ლეონტი მროველი VIII ს. ისტორიკოსად მიაჩნია. რატომ? არავითარი დოკუმენტი ამ პირობის გასამაგრებლად არ არსებობს. მგონი ერთადერთი საბუთი, რომელიც მკვლევარის სასარგებლოდ ლაბრაკობს, მდგომარეობს შემდეგში: ლეონტი მროველი წერს, რომ მან ზემოთ მოტანილი ფრაზა ამოკითხა „ცხოვრებაში სპარსთასა“. მაგრამ ისმის კითხვა: რატომ არ მოყავს ლეონტი მროველი ფალაურა ტექსტის (თუ უშუალოდ სასანიდების ეპოქის ამ ქრონიკიდან აღმოცენდა ციტატი) ნამდვილი სათაურის „ხუდაი-ნამაგ“-ს ქართული შესატყვისი „მეფეთა წიგნი“?

საქმე შემდეგში: 632-651 წლებს შუა დეკანმა დენი შეკრა შუადგინა ძველი სპარსეთის მეფეთა და გამართა ცხოვრების ქრონიკა, მოყოლობდა მითითურ პირობებთან (არაბიზ. ფორმა მისი არის „ეფიფრას“ ასე იწოდება იგი „შან-ნამეში“), რომელსაც ზოროასტრულნი პირველ აღმთავარად სთვლიდნენ დედამიწაზე — ელერ სასანიდ ზოსროვ II ფარეხამედ. ეს ქრონიკა იწოდებოდა „ხუდაი-ნამაგ“-ად, რაც ნიშნავს „მეფეთა წიგნს“. მისი ტექსტი არ მოღწეულა, მაგრამ დადგენილია, რომ ქრონიკის ხელნაწერები VIII საუკუნეში არსებობდნენ (იგი VIII ს.ში უთარგმნა ენიშე ბენ-შეკაფას, თარგმანი დაკარგულია). ეს ხომ არ იქნებოდა საფუძველს ბ. ინგოროვას ლე-

1 არც ეს შეხედულება ორიგინალური სათანადო ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ სპეციალისტი ასკენის: „ამიტომ არაა მართებული, როდესაც ბ. ინგოროვას მიაწერენ მოსაზრებას, თითქოს მას ეკუთვნოდეს ლეონტი მროველის VIII საუკუნის მწერლად მიჩნევა. ბ. ინგოროვამ არ უთითებს ლიტერატურას ამ საკითხზე“ (იხ. აბრ. ზარამიძე, ისევ ლეონტი მროველის თხზულების ერთი ადგილის განმარტებისათვის. კრებული „ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1968, გვ. 46. შენიშვნაში). საკითხის ისტორიისათვის იხ. აგრეთვე ქ. კეკელიძე, ქ. ლ. ისტ., 12, 1941, გვ. 210, 220.

ონტი მროველის არსებობა VIII საუკუნეში ივარაუდოს? მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ჩვენამდე არ მოღწეულა გვიანდელი საუკუნეების არაბული ვერსიებიც ამ ძეგლისა, მაგრამ ჭრონიკის შინაარსი ხალხში (სპარსელთა შორის) ყოფილა ცნობილი. რატომ არაა დასაჩერებელი, რომ ლეონტი მროველიც (XI ს.) მას ზემობი გზით ან შანამეს მიხედვით იცნობდა და არა უშუალოდ „ხელდა ნამავს“, ამ დროს (XI ს.) სპართოდ დაკარგულ ძეგლს? ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ძეგლის ფალაური სახელწოდების („წიგნი მეფეთა“) ზუსტი გადმოქართულება ლეონტი მროველთან არ გვხვდება.

რომ აღნიშნული ციტატი „შანამედან“ უნდა მომდინარეობდეს, ამას მოწმობს აგრეთვე ერთი დეტალიც: „ბ ე ვ რ ა ს ლ ი“ (რუსულ თარგმანში «Биверсп») „შანამეს“ იმ თავშია მოხსენებული, რომელიც „ზიხაისა და მისი შიშის შესახებ თქმულებას“ ეძღვნება. (იხ. Шахнаме, т. I, М., 1937, стр. 40. стих 1001). „ბევრასდი“ ებითიგია და ნიშნავს „10000 ცხენის მფლობელს“. „ცხენებს უამრავი ჯოგით (რებით) მდიდარს“ (იქვე, შენ. გვ. 611). ეს „ბევრასდი“ გვხვდება ქართულ ციტატაშიც. მაგრამ არსებობს საშუალება შევამოწმოთ როგორ იყო ის ან (მისი კონტექსტი) წარმოდგენილი „ხელდა-ნამავის“ დაკარგულ ფალაურ დედანში. „შანამეს“ რუსულ თარგმანში ზიხაის შესახებ ნათქვამია:

Его Биверспом прозвали-затем,
Что пехлевийском, как ведомо всем,
Зовется «Бивер»... (1, ტაგები 1001-1003)

ლეონტი მროველის ციტატაშიც შანამეს „ბევრასდი“ ა ნახმარი. თავისთავად ამჟამაა რომ უნდა არყვეს ეს გაჩუმობა იმ სიპოთუხას, თითქოს ლეონტი მროველს უშუალოდ „ხელდა-ნამავ“-იდან ჰქონდეს გადმოღებული ციტატი. მაგრამ ეს საღიერო საკითხი ჩვენთვის ამჟამად ისე საინტერესო არაა, როგორც ერთი ფაქტი: ქართულ ლიტერატურაში აღნიშნული ციტატის შესახებ პირველად აზრი გამოთქვა ალექსანდრე ხანანაშვილმა წერილში „ქეალი საერთო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში“ („ივერია“, 1888). ა. ხანანაშვილი წერს: „ფრიდონია“ („შანამეში“ — ფერდინ., 2. გვ.: „შეერთა ქაქვით ბეჭრასდი, გველთა უფალიო, და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ შეუვალიო“ და დასძენს: „...ეს არ არის პირდაპირ შანამედან ამოღებული, როგორც ჰგონია პროფ. პატკანოვს, არამედ გავლილი აქვს გზა ერის მესიერებაში და შემდეგ ჩაწერილი მატანეში. შეიძლება ბევრსდის ამბავი ერთნაირად იყო გატყუებული საქართველოსა და სპარსეთში“... „ჩვენ ერს ყოველთვის დიდი ნიჭი გამოტყენია ლექსის თქმვაში,

და უადგილოა ეჭვი და უარყოფა საერთო პოეზიის ტრადიციისა „ქართლის ცხოვრებაში“ („ივერია“, 1888, № 218). მაგრამ ა. ხანანაშვილის იდეაა, რომ „შანამეს“ ძველ საქართველოში ძალიან კარგად იცნობდნენ და ლეონტი მროველის ციტატის ადგილობრივი, ფოლკლორული წარმოშობა საუკუო ჩანს.

ახლა თუ ისე, ა. ხანანაშვილი ჩვენს მეცნიერებაში პირველად დაინახა ლეონტი მროველის შიგნით მოცანილ ციტატაში ლექსი და ეს მისი მეთვინლებაა. პ. ინგოროვამ არსად არ აღნიშნა ეს ფაქტი. არ იცოდა? დაუჭრებელია.

3). პ. ინგოროვას უნდა გაგვახსენოთ ერთი ამბავი — თუ როგორ „მოიბოვა“ მან ვასანან-ლიზებლად ერთ დროს ზობის ეკლესიისა დაცული გიორგი მთავარმოწამის ხატი, რომლის მეორე მხარეს, წაწერაში მოხსენებულია ვინმე ვრიგოლის ძე ტბელი, პ. ინგოროვამ ვრცელად და თავისებურად განმარტავს ყოველივე ამას „რუსთველიანის ეპილოგში“ (იხ. მისი „თხზულებანი“, ტ. I). თავი რომ დაგანებოთ ზღაპარს იმის შესახებ, თითქოს ეს ტბელი არის „ძმეა მთასი, პერეთის ბაგრატიონი“, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მკვლევარის დამოკიდებულება თვითონ ხატის ანალიზის ისტორიისადმი: ხატის ანალიზი ისეა წარმოდგენილი, თითქოს იმ დროს არ არსებობდა აკად. გიორგი ლეონტიშვილის მონუმენტალური ორტიკონი შრომა „ქართული ოქრომწვედლობა“ (თბ., 1959). ამ მონოგრაფიის სათანადო ადგილას (I გვ. 572) მითითებულია ამ ხატის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა (ბროსეს, კონდაკოვის, ბაქრაძის და თაყაიშვილის შრომები), ხოლო ვიგნის მეორე ტომში, ალბომში, დაბეჭდილია თვითონ ხატის ფოტოსურათი № 206 და № 207 (წარწერა).

აკად. გ. ლეონტიშვილი ამ ხატს ააჩილებს XI საუკუნით (მისი საკვირველი მეცნიერული სიზუსტით მათ კარგად ცნობილია). მაშასადამე, „შოთას ძმის“ ტბელს, რასაკვირველია, ამ საუკუნეში არ შეეძლო ეცხოვრა (გ. ლეონტიშვილი წერს, რომ ხატი შეწირული ყოფილა „Ненем Тбели сыном Григория“). პ. ინგოროვას შეხედულება პრეტენზიოზი არაა, იგი უფრო ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება.

აკად. გ. ლეონტიშვილის ბრწყინვალე მონოგრაფიაში პ. ინგოროვამ „გვერდი აუარა“, დასახელებული შრომა თითქოს ბუნებაში არც კი არსებობდა. მთელი ამ ისტორიის შესახებ შესანიშნავად მოუყვა მკითხველებს აკად. ალ. ბაქრაძემ (იხ. მისი „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბ., 1964, ტ. IV, გვ. 413-415).

აკად. გ. ლეონტიშვილს მარტო „ქართული ოქრომწვედლობის“ ორი ტომი (აგრეთვე „ქაბეთის ანტიტექტურის“ ორი ტომი) რომ დაეწერა, მისი სახელი, როგორც უდიდესი მეცნიერისა, სამუ-

დამოდ დარჩებოდა ქართულ და მსოფლიო ხელოვნების მკვლევარების ისტორიაში. მისი შრომების არსებობის მიჩქმალვა მეცნიერული სიზუსტის სფეროს სცილდება.

4). კ. კეკელიძისადმი „პასუხში“ პ. ინგოროყვა წერს:

„საგალობლებში“ არსებული საგანგებო მეტრული პუნქტუაცია, რომელიც ვრავიკული მიწვევებით იყო საღვთსო ფორმისა. ამ მეტრული პუნქტუაციისათვის არ მოუქცევიათ ყურადღება მკვლევარებს და ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის საიდუმლოება მათთვის მიუწვდომელი დარჩა“ („მნათობი“, 1959, № 3, გვ. 163).

ამჟერად თავი დავანებოთ ტერმინოლოგიურ უზუსტობას („მეტრო“ და „პუნქტუაცია“ შეუთავსებელი ცნებებია ზოგადი ვერსიფიკაციის თვალსაზრისით). საკითხავია ოღონდ: მართლა ასეა საქმე?

პ. ინგოროყვა, უშუალოდ, კარგად იცნობს შ. პოლივექტოს ქართველ აწვილის წიგნს „ქართული საბერძნული და სასულეიკო კოლოები“ (ტფილისი, 1898), თუმცა მას არსად არ ასახელებს, ალბათ, როგორც მოძველებულს (ივ. ჯავახიშვილი კი მას საგანგებოდ არჩევს). პ. კარბელაშვილი ეხება საგალობო ნიშნებს (ნეგმებს) და მერმე წერს:

„გარდა ამ ნიშნებისა, ყოველი საგალობელი აღნიშნულია მუხლებად და ერთი მუხლი მეორე მუხლიდან განიყოფება სასვენი ნიშნით (., ან :). ესეთივე სასვენი ნიშნებით არიან დაბეჭდილი დღეს სახმარნი საეკლესიო საგალობელთა წიგნები — საიდესასწაულო, მარხვანი, პარაელტონი, ლოცვანი და სხვ. დაბეჭდილ წიგნებში სასვენი ნიშნები დიდი ხანია შევიდარბებულნი გეგნის ვალობას. სასვენი ნიშნის მნიშვნელობა ვალობაში დიდი რამ არის, ამაზედ ლაპარაკი მტრია“ (მ2), დაყოფა ჩვენია. ა. გ).

სასვენი ნიშნებისა და წერტილების ამგვარ ფუნქციანზე მიუთითებდა ავ. კ. კეკელიძე: „ფიქრობთ, წერტილი უნდა იყოს ერთგობის საშუალო ნიშანი, განიარაღებულნი „საგალობლის“ დანიშნულებით და ბუნებოთ“ (ეტიუდები, VI, გვ. 111). ახვევ ფიქრობდა ლოვიაგინიც ძველ-ხლავური და ბიზანტიური საგალობლების სასვენი ნიშნებისა და წერტილების შესახებ. და არა მარტო ლოვიაგინი!

რაც არ უნდა იყოს, პ. კარბელაშვილს კარგად ესმოდა ქართული საეკლესიო ვალობა, იგი პრაქტიკულად ფლობდა ამ სფეროს. ეს ჩემი და უპრეტენზიო მოღვაწე აღნიშნავდა:

„რაოდენთამე პირთა თანდასწრებით 1886 წ. გაზაფხულზედ ჩვენ გადაეთავალაოვრეთ მიწველ მოდრეკილის „კრებულში“, ვიგალობეთ რადენიმე საგალობელი. პირველად ჩვენ გვესიამოვნა რომ ჩვენს ვალობაში სასვენი

იქ კეთდებოდა, სიდაც „კრებულში“ აღნიშნული“ (დას. შრ., გვ. 52).

ივ. ჯავახიშვილი კი სწერდა: „ნიშნული“ „მიწველ მოდრეკილის „კრებული“ და ალავრების „სძლის პირი“ (ორივე ტყავზე ნაწერი X ს-ში) აჭრელებულ არიან საგალობო ნიშნებით, წითლურით; ეს საგალობო ნიშნები არიან ორგვარნი — სტრიქონზედ და სტრიქონს ქვეშ სახმარნი: ვარდა ამ ნიშნებისა ყოველი საგალობელი აღნიშნულია მუხლებად და ერთი მუხლი მეორისაგან გამოყოფა სასვენი ნიშნით (., ან :)“ („ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, თბ., 1938, გვ. 18).

ფიქრობთ — არ იქნებოდა ზედმეტი რომ ყველაფერი ეს გახსენებოდა პ. ინგოროყვის.

5). პ. ინგოროყვა ისე წარმოგვიდგენს საქმეს, თითქმის პირველად მან დაადგინა „ძლის-პირი“. (Cantus firmus) თავდაპირველი, ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. იგი წერს:

„ძლისპირი“, ანუ სრულის ფორმით (ურედუქციად) — „ძალის — პირი“, ორნიწილული სიტყვა; იგი ნაწარმოების (sic) სიტყვებიდან:

- 1. „ძალი“ — თავდაპირველად(?) „ხმა“; შემდეგ აღნიშნავდა საკრავის სიმს).
- 2. „პირი“ — „პირველი“, „წინამძღვარი“; შეიღარეთ ძველ-ქართული: „უბირობდა“ — „წინამძღვრობდა“, „მოთავეობდა“.

სიტყვის „ძალი“, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა „ხმა“-ს (და რომელიც შემდეგ სიმის სახელწოდებად იქცა), ჰქონია მეორე პარალელური სახეობა „ძანი“, საიდანაც ნაწარმოებია სიტყვა „ძანობა“, რაც ძველ-ქართულად ვალობა-სიმღერა აღნიშნავდა (იხ. იოანე შავთელი I, 15, 25, 86, 103, 104; ჩხარუბაძე II, 5, III, 4; V, 4; VIII, 15; IX, XI, 2). („ძველი ქართული მუსიკის აღდგენა“, „მნათობი“, 1958, № 2, გვ. 153).

მეორეოდენი დამატებით ექსკურსის შემდეგ ჩვენი ავტორი აღნიშნავს, რომ ძლის-პირი „როგორც გამოირკვა, ადგილობრივი ქართული ტერმინია“ (იქვე). მაშასადამე — ზემოთ აღნიშნული ფაქტები პ. ინგოროყვის აღმოჩენა (მის შრომებში გამოთქმა, „როგორც გამოირკვა“, საკუთარ აღმოჩენას ვულისხმობს მუდამ).

მაგრამ „ძლის-პირის“ და „ძნობის“ შესახებ პირველად და მეცნიერული ხიზუსტით სწერდა ივანე ჯავახიშვილი. ჯერ კიდევ თავის წერილში „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხისათვის“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1936, გვ. 36) იგი ამბობდა:

„ბუნებრივად ბადება საკითხი, რატომ ეწოდება სიმს ძველ ქართულში ძალი, რას ნიშნავს ეს ძალი? რაკი დასაკრავი ყოფილა ის იარაღი, რომელიც ხმის გამოიღებდა იყო. უნებლოდ შეიძლება მოგონდეს აღმამანს

სიტყვა „ძელი“, რომელიც ზეს ნიშნავს. მეგრულად ამის შესატყვისი არის „ჭა“ (მრავლობით რიცხვში „ჩალეფი“).

1938 წელს დაბეჭდილ მონოგრაფიაში ჩვენს დიდ მეცნიერს შეტანილი აქვს მთელი თავი „ძალეზიანი, სიმეზიანი საკრავები“. აქ იგი საგანგებოდ არჩევს — „ძლის“, როგორც სიმის მნიშვნელობას (გვ. 105-107), ხოლო ტერმინ „ძნობაზე“ ერცლად საუბრობს თავში „მუსიკის ზოგადი ქართული ტერმინოლოგია“ (40-51), როგორც „გუნდობრივობის აღმნიშვნელ“ სიტყვაზე, თანაც იმ ძეგლებზე აქვს მითითებული, სადაც ეს სიტყვა გვხვდება, მათ შორის ზუსტად შავთელისა და ჩაბრუხაძის იმ ტაეპებზე (ადგილების მოტანით), რომლებიც პ. ინგოროყვას ციფრებით აქვს აღნიშნული.

შეიძლება თუ არა ივ. ჭავჭავაძის მონოგრაფიის ამ ადგილების არ დასახელება აღნიშნულ კონტექსტში (რავინდღე განსხვავებული ვარიაციითა და დაუსაბუთებელი კორექტივებით არ ჰქონდეს ამ საკითხზე საუბარი პ. ინგოროყვას)? რე თუ პ. ინგოროყვა გვეტყვის — ეს თავისთავად იველისმებროდაო, არა, თავისთავად ასეთი რამ არ იგულისხმება! მაშინ არ უნდა დაეწერა — „როგორც გამორჩევათ“ — რაც სხვას გამორკვეული აქვს, მას ხელმოერედ არ ატყვევენ!

ივ. ჭავჭავაძის ყოველთვის დიდი ობიექტურობით აღნიშნავდა სხვის სულ მცირე, ხშირად უმნიშვნელო დამახრებებსაც კი. იგი უნდაღვინა მეცნიერული ცოლის გაყვითლებას იძლეოდა მთელი თავისი უმწყლო და დაიდი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე.

პ. ინგოროყვა წერდა 1958 წელს ქართული პროსოდიის ძირითადი ტენდენციის, მისი დაქტილურობის გამო:

„სეთი წყობა კადანსისა, ჩანს (დაყოფა ჩვენი. ა. გ.), მომდინარეობს ქართული ენის პროსოდიიდან. ქართული პროსოდია უპირატესად დაქტილური წყობისაა, ძირითადი მახვილი სამ და მრავალმარცვლოვან სიტყვებსა და კომპლექსებში. — მოდის დაქტილურ მარცვლებზე (ე. ი. მესამე მარცვალზე ბოლოდან)“ („მნათობი“, 1958, № 2, გვ. 169).

პ. ინგოროყვას „ჩანს“ უდრის მისავე „როგორც გამორჩევათ“-ს!

თავი რომ დაეანგზოთ არახუსტ გამოთქმას [არ შეიძლება ითქვას „დაქტილური მარცვლი“. ეს ავატურ მახვილს“ ვავს], უფრადღებას იქვეეს სიტყვა „ჩანს“. როგორთ — ჩანს? ვინა აქამდე არ ჩანდა ქართული პროსოდიის ძირითადი დაქტილური ხასიათი?

1. „ქართულ ელსიკურ ლექსში“ (1953) ჩვენ ვწერდით: „ბოლო ოვტიანოვი ქართული საზომების დაქტილური ბუნება კარგად აქვს შენიშნული, რაც ავტორის სუფთა სმენას მოწმობს“ (53). ბოლო ოვტიანოვი სტომოგრაფიის დაბეჭედა 1802 წელს.

2. მოტიანილი გვაქვს პ. იოსელიანის „ლამპარტიაში“ (1840) ქართული პროსოდიისადმი მიძღვნილ პარაგრაფიდან შემდეგი ადგილი:

„ოთხმარცვლოვანთა, ხუთმარცვლოვანთა და უმეტესთა ლექსთა (იგივე სიტყვა ა. გ.) შორის აღირიქვან მარცვლიანი ბოლოთაგან და მესამე მარცვლიანი დასახრულითგან არს ნიდადა გრძელი (ე. ი. მახვილიანი. ა. გ.)“ (გვ. 69). პ. იოსელიანის აზრს იმეორებს ნ. დ. ჩუბინაშვილი წერილში „ქართული პროსოდიისათვის ანუ გამოღებისა“ („სტ. კ. ლ.“, 70-71). ამავე შეხედულებას იცავდა კ. დოდაშვილი 1890 წ. (იქვე, 81-82), 1912 წელს — ს. გორგაძე, რომელმაც პირველად აღნიშნა ავრთვე, რომ არსებობდა ქართული მახვილი მობრავი“ (იქვე, გვ. 84) და უფრო ვრცლად — 1930 წელს (იქვე, გვ. 91).

3. ჩვენი მონოგრაფიის ერთი თავი „მახვილი“ დაბეჭდა 1947 წ. „მნათობში“ (№ 9). იქ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ქართული ლექსთწყობის სპეციფიკის გასათვალისწინებლად თვდაუბარებელია ქართული პროსოდიის თავისებურებათა შესწავლა საჭირო. მრავალმხრივი ანალიზის შემდეგ ჩვენ დავსკენდით:

„ყოველივე ზემოთ თქმული ცხადფოს ქართულ მეტყველებაში გამატონებულ დაქტილურ კანონს, ქართული ენა დაქტილურია და ეს პრინციპი ჩვენი მეტყველების ხერხემალს წარმოადგენს“ („სტ. კ. ლ.“, გვ. 123, ეტრნალის და წიგნის ტექსტშიც ეს სიტყვები დაყოფილია. ა. გ.).

ამრიგად, პ. ინგოროყვას „ჩანს“ ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ ქართული პროსოდიის ძირითადი დაქტილური ბუნების დადგენას 160 წლის იხტორია აქვს.

არც ეს ფაქტი იველისმება თავისთავად. მაშინ, სიტყვა „ჩანს“ უნდა მოვხსნათ.

ამერიად დავემყოფილეთ მოტიანილი პარალელულობით, რადგან მათი ვაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება (მაგ. რად ღირს თუნდაც პ. ინგოროყვისათვის დამახასიათებელი განცხადება — „ქართულ საზომები დღემდე არ ყოფილა ჩეროვანად აღრიცხულით“).

3. ინგოროყვა უარყოფს კ. კეკელიძის სავე-

1 თუ როგორ გაღარიბებულად გამოიყურება საზომების მარტოოდენ მარცვლობრივი ოდენობის მიხედვით დახასიათება „გ. შერა“-ში, შეიძლება მკითხველი დარწმუნდეს სახას მიერ შემოტიანილი 13-მარცვლიანი საზომითა („სტ. კ. ლ.“, 1953, გვ. 269). სტრუქტურული ანალიზის შედარებიდან იმავე საზომის დახასიათებასთან „გ. შერაზეში“ (გვ. 586).

ბით მართებულ შენიშვნას იმის შესახებ, რომ საგალობლებში წითელი და შავი მელნით ჩაწერილი წერტილების ამეტრული ფუნქცია“ საეჭვოა. იგი აბუნად იგდებს რეცეპტების საბუნებლო, მათ შორის კ. კეკელიძის მიერ დაღაგებული იონაშვილი მინახის იამბიკოს „განუთქვული განიკეთა ქუეყანა“ და აცხადებს, რომ მისი (პ. ინგოროვიცისული) რეკონსტრუქცია იამბიკოსი, ცალკე გამოყოფილი „ნახევარტაბებით“ და მარცვლილი სქემით: (5) (7) (12) (5) (7) (12) (5) (7) 12) — უფრო მისაღებია და რომ „ლექსის მეტრული სტრუქტურის ზუსტი აღდგენისათვის „ნახევარტაბას“ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ტაბასი“ („მნათობი“, 1959, № 3, გვ. 162-163).

არაა მართალი.

იმბიკო ძირითადად იზომეტრული სტროფია და არა პეტრომეტრული, ე. ი. ნახევარტაბები არ შეიძლება მასში მთელი ტაბების საღმრთო ექვსკვადრატულად გამოვაცხადოთ. იამბიკოს 12 მარცვლიანი ტაბები — პარალელურად უნდა დაიბეჭდონ. 5 მარცვლიანი კომპლექსი 12 მარცვლის შემადგენელი (თუნდაც პირებითად) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს — მისი ცეზურა მთელი ტაბების მეტრულ დაბოლოებად არ ჩაითვლება. ეს არ შეიძლება. უფრო ვასაგებად რომ ეთქვათ — 12 მარცვლიანი იამბიკოს ისე დანაწევრება, როცა სხვადასხვა სილაბური ოდენობანი (5) (7) და (12) მისდევენ ერთმანეთს, რიტმის იზოქრონობის ილუზიას, ე. ი. მეტრულ წევრთა დროის თანაბარფარგლებში განაწილებას (რაც სილაბურ ლექსოწყობაში უფრო დაუვლია, ვიდრე სილაბურ-ტონურ ლექსოწყობაში) — საცხებით აქარწყლებენ.

ამიტომ, კ. კეკელიძისთან კამათში მოყვანილი „საბუთი“ — ვეფხისტყაოსნის ან გურამიშვილის ტაბები ორ ტაბებად იბეჭდება ხოლმეო, — აქ მოსატანი არაა ასეთ შემთხვევაში, გრაფიკული მხრივ ორად განაწილება საღმრთო ტაბები (სა), მათ სილაბურ მთლიანობას არ არავევს. მაგ. ვ-ტყაოსნის ტაბები ორ თანაბარ ნაწილად იყოფა 3/8 ეს, ზომ სულ სხვა რიგის მოვლენაა! ამიტომაც, რომ პ. ინგოროვიცას რეკონსტრუქციებს თეორიულადაც არაფერი ამართლებს, რეალურად კი — ეინ უწყის რამდენად ზუსტია მის მიერ „აღდგენილი“ ტაბები ტექსტუალურ ჩვენებათა საფუძველზე.

შეცდომის სათავე, ყველა ცალკე შემთხვევაში (იამბიკოების გარდა), საგალობლებში სილაბური სიმეტრიების ძიებაა.

რაც შეეხება „მესამე სისტემის“ (7) „შინაარსობლივ-ტაბობრივ რიტმიკას“ — რაიმე კანონზომიერებაზე ლაპარაკი ამ „სისტემის“ „ლექსებში“ აგრეთვე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. არსებობს მთელი რიგი გამოკვლევები „მკვლე და ახალი აღთქმის“ რიტმის (და, ასე ვასინჯეთ — მეტრის) შესა-

ხებ (მაგ. რუსეთში — ცნობილი მწიგნობრთა A. Олесницкий-სა Рифм и метр. ветхозаветной поэзии. Труды Киев. дух. академии». К., 1867 (VIII, IX, X), მაგრამ „ბიბლია“ არაის მიუხედავად „მესამე სისტემის“ ლექსოწყობის შემცველ ტექსტად — „ლექსად“, ამ სიტყვის წმინდა გერსიფიკაციული გაგებით. ამიტომაც, რომ „მეტრიკის შესავალი“-ს ზოგად შრომებში „ბიბლიის რიტმზე“ არაიან მსჯელობას. ასეთი შრომა ბუნებაში არ არსებობს. უახლესი მეტრიკა ამაგარ შეხედულებას კატეგორიულად უარყოფს.

უარსყოფია აგრეთვე ირმოსისა და ტროპარის ცნებების შეცვლა კლასიკური ბერძნული ევრიფიკაციის ტერმინებით — სტროფი და ანტისტროფი. კ. კეკელიძის შენიშვნა ამ მხრივაც სრულიად მართებულია. აღნიშნულ ტერმინებს — ირმოსსა და ტროპარს — საფარველად იყვლეს (მათი სტრუქტურის მხრივაც) ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ყველა გამოჩენილი მკვლევარი დღესაც, თვითონ ტერმინების ხელუხლებად (მაგ. E. Wellesz-ი). ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევის დროს ეს მით უფრო მიუღებელია, რადგან ჩვენ გვაქვს მათი ქართული შესატყვისი ტერმინები, რომელთა არქაულობა მათს ლიკვიდაციას არ უნდა აადვილებდეს. პ. ინგოროვიცას დასაშვებად მიანია იმპაროს მამუკა ბარათაშვილის საშინაოდ მოკვლეული ტერმინი — „მუხლი“ („მუხლდღოანება“), რაც უყუსაგდება თანამედროვე ევრიფიკაციის დონეზე. მაშინ რა დაამევა, მაგ. „ძღოს-პარმა“, რომლის შემადგენელი ქართული ტერმინი არ მოგვეპოვება და ბერძნულ ირმოსს აღნიშნავს?

არ უნდა დაიფიქროთ აგრეთვე, რომ სტრუქტურულად ირმოსი და ტროპარი ვასხვავდება კლასიკური ბერძნულის ქარიკის სტროფისა და ანტისტროფისაგან, თუნდაც ისინი გენეტიკურად კლასიკური ლექსოწყობის ამ ფორმებისგან მომდინარეობდნენ (თუმცა ამ აზრის უსაფუძვლოდ აღნიშნა ჯერ ვიდრე კრიტიკა და მას ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ბევრი გამოჩენილი მკვლევარი დღესაც მხარს უჭერს).

საერთოდ — უშუალოდ ელინური პერიოდისან მომდინარე გავლენებზე ლაპარაკი, როცა საკითხი ქართული ჰიმნოგრაფიის გენეზისს ეხება, ჩვენ უმართებულად მიგვაჩნია. ვიტყვებ უფლებით ამ საკითხს სხვა დროს შევხვო უფრო ვრცელად. სათანადო ლიტერატურის მოშველებით. ყოველ შემთხვევაში უთქვლია — VII-X ს. ს. ქართველი ჰიმნოგრაფები აღმოსავლური ეკლესიის მიერ დიდი ხნის წინ დაგმობულ „ერეტეკოსთა“ მოეტური საქმიანობის გზას არ დაადგებოდნენ.

როდესაც ავ. კ. კეკელიძემ თავის რეცენზიაში „სახელდახელოდ“ მოიტანა მრავალ-

ლი მავალითი პ. ინგოროყვას მიერ „ლეჰსის“ მიღების მიხნით ცალკეული სიტყვების გა-
მორკვების (ერტილები, VI, გვ. 108-109), „გე-
ორკვი მერსულეს“ ავტორმა იმით იმართლა თა-
ვი, რომ „ჩვენ ვიძლები დუხინაშვილი ადგი-
ლების კონიექტურას, გამორჩენილი მარცხ-
ლის (იშვითად გამორჩენილი სიტყვის) აღდ-
გენის და სხვა“ („მნათობი“, 1959, № 3, გვ.
169).

როგორ თუ „იშვითად“? ან რომელი კონიექტურის მეშვეობით შეიძლება ტექსტიდან ამოღდება. სიტყვათა მთელი სერიისა: „შენი“, „ეუღლად“, „წმიდისა“, „ზენაი“, „ვრცლადრე“, „დედოი“, „რომელთაცა“, „ცოდნისა“, „უჲმად“, „შეხავები“, „ლმართისა“ და მრავალი, მრავალი სხვა (ერტილ., VI, 108-109). ამგვარი კონიექტურებით, ჩასაცხივებელი, ყოველგვარი რკონსტრუქციის შესაძლებელი და კ. კველიძე საესებით მართალი იყო, როცა შენიშნა: „ასეთ მინიშნულებებს ვხვდებით თვით ავტორის მიერ დაბეჭდილ ტექსტებში, რომელიც ვეღასათვის მისაწოდებია; რალა გვექნება იმ ტექსტებში, რომელიც ამდენის გამოკვეთებული არ ყოფილან და რომელთაც ჩვენ ვეცნობით მხოლოდ მის გამოცვლაში“ (VI, 108). ეს დაქვეება მართებული აღმოჩნდა: ვ. გვახარიას ნაშრომი და მიქელ მოდრეკილის „იადგარის“ შესწავლა კ. კველიძის სექტიციზის დოკუმენტურად აჩართლეს.

ჩვენის მხრივ დავსკენთ: თუნდაც მარტოოდენ წმინდა თეორიული ასპექტის გათვალისწინებით (აგრეთვე გამოკვეთებულ ნიშნებზე დაკვირვების საფუძველზე) — სხვაგვარი ვითარება არც იყო მოსალოდნელი.

„ნებასმიერი კონიექტურები“ (რასაც პ. ინგოროყვა, მისი სტილის შესაბამისად, კატეგორიული ტონით უარყოფს) აბლვევ უფლებას მკვლევარს განაცხადოს ერთი მავალითის მოტანის შემდეგ: „მეთხველი ხედაეს, თუ როგორ უცვლელად შეორადება სტროფის მეტრულ-რიტული აღნაგობა მის მომდევნო ანტისტროფში. სტროფის მეტრული წყობის სისწორებს აკონტროლებს და ადასტურებს მისი მარალელური ანტისტროფი“ („მნათობი“, 1959, № 3, გვ. 70) და რომ „ქართულ რიტმიულ პოეზიაში, ისევე როგორც ბერძნულ პოეზიაში (ბერძნულ ქორულ ლირიაში და მისგან მომდინარე (?) ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ლექსში) — ჩვენ ვამყვს მჭაფიოდ ჩამოყალიბებული სტროფულ-ანტისტროფული წყობა“ („მნათობი“, 1959, № 6, გვ. 130); „ქართულ რიტმიულ პოეზიაში ჩვენ ვამყვს პოლირიტმია, ე. ი. შეწყობა სტროფში სხვადასხვა საზომის (რიტმის) ტაქებისა, რომელიც ზუსტად იმავე თანრიგით შეორადება მომდევნო ორეულ ანტისტროფში“ (იქვე, გვ. 130). ამ სიტყვებს ავტორი არა ერთგვის იმეორებს (მაგ. შდრ. იქვე, გვ. 131).

საზომი არაა რიტმი, იგი რიტმის მარცხული-რებელი ფაქტორია. ამ ცნებების აღრევა არ შეიძლება. მერმე: ბერძნული ლექსის „მოლოტიტა“ სულ სხვა რიგის მოყვლიდა (იგი მავალიოდ გამოხატულ ტერმინებს და არათანაბარსმიერი ტაქების წგნუთა კანონში-ერ განმეორებას ემუარება). კლასიკური ბერძნული ქორიკული ლირიკის სტროფე წინასწარ მოცემული, უმეცარესად ჩამოყალიბებული ერთეულია, გამიზნული სათანადო აკომპანიმენტიც და იმპროვიზაციისათვის, რამაც მისი სტრუქტურა განსაზღვრა (ჩ. ვესტალი). ნებისმიერად რკონსტრუირებულ ქართული ეპლესიის საგლობელია სტროფიკათან მას არავითარი კავშირი არ აქვს — არც გენეტიკურად, არც სტრუქტურულად. საწინააღმდეგო მოსაზრება იხვევ მართალია, როგორც ვ. ბრიუსოვის მიმოსხანის, მამრმეტრის, ლომმეტრის, დერებისა და სინერგის ელემენტებს ძიება ქართულ ჰიმნოგრაფიაში.

აბათერი ეს ჩვენ არ გვიყვარს: ტექსტის თვლით შესწავლას, „ბერძნულ-რომაული კატეგორიების“ ძიებას ახალი ენების ლექსთწილობაში ახეთი შემდეგი უნდა მოყოლოდა.

ერთი მემენტის გამოკ: როცა კ. კველიძემ გამოარკვია, რომ პ. ინგოროყვას მიერ გრიგოლ ხანძთელის ორიგინალურად მიჩნეული ერთი ძლის-პირი „სოფლისა ზღუდა აღძრულ არს“ ნამდვილად ბერძნულიდან ნათარგმნი ყოფილა და თავისი აზრის თვალაჩინოების მიხნით მოიტრია ამ ჰიმნის ძველ-რუსულ თარგმანი («Житейское море водовозжаемое...» ერტილება VI, 114), პ. ინგოროყვამ არაპირდაპირ, მარკამ ვრცლად უმასხა, რომ ხანძთელის ეს ლექსი ისევე ვერ ამოიღება დიდი ქართული ლიტერატურის შემეცადრებოდა, როგორც ვერ ამოიღება დიდი რუსული პოეზიიდან, ვთქვათ, ევკლიდის პოეზია, თუმცა იგი მთლიანად (?) გაუღენებზე დაწყარებული, ანდა ვერ ამოიღება პუშკინის ზოგი შედევი, რომ მით სხვა ენებზე მარალელი მოუმივება, როგორც ვერ ამოიღება ლტომონტოვის პოეტურ საფანტრიდან «Горные вершины» („მნათობი“, 1959, № 6, გვ. 140).

მარკამ საქმე ეხება არა ამოიღებას (არავის ეს ფიქრად არ მოსულია, არც აყად. კ. კველიძეს), არამედ თარგმანის ორიგინალურ ნაწარმოებად მიჩნევის: ძლის-პირის — „სოფლისა ზღუდა აღძრულ არს“ — ბერძნული დედანის ძველი რუსული თარგმანი არსებული, — იც, რაშია საქმე ნუ ვეამარტივებთ სავითხის არსს. ლიტმოდნეობის თვალაზრისით ეს შემთხვევა მამიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. ქართული ლიტერატურის კვლევის ისტორიაში ეს ფაქტი დევნიყვარი იქნება. პუშკინის, ევკლიდის და ლტომონტოვის მა-

გალითები ამ შემთხვევაში ვერ გვიხსნიან. რუსული პოეზიიდან ვერ ამოიღება, მაგალითად, ქუოვსკის მიერ გერმანულადან ბრწყინვალედ თარგმნილი «ტუს შეფე» («Лесной царь»), ვერც «ოღნისეას»-ს თარგმანი, მაგრამ პირველი ნაწარმოები გოეთეს შედევრია მაინც, ხოლო «ოღნისეა»-პომეროსისა. ლერმონტოვის თარგმანს კი (ორიგინალთან შედარებით სახეცულოდ) სათაურად აქვს მითითება «Из Гете». არც ასეთ ელემენტარულ საკითხზე შეიძლება სერიოზულად დავა.

ერთი სიტყვით — მ ე შ კ ი ნ ი ს, ე შ კ ო ვ ს კ ი ს ა ნ ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს თარგმანები თუ შიბაძევები რუსეთში არავის გაუსაღებია ორიგინალურ ლექსებად.

როცა კ. კეკელიძე სილაბურად უთანაბრო ტაქტების მქონე ე. წ. «წყობილი სიტყვის ლექსებს» ასეთებდა არ მიიჩნევს, პ. ინგოროყვა უპასუხებს:

«თუ ზვენი გავიზიარებდით კ. კეკელიძის შეხედულებას, უნდა დავგვეკენა, რომ პუშკინის «Евгений Онегин» დაწერილია ლექსით, ხოლო «Сказка о рыбаке и рыбке» ვითომც დაწერილია პროზით, რადგან მისი ხალხური, პრქებული ტიპის ლექსითყობა არ უდგება კ. კეკელიძის მიერ აღიარებულ ნორმებს» და დამატებით მაგალითად მოყავს ლერმონტოვის «Песня про царя Ивана Васильевича...» («მნათობი», 1959, № 6, გვ. 136).

ნუთუ პ. ინგოროყვა სერიოზულად ფიქრობს, რომ მის მიერ დალაგებული «რიტმული პოეზიის» ლექსების ანალიზებზე შეიძლება გამოდგინდეს დასაბუთებული მაგალითები? პუშკინის «Сказка»-სა... და ლერმონტოვის «Песня»-ს ვერსიფიკაციული ფორმების ძირები რუსული ხალხური პოეზიის ტონური წყობის ბილინგუშია. ამიტომ ისინი ამ წყობის გენიალურ შიბაძევებს წარმოადგენენ. მაგრამ ქართული მიწმოვარაფიული «რიტმიული პოეზიის» «ლექსების» ხალხურ წარმომობაზე სერიოზულად ლაპარაკი არ შეიძლება, არც ზემოთ დასაბუთებული რუსული პოეზიის ძველებს ძველ რუსულ მიწმოვარაფიაში ანალიზების ძიება მოსვლია ფიქრად ექმნე. ისინი სხვადასხვა ლიტერატურული მოვლენებია.

პ. ინგოროყვა ცდილობს უფრო გაამაგროს ავტორი ანალიზები და წერს:

«რა არის ინგლისური ენის პოეზიაში, მაგალითად, უოტ უიტმენის ლექსი, თუ არა თავისუფალი რიტმის მქონე იგივე «წყობილი სიტყვის» ლექსი რომელიც კ. კეკელიძის ფორმულის მიხედვით თურმე ლექსად

ვერ ჩაითვლება»... (იქვე 137).

ეს კი მეტრმეტრია!

უოტ უიტმენის ლექსი არის Vers libre, თავისუფალი ლექსი, სადაც მეტრის, როგორც რიტმული ფაქტორის, შემნაცვლელად გვემოხდება განწყობა რიტმზე, და ეს განწყობა რიტმზე, მოცდა მეტრის რეალიზაციისა, აქცევს უიტმენის ლექსს ლექსად (თუნდაც ეს რეალიზაცია, ე. ო. ზუსტი საზომის გამოვლენა-პოლომდე განუზოცადებულად დაჩრქეს). ეს მომენტი აბსოლუტურად სულ სხვა რამეს გულისხმობს, ვიდრე პ. ინგოროყვას «წყობილი სიტყვის» «შინაარსობლივ-ტემპორივი რიტმიკა», რომელშიც გველვება სილაბურ სიმეტრიებს აღგენს წინააწარ აღებული სქემის თანახმად, რასაც საერთო არაფერი აქვს Vers libre-ის რიტმული იმპულსის ბუნებასთან. ზვენი პირდაპირ გვეკვირს პ. ინგოროყვას ასეთი დიდი ხარვეზი პოეტის საკითხებში.

და რაც მოაგვარა: პ. ინგოროყვა არ გრძობს, რომ თვითონვე, უნებურად, გამოუტანა მსჯავრი ახირებულ არგუმენტაციას და თვით «წყობილი სიტყვის» ცნების ფიქვით!

თუ როგორი «თავისუფალი რიტმი» აქვს, მაგ. ფალაური ენის პოეტურ ძველებს, როგორც ამის პ. ინგოროყვა ამტკიცებს (იქვე, 137), ეს კარგად ჩანს კ. ზალემანის მინიერურ ტექსტიბიდანაც, რაზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი. არაერთი მინიქტური მიწი დაწერილია გარკვეული, თანაზომიერი სილაბური მეტრებით, განსაზღვრული ცეზურებით ტაქტებში სამწუხაროდ — მანიქვიზმმა ყველა სფეროში უმტყუნა პ-ლ შევლევარს!

უფრო დიდი გაუგებრობანი წინ გველთ. ისინი მირს უთბობან პ. ინგოროყვას მთელს მტკიბანს ქართული კლასიკური ლექსის სილაბურობაზე, ქართული ლექსის მეტრულ სქემაში ტერფოვანების უარყოფას.

თი მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

«გოორგი მერჩულეს» ავტორის მოყავს ეკემენილე კრეტელის (VII ს. ძ. წ.) «თეოგონიონდ» ციტატი, რომელიც H. Diels-ის ჩვენებით (პ. ინგოროყვა ასახელებს მის წიგნს Vorsokratiker, II, 1912) შეტანილია პავლეს ეპისტოლეში ტიტესადმი. ეს ციტატი მკლევარს მოაქვს ბერძნულად.

საერთოდ «გოორგი მერჩულეს» ავტორის ღრმა განწყობულება ბერძნული ენის ნუანსებსა და ფილოლოგიაში — ძალზე თვალსაჩინოა. რასაკვირველია, მისასაღმებელი მოვლენაა, როცა ქართული ლიტერატურის მკვლევარი იმავე ღრმს თანამედროვე კლასიკური ფილოლოგიაშ ღონეზე დგას: ამ დარგში მისი ერუდიცია საყსებით შეფერება, ვთქვამთ, კარლ კრუმბაგერის რომელიმე დიდი მასშტაბის ღირსეულ მოწათუბიზანტინისტს. «გოორგი მერჩულესში» და თა-

ვის „პასუხში“ პ. ინგოროყვას არა ერთხელ აქვს მოტანილი მაგალითები ბერძნულ ენაზე. ყველა ეს ადგილები მისი შრომებისა სამუდამოდ დარჩებიან ქართულ მეცნიერებაში, როგორც იშვიათი ფილოლოგიური მიგნებანი.

სულ სხვა საკითხია, რამდენად სწორია ბერძნული ციტატების ძველ ქართულ თარგმანთა ვაანალიზებანი ვერსიონიკაციის თვალსაზრისით.

აი რას წერს პ. ინგოროყვა ებემენიდე კრეტელის ციტატის ქართული თარგმანის შესახებ: „ეგრძოდ ებემენიდე კრეტელის ტექსტი ძველ-ქართულს მთარგმნელს ამ უკანასკნელი ხაზოვით, შიბილურ-ბისტკაურის 19 მარცვლელი მებრთი (?), უთარგმნია“ (გვ. 574).

ცოტა ქვემოთ მოტანილია ციტატი, „მებრთული პუნქტუაციით“:

„კრეტელნი მარადის მტყუარნი, მკეცინი ბორბონი, მუცელნი უქმნი.

მკვლევარი დასძენს:

„მებრთული წყობა ტაეპისა ასეთია: 9||5+5. მოყვანილ ლექსში იგი რიტმულად ასეა გაწყობილი (ჰიპერმებრთული ჰექსამეტრის სახით):

9 || 5 || 5
(იქვე).

ჭარ ერთია: როგორც მოხდა, რომ სილაბური ტაეპი (პ. ინგოროყვას შეხედულებით ზომ ქართული ლექსითწყობა სილაბურია) ტერფოვანი აღმოჩნდა და ისიც აქცენტურია (სქემაში ნიშანი, მახვილიან მარცვალს აღნიშნავს, ნახევარ რკალი კი — უმხავილოს)? თანაც: ხაზოვნი „ჰიპერმებრთული ჰექსამეტრის სახისა“ ყოფილა. ხაზოვნი გრაფიკული სქემა უჩვენებს ქართულად თარგმნილი ტაეპის ქორება და დაქტილს, ოღონდ მკვლევარს ამ გრაფიკული სქემის პირველ მონაკვეთში, ცეზურამდე — 8 მარცვლი აღურაცხავს, ქვემოთ კი უჩვენებს ციფრს — 9. თანაც სქემაში სიტყვა „უქმნი“ ქართულ ლექსში არ არსებული უმაჯილო ტერფით — პირიხით — არის წარმოდგენილი (რატომ?).

თანაც — ასეთი „ჰიპერმებრთული ჰექსამეტრი“ ლექსწილობაში საერთოდ არ არსებობს. ვის აღმოჩენია ჰექსამეტრში ორი ცეზურა, როგორც ამას პ. ინგოროყვას გრაფიკული სქემა გვიჩვენებს.

მაგრამ აქ ჩვენ სხვა კითხვა გვიინტერესებს: ვინ დადგინ სილაბური ტაეპებისათვის ტერფების გამოშვატვლად გრაფიკულ სქემებს, ეს ზომ მხოლოდ მებრთულ (ჰექსამეტრურ) და სილაბურ-ტონურ ლექსითწყობათა სისტემებისათვისაა ხაჭირო? ეგრძოდ ქართული ლექსითწყობისათვის ტერფოვანება ზომ დაშვასიათებელი არაა პ. ინგოროყვას შეხედულებით? არც ერთი სილაბური ლექსითწყობის ტაეპებისათვის აქცენტური სისტემისა და ტერფების გამოშვატვლად მებრთული გრაფიკული სქემების გამოხატვლიბანი არ გამოიყენება, რადგან ზემოთ ჩამოთვ-

ლილი ელემენტები (ტერფები აქცენტებათ) ასეთ ლექსითწყობაში არაა.

პ. ინგოროყვამ კი ეს ელემენტები (იხივე ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ ციტატაში, ქართულ კლასიკური ლექსის ტაეპებში კი (რომელთა მებრთული პროფილი უფრო ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული) მკვლევარი ამ ელემენტებს ვერ ამჩნევს, როგორც ავხსნათ ეს ელემენტები?!

ყოველშემთხვევაში — მოტანილი გრაფიკული სქემით პ. ინგოროყვამ თვითონ დაასაძარა ქართული ლექსითწყობის სილაბურობის თეორია. ყველაზე მკაცრი ვერდიქტი ამ თეორიას გამოუტანა... თვითონ თეორიის ავტორმა. ეს უნდა დაეფიქროთ. სხვა გამოსავალი არაა. არა-უთარია.

ასევე ხდება ხოლმე შეცნობებებში.

მეორე მაგალითი:

„გოგორგი მერაულეს“ 575 გვერდზე ნათქვამია, რომ ბერძნულად თარგმნილი ფრაზა — „რომლისა იგი ნათესავი ვართ“ თურმე ყოფილა... „სუთიანი დიმეტრი 55“. მაგრამ ნახევარტაეპის ან ერთი სრული ტაეპის მებრთული სახის დადგენა, თუ შათ ისტორიულად პროტოტაეპში არ მოტოვებანი, შეიძლება მხოლოდ-დამხოლოდ მტროფის (მინიამალურად-ორტაეპიანი სტროფის) ფონზე. სხეიკვარად ფრაზის მებრთულ სტრუქტურაზე საუბარი-გაოვეებრობაა. თუ ამ გზას დავადექით თვითმულ პრობლემულ ფრაზიდან შეიძლება გამოვტრათ სხეიდა-სხვა დიმეტრები და ლოკალები.

ესევე ელემენტარული კანონია პოეტისა და იგი ყარგად უნდა დაეხსსომოთ.

დავასკვნათ: საშუებაროდ პ. ინგოროყვას მებრთული შეხედულებიდან აღარაფერი რჩება. ეს ამ უალბი მეთოდოლოგიის ბრალია, რაზედაც მკვლევარი დგას. ქართული ვერსიონიკაციის კვლევას პ. ინგოროყვა სწევს უკან, მ. ბარათაშვილისკენ, რომლის „პასუხი“ 1781 წ. დაწერა მოსკოვში.

პ. ინგოროყვამ შეტრაცხოფად მიიღო კ. კეკელიძის მეორე დახასიათება „გოგორგი მერაულეს“ კვლევათი მეთოდის ზოგიერთი მხარისა, აგრეთვე მკვლევარის სტილის ზოგიერთი მომენტისა; კ. კეკელიძე წერდა: „ავტორს ახასიათებს ზეიდაობა, სხეილი ნაშრომის თითქმის სრული იგნორირება“ (ეტიკლები, VI, 103). ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი რამდენიმე მაგალითი ცხადყოფს თუ რამდენად მართალი იყო კ. კეკელიძე. ეგლა სტილის გამოც. კ. კეკელიძემ უსაყვედურა პ-ლ პ. ინგოროყვას, რომ ჩვენს მკვლევარს ხშირად მიმართავს გამოთქმებს: „მე მივაკვლიე, მე ამოვიფიქრე, მე ამოვიხსენი, მე მივაგენი, მე დავადგინე, მე გამოვაკვლიე, აქ ჩვენ სრულიად მთელიოდნელი აღმოჩენა მოვედოდა“. (ტრ., VI, 103). ვამყენებულ შეცნიერს ამ

შენიშვნისათვის პ. ინგოროყვამ თავისი პოლემიკური ნიჭიერების მთელი ძალა დაატეხა თავს. მაგრამ როგორია საქმის ვითარება? ე. კეკელიძის შენიშვნა იყო — ფაქტის კონსტატაცია მხოლოდ! სტილი — ეს თვითონ აღმამიანია (ბიუფონი) და ამ შეიძლება ბევრი იღაოს ცაცმა. მაგრამ პ.-ლ. პ. ინგოროყვას მართლაც სწორად, ძალიან სწორად უყვარს (შეათხველის დარწმუნების მიზნით) ერთი და იგივე გამოთქმის განმეორება — ეს ცნობილია (არ ვარცა მაგ. აკვირებელი გამოთქმები „როგორც ირკვევა“ ან „როგორც გამოირკვა“, მით უფრო თუ ზოგჯერ არანდერი ირკვევა და არც რამე გამოირკვეულა), რაც შეეხება „ამომიფერე ბს“, პ. ინგოროყვას ბევრი ცდა ამ სფეროში, ავტრთვე ცნობილია, რომ მარცხით დამთავრდა. ასე, მაგ. მას კარგად ვერ ამოუშოვრავს საყდარ აძივის წარწერა (ამაზე იხ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი I. თბ., 1964, გვ. 272-273: „აძივის წარწერის გამო“. იქვეა მოთაქმებული ეპიგრაფიკული ძეგლის ფოტოპირი).

თუ რა ბედი ეწია პ. ინგოროყვას მი-

საწიგნაროდ, „ამომიფერას“ რომ თავი დავანებოთ, პ. ინგოროყვა ძველ ქართული ტექსტების შინაარსის გადმოცემის დროსაც სცდება ხოლმე. მაგ. პ. ინგოროყვა დაემყარა დავით აღმაშენებლის მემკვიდრის ცნობა (როგორც ს. ყუბხიშვილიმა გამოარკვია — გადამწერა მხერ დამახინჯებულს), თითქმის არისტოტელს დაწერილი ჰქონია აღქმანდრე მკედლონელის ისტორია. ანასტოლ ქართლის ცხოვრების ტექსტში, რომელიც პოეფ. ს. ყუბხიშვილიმა გამოსცა, სათანადო ადგილი ასეა დაბეჭდილი — „...გიტუი უყუე უშიროსს, არ ისტოვლის ელინოა...“ (ქართლის ცხოვრება, ანა დულოფისეული ნუსხა, სიმონ ყაუბხიშვილის. თბ., 1942, გვ. 218). ნუსხებში აღქმანდრე მკედლონელის ნამდვილი მემკვიდრე არ ისტოვლე იგულისხმება და არა გადამწერა მხერ დამახინჯებულად გადმოცემული არ ისტოტელე (იხ. ავტრთვე: მ. კახაძე. ქართველების წელი ბიზანტიის პოლიტიკის და კულტურის ცხოვრებაში. თბილისი, 1954, გვ. 48). პ. ინგოროყვა კი სწორად „...არისტოტელეს მართლად დაწერია თხზულება, რომელიც აღქმანდრეს ეხებოდა...და რომელიც არ მოღწეულა, ქართველ მთარგმნელს, სანანს, სცნობია ეს უწყება, რომ არისტოტელეს აღქმანდრეს შესახებ უწერია“. (იხ. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. ტფ., 1938, გვ. 61). მკითხველი დაგვთანხმება, რომ არისტოტელეს ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ მსჯელობისას უდიდესი სიფრთხილეა საჭირო.

ერ „გამიფერულ“ ძველ ქართულ სამეცნიერო ნიშნებს, ესეც კარგადაა ცნობილი. **XX ს-ში წარმოდგენილია აღმამიან, რომელიც ერთსადაიმევე დროს იყოს — რუსთველოლოგი, ისტორიკოსი, ხეოლოგი, მუსიკისმცოდნე, ეპიგრაფისტი, პალეოგრაფი, ხეოლოგიკონდერული ძეგლების დამთარგმნებელი, ილიას, აკაკის და ბართაშვილის პოეტ. მემკვიდრეობის მკვლევარი-ტექსტოლოგი და ა. შ. ჩვენი ეპოქა არაა ლეონარდო და ვინჩისი ეპოქა. ლეონარდოები იშვიათად იხადებან, ძალიან იშვიათად.**



ეკეა გვახარბას პირველი წიგნი „ქართულ მუსიკათარ სისტემათა განვითარება“ (თბ., 1962) ძირითადად მუსიკისმცოდნეებმა უნდა განიხილონ. ჩვენ არა ვართ მუსიკისმცოდნე. თვით ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა მუსიკა და სტრადევიაროსის ვოლინოზე უკრავდა, თავის თავს „მუსიკის მოყვარულს“ უწოდებდა (თავს კიდევ იმით იმართლებდა, რომ ამ საკითხებზე რამდენიმე ენაზე დაწერილი გამოკვლევების წაყიბვაც შეშობილა). მით უმეტეს, ასეთ საკითხებზედ გამოკვლევების წერა ისეთ აღმამიანებს არ შეუფერბი, რომელთაც რთიადის კლავიშებზე ურთი ნოტის აღებაც არ შეუძლიათ. ეს მიუტყვებელი რამაა. ჩვენ არ გვინდა ასეთ აღმამიანების რიცხის ვეკუთვნოდეთ (მიუხედავად მუსიკისადმი უსახლვრო სიყვარულისა).

ზოგადად მარც აღენიშნაეთ მომენტებს, რომელთა გარკვევა და დაზუსტება აუცილებელია ცნობილია, რომ სახელგანთქმულმა მუსიკისმცოდნემ ე. თბრამ ქართულ პანსოგრაფიულ ტექსტებში ხმარებელი ქართულ სამუსიკო ნიშნებიდან გამოყო 10 ნიშანი (ხუთი სტრიქონს ზემოთ ხმარებელი, ხუთი კი-სტრიქონს ქვემოთ). პ. ინგოროყვამ ეს რიცხვი რვაამდე დაიყვანა. ე. გვახარბას წიგნში ბევრი სხვა ნი-

ს მაგ. პ. ინგოროყვას 1946 წ. 25 დეკემბერს წაუკითხეს მოხსენება ალავერდის წარწერების შესახებ, მაგრამ მისი გამოფერის შესახებ აკად. გ. ჩხუბნიასვილი წერს: „...предлагая определенное восстановление чтения, которое принять не представляется возможным“ (იხ. Архитектура Кахетии. Тб., 1959 г., т. I, стр. 404; აკად. გ. ჩხუბნიასვილის ამ წიგნის მნიშვნელობის შესახებ მსოფლიო არქიტექტურის ისტორიის თვალსაზრისით იხ. ე. ბერბაძე, კახეთის ხეოლოგიკონდერება. „მნათობი“, 1960, № 7, გვ. 163-168). პ. ინგოროყვას გამოფერა არ ვაიზიზა თვითერაზ ბარნაველამ (იხ. მისი: კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბ., 1961, გვ. 14 შენიშვნაში), ანალოგური მგვალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება.

შანიცა მოტიანი, რომლებსაც იგი ვარიანტებად არ თვლის. ამრავალ ეს საკითხი შეტს დაზუსტებას მოითხოვს.

გ. გვახარია თავისი წიგნის (რომელიც 6 წლის წინ გამოიცა) 13 და 407 გვ. გვ-ზე მსჯელობს ტერმინ „მებური“-ს შესახებ, გადმოცემული აქვს ამ ტერმინის მნიშვნელობის ახსნის ისტორია, მკვრამ არ იზიარებს ტერმინის არც მუსიკალურ და არც ტრანზიციურ ინტერპრეტაციას. „მიუხედავად ტერმინი „მებურის“ შესახებ საკმაო ლიტერატურის ისტორიის არსებობისა, მისი ახსნა ჯერ კიდევ ეპეის ქვეშაა“ (407). — წერს იგი.

ქ ერთი შენიშვნა:
1967 წელს ე. ჯ. ჭამაია იამ დაცვა საკანდიდატო დისერტაცია „XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან“ (ხელმწიფანელი — ფილ. მეცნ. დოქტორი ელენე შატრაველი). მკვლევარის დებულებებს ჩვენ ვიცნობთ რუსული ავტორიტეტის მიხედვით (იხ. Ц. К. Джигали. Из истории грузинской гимнографии XI века. Тб., 1967). ავტორიტეტის მე-15 გვერდზე ავტორი წერს:

«В результате филологического анализа колофона Георгия Мтацмидели и с учетом данных второго колофона, в диссертационном труде дается следующее заключение: слово «мехури», которое Георгий Мтацмидели употребляет в связи с песнопениями, обозначает песнопение, исполняемое лением, «мехели» же то лицо, который переводит с греческого, создает и возможно сам же исполняет песнопения «мехури».

Раскрытие значения слова «мехели» объяснило спорную строфу оды XII века «Тамариани» («Тамариани», VII, 27—28, изд. Н. Марра).

ამ მკვლევარის აზრით „ნეშვებით გამოხატულია შელოდებები“, და რომ უძველესი (VII-IX ს. ს.) ქართული ჰიმნოგრაფიული ძეგლებში თარგმანებას შესწავლას ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქართულ თარგმანებთან შედარებით ადრინდელი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ძეგლები დაკარგულია.

მამასაღამე — ე. ჭამაიას მიღლია უაღრესად საინტერესო დანკენები. გ. გვახარია კი არსად არ ეხება ამ დანკენებს. შეიძლება მომავალში გვეცნობო მის შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე. იგი უმჯობელია, იცნოს დასაბუღებულ შრომას და უნდა ეთავსებოდეს იზიარებს თუ უარყოფს გ. გვახარია ნიჭიერი მკვლევარის შეხედულებებს და — არა საბუთით.

უაღრესად საველსხმოა ვეცა გვახარია და

კვირებში თვითონ მუსიკალურ ნიშნებზე. მრავალ მათგანზე იგი წერს:

„ნიშნები რომ გრაფიკულად უარსაწებში არ არის, როგორც ეს ჰგონია პ. ინგოროყვას, დასტურდება კიდევ ხელნაწერის შემდეგი გვერდებით“ და მითითებულია მრავალი მხვალითი (გ. გვახარია პირველი უმატებს „და სხვა მარაგი“. გვ. 216).

ჩვენ არ ვინდა ვიფიქროთ, რომ გ. გვახარია მოსტრუვება შეათხველის შეცდომასში შეყვანას (მისი დებულების შემოწმება ამჟამად ჩვენც შეგვიძლია). მისი წიგნის გამოსვლიდან გაცივდა რ წელწადი და არ ვიცი — აღნიშნა თუ არა ვინმემ ავტორის დაკვირვების მცდარობა.

ცალკეულ შეცდომებისაგან არც ერთი შრომა არა დაზღვეული. მთავარი ავტორის ძირითადი კონცეპცია არ უნდა იყოს მცდარი. ასეთ შემთხვევებში ცალკეულ მხვალითებს, თვით კერძო ხასიათის მიწვევებსაც, ფსიხ ეყარებათ.

დამახასიათებელია ქართული ნეშვების შესახებ გ. გვახარია მე-7 შენიშვნაც:

„7. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებისა იხმარება კიდევ ნიშანი /ღ/ — მრავალკბილა ნიშნების არსებობა შენაშნული ქეონდათ ჯერ კიდევ მ. ჭანაშვილს და ფ. ქორიძეს, იგი წარმოადგენილია ე. კარბელაშვილის საგალობელთა კრებულის დანართში და ია კარგაეიტელის მუსიკალურ ენციკლოპედიაში, ასე, რომ ხელმეორე „აღმოჩენა“ პ. ინგოროყვასი მას არ სჭირდებოდა“ (გვ. 416). ამ აზრს მოყვება შემდეგი სტრუქტურები: „გარდა მუსიკალური ნიშნებისა, ტექსტში იხმარება გამყოფი ნიშნები: შავი წერტილი, წითელი წერტილი, რომელიც ლექსის ზომასთან ერთად მიუთითებს სტროფებს, მუსიკალურ პერიოდებს და ამის გამოა, რომ წერტილი შეიძლება სიტყვის შეაშვი შეგუდეს“ (416).

აზრის მე-2 ნაწილი დამაყრებლად უარყოფს პირველ ნახეარში გამოთქმულ აზრს, თითქმის წერტილები ლექსის ზომის აღნიშვნელი გრაფიკული ნიშნები იყვენ. (იამბიოებს გარდა) წერტილების ერთდროული ამდენი ფუნქცია დამაყრებელი არ ჩანს. ან ერთი, ან მეორე.

უაღრესად საყრადღებოა გ. გვახარია შენიშვნა იმის შესახებ, რომ მიქელ მოდრეკელის კრებულში „გვერდების ხმების საფუძველია ავთენტური ხმები. (417). მას მართლაც ზუსტად აქვს გამოარკვეული შრომის პირველ თავში, რომ ამ ხმთა სისტემა აღმავალია, იქვე ურთავს ამ ხმათა განლაგების გრაფიკულ ცხრილს და განმარტავს:

„მაგრამ ამგვარად ცხრილის დატოვება შეუძლებელია, რადგანაც რვა ხმაში ცხრა

„აღწერილობითი ზეგნით რიგი“ ანუ ტრიტონი (ეწოდება ინტერგალს ორ ზეგნას შორის კილოში, ა. გ.) ჩნდება, რომელიც შეიქმნა მსოფლიოს ქრისტიანული საეკლესიო მუსიკის მიერ იყო დაგეგმილი“ (417). ეს მოსახარება ამსოფლებდა სწორია.

შემდეგ ვ. გვახარია ჩაბოთლის ამ ხმებს, სადაც ეს ტრიტონები გვხვდება და დასძენს:

„პ. ინგოროყვისთან ეს ფაქტი უგეღებულყოფილია და მის ფორმულაში ტრიტონები დამეგბულია, რაც უხეში შეცდომაა“ (417).

შემდეგ ვ. გვახარია შესანიშნავად გვიხსნის ტრიტონების გამოწვევებზე მინუტებს (იქვე), შენიშვნაში კი აღნიშნავს:

„ეს ცხრილი X საუკუნისათვის. აქვს მოცემული პ. ინგოროყვის, რაც ქრონოლოგიურად დაუშვებელია და ქართულ მუსიკალურ აზროვნებას 1400 წლით უკან წევს. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება; ასევე მიუღებელი X საუკუნეში ტეტრაქორდებზე აზროვნების თეორია“ (417).

შეორებ ადგილას ამ თავის შეზღუდულებას

ვ. გვახარია უფრო აზუსტებს:

„თუ ერთ ხმას ეყრდნობის მუსიკალური ნიმუში, მაშინ რაღაც დასაჩინებლად პირობა რაღაც ერთი და იგივე ნიშანი ხაზის ქვემოთ ან ხაზს ზემოთ. ცხადია, აქ ნიშნები სხვადასხვა ხმებს ეყრდნობის და ამით ირრვეა ოქტავის ტეტრაქორდებზე დაწინაურების უსაფუძვლო თეორია“... (423).

სწორია ვ. გვახარია დაკვირვებანი ოქტონოსის მუსიკალურ სტრუქტურაზე, რომლის დამუშავება იოანე დამასკელის სახელთანაა დაკვირვებული (შტრ. Wellesz-ის შრომა და შრ. სხვ.). ამ კონტექსტში საუფრადლებოა ვ. გვახარია შენიშვნა:

„ისინი კითხვა, შეიძლება თუ არა ოქტონოსის ფარგლებში რვა ნიშნზე მეტი ნიშნის არსებობა? რამაკვირვებია, შეიძლება, ამის საუკეთესო ნიმუშია ბიზანტიური სასტოტო სისტემა“ (გვ. 424).

ვ. გვახარია იმომებს Tillyard-ის, E. Wellesz-ის და სხვათა ფუნდამენტალურ შრომებს ამ საკითხში. იგი ადგენს ამ „მეტ ნიშ-

ნებს“ და მათს მუსიკალურ ფუნქციებს (გვ. 427). მონოგრაფიის ბოლო თავი შესანიშნავია თეორიული თვალსაზრისით. იგი საბოლოოდ ფანტავს იმ ბურუსს, რომელიც ქართულ პირობებში დგებდა და უსულ სასტოტო ნიშნებს მოჰყვანა ზოგადობა.

მკვლევარის დასკვნებიდან გამოვეყოფთ იღვე ერთს, რამაც ქართულ საგალობელთა ტექსტების ანალიზისათვის აქვს შენიშვნა.

„...საგალობლებში აღნიშნულია საგალობელთა ფორმები: აკროსტიქონი, დასდებულნი, სპირაირნი და რომელთა შესწავლა მარტო ტექსტუალური ანალიზით, მუსიკალური სპეციფიკის გათვალისწინებლად ცალმხრივია და ხშირად, შეიძლება, რეალურბასაც ასცდეს. ტექსტის შევცვა, მარცვალთა დაკლება-ამოშება (და მარტო მარცვალთა? ა. გ.), ის, რაც ტექსტობრივ სიმეტრიას არღვევს, გამოწვეულია მუსიკალური კონსტრუქციით, მუსიკალური პერიოდებით და ტექსტის ანალიზის დროს ეს ფაქტორი გათვალისწინებულ უნდა იქნეს“ (გვ. 431).

ამრიგად, გეგმატიკა, რომელსაც კატეგორიულად იყავდა აკად. კ. კეველიძე და რომელიც საცილობელი გახადეს, ვ. გვახარია ნაშრომის შემდეგ კვლავ თავის უღმობელოში წარმოსდგა ჩვენს თვალწინ. მუსიკალურ ასპექტშიაც, ქართულ პირობებში დგებდა, ყველგან უკლებლად, გარკვეულ „სიმეტრიათა“ და მარცვლებრივ „კანონზომიერებათა“ ძიებას—ნადავად ეცლება. ის, რაც იცოდ და ლოვიაგინა 1876 წელს, მით უფრო საფუძვლიანად და ღრმად უნდა ვაცოდოთ ახეამად.

სამწუხაროა, რომ ავტორეფერატში ვ. გვახარია ერთმანეთში ურევს ცნებებს „იამბური“ და „იამბიკონური“. ასეთი შეცდომები მან უნდა გაასწოროს.

კერძორობით ამით ვამთავრებთ საუბარს ქართულ პირობებში და ვერსიფიკაციის ძიებითად მეთოდოლოგიურ საკითხებზე. 1953 წლის შემდეგ გამოქვეყნებული დანარჩენი სპეციალური ნაშრომებისა თუ ცალკეული წერილების განხილვა — სხვა დროს.

1968.

დამატებითი განმარტებანი.

ჩვენი შენიშვნების უკეთ დასახუსტებლად მოგვაქვს დამატებითი განმარტებანი.

1.

ქართული ლექსის სილაბურ-ტონურობის შესახებ:

მახვილის გადაადგილება, დამახასიათებელი ქართული სილაბურ-ტონური ლექსურობისათვის (იხ. „ქართული კლასიკური ლექსი“,

1953, გვ. 129-133), გვხვდება მხოლოდ სილაბურ-ტონურ ლექსურობაში, უამისოდ სრულიად ვერ აიხსნება კლავშულის (ცრომოდ ტაპების გარითვის) თავისებურებანი რუსულ, გერმანულ და ქართულ ვერსიფიკაციაში. ასევე ინგლისურშიც. ერთი მაგალითიც რ. ბერნსიდან (მახვილიანი მარცვლიდან უმახვილო მარცვალზე აქცენტის გადაადგილებსა სართიმო კლავშულის ზეგავლენით): „... in la'nd// ... in Scotlând“ (G: Saintsbury, A history of

English Prosody. London, 1906, vol. II, p. 171).

ასეთი რამ ბიზანტიურ სილაბურ ლექსწყობაში (და არა „სილაბურ-ტონურში“, როგორც ზოგიერთი ფილოლოგი ხმარობს ამ ტერმინს ბიზანტიურის მიმართ) — სრულიად შეუძლებელი მოგვენა.

2.

სილაბურ-ტონური ლექსთწყობის სილაბურიდან მომდინარეობაზე:

საერთოდ სილაბურ-ტონური ლექსთწყობა აღმოჩენდა სილაბური ლექსთწყობის წიაღში, იგი ახალი ეტაპია თანამედროვე ენების ვერსიფიკაციის ისტორიაში (ქართულსა და რუსულში, გერმანულსა და ინგლისურში). კერძოდ გერმანულ პოეზიაში სილაბურ ლექსთწყობიდან სილაბურ-ტონურზე გადასვლა დაკავშირებულია XVII ს-ის პოეტის შარტინ იმაცის (1597-1639) სახელთან.

ამასთან — „ტავობზაფი რიტმია“ (?) თავსდება სილაბურ ლექსთწყობის შიგნით, იგი ლექსთწყობის დამოუკიდებელ „სისტემად“ არ ჩიოვდება. ვინა „თავისუფალი ლექსის“ შემთხვევები ცალკე ლექსწყობის სახეს ქმნიან? ამგვარი შესვდებულება — სრული გაუგებრობაა.

3.

როცა რომელიმე ძველ-ქართული საგალობელის ორიგინალობასა თუ ბიზანტიურიდან მისი წარმომავლობის საკითხს ვარკვევთ, საჭიროა დიდი სიფრთხილე. თუ რამდენხად საჭიროა ასეთი სიფრთხილის გამოჩენა თვითონ უკერძო შემთხვევაში, ეს ჩანს (კ. კეკელიძის მიერ მოტანილი მავალითის ვარდა) სხვა ბარაულელებიდანაც. მაგ. ე ლ ე ნ ე მ ე ტ რ ე ე ლ ი წერს „ძილისპირთა უძველესი საბაწმინდური თარგმანების შესახებ“, რომ „ძლისპირთა ეს ძველი რედაქცია პ. ინგოროყვას გრიგოლ ხანძთელის ორიგინალურ ნაწარმოებად შიანია, მაგრამ ეს შტაკცევა უსაფუძვლოა, ვინაიდან ამ ძლისპირებზე თავისი ბერძენი ავტორები ჰყავთ“ (ხ. ელენე მეტრეველი. „მეხეღისა“ და „მეხეღისა“ ვაგებობათვის, კრებულში „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 169. შენიშვნაში). მაგრამ ავალზე უფრო დიდს უზრუნველობას ქმნის ის ვარკვევა, რომ პ. ინგოროყვას ვრ. ხანძთელის ორიგინალურ ნაწარმოებებად მიუჩნევია ბიზანტიური მიმწოდებლის უდიდესი წარმომადგენლის იოანე დამასკელის (გარდა. დაახლ. 753/4 წ.) ზოგიერთი სტროფები. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარს ვაუთუქალისწინებია „გრიგოლ ხანძთელის მთარგმნელობითი მეთოდი“ — რომ „გრიგოლ ხანძთელი კი არ თარგმნის ტექსტებს ჩვეულებრივი გაგებით, არამედ იგი იძლევა მათს თავისუფალ გადათქმევებას, რასაც ძველ

ქართულად „მოკაზმევს“ (ქ. მეტრეველი. „გ. შ. 823), მის მიხედვით უნდა მივჩინოვდეთ დამასკელის განთქმული „ქრისტეს შობის იამბური კანონის“ რამდენიმე სტროფი ვრიგოლ ხანძთელის ორიგინალურ ქმნილებად. მით უმეტეს, რომ ა. დამასკელის „გალობანი ნათელთანი“ და მისივე „გალობანი შობისანი“ მკვლევარს ცალკე აქვს გამოყოფილი, როგორც თარგმანები („გ. შ., 822-826). პ. ინგოროყვას ვერ შეუძნევიან, რომ გრიგოლ ხანძთელის ორიგინალურ ნაწარმოებად ვსაზღვრული რამდენიმე სტროფი იმავ იოანე დამასკელს გუთვნის. ასე, მაგ. პ. ინგოროყვა წერს, რომ „პირველი პერიოდი ვრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობისა (—VIII საუკუნის ბოლო და IX საუკუნის დასაწყისი) — უწყევს არაბთა მფლობელობის „ეამთა სიავის“ ხანას...“ (გ. შ., 808) და რომ „ამ დროს ეკუთვნის ვრიგოლ ხანძთელის საგალობელი ადესებისანი (1, 4), რომელიც მთავრდება ასეთი „საქვეყნო სათხოვართა“:

ერა შენი იქნენ სახიერებით, (4+7)
 განწირული და გლახაკი, (8)
 რომელიც ლეაქსა შინა (7)
 დაწუნებულ არს შარადის მტერთაგან, (11)

არამედ შენდა მოილტვის, (8)
 სახიერ, ვითარცა ღმერთ შარ, რათა იქნენ (12)

მტერთაგან მადიდებულნი შენი. (10)
 („გ. შ.“ 809)

თავი დავენებთ თარგმანის მედრას მტერთულ რეკონსტრუქციას (აქ არავითარი კანონზომიერების აღმოჩენა არ შეიძლება). მთავარი ისაა, რომ შოთა რუსთაველი სტროფი პ. ინგოროყვას ხანძთელის ორიგინალურ ნაწარმოებად მიუჩნევია. ნამდვილად კი იგი იოანე დამასკელის „ქრისტეს შობის იამბური კანონის“ ერთერთი სტროფის თავისუფალი თარგმანია. აი მისი რუსული თარგმანიც:

Ты свой народ избавил
 древле, господи,
 Рукою чудотворною смирая хлебъ;
 Но так и ныне к раю путь спасительный
 Ты открываешь, девой в мир рождаемый,
 Хотя человек всецело, но
 всецело бог,

გრიგოლ ხანძთელის ორიგინალურ გალობად მიიჩნევს პ. ინგოროყვა აგრეთვე შემდეგს სტროფს („გალობა VII“):

მზუფედ ყოვლისა ქსნად თანანადებისა,
 ნესფით ვნებითა უნებელობაა მოც.
 და რომელნი ადამის გამო დაიეცენ
 ვარდასლეთითა მით ხისა გეშოას ხილვითა,
 კულად აღმართე და შენ თანა აღიღენ
 („გ. შ.“, გვ. 077).

„ყოლით დაშინებულ“ სტრიქონებს: „ჩვენ არ შევეცდებით თუ დავასკვნით, რომ ამ მეორე ტექსტში მოხსენებული იყო იმპერატორი (ან პირდაპირ ამ დამწერალბოიბი „იმპერატორი“ (დაყოფა მის ეკუთვნის ა. გ.), ან სრულიად გამჟღავნებულ მითითებით“.

მატყვევებელ მკვლევარს უნდა ეაცნობოთ: ნ. ბარათაშვილის წერილის ავტოგრაფი, არსებობს. ბარათის ავტოგრაფის პირველი გვერდის ფოტოსურათი 1945 წელს დაბეჭდა პროფ. შ. ჩხეტიამ (იხ. მისი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 387), ხოლო 1968 წელს იგივე ავტოგრაფი აღწერა ივ. ლოლაშვილმა წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (გვ. 64), მანვე საგაგებოდ შეისწავლა მისი ტექსტი და დაადგინა შემდეგი:

ბარათის ტექსტიდან არაფის გამოფიქვია „ყოლით დაშინებული“ სახით მისთვის საინტერესო ადგილი: რამდენიმე სტრიქონი თვით პოეტს გადაუხაზავს, ისე რომ ადრესატს (გ. ორბელიანს) მისი წაკითხვა გაძნელებოდა.

არავითარი „იმპერატორი“ იქ მოხსენებული არაა. ნიკოლოზ ბარათაშვილი გ. ორბელიანს წერდა ილიას (მშის) გამოხსენის გაჭიანჭრებაზე, რაც ადრესატისთვის ზედმეტად დამამაჟიმებელი იქნებოდა.

ისტადე, მთელი კონტექსტის მიხედვით, „იმპერატორის“ მოხსენება იქ არავითარ შემთხვევაში არ იყო საეარაუდებელი.

აზრიგად — ზუსტად ირკვევა, რომ პ. ინგოროყვას „როგორც ირკვევა“-ს არავითარი საფუძველი არ გააჩნია, გულდასაკოდი ამბავია, მაგრამ ამ კონფუზსაც არაფერი ეშველება.

5.

ქართულადაა თარგმნილი იოანე დამასკელის ერთერთი შესანიშნავი „იღოპელა“ („საკუთარი

მელოდიის მქონე სიმღერა“. იხ. ს. ყუენჩაშვილი, ბიზანტ. ლიტ. ისტორია, გვ. 172), რომელიც საეკდელის შემზარავ სურათს ექსპლავს. ძველ ქართული თარგმანის ტექსტი დაბეჭდა ქვეყლითემ ნარკვევში: „გოდების“ ეანრი და „გლოვის წესი“ ძველს ქართულ მწერლობაში. (იხ. უ-ის შრომები, 1948, ტ. 33. გადაიბეჭდა მისი „ეტიუდები“ I ტომში). ამ იღოპელის თითქმის არც ერთი სტროფი („ხმა“) არაა ვაყოობილი მეტრულად. ი. დამასკელის არც ერთი „კანონი“ აგრეთვე არაა გადმოღებული იამბური ტრიმეტრით, რადგან ამის შესაძლებლობას საერთოდ ქართული პროზოდაა არ იძლევა, მაგრამ მისი ქართული ექვეყაღენტი — 12 მარცვლოვანა (ცუხრით მენ-5 მარცვლის შემდეგ) თვითთული ხანის შივნიით — სილაბურობის მხრივ აგრეთვე მკაცრად დაცული არაა. და ყოველივე ეს — იოანე დამასკელთან, რომელიც ასე შგზნებულად ზაქადა ანტიკური ლექსწყობის მკაცრ ფორმებს მით უფრო უსაფუძვლოა კონტაქიონების (იმავე — ჰიმნების) ქართულ თარგმანთა მეტრული რეკონსტრუქციები. აღარაფერს ვამბობთ ფსალმუნებისა და პროზაული საგალობლების მთელი სერიების ვერსიფიკაციულ ჩარჩოების ჩამოსხმაზე, რის ყოველგვარი ცდა სერიოზული კრიტიკული მსჯელობის სივნიად არც შეიძლება იქცეს, ჩვენი ამ ნარკვევის შემდეგ მაინც.

6.

გვ. 143. ავრელიუს ავგუსტინეს ცნობა დასავლეთის ეკლესიაში ჰიმნებისა და ფსალმუნთა ვალობით შესრულებაზე აღმოსავლეთის ვაღლენით იხ. მის „ალსარება“-ში (Блаженного Аврелия Августина, Исповиийского Епископа Исповедения... Москва, 1787, стр. 296).





სოლომონ ლაიპვილი

მემა ფშაველას უსწოზი პუბლიცისტური წერილების სერია „ივერიის“ (1889—1893 წწ.) ფურცლებზე

ვინც გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესას იცნობს, მას აქ უსათუოდ შემჩნეული ექნება ერთი გავრცელებული და მეტად საინტერესო პუბლიცისტური მანერა — ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის პოლემიკა გამოგონილ პირთან. მარტო 1886-1891 წ. წ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულია ათზე მეტი ავტორის ასეთი ხასიათის წერილების სერია შემდეგ ფსევდონიმებით და გამოგონილი ადრესატებით:

1. საყვარელო მეგობარო, ძმა პეტრე — შენი ძმა და მეგობარი ივანე (ფსევდონიმი გრ. უიფშიისა (1886 წ. № 74).
2. ძმაო მიხეილ — შენი ერთგული გრიგოლ (ფსევდონიმი გრიგოლ გველესიანისა (1891 წ. №223).
3. წერილი მეგობართან — ჩემო თადეოზი შენი სიფრიდონ ჩიტორელიძე (ფსევდონიმი მიხ. უიფიანისა (1890 წ. № 178).
4. წერილი პროვინციელ მეგობართან — შენი ერთგული გოგია (1890 წ. № 106) და სხვ.

ამ ფორმით დაბეჭდილი მასალების ავტორთა უმეტესობა ამოცნობილია, ხოლო თვით წერილები ჩამდენამდე შესწავლილი და კვლითიყვარებულია, მაგრამ ჯერ კიდევ მრავლადაა ფსევდონიმებით ზელმოწერილი ციკლი სტატიებისა, რომლების ავტორთა ეინაობა კვლავ გაუშიფრავია და ეღის თავის მკვლევარს.

ამგვარ ფელეტონების რიგს განეკუთვნებიან მავალითად 1889-1893 წ. „ივერიის“ ფურცლებზე 3 ერთმანეთის მსგავსი ფსევდონიმებით ზელმოწერილი სერია სტატიებისა: აი ეს ფსევდონიმებიც: 1. „შენი მარადის პა-

ტივისმკვემელი მამუკა“ (ორი სტატია, „ივერია“ 1889 წ., № 154, № 254);

2. „შენი ერთგული მამუკა“ (10 სტატია, „ივერია“, 1890 წ., №№ 50, 71, 85, 113, 118, 147, 265, 1891 წ., № 170, 1892 წ., № 251, 1893 წ. № 142.

3. „მამუკა (1890-№ 173).

ამ სტატიების საფუძვლიანი გაცნობისას ჩვეთვის ცხადი გახდა, რომ სამივე ეს ფსევდონიმი ერთი და იმავე ავტორის უნდა ყოფილიყო. ყველა ეს სტატია დაბეჭდილია ერთი რუბრიკით — „წერილი მეგობართან“, მიძღვნილია ერთი და იგივე ადრესატის „ძმა ექვთიმესადმი“ და წარმოადგენს ერთმანეთის ლოკუტურ გავრცელებას. გამოჩალის შეადგენს მხოლოდ „მამუკათ“ ხელმოწერილი ერთადერთი სტატია სითაურით „რამე-რუმე“ („ივერია“ 1890 № 173) რომელიც თუმცა ფორმალურად არ შედის ამ წერილების ციკლში მაგრამ ფაქტიურად იგი უშუალო კავშირშია მოხსენიებულ სტატიების სერიასთან. სხვაობა მხოლოდ ერთშია — „რამე-რუმე“-ში აქცენტი უფრო მეტად პროვინციის პირვარამზეა აღებული.

რა ხასიათისაა ზოგადად ეს სტატიები?

რუსეთში ხანგრძლივად მყოფი ექვთიმე შინდარენელი ყრბობის მეგობარ მამუკას დროადადრო აცნობს თავის მდგომარეობას და საკუთარ მოსაზრებებს ამათიმი საქირბოროტო საკითხზე. მამუკა უბასუხოდ არ ტოვებს მეგობარს და პერიოდულად სწერს თავის შეხედულებებს აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესში წამოჭრილ პრობლემების ირგვლივ.

აღსანიშნავია, რომ ამ ორ ახალგაზრდას მიმოწერის დასაწყისში საკვებით ერთნაირი შეხედულებანი გააზნდით, ხოლო თანდათან

ისე დასცილდნენ, რომ ბოლოს რადიკალურადაც კი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აშკარაა შოგინილი პოლემიკით სტატიების ავტორს მიზნად აქვს წამოაყენოს და შექმნილი დაგვირგობა და პასუხი ვასკეს 90-იანი წლების საქართველოს ზოგადი ყოველდღიურ მტკიცებულ საქართველო სკიპარობით სკიპარს, რაზედაც უფრო ვერცხვად საუბარი გვექნება ქვემოთ.

სტატიებში წამოჭრილი და განხილული ყველა საკითხი, როგორც თავისი აქტუალობით, ასევე წერის მანერითა და საილუსტრაციო მანერით უაღრესად საყურადღებო და საინტერესოა და მერტყველებს ავტორის სოლიდურ მომზადებაზე, მის დიდი პატრიოტიზმზე, ზედღირს პოეტურ და ჟურნალისტურ ნაქმზე და სხვა.

საყურადღებოა წერილების ციკლის ორგანიზაციის დასასრული, რომელიც მას მოუძებნა ავტორმა. თუ 11 სტატიის პუბლიკაციის მანძილზე „ერთგული მიმუცა“ კმაყოფილებზე ადრესატისგან წერილების მიღების ფაქტის აღნიშვნით და თავისი სიტყვებით გადმოსცემდა ექვთიმეს ამათემ აზრს, მიმოწერიდან 4 წლისთავე პუბლიკაციას ახდენს „რუსეთში მეოფე მეგობრის“ უცანასკნელ პასუხს მის წერილებზე, იმავე რუბრიკით: „წერილი მეგობართან“ წერილი იწყება — „ძმავ მიმუცა“ და მთავრდება ზღაპრით: „შენი კეთილის მოსურნე ექვთიმე“ იხ. „ივერია“ 1893 № 23).
 ე. ი. გამოქვეყნდა კიდევ ერთი რიგით მეოთხე ფსევდონიმით იმავე ავტორისა, რომელიც დაუთვრის ყველა სხვა წერილი. ამ ხერხით ავტორმა ექვთიმეს ამ წერილზე პასუხის გაცემის საშუალებით შესაძლებლობა შემოინახა ციკლის დამამთავრებელი სტატიის („ივერია“ 1893 წელი, № 142) გამოქვეყნებისათვის. მაშასადამე ჩვენს თვალწინა ერთი და იგივე ავტორის 14 საინტერესო პუბლიცისტური წერილი, მიძღვნილი გაუთლი საქაუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს მრავალი აქტუალური საკითხებისადმი.

განვიხილოთ ყველაზე მთავარს ვის ეკუთვნის აღნიშნული ეს ფსევდონიმები და რა კარტულ მიზანს ასახავს ამ წერილებით მათი ავტორი? საგულდაგულო ძიებამ შეგვიძინა რამოდენიმე საუღლისხმო ფაქტი, კერძოდ, შემთხვევა მოგვცა გაცნობილით „ივერია“ თანამშრომლისა და ვაჟის ახლო მეგობრის გრიგოლ აფშინაშვილის (1872-1960 წ. წ.) უცნობი ჩანაწერს, რომელიც აკად. გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმშია დაცული, აი, რას წერს აფშინაშვილი:

„მე ვიცი ვაჟს კიდევ ერთი ფსევდონიმი. 1886 თუ შემდეგ წლებში, კარგად აღარ მახსოვს, ვახ. „ივერიაში“ იბეჭდებოდა ცხოვრების სხვადასხვა სურათები ფელეტონებად

სათაურით — „წერილები მეგობართან“ ფსევდონიმებით „მიმუცა“. ერთხელ წერდნენ შემეკობა, „როგორ მოგვინს“ ხედავს წერილები. ეს წერილები კიბადა შეიცავენ იუმორს. 1936 წ. 15 დეკემბერი“.

ვაჟს თანამედროვესა და მეგობრის ასეთი კატეგორიული მტკიცება უდაოდ ანგარიშგასაწყებაა. მაგრამ იგი მაინც მითითებს გულმოდგინედ შესწავლასა და დაზუსტებას, რადგან რამდენიმე ათეული წლის წინ მომხდარი ამბის აღდგენა ზოგჯერ სინამდვილის სრულ სურათს ვერ იძლევა. ჩვენ გადაწყვიტეთ აფშინაშვილის გადმოცემის მიმოწევა. აღმოჩნდა შემდეგ:

1. ვაჟს პირად არქივში (აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი) არსებობს მისი უსათაურო და დაუთარიღებული მიზრდილი ლექსის ავტორგრაფი, რომელიც „ერთგული მიმუცას“ მიერ „ძმავ ექვთიმესადმი“ გაგზავნილი რიგით უცანასკნელი წერილის ორგანიზალი ნაწილია (იხ. „ივერია“ 1893 წ. № 142) აი, ეს ლექსი:

ვასწი, იარე
 სანამდის, ვიდრე
 არ გავითავდეს
 საზღვარს, კიდევ —
 და სადმე კლდეზე
 არ გადინებო,
 ვგ მძიმე გოგრა
 არ გაიჩებო.
 სად ზარ, მებო
 რომ დაიჭებო
 და ჩემ ექვთიმეს,
 მარტო იმის „მეს“
 ზედ დაეჯაბო. და - სხვა.

ეს ლექსი ვაჟს თხზულებების გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა 1961 წ. გასაგებ მიზეზთა გამო გამოცემულთ არაფერი აჭვთ ნათქვამი თუ ვინაა ლექსის ადრესატი ექვთიმე და საიდან გაჩნდა ეს სახელი ამ ლექსში.

2. ვაჟის ლექსს „სიმღერა“ („უძღვნი სოფელ კორტიკებს“), რომელიც ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ აღ. ფრონელის უბის წიგნაკშია ჩაწერილი, თან ერთგვიან ხელმოწერა: „მიმუცა — ვაჟა-ფშაველას — ლექსი რაზვიაშვილი“ 1890 წ. 12 აგვისტო. (იხ. ვაჟის ატომიულის ტ. I, გვ. 91, 375).

3. ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეში გამოქვეყნებული მისი „რამე-რამეს“ პირველი ნაწილი აბსოლუტური სიზუსტით იმეორებს „მიმუცას“ იმავე სახელწოდების სტატიის შესავალს. შეადარე „ივერია“ 1890 წ., № 173 და ვაჟა ფშაველა „რამე-რამე“ ატომიულის ტ. IX).

4. „მარადის ერთგული მიმუცას“ სტატიებში

გამწეული ფშავერი ზემარსიტყვიერების ზოგერთი ნიმუში ვაჟას უცვლელად აქვს გადატანილი თავის სხვადასხვა პუბლიცისტურ და მხატვრულ თხზულებებში. მოვიყვანოთ ორ მაგალითს;

„თამარს უამბობ დედამა, შენზედ სიზმარი ვხახეო ერთსა საჩქეში ჩახედე, ხმელთ სულ დაიწინახეო, შენ იყო, შვილო, ქვეყანა, შეგნებით შაინახეო“.

ეს ლექსი ჩართულია სტატიების ციკლის მე-10 წერილში, ხოლო ვაჟასთან იმავე სახით ეხვედებით სტატიაში „ძველი და ახალი ფშაველებს პოეზია“ (შეადარე „ივერია“ 1891 წ., № 170 და ვაჟას 1964 წ. გამოცემა ტ. IX, გვ. 165).

მაგ. ბ)

შე სოფლის თავსა ვესახლე და არ სოფელი ჩემს თავსა, რაც შე სოფლისად მინდოდა წინ-წინ მოვიდა ჩემს თავსა.

ეს ლექსი ჩართულია „ერთგულ მამუკას“ პირველ წერილში, ხოლო ვაჟასთან იგი უცვლელად გვხვდება მის ეთნოგრაფიულ წერილში „ფშაველები“. და მოთხრობაში: „ჩვენი სოფალი“.

5) სტატიების ამ ციკლში არ არის წამოყვებული ისეთი მცირე თუ დიდი საკვირბოროტო საკითხი რომელთაც ვაჟა საგანგებოდ არ შეხებოდეს თვის ადრინდელ თუ შემდგომ ნაწერებში და ანალოგიურად არ გადაეწყობოდა ისინი. რა თქმა უნდა საქმის ვითარებას არ სცვლის ამა თუ იმ საკითხის უფრო გულრმავება ან დაკონკრეტება, რასაც აღვნიშნავთ მის მერმინდელ პუბლიცისტურ წერილებში. ვფიქრობ, გრ. აფშინაშვილისეული გადმოცემა, რომ ფსევდონიმი „მამუკა“ ვაჟას ეკუთვნის, მიუხედავად ერთგვარი გადახვევებისა, რაც საესეებით შესაძლებელია მომხდარი ამბიდან 40-ზე მეტი წლის შემდეგ ვახსენებისას, ჩვენს მიერ საგულდაგულოდ მოძიებული არგუმენტების საფუძველზე, საბოლოოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს.¹

¹ ვფიქრობთ, უსაბაბო არ უნდა იყოს ვაჟა-ფშაველას მიერ ლიტერატურულ ფსევდონიმად მამუკას ამორჩევის ფაქტი.

„მამუკა“ — ფშავე ხეცსურეთში სახელგანთქმული ვაჟაყვის სახელია. ვაჟას იგი პირველად მოხსენიებული პეაეს ჭერ კიდევ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის გარიჟრაჟზე

დასასრულს შევეცდებით ვაჟაყვისათვის, რა მიზანს ისახავდა ვაჟა-ფშაველა ამ წერილების ციკლის გამოქვეყნებისას. ფს. პროგნოზისა ზოგადად მათი შინაარსი.

ვაჟა ფშაველას ამ სტატიებით სურს გააჩვენოს რა უფრო მეტად აწუხებს მისი დროის საქართველოს და ცდილობს მოძებნოს გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. მისი აზრით, ქვეყანა განსაცდელის წინაშეა. დღითიდღე მატულობს მშობლიური ენის გარეშე და შინაური მდევნელთა რიცხვი, ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის იდეალს კანცელარია წარმოადგენს. ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გულგრილად შესცქერის ყველაფერ ქართულს — გაზეთს, წიგნს, თეატრს, თავილობს მშობლიურ ენაზე საუბარს. ქართულ ენაში ქარბად იკიდებს ფეხს უცხო ენიდან შემოტანილი სიტყვები.

ამასთანავე ქვეყანას გამოუჩნდა საკუთარი ღირსების უპირყოფელი ერის შვილები ჭაბაღარები და ამორღიები. ბედოვლათ თანამებამულეთა წყალობით შამაპატური მიწაყალი უცხო ელემენტის ხელში გადადის. სულ უფრო მატულობს ადმინისტრაციის თავისუფლება, პოლიცია, შამაპატისი, მღვდელი, მღვდლები, ყველა გლეხის მტერია.

წერილების ავტორის გულისტკივილს იწვევს ისიც, რომ სწავლა-განათლება მიღებული ქართველი ახალგაზრდობა არ იღწვის ერის სასარგებლოდ. იგი საკუთარი ენაში უზრუნველყოფითაა დაკავებული. პატრიოტიზმს სძლევა პირადი და პრივილეგიებულთა წოდებრივი ინტერესი.

ნაკლებანებათა მხილების პარალელურად ვაჟა-ფშაველა ცდილობს დასახოს შექმნილი ჩიხიდან გამოსასვლელი კონკრეტული გზები.

— 1879 წ. „დროებში“ (№ 52) გამოქვეყნებულ ხალხურ ლექსში „როშვას ატარდნენ დედანი“.

„...ამლთ მამუკა შოიდა, შექნი თან მამუყუნ შოისინა“...

უფრო გვიან 1889 წ. ეს სახელი ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ პერსონაჟად გამოყენებული აქვს ორ დრამატულ სცენაში. „სცენა მთაში (ხეცსურეთის ცხოვრებიდან)“ და სცენები („ფშაველების ცხოვრებიდან)“. საყურადღებოა რომ ორსავე შემთხვევაში „მამუკა“ დადებითი პერსონაჟია. აღსანიშნავია, რომ მამუკათი ხელმოწერილი სტატიების ციკლის პირველი წერილი ორიოდე თვით უსწრებს წინ აღნიშნულ სცენების გამოქვეყნებას „ივერიაში“.



ეკრძოდ, აღნიშნულის გამოსასწორებლად ერთ-ერთ ძირითად საშუალებად მის მიანა ხალხის ეროვნული სულისკეთებით აღზრდა. ოჯახმა ჭერ კიდევ ადენიდან უნდა შთაუნერგოს მოზარდს მშობლიური ერისადმი სიყვარული. დაწვებული საქმე უნდა გააგრძელოს სკოლამ. მშობლიურ ენაზე სწავლების გზით სკოლამ ერს უნდა გამოეზარდოს ჯანსაღი წიგრი. ეს კი თავის მხრივ შესაძლებელი გახდება თუ გაიზრდება სკოლების ქსელი. ვარდნიჭენება სწავლების წესი. მწერლობამ, მეცნიერებამ უნდა შთააგონოს ხალხს სიყვარული ჭართული პრესისადმი, ლიტერატურისადმი, უცხო კულტურისა და ენის დაუფლება საკეთარის შეზღუდვის ხარჯზე ერთნულ ინტერესებისათვის მომავდინებელია, ამ გზით ჭართველი ხალხი ვაიზიარებს იმ ერების ბედს, რომლებიც კულტურული წარსულის მიუხედავად ცივილიზაციას კედში მისიანჩალებენ.

თავის დებულების დასასაბუთებლად ავტორი მოხდენილად იშველებს რუსთაველს, შექსიარს, სერანტესს, პუშკინს, ბელინსკის, ტურგენევის, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ხალხურ პოეზიის (უმეტესად ფშაურს) ნიმუშებს, დანიშნულებისამებრ ჰქმნის ორიგინალურ ლექსებს და სხვა. გავეცნოთ ერთ-ერთ ლექსს, რიგით მე-11 წერილიდან („ივერია“ 1891 № 170).

ვერავინ იტყვიან იმასა,
რომ ხმლითა ქვეყნობს ქვეყანა,
ხმალი რას იზამს, საღესვლად
თუ სწავლა არ დაეტანა?!
სწავლით ვაგვიჭრის ფრანგული,
რიბი ექნება მტრისადა;
გაჭრით წინ მიჰყავ მხედარი,
მკედარს არეინებს ქვიშადა.
სწავლა ციხეა მაგარი,
ნაგები მტრისა შიშადა...
მითამ სიბნელე არ გვიყვარს
და სწავლა მოგედის ჭიშადა.
მითამ ჩვენაცა გვეოლია
კაცები სიხელიანი,

უანდერძებავ ჩვენთვინა
ფიჭრები ნათელიანი?!
მითამ უკაცავ ქუდები,
იუკალითათ ჩოხები;
სისხლით და ოფლით ურწყევით
სამშობლოს მიწა-ოხები;
წიგნიც სკოდნით, ხმლის ქნევაც,
უმრავლებით ძროხები,
და თავზე შერდინ წაქრულია
დროს უხმრათ თოხები.
მითამ ვუოფილჯართ ერთ დროსა
კაცნი ცნობილნი კაცადა,
დღეს კი ვიწვებით ცეცხლშია
ლამის გადაიქცეთ ნაცრადა!..
მითამ კარგნი ვართ ისევა
ტანად თვალად და ფერითა,
რად ვიმურებით ძალათი
ფისით, კუპრით და მტყერითა?!”

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩამოთვლილი საკითხების გადაწყვეტისას ვეცა წარმოგვიდგება ტიპურ სამოციანულად (განსაკუთრებით სოციალურ და ეროვნულ საკითხებს განიხილვისას). იგი მისი დიდი მასწავლებლების ილიას, აკაკის და სხვების საუცუთესო გამგრძელბელია.

თუ გაეთვალისწინებთ, რომ 1889-93 წ. წ. გამოქვეყნებულ დღემდის ცნობილ ვაჟის წერილების საერთო ოდენობა არ აღემატება აქ მიმოხილულ სტატიების რიცხვს, ვფიქრობთ კიდევ უფრო ცხადი გახდება ახლად გამოვლენილ ამ წერილების მნიშვნელობა დიდი ჭართველი პოეტისა და მწერლის შემოქმედების შემდგომი შესწავლის საქმეში.

„მამუკა“, „შენი მარადის პატივისმცემელი მამუკა“, „შენი ერთგული მამუკა“, და „შენი კეთილის მოსურნე ექვთიმე“ ერთი და იგივე ავტორის — ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ფსევდონიმებია და ამიტომ ზემოთ მიმოხილული უაღრესად საყურადღებო 14 პუბლიცისტური სტატია დიდი მწერლის შემოქმედებას უნდა დაუბრუნდეს.



იხილეთ ახალი

საქართველოში მშენებლის

საქართველოს არს და საქართველოში მშენებლის საქმიანობის დასაწყისი მართლაც რომ აქტიური-
ლად მძიმე და, ალბათ, დიდხანს აღწერილობით
რეზიუმე დაწვრილდა ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვე-
ნი კულტურისათვის.

დაბერდა და წავიდა ჩვენგან, ბევრი ჩვენგანის
წარმოდგენაში მუდამ დაუბერებელი კაცი,
რომლის სახელთანაც ერთობ ბევრი რამ არის
დაკავშირებული მეოცე საუკუნის ქართული
კულტურის, ქართული მეცნიერების ისტორია-
ში.

ორმოცდაათ წელიწადზე მეტხანს, მართლაც
რომ დაუღალავად ემსახურა ჩვენს ხალხს შალ-
ვა ნუცუბიძე! ორმოცდაათ წელიწადზე მეტ-
ხანს! რა იოლი საქმელია! გინდაც სულ ია
და ვარდით ყოფილიყო მოფენილი ამ წლების
უსაშველოდ დახარბული გზები, მით უფრო
ძველი ქართველი ინტელიგენტისათვის.

ამ წლების მანძილზე შალვა ნუცუბიძე ეკი-
დებოდა მხოლოდ „დიდთა საქმეთა“, რომელ-
თაგანაც დღეს, ამ ცხელ გულზე, მხოლოდ
„მრავლისაგან მცირედი თუ აღიწერება“. შალვა
ნუცუბიძე სწორედ იმ დიდ საქმეებთან იდგა,
რომელთაც უმთავრესი, მირითადი, ფუძემდებ-
ლური მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი ქვეყნისა,
ჩვენი კულტურის შემდგომი წინსვლისა და
მისი საქვეყნოდ, საერთაშორისოდ აღიარებისა-
თვის ბრძოლაში.

თავის დიდ შვილებს, ერის დიდ აღამიანებს
მშობელი ქვეყანა დიდ ტვირთსაც აკიდებდა
ხოლომე ზურგზე, ბევრსაც სთხოვა მას... ეს ბუ-
ნებრივია.

შალვა ნუცუბიძეც თავისი ქვეყნის ასეთი
შვილი იყო. იგი თავისი გონებრივი, სულიერი

და ფიზიკური ძალებით მხოლოდ დიდ ტვირთს
ეზიდებოდა.

ღმერთმა ხეალ ბევრი სხვაც უკეთესი მოგ-
ველინოს, მაგრამ დღემდე, ჯერაც, ქართული
მეცნიერების სინდისი, ქართული კაცის უმაღ-
ლესი განსაზიერება მეცნიერებაში ივანე ჯავა-
ხიშვილია და შალვა ნუცუბიძის ერთი ხელის-
მოსმით დახასიათებისათვის იქნებ ისიც კმარა-
დეს, რომ იგი ივანე ჯავახიშვილის პირველი
თანამებრძოლთაგანი იყო.

მისი შემოქმედებით გამბედაობისა და ნამდ-
ვილი სახალხო მოღვაწის ბუნების დახასიათე-
ბისათვის იქნებ იმ ერთი ფაქტის გახსენებაც
კმაროდეს, რომ მან, ახალგაზრდა ქართველმა
მეცნიერმა პირველთაგანმა დაუჭირა მხარი
პეტერბურგში ივანე ჯავახიშვილის ქართული
უნივერსიტეტის დახსენისათვის ბრძოლაში, რო-
ცა იქ, უდიდესი ქართველი მოღვაწეებიც კი,
მაშინდელი უძველესი ქართველი ავტორიტე-
ტები, საჭიარისად მხოლოდ პოლიტიკური
გახსნას თვლიდნენ თბილისში.

ეს გამბედაობა შალვა ნუცუბიძეს მიერ
შედგომი შემოქმედებითს მუშაობაში გამოხატე-
ვა. გამბედაობა, რომელიც არაერთხელ დაგვირ-
გინებულა ნამდვილი ჭმარაკვებებით.

აბა, რას მიეწერებოდა, თუ არა გამბედაობას
მისი ამხედრება „დასავლეთისადმი ინტელექ-
ტუალური დამონების წინააღმდეგ“, როცა ჯერ
კიდევ არავის ეპყრა ხელთ ქართული ფილო-
სოფიური აზროვნების დამუშავებელი მონა-
ცემები, ან როგორც ძველი ისტორიკოსი იტყ-
ვის, „ნოვთი საქმეთანი“.

აბა, რას მიეწერებოდა პირველად, თუ არა
გამბედაობას შალვა ნუცუბიძის „აღმოსავლუ-
რი რენესანსის“ პრობლემა, სინამ ამ თეორიას

მხარს დაუჭერდნენ საბჭოთა კავშირის უდიდესი ავტორიტეტები. მათ შორის დიდი რუსი მწერალი ალექსეი ტოლსტოი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი ამ თეორიას ერწმუნა საქართველოს ისტორიული ძეგლების ხილვის შემდეგ და შალვა ნუცუბიძის შრომებით, რაც დაყრდნობილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფილოსოფიისა და ლიტერატურის შესწავლაზე.

აბა, რას მიეწერებოდა თუ არა შალვა ნუცუბიძის შემოქმედებითს გამბედაობას მისი ძიება არეოპაგიტული მოძღვრების ნამდვილი ავტორისა, სანამ ამ ავტორის ვინაობას დამოუკიდებლად არ მიაგნებდა და ქართულ მეცნიერს მხარს არ დაუჭერდა ბელგიელი მკვლევარი.

დამბოლოს, რა გამბედაობა იყო ქართველი კაცისაგან, ხელი მოეკიდა შოთა რუსთაველის უკვდავ კმინილების „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმანებისათვის. ამ თარგმანზე კი მაშინ, იმავე ალექსეი ტოლსტოიმ თქვა: — ჩვენ ყველანი ვიყავით დარწმუნებულნი, რომ რუსთაველი არის ის, ვისაც ჩვენ, ცუდი თარგმანების გამო, დღემდე არ ვიცნობდით და მხოლოდ შევიგრძნობდით, ახლა კი მთელი დიდებულება მისი პოემისა გახსნილია ჩვენთვის ნუცუბიძის თარგმანით“.

ასევე თავისებური შემოქმედებითი გამბედაობით შეიჭრა შალვა ნუცუბიძე რუსთაველის საკითხებში, რუსთაველის ფილოსოფიური ნააზრების გახსნაში, „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული ტექსტის დადგენის მეტად რთულ საქმეში.

შალვა ნუცუბიძე, მართლაც, დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა... და ვინც დიდთან დიდია, ხოლო პატარასთან პატარა — იგი უღვოდ ბუნებით დიდი კაცია.

არა ერთი ითვლი წელი ბედნიერად მიაგნებდა შალვა ნუცუბიძისთან. ჯერ, როცა მისი სტუდენტი გახლდით, და შემდეგ, როცა საერთო, საქვეყნო საქმეებმა ერთად მოგვეთხოვეს — დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იუბილეების დროს. განსაკუთრებით კი ჩვენი დიდი წინაპრის შოთა რუსთაველის საიუბილეო მზადებისას, როცა იგი, როგორც იტყვიან, თავის ნამდვილ ფორმამი იყო.

დიდ საქმეთა კეთებას დიდი დროც სჭირდება, და მე ვერ ვიტყვი, რომ შალვა ნუცუბიძეს ბუნებამ არ დააცალა.



სიმომე ყაუხჩიშვილი

ქართული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი

სამეცნიერო დღეებში ბევრი დაიწერა და ითქვა იმის შესახებ, რომ შალვა ნუცუბიძე იყო უღრესად ნიჭიერი ადამიანი, რომ ის იყო დიდად განათლებული კაცი არა მარტო თავის საცდევ დარგში, ფილოსოფიაში, არამედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში, რომელსაც, ფილოსოფიის გვერდით, მან საფუძველი ჩაუყარა თბილისის უნივერსიტეტში და რომლის დღევანდელი წარმომადგენელი მკვლევარები, ყველანი შ. ნუცუბიძის აღზრდილები არიან; ბევრი დაიწერა და ითქვა იმაზეც, რომ შალვა ნუცუბიძე თანამედროვე „ოქრობირი“ იყო და მისი სიტყვით მოხიბლული მსმენელი ნეტარებას განიცდიდა და იმის ნატვრაში იყო, ეს სიტყვა დიდხანს ვაგრძელებულიყო.

ეს ყველაფერი ასეა, ყველაფერი მართალია, მაგრამ შალვა ნუცუბიძეზე უნდა დაიწეროს და ითქვას ის, რაც მის სახელს ჩვენს მეცნიერებაში უკვდავს ჰყოფს. შალვა ნუცუბიძე არის ჩვენი მეცნიერების განვითარების ცალკე ეტაპი, იმ მეცნიერების, რომელსაც ახასიათებს საუბუნეთა მანძილზე, საქართველოში დატრიალებული დუბუკირი პირობების გამო, შეწყვეტილი კულტურული განვითარების აღორძინება თანამედროვე მოწინავე მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე და მისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საბაბით ადგილს მიუჩენენ მას მსოფლიოში.

რაში გამოიხატა შ. ნუცუბიძის მოღვაწეობის „ცალკე ეტაპობა“?

პირველ ყოვლისა, ეს გამოიხატა იმაში, რომ შ. ნუცუბიძე გვერდში ედგა ქართული მეცნიერების პატრიარქს ივანე ჯავახიშვილს და, მასთან შეთანხმებით და მასთან თანამშრომლობით, ავტრს-ავტრზე ადგებდა მეცნიერების ტარის ასაგებად.

ცნობილია, რომ ქართული მეცნიერებულმეცნიერება (პროფესორები, დოცენტები, ასისტენტები) რუსეთის იმპერიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში (მოსკოვში, ოდესაში, ხარკოვში, ტომსკში, რიგაში...) მუშაობდნენ. ისინი ყველანი აღრიცხულნი ჰყავდა ივ. ჯავახიშვილს შალვა ნუცუბიძის ხელა წილად, ივ. ჯავახიშვილის დაავლებით, ეს მეცნიერებულმეცნიერები ჩამოყვანა თბილისში, უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ. 1918-1919 წლის პირობებში ამ ამოცანის შესრულება საკმაო სიმწელებათა იყო დაკავშირებული (ტრანსპორტის ნაკლებობა, მისვლამოსვლის პირობების მძიმე მდგომარეობა). შალვა ნუცუბიძე, მისთვის ჩვეული ენერჯითა და ენთუზიაზმით, ადვილად ართმევს თავს ამ საქმიანობას.

ისიც ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უნივერსიტეტის მეცნიერული ზრდისათვის საკუთარი გამოცემლობისა და საგამომცემლო ბაზის შექმნას. 1918 წელსვე, შალვა ნუცუბიძის აქტიური მონაწილეობით, იწყება უნივერსიტეტის „მომამის“ და პროფესორთა მონოგრაფიების ბეჭდვა, ხოლო 1923 წელს, შ. ნუცუბიძის გამჭრიახობის წყალობით, უნივერსიტეტი დებულობს (უფასოდ) რამდენიმე საბეჭდო მანქანას (ამის საფუძველზეა, რომ დღეს უნივერსიტეტს მოეპოვება კეთილმოწყობილი პოლიგრაფიული ბაზა, ერთ-ერთი უძლიერესი თბილისში).

მაგრამ ეს ყველაფერი, თითქოს, ტექნიკური ხასიათისაა. მთავარი კი ის არის, რომ შალვა ნუცუბიძემ თავისი „ქართული ფილოსოფიის ისტორიით“ მთელი ეპოქა შექმნა ქართველოლოგიაში.

შალვა ნუცუბიძე ჯერ კიდევ 1913 წლიდან იყო ცნობილი თავისი გამოკვლევებით მსოფლიო ფილოსოფიის დარგში. 1930-იანი წლები-

სათვის მისი ფილოსოფიური შემეცნება იმ დონეზე ავიდა, რომ მან, შალვა ნუცუბიძემ შეუძლებლად ჩასთავა თავისთვის, თუ ის ზოგადი ფილოსოფიის დებულებათა ნათელსაყოფად არ გამოაყენებდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების მონაპოვართ. ზოგადი ფილოსოფიური იდეებთან წყაროდ მას ესახებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში (მათ შორის, საქართველოში) მოპოვებული სააზროვნო მასალა.

ამიტომაც იყო, რომ 1934 წელს იგი შეუდგა ქართული აზროვნების მასალებისათვის შესწავლას. ვერ კიდევ არავითარი სპეციალურ-ფილოსოფიური ტრაქტატი არ იყო ცნობილი, ქართული ფილოსოფიური აზროვნების მასალები გაბნეული იყო სხვადასხვა ძველ ქართულ სალიტერატურო და საისტორიო ნაწარმოებებში, შალვა ნუცუბიძე შესანიშნავი მეთოდ-ენი იყო ბერძნული ფილოსოფიის ისტორიისა და, რასაკვირველია, იტოდა, რომ უძველესი ფილოსოფოსების (თალესის, ანაქსიმანდრეს, ანაქსიმენეს და სხვათა) აზრები გაბნეული იყო სხვადასხვა ბერძნულ სამწერლობო ძეგლებში.

და, აი, შალვა ნუცუბიძე შეუდგა ძველ ქართულ ძეგლებში ფილოსოფიური აზროვნების მასალების მოპოვებას. პირველ ყოვლისა, მან შემსწავლა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები (მას ხომ წინათ ეს არასდროს არ ესწავლა), და მოხდა განსაკუთრებული რამ: ეს ძეგლები, რომელთა შესწავლას სხვები ათეულ წლებს ანდომებენ, შალვა ნუცუბიძემ ორი წლის განმავლობაში აითვისა, და ათთვისა ისე, რომ იქ მოპოვებული ფილოსოფიური აზრები თავთავის კალაპოტში ჩააყენა. ასე, მაგალითად: ესტატე მცხეთელის „წამებაში“ მან დაძინა ფიზიკურ-მატერიალისტური აზრებზე და ზორასტრიზმის წინააღმდეგ (VI საუკ.); იოანე საბანისძესთან დაადგინა ქართული სქოლასტიკის დასაწყისი (VIII საუკ.); ქართული სქოლასტიკის მეორე პერიოდი დაადგინა გიორგი მერჩულესთან (X საუკ.), ვისთანაც ამოკითხა მან, რომ ჭეშმარიტება ცნობილია, აღმინანს ცოდნა ნების მსგავსია, ტალღათა ზედა მსრბოლავისა“ და რომ „რწმენა არის წყარო ცოდნისა“.

განსაკუთრებელია, რომ ასე მოკლე ხნის განმავლობაში შალვა ნუცუბიძემ აითვისა ძველი ქართული ტექსტები, მათგან გამოკრიფა მასალა ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიისათვის და ეს მასალა ქართული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების ჩარჩოებში მოათავსა.

ამ მასალების განხილვამ მოაყენა შ. ნუცუბიძე იმ დასკვნამდე, რომ, მართლაც, სქოლასტიკის პირობებში, მაგრამ შინაგან-სწავლათა მისი მომსწავლებელი იყო ყველაფერი, რაც VI-X საუკუნეებში აწუხებდა ქართულ ფილოსოფიურ აზრს. ასეთი დასკვნა აუტოლებელი იყო, რადგან XI საუკუნეში იოანე პეტრიწის პროგრესული იდეების დამკვიდრება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უამისოდ პაერში იქნებოდა ჩამოკიდებული.

1936 წელი შალვა ნუცუბიძემ მონადომა იოანე პეტრიწის შემოქმედების ანალიზს და 1937 წელს უკვე ბევდური სახით მოვეცა ნათლად ჩამოყალიბებული კონცეფცია ქართული რენესანსული მსოფლმხედველობის შესახებ (და ბუნებრივია, რომ ამით მიადგა ის „ეფესისტაიონის“ საკითხებსაც).

სიიდან განდებოდა VI-X საუკუნეებში ის პროგრესული იდეები, რომლებიც ამოკითხა შ. ნუცუბიძემ ქართული ფილოსოფიური აზრის შემცველ ნაწარმოებებში (ესტატე მცხეთელი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე)? ბუნებრივი იყო ამის წყაროს დაქვინის სურვილი IV-V საუკუნეთა პირობებში და, აი, ის დიდი ამბავი, რამაც ფარდა ახალა ბერს სხვადასხვა-ნაირ საიდუმლოებას. ეს იყო პეტრე იბერის მოპოვება, როგორც არეომაგიტიკული წიგნების ავტორისა.

ასე თანდათან, მაგრამ ჩქარი ტემპებით, იგებოდა ის შენობა, რომელსაც „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (უპირატესად გუგულისხმობს მის პირველ ტომს, სადაც ზემოხსენებული საკითხი განხილული), ეწოდება „თვალის დახამხამებაზე“ აიგო ეს შენობა, აიგო პირველ-წყაროებზე, იმ პირველწყაროების სწორ გაგებაზე.

შალვა ნუცუბიძემდე არც კი არსებობდა ცნება „ქართული ფილოსოფიის ისტორიისა“. დღეს კი ჩვენ ვგაჟეს ისეთი შენობა, რომელსაც გვერდს ვერ აუგლის ვერავინ, ვინც არამართი ფილოსოფიურ აზროვნების ისტორიის, არამედ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის შესწავლას მონდომებს.

შალვა ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ შემოიღია შევადარო კ. კვეციანის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეულს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ კვეციანის შინაგან მსჯელა წინამორბედი, ალ. ხაჩანაშვილი მისი ოთხტომიანი „ქართული სიტყვების ისტორიით“. შალვა ნუცუბიძეს ასეთი წინამორბედი არ ჰყოლია.

ზარი მოკილი

თბილისის უნივერსიტეტის პირველი ფილოსოფიური სემინარი პროფ. შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით

მრავალმა წელმა განვლო თბილისის უნივერსიტეტის პირველი ფილოსოფიური სემინარის მუშაობის შემდეგ.

მაგრამ ჩვენთვის, ამ სემინარის წევრებისა და ფილოსოფიური ფაკულტეტის პირველი გამოშვების ეურსდამთავრებულებისათვის, მარად დაუფიქრია ის უდიდესი ენთუზიაზმი და უანგარო შრომა, ის ქაღალსნური ნიჭი და ხელმძღვანელობის შესანიშნავი უნარი, რაც გამოავლინა ჩვენი ქვეყნის დიდმა მოაზროვნემ და მკვლევარმა, აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ.

...1919 წელს, ე. ი. თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან მეორე წელს, ჩავირიცხე სიმონისმეტყველების ფაკულტეტზე, ფილოსოფიური განხრით.

ეს ის დრო იყო, როდესაც პირველად აინთო მშობლიური მეცნიერების კერა, მას შეჰხაროდა მთელი ქართული საზოგადოება, მაგრამ განსაკუთრებით შევეტრფოდით მას ჩვენ, მოსწავლე ახალგაზრდობა. ბედნიერნი ვიყავით და ვამაყობდით იმით, რომ სწორედ ჩვენ გვხვდა წილად მოგვესმინა პირველად რუსეთის და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ ქართველ მეცნიერთა ცოცხალი სიტყვა მშობლიურ ენაზე.

ჩვენ მხურვალედ გვიყვარდა ჩვენი უნივერსიტეტი, თვით მისი თეთრი, ქაოქათა და მოხდენილი შერობა. ხშირად, საღამოს ლექციების დამთავრების შემდეგ, ჩამოვსდებოდით მისი ვარეიების საფეხურებზე, ვსაუბრობდით და თანაც ალტაცებით შევეცქეროდით ჩვენს alma mater-ს, რა ვუყოთ, რომ ჩვენი ცოდნის ტაძრის საფეხურები არ იყო მოკიდებული ხავსით, როგორც ზოგი ძველი უნივერსიტეტისა, რომლებიც თავიანთ არსებობას საუკუნეებით ით-

ვლიდნენ! ჩვენთვის იგი არა ნაყლებ სანუჯვარი და საყვარელი იყო.

ჩემთვის, როგორც ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტიისათვის, მარად დაუფიქრია ის უდიდესი ღვაწლი და შრომა, რომელიც ჩვენ დაგვდო პროფესორმა შალვა ნუცუბიძემ.

მასმა ბრწყინვალე ლექციებმა და მისი ხელმძღვანელობით წარმოებულმა სემინარებმა შეაწვრცეს ჩვენში ცოდნის დიდი წყურვილი და სიყვარული, ის მისწრაფება მეცნიერულ აზროვნებისა და მუშაობისადმი, რაც გადაიქცა ცხოვრების მამოძრავებელ სტიმულად იმართვის, ვინც ფილოსოფიური აზროვნება ძირითად სასიცოცხლო საქმედ დაისახა და იმართვისაც, ვინც შემდეგ სულიერი ინტერესი მეცნიერების სხვა სფეროებზე გადაიტანა.

ბ-ნ შალვას პირველი ლექციის საგანი, რომელიც უნივერსიტეტში მოვისმინე, პლატონის ფილოსოფია იყო, კერძოდ, ჩვენი ლექტორი ვერცხლად შეჩერდა დიალოგზე „ნალიმა“ („სიმ-ბოზონი“).

მისი ლექციებიდან ალტაცებულები, ვაბრუებულები გამოვდიოდით...

საყოველთაოდ აღიარებულა, რომ შალვა ნუცუბიძე ერთ-ერთი საუკეთესო ორატორთაგანი იყო საქართველოში, მაგრამ მისი აკადემიური მჭერმეტყველება რამოდენიმედ განსხვავდებოდა მისსავე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გამოსვლებისაგან.

საღუფელო, რა თქმა უნდა, იგივე იყო: მეტად მდიდარი, ხატოვანი მეტყველება, უხვად შემკობილი მხატვრული შედარებებით, ეპითეტებითა და მეტაფორებით, ხან გამსჭვალული მაღალი ჰათოსით, ხან კი შემსუბუქებული იმპროვიზაციული მახვილსიტყვაობით.

მაგრამ ჩვენს პროფესორს არ ავიწყდებოდა,

რომ მას სტრუქტურები უსწვნიდნენ და ამიტომ არტისტულად აშენებულ გრძელ ფრაზებს და თითქმის საფეხურიდან საფეხურზე ამავალ პერიოდებს მოსდევდა ძირითადი აზრის შემოქმედებელი სტარტი, თითქმის აფორიზმის სახით გამოთქმული დასკვნა, და ამ აფორისტულ თქმას ბ-ნი შალვა, ჩვენი ყურადღების გამახვილების მიზნით, ხშირად რამდენიმეჯერ იმეორებდა.

მისი ლექცია ჩვენზე ახდენდა არა მარტო შემეცნებით ზემოქმედებას, არამედ გვანიჭებდა აგრეთვე დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას.

ბ-ნი შალვა გულსხობდა, რომ მის აუღიტორიაში იმყოფებთან სტრუქტურები, ფილოსოფიური ცოდნისა და მომზადების გარკვეული ღონით, ამიტომ არასდროს არ მომართავდა ზედმეტ პოპულარიზაციას ანდა, მით უფრო, ვულგარიზაციას, ვადმოსაცემი მასალის ვაუმრალეობის ხერხებს.

ის თავიდანვე, ლექციის პირველ ფრაზებიდანვე, ვუფლებოდა ჩვენს ყურადღებას და ჩვენც გაფაციცებით ვუსმენდით მას ლექციის დასრულებამდე, რათა არც ერთი რგოლი მსყულობდას ამ გამოვევრჩენოდა.

ლექციის დროს ზოგჯერ ბ-ნი შალვა ასცდებოდა ძირითად თემას და გაყვებოდა რაიმე სხვა ამბავს, რაც სიტყვამ მოიტანა ანდა ასოციაციით ვახსენდა. ეს ბრწყინვალე იმპროვიზაცია იყო, არა ნაკლებ გამაზიარებელი ჩვენი ცოდნისა, ვიდრე თვით ლექციის შინაარსი. მაგრამ, გადაუხვევდა რა დიდ უზიდან ბილიკსავენ, შემდეგ მისთვის ჩვეული ისტატობით კვლავ ლექციის მთავარ თემას უბრუნდებოდა. დროის უტყუარი აღფრთხილება, თუ როდის უნდა დამთავრებინა ლექცია; საათის არასდროს არ დახვდებოდა, ისე წარმოთქვამდა დამავიზრვინებელ ფრაზებს და ლექციის დამთავრების ზარიც დაირეკებოდა.

მაგილისიტყვაობის განთქმულ უნარს ბ-ნი შალვა ლექციებზედაც უხვად იყენებდა, მეტადრე თუ დალილობას შეგვაძინებდა. ერთხელ, მასხოვნი, აუღიტორიის კარზე ვილაკამ დააკაკუნა ლექციის დროს. პროფესორმა კარი უხალდე ვაღო, კარის უჯან მღვთის დაუთხა: „მობრძანდით“-ო, ხოლო კარი მაშინვე მიუქცა, — მოგვიბრუნდა და გვითხრა: „აი, ეს არის ინკლასური პოლიტიკა“-ო. ერთხელ შალვა ნუცუბიძე შეამოკვდა აუღიტორიაში და დანიხა, რომ დღევანდელ წერის სიტყვა „ვიტრი“. მაშინვე შემოგვიბრუნდა და გვითხრა: „ამ ვილაყ ყოღილა, წასულა, მაგრამ თავისი სადარბაზო ბარათი დაუტოვებია“-ო.

სწავლების პირველი კურსის დამთავრების შემდეგ პროფ. შ. ნუცუბიძეს ჩავაბარე გამოცდა ფილოსოფიის შესებაში. ჩემი პასუხი იმდენად მოეწონა, რომ მეორე კურსის მაგიერ მესამეზე გადამიყვანა და თავისი, — ამ დროს

უნივერსიტეტში საკმაოდ განთქმული, — ფილოსოფიური სემინარის წინაგრძელებად მდიდრად გამხდა.

სამწუხაროდ, ფილოსოფიური სემინარის იქმები ვერ შემოინახა გარდა რამდენიმის.

ფილოსოფიური სემინარი პროფ. შალვა ნუცუბიძის ზელომდევანლობით შედგებოდა 15-17 წევრისაგან. მრავალნი მათგანი უკვე აღარ არიან: გივო ბაქრაძე, კეთილშობილი და გულისხმიერი ადამიანი, მშვენიერი ფსიქოლოგი, ნინო ზუციშვილი, თინათინ გველუსანი, გრაგოლ ხმალიაძე... ნაადრევად და ტრაგიკულად დაღუპნენ დაღმ გვლვანი, — ბ-ნი შალვას ერთ-ერთი უსაყვარლესი მოწაფე, — გიორგი კლავიშვილი, ეხატან ზალიშვილი და კიტა მეგრელიძე, ავტორი აბაშან გამოქვეყნებული შესანიშნავი ნაშრომისა „აზროვნების სოციოლოგიის ძირფუძველი პრობლემები“.

ჩვენი სემინარის წევრები აგრეთვე იყვნენ: სემინარის სიამაყე, ბ-ნი შალვას საყვარელი მოწაფე კოტე ბაქრაძე, — ამჟამად ლეწლმოსილი მოაზროვნე; ანგია ბოქორიშვილი, შემდეგ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი; ელ. ბათიაშვილი, ამჟამად ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი; ნინო დისასიძე და ნინო ვინაძე, ამჟამად ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ვარლამ შიბანაძე. სემინარის წევრთა შორის გვეყავდა აგრეთვე ორი საზღვრული პირი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო საყოფიერ ფილოსოფიური, არამედ ფილოსოფიის ისტორიის შემსწავლელი სემინარი.

სასწავლო წლის პირველ (შემოდგომის) სემესტრში სემინარის სამუშაო სფეროს შეადგენდა ახალი, კანტის წინადადებით დიდი ფილოსოფია. მოხსენებ, ნინო ვინაძემ ბერკლის ფილოსოფიაზე წაიკითხა მოხსენება, ხოლო მე წილად მხვდა, დ. იუმი. ყოველ მოხსენებას მოსდევდა ცხოველი და მეტად საინტერესო კამათი.

ბ-ნი შალვა ზელომდევანლობდა სემინარებს დადი ტატიბა და პედაგოგიური აღმოაჩინა. იგი ჩვენ გვემუხრობდა კოლფორუმად, გულითადად, მაგრამ მაშინდა პროფესორსა და სტრუქტურებს შორის არასდროს არ იმღებოდა.

პასიური წევრი ჩვენს სემინარს არ პყლია და ვერც ეყოლებოდა: თუკი ბ-ნი შალვა შეამნიხებდა, რომ ვინმე მოარტყობს, თავს არიდებს პატივობაში მონაწილეობის მიღებას, მყისვე მას მიმართავდა: „რას იტყვი თქვენი ამხანაგის მიერ გამოთქმული აზრის შესახებ: ეთანხმებით?...“ ამ შეკითხვას კონკრეტული პასუხი უნდა მოეყოლოდა და ასე ყველა ემუხროდა კამათში.

ახლა დიდი მადლობის გრძნობით ვეგონებ პუმანურ, კუმპარიტად პედაგოგიურ მადლობას ჩვენი ზელომდევანობისა სტრუქტურებისადმი. რა ვინდ ბუნდოვანი და არც თუ მნიშვნელოვანი

ყოფილიყო სტუდენტის გამოსვლა, — ბ-ნი შალვა მოსმენიდა მასში რაღაც საღ მარ-
ცვალს, რომელიმე ერთ აზრს, რომელსაც საინ-
ტერესო შინაარსს მიუძღვნებდა და დასკვნით-
და: „ოჰჰეენ ამის თქმა გუნებავდათ, არა?!“ —
მაღლიერი სტუდენტი, რა თქმა უნდა, დაადას-
ტურებდა, — სწორედ ამის თქმა მინდოდაო, —
და კამათი იმდებოდა კვლავ მაღალ დონეზე,
სწორედ ამ მიმართულებით, რომელსაც ფრთხი-
ლად უნდა შეუმჩნევალად აქლევდა აზრთა
გაზიარებას, გამთიდარი შესაქვის მსგავსად,
ჩვენი ზღმძღვანელი.

ჩვენმა პროფესორმა იმთავითვე აუღო ალღო
ყოველი ჩვენგანის ინტელექტუალურ თავიუ-
ბურებას. მოგახსენეთ, რომ სემინარის წევრებს
წორის ორი სამღვდელო პირი იყო. ისინი ვარ-
გად იცნობდნენ ფილოსოფიურ სისტემებს, ბე-
ჭითად და მონღოლებით მუშაობდნენ, მაგრამ
მათ მსჯელობაში აშკარად იჩენდა თავს სასუ-
ლიერო სემინარიის სწავლების ზოგი სკოლას-
ტიკური ტრადიცია: ზედმეტი ვატყვება დეტა-
ლებით, ერთგვარი რიტორიზმი, მიღრეკილება
დაუბოლოებელ კომენტარიებისაყენ. ბ-ნი შალ-
ვა მოთმინებით უსმენდა ყოველივეს და აქვე,
ოსტატურად მოცემული შეკითხვით, გადაჰყა-
და მოკამათე ძიებითი პრიობლემატიკის სფე-
როში.

ზოგი ჩვენგანი მიამედ აზროვნებდა. აქაც
ჩვენი პროფესორი მაქსიმალურ ტაქტსა და
მოთმინებას იჩენდა, უსმენდა ბოლომდე სტუ-
დენტს. ჩვენც გვასწავლიდა ამით აშხანავის აზ-
რის პატივისცემას და მხოლოდ ბოლოს მიამ-
ველებდა სტუდენტს მისი აზრის სხარტსა და
ნათელ ფორმულირებას.

სემინარის ზოგ წევრს კი, პირიქით, აზრო-
ვნების პროცესი გაეკლებოდა წინ უსწრებდა სი-
ტუვას. სწორედ ასეთი იყო შესანიშნავი ნიჭის
ადაშიანი კიტა მეგრულით. ის ლამაზობდა
ძალიან წრფელად, გულდაჭრებით, მაგრამ ნე-
რი მებრველებსა ჰქონდა. ამიტომ მსჯელობა
რამდენიმე რჯოსს გამოტოვებდა ხოლმე და
ისე ვინაჟამოდ აზრის ვანვითარებას, აღბათ-
იმ იმედით, რომ ჩვენ მივიზარებთ არაქმულსა
და ნაგულისხმევს. მაგრამ ბ-ნი შალვა, შესაძ-
ლოა იმ მოსაზრებით, რომ კამათის დროს გა-
მოვეყენებოდა ჩვენდა სასარგებლოდ ეს ხარვე-
ზები, მყისვე რამოდენიმე წინადადებით შეა-
სებდა მათ და მხოლოდ შემდეგ გვაგრძელებო-
ნებდა კამათს: „აბა, რას უქაშუებთ კიტას“-ო!

ჩვენ ყველას ძალიან გვიხაროდა, როდესაც
კამათში ჩაერეოდა სემინარიის უდავოდ საუკუ-
თესო წევრი კოტე ბაქრაძე. მას ჰქონდა და ახ-
ლაც აქვს მაღლიანი ნიჭი არაჩვეულებრივად
ნათელი და ცხადი, ლოგიურად თანმიმდევრად
აზროვნებისა. ამიტომ ჩვენთვისაც, მისი გამოს-
ვლის შედეგად, მრავალი ბურუსი იფანტებოდა.
ბევრი რამ, რაც აქამდე ბუნდოვანი და გაურ-

კვეველი იყო, ნათელი და გამოკვეთილი ხდე-
ბოდა. ზოლო ბ-ნი შალვა აშკარა კმაყოფილები-
თა და სიამოვნებით უსმენდა მას. **1929 წელს**
თავის დასკვნით სიტყვაში სემინარის სტუ-
დენტები შესანიშნავად აქამებდა გავლილ კა-
მათსა და მის მიმართულებას, დასახულ სადავო
საკითხებს. ფრთხილად, მაგრამ ვარკვევით მიგ-
ვიითებდა, თუ სად ვცდებოდით ანდა რა იყო
გამათქმულ აზრებში სწორი, ორაგინალური და
საინტერესო.

ზოლო ამის შემდეგ მე დიდი საზრუნავი მი-
ნდებოდა, რადგან ასეთი ბრწყინვალე სემინარის
ოქმის დაწერა არც თუ იოლი იყო. ბოლოს ამ
საქმესაც ვავართმევდი თავს, რადგან შემდეგ
სემინარზე წინა სხდომის ოქმი უნდა წაი-
თხელიყო. მასთვის, როგორც მღვდლებს მიმ-
ხეობდა ჩემი პირველი ოქმი. რა თქმა უნდა,
ჩემი მღვდლარება სემინარის ზღმძღვანელს არ
გამობარება. წახალისების მიზნით მან შემაქო და
თქვა, რომ მე ყოველივე უკეთესად დამიწერია,
ვიდრე სინამდვილეში იყო თქმული და თან წა-
იხუმრა: „ჩემს შესახებ სწერათ: „ბატონი პრო-
ფესორი“. ის ვარდამეტებული ზრდილობაა: მე
ან „ბატონი“ ვარ და ან „პროფესორი“, ან ერ-
თი დაწეროთ, ან მეორე-ო“.

შესამე კურსის მეორე (სავაზაფხულო) სე-
მესტრი მთლიანად მიტყუნა ემანუელ კანტის
ფილოსოფიის შესწავლას. აქ მომხსენებლები
არ გამოყოფილა. ყოველ სხდომასათვის უნდა
დაგვეზადებია კანტის „შინდა გონების კრი-
ტიკის“ თითო თავი, ბ-ნი შალვა კარტეგორი-
ულად მოითხოვდა, რომ კანტი ორიგინალში,
გერმანულად წაგვეკითხა ვადამდელთ გერმან-
ნული ტექსტი და იქვე, — კონტროლისა და გა-
აღვილებებისათვის, — ლოსსის მშვენიერი რუ-
სული თარგმანი და ასე ვმუშაობდით კანტის
ფილოსოფიაზე, რამაც გერმანულ ენაშიც სა-
რწმუნოებად წინ წავიწვია.

სწავლების მეოთხე, დამამთავრებელ წელს
სემინარულ მუშაობა წარმოებდა კანტის შე-
დგომი ფილოსოფიის, განსაკუთრებით, ჰეგე-
ლის შესწავლაზე და ბოლოს, — თანამედრო-
ვე მიმართულებებზე მსოფლიო ფილოსოფიურ
აზროვნებაში. რასაკვირველია, პარალელურად
იკითხებოდა ლექციები ამავე პერიოდებზე.

ამგვარად, ჩვენ საკმაოდ საუფლებლიანდ შე-
ვისწავლეთ იმ დროის ე. ო. 20-ნი წლების ევ-
როპული ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარე-
ობანი.

მასთვის, როდესაც ჩვენს სემინარში მოხსე-
ნება წაიკითხა (მეორე, ნიკოლაუს პარტმანზე)
გერმანიიდან ახლად ჩამოსულმა და იქ კურს-
დამთავრებულმა ახალგაზრდა მოსე გოგობერი-
ძემ, მან დაწერა მოხსენების კითხვა იმ რწმე-
ნით, რომ სრულიად ახალ სიტუვას ვაუწყებ-
და. მისთვის მიუღოდნელი და გამაოცარიც კი
დაჩრა ის, რომ საქართველოში დაუხვდა მშვე-

ნიერად მომზადებული და მოხსენების თემის კარგად მცოდნე აუდიტორია.

მოხსენების შემდეგ გასხოველებული კამათი გაიმართა და ახლადჩამოსულმა პატრისციკლთა აღნიშნა, რომ მან თბილისში მოიპოვა აუდიტორია, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება გერმანიის საეკლესიო უნივერსიტეტების ფილოსოფიის ისტორიის შემსწავლელ სემინარებს. რა თქმა უნდა, ჩვენმა პროფესორმა კმაყოფილებით მოისმინა ასეთი შეფასება მისი სემინარიისა, რომელსაც ამდენი ღვაწლი დასდო.

... გულს ამძიმებს ფიქრი, რომ ჩვენი საყვარელი პროფესორი უკვე ჩვენთან აღარ არის...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ბ-ნ შალვას, ის მისთვის ჩვეული მოკლევარე ნიჭით გამოდიოდა ოფიციალურ ოპონენტად ზოგი ჩვენგანის დისერტა-

ციებზე. ბ-ნ შალვას წრფელად ახარებდა ის, რომ ჩვენ, მეტადრე მისი პარველი ფილოსოფიური სემინარის წევრები, დაბუჯიანობის გეგმობით ყველა მის მიერ გამოქვეყნებულ წიგნებსა და გამოკვლევებს. შეხვედრისას ყოველთვის გამოგვივითხავდა, თუ რას ვაკეთებთ, რა პრობლემაზე ვმუშაობთ და ვითომ უნებლიედ, საუბრის მსვლელობაში გამოსთქვამდა ისეთ ახლებურსა და ნაყოფიერ, ორიგინალურსა და პერსპექტიულად მდიდარ აზრებს, რომ ეს ინტელექტუალური ფერმენტი ცხოველმყოფელი ფაქტორი ხდებოდა ჩვენი შემდგომი მუშაობისა.

ასეთ მუდამ ახლის აღმომჩენლად, აზრისა და სიტყვის ჯადოქარად, ენერგიულ და გულითად პიროვნებად დარჩება ის მუდამ თავისი მრავალრიცხოვანი მსმენელების ხსოვნაში.



ქურნალ „მნათობის“ 1968 წლის ნომრების შინაარსი

სარილახტო ნაწარმი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს — № 10.

მოთხრობები, რომანები, პიესები, ნარკვევები

- ავალიანი ლადო — ახალი პორტრეტი. რომანი. ტომი მესამე. № 11, 12
- ახუბა ჭუბა — ომი უკვე აღარ იყო. მოთხრობა. თარგმ. რევაზ ჭავჭავაძისა, № 5, 6
- ბერიძე თეიმურაზი — ძველი თბილისის ტოპონიმებიდან. ნარკვევი. № 6
- ბილი პინარო — როცა ომი დამთავრდა. მოთხრობა. თარგმ. ნოდარ რუხაძისა. № 2
- გოთუა ლევანი — შთაბრძნა. რომანი. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 10, 11, 12.
- დემურხანაშვილი სოლომონი — ნეტარ არიან მორწმუნენი. მოთხრობა. № 2
- დოლიძე ნინო — ჩემი ძმა ვიქტორი. ბიოგრაფიული რომანი. № 9, 10, 11, 12.
- ზედგინიძე გიორგი — ველარ მოგვლენ. ნაწევრი რომანიდან „დედის ტაძარი“. № 4
- კახაიძე შოთა — ენგურპესის მშენებლებთან. ნარკვევი. № 11
- ლომიძე ანდრო — აღამიანს სიცოცხლე სწევრია. მოთხრობა. № 6
- პაუტოვსკი კონსტანტინე — ოქროს ვარდი. თარგმ. გურამ გოგიაშვილისა. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 10
- სოლოუხინი ვ. — მოთხრობები. თარგმ. ვ. წერეთელისა, № 1
- სოფოკლე — ანტიგონე. პიესა. თარგმ. დავით გაჩეჩილაძისა. № 7
- ქუთათელი ალექსანდრე — ჭაბა. მოთხრობა. № 3
- ურჯუმელაშვილი ვანო — ცივი სარეცელი. მოთხრობა. № 5
- ჩიქოვანი გრიგოლი — ტყაში-მადე. ოდიშური მოთხრობებიდან. № 10
- ჩხვიძე ითარი — ლანდები. რომანი. № 1, 2, 3, 4
- წვერავა სიმონი — ნასაყარადიდან საიდუმლო გვირაბამდე. დოკუმენტური მოთხრობა. № 3
- ხერვაიანი მირონი — უჩინარი ზარები. მოთხრობა. № 6

ლექსები და კომედიები

- ამისულაშვილი შალვა — სავანაფხელო კანტატი. ლექსი. № 5
- ანთიხი თევკროს — ლექსები. თარგმ. ემზარ კვიციანიშვილისა და ტარიელ კანტურიასი. № 7
- ასათიანი ლია — ლექსები. № 12



- აფხაზე შალვა — ლექსები. № 2
 გორგანელი ვახტანგი — ყველა მწვერვალზე მაღალი. ლექსი № 12
 გელაფანი აკაკი — ლექსები. № 3
 გენაძე აკაკი — სავალაბელი ხმათა და ფერთა. პოემა. № 3
 ვაკელი იონა — ლექსები. № 5
 ვაგიფი — ლექსები. თარგმ. ვ. ჭავჭავაძისა. № 10
 ვერგილიუსი — ენეიდა. ნაწყვეტი პოემიდან. თარგმ. რომან შიმიწოშვილისა. № 4
 იანაკოპული ფოტულა — ლექსები. თარგმ. ვახტანგ ჭავჭავაძისა და ნელი გაბრიძისა. № 7
 თევზაძე ანდრო — ლექსები. № 6
 კახაძე გიორგი — ლექსები. № 6
 კერესელიძე ნუნუ — ლექსები. № 5
 კეშელავა ბონდო — აღსარება. ლექსი. № 11
 ლეონიძე გიორგი — ფიროსმანი. ორი ნაწყვეტი პოემიდან. № 2;
 მამფორია ოთარი — ბტლი წუთისოფლისა. პოემა. № 11
 მარიჭანი — ყოველ გაზაფხულს. ლექსი. № 5
 ნიშინაძე შოთა — ლექსები. № 1
 ნერვალი ეარარ დე — ლექსები. თარგმ. გივი გეგეჭკორისა. № 2
 ორქონიძე იზა — ლექსები. № 3
 პარნისი ალექსის — ჩვენ დავბრუნდებით. ლექსი. თარგმ. გივი გეგეჭკორისა. № 7
 პილიოტისი აქილევსი — სიმღერა მოკლულ გოგონაზე. ლექსი. თარგმ. ოთარ ჭილაძისა. № 7
 რიკობი იანის — საბერძნეთი. ლექსი. თარგმ. ოთარ ჭილაძისა. № 7
 სპირიდი სერგეი — პირადად ვადასტურებ. ნაწყვეტი პოემიდან. თარგმ. ვახტანგ ჭავჭავაძისა. № 1
 სულაბერიძე ლადო — ლექსები. № 3
 ფორჩხიძე შალვა — ლექსები. № 4; ტიციან ტაბიძეს. ლექსი. № 6
 ქუთათელი ალექსანდრე — ლექსები. № 1; ბარათაშვილი. ლექსი. № 6; ბედი მღვარი. პოემა. № 7
 ყულევი ყაისინი — ლექსები. თარგმ. გივი გეგეჭკორისა. № 2
 ძველი ეგვიპტური ლირია — თარგმ. მურმან ლებანიძისა. № 12
 ციცილაძე გრიგოლი — რამდენს მერს ვცოცხლობ. ლექსი. № 6.
 ჩარკვიანი ჭანსული — ლექსები. № 1
 ჩაჩავა ნიკოლოზი — ლექსები. № 4; ლექსები. № 10
 ჩიქოვანი სიმონი — გამოუქვეყნებელი ლექსები. № 1; ვერეკ ანჯაფარიძეს. ლექსი. № 4; გამოუქვეყნებელი ლექსები. № 9
 შატერაშვილი გიორგი — გამოუქვეყნებელი ლექსები. № 4
 შანშიაშვილი სანდრო — ლექსები. № 3
 შერაზადიშვილი ზაქარია — ლექსები. № 10
 პელიძე ოთარი — ჩემი მაგნიტური არე. პოემა. № 5, 6
 ჭილაძე ოთარი — სიყვარულის პოემა. № 10
 ჭილაძე თამაზი — ახალი ლექსები. № 12
 ჭაბუშაური ვაბრიელი — ლექსები. № 12
 ჭანგულაშვილი თეიმურაზი — ლექსები № 2
 ჭანელიძე ჭანო — ლექსები. № 3
 ხალვაში ფრიდონი — შეხვედრა ჩვენებურებთან. ლექსები. № 11

1818 კარლ მარქსი 1968

მეგრელიშვილი ვაზირიელი — კარლ მარქსი და თანამედროვეობა. № 5



1870 ვ. ი. ლენინი 1968

ბრეჯაძე გ. — ვ. ი. ლენინის მიერ ერის მარქსისტული თეორიის განვითარება. № 4

საბჭოთა არმიის 50 წლისთავი

ხვედელიძე გიორგი — ლენინგრაძისა და კრონშტადტის მისადგომებთან. № 2

1868 მატსიმ გორაძი 1968

ცდიშვილი გიორგი — რევოლუციამდელი ქართული კრიტიკა მაქსიმ გორკის შესახებ. № 3

შენგელაია დემნა — მაქსიმ გორკი. № 6

150 ნიკოლოზ ბარათაშვილი 150

ბარათაშვილი ნიკოლოზი — მერანი. ლექსი. № 8

ლენინიძე გიორგი — ბარათაშვილი. ლექსი. № 8

მალულარია ვივა — დაღამება ამა სოფლისა; მოთხრობა. № 8

სულაკაური არჩილი — ღამე ყაზახზე. მოთხრობა. № 8

ტაბიძე ვალაკტიონი — მთაწმინდის შთაბრუნება. ლექსი. № 8

ვაჟა ფშაველა — ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს. ლექსი. № 8

ჩიქოვანი სიმონი — ნიკოლოზ ბარათაშვილის სეპენი. ლექსი. № 8

ბარათაშვილის დედის ეფემიას წერილიდან. — № 8

გრავალ ორბელიანის წერილი ილია ორბელიანისადმი — № 8

სიტყვა ილია ქავჭავაძისა. — № 8

სიტყვა აკაკი წერეთელისა. — № 8

არევაძე ბონდო — „მერანი“ და „აბულა-მარა“ № 8

ბალახაშვილი იაკობი — ნიკოლოზ ბარათაშვილი თანამედროვეთა მიმოწერაში. № 8

ბეჟანიშვილი როსტომი — რომანტიკული სულის ამბობება. № 8

გაჩეჩილაძე გიორგი — ქართლის ბედი და „მერანი“. № 8

გოზალიშვილი გ. — 1832 წლის შეთქმულება და რუსეთის ლიბერალური მოძრაობა. № 8

ეზნაიძე ლევანი — „ბედი ქართლისა“ და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი. № 8

წურაბაშვილი ავლიბი — პერსონოლოგიური პრობლემები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. № 8

მახუტაძე ილია — „მერანის“ ენობრივ-სტილისტიკური ქარგა. № 8

სურგულაძე აკაკი — 1832 წლის შეთქმულების შეფასების საკითხისათვის. № 8

ქილაძე ითარი — ახალი ცა. № 8

ხაჩიაშვილი ქეთო — ნიკოლოზ ბარათაშვილი და სოლომონ დოდაშვილი. № 8

ჭიბლაძე გიორგი — ლირიკული გმირი ბარათაშვილისა. № 8

ი. ს. ტურგენევის დაბადების 150 წელი



ნათობე ვ. — ი. ს. ტურგენევი — მე-XIX საუკ. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. № 11

1918 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოცმოდრეათი წლისთავი 1968

- აბაშიძე ვრიგოლი — ქართული კულტურის დღესასწაული. № 10
- აბაშიძე ირაკლი — მეცნიერების უქრობი ცეცხლი. № 10
- აბლაძიძე ალექსანდრე — გელათის აკადემიის ისტორიიდან. № 9
- გამახურობა კონსტანტინე — ტფილისურ სახელმწიფო უნივერსიტეტის მავნიფიკაციის რეკტორის აკადემიკოს ილია ვევესაძე. № 10
- გამეზარდაშვილი დ. — თბილისის უნივერსიტეტი და ქართული ლიტერატურის მკვლევრობა. № 9

- ნონეშვილი იოსებო — საუნივერსიტეტო. ლექსი. № 10
- კეკელიძე პროკლე — სიმონ ზუნდაძის ტექსტოლოგიური მიხედვანი. № 9
- კლდიაშვილი სერგო — ჩვენი ეროვნული დიდება. № 10
- კომახიძე მ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაქულტეტის ორგანიზაცია. № 9

- ფლენტი ბესარიონი — უქრობი ჩირადანი. № 10
- შენგელია დემანო — ჩვენი დედა. № 10
- ხანთაძე შოთა — მასალები თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის. № 9
- კარბაღაშვილი ზ. — დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა ქართულ უნივერსიტეტში. № 9
- ივანე ქავთიშვილის 84 კერძო წერილი — წინასიტყვა, კომენტარები და შენიშვნები ვაკლამ დონდუასი. № 9
- ჭაფარიძე რევაზი — აწმუსა და მომავლის მკვლევრო. № 10
- ჭარბენაძე ს. — აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან. № 9

ფაქტები, მოზონებები

ბერეგოვი ვ. — თეირანი, 1943 წელი. № 5, 6, 7, 8, 9, 11.

კრიტიკა, ლიტერატურისმკვლევრობა, მივნიჩიება, კვლევითიკრიტიკა, ხელოვნება, კულტურა

- აბრამიშვილი ვლ. — ილია ჭავჭავაძე და ნიკო ხიზანაშვილი. № 7
- ავალიანი მიხეილი — რუსი და ქართველი ხალხების საბარძლო თანამეგობრობის ასახვა გაზეთ „დროებში“. № 7
- ასათიანი მანანა — იოსებ თნილელის ბიოგრაფიისათვის. № 10
- ახვლედიანი ვიკო — ერთი უცნობი ძეგლის ფოლკლორული მოტივები. № 11
- ბარამიძე ალექსანდრე, მებრეველი ელენე, ცაიშვილი ხარგისი — ვეფხისტყაოსნის აქტორის ვინაობისათვის. № 8
- ბაქრაძე აკაკი — „გველისმკვლელი“ და ქართული მითი, № 6; დიონისეს თვითმკვლელობა. № 12
- ბეგაშვილი ალექსანდრე — „როგორ ვუშველოთ ქართულ ენას“. № 11



- ბერძენი ფილიპე — ფრთები, ფრთები გვიანდა. № 5; ლირიკული თაროლის ექო. № 10
- ბუაჩიძე თენგიზი — „დინარას“ პრობლემატიკის. № 4, 5
- ბურჯანაძე ქეთევანი — გრიგოლ ორბელიანის თარგმანები. № 10
- ვაჟა ვლადიშვილი — ბრძოლა უმაღლესი განათლებისათვის რევოლუციამდელ საქართველოში. № 10
- ვაგოშიძე შოთა — ხელნაწერი გაზეთების ისტორიიდან. № 2
- გამსახურდია თამარი — თბილისის ციხის უძველესი სახელწოდებისათვის. № 4
- გამსახურდია კონსტანტინე — შენიშვნები დასავლეთის ლიტერატურათა გამო. № 12
- გაბიანი გერონტი — სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის. № 7
- გოზალიშვილი გულნარა, გოზალიშვილი შალვა — აკაკი წერეთლის უცნობი წერილები. № 1
- გოგოლაძე ვიორგი — ხაშურის რაიონის მშრომელთა მოაწოდება საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. (1917-1921 წწ.). № 11
- გურგენიძე ნანა — წერილები სოლომონ დოღაშვილისადმი. № 6
- თვარაძე რევაზი — „სიბრძნე ბალაქვარისა“ ორი რედაქცია. № 11
- თოფურია აკაკი — დიდი მხატვრული ტალანტი. № 12
- თუხარელი დიმიტრი — ენრობობივი შრავალფეროვნებისათვის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. № 4
- კალანდაძე ვიორგი — ალექსანდრე აბაშელი. № 4
- კაციანიძე მიხეილი — დიმიტრი სემიონოვი და ვაჟა ფშაველა. № 7
- კვიციანიშვილი ემზარი — ვაჟა-ფშაველას რიჟა. № 12
- ლუბანიძე შურმანი — ღია წერილი გამომცემლობა „განათლებას“ დირექტორს აშ. ხ. ბერუღაის. № 10
- ლომაშვილი ჭიბო — რატომ ჰქვია თბილისის ციხეს „ნაბიყალას ციხე“. № 9
- მესხი კოტე — ცეცხლში შობილი გაზეთები. № 5
- ორლოვსკაია ნატალია — მარი ბროსე და ვაჟთ „თბილისის უწყებანი“. № 12
- ოქროშიძე თამარი — რაში ქართული ზღაპრისა. № 12
- მიშივეი ადილი — ვაჟთი „აკავახი“ ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ. № 1
- ნატროშვილი ვიორგი — ცხოვრების შეაგულში. № 10
- ნაკაშიძე რაბა — ქართული რომანტიზმის სათავეებთან. № 7
- ნუცუბიძე შალვა — ვეფხისტყაოსნის ერთი გამოცემის გამო. № 11
- ვლენტი ბესარიონი — გმირული ცხოვრების ეპოპეა. № 3
- რადიანი შალვა — ჩვენი ვალაკტიონი. № 1
- რატაანი პროკოფი — ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის. № 2, 3, 4, 5
- რევიშვილი შოთა — ისე ლიტერატურული ლექსიკონების შესახებ. № 12
- რუხაძე ნოდარი — „ჩვეულები 47“. № 10
- სანადირაძე აღ. — ვიორგი ნატროშვილის პროზა. № 12
- ურუშიძე ნათელა — ვერიკო ანჯაფარაძე. № 4
- ცინცაძე იასე — ბერი ეგნატაშვილის ვინაობის საკითხისათვის. № 1
- ფანჭულიძე დავითი — ნიკო ნიკოლაძე და ფრანგული ლიტერატურა. № 1
- ჩაჩიბაია არჩილი — ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობის საკითხები. № 3
- ჩხეიძე ნოდარი — ღვთა ქიაჩელი. № 2; სერგო კლდიაშვილი. № 5
- ჩხეიძე თამაზი — კოლაუ ნადირაძის პოეზია. № 2; ვალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გარშემო. № 11
- შარაძენიძე თ. — სახელოვანი მეცნიერი. № 11
- შეთყაური ვიორგი — სტუმარმამისინაშლობის ასახვა ქართულ ხალხურ პოეზიაში. № 7
- ქილაია სერგი, ზურაბაშვილი ავლიბი, კალანდაძე ანა, კეცხოველი ნიკო, მაკავარიანი მუხ-

- რანი, ნატროშვილი გიორგი, ტაბლიაშვილი ვახტანგი, ჩიტაია გიორგი, ჯაბლოძე გიორგი — კონსტანტინე გამსახურდიას რეპერტორის გამოცემის გამო. № 7
 ხერხეულიძე გრიგოლი — „დავითიანის“ ზოგიერთი სადავო წაკითხვის შესახებ. № 9
 ხუბაშვილი გიორგი — „იყო ერთი ქალი“. № 6
 ჭავჭავაძე ქეთევანი — „ივერიუმში“. № 5
 ჭავჭავაძე ელიზბარი — ილიშერ ნაგოის მსოფლმშედეგობის გავებისათვის. № 9
 ჭაოშვილი ვახტანგი — ხალხთმოსახლეობა და პროგრესი. № 10
 ჭაფარიძე რევაზი — უახლესი ქართული ფილმები. № 12

ბამოსათხროვარი

იმედაშვილი კობა — ნოდარ ჩხეიძე № 2

წიგნების მეფოხილვა

- აგლაიანი ლ. — „ჭიამიას“ ავტორი. № 2
 ბარამიძე რევაზი — „ორიონი“. № 1
 ბაქრაძე აკაკი — პოეტის ახალი წიგნი. № 7
 ბერიძე ფილიპე — ედნებულთა სულიერი დრამა. № 6
 გვრიტიშვილი დავითი — მასალები XVIII საუკ. მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. № 11
 გრიგოლია კონსტანტინე — თ. კორდანიას „ჭრონიკების“ შესამე წიგნის გამოქვეყნების გამო. № 6
 ერემოვი გრ. — სოციალისტური სახელმწიფოს, დემოკრატიისა და კანონიერების უკვდავ-
 მყოფელი ნაშრომი. № 12
 თოფურია აკაკი — ზღვის მწერალი. № 4
 კარტოზია ბონდო — ხელოვნების და რელიგიის ურთიერთობის საკითხისათვის. № 9
 კენაძე ვასილი — „ვეფხისტყაოსნის“ თეატრმცოდნეობითი ძიებანი. № 5
 კილაბერია მეჩი — ილ. წულუკიძის თხზულებათა მეორე გამოცემის გამო № 2
 ლომიძე გივი — როცა გული მღერის. № 9
 მეგრელიძე იოსები — ილ. დუდუჩაიას რჩეული წერილები. № 3
 მშველიძე ბ. — საბჭოთა საქართველოს ისტორია. № 9
 მშვილდაძე ნ. — „მსოფლიო პოეტები დედას“. № 5
 პაიჭაძე ნ. — საინტერესო ნაშრომი ქართველ მებრძოლთა მამაცობის შესახებ საბჭოთა
 კავშირის დიდ სამამულო ომში. № 12
 რადიანი შალვა — საურთაღდეგო გამოკვლევა ქართველ მწერლებზე. № 6
 სანადირაძე აღ. — რომანი გარდამტეხ წლებზე. № 8
 სულაბერიძე ტ. — თ. კეღისის საბავშვო პოემა. № 5
 კარხალაშვილი ზურაბი — მონოგრაფია თომას მანზე. № 5
 ჩიქოვაძე გიორგი — „ღენინი და ოქტომბერი“. № 7
 შალაბერიძე გ. — ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი. № 4
 წერეთელი ნიკოლოზი — ქართული რომანტიზმი. № 1
 ხარანაული ბ. — ქართული პროზაიკოსების კრებული. № 1


ხუციშვილი ს. — კარგი ნაშრომი. № 11

ხუციშვილი გიორგი — სიმღერა კეთილ კაცზე. № 3

ჯაფარიძე ბედანი — მეცხრამეტე საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის მცირე ისტორია. № 2

ჯიბუტი ვლადიმერი — პოეტის ლექსების ახალი წიგნი. № 2; ვარ კმაყოფილა პოეტურ ბედით. № 11

ჭიჭიშვილი მამია — სოციალიზმის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის. № 8



8176/37
7560 80 333.

ИНДЕКС
76128
0011560-00
202-20110333

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ